

ალეკო ზანდიაძე

ვერე გიწავსებო...

თბილისი  
2018

ამ კრებულში წარმოდგენილია უდროოდ გარდაცვლილი კრიტიკოსის – ალექო სანადირაძის (1929-1969) ჭაბუკობის დროინდელი ლექსები და ნოველები; წერილები XX საუკუნის 50-60-იანი წლების ლიტერატურასა და ზოგადად ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე; ასევე, თარგმანები და სხვა ნაშრომები.

შემდგენელ-რედაქტორი: მანანა სანადირაძე

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: ეკატერინე ოქროპირიძე

© მანანა სანადირაძე  
© Manana Sanadiradze

ISBN 978-9941-27-834-1

**სარჩევი**

**მამარევი – ალექო სანადირაქი** ..... 7  
 ოთარ დემეტრაშვილი – ნათელში იყავ, ალიკ! ..... 9

**სიყვარულის სვეულეზუი (ლექსეი)**

დილის სიზმარი ..... 16  
 მოჩვენება ..... 16  
 გაცნობა ..... 17  
 გასეირნება ..... 18  
 მშვიდობით?!. ..... 19  
 უკანასკნელი გახსენება ..... 19  
 \* \* \* ქალო, სახე-მთვარიანო ..... 20  
 დაიბენი?! ..... 20  
 შენც მიმღერე განშორების ნანიანა... ..... 21  
 \* \* \* ყოველ დილით, როცა ველი მე ალიონს ..... 21  
 ფინიში ..... 22  
 განშორებისას ამონაკვეთი ..... 23  
 არ იდარდო, არ ინაღვლო... ..... 24  
 მე რას დაგიშლი?... ..... 25  
 \* \* \* ღამე დაიწვას, როგორც ფარვანა ..... 26  
 ეხლა ღამეა... ..... 26  
 დაკარგული სიყვარული ..... 27  
 \* \* \* აღარ მოვისმენ მაგ თმების შრიალს ..... 27  
 \* \* \* ხშირად გიცქერ, დაგოგმანობ... ..... 28  
 ერთი ლექსი ..... 28  
 წვიმა ..... 29  
 ჩემი ნიბლია ..... 30  
 განშორება ..... 30  
 \* \* \* დილით ადრე მზეს მოჰყევი შარიშურით ..... 31  
 გაელვარებულს ..... 31  
 ავდარი ..... 32  
 \* \* \* კვლავ წვიმიანი დღეა, ძვირფასო ..... 33  
 მე მოგელოდი ..... 33  
 მარტი ..... 34  
 პასუხი ბარათზე ..... 34  
 \* \* \* როცა ჩემს სარკმელს ეწვევა ბინდი ..... 35  
 განშორება ..... 35  
 ავტომანქანაზე ..... 36  
 უკანასკნელი ლექსი ..... 36

ნამსხვრევები ლექსებიდან .....	37
ბარათი თბილისელ ძმაკაცებს .....	38
<b>უცნაური გოგონა</b> .....	40
ლირიკული ეტიუდები .....	
<b>ნაწოტები</b>	
შეხვედრა .....	46
კულისები .....	46
მეგობარო! .....	47
გახსენება .....	48
პროლოგი .....	49
დიდი ანა .....	50
ქალი შავებით .....	50
შენი თვალები .....	51
რეჟიემი .....	52
გურიის გზაზე .....	53
ნატვრა .....	54
ჩემი გმირები .....	55
ჩემი სახელი .....	55
წუთები .....	56
მწერლები .....	57
შემოდგომა .....	57
ჩემი ანკეტა .....	58
ქართველი ქალები .....	59
საქართველო – სხვებისათვის... ..	60
გურია .....	61
ჯორჯ გორდონ ბაირონი .....	62
მიუწვდომელი .....	63
<b>მოთხრობები</b>	
ციცო .....	64
დიალოგი სასტუმროს დერეფანში .....	73
შარვალი .....	75
ზიზი .....	78
უცნობი .....	84

**წიგნები**

გზის დასაწყისი	89
წარსულისა და აწმყოს მხატვარი	92
გმირული დღეების ზღაპარი	99
ლექსების პირველი წიგნი	101
მორის ფოცხიშვილის ლექსები	104
„განა წყარო ვარ!“	109
აკაკი ბელიაშვილი	113
ორღე დგებუაძე	126
ასე მღეროდა და ასე მღერის	131
ისევ გაზაფხულია იორზე	139
ზღვისა და ხმელეთის ტრფიალი	151
კარგი დასაწყისი	160
საყვარელი მოხუცი	163
ბატონი გოგლა	164
იასე რაჭველი	168
ფიქრები პოეზიაზე	170
წიგნი დაუცხრომელ შემოქმედზე	172
აქტიორი და მოაზროვნე	175
საყვარელი სახელი	180
მონოგრაფია გამოჩენილ მსახიობზე	183
გახსენება გიორგი შავგულიძისა	185
სცენის გამოჩენილი ოსტატი	190
„დავით მერვე“	
ქუთაისის თეატრის სცენაზე	192
ქართული კინოს ოსტატები	197
„ცისკარა“	200
სცენარების გამოცემის შესახებ	203
ფრანგული კინოსელოვნება	206
ვანო პატარაძე	209
ცხოვრების უტყუარი მხატვარი	214

**ცხრასს უთმული პარტიზანები**

წინასიტყვაობა	217
დათიკო შევარდნაძე	218
სიმონა დოლიძე	225
კიკია მამულაიშვილი	229
ერასტი ჯორბენაძე	233

აფრასიონ მერკვილაძე .....	237
სამსონ წითელიშვილი .....	241
ილიკო იმერლიშვილი .....	245
მიხა ჭუჭყულაშვილი-მწერლიშვილი .....	250
ხარება და გოგია .....	255
მამუკა და სადარა .....	263
<b>თხილის თავგადასავალი</b>	
(საბავშვო მოთხრობა) .....	271
<b>თარგანები</b>	
ირაკლი ანდრონიკაშვილი	
<b>ლიტერატურათმცოდნის მოთხრობები</b>	
პორტრეტი .....	291
გამოცანა ნ. თ. ი. ....	328
წარწერა ნახატის ქვეშ .....	356
ლერმონტოვის თანამემამულე .....	370
მარია კოვნაცკაია	
<b>პლასტუხის თავგადასავალი</b> .....	380
<b>გურული სიტყვა</b>	
ლექსიკოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალები	
/მხოლოდ სოფ. საჭამიასერის მიხედვით/ .....	405
მადლობელი ვარ, მამა!.. (გახსენება) .....	439

## მამაჩემი – ალექო სანადირაძე

მას არ უყვარდა შემოდგომა და ნოქტომბერს გარდაიცვალა. 1969 წლის 1 იანვრისთვის გამოქვეყნებული ყველა თავისი ნაშრომის სია ჩამოწერა და, მართლაც უცნაურია, 1969 წელს გარდაიცვალა. რა იყო ეს – ალბათ, წინათვრძობა, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არც მიმიქცევია, თუმცა 17 წლისა ვიყავი და პატარა აღარ მეთქმოდა. ასეა, მშობელი ყოველთვის ასაკოვანი გვეგონია. თამამად შემიძლია ვთქვა – მასზე აუცილებლად არავის დასცდენია და მისი სახელი თითქმის ყველა ცხოვრებისეული კარის გაღებაში მეხმარებოდა.

დიდმა გერონტი ქიქოძემ „ბენიამინი“ შეარქვა. აი, რას წერს კრიტიკოსი ვლადიმერ ჯიბუტი გერონტი ქიქოძეზე გამოქვეყნებულ მოგონებაში: „... საოცრად უყვარდა ალაღ-მართალი და ნიჭიერი კრიტიკოსი ალექო სანადირაძე. გერონტი ხშირად მიაკითხავდა ხოლმე „ბენიამინს“ (ბიბლიური იაკობის უმცროსი და უსაყვარლესი შვილი) – ასე ეძახდა ხოლმე იგი ალექო სანადირაძეს. რაღაცით ძველ გურულ ფირალებს მაგონებსო, ამბობდა ხოლმე გერონტი, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ალექო სანადირაძის წარმოსადგევი გარეგნობა“ (ვ. ჯიბუტი, მცირე მოგონება, „ლიტერატურული საქართველო“, №8 (1749), 1971, 19.02). ეს ფაქტიც ბევრის მიქმელია. ცოტანიდა დარჩნენ ადამიანები, რომელთაც ალექო სანადირაძე პიროვნულად ახსოვთ, ისინი დამეთანხმებიან – ნამდვილად არაფერს ვაჭარბებ. ის არ იყო მწერალთა კავშირის წევრი – თუმცა ხელს თითქოს არაფერი უშლიდა. ალბათ, ესეც მისი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა.

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები იმდროინდელ პრესაში, განსაკუთრებით – „მნათობსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ („ლიტერატურული გაზეთი“). ბევრ ავტორს დაულოცა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და უფროს თაობასაც მიაგო სათანადო ყურადღება. ლიტერატურული პროცესის გარდა, წერდა ხელოვნებაზე, განსაკუთრებით იზიდავდა თეატრალური სამყარო.

ეს ყველაფერი, ნაწილობრივ, ამ წიგნშია თავმოყრილი (ზოგიერთი ოდნავ ჩავსწორე). ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იმ დროის, გასული საუკუნის შუა წლების, პატარა მატიანე შეიქმნა.

ქრონოლოგიას მიყვები და წიგნში ძალიან ახალგაზრდულ ასაკში დაწერილი, რა თქმა უნდა – გამოუქვეყნებელი, ლექსების,

ნოველებსა და მოთხრობების გარკვეული ნაწილიც უცვლელად შევიტანე. ალბათ, ამ სითამამეს არ მომიწონებდა, მაგრამ მისი მთლიანი სახის, შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად, საჭიროდ ჩავთვალე.

გამოქვეყნებულ წერილებს მითითებული აქვს პრესის დასახელება და თარიღი, ხელნაწერის სახით შემონახულებს – მარტო თარიღი (შეიძლება უთარიღოც).

„ცხრაასსუთელი პარტიზანები“ ორჯერ გამოიცა (1957, 1986). აქ შეტანილია მისი გადაუშავებული და შემოკლებული ვარიანტი.

ასევე, ამ კრებულში წარმოდგენილია ადრე გამოცემული ორი თარგმანი – ირაკლი ანდრონიკაშვილის „ლიტერატურათმცოდნის მოთხრობები“ (1962) და მარია კოენაცკაიას „პლასტუსის თავგადასავალი“ (1964).

გამომცემლობა „ნაკადულმა“, თავის დროზე, „დაიწუნა“ მისი საბავშვო ნაწარმოები „თხილის თავგადასავალი“, რაზეც მამაჩემს გული სწყდებოდა. თავს უფლება მივეცი, ისიც დამებეჭდა ამ კრებულში.

ცალკე მინდა გამოვეყო „გურული სიტყვა“, ლექსიკონი, შექმნილი მხოლოდ მშობლიური სოფლის – საჭამიასერის (ჩოხატაურის რაიონი) ბაზაზე. ისეთი სიყვარულითა და რუდუნებითა ყველაფერი მოგროვილი, დამუშავებული და აკინძული, რომ მისი გამოქვეყნების გარეშე თავის საყვარელ გურიას პატივს ვერ მიაგებდა. ესეც ზუსტად იმ სახითაა წარმოდგენილი, როგორც მან დატოვა.

უცნაურია, მაგრამ ისიც ჩამოწერილი ჰქონდა, რაც მომავალში უნდოდა გაეკეთებინა. ბევრი ალუსრულებელი ოცნება წაიღო იმქვეყნად. ბევრი მასალა – გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი – მის საოჯახო არქივშია დაცული, ნაწილი – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

აი, რაც მინდოდა მეთქვა. ნუ შევხედავთ ამ წიგნს კრიტიკული თვალთ, ვერც ავტორი გიპასუხებთ და ვეღარც ის მწერლები, ამ წიგნის ფურცლებზე კიდევ ერთხელ რომ ცოცხლდებიან, მათ თავიანთი სათქმელი უკვე თქვეს – მამაჩემმა, ალბათ, სხვებზე ნაკლები...



## ნათელში იყავ, ალიკ!

(„სიტყვა ქართული“, №2 (13), 1994, 28.02)

– ბენიამინო! – სიკეთის და სათნოების ეს სიმბოლური, ბიბლიური სახელი ალეკო სანადირაძეს ცნობილმა მწერალმა გერონტი ქიქოძემ შეარქვა.

ვისაც ახსოვს, დამეთანხმება, ნიჭიერ კრიტიკოს ალეკო სანადირაძეს, 60-იან წლებში, ქართველი მწერლები სწორედ რომ სათნოების, სიკეთისა და კაიკაცობის განსახიერებად მიიჩნევდნენ.

მწერლის ქალიშვილ მანანასთან ერთად ვათვალიერებ ალეკო სანადირაძის არქივს.

თხუთმეტოდე წელიწადში ბევრი მოუსწრია.

აგერ მისი ხუთი წიგნი, იქით თარგმნილი ნაწარმოებები ალაგია. ცალკე აწყვია ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და კონტად აკინძული მონოგრაფიები, რეცენზიები, მხატვრული ნარკვევები, კრიტიკული წერილები...

მშობლიური ერის სიხარული, მისი წუხილი თუ ლიტერატურში წამოჭრილი ცხოვრებისეული პრობლემები მწერალს ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა და შეძლებისამებრ ეხმიანებოდა.

ამიტომაც დატოვა კვალი ნათელი.

წუთისოფლიდან 40 წლის ასაკში წასულ ალეკო სანადირაძეს, ვაგლახ, 65 წელი შეუსრულდა.

რა უნდა დავწერო?

წერილი? მწერლის შემოქმედება განვიხილო? პუბლიცისტურ ასპექტში მკითხველს ალეკო სანადირაძის ნააზრევზე ვესაუბრო?

ამას მისი წიგნები უჩემოდაც იტყვიან.

იქნებ სჯობს, გარდასულ დღეთა სურათები აღვადგინო?

კი.

ასე, ალბათ, უკეთესი იქნება.

წარსულის მცირეოდენი მოგონება ნაწილობრივ მაინც გააცოცხლებს ადრე წასული მწერლის – ალეკო სანადირაძის შთამბეჭდავ და დაუვიწყარ პირადულ მეს.

## გურული ფირალი

ალარ მახსოვს, მგონი, 1963 წელი იყო.

ნოემბერი ილეოდა.

ჟურნალ „დროშას“ მაშინდელმა რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა კაბინეტში გვიხმო და საახალწლო ნომრის დასაგეგმად სარედაქციო თათბირი ჩაატარა.

დიდხანს შევეყვით.

დავაზუსტეთ თემები. გავითვალისწინეთ გეოგრაფია. მივინიშნეთ ფოტოები. ვიდავეთ და ვიკინკლავეთ ავტორების შერჩევაზე.

ის-ის იყო, სადღესასწაულო ნომრის ფერად გარეკანზე დავიწყეთ კამათი, რომ კარი მოულოდნელად შემოჯახუნდა.

გავხედეთ.

ზღურბლთან მკვირვად შეკრული ახალგაზრდა კაცი იდგა.

ლამაზი ნაკვთები ჰქონდა, მოგრძო უღვაშები. მუქი წაბლისფერი თმა, როგორც ყოველთვის, ახლაც კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი.

– უკაცრავად! – ბეჭებში ლაღად გაშლილმა ახალმოსულმა თავაზიანად შემოგვიღიმა და მაშინვე რედაქტორთან დაიხარა.

ჩურჩულით საუბრობდნენ.

ბატონი გიორგი, ეტყობა, კმაყოფილი იყო.

– ვინ იყო? – იკითხა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების ახალმა გამგემ, ამირან კუსრაშვილმა, როცა სტუმარი წავიდა.

– არ იცნობ?

პასუხისთვის ალარ დაუცდია. რედაქტორმა კარს გახედა და მარცვალ-მარცვალ გამოცრა:

– გურული ფირალია!..

– ვინაა?

– სურების ტყიდან გამოქცეული გურული ფირალი!

– გასაგებია! – განყოფილების გამგემ ღიმილით დაუკრა კვერი მოსაუბრეს, – ისეთი არწივისებური გამოხედვა აქვს, მართლა გურული ფირალი გეგონება!..

იმ დღის შემდეგ რედაქციაში მოსულ ალექო სანაღიბაძეს ყველა სიყვარულით „გურულ ფირალს“ ეძახდა.

## სამმანეთიანი

სტუდენტები ვიყავით და გვიჭირდა.

შევაქურეთ ფული, დავიანგარიშეთ, ფენატკენი ალექოსათვის შინ ტაქსით წასასვლელი სამმანეთიანი გადავინახეთ და ვერის დაღმართზე „სამაიაში“ შევედით.

გარეთ მოვყურდით. ვეება ცაცხვის ქვეშ.

თბილისური ზაფხული იდგა. ჩამობურული. ცხელი. მომთენთავი.

ვისხედით ალექო და მე. ვსვამდით ცივ ლუღს. ვიკიკნებოდით და ვსაუბრობდით.

რაზე?

რაზეც გნებავთ, ყველაფერზე.

ჩამობნელდა.

ლაპიონები აკაშკაშდნენ. ქალაქის ხვატი უფრო გაუსაძლისი გახდა.

– ხომ არ იყიდით? – წამით ჩამოვარდნილ დუმილში მოულოდნელად გაისმა ვილაცის ჩუმი და უცნაურად მავედრებელი ხმა.

ავხედეთ.

შავოსანი ქალი წამოგვდგომოდა თავზე.

დაბალი და გამხდარი იყო, თეთრთმიანი, უპეებჩაღამებული.

იდგა და გველოდა.

ახლალა შევნიშნე, გამოწვდილ გაკნაჭულ ხელში ქალს საღებავშეუმშრალი საღამოს გაზეთები ეჭირა.

– იყიდით, შვილებო?

– მოიტა! – ალექომ მისავათებულ ქალს სამმანეთიანი გაუწოდა,

– თითო „თბილისი“ მოგვეცი... ხურდა არ გვინდა!

იყურა და დასძინა:

– ხვალაც თუ მოხვალ, იცოდე, ხვალაც ვიყიდით!

ალექო იმ საღამოს ნაღრძობი ფეხის თრევა-თრევით მივაცილე შინ.

## წეროს და იკითხოს!

სხვა ჩარა არ იყო.

ალექო და მე საგარეოდ გამოვეწყეთ, ხმები დავიბოხეთ და

სიყვარულით რეტდასხმულ მეგობარს, საპატარძლოს ოჯახში, ქალის ხელის სათხოვნელად გავყევით.

კითხვის ნიშნით მიგვიღეს.

თამარის მამა ტკბილმოუბარი ინტელიგენტი გამოდგა. გაგვესაუბრა. შეფარვით აგვწონ-დაგვწონა, შეგვეხუმრა და მერე ხორაგით დაზვინული, ლაზათიანი სუფრა გაგვიშალა.

სასიძოს ენა მუცელში ჰქონდა ჩავარდნილი. თამარი ღუძღა. ალექო და მე ვჭიკჭიკებდით.

ღვინომ თავისი გაიტანა.

შევზარხოშდით.

ალექო სმაში ყოველთვის სიტყვაძუნწი ხდებოდა. ახლა რაღაც ფუცხუნა შეუძვრა. დაიგემა, უჩვეულოდ წამოჭარხლდა და მოხსნა და მოხსნა თავი გუდას.

მე შენ გეტყვი, გაუჭირდებოდა.

– მოგწონთ თუ არა სიძე? – თვალების ბრიალით იკითხა ბოლოს ალექომ და მაშინვე სხაპასხუპით მიაყარა, – ალალი ბიჭია!.. ალალი და მართალი!.. თანაც პოეტი!

– პოეტი?

– დიახ, პოეტი! ჯერჯერობით უცნობი და მომავალში ძალიან ცნობილი პოეტი!

ჩამოვარდნილი ღუმილი სასიძამრომ დაარღვია.

– ოჯახის შექმნას საფანელი სჭირდება. ასეა, ბატონო! მარტო ალაღმართლობით კაცი ცხოვრებაში ფონს ვერ გავა.

– ლექსებით?

– თუ კარგ ლექსებს დაწერს, – დაჯდეს და წეროს! ვინ უშლის?

– თუ ცუდს დაწერს?

– წეროს და თვითონ იკითხოს! არც ამას დაუშლიან!

კი. ასე გამოგვისტუმრეს.

ამ ამბავს ახლა ღიმილით იხსენებენ ხოლმე საქვეყნოდ ცნობილი პოეტი შოთა ნიშნიანიძე და მისი მეუღლე თამარი.

## საქმეს არ ეღალატების!

გვიანი შემოდგომის ერთ ნათელ და დაოქროვებულ ღღეს, ბიჭებმა ალექო კახეთში გავაცილეთ.

ოთხნი ვიყავით: ალექო, მე, ჩვენი სიყვარულის მეგობარი კუკური მექვაბიშვილი და პოეტი ოთარ კუპრავა.

იმ ხანებში ალექო ახალ წიგნზე – „ცხრაასხუთელ პარტიზანებზე“ მუშაობდა. გამომცემლობიდან, ეტყობა, აჩქარებდნენ. ალექო ღელავდა.

საქმე უამრავი ჰქონდა.

საჭირო იყო ზოგიერთი უცნობი დოკუმენტის გამომზეურება. არქივებში კირკიტი, მოძიებული მასალის შეჯერება. თითოეული დეტალის გაანალიზება, ყველაფრის ქალაქზე გადატანა და სადა, ხატოვანი ენით მკითხველისათვის საინტერესო კრებულის მიწოდება.

ალექოს არც ახლა შეურაცხვენია თავი.

როცა მასალა დააგროვა, აწონ-დაწონა, გაიაზრა და წერა უნდა დაეწყო, ალექო მოულოდნელად გაჯიქდა.

თქვა და აჩივმა: კახეთში უნდა წავიდე. მივდგე-მოვდგე. ის ადგილები მოვინახულო, სადაც ჩემი წიგნის გმირები ხარება და გოგია, ქიზიყელი მიხა ჭუჭყულაშვილი და თელაველი ზალიკო სვიმონიშვილი იბრძოდნენო.

გადაათქმევინებდი თუ რა!

თქვა და აღასრულა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს ის საღამო.

ჩამოკრეს ზარი. გაისმა სასტვენის ხმა. მატარებელი დაიძრა.

არც ის დამეიწყებია, – ვილაც ახმაზი, ხის ჩემოდნით ხელში, ბაქანზე რომ ფეთიანივით გამორბოდა. ირბინა, თავპირისმტკრევით ირბინა და, კიდევ კარგი, ბოლო წამში, ბოლო ვაგონის ბოლო კიბეს შეახტა.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა და უმატა.

ალექო ფანჯარასთან იდგა. თავი გადმოეყო. ღიმილით გვიქნევდა ბოლომდე გამოწვდილ ხელს.

კახეთს მიემგზავრებოდა ჩვენი კეთილი, დამთმობი, უტყუარი, ჩვენი ლამაზი და დიდი გულის მეგობარი ალექო!..

საქმე მოითხოვდა.

## არ იყბედო!

– ალიკ!

– ამოდო! – მეორე სართულის გამოღებულ სარკმელთან მომდგარმა ალექო სანადირაძემ ჩვეულებისამებრ დამიქნია ხელი.

მეგობარმა მაგიდაზე ჯერ საჭამიასერიდან ბებიას გამოგზავნილი ხეჭეჭური დაახვავა და მერე, სხვათა შორის, ცალყბად მკითხა:

- კოტეს რატომ აგინებ?
- თავფეჭვილა ვარ და იმიტომ.
- რა ხარ?
- თავფეჭვილა. ჭკვიანი კაცი კოტეს როგორ შეაგინებს! ალეკომ თვალი ჩამიკრა.
- კოტე ჯიგრიანი და ნაღდი ბიჭია! იცი რა...
- რა? – ალეკო დამაშტერდა.
- ჩვენს სკოლაში კოტე, შენს გარდა, ყველაზე კარგი ვინმეა!
- მართლა ამბობ?
- კი!
- გიყვარს?
- კოტე ძმასავით მიყვარს!..

ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა.

ძველი ბუფეტი, რომელიც ორკედელშუა ცერად იყო მიდგმული, სწრაფად გაიწია, დარჩენილი სიცარიელიდან ზღარბივით თმაბურძენულმა კოტემ გამოყო თავი და გამეკრიჭა.

აქამდე დამღურებულები ერთმანეთს გადავეხვიეთ.

კოტე და მე ღღესაც კარგი მეგობრები ვართ.

ალეკოს ვუმაღლით.

ასეა. ვინ იცის, რა მოხდებოდა, ალეკოს რომ არ ემარჯვა და ოთახში შესვლისთანავე ჩემთვის ხელში დაკეცილი ფარატინა ქალაღლი არ მოეჩეჩებინა.

ღღემდე შემომრჩა ეს ფარატინა ქალაღლი, რომელზეც ალეკოს კოხტა და გაკრული ხელით, ნაჩქარევად არის ჩაწიკწიკებული:

„– არ იყბელო! ბუფეტის უკან კოტეა დამალული“.

## მანანა

- იცი, რაზე ვფიქობ?
- მაგალითად, რაზე?
- სიცოცხლეზე!

ტახტზე გამოტილმა ალეკომ გვერდი შეინაცვლა და ორთავე დამუშტული ხელი თავქვეშ შემოიწყო.

- რა დასკვნამდე მიხვედი?

– სიცოცხლე ღირს! – ალექო წამოჯდა, – ღვთით ბოძებული სიცოცხლე ძალზე ტკბილია და ბოლომდე უნდა მოვუფროთხილდე.

– დასთმობ?

– რას? სიცოცხლეს?

დასტურით დავუქნიე თავი.

ალექო ჩაფიქრდა.

– დავთმობ! ჩემი კიკინებიანი მანანასათვის დავთმობ!

სიყრმის შვილის შეძენამ ალექოს ფრთები შეასხა. გალაღა. ერთთავად შინ – მეუღლე ეთერისა და ატიკტიკებული მანანასაკენ მიუწევდა გული...

ალექო წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა და ჩემ წინ შეჩერდა.

– ქალს წილხვედრი პატივი მივაგეთ და დედაბოძი ვუწოდეთ! ეს ერთი. ქართულ ენას დედაენა შევარქვით. ეს მეორე. მესამე ის არის – სამშობლოს ხშირად მამულს ვეძახით!.. შვილი? შვილმა რაღა დააშავა? გაიგე?

– ისე რა!

ალექომ მწყრალად შემომხედა.

– უმდიდრესი ენა გვაქვს. რატომ მოხდა, რომ ჩვენში შვილს დღემდე არა აქვს მისთვის მისადაგებული, ზუსტი და ყოვლისმომცველი იდენტური შესატყვისი?

– გააფრინე?

– არა. ვეძებე და ვიპოვე.

– მაგალითად, რა იპოვე?

– სულთადგმა!

ალექომ წამით შეიყოვნა და მოჭრა:

– კი. მანანა ჩემი სულთადგმა! არც მეტი და არც ნაკლები! ახლა ხომ გაიგე?..

...გავიგე! ყველაფერი ახლა ბოლომდე კარგად გავიგე და ჩემი მცირეოდენი მოგონება ასე უნდა დავასრულო:

– ნათელში იყავ, ალიკ!..

## სიყვარულის სკეულებში

ძღუნად იმათ, ვისაც უყვარდი და ვინც მიყვარდა

### დილის სიზმარი

როცა დილით თვალს გავახეღე, სიზმარია?!  
ჩემს სუნთქვაში, ჩემს თვალებში დავანდები,  
სახეს ფერი ცისკარივით შემოვსვლია,  
ანგელოზად მომიფრინდი ნაზი ფრთებით.  
დანაღვლილხარ, გულზე გაწვევს მძიმე სევდა,  
მაზიდვინე ეგ ვარამი ჩემი მხრებით,  
მოდი, გული სიყვარულით ჩაგიხვევს და  
გაგიხდება მოზიარე მწარ ცხოვრების.  
კარგად ვიცი, მეც ვიმატებ ჭმუნვა-დარდებს,  
მაგრამ შენ კი ქედს არ იხრი, ქალო, მაინც,  
მალე ვნახავ, ველად ერთად მოგკრეფთ ვარდებს,  
მოგერევი, დაგენაცვლოს ჩემი თავი  
ჩემს სიყვარულს რომ ვახსენებ კრძალვა-რიდით,  
მე მწამს, ერთად შეიყრება გული ჩვენი,  
ჰა! ეს მკერდი, სიყვარულის გზა და ხიდი,  
ჰა! ეს გული, სიყვარულის განაჩენი.

1945

### მორკმნება

მზის სხივთა კიბეზე დაეშვი მოწყვეტით  
და როგორც ფერია, ჩემთან მოშრიალდი,  
გიცქერდი ჭაბუკი გათანგულ ოცნებით  
და შენ ჩემი სახე დადალე კოცნებით.  
დარცხვენით დახარე მეძავის თვალები,  
მკერდზე მომეყრდენი, ვით ბავშვი პატარა,  
ტუჩებზე დაგენტო სიფიცხის ლალები,  
ვიგვამთა მიმკრთალი კოცონის სადარად.  
...და თითქოს ითხოვე შენ ჩემგან შენდობა,  
მითხარი: „ეს მე ვარ, ასეთი წყეული,



მე ქვეყანაზე არავინ მენდობა,  
 უკვე სიბოროტით მაქვს სავსე სხეული.“  
 ხელი გაკარ... ალბათ თუ შემძულდი ბოროტით,  
 ცისაკენ ნაწყენი ნისლივით წახველი,  
 წადი და გაფრინდი... არ მოგდევ ბოლომდე,  
 აღარ ვსთქვა მე აწი ეგ შენი სახელი.  
 მერე კი შეგიაყრეს ცის თალზე მსტოვრებმა,  
 მოწუნწუნეს ტუჩები გადანათელები,  
 გამწარდა შხამივით აწ შენი ცხოვრება  
 და ჯოჯოხეთისკენ გეწევა გველები.

1945

## გაცნობა

ვინ ხარ ასე საამური,  
 ტან-ნარნარი სალამური?!  
 თუ ხარ სიო სალამური,  
 ან ყვავილთა გულის მდგმური.  
 მე შენ გეტრფი, არ მემღური?!  
 დე, სხვა მოკვდეს ჩვენი შურით.  
 სხვას მოსტაცე სახე — ბროლი?!  
 სხივს რომ ფანტავს ყველგან სროლით,  
 ან წარბები მშვილდად მსრბოლი,  
 ან წამწამნი მონაქროლი.  
 ვინ ხარ ასე საამური,  
 ტან-ნარნარი სალამური?!  
 ეგ თვალეები ცისაფერი,  
 მუდამ ჩემი ამამლერი,  
 ნუში-ბაგე ლალისფერი,  
 მაგ ოქროსფერ თმების ღერით,  
 ვის ეკუთვნი საამური,  
 ჩემი გულის სალამური?!  
 ხმას ასეთი სინარნარე,  
 გულს რად გაწევს სიმღუმარე?!  
 მე გაცნობას დავეჩქარე,  
 გადმოვყევი შენსკენ ქარებს

და გიპოვე სალამური,  
ტანნარნარი – საამური,  
სხივს რომ ფანტავ ყველგან სროლით,  
წამწამებით მონაქროლით,  
წარბებითაც მშვილდად მსროლით,  
მიჯრწყობილი კბილთა ბროლით,  
მაგ თვალებით ცისაფერით,  
ნუში-ბაგე ლალისფერით,  
ოქროსფერი თმების ღერით,  
სუნთქვა – სიო სალამურით  
იყავ ჩემი სალამური.

1946

### გასპირნება

როგორ გიხდება ოქროს ნაწნავი  
და წვრილი წელი,  
ქერა ხარ ისე, როგორც თავთავი  
საჭრელი ცელით.  
ჩვენ ვინახულეთ კოხტა ნაძენარი,  
ხალისით სავსე,  
მარად მწვანენი დგანან და-ძმანი,  
ხმელეთის ნავზე.  
...ეხლა გავყურებთ ანკარა ტალღას,  
უკვე დაღლილნი,  
შენ გადაგხსნოდა ზედ მკერდზე, მალლა  
სადაფის ღილნი...  
მე მსურს გაგრძელდეს ეს რიჟრაჟები,  
ასეთი სახით  
და დაახვედრო შენ ნიჟარები  
ჩემს გულის ძახილს.  
როგორ გიხდება ოქროს ნაწნავი  
და წვრილი წელი,  
ქერა ხარ ისე, როგორც თავთავი  
საჭრელი ცელით.

1946

## მშვიდობით?!

ფიქრი – ფიქრთან ფიც-ნართავი,  
 აათრთოლა სტრიქონებმა,  
 დამეფინა სევდა შავი,  
 მეტად მძაფრი, გულსაკლავი  
 და წერილებს ვუწყე ძებნა.  
 ეს ხომ შენი წერილია,  
 ამოსცილდა გულის ჯიბეს,  
 შენ სიტუფით მღერილია  
 და ოცნებით ფერილია,  
 მისთვის იგი გულთან მიდევს.  
 მეტად მწარე სიტყვებია,  
 ჩემთვის ძალზე საშიშარი,  
 თვალნი სტრიქონს მოჰყვებიან...  
 ჩემს „ნახვამდის“ – ფიქრებიანს,  
 შენ „მშვიდობით“ რად უთხარი?!

1946

## უკანასკნელი განსვენება

მდინარე – ვერცხლის ქამარი  
 და ატენილი ჭალა,  
 ნეტავი, ეხლა სად არის  
 გოგონა ცისფერთვალა?!  
 ნეტავი, ისევ მაჩვენა,  
 სახე ბროლისგან თლილი,  
 დავლოცო მისი გაჩენა,  
 მისი ალერსი ტკბილი.  
 სიმღერა მიაქვს ნიავეს და  
 ღამეს აქვს თაფლის გემო,  
 ბუღბუღი ვარდებს მიაკვდა,  
 შენ კი სადა ხარ, ჩემო?!

1946

\* \* \*

ქალო, სახე-მთვარიანო,  
ხმა-ნარნარა-ზარიანო,  
ტურფა-თვალეზ-დარიანო,  
გნახე და მიხარიანო,  
გარე გამო, დარიანო,  
ჩემო ჭია-მარიანო,  
შენი თმები ქნარიანო,  
ჩემი ჯადოქარიანო,  
გნახე და მიხარიანო.

1947

### დაიბენი!

ჩემს სარკმელთან ჩაიარე რხევით,  
ჩემსკენ არც-კი მოიხედე, არა,  
ავშრიალდი დასეტყვილი ხე – ვით  
და თვალეზი გზნებამ დამიფარა.  
სახეს ხელი აიფარე უცებ,  
აღელვება ვერ დაფარე, ვერა,  
გიმშვენებდა ბროლი მარჯნის ტუჩებს,  
ჩემო სწორო, ჩემო საბანერა.  
მე ვინატრე, მოგეხედა ერთი,  
მომხვედროდა თვალითა შუქი შენი;  
...ქვას წამოჰკარ უცაბედად ფეხი,  
ჩემს ცქერაზე, მივხვდი, დაიბენი.  
მე ვიგრძენი, რომ გაწითლდი მეტად,  
ჯიუტი ხარ, არ მომხედე ზევით,  
...დრო დაჰკრავს და ჩემსკენც მოიხედავ,  
მაშინ ალბათ... თვით მე დავიბნევი...

1947

**შენც მიმღერე განშორების ნანინა...**

ვნების ცეცხლით ავსებული დღეები,  
 სიყვარულის ეშხით ნაფერმკრთალევი,  
 გაბუტვა და შენი ფიცხი ჩვევები,  
 თან ცრემლებით ავსებული თვალები,  
 საყვედური შენი იდუმალებით,  
 ისე გაჰქრა, ვით ბინდები ღამისა,  
 სამუდამოდ დაგცილდი და მეწყინა,  
 გაგისხენებ, გული მტკივა ძალისად,  
 ნეტავ, სევდა იოლ ამატანინა,  
 ვით მიმღერო განშორების ნანინა.  
 ვიცი, ქალო, ალბათ დამემღურები,  
 და მამაგებ ისე, როგორც სატანას,  
 მე ღირსი ვარ შენი საყვედურების,  
 მიტომ შევძლებ მაგ დაწყევლის ატანას,  
 გულით დიდო, სიყვარულით პატარავ.  
 ეხლა შენთვის მე უცხო ვარ, უცნობი,  
 განშორებამ უკვე გული მატკინა,  
 გაიხარე, დარჩი ეგრე უჭკნობი,  
 გულმა დარდი ველარ ამატანინა,  
 შენც მიმღერე განშორების ნანინა.

1947

\* \* \*

ყოველ დღით, როცა ველი მე ალიონს  
 და შენი ხმა მომესმება, ვით ჰანგები,  
 ცაზე ვხედავ მზის ოქროსფერ მედალიონს,  
 შენი თვალთა ენხით ვაჟი ვითანგები.  
 აი, ეხლაც ჩემს მუხასთან მოშრიალდი,  
 ცით მოფრენილ ანგელოზს თუ დაედარე,  
 თეთრ კაბაში შენ მაისის ცისკარს გავდი,  
 ასე სათნო, შავ თვალებით მოელვარე.  
 ვით ბუნარში ნალვერდალი ვიფერფლები,

და მიბნედილ თვალთა ზღვაში ვიძირები,  
შენს დამნახავს ჩამომემსხვრა უკვე ფრთები,  
რომ იცოდე ჩემი ტანჯვა, იტირებდი.  
ყოველ დილით, როცა ველი მე ალიონს  
და შენი ხმა მომესმება, ვით ჰანგები,  
ცაზე ვხედავ მზის ოქროსფერ მედალიონს,  
შენი თვალთა ემხით ვაჟი ვითანგები.

1946

## ფინიში

აქ შეწყდა ჩემი ხომალდის გეზი,  
აქ ჩემ მერანმაც სული დალია,  
მხედარს დამემსხვრა ქროლვაში დეზი  
და რითმას გავყევ ქარიშხალიანს.  
უსმინე ჩემს გულს, უსმინე ერთგულს,  
მიენდე ტრფობის გულოვან საყვირს,  
ჩვენ სამუდამოდ დავცილდით ერთუროს,  
ვით დაძირული ხომალდი – ნაპირს.  
თითქოს დავკარგე მე აქ საუნჯე,  
თითქოს ლექსს აჰყვა კორიანტელი,  
ჩემო ძვირფასო, თუ დამამუნჯებ,  
მაინც გიმღერებ ფოლიანტებით.  
მიცნობდე, გულს მაქვს ის ძველი დამლა,  
ის ძველი განცდა, შენ რომ გასწირე,  
მე შენი ტრფობა აკვნიდან დამყვა,  
შენ რომ არ სწირე, შენ რომ არ სწირე!  
იქნებ, სხვა იყოს შენი ფინიში,  
იქნებ სხვას უცდი ყოველ ცისმარეს,  
ეს საიდუმლო, მითხარ, ვინ იცის,  
მითხარ, ვინ იცის და მას ვიკმარებ.  
ნუ გადამჩეხე, მომე ნათელი.  
თვალთა მშვილდები ცაზედ აზიდე,  
მიყვარს ეგ სახე მზესავით მთელი  
და ლალისფერი ტუჩების კიდე.

უსმინე ჩემს გულს, უსმინე ერთგულს,  
 მიენდე ტრფობის გულოვან საყვირს,  
 ჩვენ სამუდამოდ დავცილდით ერთუროს,  
 ვით დაძირული ხომალდი – ნაპირს.

1947

## განშორებისას ამონაკვეთი

მე ამ ლექსში ჩავიმსხვერი,  
 გიშერთვალავ, როგორც ღერი,  
 შუქი ვიგრძენ მაგ სახიდან მონატანი, მონაბერი,  
 მით შევიქენ ბედნიერი,  
 აღტაცებით მისთვის ვძღერი.  
 რომ გაჩუქე ჩემი მუხა, ჩემი განცდა, ყველაფერი.  
 არ განცვიფრდე, მცირე არის,  
 ვით ალერსი ნიაკქარის,  
 სინატიფეს დაგედრება ელვარება მინანქარის,  
 ჩემი ხმა აქ ნაზი არის,  
 სხვასთან გრგვინვა, შენთან წყნარი.  
 შენ პირველმა ასე მაგრად რომ დამიხმე გულის კარი.  
 თვალთ უძირო სიკუპრეში აღიმართე, როგორც აფრა,  
 შენ მე ძლიერს სუსტი მიპყრობ, აღმართული ჩემს წინ მძაფრად,  
 ყველას სახე დაიძირა, ყველა განცდა უკვე გაჰქრა,  
 და წუთებმაც განშორების კუს ნაბიჯით უკვე დაჰქრა.  
 გაგეცლები მე სულ მალე,  
 შენ ღლეები დაითვალე.  
 არას გარგებს სინანული, არას გარგებს სივალაღე,  
 გულში იგრძნობ სევდას მწარეს,  
 ღღეს რომ ასე გადამალე,  
 როცა გზაზე ჩაბინდულად გააყოლებ გიშერ-თვალეებს,  
 მაგრამ მეც ხომ შენი სახე  
 თან წამყვება, მე რომ ვსახე,  
 ანდა თვალთა ნაზი მზერა, რომ დამთანგა, როცა ვნახე,  
 ანდა ბაგე ლალისფერი, რომ დამიგო ჭაბუკს მახე.  
 ეს ყოველი ჩემზე ძლიერს უსაჩუქრე, შეუნახე.  
 თუ სხვა ნახო წმინდა გულით,

შენის ტრფობით დაბურული,  
და არ იგრძნო, დაგენაცვლე, ჩემი გაცლის სინანული,  
მოიპოვე, ცხოვრებაში გულში რაც გაქვს დასახული,  
მაშინ დავრჩე შენთვის, როგორც უცნაური დასასრული.

1947

### არ იდარდო, არ ინაღვლო...

ღამე ხელში ყინულივით შემაღნება,  
თენდება  
და საოცარი  
დგება  
ღარი,  
ჩემს ოთახში ფეხს იკიდებს გარინდება,  
აკლდამების  
გარინდების  
შესადარი.  
დავიღევი,  
ისე, როგორც ძველი მთვარე,  
შენ ჩემს გულში შემოსულხარ ფიქრთა ძლევიტ,  
შენს სსენებას,  
ვით შენებას  
დავამთავრებ  
და კვამლივით დავირწევი, დავირწევი...  
შენს სამყოფელს თითქოს ბინდი დაეფარა,  
მე შორეულ ზღაპარით დავინთქები,  
და ღრუბლების ქარავანი, როგორც ფარა,  
კვალში მომდევს ცად მიმავალს, ზევით, ზევით...  
არ იდარდო,  
ჩემო ვარდო,  
შენი ბედი,  
საბოლოოდ მოგებული შენ იქნები,  
მე წავედი,  
როგორც მექას მოჰამედი,  
ჩემი მკერდი  
დახლართულა შენი თმებით.



ქალი ხარ და შენ ალერსი გულით გინდა,  
ფრთხილად, ფრთხილად, ცეცხლს ერიდე, გულით ბაღლო,  
რა ვუყვით, რომ იმედები გაგიფრინდა,  
სხვა ეძიე, არ იღარდო, არ ინაღვლო.

1948

### მე რას დაგიშლი?..

ხარ და იყავი ასეთი კარგი,  
მე რას დაგიშლი?!  
ხელუკარება,  
შენ მოგოგმანობ, როგორც ზერდაგი,  
ლიმილს გაიშლი,  
ვით მქუსარებას,  
შემდეგ წარბებზე წუხილს წაიშლი  
და წამწამებით პეპლებს ააფრენ,  
აგრე სიხარულს მე რას დაგიშლი?!  
გიშრის დალალებს ზღვად რომ დააფენ...  
ხარ და იყავი ასეთი კარგი,  
გიშერთვალების მალული მზერით,  
შენ ამ ჩემს გულში ეკალი დარგი  
და ვარდი  
ხარობს ეხლა სხვაფერი.  
ეგრე სიარულს მე რას დაგიშლი?!  
გიშრის დალალებს ზღვად რომ დააფენ...  
შენ მოგოგმანობ, უჭკნობი ვარდი,  
არ გრძნობ არავის,  
არ გრძნობ არაფერს.  
ხარ და იყავი ასეთი კარგი,  
თუ ჩემთან მოხვალ, მკლავებს გაგიშლი,  
მე შენი ტყვე ვარ და ტყვე მბრძანებელს,  
სოქვი, რას დაგიშლი,  
სოქვი, რას დაგიშლი?!

1948



ღამე დაიწვას, როგორც ფარვანა,  
მე მინდა ასე, მწყურია,  
შენთვის დავაფენ ფიქრთა ქარავანს  
და ავმღერდები, როგორც გურია.  
იცი, როგორი წმინდა მაქვს სული?!.  
იცი, რარიგად დავფერფლავ წამებს?!.  
რწმენა მაქვს ერთი,  
შენა ხარ ღმერთი,  
ჩემს ოცნებაში ცად რომ კამკამებ.  
იქნებ, ეს ლექსი იქმნეს იავარ,  
შენი თვალებით გზა-დაღაზვრული,  
ღე, მე გავყვები ცრემლთა ნიაღვარს,  
მაგ წამწამების ნაზი ფაფხულით,  
სხვა არა მინდა, დავხვდე ნიაკქარს  
და გავითენო შენთან ზაფხული.  
გავუძლებ ზამთარს, ამ მკაცრ იანვარს,  
მე შენი ეშხით ვარ დაზაფრული,  
ღე, ჩემი ლექსი იქნეს იავარ,  
შენი სახიდან ელვა დაკრული,  
ოლონდ მე ერთი მაჩუქე წამი,  
იგი ღიმილით იყოს ნაქსოვი.  
ღამე იწვება... მეც ვიწვი ღამით,  
და გულს გოდება ჰკლავს სიმარტოვის.

1948

### ესლა ღამეა...

ესლა ღამეა ჩემს სარკმელზე, ზაფხულის ღამე,  
ცა მელნისფერი მშვიდი არის, ვით სარკოფაგი,  
გავცქერ ჰორიზონტს, სადაც მარტო, ეშხით კამკამებს,  
ერთი ვარსკვლავი, ჩვენი ტრფობის უტყვი ქომაგი.  
მე ძილის ტვირთი არ მიძიმებს ესლა წამწამებს,  
ვიცი, ამ ღამით შენზე ფიქრი ისევ მომაგნებს.

ეხლა ღამეა... ვარსკვლავების მოჩანს ციმციმი,  
 მე მაგონდება შენი სახე, შენი სიცილი...  
 კიდევ შეგზვდები?! დაგენაცვლე, ეს არვინ იცის.  
 ეხლა ღამეა... და მგონია შენც არა გძინავს,  
 შენც ცას გასცქერი სევდიანი, როგორც მანონი,  
 ჩემო ძვირფასო, გაიხსენე პატარა ბინა,  
 ჩვენი ალერსის, სიტყვობების მტკიცე კანონი,  
 ეხლა ღამეა... და შენც ისმენ ამ ღამის ფშვინვას,  
 თან ცას გასცქერი სევდიანი, როგორც მანონი...

1947

### დაკარგული სიყვარული

თენდება და ბზინავს ხევისწყალა,  
 ველზე მდორედ აიკრიფა ნისლი,  
 ვით ხალიჩა — დაფენილა ჭალა,  
 ყაყაჩოებს დაუღვრიათ სისხლი;  
 აქ ყოველი ბუჩქიც კი ნაცნობია,  
 მე რომ მათი საიდუმლო ვატარე,  
 ეს ხეები მიტომ დამიმობია,  
 რომ ჩეროში გვინახავდა პატარებს.  
 შენ კი არ ხარ, სად წახვედი, არ ვიცი,  
 ეხლა გეძებ, შენი ნახვა მწყურია,  
 შენს ლოდინში მე კვარავით დავიწვი,  
 გულს რა ვუყო — ბოროტსა და შურთანს...

1948

\* \* \*

აღარ მოვისმენ მაგ თმების შრიალს,  
 აღარ გიმღერებ, ქალო, შაირებს,  
 უკვე გაგლეწეს ისე, ვით შვრია,  
 გული შენს ალერსს აწ ვერ დაიტევს.  
 შენ ეხლა სხვისი ბავშვის დედა ხარ,  
 შენ ეხლა უცხო ოჯახში შედი,

შენ დღეის შემდეგ ჩემი სევდა ხარ  
და გამკაწვრია ჭაბუკი მკერდი.  
მე არ გამტყუნებ, ო, არა, არა,  
რა უფლება მაქვს, რომ ვთქვა რაიმე,  
შენ სულ სხვა ჭაბუკს შეები ფარად  
და იმის ალერსს მკერდზე დაიბნევ...

1948

\* \* \*

ხშირად გიცქერ, დაგოგმანობ, თვალებცეცხლა ალი,  
სიყვარული ითხოვს ღალას გულით დანათვალი,  
მე ვერ შევძლებ შენს მშვენიებას გავუსწორო თვალი,  
შენის სახით წმინდათწმინდა არსებაა ქალი.  
როგორ გშვენი, რომ იცოდე, შენ ეგ მკრთალი ფერი,  
ჰგევხარ ქალღმერთს, მოელვარე ნაზ ბაგეთა ჟღერით,  
მეც მოვილტვი შენსკენ მარად, მუხით ანამღერით,  
ნეტავ მქონდეს ტუჩთან ახლო შენი თმების ღერი.  
მე იმდენად მხიბლავს შენი მოქცევა და ჩვევა,  
რომ სულ მალე ჩემი გრძნობა ცრემლად დაიქცევა,  
მე ჭაბუკი გაბზარული, შენგან შორით ვდგევარ,  
სილამაზის ანგელოზო, ახალ დროის ევაგ,  
მუხლმოდრეკის მე არასდროს არ მქონია ჩვევა,  
მხოლოდ შენ შემადლებინებ სიამაყის ძლევას.

1948

## ერთი ლექსი

ერთი ლექსი რომ მოგიძვნა გულით მინდა,  
წყაროსავით კამკამა და მეტად წმინდა,  
ეს ლექსია ჩემი ჟღერა, ჩემი ფერი,  
ეს ლექსია, რომ იტყვიან, ყველაფერი,  
მკრთალი ეშხით დანათოვი ლაჟვარდიდან,  
გულში ჩამრჩა ეს დიდიხნის მოგონება,  
როგორც ჩემთვის ბედის თვისით მოგორება,  
ერთხელ შეგხვდი, ცხოვრებაში ერთხელ გნახე,

მაგრამ შემდეგ თან დამყვება შენი სახე,  
 ვერ დაჩრდილეს იგი ტურფა გოგონებმა.  
 მე არ ვიცი სად ხარ ეხლა, ან ვის ელი,  
 სად შრიალებ ლაჟვარდოვან სამოსელით,  
 იქნებ უკვე დედა ხარ და ნანას მღერი,  
 ირემივით ყელი რომ გაქვს მონაღერი,  
 მოგხვევია შენი შვილის პაწა ხელი.  
 იქნებ, ისევ ქალწული ხარ, ზღვისფერთვალავ,  
 იქნებ, ისევ ხვაშიადებს გულში მალავ,  
 მე არ ვიცი, სასურველო, არაფერი,  
 მე დავდივარ შენი ეშხით ანამღერი,  
 ჩემმა გულმა ორი წელი დაითვალა.  
 მას შემდეგ მე სად ტკბილი, სად მწარე შევსვი,  
 ვერ გიპოვნე და მოგიძღვენ ერთი ლექსი.

1948

### წვიმა

ღამით მესმოდა გარედან წვიმის წვეთების თქორი,  
 სარკმლის რაფაზე ცეკვავდა მარგალიტების წვეთი,  
 გარეთ ალვისხე ტიროდა, შემოდარცული, სწორი,  
 მისი ტირილი მესმოდა და მეც მტკიოდა მკერდი.  
 ჩემი პატარა სანათი სხივებს მაფენდა მშვიდად,  
 ოთახში იდგა სითბო და ნაზი ღიმილი შენი,  
 შენი სახება ჩემს სულში სევდიან ლექსებს შლიდა,  
 ჩვენს განშორებას ნადრევს გარეთ მოსთქვამდნენ ხენი.  
 ჩემი კალამის ღალადი იქნებ გესმოდა შენაც,  
 იქნება არც შენ გეძინა, წვიმას უსმენდი ღამით,  
 იქნებ ჩვენს ამბავს ჰყვებოდა – შენი ჟღერტულა ენა,  
 და მსმენელს აატოკებდი შენი სიტყვების ჩქამით.  
 ეხლა თენდება და წვიმა არ შეწყვეტილა, არა,  
 მთებზე ნისლი წევს ფაფუკი, ვით შენი ლოყის კანი,  
 ნიაღვარებით მინდვრები და გზები დაიღარა,  
 ჩემს წინ კი ისევ ისე დგას შენი მარმარი ტანი.

1947

## ჩემი ნიბლია

„ნეტავ მე ვიყო შენი ნიბლია...“  
ეხლა გამხდარხარ სხვისი ნიბლია,  
უწინ ხომ ჩემი გვრიტი იყავი?!  
ჩვენი შეხვედრა, როგორც ბიბლია,  
მე ცალკეულად გამოვიყავი.  
ნარდის თამაშად ბედი აქციე,  
გულის კამათლის გამოგორებად  
და, როგორც სპარტა, შენ დააქციე  
ჩვენი სათნო და ტკბილი ცხოვრება.  
იქნებ ფიქრობდე – მეც მიღვეს ბრალი,  
იქნებ მე ვიყავ თვით ავზნიანი,  
მაგრამ მე ცრემლით მევსება თვალი  
და ხასიათი ხალისიანი.  
ეხლა გამხდარხარ სხვისი ნიბლია,  
შემდეგ კი ალბათ სხვისი იქნები,  
შენ თავს უწოდებ მეტად ილბლიანს  
და ავსებულხარ მაცდურ ფიქრებით.

1946

## განშორება

შენ რაც იყავ, ის აღარ ხარ, აღარა,  
შენი სახე ჩემმა სევდამ დაღარა,  
გიშრის თმებში გაგრეგია ჭაღარა,  
და სიბერემ ფიფქი შემოგაყარა.  
დღეს ჩვენს შორის უფსკრული და ხევია,  
ჩემი გული სულ სხვას ჩაუხვევია,  
შენ რაც გიძღვენ მაცდურობის ფრქვევიავ,  
ის ლექსები ყველა დამიხვეია.

1947

\* \* \*

დილით ადრე მზეს მოჰყევი შარიშურით,  
 გიშრის თმები გქონდა თავზე მონაბური,  
 კარებიდან მხიარულად მესიტყვები.  
 საოცნებოდ გიხამხამებს წამწამები,  
 ზღვა თვალეში ვნება რად გაქვს ჩანიშნული?!  
 ეგ ლოყები მზის სიწითლეს დაუფარავს,  
 მკერდი ლელავს ზევით-ზევით, ჩქარა-ჩქარა,  
 ზარივით რეკს შენი ხმა და მიხარია,  
 საამურო, მეტად ტკბილო, ხმა-ნარნარა.

1946

### ბაელვარკულს

ვით გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა,  
 ისე იგრგვინა ახალგაზრდობამ,  
 ქართულ ძარღვებში სისხლის დულილმა  
 გამოაჩინა ჩემს გულში ტრფობა.  
 ეს მაშინ იყო... მაისის ზეცა  
 ლაჟვარდ ფერებით რომ იყო სავსე,  
 შენ აბრეშუმი სხეულზე გეცვა  
 და ყვავილები გეხურა თავზე.  
 მე შენი ნაზი სუნთქვა მესმოდა,  
 ფერხთ ბიბინებდა ლალი ბალახი,  
 და კუბიდონი ისრებს მესროდა,  
 ჯერ არ ნაცადი, ჯერ არ ნანახი.  
 არ მჭირდებოდა ამისთვის სიბრძნე,  
 და არც ვტრახახობ, კარგად ვიცოდი,  
 რომ სიყვარული ჩემდამი იგრძენ,  
 ჩემდამი ტრფობის ალით იწვოდი.  
 გამიმახვილდა მე მაშინ სმენა,  
 და შევცქეროდი მიბნედილ თვალებს,  
 როს ტიკტიკებდა ალერსით ენა  
 (ოჰ, ეგ ხმა შენი ეხლაც მაწვალებს).  
 მაგრამ გაფრინდი... სად ხართ, დღეებო,

ვერ შევივრძენი მაგ გულის ფეთქვა,  
ჩემი ენა კი ზაფანგს გაება...  
ვერ მოვახერხე, რაც უნდა მეთქვა.  
მე ისევ ვხვდები მზიან მაისებს,  
ჭაბუკი გული დამაქვს მღელვარე,  
როგორც სიზმარში ნახულმა, ისე  
ჩემს ცხოვრებაში გაიელვარე.

1946

## ავდარი

ეხლა წვიმს ისევ,  
ეხლა წვიმს ისევ,  
და მძლავრი ქარი მინდვრებში ზუის,  
მთა – გიგანტები ღრუბლის ფრთას იხვევს,  
ეხლა წვიმს ისევ,  
ქარი ქრის ისევ.  
მე ვფიქრობ შენზე, თითქოს ავდარი,  
მე თანამიგრძნობს ისე, ვით ტოლი,  
მე მიყვარს ქარი,  
ჩემსავით ჩქარი,  
და იისფერი ნისლეების ბოლი.  
მე არც დიდებას მოველი კიდევ  
და ამ ავდარში უაფრო გემით,  
ყვავილოვანსა ვიპოვნი კიდეს,  
შენს თვალთა რიდეს,  
დე, ცეცხლი შლიდეს,  
მე დამწვას შენმა ლოყების ალმა,  
თუ გადვიჩეზო, არ შეგეშინდეს,  
შენ არ იგლოვო, პატარა ქალმა.  
ეხლა წვიმს ისევ,  
ქარია ისევ  
და შენი ეშხი კვლავ შენსკენ მიწევს.

1947



\* \* \*

კვლავ წვიმიანი დღეა, ძვირფასო,  
 და ისედაც ვარ დღეს მოწყენილი,  
 სევდამ კლანჭები გულში შემასო,  
 მკერდი ამტკივდა სისხლ-დადენილი.  
 ცაზე ღრუბლები ისე მიდიან,  
 როგორც ტალღები და ფრეგატები,  
 სარკმელზე წვიმს და უკვე ბინდია,  
 და ღამის ბინდში შენ მეღანდები.  
 მინდა იწვიმოს, წარეცხოს მთები,  
 გნახო და შემდეგ, დავინთქე თუნდაც,  
 გულს უნდა ვარდად ეგ შენი თმები,  
 შენი ტუჩების ამბორი უნდა.

1947

## მე მოგელოდი

მე მოგელოდი  
 და გულზე ლოდი  
 მაწვა ლოდინის და გატაცების,  
 როგორც ჭადარი ქარისგან ვთრთოდი,  
 მიმოვდიოდი  
 აბარბაცებით,  
 მე – სიყვარულის მეხის დაცემით,  
 და შენ არ მოდი,  
 თვალზე ბლონდი  
 ჩამომეფარა რა სევდიანად,  
 ვეღარ ვაგუბელ, ძვირფასო, ლოდინს,  
 და გულმა მწარედ შეიხშიანა,  
 შენ ხომ იცოდი,  
 როგორ დავლონდი,  
 ვიქეც წაქცეულ ადამიანად,  
 ეხლაც, გოგონა,  
 შენ მოგიგონე  
 და ვიცი ჩაქრა შეხვედრის სხივი,

თვალებზე ცრემლმა წამართვა ღონე,  
და ჩემი მკერდი ცივია, ცივი,  
არ მიმკურნალე, არ მომეფონე,  
მარტოდ ავკრიფე ცრემლების მძივი.

1948

## მარტი

ვიცი, მარტის თვემ ნანა გიმღერა,  
მარტის ქარებმა მდორედ გარხია,  
მარტის თვემ შეგქმნა სწორედ იმფერად,  
ეხლა ჩემს გულში მზედ რომ ანთია.  
და შენ მარტივით ცვალებადი ხარ,  
მანვე გადმოგცა გული ზვიადი,  
რა არის, ჩემთან რომ არ დადიხარ,  
რომ გაგრძნობინო მე ზვაშიადი.  
არც ის არ ვიცი, რად მემღერები,  
რა არს ესოდენ ფერისცვალება,  
მე არ მითქვია საყვედურები,  
დე, გაიდაროს შენმა თვალებმა...

1948

## პასუხი ბარათში

ყოველ სტრიქონზე გულნატკენი დავრჩი ძალიან,  
ყოველ სიტყვაში დატანჯული გული მატკინე,  
ეხლა თენდება და ნათელი არ მიხარია,  
ცა არეულა შავ ღრუბლებით, გარეთ ქარია,  
ჩემს თვალში სხივი ჩამქრალა და ცრემლის ღვარია,  
ნეტავ არ იყო ჩემი სევდის შენ მონაწილე,  
მე არ მეძინა ამ ღამითაც, თვალს ვერ გაცილებ.  
იქნებ მოგწონდეს სიყვარული შენ წამიერი,  
და ვაჭრობ ისე, ვით ვაჭარი ბაზრების ფონის,  
შენთვის გადავიქეც მე ცხოვრების დასალიერი,  
რა ვქნა, გავუძლებ შავბედისგან მოსულ იერიშს,  
შენ გაიმარჯვე, მე დავმარცხდი, ასეა მგონი?!

1948

\* \* \*

როცა ჩემს სარკმელს ეწვევა ბინდი  
 და ღამის თალხი ყორანის ფრთებით,  
 მე მახსენდება დღეები მშვიდი  
 და შენი თმები...  
 მომაგონდება შენი ალერსი  
 და სიყვარულზე შენი გალობა,  
 როცა უძღვრდა ეს ჩემი ლექსი  
 მაგ შენს ქალობას...  
 ჩემს წინ სანთელზე იწვის ოცნება,  
 შენზე ფიქრების თავის აშვებით,  
 შემდეგ შემთხვევით მე გაოცება  
 ნაგანგაშევი...  
 ამ ჩემს სარკმელზე ირწვევა ბინდი,  
 შენი სხეულის ჩნდება კონტური,  
 მე მაგონდება დღეები მშვიდი  
 შენი დასტურით...

1948

### განშორება

წუთებით გატყდა დრო საოცნებო,  
 ხეებს დაედო ეხლა სხვაფერი,  
 ქარში ავეში უიალქნებოდ,  
 შენი თვალების სხივ დანაფერი,  
 სხვაგან ნავთსადგურს ვერ მივაგენი,  
 ალბათ დაგრჩება ჩემი დაწყევლა,  
 სად შევაფარო ცხოვრება ჩემი,  
 ვიცი დამღუპავს მეხი და ელვა,  
 გზები დამეხნა, როგორ მოვიქცე?!  
 შენ არ გყავს მეტი გამეორება,  
 ჩემი სიმტკიცე ვერ დაგიმტკიცე  
 და დამანელა ამ განშორებამ.  
 ჩვენს შორის ეხლა შავი ხეგია,  
 შენ აღარა ხარ დღეს საოცნებო,  
 შენი დღიური დამიხეგია  
 და ქარს მივყვები უიალქნებოდ.

1948

## ავტომატანაზე

გზაზედ სრბოლვით გაიჭრა ჩვენი ავტომატანა,  
მუდამ ენა ბლუკუნა, მუდამ ენა ქაქანა.  
ჯერ არ გათენებულა, გზაზედ წვანან ჩრდილები,  
განთიადი გვაცვიფრებს თავის შთაბეჭდილებით.  
გვერდზე მიზი, გოგონი, ნაწნავების შრიალით,  
მკერდით ატოკებულხარ, ნაზ თვალების ციალით.  
შენი სავსე სიტურფით, მე ამ გზაზედ დავთვრები,  
ფრთხილად! ფრთხილად! უბიდან არ დავცვივდეს მტევნები.  
ურემს მისწვდა მანქანა, მაგრამ არ გაიტანა,  
დამუხრუჭდა ძლიესალა, წელი გადაიტანა,  
ჩვენზე დადევნებული მტვერი შემოგვეფარა,  
შენი მკერდი ცხოველი გულზე შემომეხალა...  
ეშხით შემოგეხვიე, მაგრამ გაჰკრა მანქანამ,  
შენი მკერდი მომცილდა, უკან გადაექანა...  
ტურზე შემრჩა სურნელი შენი სავსე სხეულის,  
გულში კიდევ სიამე, შენგან ჩამოქცეული.  
ნეტავ დაამუხრუჭოს, კვლავ მოხვიდე ჩემთანა,  
შენს თვალებში კვლავ ვნახო ზღვადქცეული ქვეყანა.  
გინდ კლდეზე გადვიჩეხოთ, მანქანისგან ვნებული,  
მაშინ მარად ვიქნებით ერთურთს ჩახუტებული.

1947

## უპანასკნელი ლექსი

მე ეს ლექსი ვერაგული,  
ჩემი სული,  
ჩემი გული,  
შეგინახე ამ კალამით მობურული,  
მოქარგული,  
თუ სხვა გყავდეს მაგ თვალებით უტურფესი მონუსხული,  
შენი ხვედრი იყოს მიწა და სიკვდილი ვერაგული.  
შემოგხედავ და ნათელი...  
მაგ თვალებით განათელი,  
დავრლომილი ასე ვმღერი

და შენს გულის  
პასუხს ველი,  
არა გქონდეს თვალზე რული,  
შენი ხვედრი იყოს მიწა და სიკვდილი ვერაგული,  
და ეს ლექსიც საბოლოო,  
ჩემი სული,  
ჩემი გული,  
ვით ისარი გულში გეცეს,  
მოსპოს სახე,  
ჩემი მახე,  
სიყვარულს რომ მიასკეცებს.  
მოშინამული  
გქონდეს სული,  
გაპობილი გქონდეს გული.  
მე დაგწყევლე, მაშ სიკვდილი  
ვერაგული,  
ვერაგული...

27.8.1948

### ნამსხვრევები ლექსებიდან

\* \* \*

როგორც ეხლა, მაშინც ისე,  
მთვარე ცაზე სირმას აქსოვს,  
გაკოცე და შეკრთი მყისვე,  
შენ ის ღამე დღეს თუ გახსოვს?!

\* \* \*

დილა თენდება ნაზი,  
ცვარში ბანაობს ვაზი,  
ფრთოსნები ნანას მღერიან, შენ გიგალობენ ყველა,  
ისე ვით უსურვაზი,  
ამაღლებული სახით,  
ოცნების ცაზე შემოგწვდი, ჩამოგეკიდე ყელად.

\* \* \*

ჩანაცრებული ღამე ჰგავდა ღელვათა ატომს,  
ჩანგით მოვდეგდი მაგ თვალების სხივნაკრავ ფანტომს,  
ცა კი ტიროდა, არ ვიცი რატომ!

\* \* \*

ჩამოეშვა ციდან შავი ფერები,  
ჩემს წინ დადგნენ რაღაც მავნე სულებათ,  
„მე შენს სახელს რითმად წავეწერები“ –  
ამას ჩემი გული გეჩურჩულება.

\* \* \*

მანამდე თვალით გაცილებ,  
სანამდე მზერა მოგწვდება,  
შემდეგ გულს გაგინაწილებ,  
შენ ჩემი სულის ოცნებავ.

1945-1948

## ბარათი თბილისელ კმაკაცებს

თბილისში მომბეზრდა „ბილე“, „გულიაში“,  
ამიტომ ჩამოველ კოხტა გურიაში...  
აქ მეგულებოდა კვერი და საცივი,  
ადესას ღვინო და არაყი – კაცივით.  
ჯანდაბას სუყველა – ხინკალი, ქაბაბი...  
ოღონდაც გურულებს არ მივცე საბაბი.  
ჯანდაბას სუყველა – ლუდი და „სტალიჩნი“,  
ოღონდაც ამათ თქვან: „რა ბიჭი გაგვიჩნდი!“  
წამოველ... დაკეცე გზები და ხიდები,  
გურულებს ვუთხარი: „ნუ ამიხირდებით!  
მასვით და მაჭამეთ, თუ რამ დაგიტოვეს,  
აქ ხომ ვერ გავუძლებ წყეულ სიმარტოვეს“.  
შემომესივნენ და ტყვესავით გამბაწრეს,

ვაიმე, გაისად როგორღა გავაღწევ?!  
 მასვეს და მაჭამეს ზომაზე მეტიცა,  
 უგონოდ გადაძვრალს ფეხებიც მეღრიცა...  
 ცარიელ ბოთლივით გადიან დღეები,  
 სავსე ბოთლებივით ღამეებს შეგები...  
 თუმცა რას მივქარავ! ერთია დღე-ღამე,  
 „დავთარი“ დამებნა – ღმერთია მოწამე!  
 არაყი და ღვინო... ღვინო და არაყი,  
 (ათასერთი ღამის განაა არაყი?!)  
 შემწვარი ვარია და კეცის რა მჭადი,  
 გასკვნილი პრასა და... ოიმე, რას ვჭამდი!  
 თუმცაღა, ბოდიში, ჭამა რას მიქვია,  
 როდესაც ჭიქები და დოქი იქვია!  
 დილაზე თავია ზომაზე მოდიდო,  
 ძმაკაცი იძახის: „არიქა, მოდიტო!“  
 მივიღვარ... რას იზამ – ხათრი მაქვს ყველასი:  
 მეზობლის, მოკეთის, ზენასი, ქვენასი...  
 და ისევ იწყება თვალთ გამოდარება,  
 განა ეს დღეები სხვას შეედარება?!  
 იესო, მიშველე! ოცი დღე გავიდა,  
 ხომ აღარ დავიწყებ სიცოცხლეს თავიდან?!  
 თბილისის ლოთებო, ისევ თქვენთან მინდა,  
 ამათ შედარებით, ვაი, ხართ რა წმინდა!  
 ანგელოზები ხართ, ფრთებიღა გაკლიათ,  
 ბიჭებო, რა უყვოთ, განა ეს ნაკლია?!  
 ამ გურიაში ხომ სულ გალოთებულან,  
 სმა და სმა... სმა და სმა ამათი ქებულა!  
 მე ოდეს დამღლიან, აბა, რა იქნება?!  
 მაგრამ ჩემი ქუჩა ისევ აბრწყინდება!  
 მე უკვე მომბეზრდა კვერი და საცივი,  
 ადესას ღვინო და არაყი – კაცივით;  
 თბილისს მომენატრა – „ბილე“, „გულიაში“,  
 მგონი აღარც მოვალ ამ ჩემს გურიაში.  
 ახლა ჯერჯერობით მაინც ვარ ყირაზე,  
 მე – თქვენი ძმაკაცი აღ. სანადირაძე.

25.10.64

საჭამიასერო

## უცნაური გოგონა

### ღირიკული ეტიუდები

30.12.49. ღამის 1 საათი. ქ. თბილისი

### მიძღვნა

ჩემო პატარა ეთერიკო!

მიიღე ჩემგან ეს მცირე სტრიქონები, რომლებიც მთლიანად მოძღვნილია შენდამი – ჩემი უკანასკნელი და საბოლოო სიყვარულისადმი. ხომ გავიგია ანდაზა: „კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების“. ღმერთმა იცოდეს: გული კეთილი მაქვს, მხოლოდ თუ ხანდახან ბოროტება ჩამიდენია, ეს ცხოვრების ბრალია... ეს პაწია საჩუქარი, გეკვდრები, რომ შეინახო თვით სიკვდილამდე, რათა სამარის კარზე მისულებმა სიხალისით გავიხსენოთ ახალგაზრდობის აღმაფრთოვანებელი და გიჟმაჟი დღეები.

მარად შენი: ა. სანადირაძე

### I. ჩემს წინ...

ისინი ჩემს წინ დგანან...

ერთიც და მეორეც...

რომელი ავირჩიო?! რომელს მივანდო ჩემი ფიცხი და ბობოქარი გული?!

ჩუმი ჭიდილია მათ შორის...

მეც ხან ერთისკენ, ხან მეორესკენ გადავიხრები...

საბოლოოდ კი ვერ ავირჩიე...

...ისინი ჩემს წინ დგანან:

ე რ თ ი: ვარდისფერ ნაზ-კანიანი; ქერა და ცისფერთვალეა; წვრილძვალა და მოქნილი, მოძრავი პატარა ტანით; პირდაპირ, უტეხად და ძლიერ თამამად მოსაუბრე; კისკისით, ლალად მოცინარი; საერთოდ: მოუსვენარი, ყველასათვის და ყველგან, ყოველთვის შესამჩნევი; ამაყი, თვითნება, ქედუხრელი და ძალაუფლების მოყვარული.

მ ე ო რ ე: ბამბასავით თეთრი სახის; თაფლისფერი წყლიანი თვალეებით; გათქვირული, ვნებისაღმძვრელი ტანით; მორიდებით და მორცხვად მოსაუბრე; ბავშვური სიკეთილით მცინარი. საერთოდ: წყნარი, შეუმჩნეველი და მივიწყებული გაჟებისაგან.



ისინი ჩემს წინ დგანან...  
ერთიც და მეორეც...  
რომელი ავირჩიო?! რომელს მივანდო საბოლოოდ ჩემი ბოხოქარი  
და სიყვარულისგან დაღლილი გული?!

27.7.49

## II. სურამის ციხეში...

ჩვენ: მე და შენ სურამის ციხეზე ვართ. გადაყურებთ ჩვენს  
ფერხთქვეშ გადაშლილ სურამს თავისი უბნებით: ზინდისით, იტრიით,  
ჯაფინაურით, ჩუმათელეთით...

ბინდი ეცემა მიდამოს...

ბინდი ეცემა სურამის ციხესაც...

საცაა თმაგაშლილი მოვარდება ზურაბის დედა და გამხდარ  
მკლავებს მოხვევს ცრემლიან კედელს, სადაც შეილი ჰყავს ცოცხელი  
დასამარებული...

...ჩვენ სურამის ციხეზე ვართ...

მე ჩაგყურებ მაგ საოცარ ცისფერთვალეებში და შენი გულისათვის  
მზადა ვარ ზურაბს ამოვუდგე მხარში...

დაღამდა...

ღროა ჩასვლისა, მაგრამ ჩვენ მოხიბლული ვართ გარემოს  
მშვენიერი სანახაობით...

...მე რატომღაც კოცნა მოვინდომე, მაგრამ უეცრად გამახსენდა,  
რომ აქ, სურამის ციხეზე ჩვენი კოცნა არ შეიძლება, რომ აქ  
ჩვენ მარტონი არა ვართ... რომ ცრემლიან კედლიდან გვიცქერის  
ზურაბის ცრემლიანი თვალები და მე... მე შემრცხვა მამაცი ჭაბუკის  
თანდასწრებით მეკოცნა შენთვის...

ჩვენ სურამის ციხეზე ვართ:

შენ, მე და ზურაბი.

8.8.49

## III. კოცნის გიჟი...

ჩემს გულისათვის ორთაჭიდილში შენ გაიმარჯვე... ეს მოხდა  
იმიტომ, რომ ეს გულიც შენსკენ იხრებოდა...

მე არ მეგონა ეს თუ მოხდებოდა: ჩვენ ხომ, როგორც იტყვიან,  
„ძალდ და კატასავით“ ვიყავით გადაკიდებული.

რატომ?!

შენ ძალზე ამაყი, თვითნება და ჯიუტი ხარ... გათამამებული და ქელუხრელი... ყოველთვის გსურს, რომ შენი გაიყვანო და გინდა ყველა მონა იყოს შენი ნებისა... მაგრამ მეც... მეც საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ზუსტად ასეთი ვარ და მუდამ, ყველაფერზე „კრიჭაში“ გიდექი... და აი, სწორედ ამან შეგაყვარა ალბათ ჩემი თავი...

როგორც გეტყობა, ეს შენთვის პირველი ნამდვილი სიყვარულია. ჩემთვის?! ეჰ! ჩემთვის კი...

შენ სხვას დასცინოდი სიყვარულისათვის და ეხლა საკუთარ თავზე მოგდის ალბათ ბრაზი, რომ ასე „ჩავარდი“...

შენ სითამამემ გიშველა და მეუბნები:

რომ ბედნიერი ხარ, რადგან გიყვარვარ...

რომ დაე, მე ნუ მიყვარხარ...

რომ ჩემი იმედი არა გაქვს...

აი, აქც სჩანს შენი ქელუხრელობა და სიჯიუტე...

...მე უკანდახვევა საერთოდ არ მჩვევია და დაიწყო გიჟური დღეები...

შენ ძალზე ალერსიანი ხარ...

შენ ძალზე ვნებიანი ხარ...

შენ ნამდვილი კოცნის გიჟი ხარ...

შენ თვით არა გაქვს საკუთარი თავის იმედი და ცრემლიანი თვალით მევედრები, რომ ბოროტად არ გამოვიყენო შენი სიყვარული და ვნება...

ამას სულ მევედრები და მეც გინდობ ჯერჯერობით... გინდობ იმიტომ, რომ მეცოდები... მეცოდები, რადგან შენ, დიას, შენ ჩავარდი ასეთ მდგომარეობაში: ასე ჯიუტი, ასე ამაყი, ასე თვითნება...

მგონი, მე გადაფურცლე შენი პაწია ტუჩები პირველად...

მე ერთი საალერსო სიტყვაც არ მითქვამს შენთვის ჯერ და არც შენ თხოულობ... მხოლოდ გკოცნო, გკოცნო დაუსრულებლად...

შენ კოცნის გიჟი ხარ და კოცნის მეტი არაფერი გსურს...

10.8.49

#### IV. განშორება

სიზმარეულად გაიქროლა დღეებმა...  
და მე გაგშორდი... წამოვედი...  
აღბათ, ორ დღეს არ შემოვბია შენს ცისფერთვალებს  
ცრემლი...  
აღბათ, ორ ღამეს არ მიჰკარებია შენს ცისფერთვალებს ძილი...  
აღბათ, ჩემი სახება გეჩვენებოდა „პატარა ტყეში“...  
აღბათ, გაჰყურებ გზას, საითკენაც წავედი...  
...მე წამოვედი და უკან დამრჩა იტრიის წისქვილთან გატარებული  
სალამოები...  
წყლის შხუილში ჩაქსოვილი კოცნა... კოცნა დაუსრულებელი...  
რად შემიყვარე. რად?!  
შენ ხომ იმედი არ გქონდა ჩემი...  
რად იტანჯები, რად?!  
მე წამოვედი და გამომაცილა შენმა ცრემლიანმა ცისფერმა  
თვალეებმა...  
მე წამოვედი... წამოვედი და დაგტოვე... დაგტოვე აღბათ  
სამუდამოდ...  
მაპატიე ყველაფერი... მაპატიე...  
მაპატიე, იმიტომ, რომ მე დამნაშავე არაფერში ვარ...  
თითონ შენ უნდა გეფიქრა...  
ეხლა კი გაგშორდი... წამოვედი და არ ვიცი: კიდევ  
შეგხვდები?!  
მაპატიე ცოდვანი ჩემი...  
მაპატიე...

15.8.49

#### V. შავი კაბა...

მე ყველაფერი გავიგე:  
თუ რა აურზაური გამოიწვია ჩემმა უცნაურმა წერილმა... თუ  
რა აუწერელი მწუხარება ჩამოწვა შენს გულში... თუ როგორ  
იღვრებოდი ცრემლებად დღეების განმავლობაში...  
მაგრამ ჩვეულებრივი ჯიუტობა და სიამაყე არ დაჰკარგე,  
სრულიად უბრალო და არაფრის მთქმელი ბარათი მომწერე...

მე მხოლოდ გვიან ვიგრძენი, რომ არც ისე ადვილად შემეძლო შენგან საბოლოოდ წასვლა, ვინაიდან შენში აღმოჩნდა ის, რაც ვერ მომცა სხვა მრავალმა შენმა წინამორბედებმა – ნამდვილი ადამიანობა – მე სასტიკად ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი შენს მიტოვებას, ამ განზრახვით წამოვედი მე შენგან...

...და შეგხვდი აქ, ჩემს თბილისში...

შენ: გაფერმკრთალებული, განაზებული, საოცრად დადინჯებული, ფართო ცისფერთვალეებით გამომზიარალი, გამოწყობილი იყავი... შავ კაბაში... ეს კაბა ძაძა ხომ არ იყო ჩვენი სიყვარულის ადრეული დასამარებისა?! შავი კაბა ძალზე გიხდებოდა შენ... მაგრამ არა! მე არ მსურს გეცვას იგი: სიმბოლო გლოვისა და მწუხარებისა...

მე დაგიბრუნდი შენ და დაგიბრუნდი საბოლოოდ, კუბოს ფიცრამდე... მე დაგიბრუნდი და დაიწყო ისევ გიჟური დღეები... უცნაური, მეტად უცნაური შეხვედრები... დიას! უცნაური, იმიტომ, რომ ჩვენ ორივენი მეტად უცნაურნი შეგხვდით ერთმანეთს...

დაიწყო გიჟური დღეები და შენი შავი კაბა წარსულს ჩაბარდა... ისევ შეიმოსე შენს საყვარელ ცისფერ ფერებში...

ასე სჯობია... არ გინდა შავი... მე ყველაფერი მძულს შავი... ვერ ვიტან ამ საზიზღარ ფერს...

და ამისრულე ეს წადილი: ნურც შენ ჩაიცვამ ნურასოდეს შავს, თუმცა ძლიერ გიხდება იგი... მაგრამ ნუ ჩაიცვამ ნურასოდეს... ნუ ჩაიცვამ მაშინაც კი, ჩემი მშფოთვარე და ფიცხი გული საძულადმოდ რომ დადუმდეს შენს თეთრ მკლავებზე...

16.9.49.

## VI. ზინიზი

ჩვენ პირველად ერთმანეთი გავიცანით შარშან 20 ივლისს...

ამ დღეს ველოდით ალბათ ორივენი მრავალი წლის განმავლობაში...

მე: სიყვარულის მრავალნაირ ხლართებში უხიფათოდ გზაგამოვლილმა ჭაბუკმა და შენ: სიყვარულის გრძნობას ვერედ განუცდელმა გოგონამ...

შევხვდით იმ მზიან ზაფხულის დღეს და გადაწყდა ჩემს გულში ერთ-ერთი უძნელესი საკითხი: ვინ უნდა იყოს ჩემი „ბალიშის მოზიარე“ კუბოს კარამდე?!

ეს კითხვა არ მასვენებდა მე დიდხანია... მრავალ სახეებში არცერთი არ რჩებოდა საბოლოოდ... შენ შეგხვდი და მეც შევჩერდი... მე 13 წლის ასაკიდან მოვდიოდი სიყვარულის ეკალ-ვარდიან გზაზე და ფინიშზე ვერ მივალწიე...

შევჩერდებოდი განსაზღვრული ვადით და ისევ წინ... წინ მივისწრაფვოდი... და თურმე შენსკენ... ჩემს ფინიშისკენ სიყვარულში... თუმცა ჩვენ ორივენი ძალზე უცნაური შეგხვდით, მაგრამ მაინც ერთად ვართ უკვე ათი თვეა თითქმის...

შენ ჩემი ფინიში ხარ და მე წინ აღარც ვიხედები, რომ სიყვარულის გზა განვაგრძნო... შენ არც გივლია ამ გზაზე და ალბათ არც აწ დაიწყებ...

16.5.50

სურამი – თბილისი

## ნაწოტები

### შეხვედრა

მე და შენ ერთად გვითამაშნია თურმე მრავალჯერ. გულითადი მეგობრები ვყოფილვართ ერთმანეთისა.

მე ეს არ მახსოვს...

ხშირად დამიხედნია სურათისთვის, რომელიც ერთად გვაქვს გადაღებული და ვცილობდი წარმომედგინა ერთად გატარებული დღეები, მაგრამ ამაოდ... მხოლოდ დედა თუ მიაგობდა ჩვენს მეგობრობაზე.

ასევე ყოფილხარ შენც და ორივენი ვნატრობდით თურმე – ისევ შეხვედრას.

და მართლაც შევხვდით!

შევხვდით და მყისვე ვიცანით ერთმანეთი. ვიცანით ის პატარა გოგო და ბიჭი, ერთად რომ დახტოდნენ ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ.

შევხვდით არა ახტაჯანა ბავშვები, არამედ დასრულებული ადამიანები – გარკვეული გრძნობებით, მიზნებით, შეხედულებებით... ახალი მეგობრებით, ახალი გარემოცვით, ახალი სიტყბო-სიმწარით...

მაგრამ ჩქარა ისევ იმ მეგობრებად გადავიქცეთ. თითქოს ერთ დამეში გავევლოს მეოთხედ საუკუნეს და გუშინდელი თამაში დღეს გავაგრძელებთ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ გვაკავშირებს ცხოვრების ყველაზე წმინდათაწმინდა დრო – ბავშვობა!

მე განუძეორებელი სიხარული მომანიჭა ამ შეხვედრამ, ვინაიდან შენ გამახსენე შორეულ ბურუსში ჩანთქმული ჩემი ბავშვობის უცოდველი, უღრუბლო და მარად კისკასა დღეები!

### კულისები

ჩვენ სცენამ შეგვახვედრა და სცენამვე დაგვაშორა.

პირველად სცენამ გვაგრძნობინა სიყვარული და მერე საკუთარმა გულებმა. ჯერ სცენაზე გაისმა სასიყვარულო სიტყვები, შემდეგ კულისებში და აღარც გარეთ შეწყვეტილა. ჩვენ შეყვარებულთა წყვილის რამდენიმე სახე შევქმენით სცენაზე და ჩვენი თამაში მუდამ ბუნებრივი და ამაღელვებელი გამოდიოდა, ვინაიდან სცენაზე

ვაგრძელებდით კულისებში დაწყებულ დიალოგს...

ყველაზე უფრო ხმა მხიბლავდა შენი, ხმა მართლაც საოცარი... ხმა, გაჩენილი ამ ქვეყნად მხოლოდ საალერსო სიტყვებისათვის. წარმოუდგენლად ტკბილი და თბილი, მტრედივით მოლულუნე ხმა... ამ ხმამ მომხიბლა სცენაზე, მომაჯადოვა კულისებში და დამიპყრო გარეთ. იგი ამოდიოდა, ამოდიოდა ნაზ ბაგეთაგან უწყვეტ ნაკადად სიყვარულისა... შენ ჩურჩულებდი, ჩურჩულებდი დაუსრულებელივ ჩემს მკერდზე მიყრდნობილი და მე ანგელოზს გადარებდი ცით ჩამოფრენილს.

მაგრამ ჩვენ სცენამვე დაგვაშორა.

პირველად სცენაზე განვიცადეთ განშორება და მერე კულისებში. ჯერ სცენაზე გაისმა დავიწყების სიტყვები და მერე კულისებში. ჯერ სცენაზე მიგატოვე, შემდეგ კულისებში და გარეთაც...

და შენ დარჩი ჩემი ცხოვრების კულისებში.

ათზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ... მე ხშირად გამხსენებია ის საღამოები პატარა სცენის დიდ კულისებში და ყურში ჩამსმია შენი ჩურჩული.

ახლა ჩვენ შევხვდით ისევ... მაგრამ სად? როგორ? საოცრებაა... ჰიპოდრომზე! მე, როგორც მაყურებელი და შენ, როგორც მხედარი.

ვერ წარმომედგინა, რომ შენ – ასეთი ნაზი, ჰაეროვანი, მტრედისხმიანი ქალი დორბლმორეულ თეთრონს მოახტებოდი და მანდილის ფრიალით, ყიჟინით დაიწყებდი ჯირითს...

გაოცებული ვარ... რა ძალამ გარდაგქმნა შენ – მტრედისხმიანი ნაზი ქალი თავზეხელაღებულ ამორძალად?!

იქნებ ამიხსნა?!

## მეგობარო!

სად ხარ მეგობარო?!

სად ხარ ახლა, ამ წუთში, როცა მე ამ სტრიქონებს ვწერ?! იქნებ შენც მიგონებ და გახსენდება ჩვენი თბილისის ქუჩები... ქუჩები, რომლებზედაც არასოდეს არ მოგწყინდება ხეტიალი დაუსრულებელი.

მე მაგონდება ერთად გატარებული ტკბილზე ტკბილი ბავშვობა, როცა ერთად ვუსხედით მერხს და ვწერდით „კოტე+ალიკ“ მეგობრებს“ (ეს ბავშვური გამჟღავნება იყო დიდი სიყვარულისა)...

მე მაგონდება ერთად გატარებული ყრმობა, როცა თვალი აგვენილა ბევრ შეუცნობელ რამეზე...

მე მახსოვს ჩვენი გაცხოველებული საუბრები ხშირად შუალამდე გაგრძელებული...

ჩვენი აზრები, მისწრაფებანი, სურვილები, ოცნებები, გატაცებანი მუდამ ერთნაირი იყო. მე უსიტყვოდ მიგიხვდებოდი შენ და შენც უკვე იცოდი, რა უნდა მეთქვა მე. მაგონდება არისტოტელეს სიტყვები, რომელიც ესოდენ გიყვარს:

„ნათესავი ნაწილია ჩვენი ხორცისა, მეგობარი კი ნაწილია ჩვენი სულისა“.

ასე ვიყავით განუყრელი ათი გრძელი წლის განმავლობაში. ჩვენ არ შეგვეძლო უერთმანეთოდ ერთი დღის გაძლებაც კი... და ახლა უკვე იმ ათ წელზე ბევრად გრძელი ათი წელი გავიდა, რაც არ გვინახავს ერთმანეთი...

შენ შორს ხარ ჩემგან.

კავკასიონის ცადაზიდული ქედების იქით, ჰაერში ლაღად დანაფარდობ შევარდენივით და რუსეთის გაშლილი ტრამალების სურნელებაში ეალერსები ქერა გოგოებს...

მინდა იცოდე, როგორ მომწყურდა შენი ნახვა და ძველებური საუბარი. რამდენი რამ გვაქვს სათქმელი ერთმანეთისთვის...

მაგრამ შენ შორს ხარ და მე, შენი მეგობარი ამ ჩვენს თბილისში ვხეტილობ ტრუბადურივით.

სად ხარ, მეგობარო?!

## გახსენება

მე მახსენდება ჩვენი ბავშვობა, როცა შენ მოკლე კაბა გეცვა და ანცი ყიჟინით იკლებდი ყველაფერს.

მაშინ დაიკოს გიწოდებდი და შენს თავს ტყუილზე ვერავინ დამაფიცებდა. შემდეგ... შემდეგ კი უფრო ახლოს მოიკალათე ამ ჩემს გულთან.

საბოლოოდ მაინც დავშორდით...

და აი, ახლა, წლების შემდეგ მივიღე შენი ბარათი... მივიღე, მაგრამ ვაი, ამ მიღებას... რა მომაგონე...

...ერთხელ მე და შენ ტრფობით დამთვრალნი ვიდოდით გზაზე. შენ ია მოწყობილ და ალერსი დაუწყე. მე კი დავცინე შენს ქალურ მგრძობიარობას... სწორედ ამან დაგვაშორა ჩვენ!



ახლა კი ის ია აღმოჩნდა შენს ბარათში... ია უფერული და დამტკუნარი... ამასაცა მწერ: „ეს ია გახსოვს? მან დაგვაშორა, მანვე შეგვეყაროს!“

მე გულთბილად ვპასუხობ შენს წერილს, მაგრამ ვშიშობ კი, – შემდგომ ბარათში, შენგან რომ მოვა, იას ნაცვლად შენი მგრძნობიარე გული არ იყოს ჩაღებულნი! გული, ამ იასავით დამტკუნარი და უფერული...

## პროლოგი

ცხრაასორმოცდაერთის ოცდაოთხი ივნისი.

თბილისის სადგური. ლიანდაგებზე ჩამომდგარი გრძელი ეშელონები. აუარება ხალხი – ომში მიმავალნი და გამცილებლები. აუარება ხალხის ქვითინი, ოხვრა... მიმავალის ლოცვა და ვერაგი მტრის წყევლა. აქა-იქ ცეკვაა გაჩაღებული... სიმღერა ნაირ-ნაირი... უმეტესობა გაწვეულებისა ნასვამია. თავგადასოტრილი, ჩანთამოკიდებული ვაჟკაცები ეთხოვებიან მახლობლებს.

გაისმის მკაცრი ბრძანება:

– ადგილებზე!

ხმაურმა უფრო იმატა.

უკანასკნელი გამომშვიდობების სურათები:

ჭალარა დედა ძველებურად – პირჯვრის წერით ისტუმრებს ვაჟიშვილს, რომელსაც უხერხულად ეღიმიება.

მოხუცი მამა დამრიგებლურ „ნოტაციებს“ უკითხავს ჯერ კიდევ უწვეურულ პირმშოს და თან ნიკაპი უკანკალებს.

ოქროსფერთმებიან ბიჭუნას ფუნჩულა ხელები მოუხვევია მამის გარუჯულ კისერზე და დაუსრულებლივ ჰკოცნის.

ახალგაზრდა ქალი ცრემლმორეული ეფერება ქმრის მარჯვენას და ორივენი ჩუმად არიან.

თხუთმეტიოდი წლის ბიჭი უკვე ჭალარაშერთულ მამას ამშვიდებს: უშენობას არ დავამჩნევო ოჯახს.

შეყვარებულთა წყვილი უხმოდ შესცქერის ერთმანეთს, რამდენი რამაა მათ თვალებში.

გაისმა საყვირის ხმა. დაიწყო ვაგონებში შესვლა. დაიდრა ეშელონი. დაიდრა გულებიც, ცრემლებიც... ომში მიმავალნი ახტებიან ვაგონებს... ხელების ქნევა, დაუსრულებელი ხელების ქნევა.

დიდხანს, დიდხანს მისდევდნენ ეშელონებს გამცილებლები. დიდხანს, დიდხანს გაჰყურებდნენ უსასრულობაში გაწოლილ ლიანდაგებს. დიდხანს, დიდხანს არ დაშლილან გულჩაწყვეტილნი. ... დაიწყო დიდი სამამულო ომის მძიმე დღეები.

### დიდი ანა

შორიდანვე ვიგრძენი შენი თვალები და შევხვდით.

შევხვდით დიდი ხნის შემდეგ...

გახსოვს ჩვენი მაშინდელი დიალოგი?!

„– ოცი წლის ბესიკს და ორმოცდახუთი წლის ანა ბატონიშვილს ერთმანეთი უყვარდათ.

– ჰმ, საოცარია!

– სრულებითაც არა! სიყვარულმა ასაკი არ იცის!“

(...შენ მიმიხვდი გადაკრულ სიტყვებს და გამომცდელად გადმომხედე. რაღაც საუბელუროდ თუ საბედნიეროდ მაშინ ჩემს გულში შემობრძანდი მართლაც დიდ ანასავით და მე მსურდა, ძლიერ მსურდა შენი გულის ბესიკი ვყოფილიყავ... ის ხომ ჩემი ტოლი იყო, შენ კი ათიოდე წლით მაინც იყავი ანაზე უმცროსი. მე მინდოდა ბესიკივით შემეღერა შენთვის, მაგრამ...)

ჰოდა, ახლა შევხვდით.

შენ ხომ ჩემი ანა იყავი, დიდი ანა, მე კი ბესიკი. მაგრამ შენმა ბესიკმა ჩქარა იპოვნა პატარა ანა (არა, ღმერთმანი, ის შენი შვილიშვილი არ არის!). და შენ, დიდი ანა, დაგივიწყა. მაგრამ ახლანდელმა შეხვედრამ ისევ გამახსენა ჩვენი მიძინებული სიყვარული. ახლა შენ ნამდვილად დიდი ანას ტოლი ხარ, მე კი ბესიკზე ბევრად უფროსი... და უფრო შევძლებ შენს სიყვარულს.

რად გეშინია?!

შენ ხომ მართლა არა გყავს ძმად მძვინვარე ვაჟკაცი – მეფე ერეკლე?! არა?! მაშ, მოდი, ისევ მოვირთხათ ფეხები და გავიხსენოთ ბესიკისა და ანას უცნაური რომანი...

### ქალი შავებით

ქალი შავებით...

მე მუდამ თვალწინ მიდგას ქალი შავებით: მაღალი, გამხდარი, უდროოდ გაჭადარავებული თმებით, ფერმკრთალი სახით, გაცრეცილი ტუჩებითა და უსაზღვრო სევდის გამომხატველი თვალებით.

დადის მუდამ შავებში... ცხვირსახოციც კი შავი აქვს!

რალაც უდიდეს უბედურებას გარდაუქმნია იგი... ლაპარაკობს  
ნმადებლა, თითქმის ჩურჩულით. დადის მოდუნებულად, ძალიან ნელა.  
მთელი საღამოები ზის ჩაბნელებულ ფანჯარასთან და ზედიზედ  
ეწევა პაპიროსს...

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალი საოცრად მხიარული  
და კისკისა იქნებოდა ადრე. ახლა კი დადის ძაძებით, მუდმივი  
მწუხარებით და სინარულის ერთი ხაზიც არაა მის სახეზე...

არ ვიცი, სად მსახურობს, რას აკეთებს... ვიცი, რომ არავინა  
ჰყავს ამ ქვეყნად, გარდა ერთი სურათისა... დიახ, სურათის!

ეს სურათი მისი საწოლის თავთანაა ხატივით ჩამოკიდებული.  
სურათზე ვაჟაკური შესახედაობის ოფიცერია. შავი ჩარჩოს გარშემო  
მუდამ ცოცხალი ყვავილებია. მოჩანს თარიღებიც: 1914-1943.

აი, რა ყოფილა მიზეზი მწუხარებისა!

## შენი თვალები

საოცრებაა შენი თვალები!

საოცრებაა, რადგან მე მკითხველი ვარ მაგ გიშრისფერ თვალებში  
ჩაწერილი მოციმციმე სტრიქონებისა... სტრიქონებისა, რომლებიც  
სევდიანად დასცურავენ წამწამთ ჩეროში.

მე დიდხანს ვუყურებდი მაგ თვალებს, მაგრამ ჩემი სახება არ  
დაძინახავს შიგ... დღეს კი დავინახე. დავინახე და მივხვდი, რომ ის  
ჩემი ჩვეულებრივი ანარეკლი კი არაა, არამედ იმ სახისა, რომელიც  
გულში გქონია ამდენხანს ჩამარხული...

და მე უფრო მკაფიოდ წავიკითხე შენს თვალებში ჩაწერილი  
სტრიქონები, – რაც გაწუხებს და რაც გასურს.

მე კი მინდა ეს სტრიქონები ამოვშალო მაგ თვალებიდან და  
ისიც... ჩემი სახებაც არ ჩავტოვო შიგ... არც სევდიან გულში და  
არც სევდიან თვალში...

ასე მსურს ახლა, თორემ ადრე კარლელიის სიტყვებს  
მივყვებოდი:

„ლომი თავის დღეში არ გამოუდგება თავს დასაჭერად, მაგრამ  
განა გადაყლაპავაზე უარს იტყვის, თუ თავი თვითონ ჩაუვარდება  
პირში?!“

ასეა, ჩემო, იცვლება ასაკი და იცვლება პრინციპებიც!..

## რეკვიემი

1944 წლის მარტში ქ. ჟიტომირის მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლების დროს გმირულად დაღუპული საყვარელი ბიძის, კაპიტან გიორგი სანადირაძის ხსოვნას.

ჩემს წინ შენი სურათია:

ჩასკვნილი, ჯმუნა ტანი – ოფიცრის გრძელი მაზარით შემოსალტული. მრგვალი, შავვგრემანი სახე – დამშვენებული მაყვლისფერი უღვაშით. ვაჟკაცური გამომეტყველებით ანთებული თვალები. შენი მძლავრკუნთებიანი მკლავის მუშტი შეკუმშულია. ამ მუშტს ვერაფერი დაუდგებოდა წინ... ასეთი იყავი მუდამ – ყოველთვის მზადმყოფნი, უშიშარი, ცეცხლოვანი... ფეხზე შემდგარ ჩახმახს ჰგავდი.

მაგრამ აღარ ხარ!..

მე ცრემლები არა მჩვევია, მაგრამ შენი გახსენება მინამავს თვალებს. გულს არ სურს დაჯერება შენი დაღუპვისა. ნუთუ, რაიმეს შეეძლო შენი წაქცევა?! არ მინდა დავიჯერო, რომ შენ ლპები სადღაც შორს – უცხო მიწაში, მონატრებული საყვარელ საქართველოს.

შენ ომის მეორე დღესვე წახვედი.

ჩვეული ომანიანი ყიჟინით მიგყავდა ასეულები გაშმაგებულ იერიშებზე, მაგრამ მოხდა დაუჯერებელი ამბავი – შენ წაიქეცი! წაიქეცი გაზაფხულის ბურუსიან დღეს, გააფთრებული შეტაკების დროს... ზღაპრად თუ დავიჯერებდი შენს წაქცევას, მაგრამ ვერაგ მტერს ჩვენი ოჯახისთვისაც ჰქონია გამოჭედილი ერთი ტყვია...

აღბათ გელანდებოდა:

შენი საყვარელი გურიის ლამაზი მთა-ველი; შენს მოლოდინში, გზისკენ გამყურე ჭადარა დედა; შენთვის ძვირფასი, გაუტყნეული მოხუცი მამა; თბილისში შენი მყუდრო ოჯახი, შენი მალმერთებელი მეუღლე; ძმები და რძლები... და აუცილებლად მეც – შენი „ალია“... შენ ხომ მომწერე: „ტყვია რომ მომხვდეს, შენს სახელს დავიძახებო!“ და მართლაც მოვხვდა...

უკრაინის მრავალტანჯულმა მიწამ მიიღო შენი სხეული.

ჰაუ, რამდენი წელია, რაც შენმა სისხლიანმა საბუთებმა ცრემლი და ვაება შემოიტანა ჩვენს ოჯახში. ჰაუ, რამდენი წელია, რაც ძველებური სიმხიარულე გაქრა ჩვენს შორის.

ათი წელი გმინავდა საცოდავი ბებიარეში „შვილო, გოვიას“...

დღეს კი აღარც შენი მშობლებია ამ ქვეყნად, აღარც შენი უფროსი ძმა... შენ კი მაინც არ ჩანხარ, არა!

...ფრონტზე წასვლის წინ მე აჭარული ბებუთი გისახსოვრე და მინდა, ძლიერ მინდა ვიცოდე – დაგეხმარა თუ არა იგი?! იქნებ რევოლვერში ტყვიამოლოლულმა აღმასისპირიანი ბებუთი დაატრიალე და მე გამიხსენე...

თუ ასე იყო, მე კმაყოფილი ვიქნები!

არ მსურს დავიჯერო შენი დალუბვა, მაგრამ ამოა ლოდინი და ო, როგორ მინდა მოვიდე შენს განმარტოებულ საფლავზე... მოვიდე და ვემთხვიო იმ მიწას, რომელიც ძლიერ მკერდზე გაყრია შენ... შენ – ჩემს საყვარელ და საამყო ბიძას... ბიძას, რომლის ხნისაც მე ჩქარა ვიქნები...

## გურიის გზაზე

მიდინარ, მიდინარ აღმართებში და გარშემო ფართოდ გადაჭიმულა მაღალ ოდებიანი ეზოები. რა სჯობს ამ გზას...

რა სჯობს იმის ცქერას – რამდენიმე საკინძეგადაღელილი, ქორორაშლილი ბიჭი, ხელიხელგადახვეულნი, ცისგამაპო კრიმანჭულს რომ ახვევენ:

„ჩემი გული შენ მოგიკლავს,

სხვისი გაგინარებია...“

ან ტანაშოლტილი, თავსაფრიანი „ციცა“, – რომელსაც წყალს მოსთხოვ დაღლილი მგზავრი, – სხარტად გიპასუხებს:

– ამ წუთში, ძამია! – და ჯეირანივით გავარდნილი ჩაციებულ შუშუნა ადესას მოგიბრენინებს.

ანდა ჭალარა მამაკაცი, ყაბალახით თავწაკრული და მაღალი ჯოხით ხელში, ჩამოვივლის და საოცარი თავაზიანობით მოგესალმება:

– გამარჯობა, ბიძია!

ან გზაზე სკოლისაკენ კრიმანჭულით მომხტუნავი მკვირცხლი ბიჭუნა, რომელსაც ნაჭრის საწიგნე გადაუკიდნია მხარილივ, – დაგინახავს თუ არა, გულუბრყვილოდ, ცნობისმოყვარეობით შემოგაცქერდება და როცა ღიმილით ჩაუვლი, შემდეგაც კარგახანს გითვალთვალებს ზურგს უკან.

ანდა ლობეზე მომდგარი, შავებში გამოწყობილი ჭალარა ქალი,

ხელს შუბლზე მიიფარებს და როცა გიცნობს გზაზე მიმავალს, ტკბილად შეგეკითხება:

– ჩემი ბიჭი ხომ არ შეგხვედრია ქალაქში, ნენა?!

შენ კი მიდიხარ და მიდიხარ აღმართებში...

რა სჯობია ამ გზას...

## ნატვრა

მე ძლიერ მიყვარს ჩემი კოპწია სოფელი გურიაში.

მიყვარს და ბევრჯერ მინატრია:

მივატოვო – ქალაქის ასფალტირებული, მტვრიანი ქუჩები; ქვის მრავალსართულიანი, დახუთული შენობები; პარკეტის იატაკი, ოთახის კომფორტი; ტროლეიბუსი, თეატრი, კინო, ტელევიზორი და ერთი სიტყვით ყველაფერი კულტურული, ყველაფერი ცივილიზებული.

აქ კი გურიაში, ჩემს საყვარელ სოფელში მქონდეს:

პატარა, მტკიცე ფაცხა; შუაცეცხლით, კერაზე ჩამოკიდებული ჯაჭვით, მიწური იატაკითა და ისლის სახურავით; მქონდეს ლამაზი, მოსავლიანი ეზო; მყავდეს კარგი ცხენი და მეუღლედ უბრალო, სოფლელი „ციცა“, რომელსაც წარმოდგენა არ ექნება წვრილქუსლიან „ტუფლებსა“ და ნეილონის „ჩულქებზე“.

მე მსურს დავივიწყო ეს ევროპული კოსტუმი და ჯიბეებიანი, ამოშვებული პერანგი; ჩეხური „ტუფლები“ და ყველაფერი ის, რაც გამახსენებს ქალაქის ქუჩებს.

აქ კი, ჩემს საყვარელ სოფელში მეცვას:

ხვანჯრიანი შარვალი, გვერდზე შესაბნევი ხალათი და ხარაზულა წულები. თუ შემცივდება, პალტოს წილ ნაბადს მოვიბურავ და შლაპის ნაცვლად ყაბალასს მოვიხვევ თავზე.

მინდა უთენია წამოვდგე ხის საწოლიდან, ჩანჩქერი შევისხა გარუჯულ სახეზე და შუადღემდე ვთოხნო თავაუღებლივ.

შემდეგ მოვახტე უბელო თეთრონს და ყიჟინით გავაპო მთა და ბარი...

მინდა ზამთრის გაუთენებელ ღამეებში მესტუმრონ ჩემი ტოლი გლეხის ბიჭები... დაბალ სუფრაზე შევექცეოდეთ ღადრის კვერს და კოპით ვსვამდეთ ადესას ღვინოს...

და მათ ვუამბო ის ათასგვარი საოცრებანი, რაც ქალაქში მინახავს და რაც აუარება წიგნებში წამიკითხავს... შემდეგ, შემდეგ

კი ღავწვე და ღავიწყებას მივცე ყოველი, ჩემი მეუღლის თბილ უბეში თავჩარგულმა...

მე ხშირად ვნატრობ ამას.

მაგრამ ვაი, რომ ვცდები და ორიოდ კვირით სოფელში ყოფნის შემდეგ, „ერთი სული მაქვს“, სანამ თბილისის ქუჩებში ღავიწყებ ნეტიალს.

არა! ამაში მარტო ქალაქი არ არის დამნაშავე, უფრო სოფელია, სადაც უკვე აღარ არის ჩემს მიერ დახატული იდილიური სურათი...

### ჩემი გმირები

ისტორიაში არის სახელები, რომლებიც მოგხიბლავენ, ღავიპყრობენ და თავს შეგაყვარებენ... შეგაყვარებენ და მუღამ თან ღავღევენ, ღამეებს ბავშვურ ოცნებაში გაგათენებინებენ...

მეც რამოდენიმე საყვარელი გმირი მყავს ამორჩეული, გატაცებული ვარ ამ ადამიანებით... არ ვიცი, ჩემს რომელ ნაკლზე და ღირსებაზე მიუთითებს ეს ამორჩევა... ბევრი მიყვარს, მაგრამ ერთის გვერდით ვერავინ ღავღება ჩემს გულში – ესაა ნაპოლეონი...

შემდეგ – სპარტაკი, გარიბალდი, კრომველი, ბაგრატიონი პეტრე, ბაირონი, პეტრე ღიღი...

ჩვენგან – ღავითი, ერეკლე, ბატონიშვილი ლეონ, ორბელიანი მამუკა...

არიან სხვებიც, ახლა არ მახსენდება...

1948 წ. ღავაქალაქი

### ჩემი სახელი

*„ალექსანდრე რაზბონიკო, შენი ჳირიძე!“  
(ერთი გაუგებარი სიძღვრიდან)*

**ალექსანდრე** – ეს სახელი მქვია მე... ეს სახელი ჳქვია ჩემს საყვარელ ბაბუასაც... მერე რა? არაფერი! ეს უბრალო ტრადიციაა – ბაბუას სახელის შვილიშვილისათვის დარქმევა...

ჩვენში დარჩეს და არაა ღამაზად მჟღერი სახელი,

გაბრტყელებულია უშნოდ, მაგრამ გურიაში იტყვიან – „სახელი მოიხედა“–ო და მე მაინც ძალიან მიყვარს ჩემი სახელი... მიყვარს და თქვენ წარმოიდგინეთ, პატივისცემის გრძნობაც მაქვს მის მიმართ... რატომ? არის მთელი რიგი მიზეზები... აი ისინიც:

1. ეს სახელი საერთოა ქალისა და კაცისათვის – ალექსანდრე და ალექსანდრა...

2. ალექსანდრე ბევრ სხვა სახელს იტევს, მაგალითად – საშა, შურა, სანდრო, ალე, ალიკო, ალიოშა, ალეკო, ალიო და სხვა.

3. კიდევ იმიტომ, რომ ამ სახელს ატარებდა ბევრი ცნობილი ადამიანი, ალექსანდრეები იყვნენ – მაკედონელი, ნეველი, სუვოროვი, პუშკინი, გრიბოედოვი, დიუმა (მამა-შვილი), ყაზბეგი და მრავალი სხვა.

4. აგრეთვე იმიტომ, რომ საერთაშორისო სახელია, მაგალითად: ქართულად – ალექსანდრე... რუსულად – ალექსანდრ... უკრაინულად – ოლეს... ოლესანდრ... გერმანულად – ალექსანდერ... იტალიურად – ალესანდრო... რუმინულად – ალექსანდრუ... უნგრულად – შანდორ... ლატვიურად – ალექსანდრას... ესპანურად – ალესანდრო... ალბანურად – სკანდერ... თურქულად – ისკანდერ... ან თუნდაც ჩვენებურად, გურულად – ალცანდრე...

5. დასასრულ, შეიძლება ითქვას, კიდევ იმიტომ, რომ ჩემს გვარს შეეწყობა ბევრათა ჰარმონიულობით – ალექსანდრე სანადირაძე (ათ-ათი ასოდან შეიდ-შეიდი საერთო)...

აი, რატომ მიყვარს ჩემი სახელი...

თუმცა არ გამამხილოთ და ძალიან არ მესიამოვნა, როცა საბას ლექსიკონში „ალექსანდრეს“ გასწვრივ წავიკითხე – „მწყემსი ზროხათა“ (ბერძნულად)...

1948 წ. დედაქალაქი

## წუთები

ადამიანის და განსაკუთრებით ჭაბუკის მშფოთვარე ცხოვრებაში არის წუთები, როცა საშინლად მოგბეზრდება და თითქმის გეზიზდება კიდევ ყოველივე ის, რაც არსებობს და ხდება შენს გარშემო... განსაკუთრებით მაშინ, თუ ცხოვრება ერთფეროვანია... დღეები კი ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც თოვლის ფანტელები ერთმანეთს და მიზოზინებენ ისე ნელა, როგორც აქლემთა ქარავანი უდაბნოში...



მეოცნებე ჭაბუკის აგზნებულ გულს კი სურს, ძლიერ სურს ნახოს ახალ-ახალი ქვეყნები, გაიცნოს უცხო ადამიანები, შეიგრძნოს სხვადასხვა და ყოველგვარი სიამოვნება ხანმოკლე, ძალზე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე...

მაგრამ ვაი, რომ ძნელია ყოველივე ეს...

ასე მომდის ხშირად მეც, – მომბეზრდა მუდამდღე ტკეპნა თბილისის ქუჩებისა, აღარ მსურს ხილვა დაზეპირებული სახეებისა... მაგრამ, როგორც იტყვიან – „თავს ზემოთ ძალა არაა“ და მეც შეუბრძოლველად მივყვები დაუწერელი ბედის სასტიკ ტალღებს...

1948 წ. დედაქალაქი

### **მწერლები...**

ყველას ჰყავს თავისი საყვარელი მწერალი...

ეს გემოვნებაზეა დამოკიდებული... და მეც ჩემი გემოვნებით (ავია თუ კარგი) მყავს ჩემი საყვარელი მწერლები და პოეტები... ასეთებია:

უცხოეთიდან – ბალზაკი, ლონდონი, მოპასანი, რობერტ ბერნსი, ო'გენრი...

რუსეთიდან – ლევ ტოლსტოი, ჩეხოვი, შოლოხოვი, ესენინი...

საქართველო – ბარათაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონი, გამსახურდია...

აი, ჩემი საყვარელი მწერლები და პოეტები... შეიძლება უცნაურად ეჩვენოს ვინმეს... მერე რა ვუყოთ...

1948 წ. დედაქალაქი

### **შემოდგომა**

არ ვიცი რატომ და მე მეჯავრება შემოდგომა...

უცნაურია – შემოდგომა, რომელიც სხვათა შეხედულებით წლის ყველაზე კარგი დროა, არ მიყვარს...

მოდის შემოდგომა თავისი სურნელებით, მოსავლით, სიმსუყით და მე მძულს იგი...

აი, მე ვზივარ ბალში და შემოდგომა ტრიალებს ჩემს გარშემო... ფეხქვეშ შრიალებს ყვითელი ფოთოლი, ჰაერში შრიალებს ყვითელი

ფოთოლი... ცვივა, ცვივა, დაუსრულებლივ ეს ყვითელი ფოთლები და ქარი აფრიალებს მათ... მოფარფატებენ გულის გამაწყალებლად ყვითელი ფოთლები და მე იგი დღეთა ჩემთა ცვენას მაგონებს... მობრძანდება შემოდგომა ჩემთვის საზიზღარი ფერით – ყვითელი სუდარით... ფოთლები კი ცვივა, ცვივა ჩემი დაკარგული იმედებით და მეც ამიტომ თუ მეჯავრება შემოდგომა... მოდის შემოდგომა და მე უკვე ვიტანჯები მოლოდინში:

როდის, როდის იფეთქებს პირველი კვირტი ნუშის ხეზე...

როდის, როდის აყვავილდება მთები...

როდის, როდის აივსება ქვეყანა მზით, ხალისით, სიყვარულით...

როდის, როდის მოვა ჩემი გაზაფხული...

მაგრამ შემოდგომა ეს-ეს არის შემობრძანდა ყვითელი სუდარით და მოლოდინი დაუსრულებელი ჩანს...

1948 წ.

მკვდრისფერი საღამო დედაქალაქის ბაღში

## ჩემი ანკეტა

წავაწყდი მარქსის პასუხებს თავისი ქალიშვილების კითხვებზე. მე ჩემებურად გადავაკეთე ეს კითხვები და პასუხები გავეცი. აი, ეს ანკეტაც:

1. რა მოგწონთ მამაკაცში – მეგობრობა
2. რა მოგწონთ ქალში – კდემამოსილება
3. თქვენი დამახასიათებელი თვისება – სიზარმაცე
4. თქვენი წარმოდგენა ბენიერებაზე – საეჭვოა
5. თქვენი წარმოდგენა უბედურებაზე – აუცილებელია
6. ნაკლი, რომელსაც აპატიებთ – სიმახინჯე
7. ნაკლი, რომელსაც არ აპატიებთ – შურიანობა
8. თქვენი საყვარელი საქმე – კარგი კინოს ცქერა
9. თქვენი საყვარელი პროზაიკოსი – ლონდონი
10. თქვენი საყვარელი პოეტი – გალაკტიონი
11. თქვენი საყვარელი გმირი – ნაპოლეონი
12. თქვენი საყვარელი ფერი – მწვანე
13. თქვენი საყვარელი ყვავილი – საერთოდ ვერ ვიტან
14. თქვენი საყვარელი წიგნი – „სპარტაკი“ – ჯიოვანოლის
15. თქვენი საყვარელი საჭმელი – კუპატი

16. თქვენი საყვარელი სახელი – მამუკა
17. თქვენი საყვარელი ხალხი – მექსიკელები
18. თქვენი საყვარელი ფილმი – „თავისუფლების არმიის კაპიტანი“
19. თქვენი მუდმივი ნატურა – ფული!
20. თქვენი ლოზუნგი – „Весь свет бардак, все люди бляды...“

1949 წ. დედაქალაქი

### ქართველი ქალები

„საერთოდ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ლამაზი ქალები პეტერბურგში იშვიათი მოვლენაა... მე მხოლოდ რამოდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომელშიაც შერწყმული იყო სილამაზეც და გრაციაც. ეს მნათობნი ბრწყინავდნენ ჩრდილოეთის ქალთა შორის, როგორც ვარსკვლავები სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე“.

(მარკიზ დ'კიუსტინი – „ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთი“, გვ. 74)

ფრანგმა მწერალმა ფრანსუა-რენე შატობრიანმა თავის საუკეთესო მოთხრობაში „უკანასკნელი აბენსარჟი“ ასეთი სიტყვები ათქმევინა თავის გმირს ლამაზი ქალის წინაშე – „საქართველოს ქალწულებზე უფრო მშვენიერო!“...

ეს ბევრს მეტყველებს...

ქართველი ქალის სილამაზე მსოფლიოში იყო განთქმული... ქართველი ქალის მშვენება შესადარებლად მოჰყავდათ... ქართველ ქალებზე სწერდნენ სხვადასხვა ქვეყნის მწერლები და პოეტები (მაგალითად საკმარისია თუნდაც დიდი ბალზაკის რომანი „ოქროსფერთვალება ქალიშვილი“)...

დღეს კი...

მე თავდავიწყებით მიყვარს ქართველები და გული მტკივა, რომ აქ – საქართველოს დედაქალაქში, სადაც რჩეულთა შორის რჩეულნი არიან, – იშვიათად შეხვდებით ათას ქართველ ქალში ერთს

ფიზიკურად უნაკლოს, ხასიათით უნაკლო ხომ უფრო იშვიათია და ორივე ერთად კი ალბათ მთელ საქართველოშიც არაა...

ეს მაშინ, როცა ქართველი ქალი სილამაზის, დედობის, მეუღლეობის, ვაჟკაცობის სიმბოლოა... გაიხსენეთ:

სულმნათი თამარ, დედოფალი ქეთევან, მანანა ორბელიანი, მაია წყნეთელი, დები ჭავჭავაძენი...

კიდევ კარგი, რომ იგივე არ ითქმის ქართველ ვაჟებზე:

თუმცა გიორგი სააკაძის თანამებრძოლ ვაჟკაცებს ვერ შეედრებიან (თუმცა გული იმათზე დიდი აქვთ), მაგრამ ქალთა სქესის გადაგვარებასთან შედარებით კიდევ ემჩნევათ, რომ ძარღვებში მრავალსაუკუნოვანი მხურვალე ქართული სისხლი უჩქეფთ...

1948 წ. დედაქალაქი

### საქართველო – სხვებისათვის...

ხშირად დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რამდენი მისცა ჩემმა საქართველომ მსოფლიოს და განსაკუთრებით რუსეთს...

ავიღოთ რუსეთი: პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ტოლსტოი, გორკი, შალიაპინი... – განა ამათთვის უდიდესი შთაგონების წყარო არ იყოს საქართველოს წარმტაცი ბუნება?! მაიაკოვსკი! – ქართული ტემპერამენტის გარეშე იგი ვერ გახდებოდა ასეთი დიდი პოეტი...

და განა პეტრე ბაგრატიონი, ბოროდინი და თვით... პეტრე დიდი ქართველები არ იყვნენ?!

გაიხსენეთ მამელუკები – სახელგანთქმული დაუდ-ფაშა და ნაპოლეონის საყვარელი რუსტამი...

გაიხსენეთ ანთიმოზ და პეტრე ივერიელები...

აიღეთ სხვა – განა შაჰ-აბასის დედა ქართველი არ იყო?!

შამილის და ზელიმხანის სისხლშიაც სჩქეფდა ქართული...

1949 წ. დედაქალაქი. შოვინიზმის დამე

## გურია

მივალ გურიაში, მარა  
სული წინწინ გამეპარა“.  
(ხალხური)

საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან თითქმის ყველაზე პატარაა გურია. აი, ზუსტი მონაცემები ამ ყოფილ სამთავროზე: სამი რაიონი – მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის... საზღვრების სიგრძე 170 კმ, აქედან – 50 აჭარასთან, 60 იმერეთთან, 60 სამეგრელოსთან... ზღვის სანაპიროს სიგრძე 20 კმ სამი ნავთსაყუდელით – მალთაყვა, გრიგოლეთი, შეკვეთილი... უდიდესი მანძილი სიგრძეზე 72 კმ, სიგანეზე 35 კმ. რკინიგზა სულ 72 კმ. უდიდესი მდინარე სუფსა – 93 კმ სიგრძით... უმაღლესი მწვერვალი საყორნია – 2756 მ ზღვის დონიდან... ქალაქი ერთადერთი – მახარაძე (ყოფ. ოზურგეთი) დაახლოებით 50 000 მცხოვრებით... სულ გურიაში 130000-150000 სულია...

აი, რა პატარაა გურია, მაგრამ საკვირველია მისი ბუნების მრავალფეროვნება: ზღვა, ზღვის სანაპირო, ჭაობი, დაბლობი, გორაკები, მთები, მწვერვალები, უღრანი ტყეები, ჩანჩქერები, თბილი ზამთარი და გრილი ზაფხული. საუკეთესო კურორტი ბახმარო, რომლის ბადალი იშვიათია მსოფლიოში... მიწაზე – ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი და სხვა ციტრუსები; ნაირ-ნაირი ხილი, სიმინდი, ვენახი და ვინ მოთვლის... მიწაში – ნავთი, ასკანიდი, მინერალური წყლები... მრავალგვარი ფრინველები და ცხოველები...

სახელწოდება გურია?! მრავალნაირად ხსნიან: 1) გურ – ლამაზი, 2) გურ – გული და სხვა.. განაგებდა მთავარი გურიელი (ხშირად მამია, როსტომ, კახაბერ...), სულ შვიდი გვარი იყო თავადური – შალიკაშვილი, ნაკაშიძე, თავდგირიძე, თაყაიშვილი, მაქსიმენიშვილი, გუგუნავა, ერისთავი...

ყველაზე უცნაური დიალექტი გურიაშია – ბერძნულიდან, თათრულიდან, მეგრულიდან შემოსული სიტყვები უფრო ასხვაფერებენ მას...

ყველაზე განსხვავებული ნაციონალური ფორმა მხოლოდ გურიაშია, ე. წ. „ჩაქურა“...

გურია პატარა, მაგრამ ამაყია... მე როცა გურიას წარმოვიდგენ – თვალწინ დამიდგება მკვირცხლი ჭაბუკი, ჩაქურაში გამოწყობილი, რომელიც წკიპზეა შემდგარი და „ჰაიბ“ – შეძახება სურს...

საერთოდ კი გურია თავისი მდებარეობით და ბუნებით მთელი საქართველოა მინიატურაში...

### ჯორჯ გორდონ ბაირონი

აი, ადამიანი, რომელსაც სრული უფლება აქვს თქვას: „ვცხოვრობდი!“ – მსოფლიოში ულამაზესი მამაკაცი, პოეზიის ჩაუქრობელი გენია, უშიშარი მებრძოლი, შეუდარებელი მოცურავე, თავზეხელაღებული მოკრივე და დიდებული ლორდი... – აი, ვინ იყო ეს კოჭლი კოსმოპოლიტი, რომლის ბობოქარი გულისათვის გალიას წარმოადგენდა მთელი სამყარო... ვიღაცის მოსწრებული თქმისა არ იყოს: მას მხოლოდ ორი ნაკლი ჰქონდა – კოჭლობა და ინგლისელობა...

სხვათაშორის, იგი მშვენიერი სქესის მპყრობელიც იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისი მართო შეხედვაც კი გულს უწუხებდა ქალებს... ბრწყინვალე წარმოშობის ქალწულები სთავაზობდნენ მას თავიანთ უმანკობას...

მერი დეფუ, მარგარიტა პარკერ, მერი ჩავორტ, კაროლინა ლემ, ანაბელა მილბეკ, ჯენი კლერმონტ, მარინა სეგატ, ელეონორა ფერრისკი, მარგარიტა კონნ, ტერეზა გამბა და მრავალი სხვა ევროპის ულამაზესი და უკეთილშობილესი ქალი, რომლებთანაც ბაირონს ჰქონდა სიყვარულის ქსელი გაბმული უბრალო ოფიციანტ, მზარეულ, ფარეშ, მეძავ ქალებთან და საკუთარ ნახევარ დასთან ერთად...

...და იგი მოკვდა შორს მის მიერ დავობილი ინგლისიდან გაქცეული – საბერძნეთში, თავისუფლებისათვის მებრძოლთა მკლავებზე დალია თავისი ბობოქარი სული... იტალიურად წარმოთქვა მან თავისი უკანასკნელი სიტყვები – „ახლა მე დავიძინებ!“

1950 წ. დედაქალაქი

**მიუწვდომელი**

მ. ი-ს

ჩემს სარკმელთან ხშირად გიხდება ჩავლა....

ისე დადიხარ, როგორც მთის ლალი ჯეირანი... შენ – სრული განსახიერება ქართველი ქალისა... შენ:

ოდნავ კეხიანი, მორთოლვარე ნესტოებიანი ცხვირი... ზნეკილი, მიჯრითწყობილი წამწამები... გაფრენილი წარბები... თვალები დიდი, ნამიანი, პრიალა... ტუჩები – მარწყვებია წუწნისთვის გაჩენილი... ტანი მოქნილი კალმახივით და ვნებიანი... ფეხები ჯიშიანი, ჩამოსხმული... ეს შენი პორტრეტის მეცხრე ასლია...

შენ მიგოგმანობ... არავისა გრძნობ, არაფერსა გრძნობ... მიდიხარ კდემამოსილი და ზვიადი...

ხარ და იყავი ასეთი მშვენიერი... მე რა შესაქმება... მე რატომ დაგიშლი.... მაგრამ ხშირად გიხდება ჩემს სარკმელთან ჩავლა და მსურს, რომ თვალებით ამოგიზიდო ზევით... შენც მამჩნევ ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილს და არასოდეს არ ამომხედავ ზევით... დღესაც ეს მოხდა – თავი მიიბრუნე იქით, ჩემმა თვალებმა თუ დაგაბნია – ფეხი ავეშალა... გაწითლდი და მაინც არ ამომხედე... თავდახრილმა ნაბიჯს უმატე... მაგრამ როცა იქნება, ამოიხედავ და მაშინ... მაშინ შენი თვალები ჩამომიზიდავს ქვევით...

ხარ და იყავი ასეთი კარგი... მე რად დაგიშლი?! მუხლმოდრეკის ჩვევა არ მქონია არასდროს და ვერც შენ შემადლებინებ ამას...

1948 წ. დედაქალაქი

## მოთხრობები

### ციცო

ციკლიდან: „ახალი დეკამერონი“

ჩვეულებრივი ფუსფუსია რკინიგზის სადგურში.

გაჩაღებული სააგარაკო სეზონია და ეს სადგური ამ დროს ლტოლვილთა უზარმაზარ ბანაკს ემსგავსება. საიდან და საითკენ არ მიემგზავრებიან დამსვენებლები. ჭადაროსანი პენსიონერები და წითელყელსახვევიანი პიონერები, გრუზათიანი ჭაბუკები და გარუჯული ქალიშვილები, შორეულ რუსეთიდან გასამაგებლად წამოსული ოჯახები და იოლ მოგებას დაჩვეული სპეკულანტები ამ საკვანძო სადგურის სტუმრები არიან დღიან-ღამიანად.

სადგურის უკან პატარა მოედანი გადაკვერი და ავტობუსების განრიგი ვიკითხე. დასავლეთ საქართველოდან წამოსული კომფორტაბელური ავტობუსები ამ ქალაქს ვერ ასცდებიან და მატარებელში ოთხ საათს ჯაყვჯაყს კი ნამდვილად სჯობს მანქანით მგზავრობა.

– შეიძის ნახევარზე ბათუმი-თბილისი გამოივლის, ადგილები თუ ექნა! – მიქნარებით მიპასუხა ხშირი შეკითხვებისაგან თავგაბეზრებულმა დისპეტჩერმა და ისევ უზარმაზარ დავთარში ჩაჰყო სათვალე-წამოსკუპული ცხვირი.

საათს დავხედე. ხუთიც არ იყო. ახლა ჟურნალ-გაზეთებს ვიყიდი, გადავთვალე რებ და დროც გავა-მეთქი, გავიფიქრე. ჯიბეში ხურდა ფული მოვნახე და „სოიუზპეჩატის“ ჯიხურს მივადექი. ნაცნობმა გამყიდველმა შეუკითხავად გადმომილაგა ჟურნალ-გაზეთების უკანასკნელი ნომრები. ის-ის იყო მოვბრუნდი და ძახილიც მომესმა:

– მამუკა, მამუკა!

ჩემკენ მაღალი ტანის, მზეზე დამწვარი ქალიშვილი მოემართებოდა, პატარა ჩემოდნით ხელში.

– ოჰ, ციცო?! საიდან, როგორ? – გულგაშლით შევეგებე, მანაც აღარ დააყოვნა და ერთმანეთი და-ძმურად გადაკოცნეთ.

– როგორ მიხარია, მამუკა, რომ გნახე. სულ მარტო ვარ. თბილისში მიდიხარ, ხომ? მეც! ორი კვირა გაგრამი ვიყავი, ახლა ჩემს დას გამოუვარე ცემში – იქ ისვენებს ქმარ-შვილით და უკანვე



ვბრუნდები თბილისში. შენ? ჰო, თუმცა აქეთ ხარ და ხშირად გიწვევს თბილისში მგზავრობა... ო, როგორ მიხარია, როგორ! – შეუჩერებლივ ლაპარაკობდა ციცო და შუბლზე ჩამოყრილ კულულებს ჩვეულებისამებრ თავის კონტა აქნევით იშორებდა.

სკამზე ჩამოვსხედით. მე ძალიან დინჯად ვიქცეოდი, რადგან ვატყობდი, რომ მგზავრობა ცნობისმოყვარე თვალებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ ქალის ასეთი თამამი ქცევა და უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი.

ექ, რას იზამ! ნეტავ იცოდნენ, რა ოქრო ადამიანია ეს ახტავჯანა გოგო, ბევრ ძმაკაცში არ გაიცვლება. თვითონაც „ძმაკაცს“ ვეძახდით მეგობარი ბიჭები. დიდი ხანია, საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობთ მე და ციცო ერთმანეთს! ჯერ კიდევ უნივერსიტეტში დავემეგობრდით. დიას, დავემეგობრდით, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მაინც საოცარი ბუნების ადამიანია ციცო. ბიჭებთან უფრო ახერხებს დამეგობრებას, ვიდრე გოგოებთან. ბიჭებიც თავიდანვე ისე ვექცეოდით, როგორც ბიჭს. თავადაც უცნაური ხასიათისაა, მეტისმეტად თამამი და ხმაურიანი. ვერ იტანს განაზებულ, მეშინ „გოგოშეებს“ (მისივე სიტყვებით). და არაფრის არ ეშინია ბიჭების გვერდით. ბევრი, ძალიან ბევრი კარგი გვასხოვს ბიჭებს მისგან. აქო და დალევა მოგვიწოდებოდა... „ჩემი თავი გენაცვალოთ“, – წამოიძახებდა ციცო, თავის სტუდენტურ ოთახში კი მუდამ ჰქონდა კახეთიდან მამის ჩამოტანილი ჭაჭის არაყი და კარდანახული. აქო და აი ის გოგო მავანს მოსწონსო... „ჩემი თავი გენაცვალოთ“ – გადაიკისკისებდა ციცო და მეორე დღეს საქმე უკვე „გაიმასქნებული“ იყო... დატალიკებული ბიჭები რამდენჯერმე მიგვაყენა საქეიფოდ მამამისს კახეთში. ყურიც არ დაუგდო სოფლის დედაკაცების ვიშვიშს: „უი, ქაა... სუ ბიჭები არ ჩამაიყვანა ამ ყაჩაღანამ...“ მე ბუნებით არ შემიძლია ასეთ ქალთან მეგობრობა – ვერ ვიტან ზედმეტად თამამ ქალებს, მაგრამ ციცო სულ სხვა ყაიდისა იყო. თავისებური და განუმეორებელი. უკან დარჩა სტუდენტობის უზრუნველი და გიჟმაჟი დღეები. ბევრს დღესაც არ სჯეროდა ციცოს პატიოსნება და თუ ამაზე სიტყვა წამოცდებოდა, პირველად ჩვენ, – ციცოს „ძმაკაცები“ შევუტევთ ხოლმე გაშმაგებით... უკვე ოცდათხუთმეტ წელს გადასცდა, მაგრამ... მაგრამ ისევ ისეთივე დარჩა, ყველას მეგობარი და მაინც მარტოხელა... მისი „ძმაკაცები“ კარგახანია ოჯახს მოვეკიდეთ და ახლა, შაბათ-კვირაობით ცოლ-შვილთან ერთად სერიოზული სახით დავსეირნობთ

პროსპექტზე. ციცი ისევ ძველებურად გვხვდება ყველას, მაგრამ მაინც ერიდება. ერიდება ზოგიერთი „ძმაკაცის“ ეჭვიანი მეუღლისა. ერიდება ყბამოუღლელ ჭოროკანათა ენას. ბოლო ხანებში მის ბრიალა თვალებში ხშირად გამჩნევთ სევდას. რაღაცის თუ ვიღაცის მიმართ უსაზღვრო კაეშანს... ცხოვრებაზე უნაპიროდ შეყვარებული, სიმზიარულისა და სიანცის კერპი ციცი, გარეგნულად უზრუნველ-უდარდელი, ამავე დროს შინაგანად საოცრად ეული და საცოდავი იყო. ამას ყველანი ვატყობდით. ასეთი ბუნების ქალებისადმი თითქმის არცერთ ვაჟს არ ებადება სიყვარულის გრძნობა, მეგობრობას უფრო არჩევენ.

– შენი ცოლ-შვილი საით არის, მამუკა? – შეშეკითხა ციცი.

– სოფელში არიან დედასთან, მეც მალე წავალ.

– მოგენატრნენ, არა?!

– რა თქმა უნდა!

თითქოს ღრუბელმა გადაურბინაო სახეზე. ცოტა ხნით ჩაჩუმდა. მივუხვდი და მზიარულად შევეკითხე:

– აბა, მომიყევი, როგორი დრო გაატარე გაგრამში!

– ოჰ, მოწყენილობაა, ყველგან მოწყენილობა!

ნახევრად ჩურჩულით, ზედ ყურთან მითხრა. საოცრად ხავერდოვანი, ღულუნა ხმა ჰქონდა ციცოს და მისი ხორციანი, უფერული ბაგეებიდან წამოსული სიმხურვალე ყურში სასიამოვნოდ მილიტინებდა...

– დღეს უცნაურ სასიათზე ვარ, მეც არ ვიცი, რატომ! არ ვიცი საერთოდ რა მინდა... – ისევ მეჩურჩულებოდა ციცი, – გავიგე შენი ღონ-ჟუანობის ამბები და ისიც, რომ ძველებურად ლოთობ!

– არა, ციცი, ტყუილია! „მგელს მგლობა დაერქვაო“, თორემ... მეორეც, ხომ იცი, ღვინის მოყვარულს ქალები არ უყვარს და პირიქით.

– შენა ხარ ასეთი შერწყმის საუკეთესო ნიმუში, – გადაიკისკისა ციცომ, – ჰო, მართლა, წამოდი რა, შევჭამოთ რაღე, დილას აქეთ მშიერი ვარ...

– წავსულვართ! – მოკლედ წამოვიდახე და იქვე, სადგურის რესტორანში შევედით, ხელის აწევით მივესალმე ნაცნობ დახლიდარს და განაპირა მაგიდას მივუსხედით.

ჩვენთან კოსტად ჩაკურატებულმა რუსის ქალმა მოიბრინა, ძალზე შეენოდა თავზე რაღაც გვირგვინისებური თეთრი საბურავი

და წელზე მაგრად შემოჭერილი წინსაფარი. მან ღიმილით, ოდნავ შესამჩნევი შურით გადახედა ციცოს, მომესალმა და მოჩვენებითი საყვედურით მომმართა:

– რამდენი ხანია არ გამოჩენილხარ. ასე უნდა ძველი მეგობრების დავიწყება ახლების ხარჯზე.

ციცო წამოწითლდა. მე გამაბრაზა ქალის გადამეტებულმა ინტიმურობამ და ცივად ვუთხარი:

– ნაღია, ეს ახალი მეგობარი ჩემი ძველი მეუღლეა!

თვითონაც გამიკვირდა, რატომ ვთქვი ასე. მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ ეს ხერხი უკეთესი იყო. მართლაც და ისე გაეხარდა ნადიას, თითქოს დღენიადავ ჩემი ცოლის გაცნობას ოცნებობდა.

– ოჰ! სასიამოვნოა! – მივარდა, ხელი ჩამოართვა და თავიც გააცნო, – ნადიას მეძახიანო.

ნამდვილი მეუღლე ასეთ შემთხვევაში ერთ ამბავს ატეხდა, მაგრამ ციცო ხომ მეუღლე არ იყო...

ოფიციალტმა ქალმა შეკვეთა მიიღო და წავიდა. დადუმებული პაპიროსს ვეწეოდი და თვალს ერთ წერტილს არ ვაშორებდი. ვიგრძენი, რომ ციცო დაჟინებით მიყურებდა. მეც შევხედე. უხერხულად ააფახულა წამწამები და დაბნევით გამიღიმა. ამ წამიერ შეხედვაში რაღაც ახალი, მანამდე შეუმჩნეველი ამოვიკითხე ციცოს წყლიან თვალებში. შევკრთი კიდევაც და მეც გავიღიმე.

– რა უბრალოდ, ვითომდაც არაფერიო, ისე გამასაღე მეუღლედ, – თითქოს სამდურავი კილოთი მითხრა ციცომ.

– თქმაზე ადვილი რა არის?! – ისევ ჩავიღიმე.

– მთავარი საქმეა, არა?! – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ამოიოხრა და თავი ჩალუნა.

გაკვირვებულმა თვალი შევავლე ციცოს და წამწამებზე დაკიდებული ცრემლები შევნიშნე.

– რა მოგივიდა, გოგო?!

– არაფერი... არაფერი... – სწრაფად ჩაიჩურჩულა და ცხვირსახოცი მოიმარჯვა, – მამუკა, სიმართლე მითხარი, შენ და ეს ქალი, ნაღია, ხომ...

გამეცინა და უარის ნიშნად თავი გავაკქნიე.

– ვის ატყუებ! განა ვერ ვამჩნევ, რომ გაგიჟებულია შენზე, თვალებით გჭამდა...

– კახპაა, მაგას უყურებ?!

ამასობაში ნადიაც მოვიდა სანოვავით. ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და აშკარად განგებ მეხახუნებოდა თავისი უზარმაზარი თეძოებითა და აფუებული ძუძუებით. მომაგონდა ამ საოცრად ვნებიან ქალთან გატარებული ღამეები, მისი ცხელი და ქათქათა სხეულის ნაკვთები და გავიფიქრე: რამ შემახვედრა ციციოს, ამაღამ ნადიასთან დავრჩებოდი-მეთქი.

...სადილობა დავამთავრეთ.

ციციო სულ ჩუმად იყო, თითქოს გამოცვალესო. მე პაპიროსს მოვუკიდე. სასიამოვნოდ მივლიდა სხეულში დაღეული ორასი გრამი კონიაკი. ახლა უფრო დაჟინებით ვადევნებდი თვალს შავ, ვიწრო ქვედატანში გამოკვართულ ნადიას უსირცხვილოდ გამობზევილ უკანალს... შევატყვე, ციციომაც დაიჭირა ეს ცქერა და პაპიროსი მომთხოვა. ვიცოდი, რომ ხანდახან ეწეოდა, მაგრამ საჯაროდ, ხალხში არასოდეს მინახავს, რომ ციციოს მოეწიოს. ციციომაც დალია ცოტაოდენი კონიაკი და დაწვები შეფაკლოდა, უხერხულად დაიჭირა გრძელ თითებში პაპიროსი და უხერხულადვე, ქალურად გააბოლა...

ისევ ვღუძმდით. არც ერთს არ გვინდოდა წამოდგომა. მერე მანქანა გამახსენდა და საათს დავხედე:

– აუჰ!

– რა იყო?

– შვიდს თხუთმეტი აკლია, ავტობუსი წავიდოდა უკვე!

– წავიდოდა და წავიდე, მატარებელს გავყვეთ.

– მეზარება მატარებელი.

– მაშინ დავრჩეთ!

– დავრჩეთ?!

– ჰო, დავრჩეთ. ძალიან მინდა ამაღამ დარჩენა... მამუკა, გეხვეწები, დავრჩეთ და დილით წავიდეთ.

– კი, მაგრამ, სად?!

– სასტუმროში!

– სასტუმროში?! – კიდევ უფრო გამიკვირდა, მაგრამ ისეთი თხოვნა ამოვიკითხე ქალის თვალებში, რომ დავეთანხმე:

– კარგი, თუ დარჩენაა, დარჩენა იყოს!

...დაღამებული იყო, როცა სასტუმროს მივაღექით. დროის მოსაკლავად რაღაც უნიჭო ფილმს დავესწართ და ვმიშობდით კიდევ, ვაითუ, ადგილები აღარ იყოსო. სამსახურის გამო ხშირად მიხდებოდა ამ სასტუმროში ღამის გათევა და ნაცნობობის იმედი მქონდა.

ადმინისტრატორმა ეშმაკურად გამიღიმა და სრულიად უცერემონიოდ აათვალიერა ქალი. რამდენჯერ გაუკვაჭავს ჩემთვის „ამნაირი“ საქმეები და კარგი გასამრჯელოც მიუღია...

– სანდრო, ორი საწოლი დილაძდე!

– ერთად, თუ... – ცალკებად შემეკითხა ადმინისტრატორი. მინდოდა მეთქვა, რომ ცალ-ცალკე, საერთოშიც არა უშავს-მეთქი, მაგრამ ციციმ დამასწრო:

– რასაკვირველია, ერთად!

გავოცდი, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე ადმინისტრატორთან, რომელიც ალბათ, არანაკლებ გააოცა ქალის ასეთმა ურცხვობამ. „მთლად გავარდნილი ბოზი მოგიყვანია, ჩემო ძმაო“ – ამოვიკითხე მის თვალბში.

მე და ციცი კიბეებს შევეუდექით.

– რატომ გაგიკვირდა ჩემი სიტყვა?! არ დაგვიძინია ერთ ოთახში თუ? – შემეკითხა ციცი.

– როდის?

– არ გახსოვს, ქუთაისში?!

– ჰოო, – ჩავიბურტყუნე დაბნეულმა და მომაგონდა.

ოთხიოდე წლის წინათ ექსკურსიაზე ვიყავით გელათში. ქალი ციცი იყო მხოლოდ. სასტუმროშიც ცალკე ოთახი გამოუყვეს, მაგრამ მარტო უფრო შემეშინდებო და ერთ ოთახში დავიძინეთ ყველამ. დაწოლის წინ გარედ გამოგვყარა, გაიხადა, ჩაგორდა ლოგინში და მერე დაგვიძახა – შემოდითო.

მაგრამ მაშინ ხუთნი ვიყავით და ახლა მარტო ვარ! მართალია ციცი ციცი, მაგრამ ციცი ქალიცაა ამავე დროს, ეშმაკმა დასწყევლოს ქალის მომგონი საერთოდ.

ფუ! რა სულელი და ვერაგი ვარ. გოგო რამდენი ხანია ძმასავით მიყურებს, ძმასავით მომენდო ახლაც და მე მაინც ამისთანა უმსგავსობას ვფიქრობ.

კი, მაგრამ ასე რატომ აიჩემა დარჩენა?! ჩემს გულს მაინც ეჭვი ღრღნიდა...

ოთახში შევედი და სინათლე ავანთე.

ეს სწორედ „ჩემი“ ნომერი იყო. ძალიან ბევრჯერ გამითევია აქ ღამე და არც ისე ხშირად ვყოფილვარ მარტო. ის გავასქელი ნადიაც არ იყო იშვიათი სტუმარი ამ ოთახისა.

ორი საწოლი, ორი ტუმბო, ტანსაცმლის კარადა, პაწია მაგიდა, ერთი სკამი, გრაფინი, ჭიქა და საფერფლე... ზეპირად ვიცოდი ეს ნივთები.

ციცომ ფანჯარა გამოაღო და პაპანაქებით ჩახუთულ ოთახში ბორჯომის ხეობიდან მონაბერი სიგრილე შემოიჭრა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმოდა. ჯერ ახლადნაყიდი ჟურნალი გადაფურცლე, მერე გრაფინით წყლის მოსატანად წავედი. როცა შემოვბრუნდი, ციცოს აღმინისტრატორისაგან წამოღებული თეთრეული გაეშალა და ქვეშაგებს აკრავდა...

მხოლოდ ერთი ლოგინი გააწყო და ჩამოჯდა ზედ.

შემომხედა და წყნარად, ძალიან წყნარად დამიძახა:

– მამუკა!

წამოვდექი. ლაპარაკის სურვილი სრულებით არ მქონდა. რაღაც გამოუცნობ მდგომარეობაში ვიყავი.

– მამუკა, ჩააქრე სინათლე, რაღაც მინდა გითხრა და სინათლეში მრცხვენია. სიბნელეში უფრო თამამად გეტყვი...

ჩავაქრე სინათლე. გარედან შემოსული შუქი ძალიან მკრთალად ანათებდა ოთახს. ძლივს იხაზებოდა ციცოს სილუეტი...

– მამუკა, მოდი, ჩემთან ჩამოჯექი...

დავჯექი ციცოს გვერდით.

– მამუკა, მისმინე... მისმინე და ნუ გაოცდები... მისმინე და ნუ დამძრახავ...

– გისმენ, ციცო... – ვეღარ ვიცანი ჩემი ხმა.

– ათ წელზე მეტია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ. ვიცნობთ კი არა, მეგობრები ვართ. ხომ მართალია, მამუკა?!

– მართალია, ციცო...

– ჰოდა, ხომ იცი ჩემი ბუნება?!

– ვიცი, ციცო...

– ისიც ხომ იცი, რომ მე მამაკაცი არ მომკარებია... ხომ გჯერა, მამუკა?!

– მჯერა, ციცო...

– ხომ ხარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად არასოდეს უკოცნია ჩემთვის ბიჭს?!

– დარწმუნებული ვარ...

– ხომ გჯერა, რომ ჩემთვის არავის მოუხვევია ნამდვილი სიყვარულით ხელი და არ ჩავუკრივარ მკერდში, მამუკა?

– მჯერა, ციცო...

– ისიც ხომ იცი, მამუკა, რომ მამაკაცის თითები არ შეხებია ჩემს ძუძუებს?!

– ვიცი, ციციო...

– მე არასოდეს ვწოლილვარ ბიჭთან, მამუკა! მე წარმოდგენა არა მაქვს ალერსზე, მამუკა! მე სიზმარშიაც არ ვიცი, რა არის მამაკაცი... არც არავის არაფერი მოუყვლია ჩემთვის... ხომ იცი, როგორ გავუბრძვარ ქალებთან მეგობრობას, მამუკა!

– ვიცი, ციციო...

– ჰოდა, გთხოვ, გემუდარები... განმაცდევინე ყველაფერი, გარდა იმისა... განმაცდევინე ყველაფერი ამ ღამით... ყველაფერი, გარდა იმისა... დაფიცებული მაქვს, რომ უმანკოდ ჩავიდე საფლავში... დავრჩე მარადი ქალწული, მაგრამ დანარჩენი კი განვიცადო... გამიგე, მამუკა?!

– გაგიგე, ციციო...

– შენ ვაჟკაცი ხარ, მამუკა... მე მჯერა შენი... ეს ღამე შენს გულში დაიმარხება, არავის გაუმხელ... და კიდევ შენ გენდობი, ღამინდობ, მამუკა... შენ ვაჟკაცი ხარ... ხომ მართალია, მამუკა...

– მართალია, ციციო...

– მადლობთ, მამუკა... რომ გამიგე და გეცოდები...

ძლივს წამოვდექი, ჰაპიროსს მოვუკიდე. ახლავე მოვალ-მეთქი, ჩავიბურტყუნე და ოთახიდან ბარბაცით გამოვედი.

თავი თითქოს ღამიცარიელდა. ფიქრიც აღარ შემეძლო. დავეშვი კბიებზე და სასტუმროს რესტორნის კარები შევადე.

სამი თუ ოთხი დავგიანებული მოქეიფე ჭიჭყინებდა. დახლიდარს ძილი მორეოდა. მივედი და ვიტრინის მინაზე დავუკაკუნე!

– ვა, მამუკა! რა მოგვლია, ფერი აღარ გაქვს! – წამოიძახა დახლიდარმა და მომაშტერდა.

– გავცივდი, აშოტჯან, მწარე მომიხდება!

– ჩემი თავი გენაცვალოს... რას დალევ?!

– თეთრს...

– რამდენს?

– ასორმოცდაათს...

– დასაყოლებელი?

– მჟავე გექნება...

– შაბუსტა! მამუკა!...

ამ იდიოტს თავისი ძმაკაცი ვკონივარ, ხშირად რომ მიყვარს დალევა.

– ერთიც დაასნი...

- ასი?
- რამდენიც იყო...
- ვააა...

„ვაი შენ და დარღუბალა“ – გავივლე გულში და სულმოუთქმელად გადავკარი... მჟავე პამიდორი მივაყოლე და აშოტას სამმანეთიანი გავუწოდე...

- დანარჩენის დილას დამალევინე!
- ბაშუსტა!

უცბად გამინათდა გონება. ხასიათზედაც მოვედი და სტვენით ავუყევი კიბებს. ჩვენი ოთახის კარები გამოვადე. ციცი უკვე ჩაწოლილიყო ლოგინში. ბუნდოვნად იხაზება მისი სხეულის ნაკვთები საზაფხულო საბნის ქვეშ.

- დალიე?.. – მომესმა მისი ჩურჩული.
- ჰო!
- რამდენი?
- სამასი...

ნელ-ნელა ვიდრობ ტანზე და ასევე ნელ-ნელა, ფაქიზად ვაწყობ სკამის საზურგეზე, სულაც არ ვჩქარობ, თუმცა რა მაქვს საჩქარო. მე კარგად ვიცი, რა წამების ღამე მომელის... მახსენდება ხევსურული „წაწლობა“, ეს ველური ჩვეულება, ტკბილ-მწარე ტრადიცია... ნუთუ იმათზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ?!

გავიხადე და საბანი ავწიე... ციცომ კედლისკენ დაიხია... თან სახეზე ხელები აიფარა... ვერ გავიგე, ტიროდა, თუ იცინოდა...

\* \* \*

ავტობუსი გაჩერდა ვერის ხიდთან. ციცომ თავისი ჩემოდანი აიღო და მითხრა:

- მე აქ ჩამოვალ, მამუკა! მადლობთ...
- არაფრის, ციცი... ნახვამდის!



## დილოგი სასტუმროს დერეფანში

- ქალიშვილო, თქვენც ამ სასტუმროში ხარ?
- დიას!
- მარტო?
- დიას, სრულიად მარტო!
- ძალიან სასიამოვნოა...
- რატომ?
- იმიტომ და ამიტომ, რომ მომწონხართ...
- ნუთუ?!
- ნამდვილად, გენაცვალე...
- მაინც რა მოგეწონათ ჩემი?
- ვინაიდან ზიხართ, მხოლოდ სახის შესახებ მოგახსენებთ, თუ ადგებით და გაივლ-გამოივლით, მაშინ შეეცდები მთლიანი შთაბეჭდილება ჩამოვაყალიბო...
- სიამოვნებით. აი, ავდექი, გავიარ-გამოვიარე...
- აჰა! ცოტაც კიდევ... დაბრძანდით!
- გისმენთ, ბატონო!
- გაქვთ შესანიშნავი ფეხები, რაც ქალის უმთავრესი ღირსებაა. ერთი ქულა! შემდეგ... მომწონა თქვენი მაღალი თეძოები, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ორი ქულა! გადავიდეთ ხელებზე...
- ინებეთ.
- თითები არა! მკლავი... ზევით, უფრო ზევით... ოჰო! მშვენიერია! სამი ქულა! ახლა სახე. მომწონს თქვენი წამწამები და წარბები – მეტად კონტაა. ოთხი ქულა! და... ტუჩები – ამობურცული და ნამიანი. ესეც ხუთი ქულა!
- თვალები და კბილები გავიწყდებათ!
- არა, მე სათვალავში არ ვაგდებ ისეთ რამეებს, რომლებსაც დასახური კარები აქვთ.
- მეტი, მეტი არაფერი მოგწონთ ჩემი?
- არა! მე ქალებს ვაფასებ მხოლოდ ხუთბალიანი სისტემით. ექვს ქულას ჩემგან სოფი ლორენიც ვერ მიიღებს!
- კარგი. აბა, რა არ მოგწონთ?
- რა არ მომწონს და... არა, გავლა აღარ გინდათ! არ მომწონს თქვენი თმები.

- ჰმ, რატომ?
- იმიტომ და ამიტომ, რომ ნამეტანი აჩეჩილი გაქვთ...
- პადუმაეშ!..
- პადუმაიუ ეშჩო რაზ! დიახ, მანც არ მომწონს... შემდეგ... არ მომწონს თქვენი მკერდი.
- ჰმ, რატომ?
- შეხედვით რბილი მოჩანს, ალბათ, შეხებითაც ასე იქნება.
- ასე რომ ხუთით ორი!
- შესანიშნავი ანგარიშია! ახლა თქვენ მითხარით, რა არ მოგწონთ ჩემი. მხოლოდ მხეღველობაში ნუ მიიღებთ იმას, რომ ვარ ნასვამი, ორმოცი წლის, ცოლ-შვილიანი და წვერიც მესამე დღეა არ გამიპარსავს...
- მე არ მომწონს თქვენი თვალები!
- თვალები?! ჩემი თვალები ყველას მოსწონს!
- მოჟუტ ბიტ! მაგრამ ახლა ისინი ამღვრეულია და უსირცხვილოდ მისჩერებია ჩემს მუხლებს...
- ეს კაბის ბრალდია...
- კაბა კი მოდის ბრალდია!
- მოლა ვისი ბრალდია?
- არ ვიცი! ჰო, კიდევ არ მომწონს თქვენი...
- რა, იქნებ ცხვირი?
- ძალიან გამაზსენეთ, საკმაოდ მოზრდილია და გაბუშტული...
- გმადლობთ!
- არაფრის! არ მომწონს...
- კმარა! ორი ქულა – „არ მოწონების“. ახლა, გენაცვალე, საერთოდ თუ მოგწონთ ჩემი რამე?
- მომწონს თქვენი ტალღისებური, აქა-იქ ჭადარაშერეული აბრეშუმით თმები.
- ერთი ქულა!
- მომწონს თქვენი ლამაზი, თაფლისფერი უღვაშები.
- ორი ქულა!
- მომწონს თქვენი ძლიერი და კონტა თითები...
- სამი ქულა!
- მომწონს... მეტი არაფერი!
- ესე იგი, სამით ორი. თქვენ გაიმარჯვეთ!
- რა თქმა უნდა, როცა მე საშუალება არა მაქვს შევაფასო

თქვენი სხეული ტანსაცმელში, როგორც თქვენ ჩემი...

– ეს იოლია, შევიდეთ ჩემს ნომერში და ორ ქულასაც იქ მოვიპოვებ. ფრედ დავამთავროთ თამაში!

– შევიდეთ! მაგრამ თქვენი სახელი?..

4.3.67

## შარპალი

*„ვეელას არ შეუძლია ოტელოს როლის შესრულება“  
ბალზაკი*

დიმიტრი სადგურიდან მომავალ ტრამვაიზე ჩამოსტა და მომცრო ჩემოდნით ხელში ბინისაკენ გაემურა.

თენდებოდა.

ქუჩაში კანტიკუნტად გაისმოდა ფეხის ხმა, მხოლოდ მეეზოვენი ჰგვიდნენ ფილაქნებს.

დიმიტრიმ სახლის კიბეები აიარა, თავისი ოთახის კარებს მიადგა და გაიფიქრა: „როგორ გაუკვირდება ნორას და რასაკვირველია, ძლიერ გაეხარდება, მივლინებიდან ორი დღით ადრე რომ ჩამოვიდი“.

ვინაიდან დღეს სამსახურში გამოცხადება არ ევალებოდა, წარმოიდგინა, ნამგზავრი როგორ ჩათბებოდა ნორასთან ჩახვეული, რომელსაც ახლა ტკბილად სძინავს და სიზმარში თავის საყვარელ ქმარს ხედავს...

დიმიტრი საერთოდ გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან და ცოლს არ აწუხებდა კარის გაღებისათვის, – ყვითელი თითბრის გასაღები მუდამ ჯიბეში ელო...

აი, ახლაც ამოიღო და უხმაუროდ გადაატრიალა...

შევიდა, ჩემოდანი დადო და ფეხაკრეფით გაემართა საძინებელი ოთახისაკენ, რომლის ნახევრად ღია კარებიდან ლურჯი სინათლე გამოკრთოდა...

დიმიტრიმ ფრთხილად გადასწია ფარდა, საწოლისაკენ გაიხედა, მაგრამ იქვე გაქვავდა რეტდასხმული...

„მშვენიერი“ სანახაობა გადაეშალა თვალწინ:

მისი მეუღლე, მისი ნორა კატის კნუტივით ჩახვეოდა ვიდაც მამაკაცს და თავის ნაზ ფშვინვას შეწყობილად უერთებდა უცნობის ბარიტონით ზვრინვას... საბანი თითქმის გადასძრობოდათ და დიმიტრიმ კარგად გაარჩია, თუ როგორ იყო მათი სხეულები გადახლართული...

ორივეს ღრმად ეძინა...

დიმიტრი ჯერ გამოლენჩებული შესცქეროდა ამ „დილიურად დამატკობელ სურათს“ (რა თქმა უნდა, არა მისთვის), შემდეგ კი ნელა მიუახლოვდა საწოლს და უცნობ მამაკაცს გადახედა, რომელსაც თავისი ბანჯგელიანი ფეხები არხეინად გადაეწყო ნორას თეთრ წვივებზე...

გადახედა და განცვიფრებისაგან ქვემო ყბა ჩამოუვარდა: მისი „საუკეთესო მეგობარი“ ელიზბარი აღმოჩნდა...

დიმიტრის გული ამოვარდნას აპირებდა ბუდიდან, მაგრამ მისმა მარად დინჯმა და თავშეკავებულმა ბუნებამ აქაც გაიმარჯვა...

მწარედ გაიღიმა...

იქვე, სკამზე უწესრიგოდ დაყრილ ტანსაცმელს მიაშტერდა და რაღაც ფიქრისაგან სულელივით ისევ გაიღიმა...

...ძეორე ოთახში გავიდა.

გულისტკივილით მოავლო თვალი ყველაფერს...

„აღარასოდეს აღარ დავბრუნდები... ნორას თავიდანვე ეტყობოდა, რაც იყო... მე დამანელა, ჩამომანძმო და მის დაკმაყოფილებაც მაინც არ დაადგა საშველი... ნიმფომანითაა შეპყრობილი“, გაიფიქრა...

ჩქარი ნაბიჯით დასტოვა ოთახი და პირველად ღარჩა კარებში ყვითელი თითბრის გაპრიალებული გასაღები...

ოთახში ისევ გამეფდა ორი დამტკბარი ადამიანის სხვადასხვა აკორდებზე მჟღერი ხვრინვა...

ის-ის იყო ნორამ ელიზბარი გააღვიძა და გაუმაძღარი ქალი ისევ ალერსს თხოულობდა, რომ კარებზე კაკუნი ატყვდა...

ცივმა ოფლმა დაასხა ორთავეს...

„ვაი თუ დიმიტრია, – გაიფიქრა ნორამ, – მაგრამ ჯერ ერთი, დღეს არ ჩამოვიდოდა და რომც ჩამოსულიყო, კაკუნს არ დაიწვებდა, გასაღები აქვს, – დაიძიედა ქალმა თავი და სწრაფად ჩამოსრილდა საწოლიდან, რადგან კაკუნი ბრაზუნში გადაიზარდა და ლაზათიანი წიხლის მორტყმაც გაიგონა...

სრულიად ტიტველმა საჩქაროდ გადაიცვა ღამის პერანგი და კარებთან მიიბრინა... ძალიან გაუკვირდა, დაკეტილი რომ არ აღმოჩნდა... გარედან გაკეთებული გასაღები არც შეუმჩნევია...

– ვინ არის? – გასძახა.

– ნორა, გააღე! – მოესმა ქალის ანერვიულებული ხმა. ნორამ

უცხად ვერ შეიცნო ხმა, ანგარიშმიუცემლად გამოალო კარები და ოთახში ქარავით შემოიჭრა ლიდა – ელიზბარის მეუღლე...

მან გაკაპასებული ხმით მიაკივლა „მოწინააღმდეგეს“:

– სადაა ჩემი ქმარი?! – მაგრამ პასუხის მოუცდელად დამთხვეულივით გაექანა საძინებელი ოთახისაკენ...

ელიზბარმა, რაკი თავისი კორიანჩხელი ცოლის გამყინავი მეცო-სოპრანო შეიცნო, ავაზასავით ისკუბა საწოლიდან, პერანგის ამხანავი ჩაიცვა (ისიც დედიშობილა იყო) და შარვალს დაუწყო ძებნა, რომ ლიდაც შემოიჭრა...

შეხედა გაფითრებულ, თმებაბურძენულ ქმარს, რომელიც საცვლის ამარა, ნირწამხდარი ატუზულიყო საწოლთან და ისტერიული ხარხარი აუვარდა... როგორც იქნა გამოერკვა ელიზბარი და ძლივს წაიბლუკუნა:

– რა გინდა, დედაკაცო, აქ?!

ლიდამ უეცრად შეწყვიტა სიცილი... ზიზღით გადახედა ოთახის კარებთან, ფარდის ნაოჭებში შემალულ ნორას, რომელსაც სრულ ღამის პერანგშიაც კი გამაღიზიანებლად ეკვართებოდა ძალზე გათქვირული სხეული (თვითონ ლიდა კასპიის ტარანივით იყო გამხმარი) და ქმარს შესძახა:

– რა მინდა?! რა მინდა და დიმიტრიმ გამომგზავნა, ჩემთან იყო ამ დღით და აი, ეს გამომატანა შენთან! – ქმარს გაზეთში გახვეული რაღაც გადასცა, საჩქაროდ გაბრუნდა, კარებთან მკვეთრად მოტრიალდა, თითი ნაპოლეონივით მრისხანედ ასწია მალლა, ფეხი იატაკზე დაჰკრა და ელიზბარს მიაწივლა:

– არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა სახლში მოსული!

...სახტად დარჩენილმა ელიზბარმა და ნორამ კანკალით გახსნეს შეხვეული და ხელში შერჩათ... ელიზბარის შარვალი...

## ზიზი

### ციკლიდან „მრისხანე თავადი“

ქუთაისის განთქმულ ბულვარზე იდგა სამსონი.

ძვირფას ჩონა-ახალუხში გამოწყობილს ოქროთი მოოჭვილი ქამარ-ხანჯალი და ხმალ-რევოლვერი ერტყა. შავი კრაველის ბოხონი წარბებზე ჩამოეფხატა და მიმინოსავით აცქერდებოდა ყველას. განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არ ეპარებოდნენ მის დაგეშილ თვალს. ერთნაირი სიხარბით აშტერდებოდა მდაბიოებსაც და ქალბატონებსაც. არც მანდილოსანთა გვერდით თავმომწონედ მიმავალ მამაკაცებს ერიდებოდა. ისინი ერთი კი დაქადნებით გადმოხედავდნენ ამ თავხედ რაინდს, მაგრამ რაკი ზვიადსა და დაუნდობელ ჩიჯავაძეს შეიცნობდნენ, ვითომდაც აქ არაფერი, ისე თავჩაღუნულნი აგრძელებდნენ გზას. სამსონისგან ხუთი ნაბიჯის დაშორებით ქანდაკივით გაშეშებული, თავით ფეხებამდე შეიარაღებული ორი ინგუშის საზარი გამოხედავაც ახდენდა საჭირო გავლენას.

თავადი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიაცქერდა და თვალები მოწყურა უცბად. მტაცებელი ფრინველის ფრთებივით შემოირტყა ღონიჯი ფართო-სახელოებიანი ხელებით და ერთ წერტილს არ ამორებდა თვალს. მსუნაგურად მოილოკა ტუჩები.

მთელ ქუთაისში ცნობილ წაღების მწმენდავ აისორთან ვილაც გოგონა დაინახა. ჯერ კიდევ ბავშვურ, შავტუხა სახეზე საოცრად ჰმვენოდა წვრილი, გადაბმული წარბები. გრძელწამწამიანი, ბრიალა თვალები ჰქონდა და პაწია, დაბურცული ტუჩები. სვლიკივით მოქნილ ტანზე ეს-ეს იყო ამოკოკრებოდა ძუძუები და დამჩნეოდა თეძოები. ჩამობურულ, ხუჭუჭა თმაზე წითელი ქალაღია მოეგდო. შემოსხლეტილი ზედატანი და მრავალნაოჭიანი გრძელი კაბა ეცვა.

გოგონამ ბროლის კბილებით შესცინა აისორს, რაღაც შეხვეული გადასცა, ორიოდე წუთს ესაუბრა და ბავშვურად, ნახევრად სირბილით გაუდგა გზას.

სამსონმა მგლის თვალები გააყოლა გოგონას. იაფფასიანი საყურეების, ყელსაბამის, ბეჭდებისა და სამაჯურების დანახვაზე ჩაიღიმილა და ჯიქურ გაემურა აისორისაკენ. საკუთარი, წვეილი ჩრდილივით მიჰყვნენ უკან ერთგული ინგუშები.

მწმენდავმა შიშით ახედა თავზე წამომდგარ ბრგე ვაჟკაცს და დადნა მლიქვნელობით:

– დაბზანდი, დაბზანდი... შენი ჩირიმე, ქნიაზ!  
თავადმა თავის სარკესავით გაპრიალებულ აზიურებზე დაიხედა,  
გაიცინა და მოკლედ უთხრა:

– გადაუსვი!

თან ცალი ფეხი ყუთზე შემოსდო...

აისორი უდიდესი გულმოდგინებით შეუდგა თავის საქმეს.  
ჩიჯავაძემ თუთუნი გააბოლა და დაბალი ხმით შეეკითხა:

– ის გოგო რა არის შენი, თათარო?!

აისორმა შეაჩერა გაწმენდა და თავიც არ აუწევია, ისე მიუგო:

– შულია, ქნიაზ... მესხრე შული!

– ბაღნების მეტს არაფერს აკეთებდი, შე უპატრონო?! –  
ჩაიროხროხა სამსონმა.

აისორმა შიშნარეკად შეხედა და გაიკრიჭა:

– როგორ არა, ქნიაზ... ჩექმებს ცმენდავდი!

– რამდენი წლისაა?

– ზამოცის, ქნიაზ! – ვერ მიხვდა აისორი.

ისევ ჩაიროხროხა ჩიჯავაძემ, ახლა მეორე ფეხი მიუშვირა  
მწმენდავს და უთხრა:

– შენი წლოვანება რას მეპიტნავება, თათარო! გოგოზე  
გეკითხები...

– სამეტი მორჩა, ქნიაზ...

– გათხოვილია, თუ...

– არა, ქნიაზ შარშან ვაპირებ...

ისევ გადაინარჩუნა სამსონმა. მიხვდა, რომ ეს „შარშან“ „გაისი“  
იყო აისორისებურად. მერე პირდაპირ მიახალა:

– მომყიდე!

მწმენდავმა აიხედა და გაცოცხლებულმა პირდაღებულმა,  
მხოლოდ ახლა შეათვალა კარგად „მუშტარი“. თვალი მოსჭრა  
მისმა გარეგნობამ, ჩაცმულობამ, ოქრო-ვერცხლმა და მკერდზე  
გამწკრივებულმა ჯვარ-მედლებმა.

– ეეე, მახსარა ქნიაზ?! – თავი გააქნია და ისევ წმენდა  
განაგრძო.

– მახსარაც ხარ და მაიმუნიც, შე ღორის დასმულო! – ანთო  
თავადი და აზიურების ჭვინტი ამოჰკრა ნიკაპში.

ემწვავა აისორს, მაგრამ სამსონის განრისხებულ თვალებს რომ  
წააწყდა, საცოდავად გაიკრიჭა. მაინც იფიქრა, ალბათ, მეზუმრებაო  
და ყასიდად ჰკითხა:

– რას მისცემ, ქნიაზ?!.

– შენ რას აფასებ?

– რა ვისი, ქნიაზ! ჩემი შულია...

– შენი შვილი, თვარა, ჩიჯავაძე ხარ შენც...

– ჩიჯავაძე?! – თვალეები გადმოკარკლა ამ გვარის გაგონებაზე აისორმა. მასაც გაგონილი ჰქონდა სამსონის ავკაცობისა და ავხორცობის ამბავი.

– ჰო, მე ვარ ჩიჯავაძე, გაიგე?!.

ბერიკაცი მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო. აწრიალდა, მიიხედ-მოიხედა. მაგრამ ვისი, ან რისი იმედი უნდა ჰქონოდა ცხრა მთას იქიდან გადმოხვეწილს...

– მე ხუმრობა არ მიყვარს, თათარო! ვთქვი და გავათავე. გოგო მომიყიდე, კარგ ფულს მოგცემ! – ხმადაბლა, მაგრამ საგრძნობი მუქარით ჩაულაპარაკა თავადმა და მანეთიანი გაუწოდა, – ჰა, გაწმენდის ფული, ხურდა არ მინდა!

ხელის კანკალით გამოართვა აისორმა. სიხარულისაგან ცას ეწია ასეთი გასამრჯელოთი. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ არ უნდა აელო, რომ ეს მისატყუებელი საკენკი იყო... არ უნდა აელო, მაგრამ მანეთს იგი მთელ დღეს ვერ აკეთებს...

– ას მანეთს მოგცემ! – პირდაპირ საქმეზე გადავიდა სამსონი.

– ასი იაფია, ქნიაზ... – ძალაუნებურად წამოიძახა აისორმა და ენაზე იკბინა. თვალწინ დაუდგა თავისი ნაბოლარა გოგო, რომელიც ყველა შვილზე უფრო უყვარდა.

– იაფი?! – თვალეები გადაატრიალა თავადმა, – შე უჯიშო, ასი მანეთი იაფია ცინგლიან გოგოში?!. სულერთია, ვილაც ლაწირაკი გააფუჭებს...

– იაფია, იაფი... – ჩაეჭვიდა ამ სიტყვას უბედური მამა. თითქოს, ესლა იყო მისი საშველი და გრძნობდა, რომ გამოუვალ ხაფანგში მოემწყვდა.

ორი წელია ზიზის დაქვს მასთან სადილი, არავის დაუსვია თვალი და რაღა დღეს გამოტყვერა ეს ოხერი „ჩიჯავაძე“?!

– თუმნიანს დაგიმატებ! – ისე გააკრაჭუნა კბილები სამსონმა, რომ შეაჟრჟოლა აისორს. შიშისაგან თავს ველარ სწევდა ზევით.

– იაფია, ზალიან იაფი... – ისევ უაზროდ ჩაიბურტყუნა.

ჩიჯავაძეს მოთმინება გამოეღია, სისხლი მოაწვა თვალეებში. გამგლელ-გამომგლელელებიც საეჭვოდ უთვალთვალეებდნენ ამ ბრწყინვალე თავადისა და გაბურული მწმენდავის გახანგრძლივებულ საუბარს.



მაგრამ ინგუშების თვალების გადაბრიალებაზე უკანმოუხედავად გარბოდნენ.

– სულ კი არ ვყიდულობ, შე ძაღლისშვილო! რაა იაფი? ერთი ღამით მინდა! – წაუსისინა სათქმელი სამსონმა.

აისორი ახლა გამოერკვა, ახლა მიხვდა, რაშია იყო საქმე. თავზარი დაეცა, გამოლენჩდა... ხმაც ვერ ამოიღო, სულ ჩაქინდრა თავი და გაიღურსა.

სამსონი კი თანდათან ცოფდებოდა. ოჰ, რად ღირდა ახლა ამ „მაიმუნის“ გემოზე მიბეგვა... მაგრამ აქ არ შეიძლება!..

– ჰე, თათარო! ასიანს ოცდახუთიანს დაუშობა კიდევ! – ვითომ სააღდგომოდ დასაკლავ გოჭს ყიდულობდა, ისე აუწია ფასი თავადმა.

– ორი ასი... – ძლივს ამოიღულულა აისორმა და იმავე წამს მოვლანდა ტკიცინა ასიანი, რომელიც სულ ერთხელ ნახა თავის სიცოცხლეში... მერე ორი მოეჩვენა ერთად, მაგრამ დედოფალ ეკატერინეს ნაცვლად თვალგებრილა ზიზი ეხატა ზედ... ცრემლები მოადგა... მაგრამ ორი ასიანი... ორი ასი... ეს თითქმის ერთი წლის შემოსავალი იყო მისთვის... სახლში კი ათი სული ზის პირდაღებული და მას შესცქერიან გამურულ ხელებში.

ვაჭრობა აღარ შეიძლებოდა. ჩიჯავაძემ თავისებურად ერთი კი გააღრჭიალა კბილები და უცბად მიიღო მხიარული სახე.

– კარგი, თათარო! – ჩაილაპარაკა, ჩონის უბიდან საფულე ამოიღო, ასიანი მონახა, დაკეცა და სხვების შეუმჩნეველად ხალათის ჯიბეში ჩაუღო ბერიკაცს. – საღამოს „სევერნი ნომრებში“ მომიყვანე და მერე ასიანს იქ მიიღებ... თორემ მიწიდან ამოვიღებ და ძაღლებს შევაჭმევ შენს ხორცს. ხომ იცი, სამსონ ჩიჯავაძეს მეძახიან მე! – დაემუქრა და ინგუშების თანხლებით დინჯად დაუყვა ქუჩას.

აისორმა კარგახანს მერე ასწია თავი. შიშით გაიხედა, მაგრამ თავადს ვეღარ მოჰკრა თვალი. ჯიბეზე მოისვა ხელი. საამოდ ატკაცუნდა ასიანი... ციემა ოფლმა დაასხა ბერიკაცს... ძლივს წამოადგა...

– აბა, ჰე! გამიწმინდე, მეჩქარება! – წამოსკუპდა ვილაც ჩონოსანი სკამზე და აზიურების ყელები ამოქაჩა.

ბერიკაცმა არაფრისგამომეტყველი, უაზრო თვალები მიაპყრო მუშტარს და დაბნეულად ალულულადა:

– არა... არა... მე ავად არი... მივდივარ... არა... – და საჩქაროდ იწყო თავისი ნაბაკის მოგროვება.

– უი, გადარეულა აი უბედური! – წამოიძახა ულვაშებაპრეხილმა ჩოხოსანმა და მეორე მწმენდავს მიაშურა.

\* \* \*

ნაშუადღევს სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრების“ რესტორანში დიდი ქეიფი გაჩაღდა.

სამსონი ერთი წელია არ გამოჩენილა ქუთაისში და ამ სუფრაზე შეიკრიბა იმერეთის ბრწყინვალე თავად-აზნაურობა, რომლებიც ყოველ შაბათ-კვირას დედაქალაქს ესტუმრებიან დროსატარებლად. წერეთლები, ერისთავები, აბაშიძეები, აგიაშვილები, ლორთქიფანიძეები, მიქელაძეები, ნიჟარაძეები, ლოლობერიძეები, ჩხეიძეები... დარდიმანდი და უსაქმურობისაგან გაზულუქებული ახალგაზრდობისათვის ღზინი, ჩხუბი და ქალები იყო მთავარი გასართობი. ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო და ჯერ კიდევ მაგრად იდგა მათი მამაპაპური ოჯახები. მათში უხნიერესი ოცდახუთს არ იყო გადაცილებული და სამსონ ჩიჯავაძე, რომელიც უკვე ოცდათორმეტისა შესრულდა, თავკაცად ითვლებოდა. ხნით უფროსობის გარდა, თვით მისი სახელი იზიდავდა ამ თავქარიან ჭაბუკებს. ჩიჯავაძესთან დროსტარება სატრებახოდ ჰქონდათ.

სუფრა თითქმის მთავრდებოდა... ვაჟკაცურ „მგზავრულს“ მღეროდნენ. სამსონი უზარმაზარ ყანწს ავსებდა კამკამა ალადასტურით, რომ ერთ-ერთი მისი თანმხლები ინგუში მოჩვენებასავით შემოიძურწა დარბაზში და ყურში მორიდებით წასჩურჩულა რაღაც თავადს. სამსონს თვალები გაუბრწყინდა, ავსებული ყანწი მიაწოდა კარგი ამბის მახარობელს. დალიეო, – უხმოდ ანიშნა და წამოდგა. სიმღერაც დამთავრდა...

– ბატონებო! ნება მიბოძეთ, დავტოვო ჩემთვის ესოდენ ძვირფასი სუფრა გადაუდებელი საქმისა გამო... მაპატიეთ და იმედია, არ დამემღერებით.

შეპატიჟება ვერავინ გაუბედა ქედმაღალ ჩიჯავაძეს, მით უფრო, რომ მათაც დაინახეს შემოსული ინგუში.

სამსონმა დილისათვის შეიპირა მეგობრები საქეიფოდ და საჩქაროდ გავიდა დარბაზიდან.

დინჯად აიარა კიბეები და მეორე სართულზე თავისი ოთახისაკენ გაემართა.

ჩრდილები ახლა გაყოფილიყვნენ – ერთი უკან მისდევდა, მეორე კი ოთახის კარებთან იდგა... თუმცა არა, იქ მესამე ჩრდილიც

შეამჩნია თავადის გამჭვრიახმა თვალმა. ეს აისორი იყო... მართლაც ჩრდილს დამსგავსებოდა გატანჯული ბერიკაცი...

დალეული ღვინისა და მოსალოდნელი სიამოვნებისაგან გამხიარულებული ჩიჯავაძე გაცინებული მიუახლოვდა და მხარზე დაჰკრა თავისი ტორი.

– ყოჩაღ, თათარო! სიტყვის კაცი ყოფილხარ! – და მეორე ასიანიც ჩაუკეცა ხელში.

აისორი დააშტერდა ფულს. შემდეგ სამსონს შეხედა ისეთი თვალებით, თითქოს ევედრებო რაღაცას... ცრემლებიც წამოუვიდა.

– რაო, კიდეც ხომ არ გეცოტავენა, შე მაიმუნო?! – ისევ სიცილით უთხრა თავაძმა და სამმანეთიანიც მისცა, – აჰა, ამით დალიე რამე დარდიან გულზე!.. – გადაიხარხარა, მაგრამ ბერიკაცი ისევ ვედრებით შესცქეროდა ახოვან ჩიჯავაძეს და ტურები ძლივს აამოძრავა...

– ჰო, რა ჯანდაბა გინდა კიდეც! – ახლა კი განრისხდა სამსონი და ღონიჯი შემოირტყა ჩვეულებისამებრ.

გაჭირვებით ამოიღო ხმა მწმენდავმა და კანკალით დაუწყო თხოვნა:

– ქნიაზ... შენი ჩირიბე, ქნიაზ... ნელა... ზალიან ნელა... ქნიაზ... სოღოა... ზალიან ნუ... ნელა... სოღოა... – და უდიდესი სიბრაღული და მწუხარება აისახა მის ცრემლიან თვალებში.

უმალ მიუხვდა ჩიჯავაძე, რას სთხოვდა ბერიკაცი და ისევ ლაღად გადაიხარხარა...

– ნუ გეშინია, თათარო! „ნელა, ზალიან ნელა“ ვიზამ... ჰე, მოუსვი ახლა, ვეთ!

წელმოწყვეტილი წაჩანჩაღდა აისორი. დაუნდობელმა ინგუშებმა ფოცხვერის თვალები გააყოლეს ბერიკაცს, რომელსაც ორი ასიანი ელო ჯიბეში. სამსონს არ გამოეპარა ეს და ახლა იმათ მიუბრუნდა:

– აჰა, თქვენ თუმნიანი... ჩემი სადღეგრძელო დალიეთ, ურჯულოებო! მერე კარებს არ მოშორდეთ... ჰაიდა!

ჩიჯავაძის უერთგულესმა ძაღლებმა, რომლებიც საკუთარ მშობელს გამოლადრავდნენ ყელს მისი ბრძანებით, ფული ხელთ იგდეს და უკან-უკან ბიჯებით გასწიეს.

სამსონი მობრუნდა და ოთახის კარები შეაღო...

\* \* \*

კარგახნის გათენებული იყო, როცა აისორი სასტუმროს კარებს მიაღდა. წუხელ მართლა დალია დარდიან გულზე, ამ დილითაც გადაჰკრა ნაბახუსევმა, თორემ უფრო ადრე უნდოდა მოსვლა.

თითქმის ერთი საათი უცადა ზიზის, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდა, შიშით შეალო კარი, მუხლების კანკალით ავიდა მეორე სართულზე.

დამლაგებლები ტრიალებდნენ ჩიჯავაძისეულ ოთახში... თავზარი დაეცა ბერიკაცს... გიჟივით შევარდა შიგ... ატირდა.

ერთი მრავლისმნახველი დამლაგებელი ქალი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. მივიდა და დაამშვიდა აისორი. აუხსნა, რომ ამ ოთახიდან ალიონზე საავადმყოფოში წაიყვანეს ერთი გულწასული გოგონა...

ხოლო თავადი სამსონ სიჯავაძე თავისი მხლებლებითურთ მაშინვე ცხენებით გამგზავრებულიყო.

1954

## უცნობი

(ნაწყვეტი დაუწერელი რომანიდან „ლამაზი სიკვდილი“)

ჩიკაგოს მიუზიკ-ჰოლლი „ელდორადო“:

ნახევრად ტიტველმა შოკოლადისფერმა ქალმა დიდი მონღომებით დაასრულა რომელიღაც გამყინავი არია. ატყდა ტაშის გრიალი...

კუბოკრულ კოსტუმინამა აყლაყუდა კონფერანსიემ განგებ დაბოხებული ხმით დაიძახა:

– ანტრაქტ!

...ფრანტები ვიზიტორობენ ლოჟებში.

მანდილოსნები – ჭალარანი ლორნეტებს იმარჯვებენ... ახალგაზრდანი უმიზეზოდ კისკისებენ და ნაყინს მიირთმევენ...

თითქოს მოწყენილობაა, მაგრამ...

ყველას ყურადღება მიიპყრო დაგვიანებულმა უცნობმა, რომელიც თამამი არისტოკრატიული ნაბიჯებით შემოვიდა პარტერში...

მას არავინ იცნობს...

მაღალი, თხელი და კუნთებიანი ტანი მდიდრულად აქვს მორთული: შავი ფერის ხავერდის წითელსარჩულიანი მოსასხამი ვერ ფარავს

ოქროს ზონრებით მორთულ ძვირფას მექსიკურ კოსტიუმს და მაღალყელიან, ვერცხლის დეზებიან ლაპლაპა ჩექმებს... მშვენიერი სურნელება უხვად ორთქლდება მის გარშემო... დიდებული უცნობი კი ძვირფასი ბეჭდებით მორთული ხელით ამაყად დაყრდნობილა ინგლისური ფოლადისაგან გაკეთებულ, მდიდრულად მოოჭვილ დაშნაზე, მარჯვენაში კი საუცხოო სომბრერო უჭირავს...

იგი წინა რიგზეა, თითქოს ვერ ამჩნევს მის მიერ გამოწვეულ ყურადღებას და დინჯად ათვალისწინებს ლოყებს...

მაყურებელთა ცნობისმოყვარეობა ფუსფუსს იწყებს:

- ინგლისელი ლორდია?!
- მექსიკელი მონათმფლობელი?!
- კალიფორნიელი ოქროსმრეწველია?!
- უცხოელი მოგზაური?!

მაგრამ სანამ მამაკაცები ათვალისწინებდნენ მის განიერ მკერდზე გამწვრივებულ სხვადასხვა ქვეყნის ორდენებს, ქალებმა სულ სხვა რამ შეამჩნიეს – თუ რა ლამაზია ეს უცნობი, დაუჯერებლად ლამაზი და მეტად ვაჟკაცური:

მაღალი, მძლავრი ფიგურა... საოცრად განიერი, ბრტყელი ბეჭები... არც ერთი რბილი ხაზი მის სხეულზე, თითქოს ფოლადისგან ჩამოუსხამთო... მისი სახის პროფილი ძველ რომაულ ფულეებზე გამოსახულ კეისართა პროფილებს ჰგავს... მკვეთრად გამოირჩევა ყოველი ნაკვთი და ხაზი მის თავზე... შუბლზე ოდნავ ჩამოშლილი მშვენიერი ხუჭუჭი თმის ქვემოთ მოჩანს აფრენილი, გრძელი წარბები და მთრთოლვარე ნესტოებიანი ცხვირი... მტკიცე ძვლებიანი, გამოძერწილი ნიკაპი, რომელზედაც, ქალთა თქმულების მიხედვით, მამაკაცის სქესობრივი სიმძლავრე იმალება... უცნობის სახის ყოველი ხაზი მის სიმტკიცეზე, გამბედაობასა და გამარჯვებაზე ღაღადებს... მხოლოდ შეწითლებული და ნამიანი ტუჩები ქმნიან ერთგვარ სინაზს...

უცნობი ნელა აბრუნებს თავს დარბაზისაკენ, მისი საოცრად მწვანე, მოუსვენარი და თითქოს ჰიპნოზური თვალები ბრწყინავენ... ისინი უფრო მტაცებლის თვალებს ჰგვანან, თავის მსხვერპლს რომ უთვალთვალებს და მზად არის, არწივისებურად ჩააფრინდეს დასახულ მიზანს...

ეს თვალები ამაყად ჯერ კიდევ ბუჟუტავენ და ასანთებად ემზადებიან – სანიშნე შექურას მსგავსად ათვალისწინებენ ლოყებს და ნურას უკაცრავად, თუ მამაკაცთ თავიანთი ცქერის ღირსად არ

გაიხდიან... ისინი უმზერენ ლოჟების მიმკრთალ შუქში მიმალული ქალების სიშიშვლეს და სითეთრეს...

უცნობი ყველა ქალს რიგრიგობით ათვალიერებს და უკვე გრძნობს, რომ შემჩნეულია... მგრძნობიარე ტუჩებს ოდნავ ხსნის და ნელი ღიმილი პირველად გამოამჟღავნებს ბროლისებურად მოკიაფე, ქათქათა კბილებს... ეს ღიმილი ჯერ არც ერთი ქალისკენ არაა მიმართული, იგი უგზავნის ყველას: ტანისამოსის ქვეშ შემაღლულ მკვრივ ძუძუებს, განიერ თეძოებს, თეთრ ბარძაყებს და ლბილ მუცლებს... მათ სიშიშვლეს, სასალუქესა და სითბოს...

მაგრამ აი... ერთ-ერთ ლოჟაში ნაცნობი ქალი შეამჩნია... მისი მზერა სწრაფად გამახვილდა... სახემ დაჰკარგა სიმკაცრის იერი...

უცნობის ხელი მოშორდა დაშნას და მტკიცე ნაბიჯებით, უკვე ტუჩებზე მოძღვარი მისასალმებელი სიტყვებით უახლოვდება ნაცნობი ქალის ლოჟას... გრაციოზულად ზრის მაღალ კისერს, რათა ვნებიანად ეამბოროს გამოწვდილ ფუნჩულა ხელს და ზრდილობიან საუბარს იწყებს ხავერდოვანი ბარიტონით... მისი მოსაუბრე ქალის აღტაცებული თვალებიდან ჩანს, რომ მან რამდენჯერმე იგემა ამ საუცხოო უცნობის მამაკაცობა და აპილპილებული, ხმისკანკალით აცნობს მას თავის თანამგზავრებს...

– დონ-როდრიგო პანდორა!

თავდახრანი, ცერემონიები, ტკბილ ღიმილთა გაცვლა-გამოცვლა... უცნობს ლოჟაში, ქალის გვერდით სთავაზობენ ადვილს... სიტყვათა ნამსხვრევები თანდათან გადაიქცა საუბრის უწყვეტ მდინარებად... დონ-როდრიგოს მშვენიერი ხმა თანდათან ჩრდილავს ყველას და მოსაზღვრე ლოჟებსაც ესმით, თუ როგორ თავისუფლად ლაპარაკობს იგი ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად...

თითქოს შემთხვევით დადო მან გრძელთითებიანი, დაძარღვული ხელი ლოჟის ბარიერზე, საიდანაც ყველა ამჩნევს, რომ ხუთიდან ოთხ თითზე ძვირფასი ბეჭდებია წამოცმული, ხოლო უფრო ზემოთ პლატინის სამაჯური ბრჭყვიალებს...

ოლიმპიური სიმშვიდით აწოდებს იგი ოქროს პორტსიგარს თანამოსაუბრეთ და სთხოვს მოსწიონ ჰავაის სივარები:

– ჩემმა მეგობარმა ლორდმა სეგალმა გამომიგზავნა!

როდესაც ერთმა კაფანდარა მამაკაცმა მორიდებით შენიშნა პორტსიგარზე ამოკვეთილ მინიატურაზე, მან ჩაილაპარაკა:

– ჩემმა მეგობარმა გრაფ დ'ეონმა მისახსოვრა!

ღონ-როდრიგო გრძობს მისკენ მოპყრობილ ცნობისმოყვარეობას ქალებისას, შურიანობას და ჩუმ გაბრაზებას მამაკაცებისას...

ღიას, ყველა გართულია ამ უცნობის ვინაობით...

აგერ, მეზობელ ლოჟაში გუბერნატორის მშვენიერი მეუღლე აღტაცებით იცქირება მისკენ... მის უბელო თაყვანისმცემელთა ჯგუფს კი მხოლოდ ის-ღა ღარჩენია, რომ ეს თავხედი უცნობი წარუღდინონ...

ღაწყებული თამაში მოგებულია:

ხვალ ის ქალაქის ღიდებულებთან ისაღილებს, ნაშუაღდეღს სამორინე „კოლორადოში“ ბანქოს თვალთმაქციური თამაშით გაატყავებს მღიდარ მასპინღლებს... ღამეს, ღამეს კი აუცილებლად გაატარებს გუბერნატორის მეუღლესთან, რომღის ღვთაებრივად ღამაზ სახეს და მიწიერად მშვენიერ სხეულს ღიღიხანია უმიზნებს... ამღამ კი ისეღ დაუღტკიცებს თავის მამაკაცობას ამ ერთაღერთ ნაცნობს ქალს...

კონფერანსიემ შემღეღი ნომერი გამოაცხაღა...

მიღლო რა თავბრუღახვეული გუბერნატონის მეუღლის მიპატიჟება, ღონ-როდრიგო ღაბრუნღა თავის აღგიღას, ღაჯღა და ღაშნაზე ორივე ხეღღაყრღნობიღი მოემზაღა სპექტაკღის საციქერღად...

მისი წასვღის შემღეღ ლოჟიღან-ლოჟისკენ, რიგიღან-რიგისკენ გაღაღის ერთი და იგივე გაუგებარი და ამოუცნობი კითხვა:

– ღონ-როდრიგო პანღორა?!

ამაზე მეტი ამ მშვენიერი უცნობის გარშემო არავინ არაფერი იცის... ვინ არის... საიღან მოვიღა... საით მიღის... რითაა გართული... მხოლოდ ეს გაისმის ცნობისმოყვარე ღარბაზში:

– ღონ-როდრიგო პანღორა?!

ეს სიტყვები სცენამღეც აღის და გულს უსერავს არანაკლებ ცნობისმოყვარე მსახიობ ქალებს, რომლებიც ერთმანეთზე მიკრულნი ფარღიღან ქურღულად ათვალღერებენ უცნობს...

მაგრამ აი, ნეაპოღიტანელმა მომღერალმა ქალმა წამოიღახა:

– ახ! ახღა ღონ-როდრიგო პანღორა გახღა?! ჰა, ჰა, ჰა! ეგ ხომ აღეხანღრო გონზალესია, მაგრამ მე მგონი არც ეს სახელია ნამღვეღი. ეგ ხომ თავხეხეღაღებული ავანტიურისტია: ესპანელი ტორეაღორი, ინგღისელი მეზღვაური, გერმანელი ოფიცერი, მექსიკელი ბანღიტი, აღიასკელი ოქროსმადღიებული, ავსტრალიელი კატორღელი და რა ვიცი... მთელი მსოფღიო აქვს მოვღიღი და გატყავებული... მაგან

ამ ხუთიოდე წლის წინ მეც გამომტყუა ქალწულობა ვენეციაში, აი, ეგ ოხერი, ევა!

მაგრამ ჩანს, რომ მხიარული მომღერალი ქალი ამ ოხერის საქციელით მაინცადამაინც არაა დიდად ნაწყენი... იგი გრიმასებს უკეთებს „დონ-როდრიგოს“ ფარდიდან... ეს უკანასკნელი ამჩნევს, მაგრამ ვერ იგონებს მის სახეს...

ფარდა აიხადა...

სცენაზე შეშლილებივით გამოცვნილმა საგანგებოდ ჩამოყვანილმა ბუშმენმა ქალებმა „ჯიტერბაგის“ ცეკვა დაიწყეს...

დონ-როდრიგო პანდორა თუ ალენანდრო გონზალესი ამრეზილი უყურებდა ამ საოცრად ავზორცულ ცეკვას – არაბუნებრივად დიდუკანალიანი ბუშმენი ქალების ვნებიან კლაკენა-გრეხას, მათი შავი ღუნდულების და უზარმაზარი ძუძუების თახთახს და აგონდებოდა ბავშვობისას სამშობლოში ნანახი ლეკურის ცეკვა...



## წერილები

### გზის დასაწყისი

პირველი წიგნი პირველ სიყვარულს ჰგავს, პირველი სიყვარულივით დაუვიწყარია მწერლისათვის. ჭაბუა ამირეჯიბი თმაშევერცხლილი ვაჟაკცია. ცხოვრების ჯვარაში გამოტარებული. შეიძლება შემდეგ თავისი პირველი წიგნითაც არ დარჩეს კმაყოფილი, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა აღვნიშნოთ ის კარგი, ის ინდივიდუალური, რაც მის მოთხრობებს გააჩნია. ჭ. ამირეჯიბის სახით ქართულ ბელეტრისტიკას შეემატა ნიჭიერი და ცხოვრების კარგად მცოდნე შემოქმედი.

როცა ჭ. ამირეჯიბის მოთხრობების პატარა წიგნი „გზა“ გადავიკითხე, მაშინვე დიდი ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი გამახსენდა. ცუდად ნუ გამოგებთ – არც გავლენებზე მაქვს ლაპარაკი და არც ამირეჯიბის ვუტოლებ ლონდონს. უბრალოდ მომაგონდა ამერიკელი მწერლის რკინის ნებისყოფიანი, კეთილშობილი გმირები, მათი გარემომცველი სამყარო – ტაიგა და საბადოები, თოვლი და ქარბუქი, გასაჭირი და გამარჯვება, მედგარი ბრძოლა მიზნების მისაღწევად.

უნდა ითქვას, რომ ჭ. ამირეჯიბმა თავისი რამდენიმე მოთხრობით ახალი თემატიკა, ახალი გეოგრაფიული გარემო, ახალი გმირები შემოიყვანა ქართულ პროზაში. ჭ. ამირეჯიბის მოთხრობებიდან ჩვენს თვალწინ დადგნენ დაკოჟრილხელებიანი გმირები ქარ-ყინვისაგან გაუხეშებული სახით, რთული ფსიქოლოგიით, ადამიანური ნაკლითა და ღირსებებით. ამ თავისებურმა გმირებმა ქართველი მკითხველისათვის უცხო სამყაროც მოიტანეს – სუსხიანი ტაიგა და მუდმივი თოვლი, გაყინული მდინარეები და მარხილები, საბადოები და საჩაიეები. და ეს სრულიად უცხო სამყარო გასაგები და მახლობელი ხდება ქართველი კაცისათვის და ეს იმიტომ კი არაა, რომ იქ მოქმედ გმირებში ქართველებიც ურევიათ, არამედ იმიტომ, რომ მწერალმა არ უღალატა ცხოვრების სიმართლეს, დამაჯერებლად და ოსტატობით დახატა თავისი პერსონაჟებიც და გარემოც. როცა ამ მოთხრობებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს „გზა“, „რატომ არ დამაცადე“ და „მარხილი“. სამივე ეკუთვნის ერთ ციკლს, რომელსაც პირობითად შეიძლება „ტაიგის ციკლი“ ვუწოდოთ.

მძაფრი, დრამატული სიუჟეტი აქვს ვრცელ მოთხრობა – „გზას“. მოქმედება დინამიურად ვითარდება, ერთიმეორეზე უფრო დაძაბული სცენები ერთმანეთს სცვლის და მკითხველმა უკანასკნელ ფრაზამდე არ იცის, როგორ დამთავრდება ამ საინტერესო მოთხრობის გმირთა დიდი ვნების სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება. ზედმეტად მიგვაჩნია „გზის“ შინაარსის გადმოცემა, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევისათვის ზუსტად თქვა გორკიმ: „მე რომ შევუდგე მისი მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, მაშინ ეს გადმოცემა თვით მოთხრობაზე უფრო მეტი მოცულობისა იქნებოდა“.

დიმიტრი და არჩილი – აი, ტაიგის ორი „ბებერი მგელი“, გარეგნულად პირქუში და სიტყვაძუნწნი, ათასგვარ ვაივაგლასში გამოტარებულნი, მაგრამ ჰუმანური და მგრძობიარენი, დიდი რაინდული სულის ვაჟაკები. ისინი მტრობენ ერთმანეთს, არჩილი მოსაკლავად დასდევს დიმიტრის (ამ უკანასკნელმა ცოლი წაართვა), მაგრამ გასაჭირის ჟამს სიკვდილისაგან იხსნის მას. ამ ორი რკინისნერვებიანი მამაკაცის შეჯახებაში უდიდეს და უკეთილშობილეს როლს ასრულებს ელენე – ახალგაზრდა ექიმი ქალი. იგი პირველად მოხვდა ტაიგაში, მაგრამ გარემომ, ადამიანებმა უმალ გარდაქმნეს. ელენე გასაოცარ სულიერ და ფიზიკურ ძალას იჩენს. რაც მთავარია, მკითხველს სჯერა, რომ ეს ასეც იქნებოდა, რომ ეს სიმართლეა, რომ ეს ბუნებრივია. რამდენიმე საათში სუსტი გოგონა ძუ ვეფხვად გადაიქცა, რომელიც არავისა და არაფრის წინაშე უკან არ იხვეს.

ჭ. ამირჯვბის, როგორც ბელეტრისტს, ერთი თვისებაც აქვს. ეს არის ეგრეთწოდებული კინემატოგრაფიული ხედვა. „გზა“ ამ ხერხით არის დაწერილი. აი ერთი ნაწყვეტი საილუსტრაციოდ. „არჩილი ადგა. ორი ნაბიჯით დაიხია უკან. დამბაჩა ამოიღო. დამცველი გადახსნა. მანქანის უკან დიმიტრი გამოჩნდა. ძარის კუთხეში გაჩერდა. მარჯვენა ხელი გადახსნილ საგვერდულოზე ჩამოღო, მარცხენათი დონიჯი შემოირტყა და შავად მზირალ ლულას ჩააშტერდა. ლულამ აიწია. გასწორდა, თვალებში მიებჯინა დიმიტრის. ელენემ აუჩქარებლად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, არჩილს გადაეღობა და გულხელი დაიკრიფა, დამბაჩა თვალებში შეჭყურებდა. თვალები ლითონისა ჰქონდა ელენეს. ისეთივე მრგვალი, მკაცრი, ფეხმოუცვლელი, როგორც ლულა.

– მოწყდი აქედან! – გაუცრა არჩილმა.

– მანქანა, ტვირთი, მედიკამენტები... ავადმყოფი ბავშვები მელიან... ადამიანს ჰკლავ, ნაძირალავ, მკვლელო!

– გამეცალე! მე მივიყვან მანქანას ტვირთიანად, მედიკამენტებიანად, შენიანად, კაცი... დახსნილია! მე მოვალე ვარ, ვესროლო!

ელენე ეცა, დამბაჩის წართმევა დაუპირა. არჩილმა ხელი აარიდა, მეორე ხელი მკლავში სტაცა, გადაუგრიხა, ყინულზე ჩააჩოქა. არჩილმა ისევ დაუმიზნა დიმიტრის. ელენე იწვედა, ხელიდან დასხლტომას ლამობდა, დამიზნების საშუალებას ართმევედა, დამბაჩა ტოკავდა. ხელი ვერ გაჩერებულყო. თითი მაინც მიაწვა ჩახმახს“.

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად ადასტურებს, რომ მწერალს მეტად მახვილი, პლასტიკური ხედვა აქვს. ეს მარტო „გზას“ კი არ ეხება, არამედ საერთოდ ჭ. ამირეჯიბის სხვა მოთხრობებსაც.

„მარხილი“ სულ პატარა მოთხრობაა, ოთხიოდე პერსონაჟი მოქმედებს. მათ სახელებიც არა აქვთ – ახალგაზრდა ქალი, ახალგაზრდა კაცი, დედაბერი. მაგრამ რა დიდი კაცთმოყვარეობა და კეთილშობილება გამოსჭვავის მის ყოველ სტრიქონში... აქაც ტაიგა. თოვლი, „მშრალი, მდუმარე ყინვა“, მარხილი... ახალგაზრდა ქალ-ვაჟის წამიერი, ადამიანური შეცდომა დედაბრის მიმართ და უმაღლვე გულწრფელად და ალაღმართლად გამოსწორება ამ შეცდომისა.

ბევრი რამ დაწერილა მსოფლიო ლიტერატურაში ადამიანისა და მხეცის შერკინებაზე ჭ. ამირეჯიბმა თავისებურად გაიაზრა და გადაწყვიტა ეს თემა მოთხრობაში: „რატომ არ დამაცადე“. ძუ და სვად ფოცხვერთან მარტოდმარტო, ხანჯლით შებრძოლებული კაცი საყვედურით მიმართავს მშველელს: „რატომ არ დამაცადე?!“ „... რატომ ისროლე, მე თვით მივახრჩობდი!“, რადგან მან იცის, რომ ადამიანი უძლიერესი არსებაა სამყაროში. „მე კაცი ვარ! კაცი!“ – ყვირის იგი და გაშმაგებით ებრძვის მხეცებს. მაგრამ წამით სინანულის გრძნობა ეწვია მას და გაიფიქრა: „ჯანდაბას ამათი თავი! მე ხომ არაფერს ვერჩოდი...“

სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მოთხრობის ფინალში კოდალას ამბავს, რომელიც თავისთავად ოსტატურად დახატული სურათია.

დანარჩენი სამი პატარა მოთხრობა – „ველოსიპედი“, „თეთრი ხალათები“ და „ქანჩი“ სულ სხვა ხასიათის მოთხრობებია და ერთმანეთისაგან განირჩევიან. მათ შორის, ჩვენი აზრით, საუკეთესოა „ველოსიპედი“, რომელშიც პატარა ბიჭის დიდი ჰუმანური სული მოჩანს. მკითხველს სწამს, რომ ეს ბიჭი ნამდვილად კარგი ადამიანი დადგება. შედარებით სუსტია „თეთრი ხალათები“ და „ქანჩი“. ჭ. ამირეჯიბის მოთხრობების დადებითი თვისება ის არის, რომ ჩანაფიქრს ზოგადსაკაცობრიო იდეებამდე ამაღლებს.

რაც შეეხება პროზაიკოსის ენას, იგი მართლაც მოწონებას იმსახურებს. ლაკონიური, ძალიან ჩამტევი ფრაზები (იშვიათად ხმარობს კავშირებს), მოკლე, სხარტი წინადადებები და მდიდარი, დახვეწილი ლექსიკა. მეტად ძუნწი, ეკონომიური დიალოგები და აკვარელური ფერებით შესრულებული პეიზაჟები მისი მოთხრობების ნიშან-თვისებებია.

ჭ. ამირეჯიბის მოთხრობების კრებული „გზა“ ნამდვილად კარგი დასაწყისია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მწერლის შემოქმედებითი გზაც მაღალი მწვერვალებისკენ გასწევს.

„ლიტერატურული საქართველო“, 1964-9

## წარსულისა და აწმყოს მხატვარი

დღეს ქართულ ლიტერატურაში თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი პროზაიკოსები, რომელთაც საკუთარი „ხელწერა“ გააჩნიათ. სულ რამდენიმე ბელეტრისტი გვყავს ისეთი, რამდენიმე სტრიქონით რომ იცნობთ. აქ არ დავასახელებთ მათ გვარებს, მაგრამ თამამად ვიტყვით, რომ ლევან გოთუაც მათ რიცხვშია. საკმარისია ორიოდე ფრაზის წაკითხვა ავტორის გვარის დაუხედავად და უკვე იცით, რომ ეს მის კალამს ეკუთვნის. ჩვენი აზრით, „ხელწერის“ ასეთი მკვეთრი განსხვავება სხვა პროზაიკოსებისაგან ყველაზე დადებითი ნიშანია. ე. წ. საშუალო, ან სუსტი პროზაიკოსების ნაწერი ხომ საოცრად ჰგავს ერთმანეთს, ვერაფრით ვერ განასხვავებთ. სწორედ ეს ინდივიდუალურად გამოკვეთილი „ხელწერა“ მიგვაჩნია ლ. გოთუას, როგორც ბელეტრისტის წარმატების ქვაკუთხედად.

ისევე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას, მასაც ხშირად საყვედურობენ ენის გართულების გამო. ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მკითხველი ძალიან ეტანება ლ. გოთუას ნაწარმოებებს, მის წიგნებს ვერასოდეს ვერ ნახავთ მაღაზიის თაროზე. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა პროფესიის მკითხველს ესმის ლ. გოთუას მწერლური სტილი.

ლ. გოთუას, როგორც პროზაიკოსის, წარმატების მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია მისი მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, მისი ბუნებისა და ხალხისადმი. მისი შემოქმედებითი

მოწოდება ისტორიული ჟანრია. ყველაზე ძლიერად აქ გამოჰქადაგნდა ლ. გოთუას ბელეტრისტული შესაძლებლობანი. დიდი ეპოპეა „გმირთა ვარამი“, რომანი „მითრიდატე“, პიესები „დავით აღმაშენებელი“ და „მეფე ერეკლე“, მთელი რიგი მოთხრობებისა ამის ნათელი დადასტურებაა.

ერთიც უნდა ითქვას, ლ. გოთუა, როგორც პიროვნება და ლ. გოთუა, როგორც შემოქმედი, ერთიანია, განუყოფელი. მის ყოველ ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა ის დიდი სულიერი სიფაქიზე და სპეტაკი ბუნება, რომელიც ავტორს ახასიათებს.

„გმირთა ვარამის“ ოთხი წიგნის, ნარკვევების შესანიშნავი კრებულის „მგზავრული კრიალონის“ შემდეგ ლ. გოთუამ გამოსცა მოთხრობების წიგნი „ნისლი ნახატარის ტყეში“.

„ამ წიგნში, ერთი სათაურით, მე შევეკრიბე სხვადასხვა დროსა და გარემოებაში დაწერილი მხოლოდ მოთხრობები და ნოველები. მათ სამშობლოს სიყვარული და მის სვე-ბედზე ფიქრი აერთიანებს“, – ამბობს ავტორისეულ წინათქმაში მწერალი და ამაზე უკეთ ვერც ჩვენ ვიტყვი.

რა თქმა უნდა, პატარა წერილში შეუძლებელია გ. გოთუას ხანგრძლივი შემოქმედებითი გზის მანძილზე შექმნილი მოთხრობების საფუძვლიანი განხილვა და ყოველმხრივი ანალიზი. მით უმეტეს ისეთი რთული შემოქმედისა, როგორც არის ლ. გოთუა. მაგრამ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გამოვთქვათ ჩვენი პირუთვნელი აზრი მის მოთხრობებზე.

ვრცელი მოთხრობის სათაური „ნისლი ნახატარის ტყეში“ ავტორმა, ალბათ, შემთხვევით არ დაარქვა მთელ წიგნს. ბუნდოვან სილუეტებად მოჩანან წარსულის აჩრდილები. ის აჩრდილები, რომლებიც ამ კრებულშივე მოთავსებულ ისტორიულ მოთხრობებში არიან ხორცშესხმულნი.

ამ მოთხრობის ლეიტმოტივი, ჩვენი აზრით, გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში:

„ცხოვრებაში ნგრევაზე მეტი შენება არის, სიძულვილზე მეტი კი მანც სიყვარულია, თორემ დიდი ხანია არაფერი შერჩებოდა კაცობრიობას“.

ორიგინალურადაა გადაწყვეტილი მოთხრობის სიუჟეტი. თუ რა წინააღმდეგობას წააწყდება ახალბედა მწერალი ცხოვრებასთან პირდაპირ შეჯახების დროს, რა დიდი განსხვავებაა სინამდვილესა

და ჩანაფიქრს შორის. კეთილი ოცნება ხშირად იმსხვრევა, მაგრამ მაინც „ნახატარის თავზე ცისფერი ნისლი იმედისფრად გადმოიშალა“, ვინაიდან „ადამიანს – იმედზე უკეთესი მეგობარი არც ჰყოლია, არც ჰყავს, არც ეყოლება“.

ავტორმა ამ მოთხრობაში ძალიან ბევრი პრობლემა დასვა და არც ერთი არ დაუტოვებია უპასუხოდ. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება აქ შერწყმულია ბუნებისადმი მათ ურთიერთობასთან. სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და სევდა პერსონაჟებისა გადმოცემულია მეტად მძაფრი ფერებით და როგორც საერთოდ სჩვევია ავტორს, ხშირად სიმბოლური სახეებით: ტუხა მახათელის მანქანის კრაზანისებური ხმა და ნახატარის ტყეში ობობას ქსელის გამგლეჯი კრაზანა... წყაროს ანკარა და არავის მღვრიე წყლის დაპირისპირება... თიხის კოკა და ბროლის ტოლჩა... კურდღლისა და ძერას მოკვლის ეპიზოდი... ეს ზუსტი სიმბოლური სახეები და გადაკარგული, არანაკლებ სიმბოლური დიალოგები ამ მოთხრობას მეტ ემოციურობასა და სიცოცხლეს მატებენ. ავტორისეულ ტექსტშიაც და დიალოგებშიაც ხშირია ნართაული, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყენება (კაკლის პაპა, მაცვლიანი ქოხი და სხვ.).

ყველაზე რელიეფურად გამოკვეთილია მოხუცი ბარათას სახე. კაცისა, რომელსაც ღვიძლი შვილივით უყვარს ნახატარის ტყე. სპეტაკი ბუნებისაა ბარათა, ოდნავ ბუზღუნა და ენაეკლიანი. ამისთანა ძვალმსხვილი და ბრძენი ბერიკაცები არც ისე იშვიათია საქართველოში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას მწერლობაზედაც კი აქვს საკუთარი შეხედულებანი, გააჩნია საკუთარი ლიტერატურული მრწამსი:

„– ეგეც შენ, მწერალო! სწორედ ეს გულსავსობა გაკლიათ!.. გული ან დიდი დარდით, ან დიდი სიხარულით უნდა იყოს აღსავსე, რომ სხვასაც სასიკეთოდ აუჩქროლოს გული და სული! ცხოვრება უფრო რთული, უფრო ძნელი და უფრო ღრმაფესვიანია, ვიდრე ფიქრობ! შენ რომ წერ, ასე რომ იყოს – რაღა გვიჭირს!“

და შემდეგ: „სთხზავ და შენი ამბისათვის ცხოვრების მისადაგება გწადის. ნამდვილად კი უკულმა ხდება – ყოველი ჩვენთაგანის ბედი და ამბავი ცხოვრების კალაპოტში ითხზება და მას ესადაგება თავიდანვე. შენს კალამს ერთი ფერი და კვალი გააჩნია, ცხოვრების თითო ამბავში კი ათასი ცისარტყელა და გველჭრელი თავს იყრის, ერთად იკონება...“

ბარათას სახე მწერლის მიერ დიდი სიყვარულითა და სითბოთია გამოძერწილი. მისი ერთადერთი იმედი მაყვალა – მთის ლალი ქალიშვილი, გულუბრყვილოდ ანცი და კისკისა, უიღბლო სიყვარულით შეპყრობილი და შემდეგ ცხოვრების მორევში ანაზღეულად ჩათრეული. ბოლოს რომ „არაგვზე... წყალზე წავიდა და აღარ მოსულა მერე“... ტუხა მახათელი, ეს ნამდვილი მგელ-კაცა, სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი საქმოსანი, რომელიც არაფერსა და არავის არ ერიდება თავისი ბოროტი ზრახვების მისაღწევად. მათი ხასიათები დამაჯერებელია და ლოგიკური, ფსიქოლოგიურად გამართლებული და ცხოვრებისეული.

...და აი, მრავალი წლის შემდეგ ნახატარში დაბრუნებულ, ცხოვრების ჯარაში გამოვლილ, უკვე ჭადარაშერეულ მწერალს ისევ შემოეყრებიან თავისი ოცნების გმირები – ნუკრია და გაგა. მაყვალა აღარ არის, „მგელ-კაცაც“ შორეთშია გადაკარგული. მხოლოდ ბებერი ბარათა დარაჯობს კაკლის ნერგებს, რომლებიც „ძალზე ძალე დაიზრდებიან, დაკაკლდებიან“...

ამ მოთხრობაში პეიზაჟებისა თუ ყოფითი დეტალების აღწერისას ხშირია მოხდენილი, ხატოვანი შედარებები და პოეტური სახეები. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„ჩენჩოჩაშავებული, ზოგიც გაკროლილი (კაკალი) – ბუდიდან გადმოვარდნილ უბუმბულო ბარტყივით დაგორდა გზაზე“; „ტყიან მთებს ჯერ არამოწვერილი მზის ბწკალი ჰქონდათ მუნწად გაკრული“; „მერმე კლდემ და არაგვმა ნემსის ყუნწში გააძვინეს გზა“; „ტალღები გახელებულ, თავქედჩაქინდრულ ზაქებივით ოკრობოკროდ მოგელავდნენ, მხოლოდ შეჭრილ ხერხემლებს გვიჩენდნენ...“; „საღამოს ბურს ნისლმა ჩამოასწრო, მძიმე ღრუბლებიც ხეობას შავ ქოლგასთან გადმოეფარცხა, ელვამ წიხლი ჩაჰკრა, ღვართქაფი ჩამოანარცხა...“

„ფრესკის მეორე დაბადება“ ლიტერატურული სცენარია და ისიც თანამედროვეობის საჭირობოროტო საკითხს ეხება. აქაც არ ღალატობს ავტორი თავის ჩვეულებას, აქაც შორეული წარსულის აჩრდილი გადმომეფარა ყინცვისის სახით. აქაც ბრძოლაა კეთილისა და ბოროტ საწყისთა შორის. აქაც იმარჯვებს საბოლოოდ სიმართლე და ადამიანობა. მორალი ნათელია: ახლის შენებასთან ერთად თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ წარსულის დიდებულ ძეგლებს.

მხატვარი ჯონდო ხომღელი, „მარმარილოს ქალი“ ცისო და

„ჯიქურ-გატანია“ ელიბო ბარბაქაძე – აი, ამ სამეულის გარშემო ინასკვება ამ ნაწარმოების მოქმედება. ელიბო პირწავარდნილი კარიერისტია, გონებაშეზღუდული საქმოსანი. იგი არაფრად აგდებს ისტორიული ძეგლის დანგრევასაც კი, ოღონდ თავის მიზანს მიაღწიოს. მას უყვარს ცისო, მაგრამ ეს სიყვარულიც თავისებურად, ანგარიშთანად ესმის. „ბარბაქაძის უმეცრებასა და თავნებობას წინ აღუდგება ჯონდო, თვით ცისო, საბედო-დარაჯი, რომლის სახეც მეტად კოლორიტულადაა დახატული.

„ფრესკის მეორე დაბადება“ პასუხობს ლიტერატურული სცენარის ყველა მოთხოვნას. აქ არის მძაფრი სიუჟეტი, ხასიათთა შეჯახება, მოქმედება დინამიურია და რაც ყველაზე უფრო აკლიათ ჩვენს ფილმებს – დიალოგები მეტად სხარტი და მახვილია. არის რამდენიმე შესანიშნავი, კინემატოგრაფიული თვალით დანახული დეტალი: საბედოს კალთაში ჩაყრილი შინდი, დაბორკილი მამის ბორიალი ოთახში, ფრესკისა და ცისოს გაიგივება, კალათიდან შინდის დაბნევა და სხვ. კარგ სცენარებს დანატრებულმა ჩვენმა კინოსტუდიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საინტერესო ნაწარმოებს. ჩვენი აზრით, მისგან დაკვირვებული რეჟისორის ხელში ურიგო ფილმი არ გაკეთდება.

თანამედროვეობის თემასვე შეიძლება მიეკუთვნოს ვრცელი მოთხრობა-ზღაპარი „ცხოვრება იწყება წყალდიდობით“. საერთოდ ძნელია ამ ნაწარმოებზე ლაპარაკი. ძნელია იმიტომ, რომ მოკლედ ვერ იტყვი. აქ იმდენი რთული, ხშირად ფილოსოფიური საკითხია დაყენებული, ისე ალეგორიულ ფორმებშია გადმოცემული, რომ ასე იოლად, ხელწამოკვრით არ შეიძლება განაჩენის გამოტანა. სადაოც შეიძლება იყოს ზოგი რამ... ერთი კი არის, რომ ეს მოთხრობა-ზღაპარიც დიდი სიკეთის საქმეს ემსახურება. აქ გამოყვანილ ბუსა და წეროს. ხარირემსა და დათვს, არწივსა და მელას, წავსა და კოდალას, ყველა ფრინველსა და ცხოველს თავისი გარკვეული ფუნქცია გააჩნიათ, თუ შეიძლება ითქვას, გარკვეული ხასიათი და ალეგორიულად გამოხატავენ საზოგადოებას. არაფერს ვამბობ ბაკურსა და ნანაზე, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ისინი ამ შემთხვევაში მხოლოდ დამხმარე პერსონაჟები არიან ფრინველ-ცხოველთა სამყაროს ცხოვრებაზე აგებულ მოთხრობა-ზღაპარში.





ჩემს თაობას კარგად ახსოვს სამამულო ომის დროს „მნათობის“ მოყავისფრო ფურცლებზე დაბეჭდილი „ყინცვისის ანგელოზი“ და „კრწანისის სევდა“, „უგზო ქარავანი“ და „ხანძთის ზარი“. ხელიდან ხელში გადადიოდა ჟურნალის გაცრეცილი ნომრები. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო ლ. გოთუა, ასე რომ შეგვაყვარა საქართველოს წარსული.

ამ ნოველების ერთხელ კიდევ გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ იგი დიდი მხატვრული პოტენციალის მქონე ბელეტრისტიკოსია. სამწუხაროდ, ქართულ კრიტიკაში დღემდე სათანადოდ არ შეფასებულა ლ. გოთუას ისტორიული მოთხრობები და ნოველები (მათ რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე მოგვიანებით შექმნილი „სიბრძნე სიკვდილისა“ და „ქვის ხოხობი“). ეს ცალკე, საფუძვლიანი წერილის თემაა.

ამ ნოველების გმირები, ჩვენი ისტორიული პიროვნებანი ვახტანგ გორგასალი და მეფე ერეკლე, გიორგი სააკაძე და მარიამ დედოფალი მწერალმა დაგვიხატა ხელშესახებად, თითქოს თვალწინ დაგვიყენა, მახლობლნი გახდა ისინი ჩვენთვის. არანაკლები მხატვრული ოსტატობითაა გამოკვეთილი უბრალო ქართველი ადამიანების სახეები. ავტორის უსაზღვრო სიყვარული და მოკრძალება იგრძნობა მათდამი. ვახო ლისელი და ბაკურ თაბორელი, შავლეგო ვერელი და ჯოჯობერი („ქვის ხოხობი“), ლომთათა ბუჩუკური („კრწანისის სევდა“), გორგასალ-ნასყიდაშვილი და მისი ვაჟი ბეჟან („უგზო ქარავანი“), ჯამარჯაისძე და საბა მღვდელი („სიბრძნე სიკვდილისა“), შოშიტა მორჩილი და ეფრემ ბერი („ხანძთის ზარი“), იოვანე უტყვი („ყინცვისის ანგელოზი“)... აი ვის მხრებზე იდგა იმდროინდელი საქართველო; აი ვინ იყო მისი მტკიცე დულაბი; აი ვინ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა გატიალლებას...

ამ ისტორიულ ნოველებში მრავლადაა შთამბეჭდავი სცენები და სიტუაციები, ხასიათთა სამკვიდრო-სასიცოცხლო შეჯახებანი და დიდი ადამიანური ვნებები. აქაც ნათლად იგრძნობა მწერლის პოეტური ხედვა. დაკვიფრებით ორიოდე მაგალითით:

„უფრო შორს – აქლემისფერი ქედები, ჩაჩრდილული ნოყიერი ხეობანი და ველები, თითქოს ლუარსაბის ქულაჯაზე ღიკვილოებად ამოქარგული შორეული სოფლები“; იძულებულნი გახდნენ, ყველა ძალი გალაენიდან გადაეყარათ. გამრავლდა ლეში, ლეშის მჭამელნიც.

ახლა თითქოს ყორნის ფრთებზე იდგა „ციხე“. „ისევე იელვა, ციხის შორიახლო, ზეცის დაფაზე, ვეება კამათელივით გაგორდა ქუხილი“; „ხანძთის ზარს დაკლული ხარივით განზე ეკიდა ენა“...

„წიწამურის მიწა“ დიდი ილიას მკვლევლობის ფაქტის მხატვრული გადმოცემაა. ამ მოთხრობაში განსაკუთრებით კარგადაა გააზრებული გზაზე შემხვედრი ეპიზოდური პერსონაჟები. ეტლში მჯდომი ილიას თვალწინ თითქოს ყველა თავისი ნაწარმოების გმირები გაიქროლებენ: თათქარიძე, ოთარაანთ ქვრივი, კაკო ყაჩაღი, გუთნისდედა... შესანიშნავია თბილისიდან წიწამურამდე გზის შემოგარენის აღწერა: „შორეულ ბაღებში და სოფლის პირებში ქარგაკრული ალვის ხეები გაანჩხლებული პატარძლებივით ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ჩიქილებში და თმებში სწვდებოდნენ ერთმანეთს და ვერც სწვდებოდნენ“. და შემაზრზენად გაისმის არამზადების მიერ გამოთოფილი ილიას უკანასკნელი სიტყვები: „- რას სჩადით... უგუნურებო!.. მე – ილია ვარ!!“

„უფოთლო ხის ჩრდილი“ პატარა, მაგრამ ბევრისჩამტევი მოგონებაა აკაკის დაკრძალვისა მთაწმინდაზე, პატარა ბავშვის თვალთ დანახული და დღეს დაბრძენებული მამაკაცის თვალთ განჭვრეტილი. ბუნებრივია და დამაჯერებელი ბავშვური განცდები: „ველარ გამიგია – ეს კაცის სიკვდილი თუ არის – რაღას ჰქვია კაცის გამარჯვება?!“ „აკაკის წინ ერთადერთი, შავ-მწვანე, ორსიტყვიანი გვირგვინი მოუძლოდა: – „აკაკის – საქართველო“...

– აკაკის გვარი საქართველო ყოფილა? – ჩვენი ხის კენწეროზე წაიჩურჩულა ბავშვმა“.

როგორც ვთქვით, ლევან გოთუას ბევრი ედავება ენის საკითხებში, კერძოდ, ახალი კომპოზიციების შექმნის საქმეში. იგი მართლაც უხვად ხმარობს თავის მიერ შექმნილ სიტყვებს და ცდილობს მათ დამკვიდრებას (ეს განსაკუთრებით იგრძნობა „გმირთა ვარაშში“ და თანამედროვე თემაზე დაწერილ რომანში „ლევკი ლომისა“).

აღსანიშნავია, რომ თავის ადრეულ ისტორიულ მოთხრობებსა და ნოველებში (ასევე პიესებში) ლ. გოთუა ძალიან იშვიათად ხმარობდა თავისუფალ კომპოზიციებს, ვიდრე უკანასკნელ ხანებში თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებში. ამ „სენით“ ჭარმაგობისას „დაავადდა“ ჩვენი ბელეტრისტი.

რა თქმა უნდა, ახალი კომპოზიციების შექმნა კარგი და სასარგებლო საქმეა, მისასალმებელი. მაგრამ ისინი არ უნდა ტოვებდნენ

ზედმეტად ხელოვნურობისა და თვითმიზნურობის შთაბეჭდილებას, არ უნდა სჭრიდნენ ყურს... წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი არ მიიღებს და სალიტერატურო ენაშიც არ დამკვიდრდება. ლ. გოთუას მოთხრობებში ჩვენ გვხვდება ნამდვილად მისაღები, ქართული ენის ბუნებასთან შეფარდებით შექმნილი კომპოზიტები, რომლებიც არც სმენას ეხამუშება, მაგალითად:

ნიავეწანწალა, წარბირიბად, წყაროთვალი, ავფიქრიანი, თვალსაბრუნავი, გულნისლიანი, ბუქნაქარი, ხმარაკრაკი, ტანპატარა, ღრმასვედიანი, ფართოლაჯიანი, საგამარჯობო, ირგვლივეთი და სხვა.

ლევან გოთუას სახით ქართულ პროზას ჰყავს ერთ-ერთი საიმედო ბურჯი. დიდი პატრიოტიზმი, ცხოვრებისეული გამოცდილება, მრავალმხრივი განათლება, სიტყვასთან ჭიდილის უინი და მოქალაქეობრივი სიწმინდე მისი შემოქმედების წარმატების საფუძველია. ამავე დროს ლ. გოთუა, შედარებით თანამოკალმეთა უმრავლესობასთან, მეტად ნაყოფიერი მწერალია და ქართველი მკითხველები კიდევ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებას მოელოან მისგან.

წიგნიდან „ავტორები და წიგნები“, 1973

## გმირული დღეების ზღაპარი

დღეს უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ოტია იოსელიანის სახით ქართულ მწერლობას შეემატა ინდივიდუალური ხელწერისა და პოეტური სტილის პროზაიკოსი. ამავე დროს იგი მეტად ნაყოფიერი შემოქმედია. ო. იოსელიანი ბევრს მუშაობს საბავშვო ლიტერატურის სფეროშიც. მისი ნათელი, დამაინტერესებელი და კოლორიტული სურნელით გაჟღენთილი მოთხრობები კარგა ხანია შეიყვარა მოზარდმა თაობამ.

აი, ჩვენს წინ დევს ო. იოსელიანის მოთხრობა „ცხრა მთას იქით“, რომელმაც გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა. კარგი საბავშვო ნაწარმოები ისეთივე ინტერესით უნდა წაიკითხოს მოზრდილმა, როგორც პატარამ. ეს ჭეშმარიტებაა და ო. იოსელიანის მოთხრობაც სწორედ ამიტომაც კარგი ნაწარმოები მოზარდთათვის.

ბავშვს უყვარს რომანტიკა (და განა მართო ბავშვს?! ) და სწორედ რომანტიკა გზიბლავთ პირველ რიგში ო. იოსელიანის მოთხრობაში. ამ რომანტიკულობას ჰქმნის არა მართო გეოგრაფიული გარემო, – ცად აზიდული სვანური კოშკები და ზვიადი მთები, არა მართო მომხიბლავი მოგზაურობა და მამაცი ადამიანები, – არამედ თვით მწერლის სტილი, მისი ნაწარმოების კარგი ქართული და საოცარი გამჭვირვალობა.

ო. იოსელიანმა მოთხრობაში, ჩვენი აზრით, შეგნებულად შეიტანა ზღაპრული ელემენტი. ზღაპარი ხომ ყველაზე საყვარელი ფორმაა მოზარდებისათვის. მაგრამ „ცხრა მთას იქით“, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეალისტური ზღაპარია, ჩვენი დროის გმირული დღეების ზღაპარი. სწორედ ამიტომ ჰქვია მოთხრობის პირველ და უკანასკნელ თავებს – „ზღაპრის დასაწყისი“ და „ზღაპრის დასასრული“. მოთხრობის სათაურიც ზღაპრის ელემენტს შეიცავს და მოთხრობის წერის მანერაც ძირითადად ზღაპრისთვის დამახასიათებელ ნიუანსებს მიჰყვება, მაგალითად.

„თავმჯდომარეს უთქვამს:

– ეძებთ ერთი დღე, ორი დღეც ეძებთ, თუ ვერ იპოვოთ, სამი დღეც ეძებთ. თქვენ დარდი ნუ გაქვთ, კოლექტივს აქ ჩვენ მივხედავთო.

წაიყვანეს ბიძურზა და წავიდნენ.

ეძებეს ერთი დღე, – ვერ იპოვეს.

ეძებეს მეორე დღე, – მაინც ვერ იპოვეს“.

შეუძლებელია მცირე საგაზეთო წერილში ამ მოთხრობის აკარგიანობის მთლიანი შეფასება, სათქმელი კი ნამდვილად ბევრია, პირველ რიგში პერსონაჟებზე. აბესალომი და ყანსავი, გიგი და ბაჩო, ფიფქია და ბანო, თაბეჭი და ჩეფე, გივარგილა და გელა დამოუკიდებელი ხასიათებია. მკითხველს აოცებს, რომ პატარა საბავშვო მოთხრობაში ავტორმა შესძლო ასე კოლორიტულად გამოეძერწა თავისი გმირები. რელიეფურად გამოკვეთილი და დასამახსოვრებელია ეპიზოდური პერსონაჟებიც – არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი პროფესორი, კოშკით მაღალი არქიტექტორი და სტუდენტი არქეოლოგი ქალიშვილები, რომლებიც „დადიოდნენ ერთად და ლამაზად იღიმებოდნენ“. მაგრამ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ავტორმა სრულყოფილად დახატა ბიძურზას სახე, მიუხედავად მოთხრობაში მისი ფრაგმენტულობისა. მკითხველს იპყრობს ამ

პატარა ბიჭის, მარადთოვლიანი პირქუში მწვერვალების შვილის სიღინჯე და ვაჟკაცობა. ბიმურზასთანა ბავშვებიდან იზრდებოდნენ თამარისა და დავითის, სააკაძისა და ერეკლეს თანამებრძოლები.

მოთხრობაში ბევრია პოეტური ფერებით შესრულებული პეიზაჟები, მსუბუქი იუმორით შეზავებული სცენები, ფსიქოლოგიურად ამალელვებელი პასაჟები. მაგრამ ყველაზე უფრო გზიბლავთ ავტორის დიდი სიყვარული მშობელი ქვეყნისა და მისი ადამიანებისადმი, ის ჰუმანიზმი და სიკეთე, რომლითაც გაჟღენთილია მოთხრობა, მე ვიტყვოდი, ლექსივით დაწერილი პროზა. საილუსტრაციოდ:

„მუქი ნაცრისფერია ფიქალი, მკაცრი და მიუვალა კოშკები.

თვალშეუდგამია მყინვარი.

მუხლმოუღლეელი და ავია ენგური...

კოშკები მარტო სტუმრისათვის იღება სვანეთში“.

ჩვენ ხშირად გვაკვიწყდება წიგნის გამფორმებელი მხატვრის სახელი, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ წიგნისათვის დ. ერისთავის მიერ შესანიშნავად შესრულებული ილუსტრაციები.

„ლიტერატურული საქართველო“, 1964-13

## ლექსების პირველი წიგნი

შოთა ნიშნიანძის ლექსები უკვე ოთხი-ხუთი წელია რაც იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. იგი იმ თაობის ახალგაზრდა პოეტია, რომელსაც პირობითად შეიძლება 50-იანი წლების თაობა ეწოდოს და რომლის ერთი ნაწილი უკვე საკუთარი წიგნებით წარსდგა ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის წინაშე (ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ გურეშიძე, თამაზ ჭილაძე).

„მე და შენ“ – ასე დაარქვა შოთა ნიშნიანძემ თავისი ლექსების პირველ კრებულს. ამავე სათაურით სატრფიალო ლექსების განყოფილებაა წიგნში. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს „მე და შენ“ უფრო ფართო ცნებაა – პოეტი და მკითხველი, პოეტი და საზოგადოება. ავტორი თითქოს პირისპირ, ზოგჯერ ინტიმურადაც, ესაუბრება მკითხველს (პირველ რიგში მისივე თაობისას), რომელიც თუ ამ ლექსებში საკუთარ გრძნობებს, საკუთარ გულისთქმას ნახავს – პოეტის მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

პოეტის თაობის ახალგაზრდების გონებაში განსაკუთრებული სიმკვეთრით არის ჩარჩენილი დიდი სამამულო ომის მძიმე დღეების შთაბეჭდილებანი – ფრონტზე წასული მამები და უფროსი ძმები, ჩაბნელებული ქუჩები და აცრემლებული დედები. ამიტომ ასე ახლოსაა მკითხველის გულთან ავტორის ლექსები ომის თემაზე, განა შეიძლება ძველი იარების გაუღიზიანებლად გაიხსენო ის დრო, როცა „მიწის ხნულები... ჩაღრმავდნენ სანგრებად მწყობრი მიყოლებით, და მართალ მიწაზე, მშვიდობის მიწაზე, ასე დაიწერა ომის სტრიქონები“; როცა „ფერფლის შავ ჰეპლებით სრჩოლავდა გაზაფხული“; როცა ათეულ-ათასობით რჩეულმა ვაჟკაცმა „უღონო ხელები მოხვია მიწას და ასე ჩაკრული უსულოდ მიწვა“... მაგრამ პოეტს ახსოვს იმ ბედნიერი მაისის დილაც...

სოფლის თემას ეხება კარგად გააზრებული და საინტერესოდ გადაწყვეტილი ლექსები: „ანკესებით, ბურთებით ქალაქიდან ვბრუნდებით“, „გათენება“, „კარგია ხნულებში სიარული“ და სხვ.

შოთა ნიშნიანიძის სატრფიალო ლექსების ლირიკული გმირი გულანდილი და სპეტაკი ბუნების ჭაბუკია. იგი პირდაპირ ამბობს: „ვიცი, ლამაზი სულაც არა ვარ, ლამაზი, ალბათ შენ გეჩვენები და უნდა გითხრა დაუფარავად არც შენ ბრწყინვალე უცხო მშვენებით“, მაგრამ სიყვარულში მთავარია ურთიერთგაგება და ადამიანურობა – „ჩემი გამგები შენ ხარ თავიდან და ერთადერთიც შენ მეგულები“. გულჩახვეული და თავდაჭერილია ამ ლექსების გმირი, მაგრამ მხოლოდ სატრფომ იცის მისი ალალი ხასიათი:

შენ რომ არ იყო, ვინ დამიჯერებს,  
რომ არ ვარ ცუდი გულის პატრონი.  
შენ ერთადერთმა იცი ამჯერად,  
თუ როგორ მიყვარს ძმა – თანატოლი.  
შენ რომ არ იყო ვინ დაიჯერებს,  
რომ ვარ ბავშვური და უწყინარი...

(„შენ რომ არ იყო...“)

ახალგაზრდა პოეტი მრავალ ლექსში ბუნების ლამაზ სურათებს გვიხატავს. მაგრამ პოეტი შორიდან კი არ ტკბება ბუნების სიმშვენიერით, არამედ თვით მკითხველიც კი შეჰყავს ამ ბუნების წიაღში. პოეტის მიერ დანახული ბუნება მჭიდრო ურთიერთკავშირშია ადამიანთან.

მერცხალი, რომელსაც „ტანზე კაბად ღამე ეცვა მთვარის თეთრი გულისპირით“; იხვები, რომლებმაც „წყალში რაღაც დაჰკარგეს, დაეძებენ და ვერ პოულობენ“; ტირიფი, რომელსაც „ხელი ჰკრეს“ მუხებმა და იგიც „მთელი დღე ტირის“; მიწა, რომელმაც „ცქვიტა კურდღლურად სოკოების ყურები“; აპრილი, რომელსაც „მინდვრებში გაუვარდა მარწყვის კალათი“ და „წვიმის თმები აქვს ცისარტყელას ბაფთით შეკრული“; წვიმა, რომელიც „მოიმსხვრევს ბროლის ფეხებს“; ქარი, რომელიც „მარცვლავს წვიმის კრიალოსანს“ და სხვ. – აი, ახალგაზრდა პოეტის მიერ ცოცხლად დანახული და ლექსებში ხორცშესხმული ბუნების საგნები და მოვლენები.

წიგნში მოთავსებული სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია „ბარათი დედას“, რომელშიაც მკაფიოდ მოსჩანს დავაჟაკებულის, მადლიერი შვილის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა მშობლისადმი:

მეფერებოდი ხმატკბილო ენით,  
დამიჯერეო შენს გამზრდელ დედას.  
ღამით ბალახებზე ცივია ნამი,  
შვილო, მთვარიანში ნუ ივლი დიდხანს,  
არ გადაგძვრესო საბანი ღამით,  
თვალეებს გატკენსო ამდენი კითხვა.

მას გული სტკივა, რომ ძვირფასი დედა თანდათან ხანში შედის და წყენით ეკითხება – „რატომ შემოუშვი ჭალარად თმაში ჩემი სიყმაწვილის გავლილი გზები?“

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია, მისი პოეტური სამყარო შემოზღუდული არაა ვიწრო პირადული განცდებით. ახალგაზრდა ავტორისათვის დამახასიათებელია ნათელი აზროვნება და მკვეთრი პოეტური სახეები.

ახალგაზრდა პოეტის ენა ძირითადად დახვეწილია, მის ლექსებში თითქმის ვერ შევხვდები ბუნდოვან, ნაწვალვებ სტრიქონებს. პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ავტორი რითმას. ხშირად იყენებს ხალხურ ინტონაციებსაც (ლექსები „საგაზაფხულო“, „ერთი პატარა ქალი მიყვარდა“, „ზღაპარი იყო, ზღაპარ იყო“), მაგრამ ზოგჯერ შ. ნიშნიანიძის ლექსებში იგრძნობა ზედმეტი გატაცება ე. წ. „გააზრებებისა“ და მოულოდნელი, უცნაური პოეტური სახეებით, ყოველი თქმა, პოეტური სახე და აფორისტული დასკვნა ლექსის შინაგანი ლოგიკიდან უნდა მომდინარეობდეს. სწორედ ამ ზედმეტი

გატაცებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა პოეტის ლექსებში გვხვდება ასეთი არაპოეტური შედარებები:

და ისე მოჩანდა მიჯნური წყვილი,  
მე ჩაქუჩ-ნამგალი შეერთდა, მეგონა.  
(„ბალადა სტუდენტზე“)

დაუშვა მსხვილი, მსხვილი წვეთები,  
როგორც განჯური ყურძნის მარცვალი,  
(„სანადიროდ“)

შ. ნიშნიანიძის ლექსების ამ პირველ წიგნიდან ჩანს, რომ იგი თავისი თაობის შემოქმედთა შორის ერთ-ერთი საინტერესო პოეტია.

„მნათობი“, 1957-1

## მორის ფოცხიშვილის ლექსები<sup>1</sup>

მ. ფოცხიშვილი ეკუთვნის 50-იანი წლების პოეტურ თაობას, რომელმაც ქართულ მწერლობას მისცა რამდენიმე საინტერესო და ორიგინალური შემოქმედი. ამ თაობიდან ზოგმა უკვე გარკვეული სიყვარულიც მოიპოვა.

მ. ფოცხიშვილი, როგორც იტყვიან „წმინდა წყლის“ ლირიკოსია. მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მას შესანიშნავად შეუძლია პირადული და სამოქალაქო ლირიკის ურთიერთშერწყმა, ახალგაზრდა პოეტმა თავის ლექსებში შეძლო პირადი გრძნობებისა და განცდების აყვანა იმ სიმალლემდე, საიდანაც მისი პოეზია უმთავრესად თავისივე თაობის მკითხველის სულსა და გულს ესაუბრება.

ვის არ მოჰკონებია ბავშვობის უდარდელი დღეები, როცა გარემო ჩვენთვის ვარდისფერ ბურუსში იყო გახვეული. ნამდვილად უტკბილესი და უნაზესი მოგონებაა. მ. ფოცხიშვილის ლექსების ლირიკული გმირი, ეს ფაქიზი სულისა და ალალ-მართალი გულის ჭაბუკი ხშირად იხსენებს ბალღობის დღეებს, რომლებიც „ითიქოს გუშინ დასრულდა“, ამ დღეებში იყო „ეზო-ეზო ლახტის წრე და ჟრიაბული ზედ“, შემდეგ კი „უძინარი დამეები გამოცდების წინ“...

<sup>1</sup> მ. ფოცხიშვილი, „ალუბლები წვიმაში“, „საბჭოთა მწერალი“, 1957



ხოლო ახლა: „რა შორს მოჩანს ასკინკილით გამოვლილი გზა?!  
რა შორს დარჩა ლახტის წრე და ჟრიაშული ზედ, ეს რა ჩქარა  
გვაჭარმაგებს დალოცვილი მზე“...

უკვე დავაჟაკებული ანცი ბიჭი „ოთახში ლექსად წრიალებს“,  
მაგრამ ახლაც არ ასვენებს თავისი ბავშვობა:

ახმაურდება ოთახში ზარი –  
გავხედავ გარეთ... არავინ არი...  
უეცრად კიბეს სიცილით, ტაშით  
და კისრისტეხით ჩაირბენს ბავშვი.  
ჩაირბენს ბავშვი ცელქი და მარდი,  
ბავშვი, რომელმაც ზარი დარეკა...  
ოცი წლის წინათ მეც ამ ბიჭს ვგავდი  
გასაოცრად და გადასარეუად.  
ოცი წლის წინათ მეც ამ ბიჭს ვგავდი,  
რომელიც ახლა მე არ მასვენებს,  
ოცი წლის წინათ მეზობლის კარზე  
დამირეკია ზარი ასევე.

არც ისე უღრუბლო იყო ბავშვობა, ომის მრისხანე წლებმა  
ჩახედეს პატარას თვალებში და პოეტი დღეს იგონებს მაშინდელ მძიმე  
სურათებს. აი, მოხუცი ქალი, რომელიც „შვილებს მოელის ომიდან  
ჯერაც“. და ყოველწლიურად მურაბას ამზადებს, შინმოუსვლელებს  
რომ დაახვედროს; მუსიკოსი, რომელიც „აცოცხლებდა ბეთხოვენს,  
მოცარტს“, მაგრამ „მმათა საფლავში წევს“ და „სდუმს როიალი  
დღეს“; ამ ლექსებშია „ადამიანი ლურჯი თვალებით“, ბავშვების  
საყვარელი ადამიანი, რომელიც შემდეგ ორთავ თვალთ დაბრმავდა  
– „დამსგავსებია ცარიელ ვაზნებს მისი ლამაზი თვალთა გუგანი“, –  
მაგრამ „მზე და სამშობლო გადაგვირჩინა“; აქა მამაცი მეზღვაურები,  
რომლებიც:

ჩვენი გულისთვის გავიდნენ ზღვაში  
და უკან აღარ დაბრუნებულან.  
არ მიატოვეს ხანძარში საჭე,  
არ შეუშინდნენ წუთებს საშინელს...

გემზე იყვნენ და გემზევე დარჩნენ,  
ზღვაში იყვნენ და დარჩნენ ზღვაშივე.  
იძირებოდნენ... თურმე მღეროდნენ,  
იძირებოდნენ ბრძოლით, ხმაურით.

მერე დასტოვეს... ჩვენთვის დასტოვეს  
ახალგაზრდობა და გაზაფხული.  
ასე მიმართავს იგი თმადათოვლილ ღედას:  
კაცთ სიყვარულს მინერგავდი აკვანშივე,  
ყველგან შენი სამართალი მზრდიდა –  
მოფერებას დამაჩვიე,  
გულჩვილობას დამაჩვიე,  
მატარებდი მშვიდობის და  
გაზაფხულის გზითა.

ლექსში „სამეზობლო“, პოეტურად აღწერილია ერთი სახლის მეზობლების ურთიერთდამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ: „რა ვუყოთ, ხდება, ხანდახან ხდება, აირევიან ქალები გარეთ – გაიმართება საერთო კრება, გამოლანძღავენ ერთმანეთს მწარედ“, მაინც: „მეზობლის ცეცხლზე გამთბარი უთო თბილია, როგორც მეზობლის ხელი, ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვუთმობთ, ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვშველით“, და შემდეგ:

მაგრამ როდესაც ბინდება ირგვლივ,  
მჯერა, ერთდება ჩვენი გულისთქმა –  
ძილის წინ მაინც ერთი გვაქვს ფიქრი  
მშვიდობისა და გაზაფხულისა.  
და ვნატრობ – ნეტა ამიხდეს ნატვრა –  
იყოს ლხინი და ბედნიერება,  
ისე იცხოვროს ამქვეყნად ხალხმა,  
როგორც მეზობლებს შეეფერებათ.

ღირიკული პოეზიის მუდმივი თემები – სამშობლო, სიყვარული, მეგობრობა, – მ. ფოცხიშვილის საუკეთესო ლექსებში გახსნილია ჩვენს ეპოქაში აღზრდილი ქართველი ახალგაზრდა კაცის მსოფლშეგრძნებით. ასეთ ლექსებში მკითხველის ყურადღებას იპყრობს სამყაროს პოეტურად ხედვის სიმახვილე, ენის გამჭვირვალობა, სახეების სიახლე... ახალგაზრდა პოეტს კარგად შეუძლია გუღლია საუბარი ადამიანურ გრძნობებზე. კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „საალავერდო“ პოეტი მიმართავს, მაგრამ ძნელია თქმა – ვის მიმართავს, მიმართავს ყველას, კეთილი ნების ადამიანსა და როგორც იტყვიან, კაცურ კაცს:

შემეთვისო – სამშობლო მაქვს იმისთანა,  
 სული წმინდა, გული წმინდა...  
 ...თუკი მოხვალ, როგორც ძმასთან  
 ამ მიწაზე და ამ მხარეს,  
 მდინარეზე ხიდად დავდგე –  
 აიარე, ჩაიარე...

სიყვარული... განა არსებობს ქვეყნად პოეტი, რომ ამალეღვებელი ჰქონდეს არ ეძღვნას ამ მარადიული გრძნობისათვის?! საცხებით ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა პოეტის და ისიც ლირიკოსი პოეტის პირველ წიგნში დიდი ადგილი ეჭიროს სატრფიალო ლექსებს. მ. ფოცხიშვილის სატრფიალო ლექსები გზიბლავთ თავისი კდემამოსილებით, მორიდებულობით, თითქოს ლოყები შეფაკლებიაო სიმორცხვისაგან ამ ლექსების ლირიკულ გმირს.

კრებულში შეტანილი სატრფიალო ლექსები – „ოსის გოგო ორღობეში“, „ორი გოგონა მიყვარდა“, „გახსენება“, „ახალი ხილი“, „ჩემი ფოსტალიონი“, „ჩვენი შაირსიტყვაობა“, „ჩემთან რომ იყო“, „დახველა“, „მატარებელი წვიმაში“, „იცოცხლე არა შენ“, „ნადირობისას“, „მოლოდინში“, „სიმარტოვე კვიპაროსებში“ და სხვ. გამოირჩევიან ფაქიზი განცდებით და საყვარელი არსებისადმი მორიდებულობით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსებში არ ჩანს ერთი ჩამოყალიბებული სახე სატრფოსი, ეს უფრო ცალკეული ჩანახატებია სხვადასხვა ქალიშვილის სილუეტებისა, რომელთაც გაუელვებიათ ლირიკული გმირის ცხოვრებაში და უკვალოდ გამქრალან. ამიტომაც ასე ხშირად ლექსებში გაფრენილი დღეების გახსენება-მოგონებანი და შეკავებული სურვილების გამჟღავნება. კონკრეტული საგანი მ. ფოცხიშვილის სატრფიალო ლირიკაში არ შეინიშნება – იგი უმღერის ყველა თვალციმციმას და არჩევანი არავისზე შეჩერებულა:

თმებს ჭაღარა მომრევია,  
 წლები გადის თანდათან...  
 აბა, ჩემი რომელია,  
 ტანმკვირივი თუ ტანლატანა?  
 აბა, ჩემი რომელია,  
 ამ ციმციმა ქალებშია?  
 კოჭებში რომ ველარ ვატყობ,  
 ვაცქერდები თვალბეჭია...  
 ... შემახედეთ, შემახვედრეთ,  
 აბა, ჩემი რომელია?

დელა მუდამ იყო ღირიკული პოეზიის შთამაგონებელი. ბევრი შესანიშნავი ლექსი შექმნეს ამ ამაღელვებელ თემაზე ქართველმა პოეტებმა. მ. ფოცხიშვილის „ამბავი დედის გულისა“ ყურადღებას იპყრობს უშუალოდ და ცხოვრებისეული სიმართლით, ახლებური გააზრებითა და კარგი მხატვრული ფორმით:

დედის გული  
თოთოებად გვთვლის,  
ისევ ხელით სატარებელ  
პატარებად გვთვლის.  
ისევ თრთოლვით ეგებება  
შელამებას, მწუხრს –  
ისევ ისეთ ლოდინშია,  
ისევ ისე წუხს...  
დედის გული...  
დედის გული  
დაწყნარდება ვით?  
მთებში იყო –  
ჩანჩქერით  
დაეშვება ძირს,  
ბარში იყოს –  
მერცხალივით  
მიაშურებს მთებს...

მ. ფოცხიშვილის სხვა ლექსებიდან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ „პაპა“, „საბიძაჩემო“, „თამაშვარეთ“, „დაბალი ღობე“, „ამღვრეული ბალადა“, „მესტვირის სულის სასენებელი“ და სხვ.

ახალგაზრდა პოეტის ლექსთწყობა უმთავრესად სასიმღეროა – ავტორი მიისწრაფვის ხალხურობისაკენ, ეს გარემოება ხდის მის ლექსებს იოლად გასაგებს და სადას. მაგრამ ეს სისადავე შორსაა გაუბრალოებისაგან და პრიმიტივიზმისგან. მ. ფოცხიშვილი თავისი ლექსებით ამტკიცებს, რომ სასიმღერო ლექსების წარმატებას უპირველესად კომპოზიციურ შეკრულობაში, ლაკონიურობასა და ნათელ სახეებში უნდა ვეძებდეთ. ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი კომპოზიტორები, რომლებიც ხშირად უჩივიან კარგი სასიმღერო ტექსტების სიმცირეს, – ჩაიხედავენ მ. ფოცხიშვილის წიგნში. იქ ნახავენ მასალას თავიანთ ნაწარმოებებისათვის.

ახალგაზრდა პოეტის ლექსებში ხშირად გვხვდება მოხდენილი თქმები, მაგალითად: „რაღაცას წერდა მინაზე წვიმა, წერდა და

შლიდა სტრიქონებს თვითონ“; „შენ მუდამ მზექალაი ხარ, მე მუდამ მზეს-უმზირა?!“, „უნიჩბო ნავეებს ვგავართ, გადაკარგულებს ზღვაში“, „მთას მოხვეული ნისლის ნახევი კოლხელი კაცის ყაბალახივით“... მაგრამ აქა-იქ პოეტის ლექსებში ვხვდებით არაკონკრეტულ შედარებას, ამა თუ იმ მომენტიანისთვის შეუფერებელ თქმებს, რაც ზოგ სხვა ახალგაზრდა პოეტსაც ახასიათებს. ნამდვილად კარგ ლექსში „ამბავი დედის გულისა“ უხერხულად მიგვანჩნია დედის გულის შედარება ჩაიდანთან. ასევე სადავოდ მიგვანჩნია თქმები: „ჩემს ლექსებზე შენი აზრი გამოხდილი არაყივით“ („საბიძაჩემო“); „ცახცახებს ღელე ვიტარის სიმივით“; რამდენად მიზანშეწონილია ომში დაღუპვის შედარება ნათურის გადაწვასთან?! გვხვდება აქა-იქ ტრაფარეტული სტრიქონებიც: „არაფერია, რაც იყო, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს – ყველაფერია“.

არსებობს ერთი ტავიკური ანდაზა: „კარგი წელიწადი გაზაფხულით იცნობა“. ჩვენი აზრით, სწორედ ამ საზომით უნდა მივუღებოთ პოეტს. ახალგაზრდა შემოქმედისათვის მისი პირველი ლექსები, პირველი წიგნი პოეტური გაზაფხულის პირველი მერცხლებია. შეიძლება ხანდახან მორიდებული და მოუქნელი მოგეჩვენოს ამ მერცხლების ფრენა, მაგრამ მთავარია ერთი – რამდენად შორს გაფრინდებიან და რამდენ გულშიაც მონახავენ ბუდეს. ამით შეიძლება პოეტის მომავლის გამოცნობა.

მორის ფოცხიშვილის ლექსებმა დამსახურებული სიყვარული მოიპოვეს მკითხველებში და მის შემდეგი ნაწარმოებებისაგან უფრო მეტს უნდა მოველოდეთ.

„მნათობი“, 1958-7

## „განა წყარო ვარ!“

ასეც ხდება: ახალგაზრდა პოეტი გამოსცემს თავისი ლექსების პირველ წიგნს და ეს წიგნი რჩება როგორც ყველაზე საუკეთესო შემდეგ გამოცემულ მრავალ წიგნთან შორის.

ხდება პირიქითაც: თანდათანობით, ლექსიდან ლექსამდე, წიგნიდან წიგნამდე იზრდება პოეტი და ხანდაზმულობაში აღწევს შემოქმედებით მწვერვალს.

ჩვენმა ლიტერატურამ ორივე ფაქტის დამადასტურებელი მაგალითები იცის.

აი, ჩვენს წინ არის ორი პატარა წიგნი. ერთი ამ ხუთიოდე წლის წინათ გამოცემული, მეორე კი ახლახან. ერთს ჰქვია „სიყვარულის ასაკი“, მეორეს კი – „განა წყარო ვარ“. ორივე წიგნი მედგა კახიძეს ეკუთვნის, მაგრამ რა დიდი სხვაობაა ამ წიგნებში შეტანილ ლექსთა შორის!

პოეტი ქალის პირველი წიგნის გამო ს. ჭილაია წერდა: „ამ ლექსების ლირიკული გმირი, უპირატესად, შეყვარებული გოგონაა, სიყვარულის ასაკის ქალიშვილი; ამ თვალთ არის დანახული აქ ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი, ყოველი დეტალი“. შემდეგ კრიტიკოსი მიუთითებდა: „მაგრამ იმდენად ერთფეროვანია განცდათა და გრძნობათა გადმოცემა სხვადასხვა ლექსში, იმდენად ერთფეროვანია საკითხთა წრე, აქ ისეა განმეორებული სიყვარულის ასაკის ისტორია მრავალჯერ, რომ ეს უკვე მოსაბეზრებელი ერთფეროვნების საფრთხეს ჰქმნის“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ., №10). ეს მართებული შენიშვნა იყო.

მედგა კახიძის ახალი წიგნის მთავარი თემაც სიყვარულია, მაგრამ აქ დაძლეულია ადრინდელი ერთფეროვნება; პოეტს უყვარს საქართველო და მისი წარმტაცი ბუნება, მშრომელი ხალხი და გმირი წინაპრები, მეგობრები და შინაურები, ცა და მიწა... მისი მეორე წიგნი „განა წყარო ვარ“ უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია „სიყვარულის ასაკთან“ შედარებით. როგორც თემატური მრავალფეროვნებით, ისე მხატვრული ხარისხითაც.

მ. კახიძე ეკუთვნის 50-იანი წლების პოეტურ თაობას; მან იმთავითვე გამოავლინა ერთი დამახასიათებელი შტრიხი. სახელდობრ ის, რომ მისთვის უცხოა და მიუღებელი გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი და ცრემლიანი განწყობილებანი. როცა იგი ამბობს:

სინდისი უნდა  
გამძლე იყოს,  
როგორც სატივე...  
იყო კაცი და  
არ გეზუროს ნამუსის ქული,  
ქართული მიწა  
არ გაპატიებს!

თქვენ გჯერათ მისი. გჯერათ, რომ მისი პოეტური სამყაროდან მოდის ასეთი ვაჟკაცური ინტონაცია.

არა მარტო მთლიან ლექსებში, არამედ ცალკეულ შედარებებსა და სახეებში, ფრთიან თქმებსა და ეპითეტებში გაისმის ეს ომანიანი ხმა: „მთა მთვარეს პირზე იყუდებს ვით ბერიკაცი ჭინჭილას“, „მე ვარ მტევანი კარდანახული და ერთი კალთა მიწა ბებერი, ვარ შემართული ციხე აწყურის, ხონთქარისაგან აუღებელი“, „მინდა მკათათვის ქვევრივით გულს გადავვლიჯო სარქველი, როგორც წისქვილის ღარიდან, გადმოვაქუნო სათქმელი“, „სიტყვა გატყდა, ვით კახური პური შოთის“...

მ. კახიძის ახალ წიგნში შეტანილი პირველი ლექსია „ჩემი მიწის სადღევრძელო“, რომელშიც იგი გულწრფელად ნატრობს: „მინდა ვიყო თავანკარა გაზაფხული, ჩემი მიწის სადღევრძელოდ მოვკვდე“.

ლექსში „არ გაქვს უფლება“ პოეტი წერს:

როცა ქართველი  
სამშობლოს სტოვებს,  
სტოვებს მშობლიურ  
ზამთარ-მაისებს.  
ქართული ზეცის  
სიწმინდეთი  
თვალებს აივებს  
და თან წაიღებს  
ალაზანის სიდარბაისლეს.

.....  
მე უფრო მეტად  
მეყვარები,  
ცაო ნათელო,  
რომ დაებრუნდები!

შორს ყოფნა ავტორს, სამშობლოს გარდა, ახსენებს ამხანაგებსა და მეგობრებს, დედას და მახლობლებს, დაუდევარ ბავშვობასა და მშფოთვარე სტუდენტობას. მოსკოვის ციკლის ლექსებიდან აღსანიშნავია: „ფრესკის ღიმილი“, „ადამიანებს ერთნაირი გვაწუხებს სევდა“, „ციცინათელა“, „მე რომ ვიცოდი“ და სხვ.

მ. კახიძის მეორე წიგნში ჩანს, როგორ გაიზარდა პოეტის ინტერესთა ჰორიზონტი, როგორ გაიზარდა პოეტის ინტერესთა ჰორიზონტი, როგორ გაფართოვდა მისი შემოქმედების ჩარჩოები. მას უკვე ბევრი რამ აღელვებს, გარდა სიყვარულისა. მაგრამ განა შეიძლება პოეზია და პოეტი უსიყვარულოდ?!

სატრფიალო ლირიკაში მართლაც მეტად თავისებურია მ. კახიძე. მისი ლექსები გამოირჩევიან პირდაპირობით, სითამამითა და გრძნობათა სიჭარბით:

მე მინდა სიცოცხლის ბოლომდე  
ვგავდე ოცნებას და მოლოდინს,  
და დიდი სიცოცხლის ხალისი  
გულს მენტოს ისევ და ისევ,  
ვიმღერო მზის საგალობელი,  
მიყვარდეს, ვუყვარდე ვისმე.

მ. კახიძე კარგადაა დაუფლებული ლექსის ტექნიკურ მხარეს. ამითაც განსხვავდება ეს წიგნი პირველი წიგნისაგან. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს პოეტი ქალის მარჯვე თქმები, მაგალითად: „ეჭვებივით ჩახლართული ტევრი“, „ზეცა არის ბროწეული ათასგულა“ (ღამით), „მოვიდა, ბუდე სახლის ჭერს კახურ ქუდივით დახურა“ (მერცხალმა), „წამოგვეწევა ტროლეიბუსი და ჩვენს წინ ხელებაწეულ პატიმარივით დადგება“, „მე წყარო ვნახე დილა სისხამზე, – კლდეში კრავივით გადავარდნილი“, „განა წყარო ვარ, ხანჯლით გადამჭრა და არაფერი დამეტყოს მაინც“...

პოეტის მეორე წიგნი, ჩვენი აზრით, მოიგება, რომ არ შეეატანა ზოგიერთი არაფრისმთქმელი, ბანალური ლექსი („ბედნიერია, ვისაც სჯერა“... „იმ ღამეს“, „ვით ნაწვიმარი“).

დარწმუნებული ვარ, რომ მ. კახიძის მესამე წიგნი კიდევ უკეთესი იქნება, ვინაიდან მას განუცდია „ზღვა სიხარული და ცეროდენა გულისტკივილი“. ვუსურვებთ პოეტ ქალს მისივე სიტყვების შესრულებას:

ვწვდე სიჭაბუკეს ფაფარში,  
ხელი ვუტაცო ავჟანდებს,  
რომ შემართული სიმღერა  
ხანჯალივით არ დაჟანგდეს.

„ლიტერატურული საქართველო“, 1960-43



## აკაკი ბელიაშვილი

არიან მწერლები, რომლებიც ხმაურით შემოიჭრებიან ხოლმე ლიტერატურაში, მათი პირველივე ნაწარმოები გახდება საყოველთაო სჯა-ბაასის საგანი, მაგრამ შემდეგ, წელთასვლის პერიოდში იფერფლებიან, უკეთესს ველარაფერს ქმნიან და მკითხველებსაც თანდათანობით ავიწყდებათ მათი სახელი.

მაგრამ არიან მეორე ტიპის მწერლებიც. ისინი უჩუმრად, აურზაურის გარეშე შემოვლენ ლიტერატურის ასპარეზზე და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ედებათ შემოქმედებითი ცეცხლი, თანდათან ერთიმეორეზე უკეთეს ნაწარმოებებს აწვდიან მკითხველს და მათი პოპულარობაც იზრდება ხალხში.

სწორედ ამნაირ მწერლების რიგს ეკუთვნოდა აკაკი ბელიაშვილი. ოცდახუთი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა მისი პატარა მოთხრობები, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ოციოდე წლის წინ გამოცემულმა „ბესიკმა“ მოუპოვა მას ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა. შემდეგ აკაკი ბელიაშვილი მტკიცედ ჩადგა თანამედროვე ქართული პროზის ავანპოსტზე და საბედისწერო შემთხვევა რომ არა, ახალ-ახალი შესანიშნავი ნაწარმოებებით გაამდიდრებ და მას.

ორიოდე სიტყვა მწერლის ბიოგრაფიიდან:

აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა 1903 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე. ახალგაზრდა მწერლის მიერ არჩეულმა პროფესიამ გამოიწვია მისი გატაცება ალპინიზმით.

წერა აკაკი ბელიაშვილმა ძალიან ადრე დაიწყო — პირველი ნარკვევები და მოთხრობები გამოაქვეყნა 1920 წელს. 1933 წელს კი გამოვიდა მისი პირველი წიგნი — მოთხრობების კრებული. ამის შემდეგ მწერალმა გამოუშვა მოთხრობებისა და ნოველების კიდევ რამდენიმე წიგნი. 1948 წელს კი გამოიცა ტრილოგია „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“.



ამ მეტად საინტერესო რომანში, საქართველოს ბედის განმსაზღვრელი ისტორიული ეპოქის ფონზე, დახატულია XVIII საუკუნის გამოჩენილი პოეტისა და მოქალაქის ბესიკ გაბაშვილის სახე. ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე ის არის, რომ ავტორი იჩენს ისტორიული მასალების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. სწორედ ამის წყალობით იძლევა ავტორი იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ისტორიული და კულტურული ცხოვრების სწორ შეფასებას; ასეთ რთულ, მრავალწახნაგოვან და მოცულობით დიდ ნაწარმოებში, როგორცაა „ბესიკი“, ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა აკ. ბელიაშვილის შემოქმედებითი სტილის თავისებურებანი.

ამ თავისებურებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თხრობის ბუნებრიობა და ეპიურობა, სიუჟეტის განვითარების დამატულობა, ცალკეული სიტუაციების დრამატიზმი, პეიზაჟების პლასტიკურობა და რელიეფურობა, პერსონაჟები კოლორიტულობა და დასამახსოვრებლად გამოკვეთა.

„თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ – ნამდვილად ეროვნული ნაწარმოებია. მწერლის მიზანი იყო მრავალმხრივად და მხატვრულად დამაჯერებლად აესახა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი და საინტერესო მონაკვეთი. ავტორმა შესანიშნავად შეძლო ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა.

აკ. ბელიაშვილის ძირითადი შემოქმედებითი მიღწევა ის არის, რომ მან ამ ნაწარმოებში დაძლია ის ნაკლი, რომელიც აქვს ჩვენი ლიტერატურის ისტორიული რომანების უმრავლესობას. ესაა ხალხის, უბრალო ადამიანების არასწორი ასახვა. მეფეებისა და დიდებულების, თავადებისა და სარდლების გვერდით აკ. ბელიაშვილს თამამად გამოჰყავს მშრომელი გლეხკაცობისა და ქალაქის მდაბიო მოსახლეობის წარმომადგენლები. საკმარისია გავიხსენოთ მოხუცი მეომრის დულაბას შესანიშნავი სახე, რომელსაც ავტორი ისეთივე სიყვარულითა და მონდომებით გვიხატავს, როგორც მეფე ერეკლეს. და თუ ნაწარმოებში ერეკლე მეფის სახე უფრო წინა პლანზეა, უფრო სრულად და მრავალმხრივად დახატული, ეს იმით აიხსნება, რომ რომანის მთავარი გმირი არის ბესიკი, რომელიც ძირითადად სწორედ სამეფო კარზე ტრიალებდა.

გავიხსენოთ მეფე ერეკლეს საუბარი მოხუც დუღაბასთან. შინაარსითა და მხატვრულად შესანიშნავ ამ სცენაში ჩვენს წინ მთელი სიმაღლით დგება ბრძენი ქართველი მეფის სახე, რომელიც უბრალო ხალხთან ბჭობს თავისი ქვეყნის ბედზე. არანაკლებ შთამბეჭდავია დუღაბას სახეც. ეს არის ადამიანი უბრალო ხალხიდან. სწორედ ასეთი ხალხია ისტორიის ჭეშმარიტი შემქმნელი, სწორედ ისინი წყვეტენ ქვეყნის ბედს მშვიდობიანი შრომისა თუ ომის დროს.

ქართულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი, რომ ერეკლეს სახემ დაჩრდილა რომანში მთავარი გმირი ბესიკიო. მაგრამ ამ კრიტიკული შენიშვნის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ ისტორიული მასშტაბით მეფე ერეკლე ბესიკზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა და მასზე ბევრად დიდი როლი შეასრულა საქართველოსთვის. რომანში ერეკლე ცხოვრობს, მოქმედებს და იბრძვის პოეტის მხარდამხარ. ის რომანში ნაჩვენებია არა როგორც მეფე-ზეადამიანი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, რომელსაც ბედმა დააკისრა საქართველოს მართვა-გამგებლობა. ისიც მთელი თავისი ნიჭითა და ენერჯით ემსახურება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

„ბესიკის“ პერსონაჟები ყურადღებას იპყრობენ თავიანთი ცხოვრებისეული სიმართლითა და ჭეშმარიტი ადამიანობით. აკაკი ბელიაშვილი მხატვრულ შემოქმედებაში მყარად დგას თავის თეორიულ მრწამსზე – ცხოვრებაში არ არსებობენ იდეალურად დადებითი და მთლიანად უარყოფითი გმირები. ამაზე უფრო დაწვრილებით შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ისტორიულად ცნობილი პირების (ერეკლე, ბესიკი, ბატონიშვილი ანა, დავით სარდალი, სოლომონ ლეონიძე და სხვ.) გვერდით ავტორს გამოჰყავს შემოქმედებითი ფანტაზიის შემქმნელი სახეების მთელი გალერეა. მას არა მარტო ჰქონდა ამისი უფლება, არამედ ეს მხატვრული აუცილებლობაა. ასევე სამართლიანად და კანონზომიერად გააშუქა ავტორმა ზოგიერთი ისტორიული ფაქტი თავისებური გადაწყვეტით.

რომანში ათეულობით მოქმედი პირია სხვადასხვა სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობისა – დაწყებული მეფე ერეკლედან და დამთავრებული უბრალო მექისით. რა თქმა უნდა, ძნელია მოსთხოვო მწერალს, რომ მან ყველა პერსონაჟისათვის მონახოს ერთნაირად მსუყე და მრავალფეროვანი საღებავი. მაგრამ აკ. ბელიაშვილის

სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ რომანში არ არის არც ერთი სქემატური სახე, არც ერთი ზერელე, უფერული ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით რომანის სათაური ავალებდა ავტორს მთავარი ყურადღება ბესიკის სახისათვის დაეთმო. მართლაც, მკითხველთა წინ ხორცშესხმულად დგას ქართული ლიტერატურის ეს შესანიშნავი წარმომადგენელი, საინტერესო ბედის ადამიანი.

„ბესიკის თავგადასავალში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მწერლის მხატვრული ოსტატობა, რომელიც ნათლად მოწმობს მისი ტალანტის სრულ სიმწიფეზე. როგორც უკვე ვთქვით, აკ. ბელიაშვილს შეუძლია ძუნწი და მკაფიო ფერებით, დამახასიათებელი შტრიხებით შექმნას დასამახსოვრებელი, ცოცხალი სახეები. დაწვრილებითი ფსიქოლოგიური და პორტრეტული დახასიათება რომანის მთავარი მოქმედი პირებისა, მკითხველს შესაძლებლობას აძლევს შეიცნოს და შეიყვაროს ისინი, როგორც თავისი ახლო ნაცნობები.

ასევე ოსტატურად ფლობს აკ. ბელიაშვილი ენასაც. რომანის ყოველი გმირი ლაპარაკობს საკუთარი, ინდივიდუალური ენით. ეს ხერხი არ არის თვითმიზნური მხატვრული ხერხი: პერსონაჟების ლაპარაკი არის მათი ხასიათის გამომჟღავნების საშუალება, განსაზღვრავს მათ კლასობრივსა და სოციალურ მდგომარეობას.

რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ თანამედროვე ქართულ პროზაში.

\* \* \*

აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში ამ ეტაპური ნაწარმოების შემდეგ, 1952 წელს გამოვიდა რომანი „ოქროს ჩარდახი“, რომელიც თავისთავად „ბესიკის“ მეოთხე წიგნს წარმოადგენს. ამ რომანში მოთხრობილია შესანიშნავი ქართველი პოეტის შემდგომ ბედზე. ბესიკი ხომ სასახლის კარის ინტრიგებსა და დიდებულთა მზაკვრობის შედეგად იძულებული გახდა დაეტოვებინა საყვარელი მეფე და გადასულიყო დასავლეთ საქართველოში.

რომანის ცენტრალური პრობლემაა ის ძირითადი საკითხი, რომელიც საქართველოს წინაშე დაისვა იმ ისტორიულ ეპოქაში. ქვეყნის სათავეში მდგომ ადამიანებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ სახელდობრ რომელ ორიენტაციას დასდგომოდა საქართველო,

უცხოელი დამპყრობლების გამუდმებული შემოსევებითა და ფეოდალთა დაქუცმაცებით გატანჯული ქვეყანა.

ზოგიერთებს სჯეროდათ, რომ ერთადერთი გამოსავალი იყო მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობა, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა საქართველო, იყო შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან, რასაც შეეძლო ქართველი ხალხის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან.

საწინააღმდეგო ტენდენციების წარმომადგენლები იყვნენ ფეოდალები, რომლებიც ურთიერთშორის კინკლაობით იცავდნენ თავიანთ ადგილობრივ, პარტიკულარულ ინტერესებს. რომანში გამოყვანილნი არიან ცენტრალიზებული მმართველობისა და რუსეთთან შეერთების მთავარი მოწინააღმდეგენი – სამეგრელოს მთავარი დადიანი და გურიის მთავარი – გურიელი. ისინი თავიანთი თანამომხეების – მეფე სოლომონის მომხრეებთან ძმათა სისხლისმღვრელი ომის წინაც არ იხევენ უკან.

„ოქროს ჩარდახის“ სიუჟეტური ხაზი ბოლომდე არაა მიყვანილი და მკითხველები მოუთმენელი ინტერესით ელოდებოდნენ რომანის გაგრძელებას. ის იქნებოდა არა მარტო „ოქროს ჩარდახის“ მეორე წიგნი, არამედ ბესიკ გაბაშვილის ცხოვრების ეპოპეის მეხუთე წიგნი...

\* \* \*

„ოქროს ჩარდახის“ პირველი წიგნის გამოსვლის ერთი წლის შემდეგ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა აკ. ბელიაშვილის კიდევ ერთ რომანს – „რუსთავს“. როგორც იტყვიან, ეს იყო მოულოდნელი ექსკურსი ახალ სამყაროში. მეფეთა სასახლეებიდან და გლეხთა ქოხებიდან მკითხველი გადმოდის თანამედროვეობაში, მეთვრამეტე საუკუნიდან – მეოცე საუკუნის შუა წლებში.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს აკ. ბელიაშვილის, როგორც მწერლის ფართო შემოქმედებით დიაპაზონზე. იგი არ ზღუდავს თავის მხატვრულ ჰორიზონტს ერთი რომელიმე განსაზღვრული საკითხით, არ იკეტება ერთი შეყვარებული თემის ჩარჩოებში. საინტერესო ისტორიული რომანის შემდეგ მწერალმა ამოცანად დაისახა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების შექმნა.



ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძღვევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავი სალუტების გრიალი, რომ ჟურნალ „მნათობში“ დაიწყო აკაკი ბელიაშვილის რომანის „ქარიშხალის“ ბეჭდვა. რომანის გამოქვეყნება სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ, მეექვსე თავზე შეწყდა.

აი, ათ წელზე მეტმა ხანმა განვლო და აკ. ბელიაშვილმა მრავალი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა რომანი „უღელტეხილი“. „ქარიშხალისა“ და „უღელტეხილის“ პირველი თავები, გარდა უმნიშვნელო ცვლილებებისა, თითქმის ზუსტად ემთხვევა ერთიმეორეს. აქედან ამკარაა, რომ „უღელტეხილი“ ის ნაწარმოებია, რომლის წერაც ავტორს სამამულო ომის დროს დაუწყია. ჩვენ არ მიგვაჩნია არაბუნებრივად ისეთი დიდი ინტერვალი, ისეთი ნაყოფიერი და შრომისმოყვარე მწერლისთვისაც კი, როგორც იყო აკაკი ბელიაშვილი. ჭეშმარიტი ნაწარმოები ამა თუ იმ ეპოქალურ მოვლენაზე უმრავლეს შემთხვევაში ამ მოვლენიდან დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ იწერება, როდესაც მომხდარ ფაქტებსა და წარმოშობილ შედეგებს უფრო ნათელი და გააზრებული მნიშვნელობა ეძლევათ (ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ე. წ. „დისტანციის თეორიის“ მომხრე ვიყოთ).

რა დასამაღია ის ამბავი, რომ ომის პერიოდის ასახვას ლიტერატურაში, გარდა ამისა, ემატება ერთი აუცილებელი ფაქტორიც. ესაა თვით ომის პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში წინა პლანზე წამოწევა უფრო სადღეისო, მასების აღმაფართოვანებელი მასალებისა, ე. ი. ყველა იმ სიძნელისა და სიმახინჯისთვის თვალის არიდება, რაც აუცილებლად მოსდევს თან ყოველგვარ ომს. ეს ერთადერთი მაგალითი ე. წ. „ცხოვრების შელამაზებისა“ დაუშვა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებულმა საბჭოთა ლიტერატურამაც.

ყოველ მწერალს აქვს თავისებური მსოფლშეგრძნება, თავისებური აღქმა მოვლენებისა, თავისებური განჭვრეტა და გაშუქება ამ მოვლენებისა. ზოგი მხოლოდ კარგს, ლამაზს, საჩვენებელს ამჩნევს და აღწერს, ზოგს კი პირიქით – ცუდი, მახინჯი, შეუმჩნეველი აინტერესებს. მაგრამ აინტერესებს არა იმიტომ, რომ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ შეებრძოლოს და ამხილოს. მწერლური ტენდენცია კი ორივე მწერლისა ერთია – ადამიანების გაკეთილშობილება!

აქ მთელი სიგრძე-სიგანით ისმება საკითხი დადებით გმირში უარყოფითი თვისებების შესახებ, რომელიც დიდი ხანია კამათის ობიექტადაა საერთოდ ქცეული და რომელზედაც მრავალგვარი აზრი არსებობს. ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებდით, მაგრამ ვინაიდან აკ. ბელიაშვილის რომანის „უღელტეხილის“ ირგვლივ ატეხილ კამათში სწორედ დადებითი და უარყოფითი გმირის პრობლემა იყო მთავარი და ამავე დროს თვით ავტორის აზრიც ამ საკითხზე ცნობილია მისი გამოსვლებითა და წერილებით, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პირადი შეხედულებაა და შეიძლება ბევრს სადავოდ მოეჩვენოს.

ჯერ უნდა გაირკვეს, თუ რა შეიძლება ჩაეთვალოს ადამიანს უარყოფით თვისებად. არა, უფრო სწორად, ჯერ განვასხვავოთ ტერმინები: უარყოფითი თვისება და ნაკლი. ეს ხომ ერთი და იგივე არაა! პირველი შეიძლება იშვიათ შემთხვევაში მართლაც ჰქონდეს კაცს, მაგრამ რაიმე ნაკლი ყველა ადამიანს აქვს. აქვე წამოიჭრება მესამე საკითხი უარყოფითობისა – ესაა ერთ მომენტში ჩადენილი ცუდი საქციელი. ე. ი. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დადებითი გმირის უარყოფით მხარეებზე, ვითვალისწინებთ ამ სამ ელემენტს. ჩვენი აზრით, პირველი ელემენტის გამომზეურება ნაწარმოებში დაუშვებელია, თუ გმირი წამყვანი ფიგურაა. მეორე სავსებით შესაძლებელია და მესამეც, უამისოდ გმირიც მეტად უფერული და დაუჯერებელი გამოვა, როგორც იტყვიან „ფრთები-ლა ეკლდა ანგელოზობას“.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც არ ვამბობთ, რომ ლიტერატურაში არ არსებობენ იდეალური გმირები. ცხოვრებაში კი ძალიან მცირე რაოდენობით არსებობენ ასეთი ადამიანები, ისევე როგორც მთლიანად უარყოფითი ადამიანები. კაცობრიობის უმრავლესობას შეადგენენ ადამიანები, რომელთაც აქვთ დადებით-უარყოფითი თვისებები მეტ-ნაკლებობით.

ახლა კი კონკრეტულად ავილოთ დავით ბექაია, „უღელტეხილის“ მთავარი დადებითი გმირი და ასე ვთქვათ, „გავშიფროთ“ მისი პიროვნება.

„ახალგაზრდა ინჟინერს დავით ბექაიას, ქორწინების სწორედ ერთი თვის შემდეგ ცოლმა განუცხადა, რომ სხვა უყვარდა და ისინი უნდა გაშორებოდნენ ერთმანეთს. ეს სწორედ იმ დროს, როდესაც დავითს თავისი თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა და

ევონა ცა და მიწა მისი იყო“, – გვამცნობს ავტორი რომანის დასაწყისშივე და ნათლად გრძნობს მკითხველი, თუ რა სულიერ ტრავმას მიიღებდა ახალგაზრდა კაცი ამ მდგომარეობით, ამიტომაც არ უკვირს მას, რომ დავით ბექაიამ „განდევილივით განმარტოება გადაწყვიტა“ და „მივარდნილ მთებში, ყველაზე მიყრუებული კუთხე აირჩია სამუშაოდ“.

ბექაია განათლებული და კულტურული ადამიანია, მეტად გულისხმიერი და უნარიანი ხელმძღვანელი. გადაკარგულ ადგილას, ყოველგვარ კომფორტს მოკლებული ახალგაზრდა დღე და ღამ მუშაობს მაღაროებში. იგი ძალიან უყვართ მუშებს და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ომი დაიწყო, მაგრამ ბექაია არმიაში არ გაიწვიეს. 1942 წელს მაღაროელთა ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ერთი რომ გერმანელთა ქვემეხების გრიალი ახლოს გაიგონეს და მეორეც ის, რომ მათთან სამუშაოდ ევაკუირებული ქალები გამოვზავნეს. რა თქმა უნდა, ნახევრად გაველურებული მამაკაცების წრეში, რომელთაც თვეების მანძილზე არ დაუნახავთ ქალი, ეს ნამდვილი სენსაცია იყო.

დავითიც კი, რომელიც ავტორის სიტყვებით „ქალებისმოძულე“ ადამიანად იქცა იმ პირველი უბედურების შემდეგ, – უჩვეულოდ ააღელვა ერთ-ერთმა მათგანმა, სათნო და კეთილმა რუსის ქალმა ნადიამ. საოცრად უმწიკვლო და სპეტაკია მათი სიყვარული ერთმანეთისადმი, თუმცა აშკარად ამაზე არც ერთი არ ლაპარაკობს. რასაკვირველია, დავითს ძალაუნებურად აგონდება თავისი უღირსი ნაცოლარი, რომელიც ასე თავდავიწყებით უყვარდა, აგონდება და განიცდის ისეთ ჩვეულებრივ, ადამიანურ ტკივილს, როგორიც მოსალოდნელია.

შემდეგ დავითი თბილისში ჩამოდის და როგორც გამოცდილი ალბინისტი კავკასიის ფრონტის შტაბის საგანგებო დავალებით იგზავნება მოწინავე ხაზზე. დავითი ფრონტზედაც შესანიშნავად ასრულებს საბრძოლო ოპერაციებს, პირადი მამაცობითა და უნარიანი მეთაურობით მიუძღვის წინ სპეციალურ სამთო ნაწილებს და საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებასაც დაიმსახურებს.

ფრონტიდან დაბრუნებული დავითი ხვდება ცოლყოფილ ლილის, რომელიც მზადაა შეურიგდეს, მაგრამ ბექაიამ კარგად იცის მისი სამარცხვინო თავგადასავალი განშორების შემდეგ და ისევ მშობლიურ მაღაროებს უბრუნდება. იქ ეგულება ნადია, რომელსაც წრფელი და



მაღალი სიყვარული შეუძლია. გზად მიმავალი გონებაში წარმოიდგენს კიდევ სასურველ ქალთან შეხვედრის სცენას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: დავითის დაღუპვის ყალბ ცნობას სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია ნადია და გადაკარგულა იქიდან.

ასე გადალახა დავით ბექაიამ ორი უღელტეხილი, ერთი მძიმე და სასტიკი ბრძოლებით კავკასიონის მთებში და მეორე არანაკლებ მძიმე პირად ცხოვრებაში. მკითხველს სჯერა, რომ მან დაიწყო ახალი, დიდი ცხოვრების გზა, სწორედ ამაზე მიუთითებს ავტორის ფინალური სიტყვებიც: „დავითი ოდნავ ხმააწეული ლაპარაკობდა. მის არსებაში დუღდა და მღელვარებდა სიხარულის გრძნობათა ბობოქარი ზღვა“.

დავითის გარდა სხვა დადებითი პერსონაჟები მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ:

კეთილი და მეოცნებე ნადია, ყველას მიმართ დედობრივად მზრუნველი პელაგია, მოწინავე მწგრეველი დემიანოვი, მხიარული მზარეული თომა – აი, ნამდვილი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ რომანის პირველ თავებში ჩანან და შემდეგ უკვე აღარ ხვდებიან მკითხველს.

ფრონტზე დავით ბექაიას მხარდამხარ იბრძვიან შესანიშნავი ვაჟკაცები: მთამსვლელი გუჯა, უსახელო ლეიტენანტი, მაიორი ივანოვი და სხვები.

„უღელტეხილის“ სხვა დადებითი პერსონაჟებიდან გამოირჩევიან: ასპირანტი ქალი მაცვალა, მფრინავი გოგიტა, მეტრანპაჟე სტეფანე, ავთანდილ მჭედლიძე, ვალიკო მანაგაძე და სხვები. მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ეპიზოდური ხასიათისანი არიან და ამდენად მათ სახეებს აკლიათ მონოლითურობა და ხორცშესხმა.

სამაგიეროდ, რომანში სისხლსავსედ და კოლორიტულადაა დახატული მთავარი უარყოფითი გმირები და მეორეხარისხოვანი უარყოფითი პერსონაჟებიც.

გმირები კი არ იბადებიან, იქმნებიან. ყველა ადამიანი თავისი ცხოვრების გზაზე ხვდება წინააღმდეგობებს და აქ მჟღავნდება მისი უარყოფითი თუ დადებითი თვისებები.

ამ რომანში ავტორის სურვილია მომავალ თაობას დაანახოს, თუ რა საშინელებანი მოსდევს ომს, გარდა ნგრევისა და სიკვდილისა. რომ ომის ღმერთის მრისხანე მახვილი სუსტებისყოფიანი ადამიანის მორალსაც ათახსირებს. ასეთ ადამიანებს კი მშვიდობიანობის

დროს შეუძლიათ იცხოვრონ ტკბილად, უშიშრად, ჩუმად. ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება, ჩვენი აზრით, თუ ვიტყვით, რომ აკაკი ბელიაშვილი ამ რომანში ებრძვის ომს სწორედ იმ უარყოფითი, მახინჯი მოვლენების ჩვენებით. ასეთი ხასიათის ნაწარმოებიც აუცილებელია და იწერება კიდევ (გაიხსენეთ თუნდაც რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“). „წყვილადის დახატვით მზის სიყვარული“ შეიძლება დავარქვათ ამ მხატვრულ ხერხს.

როგორ გამოიყურებიან „უღელტეხილის“ უარყოფითი გმირები? ომმა დააჩქარა და გააღრმავა მათ ხასიათში სწორედ ის უარყოფითი თვისებები, მახინჯი მხარეები, რომლებიც მანამდე ნაწილობრივ მიჩქმალული იყო. შექმნილმა მძიმე ატმოსფერომ ომის პირველ წლებში უნებისყოფო ახალგაზრდები სულიერად დასცა და ზნეობრივად დააქვეითა.

ლილი, რომელმაც სერიოზული და კეთილშობილური ვაჟკაცის დავით ბექაიას მეუღლეობას ფუქსავატი და არაფრისმაქნისი რეზო გავაშელი ამჯობინა, მაგრამ მისგან მოტყუებული დარჩა, მორალურად მთლად დაეცა და ღამის ორგებში ატარებს დროს.

რეზო კი, ინტელიგენტი ოჯახის შვილი – ყომარბაზობს, ქურდებთან და ბანქოს მოთამაშებებთან ლოთობს. მისთვის არავითარი წმინდა აღარ არსებობს ამქვეყნად, წაგებული ვალის გადასახდელად სატრფოს ბინასაც გააძარცვინებს და უკანასკნელად, ვითომდაც სულიერ აპათიაში ჩაგარდნილი, რევოლვერს დაიხლის გულში.

რომანში აგრეთვე გამოყვანილია ომისდროინდელი თბილისის საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი მეორე-მესამეხარისხოვანი პერსონაჟები.

ორიოდე სიტყვა „უღელტეხილის“ კომპოზიციასა და ენაზე. აკ. ბელიაშვილი კომპოზიციის კარგი ოსტატია, მისი ნოველები და რომანები კომპოზიციურად მეტად მიმზიდველად და საინტერესოდ არიან აგებულნი. „უღელტეხილში“ კი, შედარებით მის სხვა ნაწარმოებებთან, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. იგრძნობა რაღაც ერთგვარი გაფანტულობა, შეუკვრელობა. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ „უღელტეხილში“ ერთმანეთს ენაცვლება ფრონტისა და ზურგის ამბებისადმი მიძღვნილი თავები. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება – ეს რომანი კომპოზიციური აღნაგობით გვერდში ვერ ამოუდგება აკ. ბელიაშვილის სხვა რომანებს. ასეთია ჩვენი აზრი აკ. ბელიაშვილის „უღელტეხილზე“.

\* \* \*

აკ. ბელიაშვილის შემდეგი რომანია „ვეფხია ხალიბაური“, რომელიც ფაქტიურად „რუსთავის“ გადაშუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. უკანასკნელი რომანი „შვიდაცა“ კი მხოლოდ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა – ცალკე წიგნად ავტორის სიცოცხლეში არ გამოცემულა.

ადრეც აღვნიშნეთ, რომ აკ. ბელიაშვილი ოცდახუთი წლის მანძილზე ქართველი მკითხველებისათვის ცნობილი იყო, როგორც პატარა მოთხრობებისა და ნოველების ავტორი. ის დამსახურებულად ითვლება ამ ჟანრის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩვენს ლიტერატურაში. ახლა ძნელია თქმა, რომელი გამოვიდა გამარჯვებული შეჯიბრებაში: ბელიაშვილი ნოველისტი, თუ ბელიაშვილი – რომანისტი.

თავის მრავალრიცხოვან ნოველებში მწერალი გვევლინება კომპოზიციის შესანიშნავ ოსტატად. მას აქვს განსაკუთრებული უნარი – საინტერესოდ და მიმზიდველად მოუთხროს მკითხველს.

აკ. ბელიაშვილის ნოველების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. მწერლის მახვილი კალამი ეხება ბევრ, ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო საკითხებს. მის ნოველებში შეიძლება შეხვდეთ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხების გმირებს.

შესანიშნავი ოსტატობით შეუძლია მწერალს მოცულობით პატარა ნოველაში დახატოს საინტერესო სიტუაცია და დასამახსოვრებელი ხასიათი. ამას კი აღწევს დიალოგის ლაკონიურობითა და გამომსახველობით. დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ცხოვრებისეულ დამახასიათებელ დეტალებს, რომლებიც აცოცხლებენ თხრობას, მეტ მკაფიობასა და სახოვნებას ანიჭებენ ნაწარმოებს.

როგორც იდეურად, ისე მხატვრული ოსტატობითაც უფრო მნიშვნელოვანია მოთხრობები „ზღვასთან“, „ცილა“ (რომელიც, სხვათა შორის, დაიბეჭდა ინდოეთში), „ბაგრატა“, „მოვალეობა“, მეზღვაურები“ და სხვა. იმ ბოლო წლებშიაც კი, როცა აკაკი ბელიაშვილი ინტენსიურად მუშაობდა დიდ მხატვრულ ტილოებზე, ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მისი მოთხრობები.

აკ. ბელიაშვილი დაჯილდოებულია იუმორისტის შესანიშნავი ნიჭით. მისი შემოქმედებითი სტილის ეს მხარე მჟღავნდება როგორც რომანების ცალკეულ დეტალებში, ისე მოთხრობებსა და ნოველებში.

ავტორი არ მისდევს ზერეულ ანეკდოტურ სიუჟეტებს, ან თითიდან ძალით გამოწოვილ უკბილო ოხუნჯობებს. მისი იუმორისტული მოთხრობები და ნოველები ზოგჯერ ატარებენ უწყინარი მსუბუქი იუმორის სახეს, ზოგჯერ მწვავე სატირით ამხელენ მავნე გადმონათობებსა და ჩამორჩენილ შეხედულებებს.

აკ. ბელიაშვილმა თავისი იუმორისტული ნაწარმოებების რამდენიმე კრებული გამოსცა. მკითხველის ყურადღება და სიმათია დაიმსახურა ამ წიგნებში მოთავსებულმა შემდეგმა ნოველებმა და მოთხრობებმა: „ბედის უკუღმართობა“, „ქსენოფანტეს გასაჭირი“, „იუსტინეს ხაფანგი“, „მეზობლები“, „ბეჭედი“, „ქუთათურთა ფანდები“ და სხვა.

ჯერ კიდევ 1937 წელს გამოაქვეყნა აკ. ბელიაშვილმა მოთხრობა „ახალგაზრდები“, რომელიც ალპინისტებს უძღვნა. ამის შემდეგ მწერალმა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები შექმნა ახალგაზრდობისა და მოზარდი თაობისათვის. მათ შორის აღსანიშნავია „საიდუმლო გამოქვაბული“. ეს სათავგადასავლო ჟანრის მოთხრობაა, ასეთი მოთხრობები კი, როგორც ცნობილია, ნაკლებადაა ქართულ ლიტერატურაში.

გარკვეული დამსახურება მიუძღვის აკ. ბელიაშვილს ქართული კინოხელოვნების წინაშე. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე კინოსცენარი. 1930 წელს ცნობილმა ქართველმა კინომსახიობმა მიხ. გელოვანმა აკაკი ბელიაშვილის სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი „კავკასიელი ყაჩაღი“, ათი წლის შემდეგ ეკრანზე გამოვიდა კინოსურათი „მცენის ხეობის საუნჯენი“, რომლის+ სცენარის ავტორი აგრეთვე აკ. ბელიაშვილი იყო.

რამდენიმე წლის წინათ მთელ კავშირში წარმატებით აჩვენეს კინოფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. ეს სურათი სიუჟეტურად ძალიან ახლოს დგას აკ. ბელიაშვილის რომანებთან „რუსთავი“ და ვეფხია ხალიბაური“.

როგორც ვხედავთ, აკ. ბელიაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურული შემოქმედების სხვადასხვა ჟანრში. თავისი თეორიული შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხზე მწერალმა ჩამოაყალიბა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებში.

\* \* \*

აკაკი ბელიაშვილი იყო ქართული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი ყურადღებითა აკვირდებოდა თანამედროვე საქართველოს ცხოვრებას.

აკ. ბელიაშვილის შემოქმედებითი ინტერესების წრეში შედის საქართველოს ისტორიული წარსული, ესოდენ მდიდარი საბრძოლო გმირობებითა და ლიტერატურული ტრადიციებით. მსუყე ფერებით ხატავს მწერალი ისტორიული გმირებისა და უბრალო ადამიანების სახეებს. მაგრამ ლაპარაკი იქნება თანამედროვე თემაზე დაწერილ ნაწარმოებებზე თუ ისტორიულზე – აკ. ბელიაშვილის მოთხრობები და რომანები ყოველთვის პატრიოტულია და ეროვნული, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

თავის ნოველებსა და რომანებში იგი გვევლინება სიუჟეტის აგებისა და მისი ლოგიკური განვითარების ნამდვილ ოსტატად. მწერალს შეუძლია შექმნას გასატაცებელი და ამაღლეკვებელი სიტუაციები, რომლებიც ამტკიცებენ და ამდიდრებენ თხრობის ძირითად სიუჟეტურ ხაზს.

აკ. ბელიაშვილს შეუძლია შექმნას ღრმად ინდივიდუალური და დასამახსოვრებელი ადამიანების სახეები, რომლებიც ამავე დროს ტიპიურნი არიან თავიანთი დროისათვის. ასევე შესანიშნავი ოსტატია იგი პეიზაჟის ხატვისას. ძუნწი, მაგრამ ნათელი ფერებით აღწერს აკაკი ბელიაშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ბუნების სურათებს. მისი პროზის მხატვრული სტილი საერთოდ სადაა და მიმზიდველი.

ზევით უკვე ვილაპარაკეთ აკ. ბელიაშვილის ენობრივ საშუალებებზე პერსონაჟთა ხასიათის შესაქმნელად. ის, რაც ვთქვით „ბესიკზე“, შეიძლება გავავრცელოთ მის ყველა ნაწარმოებებზე.

მწერლის ლექსიკური ფონდი მდიდარია და მრავალფეროვანი. ძალიან ძუნწად და ტაქტიკურად ხმარობს პროვინციალიზმებს. ლიტერატურული ენით დაწერილ ფრაზაში ხშირად გვხვდება მხოლოდ ერთი დიალექტური სიტყვა, რომელიც ქმნის სპეციფიკურ ადგილობრივ კოლორიტს, დამახასიათებელს პერსონაჟის სიტყვიერი თავისებურებისათვის.

აკაკი ბელიაშვილი ძალიან პროდუქტიული მწერალიც იყო ამავე დროს. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მან

დაწერა რომანები: „ბესიკის თავგადასავალი“, „ოქროს ჩარდახი“, „რუსთავი“, „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“, „შვიდკაცა“ და ორმოცდაათამდე მოთხრობა.

დასანანია, რომ შემოქმედებითი ძალების სრული სიმწიფის ასაკში მყოფი მწერალი უღროოდ დაიღუპა.

წიგნიდან „ავტორი და წიგნები“, 1973

## ორღე ღგებუაძე

თითქმის ოთხ ათეულ წელს იყო მიღწეული ორღე ღგებუაძე, როცა მისი პირველი წიგნი გამოვიღა. მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მდიდარი ფაქტობრივი მასალა, მახვილი აზროვნება და მწერლის დაკვირვებული თვალი მისი შემოქმედების წარმატების საწინდარი იყო. ორღე ღგებუაძემ შესანიშნავად შეისისხლხორცა უღავო ჭეშმარიტება: მწერალმა იმაზე უნღა წეროს, რასაც საფუძვლიანად იცნობს და რაოდენ დასანანია, რომ მან სიცოცხლე თავისი შემოქმედების სრული აყვავების პერიოდში დაამთავრა! თუმცა მან, როგორც პროზაიკოსმა, ღირსეულად შეასრულა თავისი მისია – ქართული საბჭოთა სათავგადასავლო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის მოვალეობა.

ო. ღგებუაძის პირველი წიგნი „ღამნაშავენი“ გამოიცა ღიდი სამამულო ომის ღროს და ავტორს იმთავითვე პოპულარობა მოუპოვა. „ღამნაშავენს“ მოჰყვა „უცნობი მეგობარი“, „მეორედ ღაბაღება“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „ღვთიშობლის მოტაცება“, „ღიღ გზაზე“, „განთიადის ღედოფალი“, „ჩადირული თოღია“... მისი მოთხრობების ღიდი კრებული რუსულ ენაზეღაც გამოვიღა „ოთხი სიცოცხლის“ სახელწოღებით. ო. ღგებუაძის ნაწარმოებებს ვერასოღდეს ვერ ნახავღით წიგნის მალაზიის ვიტრინასა და თაროზე. ეს ფაქტი კი, ჩვენი აზრით, მწერლის გამარჯვების ერთაღერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

1957 წელს კინოსტუღია „ქართულმა ფიღმმა“ ო. ღგებუაძის სცენარის მიხედვით გაღაიღო ფიღმი „მე ვიტყვი სიმართლეს“.

მწერალმა მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი მოახმარა ჩვენს ლიტერატურაში სათავგადასავლო ჟანრის განვითარება-განმტკიცებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურა არ არის მდიდარი ამ ჟანრის ნაწარმოებებით. ტრადიციაც არა გვქონია, თითო-ორიოლა წიგნიც ამინდს ვერ შექმნიდა. ო. ღებუაძე იყო ერთადერთი პროფესიონალი მწერალი, რომელიც სისტემატურად მუშაობდა ამ საინტერესო და საჭირო ჟანრში.

ტერმინით – „სათავგადასავლო ლიტერატურა“ იგულისხმება ბევრი სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების ნაწარმოები. გაიხსენეთ რა დიდი სხვაობაა ამ ჟანრის მსოფლიოში სახელმძღვანელო ოსტატების: დანიელ დეფოსა და ჯონათან სვიფტის, ჟოულ ვერნისა და ფენიმორ კუპერის, მაინ რიდისა და კონან-დოილის, მარკ ტვენისა და ლუი ბუსენარის წიგნებს შორის.

ამ ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებების შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში. საკავშირო პრესაში გამართულმა დისკუსიამ ცხადჰყო, რომ სათავგადასავლო პროზა დიდი ლიტერატურის აუცილებელი და ორგანული ნაწილია, რა თქმა უნდა, თუ ის ჯანსაღი ტენდენციებისა და მაღალმხატვრული ღირსებისაა. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც სრულიად უარყოფენ სათავგადასავლო ლიტერატურის მნიშვნელობას. როგორი ხასიათის თეორიებიც არ უნდა მოიმარჯვონ ამ ჟანრის უარისმყოფელებმა, ერთი კი ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები დიდი ინტერესით კითხულობენ სათავგადასავლო წიგნებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ხშირად გამოდის ზერელე, შაბლონური და მხატვრულად უსუსური სათავგადასავლო ნაწარმოებები, რომლებიც უდავოდ უფუჭებენ გემოვნებას მკითხველს. მაგრამ სუსტი ნაწარმოები სხვა ჟანრისა, განა აუმაღლებს გემოვნებას?! ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ არა სათავგადასავლო ლიტერატურის წინააღმდეგ საერთოდ, არამედ გავილაშქროთ ამ ჟანრის უვარვისი ნაწარმოებების წინააღმდეგ. ის ავტორები, რომელთაც ჰკონიათ, რომ დახლართული ამბავია საკმარისი მაღალმხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, სასტიკად ცდებიან. მსოფლიოს სათავგადასავლო ლიტერატურის კლასიკურ ფონდში მხოლოდ მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები შევიდა და შევა.

არაფერი არ არის ცუდ სათავგადასავლო წიგნის დაწერაზე უფრო ადვილი. ამისათვის საკმარისია სისხლის სამართლის რომელიმე საქმის, ან ჯაშუშის შეპყრობაზე მოხსენებითი ბარათის ოდნავი

გადამუშავება. მაგრამ სინამდვილეში კარგი სათავგადასავლო წიგნის დაწერა ძალიან ძნელია. „ჩვეულებრივი“ პროზაიკოსისათვის საჭირო თვისებების გარდა, ამ ჟანრში მომუშავე მწერალს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მთელი რიგი სხვა სპეციფიკური თავისებურებანიც, რომელთა ჩამოთვლაც აქ შორს წაგვიყვანდა.

სათავგადასავლო ლიტერატურა მოწოდებულია დაამკვიდროს ცხოვრების ახალი წესი, მკითხველებს ჩაუნერგოს ადამიანის შემოქმედებითი უნარის ძლიერება, ასწავლოს მამაცობა, სიმარჯვე, კეთილშობილება და საგმირო საქმეებისადმი მისწრაფება.

სწორედ ამ საპატიო საქმეს ემსახურებოდა და ახლაც ემსახურებაო ო. დგებუაძის შემოქმედება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მისი ადრინდელი ნაწარმოებები, მიუხედავად სიუჟეტის სიმძაფრისა, მხატვრულად მაინც ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე. მათში უფრო მოყოლა სჭარბობდა აღწერას და გარეგანი პორტრეტი – ფსიქოლოგიურ პორტრეტს. არც თუ ისე იშვიათი იყო ენობრივი სიფერმკრთალე და ტრაფარეტული სახეები. მაგრამ თავისი ბოლო ორი ნაწარმოები – „განთიადის დედოფალი“ და „ჩაძირული თოლია“ ნათლად მეტყველებს ო. დგებუაძის დახვეწილ მხატვრულ ოსტატობაზე.

\* \* \*

ზედმეტად მიგვაჩნია „განთიადის დედოფლის“ მოკლე შინაარსის გადმოცემა. არც არის საჭირო და არც გვეონია, რომ წიგნის მოყვარულ ქართველს წაუკითხავი დარჩენოდეს ეს საინტერესო, ვრცელი მოთხრობა. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ამ მოთხრობის პირველი ნაწილია „ღვთიშობლის მოტაცება“ – სიონის ეკლესიიდან 1934 წელს ბოროტმოქმედთა მიერ გატაცებული ხატის ძებნის ისტორია, მეორე ნაწილი კი, საკუთრივ „განთიადის დედოფალი“ – ხატის გამტაცებელთა და მათი „შეფის“ იგორ ტამანოვის თავგადასავალი და ლიკვიდაცია.

ისევე, როგორც ცხოვრებაში ადამიანებია მთავარი, მხატვრულ ნაწარმოებშიაც პერსონაჟები წყვეტენ ყველაფერს. დასამახსოვრებლად, რელიეფურად და ცხოვრებისეული ბუნებრივობით გამოკვეთილი გმირები ყოველი პროზაული ნაწარმოების გამარჯვების საწინდარია. „განთიადის დედოფალში“ სულ ათიოდე გმირი მოქმედებს (არ



ვთვლით ტამანოვის ავტობიოგრაფიაში მოხსენიებულ პერსონაჟებს). როგორც საერთოდ ყოველ პროზაულ და განსაკუთრებით სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებში, ისინიც იყოფიან დადებით და უარყოფით გმირებად. საერთოდ, სპეციფიკის გამო სათავგადასავლო ლიტერატურაში ასეთი დაყოფა უფრო მკვეთრია, შუქჩრდილი კი უფრო ძლიერი. თავისი გმირების შინაგანი თუ გარეგნული პორტრეტის ხატვისას, ო. დგებუაძის – როგორც პროზაიკოსის და ჩვენი, როგორც კრიტიკოსის აზრი მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს: ცხოვრებაში არ არსებობენ აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი ადამიანები, არც მსოფლიოს კლასიკურ ლიტერატურაში არსებობენ ასეთი გმირები. ყველა ადამიანშია როგორც კეთილი, ისე ბოროტი საწყისი. სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგიერთში ბოროტი უფრო განვითარდა, ზოგში კი კეთილი... ბევრი მწერალი თავის უარყოფით გმირს გარეგნულადაც მახინჯვს ხატავს, ხოლო დადებითს – ფრთაშესხმულ ანგელოზად. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია.

„განთიადის დედოფალში“ უსასტიკესი ბოროტმოქმედნი „ბარონი“ – იგორ ტამანოვი და ბოშა ბორის საიდოვი გარეგნულად საუცხოო ვაჟები არიან, მაგრამ სული აქვთ ქვესკნელზე ბნელი და ხელი ჯვალათზე დაუნდობელი. ხოლო დადებით გმირებს – სანდროს (რომლის პირითაც ხდება თხრობა) და პირტაზიას, ღამენათევებსა და დაქანცულებს, ტყე-ტყე სირბილის და ტყვიის მოლოდინის ნაცვლად, ცოლ-შვილში, თბილ ლოგინში დაძინება მოენატროთ, ამას გაუმტყუნებს ვინმე?!

ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ დიდხანს გაგყვებათ აგრეთვე სამძებრო სამმართველოს უფროსის, სერგეი სტასისა და განსაკუთრებით რაისა მინდიაშვილის სახეები. ავტორი მათ ხატავს მეტად დამაჯერებელი და ბუნებრივი საღებავებით, წვდება მათ შინაგან სამყაროს და ახერხებს სხვადასხვა ყალიბის ადამიანების რთული ფსიქოლოგიური ნიუანსების გადმოცემას. კოლორიტულია არა მარტო მთავარი გმირები, არამედ სულ მცირე, ეპიზოდური ტიპაჟიც თითქმის არც ერთი სქემატური სახე არ არის ამ ნაწარმოებში, დაწყებული პერსონაჟის გარეგნული აღწერით და დამთავრებული მისი ხასიათით. ტიპის ხატვისას ავტორს აქვს ერთგვარი კინემატოგრაფიული ხედვა. ამ შემთხვევისათვის უნდა დავასახელოთ: მონაზონი ანტიისა, ენამრავალი კონდუქტორი, მთიელი ოჩიაური...

ამავე დროს მწერალი ღრმად ხსნის უარყოფითი გმირების ფსიქოლოგიურ სამყაროს. ამხელს მათი გადაგვარების ეკონომიურ თუ სოციალურ, საზოგადოებრივ თუ პირადულ მიზეზებს.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ „განთიადის დედოფლის“ სიუჟეტურ განვითარებასა და კომპოზიციურ შეკრულობაზე, ვინაიდან სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებისათვის სწორედ ესაა უმთავრესი მამოძრავებელი ღერძი. ამბავი ყოველ პროზაულ (და არა მარტო პროზაულ) ნაწარმოებს სჭირდება, მაგრამ სათავგადასავლო ნაწარმოებში სიუჟეტი დახლართული და დამინტერესებელი უნდა იყოს. ამ მოთხრობას სანამ ბოლომდე არ ჩაათავებთ, ვერ მოეშვებით. წარმოუდგენელიცაა ისეთი კარგი სათავგადასავლო წიგნი, რომელიც ღამეს არ გაგატეხინებს.

„განთიადის დედოფალში“ ორგანულად არის ჩართული უმთავრესი ბოროტმოქმედის – იგორ ტამანოვის ავტობიოგრაფია (წიგნის თითქმის ერთი მეხუთედი უჭირავს), რომელიც თავისთავად შესანიშნავი სიუჟეტი იქნებოდა სქელტანიანი რომანისათვის. ეს არის აღსარება კაცისა, რომელსაც „ნათელი გზით რომ ევლო, თავის თავსაც და ხალხსაც კეთილად გამოადგებოდა“.

ო. დგებუაძე კარგად ამჩნევს და მშვენივრად იყენებს ცხოვრებისეულ დეტალებს, რომლებიც მეტ სილამაზესა და სიცოცხლეს აძლევს პროზაულ ნაწარმოებს. აი, ნაწყვეტი ეპიზოდებიდან სიონის ტაძარში: „რატომღაც უხერხულობას ვგრძნობდი. შებოჭილი ვიყავი. ხმამალა ლაპარაკის მერიდებოდა. როგორც მე, ჩემს კოლეგებსაც ქუდი მოეხადათ და ყველას და ყველაფერს ისე მორიდებულად შესცქეროდნენ, თითქოს ოპერატიულ საქმეზე კი არა, სალოცავად მოსულანო, ჩვენი ასეთი მოკრძალებით ნასიამოვნები მღვდელი ისე მოწიწებით გაგვიძღვა სკამლოგინისაკენ, თითქოს ღვთისმოსავი სტუმრები ვყოფილიყავით“. ავტორი ხშირად იყენებს ხალხურ თუ თავისეულ მოსწრებულ თქმებს, რომლებიც მეტ ძარღვიანობასა და ელფერს აძლევენ ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს. საილუსტრაციოდ: „ნადირობიდან დაბრუნებული რომელი მონადირე იტყვის უარს გარჯაზე, თუ ეზოში მგლის ახალ კვალს წააწყდება?“ შედარებებიც ორიგინალური და ხატოვანი აქვს მწერალს. აი, ორიოდე მაგალითი: „ჩვენი პროფესიის კაცს მშვიდად არ შეუძლია ასეთი ამბის მოსმენა. ამ დროს ის იმ გულფიცხ ბედაურს ემსგავსება, რომელსაც ცხენებმა ჩაუქროლეს, მაგრამ

თვითონ ლაგამის უხეში სატუჩე და მხედრის ღონიერი მკლავები აკავებს“. „წამით თვალეები დახუჭა და კბილები ისე გააკრაჭუნა, თითქოს კედლიდან დაჟანგული ლურსმანი ამოაძვრესო“. პეიზაჟების ხატვისას კი მეტად ძუნწობს ავტორი, თუმცა არც ამ მოთხრობის სიუჟეტი მოითხოვდა მაინცდამაინც ბუნების ფართო ტილოების შექმნას.

ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ ამ მოთხრობაში აღწერილ საგამომძიებლო საქმის ტექნიკის პროფესიონალურ დეტალებზე, ძიების სპეციფიკურ მხარეებზე. ეს ავტორისათვის ანბანური ამბავია და არ შეცდებოდა.

სათავგადასავლო ჟანრი მრავალი სხვადასხვა ტიპის (მოგზაურობა, ომი, ჯაშუშობა, ნადირობა და სხვა) ნაწარმოებს მოიცავს, მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სამძიებრო, ანუ დეტექტიურ (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) წიგნებს.

სწორედ ამ ჟანრისაა ო. დგებუაძის ვრცელი მოთხრობა „განთიადის დედოფალი“. განა ამ წიგნის მთავარი გმირი არ ამბობს: „მართლაც სხვა რა მაკისრია?! მე ხომ აგურზე აგურს არ ვაწყობ, სახლს არ ვაშენებ! მდინარეებზე ხიდებს არ ვდებ, არხები არ გამყავს. ათჯერ და ათასჯერ უფრო დიდი საქმეები მაბარია. მე ყველა ამათი ბატონ-პატრონის სიცოცხლესა და სულის სიმშვიდეს ვდარაჯობ“.

ო. დგებუაძე ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო და ბევრსაც გვპირდებოდა. ვინ იცის, რამდენი ჩანაფიქრი და დაუწერელი სტრიქონი ჩაიტანა სამარეში. მაგრამ რაც დაგვიტოვა, ისიც საკმარისია მისი სახელის არდავიწყებისათვის.

წიგნიდან „ავტორები და წიგნები“, 1973

## ასე მღეროდა და ასე მღერის

ამ ბრგე, ჭადარა კაცს ხშირად შეხვედებით დედათბილისის ქუჩებში. მკითხველები და კოლეგები მას არნო ონელის სახელით იცნობენ, ხოლო შინაურთათვის და ახლობლებისათვის ალექსანდრე ბურდილაძეა. ბევრს არც სჯერა, რომ ეს ახოვანი, ჭაბუკური ენერგიით აღსავსე კაცი მალე სამოცდაათ წელს მიუკაკუნებს და

აგერ თითქმის ნახევარი საუკუნეა უპრეტენზიოდ და თავმდაბლად ემსახურება ქართულ ლიტერატურას – თავის უსაყვარლეს საქმეს.

არნო ონელი ქართული ლექსის ერთ-ერთი ჯარისკაცია, რომელიც გულწრფელი აღტაცებით ყოველთვის მღეროდა იმას, რაზედაც ემღერებოდა. სასიძღვროს კი რა გამოლევა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და კიდევ რამდენი შემოქმედებითი შთანაფიქრი შეისხამს ხორცს. არნო ონელი არის თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და ადამიანების ზნობრივი გაფაქიზებისათვის თავდადებული მსახური. ქართველ მწერალთა ოჯახში მას თავისი მოკრძალებული ადგილი უკავია.

ზემო რაჭის პაწია სოფელ მოედანში. ღარიბი გლეხკაცის ბურდილაძის ოჯახში დაიბადა მომავალი პოეტი. ეს ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით, შრომა-გარჯითა და კეთილკაცობით. სახელგანთქმული მესტიერეების გვარიშვილობამ თუ რიონის აზავთებული ტალღებისა და თავხუჭუჭა ტყეების ხილვამ აუნთო პოეტური ნაპერწკალი პატარა სანდროს. მშობლებმა იგი მიაბარეს ონის სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ცხრაასთვრამეტ წელს. ცოდნასმოწყურებულ და წიგნების მოყვარულ ჭაბუკს სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ამის საშუალება არ გააჩნდა. სამიოდე წელი პედაგოგად იმუშავა ამბროლაურის რაიონის სოფელ ამბარში და ლიხეთში. მერე გადმოვიდა თბილისში, სადაც განაგრძო სწავლაც და მუშაობაც მასწავლებლად სოფელ დილოში.

მშობლიური ბუნების სილამაზით შთაგონებული ახალგაზრდა ლექსებს ადრიდანვე წერდა, დედაქალაქში გადმოსვლის შემდეგ მწერალთა წრეებში ტრიალებდა, მაგრამ პირველი და დაუვიწყარი პოეტური ნათლობა დიდი გალაკტიონისაგან მიიღო. სწორედ გალაკტიონმა დაულოცა პოეზიის გზა რაჭველ ჭაბუკს სანდრო ბურდილაძეს, როცა 1923 წელს მისი ორი ლექსი („ელეგია“ და „შემოღამების ესკიზი“) თავის საკუთარ ჟურნალში დაუბეჭდა არნო ონელის ფსევდონიმით. ამის შემდეგ კი ფართოდ გაუღეს კარი სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმაც („თეატრი და ცხოვრება“, „ჩირაღდანი“, „ხელოვნება“, „ლიანდაგი“, „მერცხალი“, „ქართული მწერლობა“, „ხელოვნების დროშა“, „ტარტაროზი“, „ნიანგი“ და სხვ.).

„მთები“ – ასე ეწოდებოდა არნო ონელის ლექსების პირველ წიგნს, რომელიც 1927 წელს გამოვიდა.

ეს პატარა წიგნი იხსენება ლექსით „მიწიდან ცამდე“, რომელშიაც ნათლად ჩანს პოეტის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი:

ისმის შორიდან შრომის დაფები,  
 ქალაქი ქარგავს ქალღმრთის ფარდავს;  
 ქალაქი მთისკენ მოესწრაფება  
 და ახალ ყოფის იწვევა ფარდა.  
 ბორგავენ დრონი, მიდიან წლები,  
 გავანდე ბედი ახალ განთიადს;  
 მიწიდან ცამდე, მიწიდან ცამდე  
 შემოქმედების ცეცხლი ანთია.

არნო ონელის ადრინდელ ლექსებში გადმოცემულია სურათები ზვიადი მთების სილუეტებისა, ადიდებული ქვედრულასა და ჭანჭანის ხმაური, შოვის და უწერას წარმტაცია სანახები, რაჭული სოფლის პირველი ნაწარმოებებით მოაქვს იმ კუთხის სურნელი, სადაც დაბადებულა, ფეხი აუდგამს და გარემო შეუცვნია.

პოეტი თავის ადრინდელ ნაწარმოებებში არ დალატობდა ქართული კლასიკური ლექსის კანონებს, ქართული ენის სისადავესა და სიმდიდრეს. არნო ონელის ლექსების პირველ წიგნში ხშირია მომხიბლავი და ემოციური მხატვრული სახეები:

როდესაც ღამე გადაივლის ზანტი მთქნარებით,  
 მთვარე ნისლების მთა-გორებს ანათებს:  
 იღება კოშკის მძიმე კადრები  
 და ნანგრევებზე ატირდება როსტომის ლანდი.

არნო ონელის შემოქმედების პირველ პერიოდში ყურადღებას იმსახურებს ლექსები: „მამაჩემი, ყანა და ხარები“, „რაჭა“, „შემოდგომა სოფელში“, „საგაზაფხულო“, „ჰიმნის სოფელს“ და სხვა.

\* \* \*

ოცდაათიანი წლებიდან არნო ონელი ძირითადად საბავშვო ლიტერატურის ჟანრში იწყებს მუშაობას და მალე ჩადგა ნორჩი მკითხველებისათვის საყვარელ პოეტთა რიგებში. თვითონ არაერთგზის უთქვამს, რომ საბავშვო მწერლობაში მის გადასვლას დიდად შეუწყობ ხელი შიო მღვიმელთან ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ. სწორედ სათნოებამ და ჰუმანურობამ, რომელიც ბავშვების საყვარელ „ძია შიოს“ გააჩნდა, მისცა ბიძგი არნო ონელს თავისი შემოქმედების

უმთავრეს ამოცანად მომავალი თაობის კეთილშობილურად აღზრდის საქმე ექცია.

ცნობილია, თუ რა დიდი და საპატიო ამოცანები აკისრია საბავშვო ლიტერატურას. ყოველ ლექსსა თუ პოემას, მოთხრობასა თუ ზღაპარს ბავშვი უნდა შეჰყავდეს კეთილშობილი გრძნობებისა და ჯანსაღი აზრების სამყაროში. ამავე დროს საბავშვო ლიტერატურა უნდა იყოს ისეთივე გულწრფელი და მდიდარშინაარსიანი, როგორც მოზრდილთა ლიტერატურა. მით უფრო ძნელია წერა ბავშვებისათვის, რომ მათ მუდამ სჯერათ წაკითხულისა თუ ნაწარმოების გმირებიც მათთვის რეალურნი არიან. ბესარიონ ბელინსკი აღნიშნავდა: „საბავშვო წიგნები იწერება აღზრდისათვის, აღზრდა კი დიდი საქმეა. ის წყვეტს ადამიანის ბედს“.

არნო ონელს შესანიშნავად აქვს შეგნებული და მთელ მის შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს მომავალი თაობის სწორად აღზრდის პრინციპები. იგი უმთავრესად საშუალო ასაკის ბავშვებისათვის წერს, ეს ასაკი კი თითქმის ყველაზე რთულია და ამდენად მწერლის პასუხისმგებლობაც უფრო იზრდება.

დღემდე ჩვენს პოეტს გამოცემული აქვს საბავშვო ნაწარმოებების თხუთმეტამდე წიგნი: „კრემლი და სიხარული“, „ნოდარის ოცნება“, „უბედური ძელი“, „ფრიადოსნები“, „ჩიორას სიმღერა“, „მშვიდობა გვინდა“, „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად“, „რას ამბობს ჩიტი ჩიორა“, „გზა დიდი და გზა პატარა“ და სხვა.

საერთოდ, საბავშვო ლიტერატურისათვის თემები განუსაზღვრელია და შეუზღუდავი. ისეთ ისეთ ტრადიციულ თემებთან ერთად, როგორებიცაა: სწავლა და შრომა, გამბედაობა და მეგობრობა, პატიოსნება და ზრდილობა, პატრიოტიზმი და ბუნების სიყვარული – შეიძლება ახალ-ახალი, თანადროული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თემების მონახვა და დამუშავება. მაგრამ ყველაფერი ეს ბავშვისათვის იოლი ასათვისებელი და გასაგები უნდა იყოს. ამავე დროს ბავშვის ბუნება რომანტიკულია. ბავშვის მეოცნებე გონება არ უნდა დაიტვირთოს მეორეხარისხოვანი დეტალებით. ბავშვის ბუნება ცნობისმოყვარეა, მას ყველაფერი აინტერესებს, გაცოცხლებული შეჰყურებს გარემოს და სურს შეიცნოს იგი მთელი თავისი საიდუმლოებით.

არნო ონელს, როგორც საბავშვო პოეტს, კარგად ესმის ეს და სწორედ ამ მხრივ წარმართავს მთელ თავის შემოქმედებას.

რა ნიშანთვისებები ახასიათებს მის საბავშვო ნაწარმოებებს? პირველ რიგში ეს არის თემატიკის მრავალფეროვნება და თვით ამ თემების თავისებური, ახლებური გადაწყვეტა; მეორე – არნო ონელის ლექსების უმრავლესობა სიუჟეტიანია, კონკრეტულ მასალაზე აგებული და ამდენად დამინტერესებელიცა და ადვილად დასამახსოვრებელიც; მესამე – პოეტს ნორჩ მკითხველთან საუბარში შეუძლია ინტიმურად, მხოლოდ ბავშვის გონებისათვის მისაწვდომი ნიუანსებით უთხრას ბევრი რამ, რაც ასე ადევებს და აინტერესებს ცხოვრებაში ფეხადგმულ მოზარდს. მეოთხე ისაა, რომ მწერალი მშრალ დიდაქტიკასა და „ჭკუისდამრიგებლურ“ ფორმულებს კი არ სთავაზობს ნორჩ მკითხველს, არამედ უშუალო სიტუაციებით, ნათელი ფერებითა და ბუნებრივი მხატვრული სახეებით ამდიდრებს მათ შეგნებას. ხოლო ლექსის სადა, მიმზიდველი და მუსიკალური ენით კიდევ უფრო მეტ ემოციურობას აღწევს. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გამო არნო ონელის საბავშვო ნაწარმოებებს მოზრდილებიც სიამოვნებით წაიკითხავენ.

უმთავრესი ადგილი არნო ონელის საბავშვო ლექსებში სკოლისა და სწავლის თემას უკავია, დაწყებული პირველკლასელის მერხზე დაჯდომის ოცნებით და დამთავრებული მეხუთე-მეექვსე კლასელის ფრიადონობის სიხარულით.

სკოლასა და სწავლას ეხება ლექსები „ჩვენი უფროსი დაიკო“, „რას ამბობს ჩიტი ჩიორა“, „მიულოცეს“, „საახალწლო დაპირება“ და სხვ. ამ თემას ორგანულად უკავშირდება ვრცელი, ბალადისებური ლექსი „მასწავლებელი“, რომელშიაც ოსტატურად არის დახატული მსცოვანი პედაგოგის კეთილშობილური პორტრეტი:

ახლა, როცა ყველას სძინავს,  
 ის მარტო ზის მაგიდასთან,  
 წინ უწყვია მოსწავლეთა  
 რვეულების მთელი დასტა.  
 წითელ ფანქრით მიუყვება  
 გიშერივით შავ სტრიქონებს:  
 ხან უეცრად წარბს შეიკრავს,  
 ხან ღიმილი აცისკროვნებს.

არნო ონელი მუდამ სიხარულით უმღერის იმ ბავშვებს, „ვინც კარგად სწავლობს და კარგი სწავლით ქვეყნისთვის მოაქვს ბედნიერება“. მაგრამ შრომის ჩვევების გამოშუშავება ბავშვობის

ასაკშივე – საუკეთესო გარანტიაა საქმის ერთგული, დაუზარელი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. და საბავშვო ლიტერატურის ამოცანაა, მოზარდს შეაყვაროს ეს თვისებები. რა თქმა უნდა, აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. ბავშვი მაინც ბავშვია და არ შეიძლება მას, პირდაპირ, ლოზუნგებით მოუწოდო იშრომოს ისე, როგორც მოზრდილმა. ბავშვი შრომისმოყვარეობის გამომუშავება სულ უბრალო, თითქოს უმნიშვნელო საქმიანობიდან იწყება. ეს გარემოება მშვენივრად ესმის არნო ონელს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსს „ხვალინდელი მასპინძელი“.

აბა ერთი ახლა ნახეთ,  
როგორ ხარობს ჩემი ბალი...  
პირველად რომ ბრძანდებოდით,  
როდის იყო? – შარშანწინა!  
მაშინ მხოლოდ ნერგებს ვრგავდი  
სულ თოთოს და პაწაწინას.  
იმის შემდეგ დრო გავიდა.  
გულმოდგინე შრომა-გარჯით  
დავაჟკაცდნენ ხეხილები,  
შეიმოსნენ მწვანე ფარჩით.  
წელს კი ჰყვავის ნაირფერად  
ქლიავი თუ მსხალი, ვაშლი,  
ალუბალი პატარმალს ჰგავს  
საცეკვლოდ ხელებგაშლილს.  
მაღე მოვა შემოდგომაც  
(ო, როგორი ნატვრით ველი), –  
მაშინ ნაირ ხილეულებით  
ვიქნე თქვენი მასპინძელი!

ბავშვების შრომას ეძღვნება აგრეთვე ლექსები: „თინას ცაცხვი“, „ტყის მეგობრები“, „ჩვენი ფერმა“ და სხვა.

არნო ონელი თავის ლექსებში დიდ ადგილს უთმობს მავნე ჩვევების დაგმობას – როგორიცაა: უზრდელობა, ჯიუტობა, სიზარმაცე, მატყუარობა, ონავრობა... ისევე როგორც საერთოდ ყოველი ადამიანის, ბავშვის ხასიათსა თუ ქცევაშიც არსებობს უარყოფითი და დადებითი თვისებები. მაგრამ საჭიროა წინ წამოვიწიოთ, ავამაღლოთ კარგი და დავაგმობინოთ, გადავაჩვიოთ ცუდს. ამ საქმეში შეიძლება იმდენი ვერ გააკეთოს მშობლებმა და მასწავლებელმა, რამდენიც შესწევს მწერლის მიერ ოსტატურად მოქნეულ ერთ სტრიქონს. არნო ონელის



ასეთი მორალური ტენდენციების მქონე ლექსებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამ ხასიათის ლექსებიდან საუკეთესონია: „დაგვიანებული ზრდილობა“, „გულმაფიწი“, „ტირიფის ჩივილი“...

საერთოდ საბავშვო პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების სურათებსა და ბუნების მოვლენების აღწერას, ფრინველ-ცხოველებთან ბავშვების მეგობრობას. პოეტს განსაკუთრებით ეხერხება ზამთრის თოვლიანი პეიზაჟების ხატვა.

ლექსებში „მარიკა და მურიკელა“ და „თინიკოს ბეკეკა“ ბავშვების ცხოველებთან სათუთი მეგობრობა მშვენივრადაა ასახული და ნორჩ მკითხველს უნერგავს სასარგებლო ცხოველების სიყვარულსა და მოვლა-პატრონობის გრძნობას.

არნო ონელის საბავშვო ლექსებიდან, რომლებიც ბევრ სხვადასხვა საკითხს ეხებიან, თავიანთი თემატურ-იდეური ჩანაფიქრითა და მხატვრული შესრულებით, აგრეთვე გამოირჩევიან: „ჩვენი ახალი სახლი“, „ჭრელი პეპელი“, „რას გვიამბობს ტყე“, „ჩვენი გაზაფხული“, „პიონერული ზაფხული მოდის“, „მეგობრობაც ამას ჰქვია“, „ძერა და წიწილები“...

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი ლექსი: „პატარების გასაგონად“ და „ასე იმეზაგრეს“, რომლებშიაც ავტორი გასაგებად უხსნის ბავშვებს ქუჩაში მოძრაობის წესებს, როგორც ფეხით ისე მანქანით მოსიარულეთათვის.

არნო ონელის, როგორც საბავშვო მწერლის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, პოემა „გელა მინდელი“, რამდენიმე ზღაპარი და იგავ-არაკი („რატომ ყივის მამალი“, „დოყლაპია“, „უბედური მელია“, „კურდღელი და ნაკადული“, „საჩივარი“ და სხვ.). გარდა „დოყლაპიასი“ ამ ზღაპრებისა და იგავ-არაკების მოქმედი პირები ცხოველები და ფრინველები არიან. მათი ესა თუ ის ქცევა სიმბოლურად ასახავს ადამიანთა ურთიერთობის კეთილ და ბოროტ მხარეს. ზოგიერთი მათგანი („კურდღელი და ნაკადული“, „საჩივარი“) დაწერილია დიალოგის ფორმით და ამდენად უფრო მეტად ემოციურია ნორჩი მკითხველებისათვის.

არნო ონელს მაღალმხატვრულად აქვს ქართულად თარგმნილი ცნობილი რუსი პოეტების ვლადიმერ მაიაკოვსკის, კორნეი ჩუკოვსკის, სამულ მარშაკის, ავნია ბარტოს, სერგეი მიხალკოვისა და სხვათა საბავშვო ნაწარმოებები.



როგორც აღვნიშნეთ, არნო ონელის ლექსების პირველი წიგნი 1927 წელს გამოიცა. შემდეგ იგი მთლიანად საბავშვო ნაწარმოებების შექმნაზე გადავიდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა გამოცემული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. მაგრამ აი, დიდი ხნის „შესვენების“ შემდეგ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოუშვა არნო ონელის ლექსების წიგნი მრავალმნიშვნელოვანი სახელწოდებით – „ასე ვმღეროდი“. ამ პატარა კრებულში ყველაზე ადრინდელი ლექსები 1922 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი კი 1953 წლით. ასე რომ ეს წიგნი პოეტის ოცდაათზე მეტ წლიანი შემოქმედების ერთგვარი შეჯამებაა, როგორც იტყვიან „სადიდო“ პოეზიაში.

ისევე, როგორც პირველ წიგნში, აქაც ხშირად გვხვდება რაჭვის ულამაზესი პეიზაჟები. მაგრამ ისინი განყენებული კი არ არიან, არამედ გაცოცხლებულ-გასულიერებული და ადამიანის განწყობილებების გადმომცემი. საილუსტრაციოდ მთლიანად მოვიყვანთ პაწია ლექსს – „შემოდგომა“.

ხავერდის ფერს მოერია ქარვა,  
ავღარია, არ მასვენებს წვიმა;  
აი, უცბათ დაუბერა ქარმა  
და ცახცახით ხეს ფოთოლი ცვივა.  
ავღარია, არ მასვენებს წვიმა.  
ოდას ნისლის გვირგვინები ადგას,  
უმზეობა და ნალველი ბინდის;  
– ბაწარ-ბაწარ, ბაწარ-ბაწარ! – სადღაც  
წეროების ქარავანი მიდის.  
უმზეობა და ნალველი ბინდის...

ამ წიგნში აგრეთვე შეტანილია რამდენიმე სატრფიალო ხასიათის ლექსი და მიძღვნილი ლექსები: „აკაკი სხვიტორში“, „ბარბიუსის გარდაცვალებაზე“ და „მთი მღვიმელი“.

არნო ონელი ცნობილია, როგორც მეტად გულისხმიერი, სპეტაკი ზნეობისა და ვაჟკაცური გულის ადამიანი. თავმდაბალი და ალაღმართალი პოეტი-მოქალაქე ახლაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

წიგნიდან „ავტორები და წიგნები“, 1973

## ისევ გაზაფხულია იორზე

ჩემი თაობის ადამიანებს სულ რაღაც ორიოდ წელი დააკლდათ, რომ დიდი სამამულო ომის დროს ჯარისკაცის მაზარები ჩაეცვათ, ღენტის ბოლი ეყნოსათ და სიკვდილისათვის ჩაეხედნათ თვალებში. მახსოვს, როგორ მწვავედ განვიცდიდით ამ ამბავს ჯერ კიდევ უწვერული ჭაბუკები. მაშინ ზოგიერთმა გაპარვაც კი მოახერხა ფრონტზე. განვიცდიდით, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ვერ ვადგებოდით სამშობლოს, მაგრამ ზურგში თავს არ ზოგავდა ჩემი თაობა – მათ დაუვაჟკაცებელ მხრებს აწვა შრომის სიმძიმე. გვციოდა, გვშიოდა, არ გვეცვა, უუცდიდით მტერთან შერკინებულ მამებსა და ძმებს... ჟურნალ-გაზეთებიდან ვჭრიდით გმირთა სურათებს და ალბომებს ვაკეთებდით, მაგრამ მთავარი მაინც ომში ნამყოფთა მონაყოლის მოსმენა და კითხვა იყო (რასაკვირველია, ვისაც კითხვა უყვარდა), ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებების კითხვა.

იმ დროს წიგნები საერთოდ ძალიან მცირე რაოდენობით გამოდიოდა და ომისაღმი მიძღვნილი ქართული წიგნები სომ მთლად იშვიათობა იყო. გამოვიდოდა თუ არა, მაშინვე დავაცხრებოდით. დიდი ინტელექტითა და მხატვრული გემოვნებით ვერ დავიტრამბებდით, მაგრამ სიყალბეს მაინც ვამჩნევდით ზოგიერთ მოთხრობასა თუ რომანს, რომელთა ავტორები არც კი მიახლოებოდნენ ფრონტის ხაზს. ვგრძნობდით, რომ ეს არ იყო ამ სასტიკი ომის მართალი სურათები, რომ ასე იოლი არ იყო ბრძოლა... და აი, 1943-44 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, სიცვისაგან აბუზული, ჩვეულებისამებრ შევჩერდი წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან – იქნებ ახალი რამე მიიღეს-მეთქი. თან იმედი არ მქონდა – ვიტრინაში სომ თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ახალი წიგნი. მაგრამ თვალი მოკარი მომცრო ახალ წიგნს. ავტორი – გიორგი ნატროშვილი, სათაური წითელი ასოებით – „დასავლეთის ფრონტზე“. მაშინვე შევედი და გადავშალე... ქვესათაური – „ფურცლები დღიურიდან“. ფული გადავიხადე. 10 მანეთი ღირდა (ამ ფულით მაშინ ერთი კოლოფი ასანთის ყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ). რომ იტყვიან – სულმოუთქმელად წავიკითხე... ძალიან მომეწონა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეც ავტორის გვერდით ვყოფილიყავი. ვირწმუნე, რომ საკუთარი თვალთ ნახა ყველა და ყველაფერი, რაც აქ აღწერა.

ორი წლის შემდეგ ამ წიგნის მეორე ნაწილიც გამოვიდა. დღესაც ჩემს პატარა ბიბლიოთეკაშია ეს ორი პატარა წიგნი, მოყავისფრო უხემ ქალაქდზე დაბეჭდილი. ასეთ ქალაქდს ახლა მალაზიებშიაც აღარ ხმარობენ შესახვევად, მაგრამ ისინი ძვირფასია ჩემთვის, როგორც იმ მძიმე დღეთა მოსაგონარი. თორემ საუკეთესო მოთხრობები ამ წიგნებიდან შემდეგაც რამდენჯერმე დაბეჭდა ავტორმა სხვადასხვა კრებულში და გულთბილი წარწერითაც მისახსოვრა.

მაშინ პირველად გავიგე გიორგი ნატროშვილის სახელი. მოუთმენლად მოველოდი მის ახალ მოთხრობებს, მაგრამ ლიტერატურაში უკვე გზავაკვალულმა „აღმოვაჩინე“, რომ იგი ომამდე კრიტიკოსი ყოფილა. წლები წლებს მისდევდა და შესანიშნავი კრიტიკული წერილების კრებულების გამოქვეყნების შემდეგ, ომის დამთავრებიდან მხოლოდ ათი წლისთავზე გამოვიდა გ. ნატროშვილის მოთხრობების პატარა წიგნი. დღეს კი იგი მტკიცედ დგას ქართული პროზის მებრძოლ ავანგარდში.

ახლა ძნელიცაა მტკიცება, რომელი სჭარბობს: ნატროშვილი – კრიტიკოსი, თუ ნატროშვილი – ბელეტრისტი. ჩვენ არ გვევლება ქართული კლასიკური ლიტერატურის თითქმის არც ერთი მწერალი, რომლის ცხოვრებას და შემოქმედებაზე თავისი მაღლიანი სიტყვა არ ეთქვას გ. ნატროშვილს. რუსთაველი და თეიმურაზი, სულხან-საბა და გურამიშვილი, ბერი იოანე და საიათნოვა, გრიგოლ ორბელიანი და ბარათაშვილი, ილია და აკაკი, ვაჟა და ყაზბეგი... ვინ მოსთვლის. ყველგან იგი გვევლინება, როგორც ფართო ერუდიციისა და ანალიტიკური მეცნიერული ალღოს მქონე ლიტერატურისმცოდნე.

ანდა, ავიღოთ, თანამედროვე მწერლობა. ასევე არ გვევლება ასე თუ ისე ცნობილი ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, რომლის შემოქმედების შესახებ თავისი კალმით არ გარჯილიყოს გ. ნატროშვილი. აქაც იგი გვევლინება, როგორც დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი პრინციპულობის კრიტიკოსი. და კიდევ ერთი ფაქტი – მისი სტილის თავისებურება. გ. ნატროშვილი წერს ზოგიერთებივით არა მშრალად, შაბლონურად, არამედ მეტად თავისებურად, დამაინტერესებლად, მხატვრულად.

შეიძლება (და ძალიან ხშირადაც ხდება) პოეტი გადავიდეს პროზის შექმნაზე, ანდა პროზაიკოსმა და პოეტმა დაწეროს კრიტიკული სტატია, მაგრამ, ჩვენი აზრით, იოლი როდია, ათ-თხუთმეტწელიწადს კრიტიკოსი იყო და მერე მოთხრობები გამოაქვეყნო.

ეს უბრალო ადამიანური სისუსტე ან დაუფიქრებელი ნაბიჯი როდია, არამედ საკუთარი თავისადმი უდიდესი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის შეგნების შედეგად გადადგმული გაბედული ნაბიჯია.

გ. ნატროშვილი დღეს რამდენიმე ათეული მოთხრობის ავტორია და როგორც ვთქვით, ქართული პროზის ცნობილ ოსტატად ითვლება, მაგრამ არ შეგვიძლია არ წამოვაყენოთ ერთი მოსაზრება, რომელიც შეიძლება ბევრს პარადოქსულადაც მოეჩვენოს. ჩვენი აზრით ნატროშვილი – კრიტიკოსი „ხელს უშლის“ ნატროშვილ-პროზაიკოსს. „ხელს უშლის“ ძალიან კარგი გაგებით – მხოლოდ ბელეტრისტი რომ იყოს, უფრო მეტი რეზონანსი ექნებოდა, ახლა თითქოსდა „იჩაგრება“ სხვა პროზაიკოსთა შორის. შესაძლებელია ნათლად ვერ გამოვთქვით სათქმელი, მაგრამ ასეთი აზრი დაგვებადა დღევანდელი ქართული ლიტერატურის საერთო სურათის წარმოდგენისას.

\* \* \*

„ვერ იხევ დილა იყო, როცა სახლის კარგი გაიღო და ვილაცა ზორბად ჩასხმულმა ვაჟკაცმა შემოაბიჯა. მისმა ძალ-ღონით და ვაჟკაცობით სავსე აზოვანებამ ყველას უნებურად თვალი მოგვტაცა. ვეება, დაბლა ჩამოშვებული უღვამი და ხშირი წარბები საოცრად ხატავდნენ მის სახეს. მხარ-ბეჭიც განიერი ჰქონდა. იქნებოდა ასე შუახანს მიღწეული. საფეთქლები უკვე გაჭალარავებოდა. ქამარზე ხანჯალივით ეკიდა ტყავის ქარქაშში ჩაგებული ხიშტი“.

ასეთია გ. ნატროშვილის მიერ დახატული ქართველი ჯარისკაცის, ნაბახტვეელი ლაზარე გიორგაძის სახე, რომელიც ომის თემატიკისადმი მიძღვნილი რამდენიმე მოთხრობის ერთ-ერთი გმირია („ქართველი ჯარისკაცი“, „წინა დღე“, „შავი მთა“, „ახალწლის ღამე“). იგი ომშიაც ისეთივე დინჯი და გამრჯე მეურნეა, როგორც სოფელში იყო – თავის ვენახსა თუ ყანაში. მიუხედავად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისა, ლაზარეს ფიქრი და ოცნება მაინც მშობლიურ ზვარსა და მარანს დატრიალებს. ისევ გლენკაცური ასოციაციებით მსჯელობს („–კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა, ფრონტზე რომ მოგვიყვანეს“). მას მხოლოდ ერთი ოცნება აქვს – რაც შეიძლება მალე დაამარცხოვს მტერი, სალ-

სალამათად დაუბრუნდეს საყვარელ ოჯახს და შაშხანას მიჩვეული ხელი შეავლოს თოხსა და ბარს, ჩვეულებრივსამებრ მიუაღერსოს ვენახსა და ჯეჯილს. ლაზარე ოპტიმიზმითაა სავსე და მტკიცედ სჯერა, რომ გადაურჩება ამ ჯოჯოხეთს.

გ. ნატროშვილის ფრონტული მოთხრობები ძირითადად ეხება ომის პირველ წელს. ავტორი დოკუმენტური სიმართლით ასახავს ამ ძალიან მძიმე დღეებს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც საჭიროა, მარჯვედ იყენებს მძაფრ პუბლიცისტიკასაც. „არის რაღაც გამოუთქმელი და მარად ცოცხალი სამშობლოს სიყვარულში, რომელიც ძილზეც და სიკვდილზეც მაღლა დაგაყენებს“, – ამბობს მწერალი და ეს გამონათქვამი მკაფიოდ გამოსჭვივის მის ფრონტულ მოთხრობებსა თუ ჩანაწერებში.

მკითხველის თვალწინ გაივლის მთელი გალერეა სახელიანი თუ უსახელო გმირებისა, რომლებიც ომის იმ სასტიკ პირველ თვეებშიაც სჭედდნენ ცხრა მაისის გამარჯვებას. ჩვენი თანამემამულენი: ოფიცერი გაბიტაშვილი („ჩექმები“), სერჟანტები კონწილაშვილი („ბოშები“) და ძიძილაშვილი („გიგაური“), ეფრეიტორი გოგნიაშვილი („ახალი მთვარე“), უცნობი ქართველი ლეიტენანტი, რომელიც გმირულად დაიღუპა ტყვეობაში („ახალწლის ღამე“) ...მკითხველის მეხსიერებაში დიდხანს დარჩება პატარა ბიჭი მოთხრობიდან „ბავშვი“, ჩეხოვის „მონტიგომო – ქორის ბრჭყალი“ რომ გაახსენა ავტორს და რომლის პატარა ფეხის ნაკვალევიც საშუდამოდ წაიშალა თოვლში... ანდა ნანახისა და განცდილისაგან გონებაშერყეული გოგონა, რომელიც კედელზე დაკიდებულ კაბას „დედას“ ეძახის...

გ. ნატროშვილის მოთხრობების ციკლი „დასავლეთის ფრონტზე“ მკაცრი სიმართლითაა გაჟღერებული. იგი დაწერილია იმ კაცის მიერ, რომელმაც საკუთარი თვალთ ნახა ომის საშინელებანი და საკუთარი სხეულით იგრძნო მტრის ტყვიის სიმწვავე. ავტორი ლაკონიურად, სულ რამდენიმე შტრიხით ხატავს თავისი გმირის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ასევე ლაკონიურია, მაგრამ ბევრის მთქმელი, მისი დიალოგები. ძუნწად დახატული პეიზაჟებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია სუსხიანი რუსული ზამთრის სურათები.

ომის თემასვე ეძღვნება გ. ნატროშვილის მიერ უფრო მოკვიანებით დაწერილი მოთხრობები „საჭიდაო“ და „სანამ ცოცხალი იქნები“.

„...მაგრამ როგორ აღწერ ამას! ვერ დასწერ. სიტყვაც

ჭრილობასავით უნდა გეწოდეს კაცს, რომ ეგებ მაშინ მაინც გააგებინო ეს სიმძიმელი მკითხველსა და ქვეყანას“, – ამბობს გ. ნატროშვილი ერთ მოთხრობაში („ცოცხალი ნაღმსაძებრები“) და მართლაც კარგად გააგებინა მან მკითხველსაც და ქვეყანასაც ომის ნამდვილი არსი.

\* \* \*

1965 წელს „ხულოფესტვენნაია ლიტერატურამ“ მოსკოვში გამოსცა გ. ნატროშვილის მოთხრობების წიგნი. ეს მწერლის მეორე წიგნია რუსულ ენაზე და ამ კრებულში ოცი საუკეთესო მოთხრობაა მოთავსებული. ამ წიგნის წინასიტყვაობაში – „იორსა და ალაზანს შუა“ კრიტიკოსი ალ. ბორშჩაკოვსკი წერს:

„მე რომ მკითხონ, თუ რა დამამახსოვრდა ყველაზე უფრო გიორგი ნატროშვილის მოთხრობების წიგნიდან, უყოყმანოდ ვუპასუხებ: ბერიკაცები!

ღიას, ბერიკაცები, ყველაზე უწინ – ბერიკაცები: მოხუცი მიხაოსტატი, რომელიც სახლს აშენებს გედიქის ხეობაში, მოხუცი მწყემსი იორამი იორის ნაპირებიდან, მოხუცი გაბრო მოთხრობიდან „ისმაილის ნათლობა“...

მაგრამ საოცარი საქმეა, ნატროშვილის წიგნიდან სრულიად არ ქრის სიძველის, ლიტერატურული სიღარბისლისა და მთის რაღაცნაირი ნახევრადეგზოტიკური პატრიარქალობის სიო. იგი ცოცხალი ცხოვრების დულილშია, დღევანდელ ვნებებში, თანამედროვეობაში, თუ თანამედროვეობას გავიგებთ არა გაუბრალოებულად, არა სწრაფმავალი დღეების ნაჩქარევ ქრონიკას...“

სრული ჭეშმარიტებაა! მართლაც და განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხატავს გ. ნატროშვილი ქართველი მოხუცების სახეებს. ესენი არიან ცხოვრების ჯარაგამოვლილი, ბრძენი და გულალაღი ბერიკაცები, რომელთა თვალმაც ბევრი რამ ნახა, ხელმა ბევრი გააკეთა და გულმა ბევრი განიცადა ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მათ შესანიშნავად იციან ცხოვრების ავ-კარგი, არაფერი გამოეპარებათ ამქვეყნად, მაგრამ თანდაყოლილი სიკეთის გამო ზოგჯერ უხერხულობაშიაც ვარდებიან. ავტორი ძალიან ძუნწად გვიხატავს მათ გარეგნობას, სამაგიეროდ ამ ბერიკაცების სულიერი სამყაროა სრულყოფილად და მდიდრულად წარმოდგენილი. ხანდახან

მწერალი ისე ახლოს იჭრება მათ ფსიქოლოგიურ ნიუანსებში, რომ ავტორისეული და გმირისეული ნაფიქრ-ნააზრევი მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს.

ავიღოთ იორამი და მიხა, გ. ნატროშვილის საუკეთესო მოთხრობების – „ისევ გაზაფხული იყო იორზე“ და „უდარდელი კაცის სიკვდილის“ მთავარი გმირები. თითქოსდა ღვიძლი ძმებზეთ ჰგვანან ერთმანეთს და არცა ჰგვანან. იორამი უფრო დინჯია, დაკვირვებული, ფიქრიანი; მიხას კი „უდარდელა“ შეარქვეს მხიარული ხასიათისა და ენაკვიმატობის გამო. მაგრამ მათ აერთიანებთ მთავარი – დიდი და კეთილი, ყველასა და ყველაფრის ჩამტვევი გული. გული კი მთავარია ადამიანისა, დანარჩენი – გარეგნული სიმკაცრე თუ მხიარულება, მოჩვენებითია მხოლოდ.

საერთოდ, გ. ნატროშვილს არ უყვარს მძაფრი და დახლართული სიუჟეტები მოულოდნელი დასასრულით. ასეთია ეს ორი მოთხრობაც. ამიტომ თითქმის შეუძლებელია მათი სიუჟეტების გადმოცემა და ვფიქრობ, არც საჭიროება მოითხოვს. „ისევ გაზაფხული იყო იორზე“ ერთი შეხედვით მეტად ნაცნობ თემას ეხება – კაცი მოხუცდა, აღარ ძალუქს ძველებურად შრომა, მაგრამ არ ტყდება, არ ნებდება სიძაბუნეს და ისევ შრომაში ჰპოვებს შეებას. მაგრამ გ. ნატროშვილმა თავისებური პრიზმით გახედა ამ თემას, ბუნებრივი საღებავები შეარჩია და პოეტურად აღწერა. ათეულ წლების მანძილზე ცხვართან შეზრდილ იორამს ცრემლებიც კი ჩამოუგორდება ლოყებზე, როცა შეიტყობს, რომ აღარ მიჰყავთ საზაფხულო სამოვრებზე. ვერ შერიგებია აზრს, რომ უქმად იყოს ამ დალოცვილ წუთისოფელში. ქალაქში, ფაბრიკის დარაჯად ყოფნისას ზომ მთლად ამოულამდება გული და კინაღამ თავსლაფიც დაესხა დაბადებიდან შეურცხვენელ ბერიკაცს. მერე ბაღჩაში საზამთროების ყარაულად დაყენებულს ფარაზე დაცემული მგლის ხროვა ელანდება... აქაც მარცხი მოუვა იორამს და სოფლიდან გადაიკარგება. გადაიკარგება კი არა, ცხვრის მიტოვებულ საზამთრო ბინას მიაშურებს, მაინც ვერ მოისვენებს, ყველაფერს შეაკეთებს და მწყემსებს მზად დაახვედრებს. ადამიანის ძლიერმა სულმა და მოუღლელობამ გულმა დაჯაბნა წყეული სიბერე:

„ბერიკაცმა შემოდგომის მხეზე თვალები მოიფშვინტა და მიდამოს გაჰხედა. ისევ ისეთი იყო იორი, როგორც გაზაფხულზე, ისევ ლურჯად კრთოდა ცა ჩათმის მთის თავზე, ისევ ნაცრისფერი და უმიზეზო ნალვლის აღმძვრელი იყო ის ნახევრად უდაბნოსებური მიწა, რომელიც თრიშლის ბუჩქებს წითელ აღმურში გაეხვიათ.



და ისევ ვერ გაიგებდა, გაზაფხული იყო თუ შემოდგომა იორზე.

ვერც იმას მიხვდებოდი, ჭაბუკი იყო იორამი თუ ღრმა მოხუცი, რომელსაც გზათუკან წანწალი აღარ შეეძლო“.

ასეთია იორამი. როგორიღაა მისი სულიერი ძმა – პაპა მიხა, მთელ შირაქში განთქმული სახლების მშენებელი ოსტატი. მას, როგორც ვთქვით, „უღარდელა“ შეარქვეს, მაგრამ მის გარეგნულ უღარდელობასა და ქილიკ ენის უკან სიკეთით სავსე გული იმალება. ღრმა ოპტიმისტია და დამცინავი ღიმილით შეჰყურებს წუთისოფლის ამაობას. სიკვდილის დროსაც კი ერთადერთი სურათი გაუდიდეს – მიხა პაპა არხეინად ზის და ქლიავს ჭამს.

ამ ორი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ აშკარად იგრძნობა, რომ მწერალმა მთელი თავისი სული და გული ჩააქსოვა ამ საყვარელ ბერიკაცების ხასიათების შექმნაში. ყველა სხვა პერსონაჟი, პეიზაჟის აღწერა, იორამისა და მიხას უფრო რელიეფურად გამოძერწვას ემსახურება.

სხვა მოთხრობებშიაც რაღაც განსაკუთრებული სიმპათიით ხატავს მწერალი მოხუცების სახეებს და ასეთივე სიმპათიით განაწყობს მათ მიმართ მკითხველებსაც. ასეთია ღვთისო პაპა („შენია ეს ქვეყანა“), დარაჯი ისაკო („მინდისფერი ყელსახვევი“), „დათა („ნიშნობა“), გაბრო („ისმაილის ნათლობა“), სულხანი („ყამიშ-ბურუნი“)... სხვადასხვა ბუნებისანი, სხვადასხვა ბედისანი არიან ისინი, მაგრამ, როგორც იორამსა და მიხას, აერთიანებთ სიკეთე, რაც მჟღავნდება მათ ნამდვილად კოლორიტულ ეროვნულ ხასიათში. სწორედ ამაშია გ. ნატროშვილის, როგორც ბელეტრისტიკის იდეურ-მხატვრული კონცეფცია და ამ კონცეფციის ხორცშესხმის უშუალობა.

რახან ბერიკაცებზე ჩამოვარდა პირველი სიტყვა, ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ნატროშვილის თანამედროვეობისადმი მიძღვნილი მოთხრობების ახალგაზრდა გმირები, ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ბერიკაცები იქნებიან. მათ ჯერ კიდევ დაუდუღებელ ხასიათში აშკარად მოჩანს იორამისა და მიხას, დათასა და სულხანის კონტურები. არცაა გასაკვირი – ისინი ხომ ამ ახალგაზრდების ფესვები არიან, მშობლიურ მიწაში ღრმად გამჯდარი ფესვები. ჩვენ ვვჯერა, რომ ზუსტად მათნაირი ბერიკაცები იქნებიან – სანდრო („როგორ ვნახე მოსკოვი“), რომელსაც „მთელი ევროპის გეოგრაფია ფეხით მოუთვლია, განა რუკაზე და დაფაზე უსწავლია“; მიტო („მინდვრის ბიჭი“), რომელსაც ჯერ თავში აუვარდება დაწინაურება, მაგრამ

თანდაყოლილი ბუნებრივი სიკეთის გამო მალევე „მორჯულება“; ირაკლი („მინდისფერი ყელსახვევი“), რომელიც უცნაურ ისტორიაში გაეხვევა და ბოლოს კაცურ კაცობას იჩენს; ზაქრო („ნიშნობა“), „თითონაც ზაქივით ბიჭი“, „ხან მთის გადმოტრიალება რომ შეუძლია და ხან სიტყვა ვერ გაუბედნია“...

ესენი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან აღებული გმირები არიან, ახლა თუ ეს ახალგაზრდობა ბერიკაცებისაგან სწავლობს სიბრძნეს, მოვა დრო და თვითონ იქნებიან სოფლის ჭკუის დამრიგებელნი.

მეტად თავისებური მანერა აქვს გ. ნატროშვილს პერსონაჟი ქალების ხატვისას. მისი მოთხრობების გმირი ქალები – ხნიერნი თუ ახალგაზრდანი გამოირჩევიან კლემამოსილებით, სულიერი სინატიფით და სადაც საჭიროა ვაჟკაცური ხასიათითაც. რძალ-დედამთილი მარო და რუსიკო („შენია ეს ქვეყანა“); მიხას მეუღლე ქეთევანი და რძალი თამრო („უდარდელი კაცის სიკვდილი“); მანანა („მინდვრის ბიჭი“); ეთერი („მინდისფერი ყელსახვევი“) და ნატო („ნიშნობა“) კარგი ქართველი ქალების განზოგადებული სახეებია. გ. ნატროშვილმა დახვეწილი შტრიხებით შექმნა თავისი მოთხრობების ქალთა ტიპები და მკითხველს შეაყვარა ისინი.

მოკლედ, ასეთნი არიან გ. ნატროშვილის თანამედროვე თემაზე დაწერილი მოთხრობების გმირები. გმირები კი, უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მთავარია ბელეტრისტიკაში და თვით გ. ნატროშვილიც სწორედ თავისი გმირების ბუნების ფსიქოლოგიურ გახსნას ისახავს უმთავრეს ამოცანად. ამ რთულ, ბევრი პროზაიკოსისთვის ძნელად დასაძლევ ამოცანას იგი შესანიშნავად წყვეტს.

ამ მოთხრობებში გიზიდავთ უდიდესი ოპტიმიზმი, რწმენა ადამიანებისადმი, მომავლის ნათელი:

„ქოხიდან გამოსულ დიდუდას ბიჭი ხელში ეჭირა და ისიც პირველად ხედავდა ვეება ქვეყანას, სადაც გადაჭიმულიყო ალაზანი, სადაც მორევში შავი კამეჩები იზრდებოდნენ, სადაც ჩაოქროულიყვნენ ატმები, ქარვის მიძევებით ეკიდათ მტევნები რქაწითელის ვაზებს, ლამის მავთულები რომ ჩაეგლიჯათ სიმძიმისაგან, სადაც ბუბუნებდნენ დიზნელები და დღისით ათასფრად აჭრელებულიყო მთელი მინდორი, ხოლო ღამლამობით ცაზე და მიწაზეც ერთნაირად ბრიალებდნენ ვარსკვლავები.

მოდიოდა ბიჭი ქვეყნად და იმისი იყო ეს მინდორი, ეს მუქლურჯი სერები, მთელი ეს ენამთა, ეს ალაზანი და იმას იქით რომ მიწებია ისინიც, იმას იქით ცაა, ისიც...

ახლა იმისი იყო მთელი საქართველო, მთელი ქვეყანა“ („შენია ეს ქვეყანა“).

\* \* \*

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაიწყო ვრცელი სერიის – „ქართული საბჭოთა პროზის ბიბლიოთეკის“ ბეჭდვა. რასაკვირველია, ამ მცირე მოცულობის წიგნებში ყველა მწერალმა თავისი საყვარელი მოთხრობები შეიტანა. გ. ნატროშვილს კრებულში ხუთი მოთხრობა შეუტანია: „ყამიშ-ბურუნ“, „საჭიდაო“, „მინდვრის ბიჭი“, „მადლის საწყაული“ და „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. ნამდვილად კარგადაა შერჩეული. ამათგან მხოლოდ ორ მოთხრობაზე შევჩერდებით – „ყამიშ-ბურუნსა“ და „მადლის საწყაულზე“.

„ყამიშ-ბურუნში“ გადაიხლართა მწერლისათვის საყვარელი და ნაცნობი თემა – ომი და ასევე საყვარელი პერსონაჟი ბერიკაცისა. ამიტომაც ამ მოთხრობაში, რომ იტყვიან, გ. ნატროშვილი თავის სტიქიაში, თავისუფლად გრძნობს თავს და ოსტატურად მორჩილებს თემას. ისიც საინტერესოა, რომ „ყამიშ-ბურუნში“ შერწყმულია სინამდვილე და ზმანება. პაპა სულხანს, რომელსაც „ციმბირიც უნახავს და ტუსაღის ფარაჯაც სცემია, მერე, პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცის ფარაჯა ჩაუცმევიათ. ვინ მოსთვლის, რამდენი ღამე გაუთევია კარპატებში გაჭრილ სანგრებშიც, სუვოლკის ჭაობებზეც წყალიც დაუღევია“... ეზმანება უფროსი ვაჟი ზაქრო, რომელიც ქერჩში, ნასირის ტბის პირას მოკლეს გერმანელებმა. ბურანში წასული ბერიკაცი თვალნათლივ ხედავს თავის ბიჭს, ესაუბრება მას, ზაქრო უყვება, თუ რა შეემთხვა და როგორ მოჰკლა გერმანელმა. გულისამაჩუყებელი, მაგრამ არა სანტიმენტალური, არამედ ვაჟკაცური ფერებით ხატავს მწერალი მამა-შვილის ურთიერთობას:

„...შვილს ქათქათა აბრეშუმის პერანგი, დღეს დილით რომ ჩაიცვა, მკერდზე წითლად დალაქული ჰქონდა. დახეთ, ახალთახალი პერანგი გაუფუჭებია, აღარ ჩაიცმება. აკვირდება მამა და ხედავს, რომ ის ლაქა ღვინისა კი არა, ვამე, სისხლისაა, და პატარა შავი წერტილი მკერდზე პაპიროსის ცეცხლით კი არ არის ამომწვარი, ნატყვიარია.

გაშეშდა ბერიკაცი, ბიჭს ვეღარც კი ხედავს, მარტო იმ ნატყვიარს დასჩერებია და ძლივსლა ბუტბუტებს:

– დახე, სად დაუმიზნებია იმ ძაღლისშვილს... შიგ გულში მოუხვედრებია!

– ჰოო, მამი, – ამბობს ზაქრო და ამომწვარ ხალათზე ახლავს იფარებს ხელს, – მაინც დაინახე, შეამჩნიე? არ მინდოდა, გენახა!..“

ასე ცოცხალივით ესაუბრება სულხანი დიდი ხნის წინათ დაღუპულ შვილს, მაგრამ არავის არ უმძლავნებს თავის წუხილს, არავის – არც ცოლს, არც უმცროს ვაჟს, არც რძალს და არც შვილიშვილს დათოს, რომელიც მისთვის ყველაზე დიდი იმედია ამქვეყნად.

„მადლის საწყაულს“ ადრე „ძე კაცისა“ ერქვა და ჩვენი აზრით, ეს პირველი სათაური სჯობდა. „ძე კაცისა“ უფრო ამაღლებულად, უფრო მძაფრად გამოხატავს ამ მოთხრობაში წამოჭრილ პრობლემას. ადამო და გიგო მეგობრებიც იყვნენ და მეტოქენიც, მაგრამ მუდამ ადამო ჩაგრავდა ძმაკაცს. გასაოცარი ბუნების კაცია ადამო – შრომაში ათენ-ალამებს და მაინც ღატაკია. ყველაფერი უმცროსი ძმებისათვის უნდა – ისინი ხომ ქალაქში სწავლობენ.

„აი ესენი არიან, ქვეყანას რომ არჩენენ, სხვისთვის რომ გადაუღვიათ თავი, პირადი ცხოვრება რომ არა აქვთ. რა მადლის სანთელი უნთიათ გულში? რა ცეცხლი უღვივით? თავიანთი თავი რათ ავიწყდებათ და მარტო სხვაზე რათა ფიქრობენ? ვერაფერი ვერ ახსნის ამას. გაუზომელია მათი გულის სიკეთე.“

ესენი მოწამეობრივად თავდადებული ადამიანები არიან. ოღონდ ასწავლონ ახლობელს, ნათესავს და არა ნათესავსაც, ოღონდ ასწავლონ და დაე, თუნდაც შიმშილით დაიხოცებინან.

არ შეჭამენ, არ ჩაიცმევენ, არ დაიხურავენ, ოღონდ ასწავლონ!

ამასობაში ისე მოღვევენ ამ წუთისოფელს, მადლის გადახდასაც ვერ მოესწრებიან“.

ამბობს მწერალი და გრძნობთ, თუ რა დიდი ჭეშმარიტება იმალება ამ სიტყვებში.

„მადლის საწყაული“ წარსულს ეხება. წარსულის თემაზე გ. ნატროშვილს რამდენიმე კარგი მოთხრობა აქვს შექმნილი: „ვინ არის ეს კაცი?!“ რომელშიაც ლაკონიური, მაგრამ მეტად შთამბეჭდავი ფერებითაა დახატული დიდი ილიას მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის

ამაზრუნენი სახე; „ჯავშნოსანი მატარებელი“, რომელიც მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში ქართველი ქალის სიმამაცის ნამდვილ ფაქტზეა აგებული; „ისმაილის ნათლობა“, რომელშიაც ოდნავ გროტესკულადა აღწერილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლები; „სიზმარი“ კი დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდის ასახვაა.

გ. ნატროშვილს ადამიანებში, უპირველეს ყოვლისა, სიკეთე უყვარს, ადამიანებს კარგ თვისებებს უფრო ამჩნევს და მის მოთხრობებში ძირითადად ასეთი გმირებია გამოყვანილი. თემატიკურად მრავალფეროვანია გ. ნატროშვილის შემოქმედება, მაგრამ გეოგრაფიული ლოკალი მკაცრად შემოფარგლული აქვს. ორიოდე გამონაკლისის გარდა მისი მოთხრობების გმირების სამოქმედო არე ალაზნისა და იორის შუაა“ ზემო ჭალა და იფნისხევი, ჩათმის მთა და გედიქის ხევი. ფრონტზე მყოფი თუ თუ ქალაქში მცხოვრები პერსონაჟებიც კი აქაურები არიან. გ. ნატროშვილს ძალიან კარგად ესმის ერთი უდავო ჭეშმარიტება – მწერალმა უნდა წეროს იმაზე, რაც იცის. სწორედ აქ, იორსა და ალაზანზე უნახავს მას ბავშვობისა და ყრმობის ასაკში თავისი მოთხრობების მომავალი გმირები, სწორედ აქ შემდეგაც მრავალჯერ შეხვედრია მათ. ადგილის დედა ყოველთვის მეტს ავალებს მწერალს, თორემ გ. ნატროშვილს შესანიშნავად შეუძლია სხვაგვარი კოლორიტის გადმოცემა (მაგალითისათვის – „ჯავშნოსანი მატარებელი“).

გ. ნატროშვილს მადლიანი კალამი აქვს. მისი ფრაზა ნოყიერია და მოქნილი, სიტყვა ძარღვიანი და მსუყე. იგი არასოდეს არ დალატობს ქართული კლასიკური ბელეტრისტიკის კარგ ტრადიციებს. მის მოთხრობებს მეტ სიცოცხლეს მატებს უბოროტო ირონია და მსუბუქი იუმორი. ერთი რამეც – გ. ნატროშვილის მკითხველს სტრიქონებს შუა კითხვაც უნდა შეეძლოს, ისე ხშირადაა მის ნაწარმოებებში ქვეტექსტი და ლირიკული წიაღსვლა.

„ხანმოკლე ძილში წასული, დაქანცული კაცივით ფშვინავს ვეება მინდორი“ („შენია ეს ქვეყანა“), – კითხულობთ და დამეული მინდვრის ხელშესახები სურათი წარმოგიდგებათ თვალწინ.

„მაგრამ ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ კაცსა თუ ქალს ამ ძებნაში, როგორც უღრან ტყეში, მხარი ექცევა, სულ აღარ გაივლის იმ ბილიკზე, სადაც თავისი თანამგზავრი ელოდება, რათა ერთად გასწიონ უღელი ცხოვრებისა. ბევრსაც გზა დაებნევა, კვალი

შეეშლება, ვილაც უცხო თავისად მოეჩვენება, სხვის უღელში შეებმება ხოლმე და მაშინ უღელი მრუდდება, კვალი სწორედ აღარ მიდის“ („შინდისფერი ყელსახვევი“), ეს უკვე მწერლის წიაღსვლაა, მისი ბრძნული ცხოვრებისეული ჭვრეტის ანარეკლი.

გ. ნატროშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ქართულ საბავშვო მწერლობაშიაც. მას საერთოდ უყვარს ბავშვებისათვის და ბავშვებზე წერა. „სადილო“ მოთხრობებშიაც ჰყავს დახატული ბავშვის რამდენიმე საინტერესო სახე: ლამარა და მიტო („ისევ გაზაფხული იყო იორზე“), ბაკური და თინა („უდარდელი კაცის სიკვდილი“), ბიძინა და ზურიკო („ვინ არის ეს კაცი?!“)...

ვრცელი საბავშვო ნაწარმოები „თეთრი ხნული, შავი თესლი“ რვა დამოუკიდებელი პატარა მოთხრობისაგან შედგება. ეს მოთხრობები კრიალოსანივითაა აცმული ერთ სიუჟეტურ ქარგაზე და მეტად საინტერესო საკითხავია. ახლახან კი „ნაკადულმა“ გამოსცა გ. ნატროშვილის საბავშვო მოთხრობების კრებული „გულთმისნების ქვეყანა“. აქედან ჩვენ გვინდა გამოვყოთ „ერთი ტბაა მინდორში“, რომელიც საბავშვო მოთხრობად არც ჩაითვლება.

ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს ახსოვს თბილისის „ღინამოს“ მატჩი ინდოეთის ნაკრებთან. რა უსუსურნი იყვნენ ფეხშიშველა ინდოელები ჩვენს ბიჭებთან. 9 : 1 იყო ანგარიში, მაგრამ სამი ამდენი შეიძლებოდა გაეტანათ. მთელი სტადიონი ყვიროდა: „არ გინდათ, ნუ გაიტანთ, იმათ გაატანინეთ“. ამ ფაქტზე შემდეგ სერგო კლდიაშვილმა შესანიშნავი ნოველა „ქართული ხასიათი“ დაწერა. ზუსტი დასათაურებაა! გ. ნატროშვილის ეს მოთხრობაც მსგავს სიუჟეტზეა აგებული მაგრამ სულ სხვა ვითარებაში ხდება მოქმედება. პირველ შემთხვევაში თუ უცხოელებთან გვქონდა საქმე, აქ მეზობელი რაიონებია მეტოქენი, ხოლო მიზეზი კეთილშობილური საქციელია და არა სუსტი დანდობა...

\* \* \*

გიორგი ნატროშვილი ორიოდ წელიწადში სამოცს მიუკაკუნებს. აქედან ორმოცი წელია თავდადებით ემსახურება ქართულ მწერლობას. ნატროშვილი – კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე, ნატროშვილი – რედაქტორი და პუბლიცისტი, ნატროშვილი – პროზაიკოსი... ასეთია, მისი საქმიანობის ნუსხა. ყოველთვის მათვალა და ახლაც მათვალს მისი უდიდესი შრომისმოყვარეობა. დაე, კიდევ დიდხანს

გაახაროს გ. ნატროშვილის ცხოვრებისეულმა, კეთილმა ნიჭმა ქართველი მკითხველები.

წიგნიდან „ავტორები და წიგნები“, 1973

## ზღვისა და ხმელეთის ტრფიალი

ანდრო ლომიძეს აქვს ერთი პატარა ლირიკული ესკიზი – „ორმოცდაათი წელი“, რომელშიაც იგი ამბობს: „ორმოცდაათი წელი! რა მცირე, რა უმნიშვნელო ნატეხია უსასარულო ჟამისა! მე მინდა, ბავშვივით მულამ შევხაროდე მზის ამობრწყინებასა და ჩასვენებას, მე მძულს სიკვდილი, მეგობრები კი მეუბნებიან – შენი გონება ვერ შეინახავს ათი ათასი წლის მანძილზე ნახულსა და გაგონილს ნაფიქრსა და ნაგრძნობს – უკვდავება შეუძლებელიაო. დე მიღალატოს მესხიერება, დავიწყებით ფუნჯმა დე წაშალოს თვალწარმტაცი სურათები ჩემი წარსულისა, სიკვდილს მე დავუთმობ წარსულს, იქ ითარეშოს და იბოგინოს, ოღონდ აწმყოსა და მოძავალს ნუ შეეხება...“

კარგი და მართალი სიტყვებია. ნახევარი საუკუნე მართლაც „უმნიშვნელო ნატეხია უსასარულო ჟამისა“, მაგრამ ერთი ადამიანის და ისიც მწერლის ცხოვრებაში გარკვეულ ანგარიშგებას მოითხოვს. და აი, თავისი ცხოვრების ორმოცდაათი წლის თავზე ან. ლომიძემ გამოაქვეყნა წიგნი „ზღვასა და ხმელეთზე“, რომელიც წარმოადგენს სწორედ ასეთ ანგარიშგებას მშობელი ხალხის წინაშე. ან. ლომიძე ამჟამად 60 წლისაა, მაგრამ ეს მისი სიტყვები ახლაც ძალაში რჩება. ამ კრებულში მთელი თავისი სიავეკარვით გამოჩნდა ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენლის შემოქმედება.

საერთოდ მწერლის და ამ შემთხვევაში პროზაიკოსის შემოქმედების განხილვისას აუცილებელია მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებაც (სამწუხაროდ, ჩვენში თითქმის ვერ ნახავთ ისეთ წიგნს, ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები რომ ახლდეს თან, მით უმეტეს, რომ მკითხველებს ძალიან აინტერესებთ მწერლის მიერ განვლილი გზა). ალბათ, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში თითებზე ჩამოსათვლელი არიან ისეთი მწერლები, რომელთაც ან. ლომიძის მსგავსი საინტერესო და თავისებური ბიოგრაფია ჰქონდეთ. აი, ჩვენს წინ არის მისივე ხელით დაწერილი ლაკონიური, მაგრამ ბევრისმეტყველი სტრიქონები:

„დავიბადე 1907 წელს, ქალაქ ფოთში, ზღვის პირას. 1921 წლამდე ვსწავლობდი ფოთში, მერე თბილისში (ვაჟთა მეორე გიმნაზიაში). 1923 წელს ისევ ფოთს დავებრუნდი, ვმუშაობდი ქვის მტეხელად, მტვირთავად, მატროსად, ათისთავად, ზეინკლის თანაშემწედ, წყალმყვინთავის მენიშნედ და ა. შ. 1930 წელი დავყავი მოსკოვის მახლობლად, სატყეო მეურნეობაში.

... ბავშვობიდანვე ხარბად დავეწაფე წიგნებს – მხატვრულს, მეცნიერულს, განსაკუთრებით მიტაცებდა ფილოსოფია. 14 წლისა კანტის „სუფთა გონების კრიტიკას“ ვებძოდი. სისტემა არა მქონია, რასაც წავაწყდებოდი, ვკითხულობდი. ჩუმ-ჩუმად ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს, განსაკუთრებით მიტაცებდა პოეზია. მივღვედი ტანვარჯიშს, ვიყავი ღონიერი.

...1929 წელს ვმუშაობდი მაშველად, 12 ადამიანი ვიხსენი ზღვაში დალუპვისაგან.

...მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ (1930 წელს) ავტოკურსების მსმენელი გახლდით.

...1931 წლიდან ვმუშაობდი პრესის მუშაკად: ფოთის საქალაქო გაზეთის რედაქტორის მოადგილედ, თბილისში – „პროლეტარული სტუდენტობის“ გამომცემლობის გამგედ, კოლხიდმშენში – მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად. შემდეგ ისევ მეზღვაურის პროფესია, ზოლო 1939-40 წლებში ვიყავი შავი ზღვის პოლიტგანყოფილების სისტემაში – ფოთის ნავსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ან. ლომიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც კრიტიკოსი. 1930 წელს დაიბეჭდა მისი წერილები რ. გვეტაძისა („განათლების მუშაკში“) და ალ. გომიაშვილის („ახალგაზრდა კომუნისტში“) შემოქმედების შესახებ. 1940 წლიდან ან. ლომიძე საბოლოოდ დამკვიდრდა დედაქალაქში და მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მოღვაწეობას. დღემდე მას გამოცემული აქვს ოცამდე წიგნი. თავის პატარა მოთხრობებსა და ნოველებში ან. ლომიძე ძირითადად ხატავს სწორედ „ნახულსა და გაგონილს, ნაფიქრსა და ნაგრძნობს“. ამიტომ არის მისი შემოქმედება გულწრფელი და დამაჯერებელი.

ორიოდე სიტყვა საერთოდ მოთხრობისა და ნოველის შესახებ. რუსულ ენას მოეპოვებინა ტერმინები ნოველა, მოთხრობა და „პოვესტ“, ჩვენ კი მხოლოდ პირველი ორი გვაქვს. ეს გარემოება ხშირად



უხერხულობას იწვევს. ზოგჯერ „პოვესტის“ ტიპის ნაწარმოებს რიხით არქმევენ რომანს. საკმარისია ლიტმცოდნეობის უბრალო სახელმძღვანელოში ადამიანმა წაიკითხოს „რომანის“ განმარტება, რომ აღარ მიაწერონ ეს სახელწოდება მხოლოდ და მხოლოდ დიდ მოთხრობას (აქვე ერთი ფაქტიც. ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებს ლიტერატურის მკვლევარნი ხშირად უწოდებენ რომანებს, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი, – ისინი დიდი მოთხრობები უფროა, ე. ი. „პოვესტის“ ტიპისა). ხდება პირიქითაც – პატარა მოთხრობას ნოველას არქმევენ, მათ შორის კი არსებითი განსხვავებაა. ასეა თუ ისე, პატარა მოთხრობა და ნოველა პროზის ურთულესი ჟანრია და მწერლისაგან განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს. გავიხსენოთ დიდი ფრანგი მწერლის ანატოლ ფრანსის სიტყვები: „ნოველების კრებულებს გაცილებით მკითხველი ჰყავთ, ვიდრე რომანებს, სულ უბრალო მიზეზის გამო: რომ დასტკბე მშვენიერი ნოველით, უნდა გქონდეს დახვეწილი გემოვნება, მაშინ, როდესაც ლიტერატურულად გაუმაძღარანი განურჩევლად ყლაპავენ კარგ, საშუალო და ცუდ რომანებს. ეს არ იქნებოდა კიდევ დიდი უბედურება, რომ ნიჭიერი მწერლები, რომელნიც თავიანთი აუდიტორიის გაფართოებისაკენ მიისწრაფიან, არ ცდილობდნენ ჩვეულებრივად ზედიზედ გამოუშვან რომანები, არ იყვნენ დაჩვეულნი ოთხას გვერდზე ილაპარაკონ იმაზე, რასაც უკეთესად იტყოდნენ ოციოდე გვერდზე“. მოკლედ ლაპიდარული სტილით წერა ყველაზე რთული ხელოვნებაა და ასე მოსწრებულად ამბობს იქვე ა. ფრანსი: „განა უბრალო ზრდილობა არ მოითხოვს, რომ მწერალი მოკლედ წერდეს?“

ქართულ პროზაში მოზრდილი მოთხრობები სჭარბობდა იმთავითვე და დღესაც იშვიათია ჩვენში ბელეტრისტი, რომელიც მხოლოდ პატარა მოთხრობებსა და ნოველებს წერდეს. ყველამ სცადა კალამი და უმრავლესობამ წარმატებითაც დიდ მოთხრობებსა და რომანში. შეიძლება ითქვას, ერთადერთია ან. ლომიძე, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა მცირე ფორმიანი პროზაული ნაწარმოებებისა – მისი ყველაზე „დიდი“ მოთხრობა „ნალები და ყვაილები“. თოთხმეტი გვერდიც კი არ არის.

როგორც ბელეტრისტს, ან. ლომიძეს ბევრი თავისებურება ახასიათებს. მან წლების მანძილზე გამოიმუშავა შემოქმედების საკუთარი სტილი, რომელიც რელიეფურად გამოირჩევა თანამედროვე ქართული პროზის საერთო ფონზე. დაწყებული თემები მკაცრი

ლოკალიზაციით და დამთავრებული თითქოს შეუმჩნეველი დეტალების მარჯვე გამოყენებით, ან. ლომიძე ქმნის ამ თავისებურ ორიგინალურ ტონს ჩვენს ლიტერატურაში. თემატურად მწერალი ზღვისა და ნადირობის მომღერალია (რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები). სამართლიანად შენიშნა აკ. ბელიაშვილმა ერთ თავის წერილში, რომ ან. ლომიძე „ქართული მარინისტული პროზის ფუძემდებელია“. მართლაც, ქართულ პროზას არავითარი ტრადიცია არ გააჩნდა ზღვის თემის დამუშავებაში, ზღვის თემისა, რომელიც აუარებელ შესანიშნავ და საინტერესო მასალას იძლევა ამალეველები ნაწარმოებების შესაქმნელად. ან. ლომიძის შემოქმედების ეს ერთი საგულისხმო მხარე კარგად შენიშნეს რუსმა მწერლებმაც მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს. აი, რას წერდა ცნობილი რუსი პროზაიკოსი, პატარა მოთხრობების ოსტატი იური ნაგიბინი: „საინტერესო ნოველისტიკის – ანდრო ლომიძის სანუკვარი თემებია – ზღვა, ნადირობა, თევზაობა, მშობლიური ქვეყნის ბუნება. იგი წერს იმის შესახებ, რაც ღრმად და ყოველმხრივ აქვს შესწავლილი. ამიტომ მისი მოთხრობების წიგნი ბევრ ახალს აუწყებს მკითხველს ადამიანებსა და ბუნებაზე.“

ან. ლომიძეს არ იტაცებს მოთხრობის სიუჟეტის მძაფრი გაშლა, არც ყოფითი დეტალების ყოველმხრივ ასახვას მისდევს, მისთვის დამახასიათებელია ნაწარმოების შინაგანი აჟღერება; თითქოს შეუმჩნეველი ნიუანსებითა და ლირიკული ქვეტექსტებით აუცილებელი ატმოსფეროს შექმნა. ამიტომაც, რომ მწერლის საუკეთესო მოთხრობები გამოირჩევა გამჭვირვალე სტრიქონებით. ყოველივე ეს ქმნის ე. წ. „ხელწერას“ მწერლისას, რომლის ნაწარმოებსაც რამდენიმე სტრიქონითაც კი იცნობს დაკვირვებული მკითხველი.

თავის მოთხრობებსა და ნოველებში ან. ლომიძის ხშირად გამოჰყავს ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის, რაინდი და კეთილშობილური ადამიანები. ამ მხრივ ქართველი მწერალი ეხმაურება გამოჩენილ ამერიკელ მწერალს ჯეკ ლონდონს (ხომ ცნობილია, რომ ისეთი მრავალრიცხოვანი გაღერა რაინდი ვაჟკაცებისა არც ერთ სხვა მწერალს არ შეუქმნია). ასეთი ადამიანებია: ინჟინერი ანდრო ჯაფარიძე („წყალდიდობა“), მოხუცი იაკობი („სიცოცხლის ზეიმი“), ჭაღარა კაპიტანი და მისი ცალხელა ვაჟი („ზღვაური“), მეზღვაურები: შალვა ლომსაძე („ხელოვნება“), ლევან ჩხარტიშვილი

(„მშობლიური“), ლავრენტი გოგინავა („ცეცხლფარეში“), მეზობლი გლუხკაცები ღემნა და რემა („ნალები და ყვავილები“) და სხვა.

შეუძლებელია კრებულში მოთავსებული ყველა ნაწარმოების განხილვა (საბავშვო მოთხრობების ჩათვლით მათი რიცხვი ოთხმოცზე მეტია) და ეს არც შეადგენს ჩვენს ამოცანას. მოთავარია მოვნახოთ დამახასიათებელი და მათ მაგალითზე განვაზოგადოთ მწერლის შემოქმედების თავისებურება.

\* \* \*

მოთხრობაში „მშობლიური“ კარგადაა გადმოცემული ლაზების ღუხჭირი ცხოვრება თურქთა ბატონობის ქვეშ, მათი ჩაუქრალი პატრიოტული სული. აი, პატარა გურამისა და ისმაილის დიალოგი:

„...სარდაფში ძალიან დიდი ქვევრები გვაქვს. შენ არ იცი, მამამ საიდან მოიტანა ქვევრები, – ისმაილის თვალეში აღტაცება გამოიხატა. – თურმე მამა მიწას თხრიდა და ქვევრებს წააწყდა. ქვევრები ღამით გადმოიტანა და სარდაფში ჩაფლა. მამამ თქვა: დიდი ხნის წინათ აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ეს ქვევრები ქართველებმა გააკეთესო. მამამ ქვევრს აკოცა და იტირა.

– ჩემმა მამიკომ მითხრა – ლაზეთში ქართველები ცხოვრობენო. შენც ქართველი ხარ?

– ქართველი ვარ, მაშინ ვინ ვიქნები? – იწყინა ისმაილმა.

გურამი მიხვდა, რომ ისმაილს აწყენინა, გადახვია ხელი და თვალეში ჩახეღა“.

მეზღვაურების ცხოვრების შესანიშნავი ცოდნას ამჟღავნებს ავტორი მოთხრობებსა და ნოველებში: „ხელოვნება“, „უკვდავი ნათელი“, „ზღვაური“, „მოხუცი კაპიტანი“, „ქარიშხალი“, „ცეცხლფარეში“, „ნამგალა მთვარის შუქზე“, და სხვ. მწერალი დამაჯერებლად მოუთხრობს მკითხველს ზღვის ბობოქარ ტალღებსა და მეზღვაურებს არანაკლებ ბობოქარ ცხოვრებაზე, მათ ვაჟკაცობასა და თავდადებაზე, სიყვარულსა და ტკივილებზე.

სამნახევარი გვერდი არც კი არის მოთხრობა „მამა“, მაგრამ ბევრისჩამტეგია. ...ფრონტიდან შვებულებით დაბრუნებულ ანდროს შინ უბედურება დახვდება – მამა აღარ ჰყავს. დიდი ადამიანური სითბოთია გადმოცემული ანდროს სულიერი მდგომარეობა, ტკბილი მოგონებები მამაზე... მას აღარ სურს დარჩენა სოფელში და იმავე

ღამეს ისევ ფრონტისაკენ მიეშურება, რათა შური იძიოს მუხანათ მტერზე, რომლის ბომბებსაც იმსხვერპლეს საყვარელი მამა, ამავე მოთხრობაში არის ან. ლომიძისათვის ჩვეული ოსტატობით დახატული ზღვის პეიზაჟი:

„ზვირთები ჯავშნიან კედლებს ეჯახებოდნენ, იმსხვერდნენ, ქაფდებოდნენ და შხუილით მიექანებოდნენ იქითკენ, სადაც ალვის ხის სილუეტს არწევდა ქარი. ხანგამოშვებით უზარმაზარი ტალღა გამოჩნდებოდა. კრეისერის უკანა ნაწილს მიენარცებოდა, წყლის შხეფებს გემბანზე ისროდა, მერე შუაზე იჭრებოდა, ხომალდის გვერდებს ჩაურბენდა, კრეისერის ცხვირთან ერთდებოდა, გარბოდა და თან მიჰქონდა მთვარისფერი ქაფი“.

სამგორის არხის მშენებლობაზე ქართული ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ნაწარმოები დაიწერა. სამწუხაროდ მათი დიდი უმრავლესობა „სეზონური“ აღმოჩნდა და ჩქარა მიეცა დავიწყებას. თავისებურად გააშუქა ეს თემა ან. ლომიძემ თავის მოთხრობაში „სიცოცხლის ზეიმი“ და ეს ნაწარმოები ნამდვილად გაუძლებს დროის გამოცდას, იმდენად ამაღლებულად და განზოგადებულადაა გადაწყვეტილი. მან აქაც არ უღალატა საყვარელ სტიქიას, აქაც შემოაქვს ზღვის ხმაური – ამ მოთხრობის მთავარი გმირი გიორგიც მეზღვაურია. დიახ, მთავარი, თუმცა იგი სრულიადაც არ მოქმედებს მოთხრობაში, ფრონტზე დაიდუბა სამამულო ომის დროს. მაგრამ გიორგის სული აქ ტრიალებს, სამგორის გადახრუკულ ველებზე, რომელთა მორწყვასაც ოცნებობდა იგი. მისი აჩრდილი ალაფრთოვანებს მოხუც მამას მუშაობაში. დიდ ბოლმას იმარხავს გულში მოხუცი იაკობი, რომელმაც გაიგო შვილის ვაჟკაცურად დაღუპვის ამბავი და ოჯახში კი ყველას უმაღლავს – მეუღლეს, რძალს, შვილიშვილს... აიმედებს, მათ რომ შორეულ ნაოსნობაში გაუგზავნიათო. უბედური დედა კი „ფოსტალიონს გულისფანცქალით მაინც შეჰყურებდა ხელში, სალომესათვის რომ გეკითხათ – როგორი ცხვირი ან ტუჩები აქვს ფოსტალიონს, ვერაფერს გეტყობათ. სამაგიეროდ მან კარგად იცოდა: მარჯვენა ხელის ნეკზე ორი მეჭვეჭი ეჯდა ფოსტალიონს, ხოლო სალოკი თითი შუაზე ჰქონდა მოკვეთილი“ (მწერლის მიერ კარგად დანახული დეტალი).

ცხოვრების მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება მოთხრობა „თებრონე და მზია“. ჯერ კიდევ არიან ჩვენს ირგვლივ ადამიანები, როგორიცაა ლონგინოზი, უმადური შვილი – თავისი მოხუცი დედა

რომ მიატოვა უპატრონოდ. საცოდავი თებრონე ყველას უძალავს თავის უბედურებას. დედური სიამაყე არ აძლევს ნებას გაამჟღავნოს საიდუმლო. აი, როგორ პასუხობს იგი მზიას, რომელმაც კარგად იცის მოხუცის საიდუმლო.

„– ლონგინოზი გეხმარებათ? – წამოცდა მზიას, სალოკი თითო მყის პირში ჩაიღო და იკბინა.

მზიას შეკითხვამ ჯერ გააბრუა თებრონე, იგი აზრმიუცემლად, თვალდაუხამხამებლივ მისჩერებოდა დაბნეულ, დარცხვენელ გოგონას. მერე წამოჯდა, მკაცრად შეჰყარა მაღალი, სიცხისაგან დაცვარული შუბლის ნაოჭები.

– ვინ თქვა არ მეხმარებაო?

– არავის უთქვამს, მე ისე... ისე...

– მაინც ვინ თქვა, რომ ცუდი, უგულო შვილი მყავს, ვინ გაბედა?

მზია ნანობდა – ეს რა წამომცდაო.

– ყოველთვიურად ვლებულობ ლონგინოზისაგან ამანათს, შვილო, ვლებულობ ფულს, ვლებულობ... შენ ფოსტალიონს არ დაუჯერო, ნურავის მოუვა ფიქრად – ლონგინოზმა მიატოვა თავისი მოხუცი დედაო, იმას ენაცვალოს დედა...“

მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ თებრონე არაა უპატრონოდ, რომ მისი პატრონია გულშემატკივარი მეზობლები, მთელი სოფელი...

მკითხველის მეხსიერებაში დიდხანს დარჩება მოხუცი რემას, მამაცი დემნას და ჭაბუკი ვახტანგის ოსტატურად გამოკვეთილი სახეები მოთხრობიდან „ნალები და ყვავილები“. ანდა „მებაღურებში“ აღწერილი ბეგისა და დარეჯანის უიღბლო სიყვარული და ნინოშვილისეულ პალიასტომის ტბაზე დატრიალებული მეორე ტრაგედია.

ან. ლომიძის წიგნში ოცდახუთი ნაწარმოებია საერთოდ სათაურით „მონადირის დღიურიდან“. ძნელია მათი მოთხრობები ან ნოველები ეწოდოს, ისინი უფრო მეტ შემთხვევაში ჩანანატებია – ბუნების მადლიერი შთაბეჭდილებები – რომლებმაც მწერლის მხატვრული ალლო და მახვილი თვალი კარგ მასალას პოულობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები უძრავლეს შემთხვევაში მოკლებულია მძაფრ სიუჟეტს, მაინც ინტერესით იკითხება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ავტორი საფუძვლიანად იცნობს საქართველოს შესანიშნავ ფლორასა და მრავალფეროვან ფაუნას.

„სიმღერა სიცოცხლისა“, „გელი“, „შველი“, „უდაბნოსთან“, „მურისძიება“, „აზერბაიჯანელი მონადირე“, „კაკაბი და გიურზა“, „იხვები გადაფრენა“, „ქორი“, „ნამგალ-ნისკარტა“ და სხვა ნაწარმოებები ნადირობის თემაზე ბუნების დიდად მოყვარული და დაკვირვებული მხატვრის მიერ გულმოდგინებით შესრულებულ აკვარელების შთაბეჭდილებას სტოვებენ. საყურადღებოა ესკიზი „თოლია“, რომელშიაც ნათლად ჩანს ბუნებაში გამეფებული დაუნდობელი „ბრძოლა არსებობისათვის“ – ძლიერის მიერ სუსტის განადგურება – თოლია დაჭრილ იხვს დააცხრება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თვითონ ხდება ძერის მსხვერპლი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ერთგვარი ჟანრობრივი შეზღუდვისა, ავტორი ამ ციკლშიაც ასერხებს რამდენიმე დასამახსოვრებელი პერსონაჟს დახატვას. ასეთებია, მაგალითად, აზერბაიჯანელი მონადირე თახარა, პატივმოყვარე ვანო და სხვა.

მწერალი მოხიბლულია მშობლიური ბუნების სიტურფით და ხშირად ლირიკულ წიაღსვლებს აკეთებს:

სიტყვამ მოიტანა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ან. ლომიძე პეიზაჟის შესანიშნავი ფერმწერია. იქნება ეს კოლხეთის ჭაობიანი ადგილები თუ აზერბაიჯანის ტრამალები, ბუმბერაზი მთები თუ მოლივლივე ზღვა. ამავე დროს, მწერლის მიერ დახატული პეიზაჟები ხშირად ორგანულ კავშირშია ადამიანთან, მის სულიერ განცდებთან და შინაგან მდგომარეობასთან. აი, მაგალითად:

„დღე ილევა, გრილა. ფერდობზე, ხეჭეჭურის ჩეროში, სამფეხა სკამზე ზის თებრონე. დასავლეთისაკენ ჩაბრძანებული მზის შუქი უხვად ეფრქვევა ქედს, მთებს, სახლებს, ფოთლებშემოცვნილ ხეებს, მანდარინის ოქროსფერ ნაყოფსა და მწვანე ფოთლებს. მზე ჩადის და ხეჭეჭურის ჩრდილი ფართოვდება, გრძელდება. მზე ცახცახით, აუჩქარებლად მიილტვის მთაგრეხილისაკენ, მერე რატომღაც უცებ ვარდება მთის იქით და თვალს ეფარება. მთებზე რჩება გრძელი, ცეცხლოვანი ხაზი. ხაზი ნელ-ნელა მოკლდება, წერტილად იქცევა და უჩინარდება. თებრონე ახლა ხედავს დაბინდულ მთებზე ზემოთ ათინათებულ, ბაც, ვარდიფერ შუქსა, ფართო უმშვენიერესი ქამარივით რომ არტყია სამყაროს“ („თებრონე და მზია“).

მწერლის მახვილი თვალი კარგად ამჩნევს მცირეოდენ დეტალსაც და მოხერხებულად იყენებს მათ თავის ნაწარმოებებში, მაგრამ იყენებს არა თვითმიზნურად, განყენებულად, არამედ გამართლებულად და

ხშირად სიმბოლურადაც, ასეთი მხატვრული, ცოცხლად დანახული და ხელშესახებად აღწერილი დეტალები უზვადაა გაბნეული ან. ლომიდის მოთხრობებში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს:

„სიარულის დროს, როგორც მეზღვაურებს სჩვევიათ, მისი დიდი ტანი ხან მარჯვენე, ხან მარცხენე იხრებოდა. მიდიოდა ბარდნალაში, თავდახრილს ქული ხელით ეჭირა. აქათქათებულ ასკილის ბარდს მხრით შეეხო. ბარდი შექანდა, ვარდის თეთრი ფურცლები მხრებზე დააცვივდა. მისი მხრებიდან თეთრი ჩიტებივით აფრინდებოდნენ ვარდის ფურცლები და ბარდებზე, მიწაზე სხდებოდნენ“ („მაშველი“).

ცნობილია, რომ ბავშვი განსაკუთრებით გატაცებულია ზღვითა და მეზღვაურების ბოობქარი ცხოვრებით, ათასგვარი სახიფათო თავგადასავლითა და მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელი სამყაროს ამოხსნით. ანდრო ლომიდის შემოქმედების ძირითადი თემა – ზღვა და ნადირობა უდიდეს მასალას იძლევა მოზარდი თაობისათვის საინტერესო ნაწარმოებების შესაქმნელად.

ზღვისა და ზღვის ბინადართა თვისებების მხატვრულ აღწერას წარმოადგენს მთელი რიგი ნაწარმოებები („სმენა და ენა“, „ვეშაპების სამეფოში“, „ზღვის სიღრმეში“, „შხამიანი თევზები“ და სხვ.). ეს სადა, ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, პოპულარული ენით დაწერილი მხატვრული ნარკვევებია უფრო და ამდენად, ბევრ საინტერესო კითხვაზე აძლევს პასუხს მოზარდ თაობას.

\* \* \*

ან. ლომიდის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „ნალები და ყვავილები“ ჰქვია. მართლაც შესანიშნავად მიგნებული სათაურია – ან. ლომიდის ნაწარმოებებისათვის „ნალები და ყვავილები“ სიმბოლურად ჟღერს. ნალები ხომ ვაჟკაცობისა და რაინდული სულის ნიშანია, ხოლო ყვავილები სინაზისა და ლირიკის. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩება ან. ლომიდის შემოქმედების გაცნობის შემდეგ.

ამჟამად მწერალი ექვს ათეულ წელსაა გადაცილებული, მაგრამ ქართველი მკითხველი მისგან, როგორც პატარა მოთხრობების ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატისაგან, კიდევ მოელის ბევრ საინტერესო და ამაღლებებელ ნაწარმოებს.

წიგნიდან „ავტორები და წიგნები“, 1973

## კარგი დასაწყისი

ორიოდე წლის წინათ ჟურნალ „მნათობში“ ერთი პატარა მოთხრობა დაიბეჭდა. მას სახელად „წერო“ ეწოდებოდა. ავტორი სრულიად უცნობი იყო – ოთარ დემეტრაშვილი. მოთხრობა ყველას მოეწონა. შემდეგ ოთ. დემეტრაშვილმა კიდევ სამი კარგი მოთხრობა გამოაქვეყნა იმავე „მნათობში“. ვისაც წაკითხული აქვს „წერო“, „წითელი ვაშლები“, „დახლიდარის ხვაშიადი“ და „კარგად აღამა მეზობელი“, ის უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ოთ. დემეტრაშვილი თანამედროვე ქართულ პროზაში შემოდის, როგორც საიმედო ძალა და, რაც მთავარია, შემოდის საკუთარი სამყაროთი, თავისებური მხატვრული ინტონაციით.

მწერლობა, უპირველესად, მაინც ენის კატეგორიაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს, ლექსიკურ ფონდს. ამ მხრივ, მართლაც სამაგალითოა ოთარ დემეტრაშვილი. იგი წერს ლამაზად, კარგი ქართულით, თითქმის ყოველი მისი ფრაზა ძალდაუტანებელია და მოქნილი. იგრძნობა სიტყვიერი მასალისადმი პასუხისმგებლობა; ახალგაზრდა პროზაიკოსის ლექსიკა მდიდარია და ძარღვიანი. იგი ხშირად იყენებს თითქმის მივიწყებულ ქართულ სიტყვებს, განსაკუთრებით ქალაქური დიალექტიდან: ლირფი, თითლიბაზი, ყადრი, ნუგბარი, ყუათიანი, ყავლი, მითელი და სხვ., რაც მის მოთხრობებს თავისებურ კოლორიტს აძლევს.

რა არის ახალგაზრდა ავტორის მოთხრობების თემა? ეს მოთხრობების საერთო სათაურიდან ჩანს – „ჩემი უბანი“. დიახ, ოთხივე მოთხრობის გმირები თბილისის ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლები არიან. ეს უბანი არ არის ახალი, კომფორტაბელური ბინიანი სახლებით სავსე, იგი უფრო ძველი თბილისის „გადმონაშთია“ თავისი ოკრო-ბოკრო ქვაფენილითა და ვიწრო ჩიხებით. ამ უბნის ადამიანებს აღწერს ოთ. დემეტრაშვილი თავის მოთხრობებში, სწორედ მათი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ დიდ ადამიანურ გრძნობებს ხატავს ავტორი გულწრფელი უშუალობითა და თბილი სიყვარულით. გრძნობთ, რომ მას უყვარს, ნამდვილად უყვარს ამ პატარა უბნის ადამიანები, რომლებიც შრომობენ, სწავლობენ, მხიარულობენ, სწუხან, უყვართ, განიცდიან... საერთოდ ქართულ პროზაში დიდი ნაკლებობაა ქალაქის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისა; ამდენად მისასალმებელია ოთ. დემეტრაშვილის კეთილშობილური განზრახვა



– შექმნას მოთხრობების ციკლი თბილისის უბრალო ადამიანებზე.  
 ახალგაზრდა პროზაიკოსი კარგად იყენებს მოთხრობისათვის საჭირო ყველა კომპონენტს. მის ნაწარმოებებში აუცილებლად არის დამაინტერესებელი ამბავი, მწერალი მარჯვედ ავითარებს სიუჟეტს, მის ექსპოზიციურ ნაწილს; აღსანიშნავია, რომ ფინალი ყოველთვის ამალეღვებელი გამოუდის ავტორს. ახალგაზრდა პროზაიკოსს, როგორც იტყვიან „არაფერზე“ წერა არა სწამს, მას აქვს ფანტაზია, შეუძლია დამაინტერესებელი ამბის გადმოცემა.

როგორც აღვნიშნეთ, ოთ. დემეტრაშვილის მოთხრობების გმირები უბრალო ადამიანები არიან, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, ყოველდღიური ადამიანური სინარულითა და დარდით. ამ გმირთა მცირერიცხოვანი გალერეა, რომელიც ჯერჯერობით შექმნა ახალგაზრდა ავტორმა, ადასტურებს კიდევ ერთ დადებით მხარეს მისი შემოქმედებისა – ოთ. დემეტრაშვილს შეუძლია თავის პატარა მოთხრობებში რელიეფურად გამოკვეთოს ხასიათები. ორიოდ პერსონაჟის გამოკლებით, მისი გმირები დამაჯერებელი არიან, თითქოს მრავალჯერ გინახავთ კიდევაც ისინი. აი, „წერო“ – „მაღალი იყო, თხელი, ბეჭებში წახრილი. მოგრძო სახე და ოდნავ წინგამოვარდნილი ქვედა ყბა ჰქონდა, რომელიც ტანთან წვრილი კისერით იყო შეერთებული. ფეთიანივით სიარული იცოდა, აი ისე – ადამიანი კიბის სამ საფეხურს ერთად რომ აირბენს ხოლმე. მიდიოდა მთელი სხეულის რწევით და თან მოუსვენრად ამოძრავებდა თავს მარჯვნივ და მარცხნივ. შავი რქის სათვალე ეკეთა მუდამ, ილიაშიც ერთთავად წიგნები ჰქონდა ამოჩრილი“. ანდა გაიხსენეთ კეთილი პელო ბაბო „წითელი ვაშლებიდან“; ესაა ქალაქელი მოხუცი ქალის ტიპური სახე. ასეთები თბილისის ყოველ ეზოში ცხოვრობენ. საინტერესოა ცალფეხა დახლიდარი სანდრო, რომელიც დიდ ბოლმას იკლავს გულში და აღელვებისას ბერლინთან ნატყვიარი ცაცია რომ აუთრთოლდება ხოლმე („დახლიდარის ზვაშიაღი“). მეტად ოსტატურადაა დახატული ამბროსი („კარგადღმა მეზობელი“); ასევე გამოირჩევიან ნათელა და თამარი („წერო“), მედიკო და გელა („წითელი ვაშლები“), თამარი და ნინო („დახლიდარის ზვაშიაღი“), ქეთინო და მზექალა („კარგადღმა მეზობელი“).

ოთ. დემეტრაშვილის, როგორც პროზაიკოსის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ოსტატურად მიგნებული ცხოვრებისეული დეტალების გამოყენება, რომლებიც ალამაზებენ ნაწარმოებს.

ასეთებია მოხუცი ქალების თავშეყრა („წითელი ვაშლები“), სცენა საავადმყოფოში („წერო“) და სხვ. ამ დეტალებში ჩანს ავტორის დაკვირვებული თვალი. მეტად ბუნებრივია და თითქმის თვალით ხედავთ, როგორც კინოეკრანზე, ოთ. დემეტრაშვილის მიერ დახატულ წვიმის სურათს „წეროში“.

ახალგაზრდა პროზაიკოსმა კარგად იცის ის, რაზედაც წერს; თუნდაც რად ღირს მის მიერ აღწერილი ისეთი იშვიათი ხელოსანის საქმიანობა, როგორც ჯავაირჩია: „მთელი დღე ზის ძია ამბროსი და ნახევარკარატიან ალმასის უზადო ბეჭდებს აკეთებს, ბადაღშიან საყურეებს ფერავს, ვერცხლით მოსირმულ ჯიხვის ყანწებს ასევალებს... აყალო ბუთაში გამდნარ ოქროს დასტრიალებს ძია ამბროსი, თეზაპზე აჭრილი ბაჯაღლო ყალიბში ჩასხმისას ვერცხლის წყალივით კოლტ-კოლტად იკვრება და მძიმე-მძიმედ ავსებს საზოდე ფორებს. მე უკვე ვიცი, რომ ჩამოსხმულ ოქროს წნენში გასწევს ძია ამბროსი, საჭირო სიგრძე-სიგანეს მისცემს. ზოგს მავთულივით გააგრძელებს, ზოგს უფრო მომსხოდ, ზოგს კი სიფრიფანა ფურცლებად გაშლის და იქიდან ბეწვა ხერხით საყურეებს ამოხერხავს; მერე თითბერივით ჩაჟამულ ოქროს გაძენილ ჩვარზე გააჯილაგებს და თავის პეწსა და ლაზათს დაუბრუნებს“ („კარგადაღმა მეზობელი“).

ოთ. დემეტრაშვილს ახასიათებს აგრეთვე იუმორის გრძნობა. მისი ჯანსაღი და უწყინარი იუმორი მართლაც მეტ სინათლესა და სიცხოველეს აძლევს მოთხრობებს. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს „წეროსა“ და „კარგადაღმა მეზობელში“.

მთავარი კი მაინც ერთია ახალგაზრდა პროზაიკოსის შემოქმედებაში – ესაა სიცოცხლის განუსაზღვრელი სიყვარული, დიდი ჰუმანიზმი, ადამიანებში კარგის შემჩნევის უნარი, რწმენა იმისა, რომ კეთილი საქმე მუდამ გაიმარჯვებს. „ისევ პირმოძიძარე ხელსაქმობს დედაჩემი და ისევ იმედის თვალით შესცქერის ნათელ მოძავალს. აი საცაა სწავლას დაამთავრებს მისი ვაჟი და დედასაც სჯერა, რომ ლამაზ-ლამაზი ფერებით მოხატულ შპალიერს გავაკრათ ოთახში. მაცივარსა და ფეხის საკერავ მანქანასაც ვიყიდით, რაღა თქმა უნდა, შვილის ბედნიერებასაც შეასწრებს მამა-უფალი და მკლავზე გადაიგორებს ფუნჩულა შვილიშვილს“ („კარგადაღმა მეზობელი“).

ოთ. დემეტრაშვილი ჩქარა დაიჭერს თავის ადგილს თანამედროვე ქართულ პროზაში, ამის საწინდარს მისი ოთხივე მოთხრობა იძლევა. მისგან დადგება ჩვენი მწერლობისათვის მეტად საჭირო და

სასარგებლო პროზაიკოსი; მხოლოდ ახალგაზრდა ავტორს ახლავე უნდა ვუთხრათ იმ ნაკლის შესახებ, რომლის გამოსწორებაც არ არის ძნელი. საერთოდ შესანიშნავ მოთხრობაში „კარგადღმა მეზობელი“ მეტად გაჭიანურებულია დიალოგი, რომელიც ეხება კინოფილმის აკარგვიანობას. გამოქვეყნებულ ოთხ მოთხრობაში სხვადასხვა გმირთა სახელები ხშირად მეორდება, მაგალითად, „წეროში“ – გიგო, ნათელა, თამარი; „წითელ ვაშლებში“ – გიგო; „დახლიდარის ხვაშიადში“ – თამარი, ნინო ნათელა; „კარგადღმა მეზობელში“ – ნინო. ახლა შეუმჩნეველია ეს გარემოება, მაგრამ როცა ეს მოთხრობები ერთ წიგნად შეიკვრება, უხერხულობას გამოიწვევს.

„ლიტერატურული საქართველო“, 1958-21

## საყვარელი მოხუცი

საოცარი დამთხვევა იყო – სწორედ 1 აგვისტოს შევიძინე „მნათობის“ მეხუთე ნომერი და პირველ რიგში გერონტი ქიქოძის „ფრაგმენტების“ კითხვა დავიწყე. თურმე მაშინ იგი უკვე სიკვდილს ებრძოდა საავადმყოფოში... ამ ფრაგმენტების საუკეთესო ნაწილია „სიკვდილის შიში“. ახლა თავიდან გადავიკითხე ეს სტრიქონები და შემაჟრჟოლა მისმა სიტყვებმა: „საერთოდ სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის თავს სწირავს. და სიკვდილი უფრო ადვილია განათებულ ავანსცენაზე, ვიდრე ბნელ კულისებში“.

გერონტი ქიქოძე იყო ნამდვილი ადამიანი, ადამიანი, რომლისთვისაც სამართლიანობა და პატიოსნება წარმოადგენდა სასიცოცხლო ძარღვს. ფრიად ერუდირებული სწავლული, უბრწყინვალესი მოქართულე, უსპეტაკესი ზნეობის კაცი მუდამ მაგალითი იყო და დარჩება ქართველი ახალგაზრდობისათვის. მას რაღაც განსაკუთრებულად უყვარდა ახალგაზრდობა... ვის არ ახსოვს მისი გულწრფელი, ტკბილი საუბრები მწერალთა ბაღში, სადაც ყოფნა და დასვენება ესოდენ უყვარდა საყვარელ მოხუცს.

დღეს აღარ არის იგი. აღარ არის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ღამაზი სიცოცხლის ყოველი წამი, ყოველი ნერვი შესწირა საყვარელ სამშობლოს. ჩვენთვის, ახალგაზრდა ქართველი

მწერლებისათვის ძალიან მძიმეა ეს დანაკლისი. მძიმეა იმიტომ, რომ გერონტი ქიქოძის სახით ჩვენს წინ იდგა მეცხრამეტე საუკუნის დიდ ქართველთა მსგავსი მოღვაწე. მას შეეძლო მამაშვილური დარიგება და დახმარება ისე, როგორც არავის.

ვამაყობ, რომ მის მიერ გულთბილი წარწერით მიძღვნილი ორი წიგნი ამშვენებს ჩემს პირად ბიბლიოთეკას, ვამაყობ, რომ საათობით მისაუბრნია ჩვენი საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწესთან.

ჩვენთვის, ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორებისათვის გერონტი ქიქოძის უკეთილშობილესი სახე მარად დარჩება, როგორც სიმბოლო და მისაბაძი მაგალითი.

ჩემს მეგობრებთან ერთად თავს დაბლა ვხრი მისი წმინდა ცხედრის წინაშე და ვეამბორები მის ნათელ შუბლს!

1960

## ბატონი გოგლა

რაოდენ ძნელია დაჯერება იმისა, რომ აღარ არის გიორგი ლეონიძე – „ბატონი გოგლა“, როგორც ახალგაზრდები ვეძახდით. იგი იყო მართლაც უდრეკი ბოძი ქართული პოეზიისა და განა მართლ პოეზიისა?.. ბრწყინვალე პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შესანიშნავი მოთხრობებიც გამოაქვეყნა, ლიტერატურის დიდი მკვლევარიც იყო და თავდადებული საზოგადო მოღვაწეც. მას ახასიათებდა ჭეშმარიტად ეროვნული შეგრძნება ყველაფრისა, რომ იტყვიან იყო „კაცური კაცი“. განა ასე იოლია მთაწმინდაზე განსვენება – ეს ხომ ქართველი ხალხის დიდი შვილების წმიდათაწმიდა სავანეა! გიორგი ლეონიძემ ღირსეულად ჰპოვა სამკვიდრებელი თავისი სათაყვანებელი ბარათაშვილისა და ილიას, აკაკისა და ვაჟას გვერდით.

მართლაც რაოდენ დასანანი და როგორ გვაკლია ლომისეური ბუბუნი ამ ჭაბუკური ცეცხლით ანთებული ადამიანისა, რომელსაც შეეძლო ყველაფერი მოესწრო ამ ქვეყანაზე – მგზნებარე ლექსის შექმნაც, ღრმა მეცნიერული ნაშრომის დაწერაც, გემრიელი პურის ჭამაც...

ბედნიერება მქონდა გიორგი ლეონიძესთან ახლო ურთიერთობისა. ის ხომ ძალიან მეგობრული კაცი იყო – დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. ყოველთვის მიკვირდა, რომ თითქმის ქვეყანამოვლილი კაცი გურიაში არ იყო ნამყოფი. ისიც უნდა ითქვას, რომ საუბრებში

როგორღაც ავლებულად იხსენიებდა საქართველოს ამ კუთხეს და მის მკვიდრთ. რასაკვირველია, საყვარელი პოეტისა და ადამიანის ასეთი დამოკიდებულება მოქმედებდა ჩემს თავმოყვარეობაზე და რამდენჯერმე შევბედე კიდევაც – აუცილებლად სტუმრობოდა გურიას და უფრო ახლოს გაეცნო მისი ხალხი.

შემდეგ ბატონი გოგლა რამდენჯერმე ზედიზედ ეწვია გურიას, კერძოდ ჩოხატაურის რაიონს. აქ იგი თავისი სიყრმის მეგობრის, უდროოდ დაღუპული ნიჭიერი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) საფლავს დაეძებდა. მაშინ შეიგრძნო გიორგი ლეონიძემ გურიის ჭეშმარიტი ბუნება, მისი ადამიანების სტუმართმოყვარეობა და კეთილშობილება. რამდენიმე შესანიშნავი ლექსიც უძღვნა მას. აი, ერთ-ერთი მათგანი – „გურიაში ვარ“:

აქ თითონ მზეც კი სხვანაირია,  
უფრო თბილია, უფრო ტკბილია,  
გული ოცნებით გადაირია,  
გული ვარდებით დაბარდნილია!

მე – აქაურზე აქაური ვარ,  
მე გურიაში ყოფნა მწყურია,  
რადგან გურია თავისუფლების,  
და სილამაზის ნავთსადგურია!

რა კუთხე არი, რა სანაქებო,  
გურიის ეშხი დღეს თან დამყვება,  
გურიაში ვარ, ამხანაგებო,  
და საქართველო მეამაყება!

თქვენ გურულებო, დროშის ამწვენო,  
ჰყვოდეს თქვენი დაბა, სოფელი,  
სულ იმარჯვებდეს ხალხი ქართველი –  
ერთიანი და განუყოფელი!

მას შემდეგ ყოველი შეხვედრისას გურიაზე მესაუბრებოდა, იქ გატარებულ დღეებს იგონებდა, ნანობდა, რომ ასე გვიან გაიცნო გურია და იქ მოგზაურობის ახალ გეგმებს ადგენდა.

მოსაგონარი ჩემზე გაცილებით მეტი სხვებსა აქვთ გიორგი ლეონიძეზე, მაგრამ არ შემიძლია ერთი ფაქტი არ გავიხსენო, რომელიც განსაკუთრებით აღმებეჭდა მეხსიერებაში.

თუ არ ვცდები, 1957 წლის ზაფხული იყო. სამუშაო დღის

მიწურულში თეიმურაზ ჯანგულაშვილი და მე რაღაც საქმეზე ბატონ გოგლასთან მივედით შიო ჩიტაძის ქუჩაზე (მაშინ იქ იყო ლიტერატურის ინსტიტუტი). სამივენი ერთად გამოვედით და „ბატონმა გოგლამ“ ხინკალი მონატრა. ბევრიც აღარ გვიფიქრია, თავდამართზე დავეშვით და დადიანის ქუჩაზე მღებარე ცნობილ სახინკლეს მივაღექით...

იქ ჩვეულებისამებრ აუარებელი ხალხი იყო. სანამ ხინკალი გამოვიდოდა, ბატონმა გოგლამ გარედ მოიცადა – ეუხერხულა შიგ გაჩერება და სიცხეც იყო. შემდეგ კი საიდანღაც სილოვან ნარიმანიძეც შემოგვიერთდა. უზარმაზარ ხონჩაზე დალაგებული ხინკლით ლუდის კასრებიან მომცრო საწყობში მოვთავსდით. ყველამ იცნო სახელოვანი ადამიანი, ყველამ სიყვარულით გამოაყოლა თვალი. უნდა გამოვტყდე, მე შეცბუნებული ვიყავი – პირველად ვჭამდი მასთან პურს და ისიც სად?! ვერც წარმომედგინა, რომ პოეტი-აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ინსტიტუტის დირექტორი, მკერდზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშნით ამ სახინკლეში ჩამოვიდოდა!

მოგეხსენებათ, არაყთან მწყრალად იყო ბატონი გოგლა და ამიტომ ღვინო მოვატანინეთ. თეთრი ჩესუნჩის პიჯაკის სახელოები აიკაპიწა, ხინკალს ბლომად მოაყარა დაფქვილი წიწაკა და მადიანად შეექცა. თამაძობაც მანვე იკისრა. თავისებურად ბუხუნებდა, ლალობდა, ენამზებოდა. ჩვენ სიამოვნებასა და სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მაინც ეკლებზე ვისხედით (თუმცა სინამდვილეში მართო ბატონი გოგლა იჯდა, ჩვენ ფეხზე ვიყავი გაჩერებული). ცოდვა გამხელილი სჯობს – არცერთს გროში არ „გვიჭყაოდა“ ჯიბეში... საშინელ უხერხულ მდგომარეობაში ვიყავით...

ბოლოს მე ბოდიში მოვიხადე, გამოვედი და მებუფეტე ლეოსთან მივედი. ავუსხენი მდგომარეობა – „ხვალვე მოგიტან-მეთქი“, შევპირდი. მერე ისევ სუფრასთან მოვბრუნდი. კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი „ღრეობა“ (სწორედ ამ სიტყვას იმეორებდა მაშინ ბატონი გოგლა).

დასასრულ ბატონმა გოგლამ მებუფეტე იხმო, ჭიქა ღვინო შესთავაზა და დანახარჯი მოითხოვა. ლეომ უპასუხა – გადახდილიაო. შეკითხვაზე – ვინ გადაიხადაო, მან ჩემზე ანიშნა. „ახლავე დაუბრუნე ფული, – დაიბუხუნა ბატონმა გოგლამ, – მე, პოეზიის მარშალი აქ ვიყო და ამ სალდათებს ახდევინებ ფულს?!“ და ჯიბეზე გაიკრა ხელი. არაფერი გაგვივიდა. ლეო იძულებული გახდა ნაგაჭრიდან ამოეღო ფული და ჩემთვის „კუთვნილი“ თანხა დაებრუნებინა...

სახინკლედან ამოვედით. უკვე შეღამებულიყო და გამაგრილებელ ნიავს მივუშვირეთ შუბლი. შემდეგ მე უკანვე ჩავიბრინე და ლეოს უკანვე დავუბრუნე ფული – არ შემომეხარჯოს-მეთქი. ბატონი გოგლა ხასიათზე იყო და აგვიტყდა, გინდათ თუ არა ჩემთან წამოდით წყნეთში, მაგრამ ჩვენ მოგვერიდა და ვიუარეთ.

ახლა ერთი ეპიზოდიც, უფრო სწორად, მოგონება ერთი ლექსის შესახებ.

1960 წელში ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებითი სახლის დირექტორად ვმუშაობდი. იმ დღეს რაღაც საქმეზე ბორჯომში ვიყავი წასული. საღამოხანს ამოვედი და სახლის დიასახლისმა ანეტამ ამბავი დამახვედრა – გიორგი ლეონიძე იყო, თქვენ გიკითხათ, რომ არ დახვდით – ეწყინა, თქვენს ოთახში წიგნზე რაღაც დაგიწერათო. ცოტაოდენი ნასვამი ყოფილიყო და თან ნოდარ შამანაძე ხლებოდა.

ჩემს ოთახში მაგიდაზე ჯექ ლონდონის თხზულებათა მესამე ტომი მდო. სწორედ ამ წიგნის შმუცტიტულზე დაეწერა ეს ლექსი:

„ქვიშხეთი, ჩვენი ქვიშხეთი  
 სულ დაუცია ყირაზე, –  
 ალეკო სანადირაძეს...  
 გამარცხულია წარსული,  
 სიანხლე შემოულია,  
 არა მჯეროდა, რადგანაც  
 ვაჟკაცი არი, გულლია.  
 ჰეი და ჰეი, ქვიშხეთო,  
 გვწამს შენი ძველი მშვენება!  
 საითაც გინდა მივხედო,  
 დიმიტრი მომეჩვენება.“

გ. ლეონიძე  
 15 მაისი, 1960  
 ქვიშხეთი

P. S. ბოდიში, მეტი ქალაქი ვერ ვიშოვეთ და წიგნი დაგიჩხაპნეთ. ბევრი ცვლილებანი შეუტანია ძველის მოსპობად არა სანადირაძეს, თურმე, არამედ გაბილაიას. ბოდიში.

გ. ლ.“

(დედანი ინახება ჩვენთან – ა. ს.)  
 (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობის ქართული  
 ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია – მ. ს.)

ამ დროს სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და ყოფიანის ყოფილი კარ-მიდამო მართლაც არეულ-ღარეული იყო.

გული დამწყდა, რომ ვერ ვუმასპინძლე ბატონ გოგლას, მაგრამ ამ ლექსმა გამახარა და დიდი პოეტის ხელით ნაწერი, ჩემდამი მოძღვნილი სტრიქონები მარად საამაყო იქნება ჩემთვის.

...მისი გარდაცვალების დროს თბილისში არ ვიყავი და უკანასკნელი ადამიანური ვალი ვერ მოვიხადე ბატონი გოგლას წინაშე. მხოლოდ მისგან ნაგვიანეგად შეგვარებული გურიის ერთ-ერთ რაიონულ გაზეთში მოვათავსე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ისევე, როგორც მთელ საქართველოს, პატარა გურიასაც უყვარდა გიორგი ლეონიძე, როგორც პოეტი, როგორც მეცნიერი, როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც ადამიანი. და დღეს, როცა მისი ნეშტი მთაწმინდის მიწაში განისვენებს, დაე, ჩვენი კურცხალიც შეუერთდეს ამ დიდ გლოვას“.

## იასე რაჭველი

ჩვენი სახელოვანი პოეტი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი ასეთ ხალხს „დავიწყებულებსა და გამორჩენილებს“ უწოდებს. მართლაც და, ჯერ კიდევ რამდენი ქართველი მოღვაწე ელოდება გახსენებასა და დაფასებას. თუ ჩირაღდანით არ უკაშკაშიათ, სანთელივით ხომ დაიღვენთნენ სამშობლოს სამსახურში! ამიტომ უნდა ხანდახან მაინც მოვაგონოთ მათი სახელები ქართველ ხალხს.

ვისაც რევოლუციამდელი ქართული პრესა გადაუთვალთვლებია, არ შეიძლება არ დახსომებოდა იასე რაჭველის სახელი; მისი კორესპონდენციებისა და პუბლიცისტური წერილების საერთო სათაური იყო „წერილები კონსტანტინეპოლიდან“; ეს წერილები იბეჭდებოდა თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში. ვინ იყო იასე რაჭველი და რა უნდოდა მას კონსტანტინეპოლში?

იასე რაჭველი (იოსებ მაქსიმეს-ძე მეხუზელა) დაიბადა 1860 წელს, ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფ. ბაილეთში. დაწყებითი სწავლა მიიღო ამავე სოფლის სამრევლო სკოლაში, სადაც მასწავლებლად იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი ბესარიონ ჭიჭინაძე. პატარა იასე განსაკუთრებულად ბეჯითი მოსწავლე ყოფილა და ბ. ჭიჭინაძის დიდი სიყვარული დაუმსახურებია. ამიტომ იყო, რომ როცა ბაილეთის



სამრევლო სკოლა დახურეს, ბეს. ჭიჭინაძემ 12 წლის იესე მეხუზლა თან წაიყვანა რაჭაში სწავლის გასაგრძელებლად.

მთელი ათი წელი გაატარა იასემ რაჭაში საყვარელ მასწავლებელთან. იქვე ჩაება ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საიდუმლო წრეებში, მაგრამ წრის ჩავარდნის შემდეგ იბულებული შეიქნა გამოქცეულიყო ისევ გურიაში. აქაც მოაგნეს მის კვალს მეფის დამქაშებმა. მაშინ იასე ჩავიდა ბათუმში და ლაზი მენავეების დახმარებით გაიპარა საზღვარგარეთ.

1882-1902 წლებში იასე მეხუზლა კონსტანტინეპოლში ცხოვრობს. ამავე წლებში იმოგზაურა მან იტალიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში. კონსტანტინეპოლში იგი დაუახლოვდა იქ მყოფ ქართველებს, მათ შორის ცნობილ პუბლიცისტს მეველეს (დავით მიქელაძე).

კონსტანტინეპოლში ჩასვლის პერიოდიდან დაიწყო იასე მეხუზლას ლიტერატურული მოღვაწეობა. წერდა კორესპონდენციებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, პოემებს და გზავნიდა საქართველოში იასე რაჭველის ფსევდონიმით (ეს ფსევდონიმი მან აირჩია თავისი მოამაგე მასწავლებლის ბეს. ჭიჭინაძის საპატივცემულოდ).

უცხო მიწაზე ოცი წლის ყოფნის შემდეგ ი. რაჭველი დაბრუნდა სამშობლოში; 1903 წელს მას ბათუმში ვხვდავთ, შემდეგ იგი თბილისში ცხოვრობს, ხოლო 1917 წელს საცხოვრებლად გადადის კახეთში (ლაგოდეხი). დაულალავი ენთუზიასტი აქაც ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. მისი ინიციატივით გაიხსნა ლაგოდეხის სკოლა, სამკითხველო, კლუბი.

თავისი საყვარელი ქვეყნის წინაშე ვალდობდილი იასე რაჭველი გარდაიცვალა 1919 წელს, დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ბაილეთში.

იასე რაჭველის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ დიდია. გარდა მრავალრიცხოვანი კორესპონდენციებისა და პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც იბეჭდებოდა „ივერიაში“, „მოამბეში“, „დროებაში“, „კვალში“ და სხვ., მის კალამს ეკუთვნის ცალკე გამოცემული მხატვრული ნაწარმოებები: „დასჯილნი“ (1895), „მართალი კაცი“ (1896), „უმანკო მსხვერპლი“ (1896), „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“, (1897), „რამია ბედნიერება“ (1904), „მარიანა“ (1914). ამჟამად ეს წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

ასეთი არის მოკლედ, ძალიან მოკლედ ერთ-ერთი „დავიწყებული და გამორჩენილის“ – იასე რაჭველის ცხოვრება და მოღვაწეობა.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1960-28

## ფიქრები პოეზიაზე

ჩვენი თანამედროვე მწერლობის პატრიარქი შალვა დადიანი შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ პაწია სტატიაში ამბობდა: „რუსთაველზე არ მიფიქრია. მინდა რომ კარგად გამიგოთ. არ მიფიქრია ისე, როგორც არა ვფიქრობ მზეზე: ანათებს, ათბობს, აღმოაცენებს... ზოგჯერ წვავს კიდეც“. ეს სიტყვები მსურს ზუსტად გავიმეორო ლექსზე, საერთოდ პოეზიაზე. მართლაც ძნელია ლექსზე განყენებულად, ზოგადად ფიქრი და უფრო ძნელია წერა.

ლექსი ხომ ქვეყნად გაჩენის დღიდანვე ესმის ადამიანს, აკვნის რწევასთან დამღერებულ „იავნანადან“, ლექსი ხომ სიმღერაა და უსიმღეროდ კაცის ცხოვრება წარმოუდგენელი. რა თქმა უნდა, ლექსის გაგება და ღრმად ჩაწვდომა, შეფასება და გაანალიზება ერთეულთა ხვედრია, მაგრამ ლექსი ყველას, ჭეშმარიტად ყველას უყვარს – ახლად ენაადგმულ ყრმასაც და თმადათოვლილ მოზუცსაც, წერა-კითხვის უცოდინარსაც და ... განსწავლულ მეცნიერსაც. რამდენი მინახავს უბრალო სოფლელ შეყვარებულ გოგო-ბიჭთა სატრფიალო ბარათებში ბოლოს მიწერილი გულუბრყვილო ლექსები. ანდა გაჭალარავებულ გლეხ ქალს რომ ლექსი გამოუთქვია თავის ოჯახურ ბედნიერებასა თუ მწუხარებაზე. მაგრამ ლექსის სიყვარული ერთია და წერა მეორე. გასაოცარი უნარი აქვს ამ თვისებას (ლექსის წერას) – თუ კაცს შეუჯდა, ვერა და ველარ იხსნის თავს. სხვა დარგში სახელგანთქმული სპეციალისტიც რომ შეიქმნეს, ჩუმჩუმად მაინც სტრიქონებს დალიცლიცებს.

ვატყობ, რომ ყველასთვის ცნობილ ჭეშმარიტებებს ვამბობ. სწორედ ამიტომაც ძნელი ლექსზე წერა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ახლანდელი თაობა ალბათ უფრო შეიყვარებს ლექსს. საბავშვო ბაღებში ათასობით ნაირ-ნაირი წრეები, ბავშვთა მხატვრული აღზრდის კერები, ჟურნალ-გაზეთები, გამომცემლობები, რადიოს და ტელევიზია ამ კეთილშობილური საქმის სამსახურშია.

უკვე ისე ხშირად ხმარობენ ო. თუმანიანის ცნობილ თქმას, რომ აღარ მსურს გავიმეორო, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ

ქართველი კაცისათვის ლექსი იგივეა, რაც ჩვენი სამშობლოს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“, ანკარა წყაროები და ყანა-ვენახები... ლექსი ჰაერივით და წყალივით აუცილებელია ქართველი კაცისათვის. სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვყავს შესანიშნავი ინტელიგენცია ტექნიკური თუ სხვა დარგისა, რომლებიც ლიტერატურის სპეციალისტებზე არანაკლებ ერკვევიან ლექსის აკარგიანობაში.

უნერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობია, ბავშვობაში მეც მიწვალვებია ქართული სიტყვა სალექსოდ. დარწმუნებული ვარ, ასეთი იყო ქართულ ლიტერატურაში მოსული პროზაიკოსებისა თუ დრამატურგების, კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების გზაც. საერთოდ აღიარებულია, რომ პროზას გაცილებით მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ლექსს. მაგრამ თუ ბავშვს თავიდანვე დაჰყავს ლექსის კითხვისადმი სიყვარული, არასოდეს არ გაუნელდება იგი. ყველას ჰყავს თავისი საყვარელი პოეტი, აქვს საყვარელი ლექსი გემოვნებისამებრ. ხშირად გრძნობ, რომ ის მეორე პოეტი უფრო დიდია, მაგრამ შენ ეს გიყვარს, უფრო ახლოს მოდის შენთან, უფრო პასუხობს შენს სულიერ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს.

მეც მყავს ჩემი საყვარელი ქართველი პოეტი. ზოგი მათგანის შემოქმედება მთლიანობაში მიყვარს, ზოგიერთისა რამდენიმე ლექსი, შეიძლება რომელიმე პოეტის მხოლოდ ერთი ლექსიც გიყვარდეს. ეს წიგნები ცალკე მაქვს გადაწყობილი და ხშირად გადავიკითხავ ხოლმე. ეს ხომ უდიდესი სიამოვნებაა! ჩემი სათაყვანებელი კერპი კი მაინც გალაკტიონია. მისი პოეზია ხომ ადამიანის ყოველგვარ სულიერ განწყობილებას პასუხობს. ლექსი ლექსია, მაგრამ მუსიკაც მოგესმით და მუსიკაც ხომ დამატკბობელია თავისთავად. და რა სამწუხაროა, რომ ამ ვარდყვავილების თვეში, პოეზიის დღეს მისი დიდებული ფიგურა არ გადმოდგება ტრიბუნაზე. მისი გაციებული სხეული მთაწმინდის მიწაში ჩვეულებისამებრ ათრთოლდება ალბათ. მაგრამ სანამ ქართული მიწა, ქართული ცა, ქართველი კაცი და ქართული პოეზია იცოცხლებს, გალაკტიონი ყოველ 19 მაისს ჩვენთან იქნება.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე მინდა ერთი სურვილიც გამოვთქვა. ჩვენში პოეზიის ბევრი სხვადასხვა კრებული გამოდის. მათი უმრავლესობა ან სათარიღო ხასიათისაა, ან მიძღვნილი. დასამალი

არაა, რომ ასეთი სახის კრებულებს მკითხველი მაინცადამაინც არ ეტანება. კარგი იქნება თუ გამოვცემთ ლექსების ასეთ კრებულებს – „დედა“ („ნაკადულის“ მიერ გამოცემული კრებული მცირე იყო), „მხოლოდ ერთი ლექსი“ (დასაბამიდან დღემდე, ქართველი პოეტების მხოლოდ თითო საუკეთესო ლექსი), „სიყვარული“ (ისეთივე, ტიპის როგორიც წინა, მხოლოდ სატრფიალო თითო ლექსი), „მამული“ (ამავე ხასიათის)... კიდევ შეიძლება მონახოს სხვა თემატური გამაერთიანებელი. ვფიქრობთ, მკითხველები დიდი სიამოვნებით მიიღებენ ამ ტიპის კრებულებს.

დღევანდელი და მზვერდელი ქართულ პოეზიას, ქართულ ლექსს, ქართველ პოეტებს იმდენ ჟამს, რამდენი დაუწერელი ცეცხლოვანი სტრიქონიცაა ჩვენს მადლიან ქვეყანაში.

## წიგნი დაუცხრომელ შემოქმედზე

ქართულმა თეატრმა ფრიად საინტერესო გზა გაიარა. მისი ისტორია ჯერ არ დაწერილა. თეატრის მომავალ მემკვიდრეს დიდ სამსახურს გაუწევს ის ცალკეული მონოგრაფიები და მოგონებები, რომელთაც ქართული თეატრის მოღვაწენი აქვეყნებენ. მკითხველი ინტერესით იღებს ხელში ახლახან გამოცემულ კრებულს „ალ. ახმეტელი“, რომელიც მოიცავს საინტერესო მასალებს ამ გამოჩენილი ქართველი ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

კრებული იხსნება შალვა აფხაიძის დიდი სიყვარულით დაწერილი ნარკვევით, რომელშიაც ლაკონურადაა გადმოცემული ალ. ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

ამ საინტერესო პიროვნებას ბიოგრაფიაც საინტერესო ჰქონდა, თოთხმეტი წლის ასაკში დაამთავრა თელავის სასწავლებელი და 1900 წელს განჯის გიმნაზიაში შევიდა, საიდანაც ორი წლის შემდეგ თბილისის ქართულ გიმნაზიაში გადმოიყვანეს. ის დაჯილდოებული იყო კარგი მუსიკალური სმენით და ერთხანს ცნობილი კომპოზიტორის ნ. სულხანიშვილის გუნდშიაც მღეროდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალ. ახმეტელი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სცენამ ბავშვობიდანვე გაიტაცა, ხოლო 1909 წლიდან უკვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავს პუბლიცისტურ სტატიებს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე. 1918 წელს ის მიიწვიეს ქართული თეატრის რეჟისორად. ალ.

ახმეტელმა მაშინ დადგა ს. შანშიაშვილის „ბერლო ზმანია“, რომელმაც მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება და დიდი შეხლა-შემოხლის საგანი გახდა თავისი ორიგინალობითა და ექსპერიმენტალური სითამამით.

1922 წელს, 25 ნოემბერს დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა დადგა „ცხვრის წყარო“, რომლითაც ახალი ხანა დაიწყო ქართული თეატრის ისტორიაში. ალ. ახმეტელი თავიდანვე მხარში ამოუდგა მთელ რუსეთში სახელგანთქმულ რეჟისორს. ამ ორი შემოქმედის ერთად მუშაობაც და შემდეგ მათი განცალკევებაც იყო გამოხატულება ქართული თეატრის განვითარების მეტად საინტერესო ეტაპებისა.

1926 წლიდან დაწყებული, რუსთაველის სახელობის თეატრში, ალ. ახმეტელმა დადგა სპექტაკლები: „ზაგმუკი“, „საჭე მარცხნივ“, „ქართა ქალაქი“, „ლიანდაგი გუგუნიებს“, „რღვევა“, „ანზორი“, „ლამარა“, „თეთნულდი“, „ყაჩაღები“, ალ. ახმეტელი თეატრის გამოჩენილ ოსტატთა პირველ რიგებში ჩადგა. 1935 წელს ალ. ახმეტელი სამუშაოდ გადავიდა მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში. სამართლიანად შენიშნავს შ. აფხაიძე: „რუსთაველის სახელობის თეატრის სული და გული იმ დროს – ეს იყო ა. ახმეტელი, ჭეშმარიტი ხელოვანი, თავისებური მოვლენა ქართული თეატრის ცხოვრებაში. მას არ უვლია ია-ვარდით მოფენილი გზით. მის შემოქმედებას ისე, როგორც ყოველი ხელოვანისას, ახასიათებდა მარცხიც და აღმაფრენაც. მაგრამ მარცხს არასდროს ჩაუქვრია მასში შემოქმედებითი ძიების ცეცხლი, და არც გამარჯვებას მოუდუნებია მისი დაუშრეტელი ენერჯია, იშვიათი, სამაგალითო სიყვარული ქართული თეატრისადმი. შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავისი მღელვარე, მუდამ მშფოთვარე გული საბჭოთა ქართული, თეატრის სამსხვერპლოზე მიიტანა“.

ალ. ახმეტელის რეჟისორული მოღვაწეობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეროვნული საბჭოთა თეატრის შექმნა. სწორედ ამ საკითხებს ეხება ვ. კიკნაძის წერილი „ალ. ახმეტელი ქართული თეატრის შესახებ“. ავტორი, განიხილავს რა ახმეტელის დადგმებს, მის თეორიულ მოსაზრებებს, ცდილობს გვიჩვენოს ამ საინტერესო შემოქმედის სტილის თავისებურებანი.

ნინო შვანგირაძის წერილი ეხება რუსთაველის სახელობის თეატრის საგასტროლო მოგზაურობებს ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით.

კრებულის შემდეგ განყოფილებაში მოთავსებულია მოგონებები,

რომლებშიაც მკაფიოდ იკვეთება ალ. ახმეტელის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის თავისებური პროფილი. განსაკუთრებით საინტერესოა გამოჩენილი რეჟისორის მეუღლის, მსახიობ თ. წულუკიძის მოგონება. მასში ყველაზე ნათლად ჩანს ალ. ახმეტელის ადამიანური თვისებები, მისი პირდაპირობა, ალაღმართლობა, პრინციპულობა, გულკეთილობა.

მოკლედ, მაგრამ მეტად გულთბილი სტრიქონებით იგონებს ქართველ რეჟისორს თანამედროვეობის დიდი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი; იგი აღნიშნავს, რომ ა. ახმეტელმა „თეატრს შესწირა მთელი თავისი ტალანტი... ის იყო ძალიან უბრალო და გულისხმიერი თავის მეგობრებისა და ნაცნობებისადმი დამოკიდებულებაში. მასში საოცრად ღამაზად იყო შერწყმული დიდებულება და თავმდაბლობა“.

ღრმა ინტერესით იკითხება აქვე მოთავსებული შალვა დადიანის, პ. კანდელაკის, ს. ვაჩნაძის, ირ. შერაზადიშვილისა და ნ. ღვინიაშვილის მოგონებანი.

უკანასკნელ განყოფილებაში – „მასალები“ წარმოდგენილია ს. ახმეტელის სიტყვები, ნაწერები, წერილები, მისადმი მიმართული ბარათები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კერძოდ ალ. ახმეტელის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი და მისი გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობაზე, 1928 წელს; განაღვსავს აქტუალურად არ აღერენ მისი მაშინდელი სიტყვები: „ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს თეატრსა და მწერალთა შორის, უსათუოდ უნდა განმტკიცდეს და ქართული თეატრი უნდა დაიპყრონ ქართველმა დრამატურგებმა“. საინტერესოა ალ. ახმეტელის გამოსვლები მოსკოვში გამართული გასტროლების შემდეგ გამართულ კამათში და შემაჯამებელ სხდომაზე, რომლებშიაც ის მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებას აცნობს ეროვნული თეატრის შექმნის პერსპექტივებს.

დასასრულ ალ. ახმეტელზე სიტყვას დავეუთმოთ ჩვენი მწერლობისა და თეატრის პატრიარქს – შალვა დადიანს: „რაც მან გააკეთა საერთოდ ქართულ თეატრში, ის ინახება ჩვენი თეატრის საგანძურში, როგორც დიდი სამკაული ჩვენი სასცენო ხელოვნებისა და დღეს ყველას გული ხარობს, რომ ეს საგანძური კვლავ ყველა ჩვენთვის დასანახია, რომ ძვირფასი სახელი სანდრო ახმეტელისა დღეს ჩვენთვის უკვე სამუდამოდ დაუვიწყარია!“

„ლიტერატურული გაზეთი“, 1958-26

## აქტიორი და მოაზროვნე

უშანგი ჩხეიძე მხოლოდ ათიოდე წელი იღვწოდა სცენაზე, ის სრული შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ჩამოშორდა თეატრს და, მიუხედავად ასეთი ხანმოკლე დროისა, მაინც უჭკნობი შარავანდედით მოსილი სახელი დასტოვა.

უშ. ჩხეიძე ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: „ხელოვნების ყველა დარგს, გარდა თეატრისა, რჩება შემოქმედების ამსახველი დოკუმენტი. თეატრში კი ფარდის დახურვასთან ერთად თავდება რეჟისორის თუ აქტიორის შემოქმედებაც. ვერც ეკრანი და ვერც მაგნიტოფონი ვერ აღბეჭდავს და ვერ გვაგრძნობინებს სავსებით იმას, რასაც შემოქმედების უშუალო მონაწილე განიცდის“. მიუხედავად ამისა, დღესაც, 25-30 წლის შემდეგ, მაყურებლები უდიდესი გატაცებით იხსენებენ მის თამაშს; ჩვენ კი, ახალგაზრდები, მხოლოდ რადიოთი ვისმენთ უშანგის ბრწყინვალე მონოლოგებს და ხარბად ვეწაფებით იმ მცირე ლიტერატურას, რომელიც დიდი აქტიორის გარშემო არსებობს.

ამიტომ მეტად საინტერესო და საყურადღებო მოვლენაა უშ. ჩხეიძის მოგონებებისა და წერილების გამოქვეყნება. აქ მკითხველის თვალწინ იშლება უშ. ჩხეიძის შესანიშნავი შემოქმედების მეორე მხარე – სცენის დიდოსტატი გონებაბაძვილი მოაზროვნე და კარგი მწერალიც ყოფილა. ამაზე მეტყველებს უშ. ჩხეიძის „მოგონებები და წერილები“, რომელიც „ხელოვნებამ“ გამოსცა.

წიგნში მოთავსებული პირველივე მოგონება – „თეატრამდე“ დაწერილია ნამდვილი ბელეტრისტის კალმით; დიდი აქტიორი აქ მოგვითხრობს თავისი უდარდელი ბავშვობის დღეებზე, იმერეთის გალატაკებულ, კუდაბზიკა აზნაურებზე, ქუთაისის გიმნაზიაში გატარებულ წლებზე. აქვე ლაპარაკია მის პირველ ნაბიჯებზე სცენაზე, გიმნაზიის უფროს კლასებში ყოფნის დროს, და ტკბილი, შორეული მოგონება პირველი სიყვარულის შესახებ.

შემდეგ თავის მოგონებაში ავტორი ეხება გიმნაზიის დამთავრებას, თბილისში გადმოსვლას უნივერსიტეტში შესასვლელად, მენშევიკთა ხელისუფლების წლებს... აი, როგორ ახასიათებს უშ. ჩხეიძე იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას: „ყველა აკეთებდა არა თავის საქმეს, ხშირად ექიმს ნახავდით მილიციაში კომისრად, ყოფილ პოლკოვნიკს – მიკიტნად, ვეჟილს – სარდლად, სარდალს

– კოლოპერატორად და ყაჩაღს წესრიგის დამცველად“. ამ მოგონების დასასრულ ავტორი აღწერს თავის მუშაობას ჯაბადარის ცნობილ სტუდიასა და ავჭალის აუდიტორიაში.

ამავე მოგონების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს „ნახული და გაცდილი“. ავტორი აქ ეხება ქართული თეატრის სავალალო მდგომარეობას, მაშინ ახალგაზრდა მსახიობების აღზრდაზე არავინ ზრუნავდა; „რეჟისორები ჩიოდნენ უაქტიურობას, აქტიორები – ურეჟისორობას, საზოგადოება – უთეატრობას, მაგრამ არცერთი მხარე არ აპირებდა რაიმე გადამწყვეტი ზომების მიღებას საქმის გადასარჩენად“.

შემდეგ დედა-სამშობლოს დაუბრუნდა კოტე მარჯანიშვილი – დიდი რეჟისორი და შესანიშნავი მოქალაქე. უშ. ჩხეიძე დაწვრილებით ჩერდება ქართული თეატრის ისტორიაში ამ ღირსშესანიშნავ ფაქტზე, ღრმა ანალიზს უკეთებს კ. მარჯანიშვილის პირველ სპექტაკლებს „ცხვრის წყაროსა“ და „მზის დაბნელებას საქართველოში“.

საერთოდ, კრებულში მოთავსებულ თითქმის ყველა მოგონებასა და წერილში უშ. ჩხეიძე უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი წერს კ. მარჯანიშვილის შესახებ. ეს ბუნებრივიცაა, კ. მარჯანიშვილისა და უშ. ჩხეიძის სახელები განუყრელად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან.

უშ. ჩხეიძე თავის მოგონებებსა და წერილებში – „მარჯანიშვილის თეატრის პირველი სეზონი“, „ათი წელი კოტე მარჯანიშვილთან“, „კოტე მარჯანიშვილი – რეჟისორი და ხელმძღვანელი“, „მარჯანიშვილის თეატრი უმარჯანიშვილოდ“, „კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას“ და სხვ., – მკაფიოდ ხატავს და ნათლად წარმოგვიდგენს კ. მარჯანიშვილის სახეს, როგორც რეჟისორისა და როგორც ადამიანისა; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნარკვევი „კოტე მარჯანიშვილი – რეჟისორი და ხელმძღვანელი“. ამ ვრცელ ნარკვევში უშ. ჩხეიძემ შესანიშნავად შეძლო დიდი რეჟისორის შემოქმედების ძირითად თავისებურებათა ახსნა და დასაბუთება. საერთოდ, ავტორი იჩენს თეატრალური ხელოვნების უდიდეს ცოდნასა და ღრმა მეცნიერულ ალღოს. იგი დაწვრილებით იხილავს კ. მარჯანიშვილის მიერ შემუშავებულ მეთოდს – ტექსტზე მუშაობას, მიზანსცენების განსაზღვრას, რეპეტიციებს... იგი მოგვითხრობს, როგორ იყენებდა სპექტაკლში დიდი რეჟისორი მხატვრობას, კინოს, მუსიკას, ქორეოგრაფიას... განსაკუთრებით ხაზს უსვამს ავტორი



მარჯანიშვილისეული სპექტაკლების შინაგან რიტმსა და საერთო ტონს. ცალკე აღნიშნავს მის დიდ დამსახურებას ქართველ აქტიორთა ახალი კადრების მომზადებაში. უშ. ჩხეიძის მიერ გაკეთებული ანალიზი თუ დასკვნები ყოველთვის დასაბუთებულია და უტყუარი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კ. მარჯანიშვილი სწორედ მან შეაფასა ყველაზე ზუსტად და ყველაზე დამაჯერებლად.

ავტორი ჭეშმარიტი ბელეტრისტული ოსტატობით ხატავს დიდი რეჟისორის გარეგნულ პორტრეტსაც: „და ეს, – თითქმის პატარა ტანის ადამიანი, – ვეფხვივით ტრიალებდა, ხელდებოდა, იშლებოდა მისი უწესრიგოდ დაყრილი შევერცხლილი თმები, მისი თვალები ელავდნენ, ნაპერწკლებს ისროდნენ და როგორც თოფის წამალს, ისე აფეთქებდნენ მსახიობის გრძნობებს: ერთს მივარდებოდა – მიზანსცენას უსწორებდა, მეორეს – მოძრაობას, სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა, ან იღვა სარეჟისორო მაგიდასთან სახელოებგადაცეცილი, მოზიდული შვილდევით, მთელი ტანით წინ, აქტიორებისაკენ მიმართული, მარჯვენა ხელდამუშტული, რომელიც მოძრაობისა და მეტყველების რიტმს უჩვენებდა მსახიობს, ან კიდევ დამკვრელს, მარცხენა ხელით ხშირად თმებს ისწორებდა, ან მაგიდაზე აფათურებდა და პაპიროსს ეტებდა ისე, რომ იქით არც იხედებოდა, ან ნერვიულად სრესდა და ამტკრევდა ნახევრად დამწვარ პაპიროსს“.

მეტად თბილი სტრიქონები უძღვნა უშ. ჩხეიძემ თავის საუკეთესო პარტნიორს ვერიკო ანჯაფარიძეს. პატარა წერილში მან შესანიშნავად დაახასიათა ამ მსახიობის შემოქმედებითი თავისებურებანი და მის მიერ შექმნილი ორი საუკეთესო როლი – ოფელია და ივლითი. არ შეიძლება აღვსავთ გარეშე წაიკითხოთ უშანგის შემდეგი სიტყვები: „ჩვენს მსახიობებში ვერიკო მე განსაკუთრებით მიყვარს, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ის დიდი და საინტერესო მსახიობია, მეორე – მასთან დაკავშირებულია ჩემი მუშაობის საუკეთესო წლები და, ბოლოს, ჩემი პირველი და დიდი სიყვარული სცენაზე ეკუთვნოდა მას – სიყვარული მაღალი და კეთილშობილი, სიყვარული ჰამლეტისა და ურიელის და ჩემში, ალბათ, დღემდე დარჩა ამ გრძნობის ანარეკლი“.

უშ. ჩხეიძეს, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა დაეწერა ნარკვევების ციკლი თავის მიერ განსახიერებული მთავარი როლების შესახებ. სამწუხაროდ, ამ მეტად საჭირო და საინტერესო განზრახვის

შესრულება ბოლომდე არ დასცალდა. მას მოუსწრია მხოლოდ თავები ჰამლეტის, ურიელისა და იავოს შესახებ. ისინიც დაუმთავრებელია, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი, მაგრამ კრებულში წარმოდგენილ დაუმთავრებელ ნარკვევებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი თეატრის ისტორიისათვის; ჯერ ერთი, როგორც თვით უშ. ჩხეიძის მიერ თავისსავე საუკეთესო როლებზე დაწერილ დოკუმენტებსა და მეორეც, კ. მარჯანიშვილის რეჟისორული ოსტატობის ამსახველ მასალებს. ნაბიჯ-ნაბიჯ, დეტალურადაა გადმოცემული ავტორის მუშაობა ჰამლეტის ურთულეს როლზე; როგორც ვთქვით, ბოლომდე არაა მიყვანილი ურიელისა და იავოს სახეების შექმნის ისტორია, მაგრამ წინასწარ გამოთქმული მოსაზრებები მაინც მეტად საგულისხმოა, მაგალითად, იავოს შესახებ: „მე მგონია, ისეთი პირები, როგორიც იავოა, რომელნიც ესოდენ დიდი ბოროტების ჩადენას ახერხებენ, უსათუოდ რაიმე მიმზიდველი თვისებებითაც იქნებოდნენ დაჯილდოებულნი როგორც გარეგნულად, ისე საერთოდ, რომლის წყალობითაც ისინი სხვების ნდობას იმსახურებდნენ. ...იავო როგორც ოტელოს, ისე სხვების თვალში უნდა მოჩანდეს უაღრესად კეთილშობილ და გულწრფელ ადამიანად“.

კრებულის შემდეგ განყოფილებაში მოთავსებულია წერილები: „თეატრის მეთოდოლოგია“, „მომავალი ანუ დამწყები აქტიორები“, „დიאלოგი რეჟისორისა და აქტიორის შესახებ“ და „ჩემი გრიმი“. ამათგან პირველი და მესამე დაუმთავრებელია. ძალზე საყურადღებოა დიდი აქტიორის შეხედულება თეატრალური ხელოვნების ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორიცაა გრიმი.

განყოფილებაში – „წერილები და სიტყვები“ წარმოდგენილი მასალები ქართული თეატრის ისტორიის ამათუიმ მონაკვეთის შესწავლისათვის მეტად საჭირო დოკუმენტებს შეიცავენ.

უშ. ჩხეიძეს სხვადასხვა წერილში გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებანი, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ცხოველმყოფელი მნიშვნელობა. აი, მაგალითად, იგი წერს:

„თეატრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ პირებს, ვინც უშუალოდ შემოქმედებით მუშაობაში არიან ჩაბმულნი, არამედ მისი კოლექტივის ყოველ წევრს, დაწყებულს კაპელდინერიდან. შემთხვევითი ადამიანი, რომელიც სრულიად გულგრილად არის განწყობილი თეატრისადმი, არ უნდა იყოს თეატრში, რაც არ უნდა პატარა თანამდებობა ეკავოს მას“.

კრებულს დართული აქვს უმ. ჩხეიძის რამდენიმე კერძო წერილი, რომლებშიაც მკაფიოდ ჩანს დიდი შემოქმედის ადამიანური თვისებები – კეთილშობილება, თავმდაბლობა და პირდაპირობა.

უმ. ჩხეიძის მოგონებებისა და წერილების კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ანდრო თევზაძემ. ნამდვილად სამაგალითოა მისი ასეთი სიყვარული დიდი მსახიობისადმი. ჯერ იყო და მან საინტერესო მონოგრაფია გამოაქვეყნა, ახლა კი უდავოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია მისი ნაწერების სისტემაში მოყვანისა და ღირსეულად გამოცემისათვის. მხოლოდ ერთი შენიშვნა შემდგენელს – ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამავე კრებულში მოეთავსებინა მონოგრაფიაში დაბეჭდილი „კითხვა-პასუხი“, რომელშიაც უმანგის მეტად საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული.

დასასრულ, სასურველია თუ რომელიმე გამომცემლობა იკისრებს უმ. ჩხეიძის რჩეული მხატვრული ნაწარმოებების გამოცემას, პირველ რიგში უნდა გამოიცეს პიესა „გიორგი სააკაძე“ და შემდეგ ლექსები, რომლებიც არც ისე სუსტია, როგორც ავტორს მიაჩნდა.

„მე, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ დავასრულე ჩემი მოღვაწეობა, როდესაც ადამიანი იწყებს ნამდვილ შეგნებულ მუშაობას, როდესაც მწიფდება იგი, როდესაც მის შემოქმედებაში მესაჭე უკვე გონება ხდება“ – წერს უმ. ჩხეიძე და მართლაც მეტად სამწუხარო იყო ამ დიდი აქტიორისა და მოაზროვნის ჯერ სამუდამო ჩამოცილება საყვარელ სცენას და შემდეგ კი უდროო გარდაცვალება, რადგან თავისი მახვილი კალმით კიდევ ბევრს რამეს შესძენდა ჩვენს თეატრმცოდნეობას.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1956-52

## საყვარელი სახელი

ჩვენს თაობას უშანგი ჩხეიძე სცენაზე არ უნახავს, ჩვენთვის ლეგენდად იქცა ეს სახელი. მხოლოდ ფირფიტებზე ჩანაწერებით ვიცნობთ მის შემოქმედებას. რამდენჯერ გამივილია გულში – ამ ფირფიტებიდან რომ ასე გვაჯადოებს უშანგის ხმის გასაოცარი ნიუანსები, რა იქნებოდა იგი სცენაზე, თამაშის დროს, მაყურებელთა თვალწინ?! ჩაწერა ხომ დიდი ხნის შემდეგ, უკვე ნაავადმყოფარმა, ჩვეულებრივ პირობებში მოახდინა! დიახ, უშანგი სცენაზე არ მინახავს, მაგრამ მე მქონდა ბედნიერება, თითქმის მთელი თვე მეცხოვრა დიდი მსახიობის გვერდით, თვალყური მედევნებინა მისთვის და, რაც მთავარია, ხშირად მესაუბრა მასთან.

1949 წლის ზაფხულში სურამის სანატორიუმში ვისვენებდი. ვეებერთელა პალატაში სულ ახალგაზრდები ვიყავით და ძალიან მხიარულად ვატარებდით დროს. ჩემი ჩასვლიდან სამი დღის შემდეგ უშანგი ჩამოვიდა და ჩვენი პალატის გვერდით ორადგილიან ოთახში მარტო მოათავსეს.

იმ პერიოდში სცენით ვიყავი გატაცებული და საკმაოდ კარგ სცენისმოყვარედაც ვითვლებოდი, თეატრალურ ინსტიტუტში ვაპირებდი შესვლას. ამიტომ თავაუღებლივ ვკითხულობდი თეატრალურ ლიტერატურას და კერძოდ, საფუძვლიანი წარმოდგენა მქონდა უშანგის მოღვაწეობაზე. უშანგი არასოდეს არ მენახა პირადად. და აი, სანატორიუმის ფართო ვესტიბულში დავინახე ახოვანი, განიერბეჭებიანი და ძვალმსხვილი კაცი. მიმზიდველი, ვაჟკაცური სახე ჰქონდა, თხელი, კეხიანი ცხვირი... მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც თვალები ჰქონდა, ჩემს სიცოცხლეში აღარ შემხვედრია ასეთი თვალები: ოღნავ ირიბად გაჭრილი, ფართოქუთუთოებიანი, სხივიანი, მომაჯადოებელი...

პირველ ხანებში გამოლაპარაკებასაც ვერ ვუბედავდით და შორიდან ვადევნებდით თვალს. უყვარდა მარტოობა, წამოისხამდა შვინდისფერი ბიაზის შავარშიიან პიჟამოს (რომელიც უჩა ჯაფარიძის მიერ დახატულ პორტრეტზე აცვია) და დასეირნობდა ე. წ. „პატარა ტყეში“. სანატორიუმის ვესტიბულში დიდი, თეთრი სავარძელი იდგა და თუ ხალხმრავლობა არ იყო, ხანდახან იმაზე წამოწვებოდა. იმავე ვესტიბულში რადიომიმღები იდგა. უშანგის ჩამოსვლის მეორე თუ მესამე დღეს ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი იყო მოსკოვიდან.

უშანგი გამოვიდა, ეტყობოდა, მატჩის შედეგის გაგება სურდა, მაგრამ რადიომიმღებთან უამრავი ხალხი იყო მოგროვილი და აღარ მოვიდა. მე მისკენ გავიხედე და თითოთ მიმიხმო. ხელად მივირბინე. ანგარიში მკითხა. ჩვენები აგებდნენ და შევამჩნიე, როგორ ალელდა... არ ვიცი რატომ, მაგრამ გამოცა მისმა ასეთმა ინტერესმა ფეხბურთისადმი. ასე მოხდა მასთან პირველი გამოლაპარაკება, უცნაურია, მაგრამ სპორტულ თემაზე. ისიც კი მითხრა, რომ ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ სტადიონზე, მაგრამ მაინც ძალიან განვიცდიო.

იმ დღიდან ჩვენ უკვე ნაცნობები ვიყავით და აბა, რაღას მოვეშვებოდით. განსაკუთრებით მე და ნოდარ ალანია (ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი) ვსაუბრობდით ხანგრძლივად უშანგისთან. მისი ოთახის ხშირი სტუმრებიც გავხდით. პაწია მაგიდაზე ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წიგნი იყო. მაშინ უშანგი „ბახტრიონს“ ამზადებდა წასაკითხავად.

უშანგი შესანიშნავად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს (თვითონაც ხომ საკმაოდ მახვილი კალამი ჰქონდა). როგორც შევატყე, თეატრზე ლაპარაკს გაუბოლოდა. რამდენიმე დეტალი მაინც გვითხრა თავისი აქტიორული პრაქტიკიდან. მე დღემდე მაკვირვებს ერთ-ერთი მათგანი. აი, დაახლოებით რა გვიამბო უშანგი:

– თეატრში სპექტაკლის დაწყებამდე ძალიან ადრე მივიდიოდი. ჩავიცვამდი, მიუჯდებოდი სარკეს, და ჩემი ხელით ვიკეთებდი გრიმს. შემდეგ საკუთარ ორეულს მივაშტერდებოდი სარკეში, სცენაზე გასვლამდის... რათა მე დავშორებოდი უშანგი ჩხეიძე და ვქცეულიყავ ჰამლეტად თუ ურიელ აკოსტად. ანტრაქტებშიაც განმარტოებით ჩავიკეტებოდი და თვალვხედავდი ვირინდებოდი, რათა არ დავბრუნებოდი სინამდვილეს...

უშანგი ალტაცებით იხსენებდა კოტე მარჯანიშვილს... ასევე სიყვარულით წარმოთქვამდა სერგო ზაქარიაძის, ვასო გომიანიშვილის, გიორგი შავულის სახელებს. ვერიკო ანჯაფარიძეზე მოკლედ თქვა: „მის ბრწყინვალე ოფელიასა და ივლითს უნდა ვუმალოდე ჩემს ჰამლეტსა და ურიელს. მის ახლოს მე ნამდვილი ჰამლეტი თუ ურიელი ვხდებოდი“. ეს ფრაზა თავისთავად ბევრს მეტყველებს შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საიდუმლოებების ასახსნელად.



სანატორიუმის წინ მერცხლის ბუდეები იყო. ერთხელ ახლად შებუბლული ბარტყი გადმოვარდნილიყო. უშანგიმ აიყვანა, ხელის გულზე დაისვა, განმარტოვდა და მთელი დღე ეალერსებოდა, რალაცას ებუტბუტებოდა.

ყველანი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ უშანგის. ხშირად მოდიოდა მასთან ხაშურის რაიკომის მაშინდელი მდივანი გრ. ფოფხაძე. სიმონ ჩიქოვანი ბორჯომიდან ამოდიოდა უშანგისთან სასაუბროდ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცოლ-შვილი ჩვენს სანატორიუმში ისვენებდა და ისიც შაბათ-კვირას იქ იყო. ხელცარიელი არავინ მოდიოდა, მაგრამ უშანგი საერთოდ ძალიან ცოტას ჭამდა და ყოველთვის ჩვენს პალატაში შემოიტანდა ხოლმე მოტანილ სანოვავებს.

ჩვენ მაინც ახალგაზრდები ვიყავით და ხშირად გვავიწყებოდა, რომ ჩვენს გვერდით ოთახში დიდი შემოქმედი იყო. დამლამობით ავტეხდით ერთ აურზაურს. ერთხელ, სინათლე ჩამქრალი გვექონდა და ხმამალა ვლახლანდარობდით, ვხარხარებდით... სანატორიუმის დირექტორი ალ. შევარდნაძე შემოვიდა. ლაზათიანად გამოგვკლანძდა – უშანგის აწუხებთო. ის იყო დირექტორი გავიდა, რომ აივნის კარებში, მთვარის მკრთალ შუქზე საცვლების ამარა უშანგი აღიმართა მოჩვენებასავით (ჩვენს ოთახებს საერთო აივანი ჰქონდა): „– რაო, ბიჭებო, დაგმოდვრათ, არა?! მიდით, იმხიარულეთ, მაგას უყურებთ?! თქვენხელა რომ ვიყავი, მთელ ქუთაისს ვაზანხარებდი!“ ხმამალა გაიცინა და გაბრუნდა...

შემდეგ რამდენიმე დამსვენებელმა მიმგზავნა უშანგისთან, – სურათი გადაიღოს ჩვენთანო. ჯერ იუარა, არ მიყვარს ფოტოაპარატის წინ დგომაო, მაგრამ მაინც დაგვთანხმდა და ორი სურათი გადაიღო ჩვენთან. ერთი სწორედ იმ აივანზე გადმომდგარმა და მეორე ვესტიბულში. დღეს ეს ფოტოსურათები უძვირფასესი რელიქვიებია ჩემთვის და ალბათ, იმათთვისაც, ვინც მასზეა აღბეჭდილი დიდი მსახიობის გვერდით.

ქართველ ხალხს ერთი მეტად თავისებური ჩვეულება აქვს – ერის გამოჩენილ და საყვარელ შვილებს მხოლოდ სახელებით იხსენიებს. ქართველი კაცი იტყვის – შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ვანო, კოტე, გალაკტიონი, ნატო და უკვე გასაგებია, თუ ვისზეა

ლაპარაკი. ეს ფამილიარობა როდია, ეს მხოლოდ და მხოლოდ განუხაზღვრელი სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის ტკბილი გამოძახილია. ნამდვილად ღირსეული შვილი უნდა იყოს ადამიანი თავისი ხალხისა, რომ ასეთ მაღალ აღიარებას მიაღწიოს. უმანგი ჩხეიძე სწორედ ამ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის. საკმარისია ითქვას მხოლოდ მისი სახელი – უმანგი და ყველამ იცის, რომ ჩხეიძეა ლაპარაკი. ამ უპრეტენზიო სტრიქონებში მეც მხოლოდ სახელით ვახსენებდი უკვდავ ხელოვანს. დე, მაპატიოს ეს მისმა ბუმბერაზმა აჩრდილმა.

„დროშა“, 1964-1

## მონოგრაფია გამოჩენილ მსახიობზე

მკითხველი ღრმა ინტერესით ეცნობა წიგნებს, რომლებიც მოგვითხრობენ სოციალისტური კულტურის გამოჩენილი ოსტატების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. „გოსკინიზდატმა“ ცნობილ კინომსახიობებზე მონოგრაფიების სერიის „საბჭოთა კინოს ოსტატების“ გამოცემით ფრიად სასარგებლო საქმე წამოიწყო. უკვე გამოვიდა წიგნები სახელგანთქმული საბჭოთა კინომსახიობების (ნ. ჩერკასოვი, ბ. ჩირკოვი, ნ. ბოგოლიუბოვი, ვ. მარეცკაია, ბ. ანდრეევი, ნ. კრიუჩკოვი) შესახებ.

ამას წინათ გამოიცა ამავე სერიის მონოგრაფია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებაზე.

მონოგრაფიის ავტორი ა. ოლენინი ამ ნაშრომში ცდილობს გვიჩვენოს თეატრისა და კინოს დიდი მსახიობის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, მოგვეცეს ღრმად იდეური ანალიზი იმ მხატვრული სახეებისა, რომლებიც შექმნა ვ. ანჯაფარიძემ. მონოგრაფია დაწერილია საქმის ცოდნითა და სიყვარულით. ავტორი მართებულად გამოჰყოფს ეტაპურ როლებს, მას კარგად აქვს გაშუქებული ვ. ანჯაფარიძის მიერ შექმნილი სახეების შემეცნებითი მნიშვნელობა.

სარეცენზიო წიგნის პირველი გვერდები დათმობილი აქვს საერთოდ ქართული საბჭოთა თეატრის პირველ ნაბიჯებს; ავტორი ლაპარაკობს იმ უდიდესი როლის შესახებ, რომელიც ქართული თეატრის განვითარებაში შეასრულა კოტე მარჯანიშვილმა. შემდეგ ავტორი მოკლედ ახასიათებს ვერიკო ანჯაფარიძის მიერ ოცდაათი წლის მანძილზე სცენაზე შესრულებულ ყველაზე თვალსაჩინო

როლებს, ასეთებია: ივლითი (გ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითოვ“), სვეტლანა (მ. ჭიაურელისა და ლ. ასათიანის „1917 წელი“), ჯესი (კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“), ჰანნა (ნ. ვირტას „განწირულთა შეთქმულება“), კლეოპატრა (შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“) და სხვ.

წიგნის ავტორი მოკლედ იხილავს ვ. ანჯაფარიძის თამაშს ფილმში „საბა“. ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორის მიხ. ჭიაურელის ამ ფილმს თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა; ვერიკო ანჯაფარიძესაც მცირე წვლილი როლი მიუძღვის ამ ფილმის წარმატებაში.

კინოში ხმის გამოყენების შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდა ვ. ანჯაფარიძის დიდი შესაძლებლობანი; პირველსავე ფილმში „არსენა“ და განსაკუთრებით კი „ნარინჯის ველში“ ისახელა მან თავი. ამ უკანასკნელ სურათში სალომეს სახე ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. სამართლიანად აღნიშნავს ავტორი: „ანჯაფარიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში სალომე – შემთხვევითი ეპიზოდი როდია. ის სრულიად კანონზომიერია ქალთა პორტრეტების იმ წყებაში, რომელიც შეჰქმნა მსახიობმა საბჭოთა გმირი ქალის სრულყოფილი მხატვრული სახის ძიების პროცესში“.

ვერიკო ანჯაფარიძის ოსტატობამ უმაღლეს მწვერვალს „გიორგი სააკაძეში“ მიაღწია, ამიტომაც უთმობს ავტორი რუსუდანის სახეს თითქმის წიგნის მესამედს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ანჯაფარიძის რუსუდანი, შეუძლებელია ის დაავიწყდეს. სამაპულო ომის ქარიშხლიან დღეებში გამოსულმა ამ ფილმმა დიდი აღმზრდელობითი როლი შეასრულა. გმირული სახე რუსუდანისაა, რომელმაც შვილი შესწირა სამშობლოს, – განამტკიცებდა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობას. ავტორს მოჰყავს ჯარისკაცების გულთბილი წერილები მსახიობისადმი და დაასკვნის: „ამ ორ წერილს, როგორც მაყურებელთა სხვა წერილებს, მსახიობი სათუთად და სიყვარულით ინახავს“.

„ბედნიერ შეხვედრაში“ ვ. ანჯაფარიძემ დამაჯერებლად განასახიერა უბრალო სოფლელი ქალის, კოლმეურნეობის უნარიანი ხელმძღვანელის როლი.

„ბერლინის დაცემაში“ ვ. ანჯაფარიძის მიერ შესრულებული ეპიზოდური როლი დედისა – დაუვიწყარია. განა მაყურებელს ოდესმე დაავიწყდება იგი – თმაგაშლილი რომ დადის ბერლინის ქუჩებში, ეძებს თავის პირშოს და წყევლის ჰიტლერს – კაცობრიობის უბოროტეს მტერს.



როგორც ყველა წიგნი ამ სერიისა, ეს მონოგრაფიაც ლამაზადაა გამოცემული.

მოსკოვში უკვე გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია ხელოვნების ქართველ ოსტატებზე (მიხ. ჭიაურელი, ა. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე, მ. თოიძე, ირ. თოიძე, ი. ნიკოლაძე და სხვ.). განა საქართველოში არ შეიძლება გამოიცეს ასეთი პატარა მონოგრაფიები?! ეს კეთილშობილური საქმე აუცილებლად უნდა ითავოს რომელიმე გამომცემლობამ და მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს გამოჩენილი საბჭოთა მსახიობების ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერა.

„ლიტერატურული და ხელოვნება“, 1953-5

## გახსენება გიორგი შავგულიძისა

რა უღმობლად გარბის დრო. თითქოს გუშინ იყო და უკვე... წელი გასულა, რაც გიორგი შავგულიძე დაიღუპა. ნუ იწამებო კვიმატ რიცხვს, მაგრამ 13 აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ზუსტად თქვა თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძემ სიყვარულით დაწერილ მონოგრაფიაში: „ქართულ სცენას არასოდეს უგრძობნია ტალანტების ნაკლებობა, მაგრამ იგი მარად იგრძნობს უშავგულიძეობას“. ამ უპრეტენზიო წერილში მიზნად არა გვაქვს მის შემოქმედებაზე ლაპარაკი, – ეს სპეციალისტების ვალია და ქართული თეატრის მემკვიდრე არაერთხელ დაუბრუნდება გიორგი შავგულიძის სახელს.

ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე შევხვედროდი მას, შემეხედა არა სპეციალისტისა და კოლეგის, არამედ მისი დიდი ნიჭის თაყვანისმცემელი მაყურებლის თვალთ. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაცნობობა (და არა მეგობრობა) არასოდეს არ ყოფილა ფამილიარული და ატარებდა შემთხვევით ხასიათს. გიორგის ჰყავდა უფრო მახლობელი, სულისა და გულის თანაზიარი მეგობრები – თანატოლები თუ ახალგაზრდები. მაგრამ მე მაინც მინდა ზოგიერთი შთაბეჭდილება გავუზიარო მკითხველს. შეიძლება ოდესმე ამ წვრილმანებმაც საჭირო სამსახური გაუწიონ მის შემოქმედებით პორტრეტზე მომუშავეთ.

ჩვენი ნაცნობების პირველ ხანებში შეხვედრები და საუბრები, ცოდვა გამჟღავნებელი სჯობია, მუდამ პურისჭამით მთავრდებოდა.

მე ჭაბუკი ვიყავი, სცენით გატაცებული, მეამაყებოდა გიორგი შავგულიძესთან ქუჩაში გავლა და ტყავიდან ვძვრებოდი, რომ როგორმე დამეპატიჟნა. თითონაც არ იყო მწყვრალად ნუნუასთან, მაგრამ ორიოდე გამონაკლისის გარდა, დანახარჯს თვითონ ისტუმრებდა.

მახსოვს, განგებ დავუღარაფლებოდი ხოლმე ელბაქიდის დაღმართით თეატრისკენ მიმავალს (მაშინ კონსერვატორიის უკან, წულუკიძის ქუჩაზე ცხოვრობდა) და უკან ავედევნებოდი. ის კი მიდიოდა ჯვირანივით, მსუბუქად მიჰქონდა საოცრად პროპორციული ტანი. სიარულიც კი ქართული, დამახასიათებელი ჰქონდა. საერთოდ, გიორგი მეტად კოლორიტული ფიგურა იყო ეროვნულობის თვალსაზრისით, როგორც შემოქმედი და როგორც ადამიანი. მე მაშინ ისიც კი მიკვირდა, რომ მსახიობებიდან მხოლოდ გიორგი ატარებდა ულვაშებს. სხეული კი მართლაც გასაოცარი ჰქონდა. როცა დაიღუპა და მორგში ესვენა, პროფესორები და ექიმები გაკვირვებულნი იყვნენ – ანატომიურად ასეთი ჰარმონიული აღნაგობის ტანი არ შეგვხვედრიაო. ამას ამბობდნენ თითქმის ორმოცდაათ წელს მიტანებულ კაცზე. არც არავინ მისცემდა ამ ასაკს მარად ჭაბუკური ცეცხლით ანთებულს სცენასა თუ ცხოვრებაში.

ის მიდიოდა დაღმართში თავისებურად, ოდნავ გვერდულად დახრილი თავით. თუ სიცივე იყო, პალტოს საყელო აუცილებლად აწეული ჰქონდა. ქუდით კი პირადად მე არასოდეს არ მინახავს. ის მიდიოდა, მე კარგახანს მივყვებოდი უკან, სიყვარულით აღსავსე თვალს არ ვაცილებდი და ხიდთან როგორმე „გამარჯობას“ გაუბედავდი, ვითომ შემთხვევით წამოვეწიე. კოხტად მოტრიალდებოდა, ჩაიღიმებოდა და დამახასიათებელი დაბალი ხმით მეტყვოდა:

– ო, ზრასტი! რავა ხარ?

გიორგის საერთოდ არ ჰქონდა ძლიერი და მკვეთრად მჟღერი ხმა, არც იმდენად დახვეწილი დიქცია, მაგრამ იმდენ სითბოს, ნიუნასების მრავალფეროვნებას გამოამჟღავნებდა, რომ ნიბლაჟდა მაყურებელსა თუ მსმენელს. ცხოვრებაში საკმაოდ უქცევდა ქუთაისურად, მაგრამ აბა ვინ შეედრებოდა ყარაჩოხლების თამაშსა და კინტაურის ბრწყინვალე ცეკვაში (ასე კინტაურს ვერცერთი პროფესიონალი ვერ ცეკვავდა).

– ჰო, რავა ხარ და რაზე შტრომობ ახლა? – ირონიით შემეკითხებოდა ხარიტონის სახელგანთქმული ფრაზით (მან იცოდა,

რომ უკვე ვიწყებდი მწერლობაში ფეხის ადგმას), – რა ვიცი, თუ ძმა ხარ, მე შენი ნაშტრომი არაფერი წამიკითხავს...

აქ გიორგიმ თავისთავზედაც იქილიკა. საერთოდ იგი არ იყო წიგნის კაცი (როცა არ მეძინება, ჩემს თავს ვემუქრები, – დაიძინე, თორემ წიგნს წავიკითხავ-მეთქი, ხუმრობდა გიორგი). მაგრამ უძლიდრესი ფანტაზიისა და მახვილი ინტუიციის წყალობით შესანიშნავად შეასრულა ბრძენი მოხუცი მწიგნობარის – ჭყონდიდელის როლი.

– ჰე, რა ვქნათ ახლა ჩვენ?! აგერ შევიბრუნე თეატრში, შენ მანამდე გეაირ-გამეიარე, მალე გამოვალ და თითო შუშა წააქციოთ... – ხშირად ასე მთავრდებოდა ჩვენი მგზავრობა ელბაქიდის დაღმართზე.

სამწუხაროდ, ჩემი დაუდევრობის გამო არასოდეს არ ჩამიწერია ცნობილ ადამიანებთან საუბარი და რაც მეხსიერებას შემორჩენია და ჭეშმარიტებად მიმაჩნია, იმას გამოვამზეურებ ხოლმე. ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო მიხედვებსაც აქვთ თავისი ფასი.

...პირველ ხანებში „ბატონო გიორგის“ მივმართავდი. სხვა თუ არაფერი, ასაკობრივი განსხვავება არ მაძლევდა შინაურულად მიმართვის უფლებას. ის კი შევამჩნიე, რომ თითქმის ყველა ჟორას ეძახდა, უფრო დაახლოებულნი და სიყრმის მეგობრები კი – ჟორაჟიკას. ისიც შევატყვე, რომ ძალიან არ ეპიტნავენოდა ეს „ბატონო გიორგი“. ითმინა, ითმინა და ერთხელაც კომიკობანარევი სერიოზულობით გამიბრაზდა:

– კაცო, არ გამიჭირვე საქმე ამდენი ბატონობით!.. ბატონებიც და ყივანახველაც მოხდილი მაქვს!.. გიორგისაც მარტო აფიშებში წერენ... ჟორა ვარ მე, ჟორა და თუ ძმა ხარ, შენც ასე დამიძახე აწი.

„კაცო“ და „თუ ძმა ხარ“ მისი საყვარელი მიმართვები იყო. ამ უბრალო დეტალშიაც მჟღავნდება ადამიანის კეთილშობილება.

ცნობილია, რომ დალუპვის წინა ხანებში გ. შავგულიძემ მარჯანიშვილის თეატრში დათიკო შევარდნაძის როლი შეასრულა გრ. ბერძენიშვილის პიესაში „დაჭრილი არწივი“. უნდა გამოვტყდე, რომ ამ პიესის დაწერის ერთგვარი სტიმულის მიძემები მე ვიყავი განსვენებული დრამატურგისადმი. გურიის არსენა – დათიკო შევარდნაძე ჩემი საყვარელი გმირია და მის ცხოვრებაზე დამიწერია კიდევ. წარმოიდგინეთ ჩემი ორმაგი სიხარული – საყვარელი მსახიობი საყვარელი გმირის როლში! ჟორა მართლაც შესანიშნავად თამაშობდა და ამის თაობაზე მაშინ წერილიც მოვათავსე „ლიტერატურულ

გაზეთში“. მაგრამ საგულისხმოა მეორე ფაქტი. შევარდნაძის მეუღლე, მოხუცი გულო ბათუმიდან ჩამოიყვანეს სპექტაკლზე დასასწრებად. სახელგანთქმული ფირალის ერთ დროს ულამაზესი თანამეცხედრე შავებში გამოწყობილი იჯდა პარტერში და უყურებდა ნახევარი საუკუნის წინათ მის თვალწინ დატრიალებულ ამბებს. ხედავდა საკუთარ თავს, ხედავდა დათიკოს. ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა დამჭკნარ ლოყებზე და ბუტბუტებდა: „ჩემი დათიკო, ჩემი... გაცოცხლდა ჩემი დათიკო... მე დავბერდი, ის კი მინც ახალგაზრდაა...“ ამდენად დამაჯერებლად და ბუნებრივად გახსნა მსახიობმა სახალხო გმირის სახე. თითქოს იცნობდა, თითქოს აკვირდებოდა მის ყოველ თვისებასა და მანერას. არის თუ არა ეს ფაქტი გ. შავგულიძის დიდი ნიჭის გამოშუქება?!

თუმცა რა გასაკვირია – შევარდნაძე ქართველი მინც იყო. როცა ჟორას „ანტონიოს და კლეოპატრაში“ ოქტავიოს კეისრის როლი მისცეს, მას უკითხავს, რა კაცი იყო ეს კეისარიო. მოკლედ აუხსნეს. „ეჰ, კაი იქნებოდა სურათი მენახაო“, მაშინ მას რომელიღაც კეისრის ანტიკური სკულპტურის რეპროდუქცია აჩვენეს. სხვა მსახიობი მთელ ტომებს გადაიკითხავდა ამ როლის სათამაშოდ. ჟორა სპექტაკლში მთელი კეისრული დიდებულებით ბრწყინავდა, მართლაც ჩამოძერწილ ანტიკურ ქანდაკებას ჰგავდა და რომაულ ტოგას ჩოხასავით მოხდენილად ატარებდა.

ისიც ხომ ცნობილია, რომ პოლიკარპე კაკაბაძემ, რომელიც საერთოდ ძალიან მტკივნეულად განიცდის თავის პიესებში სიტყვის შეცვლასაც კი, – „კოლმეურნის ქორწინების“ დადგმის შემდეგ პიესის გამოცემაში მთელი ფრაზები შეიტანა ჟორას მიერ დამატებული.

...უკანასკნელი შეხვედრისას შემოქმედებით გეგმებზე შევეკითხე. ეს იყო მისი დალუპვის წინა თვეში, როცა ქართველი ხალხი გალაკტიონისა და შალვა დადიანის ცხედრებს დასტიროდა. ჟორა ძალიან განიცდიდა, ცრემლმორეული ლაპარაკობდა. საერთოდ, რაღაცნაირი დასვედიანებული მეჩვენა მაშინ, თითქოს აღრენილი იყო რაღაცაზე თუ ვიღაცაზე, გაღიზიანებული და ანერვიულებული გამოიყურებოდა. ეს კი სრულებითაც არ უხდებოდა მის ლაღ ბუნებას.

ჰო, მომავლის გეგმებზე ვკითხე და იცით, რა მიპასუხა?! – „ჩემი ოცნებაა ყვარყვარესა და დონ-კიხოტის თამაშო“. ყვარყვარეს თამაშის სურვილი გასაგებია და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ

ხარიტონის როლზე არანაკლები ბრწყინვალეებით შეასრულებდა. დონ-კიხოტის ხსენებაზე კი, სიმართლე უნდა ვთქვა, გავოცდი. საიდან და როგორ დაებადა მას ეს სურვილი?! რა კარგი იქნებოდა მისთვისაც და მისი მაყურებლებისათვის, რომ ეს სურვილები ასრულებოდა...

გიორგი შავგულიძე სიცოცხლის ნამდვილი ტრფიალი იყო. უყვარდა ლხინი, ოხუნჯობა... უყვარდა ოჯახი და მეგობრები... უყვარდა სცენის მტკერი და იუპიტერის შუქი... უყვარდა საიათნოვა და კეისარი, ჭყონდიდელი და პოჩტმეისტერი, გურამიშვილი და ხარიტონი, ნიკიფორე უკლება და დათიკო შევარდნაძე... კოლეგებსაც ძალიან უყვარდათ ჟორა – ბრწყინვალე პარტნიორი და გულითადი მეგობარი. იმ კოლეგებსაც კი, რომლებიც არა ერთხელ გაუძმწარებია სცენის კულისებში გონებაშახველური ოინებით. მაყურებელი ხომ აღმერთებდა მას და კიდევ დიდხანს, დიდხანს ემანსოვრებათ ქართული სცენის კეთილშობილი რაინდი გიორგი შავგულიძე.

ეს უპრეტენზიო სტრიქონები გვინდა დავამთავროთ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი პროექტ ო. მამფორიას ლექსის ერთი ნაწყვეტი:

ფეხადგმულო,  
 დარხეულო ალვისხეე!  
 ტოტებივით აღარ გაშლი მკლავებსა,  
 ძველებურად მეგობრების ძახილზე  
 არ მოდიხარ,  
 არ იღვრები ალერსად.  
 სამადლოში სუფრა ისევ გაშლილა,  
 და ეს მწარე მოგონება გულს დაღავს.  
 მწვანე მოღში  
 გდია ჯამი დაცლილი,  
 ყურში წივის შენი სიტყვა:  
 თუ ძმა ხარ!  
 მაღლა მთვარემ  
 ვარსკვლავები ჩააქრო,  
 სწორედ ისე, როგორც ჩაქრა მაშინ.  
 ბეთანიას გაქცევა სამადლო,  
 დაშვებულა  
 წყნეთის  
 თავდაღმართში.

## სცენის გამოჩენილი ოსტატი

გოგუცა კუპრაშვილის დაბადების 50 წლისთავის გამო

ოციოდე წლის წინათ პირველად დავესწარი მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმოდგენას. აღტაცებული ვიყავი სპექტაკლით, მაგრამ ყველაზე უფრო მთავარი პერსონაჟის – მამაცი ბიჭის როლის შემსრულებელმა მომხიბლა. დავინტერესდი და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა პროგრამაში ქალის სახელი და გვარი წავიკითხე – გოგუცა კუპრაშვილი. შემდეგ, წლების მანძილზე, დავდიოდით ხელისხელჩაკიდებული გოგო-ბიჭები ჩვენს საყვარელ თეატრში და, მაპატიონ ამ თეატრის სხვა მსახიობებმა, ყველაზე უფრო გოგუცა კუპრაშვილი იყო ჩვენი სათაყვანო მსახიობი.

დღეს ჩემი პატარა გოგონა დამყავს მოზარდ მაყურებელთა თეატრში და მასთან ერთად მეც ისეთივე სიამოვნებას განვიცდი გოგუცა კუპრაშვილის ბრწყინვალე თამაშით, როგორც მაშინ – ორი ათეული წლის წინ. მე მგონია ამასვე განიცდიან გოგუცას სხვა მაყურებლებიც, რომელთაც უკვე ჭაღარა გაერიათ თმაში; ისევე როგორც მსახიობმა ბოლომდე შეინარჩუნა სიცოცხლე და გულწრფელობა, მისი მაყურებლებიც არ შორდებიან მას, მიუხედავად ასაკისა.

ვინ მოთვლის, რამდენი სიკეთე მოუტანიათ გოგუცა კუპრაშვილის მიერ ოსტატურად შესრულებულ როლებს ნორჩი მაყურებლისთვის, გარდა დიდი ესთეტიკური სიამოვნებისა! ვინ იცის, რამდენი ბავშვის მგრძნობიარე ბუნებაზე მოუხდენია ცხოველმყოფელი გავლენა და გამოუწვევია გარდაქმნა მსახიობი ქალის მიერ შესანიშნავად წარმოსახულ სხვადასხვა ტიპებს. გოგუცა კუპრაშვილი ზრდის ჩვენს ბავშვებს, ისევე, როგორც ზრდიან მათ მშობლები, პედაგოგები.

თეატრი და წიგნი – ბავშვის ინტელექტუალური აღზრდის უდიდესი საშუალებებია; ერთიც და მეორეც ძლიერი იდეური და ემოციური ზემოქმედების ძალით არიან აღჭურვილნი. თეატრის დარგში ეს კიდევ ერთხელ ნათელჰყო გოგუცა კუპრაშვილის მდიდარმა შემოქმედებებმა ბიოგრაფიამ.

გოგუცა კუპრაშვილი განსაკუთრებული და იშვიათი ამბლუის მსახიობია, ე. წ. ტრავესტა – ბიჭების როლის შემსრულებელი. ეს მეტად რთულია და საპასუხისმგებლო – ნორჩი მაყურებელი მომთხოვნიდა და სიყალბეს იმ წამსვე შეამჩნევს. აბა, რომელ ბიჭს

აუხვევ თვალს, თუ ქალური მანერების თუნდაც მცირე ნიუანსები გამოამჟღავნე სცენაზე! მაგრამ სწორედ იმაშია გოგუცა კუპრაშვილის საოცარი ნიჭი, რომ მის მიერ განსახიერებული ბიჭები არიან ნამდვილი ბიჭები – ბუნებრივნი, უშუალონი. მსახიობი ქალი კარგად იცნობს სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების ბიჭების შინაგან და გარეგან სამყაროს. მისი ყოველი მიზანსცენა და ჟესტიკულაცია, ინტონაცია და მიმიკა უტყუარია, ბიჭური ბუნებით სავსეა.

რა მრავალფეროვანია გოგუცა კუპრაშვილის მიერ ნათამაშევი ბიჭთა როლები. აქ შეხვდებით თავისუფლების მოტრფიალე ინგლისელ ჯონის („რობინ ჰუდი“) და ლოყლაპია ვახუშტის („ნაცარქექია“), დაბეჩავებულ გიქორის („გიქორი“) და ხულიგან წუკას („აურიე რგოლი“), მხიარულ რუს ბიჭს გრიშუტკას („კიკვიძე“) და ჩინელ იუნგა ხოს („შორეული გზით“). ნორჩი მაყურებლები ყოველთვის აღტაცების ტაშის გრიალით ხვდებიან საყვარელი მსახიობის სცენაზე გამოჩენას, რადგან იციან, რომ იგი მათ დიდსა და განუმეორებელ სიამოვნებას მიანიჭებს.

ასევე მომხიბლავია გოგუცა კუპრაშვილი გოგონებისა და ქალების როლებშიაც. აქაც გამოირჩევა იგი ხასიათების მრავალფეროვნებითა და შესრულების მაღალი ოსტატობით. ზანგი ბეკი („ალმასის საბადოები“), წუნია გასათხოვარი („კომბლე“), ცელქი კატო („ქაჯანა“), დაჩაგრული გერი მარინე („ზამთრის ზღაპარი“), მოხუცი ძიძა („რომეო და ჯულიეტა“) ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გოგუცა კუპრაშვილი თანაბარი ოსტატობით ასრულებს ქალთა და ვაჟთა როლებს.

გოგუცა კუპრაშვილი ბავშვების ჭეშმარიტი მეგობარია, ამ მტკიცე მეგობრობის მოპოვება მან შეძლო გასაოცარი ბუნებრივი ნიჭითა და პასუხისმგებლობის შეგრძნებით, შრომისმოყვარეობით, მოსიყვარულე გულითა და მაღალი მოქალაქეობით.

უკვდავი აკაკისა და კოტე მარჯანიშვილის წინასწარმეტყველება ახდა – გოგუცა კუპრაშვილი დღეს ქართული სცენის ერთ-ერთი უნიჭიერესი და უპოპულარესი მსახიობია.

საამაყო და სასიხარულოა სიცოცხლე მაშინ, როცა იგი მიძღვნილია საყვარელი სამშობლოსა და მისი იმედის – მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდისადმი.

## „დავით მერვე“ ქუთაისის თეატრის სცენაზე

3. კაკაბაძის ისტორიული კომედია „დავით მერვე“ დიდი ხანი ელოდა სცენიურ ხორცმესხმას. ქართულ დრამატურგიაში არ გვეგულება მეორე პიესა, რომელზედაც იმდენი თქმულიყოს და დაწერილიყოს დადგამად, რამდენიც ამ კომედიაზე. სალაპარაკო კი მართლაც არის – „დავით მერვე“ იდეური ჩანაფიქრითაც და მხატვრული გადაწყვეტითაც მეტად თავისებური მოვლენაა არა მარტო ჩვენი გამოჩენილი კომედიოგრაფის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მთელ ქართულ ლიტერატურაში. უჩვეულო კი ყოველთვის იწვევს დავას. რათა უფრო ნათელი გახდეს პ. კაკაბაძის პიესის თავისებურება, საჭიროა პატარა ისტორიული ხასიათის ექსკურსი.

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბევრი ჭირვარამი გადაუტანია. ქართველი ერის ისტორია გარეშე მტრების წინააღმდეგ გაუთავებელი ომების ისტორიაა და, რა გასაკვირველია, რომ ქართველი კაცი ღირსეულად ამაყობდეს თავისი ქვეყნის გმირული წარსულით და იმ დიდი ეროვნული გმირებით, რომელთა სახელებიც დიდების შარავანდედითაა მოსილი. ეს ჩვენი გმირული წარსული შესანიშნავად აისახა ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ ნაწარმოებში; თანამედროვე ქართველის გულში ყოველივე ეს, მოწინებასთან ერთად, აღფრთოვანებასა და სიამაყესაც იწვევს. ჩვენი ისტორია ხელოვნურ შელამაზებას არ მოითხოვს: ის თვითონაც ლამაზია, როგორიც არის, ისედაც საკმარისია საამაყოდ. მწერალს სრული უფლება აქვს პირდაპირ და მოურიდებლად ასახოს მძიმე მომენტებიც ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. გაიხსენეთ თუნდაც რაოდენი უბედურება მოუტანია ქართველი ხალხისათვის განდგომილი ფეოდალების თარეშს; გაიხსენეთ, როგორ აწიოკებენ მე-17 საუკუნეში თავიანთსავე სამშობლოს, ხალხს არაგვის ერისთავები – ნუგზარი და ზურაბი; ცხადია, ამგვარი მომენტების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ისტორიის სრული სურათი წარმოვიდგინოთ. განა ცნობილი არ არის, რომ ერთიმეორის ქიშპობით გართული ქართველი ფეოდალები თავიანთივე ხელით ითხრიდნენ სამარეს და ხალხსაც არბევდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველოს ისტორია ერთიანი ზარ-ზეიმის მატიანე იქნებოდა. ამიტომ საჭიროა წარსულს ფხიზელი გონებით გადავხედოთ.

საქართველოს ისტორიაში სწორედ ერთ-ერთ ასეთ მძიმე



პერიოდს ეხება პ. კაკაბაძის კომედია „დავით მერვე“. ფაქტიურად აქ ასახულია მე-14 საუკუნის დასაწყისი, როდესაც დავით მერვე მეფობდა, მაგრამ ავტორი ზუსტად არ იცავს ქრონოლოგიას, ვინაიდან მისი განზრახვა არც იყო მყარ ისტორიულ ჩარჩოებში მოქცეული პიესა დაწერა; იგი გარკვეული ეპოქის – საქართველოს ისტორიაში გვიანფეოდალური ხანის სახელით ცნობილი მონაკვეთის ტიპიურ სურათს იძლევა და მის კომედიაში, გარდა თვით დავით მერვის და მისი ძმის ვანტანგისა, არც ერთი არაა ისტორიულად ცნობილი პიროვნება. იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა მართლაც შემადრწუნებელი იყო: შიმშილსა და სიღატაკეს, გარეშე მტრების თავდასხმებსა და შინაურ ფეოდალთა თარეშს ქვეყანა საშინელ განსაცდელამდე მიუყვანია. ესაა უდროობის დრო, როცა სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ყველა ჯურის ავანტიურისტები და მოღალატეები. აი, ამ ფონზე იშლება პ. კაკაბაძის პიესა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით პიესის შინაარსის გადმოცემას. მაგრამ აუცილებელია ორიოდე სიტყვა ვთქვათ მთავარ მოქმედ პირობზე, ვინაიდან სწორედ თითოეულ მათგანშია გახსნილი ეპოქის სიავეკარგე.

ავიღოთ თვით დავით მერვე, რომლის სახელსაც ატარებს პიესა (თუმცა ბევრად უმჯობესი იქნებოდა პიესას ისევ ძველი სახელი – „კახაბერის ხმალი“ რქმეოდა და ეს მეფეც არ ყოფილიყო კონკრეტული ისტორიული პიროვნება). დავითი დიდი ეროვნული გმირის დიმიტრი თავდადებულის შვილია, მაგრამ იგი მხოლოდ ღმობიერებაში დამსგავსებია სახელოვან მამას. იგი უძლურია მტრების წინაშე, ვინაიდან მას და ქვეყნის დასაყრდენ ძალას – გლეხობას შორის გათავსებული და მძარცველი ფეოდალები ღვანან. დავითს გული სტკივა თავისი ქვეყნის ასეთი უმწეო მდგომარეობის გამო და მწუსარებით ამბობს: „მე მამის კვალს მივყვებოდი, ყოველ საქმეში ვბაძავდი მას, გარდა ცოდვისა, მაგრამ მან, წმინდანთა შორის ჩარიცხულმა, ერს მშვიდობა დაუტოვა, მე კი ჭირი შევყარე... ალბათ, ვბაძავდი მის ხილულ სახეს, სიბრძნე კი მისი ვერ გავიგე“. თავისივე გამაჰმადიანებელი ძმის მიერ გაძევებული დავითი სოფელ-სოფელ დადის და ელოდება გმირის გამოჩენას, რომელიც ხალხს დაიხსნის გასაჭირისაგან.

ეპოქის ასეთივე ტიპიური შვილები არიან განდგომილი ფეოდალები – ათაბაგი შანშე, ოდიშის მთავარი კონსტანტინე,

გურიის მთავარი გვანგვა, რაჭის ერისთავი ბეშქენი, იმერეთის ბატონიშვილი ვაჩე, – სულითხორცამდე გადაგვარებული ადამიანები, სამშობლოს მოღალატენი, რომელთათვისაც არავითარი წმინდა არ არსებობს. ისინი ბახტანგ-ხანის ფეხების ფხანაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აკი თვითონვე ამბობენ თავიანთ თავზე: „ჩვენ გვაკართ იმ უნამუსო ძაღლს, რომელმაც პატრონს უღალატა და მგელს მიემხრო. დღეს ამ ადამიანმა ის მგელი ჩვენზევე აღძრა და ახლა უნდა ვთხოვოთ, გაცოფებულ ნადირს ნუ დაუტოვებს ჩვენს თავს. შეგვიარგოს ბატონთან და ისევ ვემსახურებით“. ეს მოღალატენი ტყავს აძრობენ მოსახლეობას, მტერს ხელში უყრიან მშვენიერ ქალ-ვაჟებს, სიამოვნებით შეჰყურებენ მარგილებზე ჩამოცმულ ქართველ ვაჟკაცთა მოკვეთილ თავებს, მაგრამ, იმავე დროს, გულქვა ბახტანგ-ხანთან ერთად, ჩიორა ჩიტის სიკვდილზე ცრემლსა ღვრიან, რომ სხვებს თვალი აუხვიონ. თავიანთი ნამდვილი ბოროტება დაჰფარონ.

მრავალრიცხოვანი ბახტანგ-ხანებიც, – გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილებიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ ეპოქისა. ამრიგად, პ. კაკაბაძის პიესის ამ პერსონაჟსაც არაერთი პროტოტიპი ჰყავს.

საინტერესოაა ჩაფიქრებული როსტომ-ბრძენი, სკეპტიკოსი-ფილოსოფოსი, რომელსაც საუკუნის სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ უნახავს, ბევრი განუცდია, ქვეყნის დიდებით მოსილ დღეებსაც მოსწრებია და შემდგომში უბედურებასაც, ბოლოს ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია. ხალხს უყვარს იგი, მათი წარმოდგენით, როსტომისათვის, „კაცის თავი ბროლის ჭიქა“, ბრძენი ყველაფერს ხედავს. მაგრამ მოხუცი ფილოსოფოსი ჭკუის მასწავლებლად მაინც არ გამოადგება ხალხს, ვინაიდან იგი სკეპტიკოსია. გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს კი ოპტიმისტი სჭირდებათ, სწორი გზის მაჩვენებელი და არა ბუნდოვანი, ორაზროვანი ფრაზებით მოსაუბრე ბერიკაცი.

ლიპარიტე, გოსტაშაბი, ჯონდო და ქონდარა ქართული ზღაპრებისაგან გაცოცხლებული პერსონაჟებია, ნამდვილი ხალხური ნიღბები – თავიანთი უარყოფითი და დადებითი თვისებებით.

ყველა ამ მოქმედი პირის სახე გამოკვეთილია მეტად რელიეფურად და ხელშესახებად.

რაც მთავარია, პიესაში ნათლად ჩანს ბოროტების წინააღმდეგ აშკარად მებრძოლთა სახეები. პირველ რიგში, ესაა გულქანი, ქართველი ქალი, შრომისმოყვარე და კეთილი, გამბედავი და ამაყი.

მას ბედმა ნაცარქექიას ცოლობა არგუნა, დღე და ღამ ტრიალებს ოჯახში, ებუზღუნება უსაქმურ მეუღლეს და აი, ერთ დღეს ლიპარიტე კიკოტას ავანტურისტული ფანდების წყალობით ბახტანგ-ხანის სასახლეში წარსდგება, როგორც ამ მეფის შთამომავალი. დაფლეთილი ტანსაცმელი მას სადედოფლო სამოსელით შეუცვალეს, მაგრამ გული ისევ უბრალო გლეხის დედაკაცისა დარჩა მდიდრული ფარჩეულობის ქვეშ. ბახტანგ-ხანის სასახლეში წარსდგება, როგორც ამ მეფის შთამომავალი. დაფლეთილი ტანსაცმელი მას სადედოფლო სამოსელით შეუცვალეს, მაგრამ გული ისევ უბრალო გლეხის დედაკაცისა დარჩა მდიდრული ფარჩეულობის ქვეშ. ბახტანგთან პირველ შეხვედრისთანავე მიახლის მას გულქანა სიმართლეს: „ჩემი გზა სულ ჭირზე მოდიოდა... ფოლორცში ხატის წმინდა ნაწილები ეყარა, ღმერთო შეგცოდე. ერთ ადგილას ეგდო თვალი... კაცის იყო თუ ქალის ვერ გავიგე. ერთ ხეზე შვიდი ძმა ეკიდა. შენს თათრებს ჩამოეხრჩოთ, ხიდქვეშ იდგა მათი და, მან თვალი გამომაყოლა და ისეთი წყევლა გამომატანა შენთან, რომ არ ვიცი, ამის შემდეგ როგორ უნდა გავიხაროთ მე და შენ“. მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობს გულქანის პირით ბახტანგ-ხანის მიმართ: „ჯოჯოხეთის ქურაზე ზიხარ, მამაჩემო, ეს მყრალი გუდები დამბერველებად გყავს, გარედან მატრაკვეცები კვერს გირტყამენ და ჩემი გადადნობა გინდათ, მაგრამ მე ერთხელ გავჭვდილვარ ჩემი სინდის-ნამუსით“. ანდა: „შენი ფარჩების გულისათვის, შე წყეულო, წმინდა რჯულს არ ვუდალატებ, ურჯულოებს თავს არ გავათელინებ“. ამიტომაც, რომ როცა ფინალში მტერთან შესაბამელად აბობოქრებული ხალხის სათავეში ჩამდგარი გმირი კახაბერი მეფეს თავისი ხმლის გავზავნას მოსთხოვს და დაუბარებს – „ისეთი ხელით გვაახლოს, მოსაჭრელი არ იყოსო“. მეფე დავითი კახაბრისეულ გორდას გულქანს გაატანს.

და განა მარტო გულქანია ამ პიესაში დადებითი გმირი? არა, აქაც კახაბერი, რომლის გმირული აჩრდილი პირველი მოქმედებიდან უკანასკნელამდე ტრიალებს პიესაში და მისი ხმალი ელავს. კახაბერი სიმბოლური სახეა ხალხისათვის თავდადებული გმირისა, რომელმაც უნდა ალაგმოს გარეშე და შინაური მტრები. ქვეყნის მოღალატეებმა იგი ორმოში ჩააგდეს, მაგრამ მისი სახელიც კი თავზარს სცემს მტერს. კახაბერი, ასე ვთქვათ, პიესის გარეთ მოქმედებს და მასთანვე არიან სხვა თავდადებული მებრძოლებიც. მასთან არის ხალხი, ერის მოუდრეკელი ძალა. პიესის ფინალურ სცენაში ნათლად ჩანს, რომ

საბოლოო გამარჯვება მათია და ქვეყნად ისევ ჭეშმარიტი გმირები და პატიოსანი ადამიანები იმარჯვებენ.

რა შეიძლება ითქვას პიესის მხატვრულ მხარეზე? მხოლოდ ის, რომ „დავით მერვე“ ნამდვილად შესანიშნავი ნაწარმოებია. საინტერესო სიუჟეტი, გმირების ოსტატურად გამოძერწილი სახეები, ბრწყინვალე დიალოგები და გონებამახვილური აფორისტული თქმები, ჯანსაღი კომედიური სიტუაციები და უნაკლო ქართული ენა, – ასეთია ამ პიესის მთავარი ღირსებანი.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში „დავით მერვე“ დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. მაღალაშვილმა. მისასალმებელია მისი შემოქმედებითი გამბედაობა, როცა მან ხელი მოჰკიდა ისეთი რთული პიესის განხორციელებას, რომლის წინაშე გამოცდილი რეჟისორებიც კი უკან იხევდნენ. თ. მაღალაშვილს სიყვარულითა და მთელი ენერჯის დაძაბვით უშუშავნია პიესაზე. იგი საკმაოდ ჩაწვდომია ამ კომედიის მიზანდასახულობას და მიუცია მისთვის სწორი სცენიური ინტერპრეტაცია. კარგადაა გააზრებული ყოველი მოქმედების წინ პატარა პროლოგები, ორიგინალურადაა ჩაფიქრებული მუდმივი ფარდა – ქართულ ბარელიეფიანი ქვის იმიტაცია. ყოველ მიზანსცენაში იგრძნობა ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებითი ფანტაზია და გემოვნება.

დამაკმაყოფილებელია სპექტაკლის მხატვრობა (მხატვარი დ. თაყაიშვილი), მეტად ეკონომიურად არის გამოყენებული ერთი და იგივე დეკორატიული ნაგებობანი სხვადასხვა მოქმედებაში, მუსიკალური გაფორმება (კომპოზიტორი კ. მეღვინეთუხუცესი) ორგანულად ერწყმის სპექტაკლს. კარგია პოპულარული „მუშასა“ ეპილოგად და პროლოგად.

მსახიობებს მეტად რთული და თითქმის უჩვეულო როლების შესრულება მოუხდათ. ისინი პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან საქმეს და, რა თქმა უნდა, მეტნაკლები ოსტატობით დაუძლევიან ამოცანა. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ხანდახან შესანიშნავი ავტორისეული ტექსტი ვერ აღწევს მაყურებლამდე, რაც მსახიობთა ბრალია.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ლიპარიტეს როლის შემსრულებელი მსახიობი შ. ხაჯალია, რომელიც ჩაწვდომია მეტად რთული სახის ბუნებას და ოსტატურად ასრულებს მას. ნაცარქექია გოსტაშაბს შესანიშნავად ასახიერებს ბრწყინვალე კომედიური მსახიობი იპ. ხვიჩია. ყოველი მისი ჟესტი, ინტონაცია მაყურებლის ჯანსაღი სიცილის გამომწვევია; მსახიობ მ. გელაშვილის გულქანი

მომხიბლავია თავისი უშუალოდ და ბუნებრივობით. უნებისყოფი და უმწეო მეფე დავითის დამაჯერებელი სახე შექმნა მსახიობმა ვ. მეგრელიშვილმა. გროტესკულ შტრიხებში, უნაკლოდ ასრულებს მსახიობი შ. პირველი ბანტანგ-ხანს. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა: რ. ხობუამ (შოშკობა), ერ. სვანაძემ (ჯონდო), ზ. ცირაძემ (ქონდარა), ვ. გვენცაძემ (არლუბაბა), კ. აბესაძემ (საჭურისი)... როსტომ ბრძენის როლში მსახიობი ვ. ლასხიშვილი შედარებით სუსტია, ამარაჟებს, რაც სრულებით არ შეეფერება პიესის ჩანაფიქრს. ვფიქრობთ, რეჟისორსაც მიუძღვის ამაში ბრალი, ნამდვილად სუსტია განდგომილ ფეოდალთა ჯგუფი, კომედიაში კი ეს სახეები მკაფიოდაა გამოკვეთილი, აქ შეიძლებოდა შესანიშნავი ხასიათების ჩვენება. სამწუხაროდ, ამ როლის შემსრულებელი მსახიობები (ალ. ქელბაქიანი, გრ. ნაცვლიშვილი, არ. მოწონელიძე, შ. ხონელი, ივ. მიქიაშვილი) მეტად ერთფეროვანნი არიან.

ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრმა კარგად დადგა პოლიკარპე კაკაბაძის „დავით მერვე“. რა თქმა უნდა, სპექტაკლი კიდევ დაიხვეწება. „დავით მერვე“ ის პიესაა, რომელიც ღირსია არა ერთხელ და ორჯერ დადგმისა სხვადასხვა სცენიური ინტერპრეტაციით.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1957-15

## ქართული კინოს ოსტატები

„ხელოვნება“ დაიწყო მონოგრაფიების გამოცემა ქართველ კინოსტატებზე. დღეისათვის მან უკვე სამი ნაცრისფერყდიანი წიგნაკი მიაწოდა ქართველ მკითხველს. ესენი გახლავთ „საბჭოთა კინოს ოსტატების“ სერიის პირველი მერცხლები: კ. გოგობის „კოტე მარჯანიშვილი“, თ. ჯანელიძის „ალექსანდრე ჟორჟოლიანი“ და ნ. გურაბანიძის „გიორგი შავგულიძე“ (ოთ. ეგაძის საერთო რედაქციით).

კ. გოგობეს აქამდე რამდენჯერმე ჰქონდა შესაძლებლობა დაეწერა გამოკვლევა კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობაზე კინოში. ამიტომ მას თავი აღარ შეუწუხებია და სარეცენზიო მონოგრაფია სრულიად უმნიშვნელო ცვლილებებით გადმოუწერია თავისივე წერილიდან „კოტე მარჯანიშვილი და ქართული კინემატოგრაფია“

(იხ. საიუბილეო კრებული „კოტე მარჯანიშვილი“, 1948 წ. გვ. 127) და თავისივე წიგნის („ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“) შესაფერის ადგილებიდან. ჩვენ ერთხელ გვექონდა საშუალება გაგვეკრიტიკებინა და ეს „ნარკვევები“ (იხ. ჟურ. „მნათობი“, 1952 წ. №6). ის შეცდომები, რომელიც აქვს ამ ნაშრომს, მექანიკურად გადმოვიდა მონოგრაფიაშიც, ამიტომ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ გვინდა ავტორს გავახსენოთ, რომ სულ სხვადასხვაა წერილის, კინემატოგრაფიის ისტორიის ნარკვევის და მონოგრაფიის დაწერის ხერხები. ყოველ შემთხვევაში, მონოგრაფია უნდა სტოვებდეს მონოგრაფიის შთაბეჭდილებას და არა წერილისას ან ისტორიიდან ამოგლეჯილი ნაწყვეტებისას. ზემოთ დასახელებულ ჩვენს წერილშიაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ყოველად შეუძლებელია ასეთი ფრაზა – „გავიხსენოთ დახვედრის სცენა“ (გვ. 15). ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიხსენებს ჩემი თაობის ახალგაზრდობა ფილმს, რომელიც ამ ოცდახუთი წლის წინათ გადიოდა ეკრანზე და თვალითაც არ გვინახავს.

კ. გოგოძე იხილავს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ფილმებს და სათანადო დასაბუთებით არკვევს მათ ავკარგიანობას. კარგია მონოგრაფიის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია კ. მარჯანიშვილზე, როგორც აღმზრდელ რეჟისორზე.

შედარებით უფრო ძნელი იყო მონოგრაფიების შექმნა ალ. ჟორჟოლიანზე და გ. შავგულიძეზე, ვინაიდან რამდენადაც ვიცით, წიგნების ავტორებიც ახალგაზრდები არიან და არც ამ ცნობილ მსახიობებზე დაწერილა რაიმე სერიოზული ხასიათის ნაშრომი. მაგრამ ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს საპატიო ამოცანა მათ ძირითადად დამაკმაყოფილებლად გადასჭრეს.

ალ. ჟორჟოლიანი უაღრესად პოპულარული ქართველი კინომსახიობია. თ. ჯანელიძე პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და პირველი მონოგრაფია შექმნა ამ მსცოვან მსახიობზე. ავტორი თანდათანობით გვაცნობს ალ. ჟორჟოლიანის პირველ ნაბიჯებს სცენაზე და შემდეგ კინემატოგრაფიაში, მოკლე მიმოხილვას უკეთებს იმ ჩვიდმეტ როლს, რომლებიც ა. ჟორჟოლიანს შეუსრულებია ქართულ ფილმებში. მხოლოდ ხშირად ავტორი ფილმების შინაარსს, ან ალ. ჟორჟოლიანის გმირების მოქმედებას უფრო აღწერს, ვიდრე იმ ხერხსა და მათ ანალიზს, რითაც მსახიობი აღწევს სასურველ შედეგს – ზემოქმედებას მაყურებელზე. ამას გარდა, უფრო მეტი უნდა

თქმულიყო ალ. ჟორჟოლიანის კომიზმზე, ვინაიდან იგი მიეკუთვნება ე. წ. „ბიოლოგიური კომიკების“ ჯგუფს. ავტორს განსაკუთრებით უნდა გაემასხვილებინა ყურადღება იმ როლებზე, რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა აქვთ ალ. ჟორჟოლიანის შემოქმედებაში (მოსე მწერალი, კოსტაია, არისტო). ასევე აუცილებელი იყო მსახიობის სუსტი მხარეების აღნიშვნაც, როგორცაა მიმიკისა და შესტიკულაციის ერთფეროვნება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გ. შავგულიძემ მხოლოდ ცხრა ფილმში მიიღო მონაწილეობა და ისიც მხოლოდ ორიოდეში ჰქონდა მთავარი როლი, მაინც დიდია მისდამი სიყვარული ქართველ მაყურებელში. შესანიშნავი ნიჭის პატრონია გ. შავგულიძე, არასოდეს მას არცერთი ხასიათის როლი არ „ჩაუგდია“ არც თეატრში და არც კინოში. ნ. გურაბანიძის მონოგრაფიაც უკეთესია ამ სამეულში. სიყვარულით და საქმის ცოდნით გვაცნობს იგი გ. შავგულიძის ფრთების გაშლას კ. მარჯანიშვილის თეატრში, მის არტისტულ მონაცემებსა და უნარს. გ. შავგულიძის მიერ შესრულებული როლები ორ კატეგორიად გაიყოფა: დრამატული და კომედიური. ძნელია, ავტორისა არ იყოს, თქმა, რომელში უფრო ძლიერია მსახიობი. და მართლაც, განა ერთნაირი სიძლიერის არაა ნოდარი „გიორგი სააკაძეში“ და ერემო „ბედნიერ შეხვედრაში“? მაგრამ სამართლიანობა მოითხოვდა აღენიშნა ავტორს, რომ ერემო და რაშიტი („გაზაფხული საკენში“) ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა სცენარებიც ასევე მსგავსებია და მსახიობის გარდა ამ „ტყუპების“ „მამასაც“ (რეჟ. სანიშვილი) მიუძღვის ბრალი. მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად თვლის მსახიობის მიერ დავით გურამიშვილის როლის განსახიერებას – ერთ-ერთ საუკეთესოდ არა მარტო გ. შავგულიძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში.

ახლა რამდენიმე საერთო ხასიათის შენიშვნა ამ სერიაზე. ჯერ ერთი, სამივე მონოგრაფია (განსაკუთრებით პირველი ორი) დაწერილია სქემატური, მშრალი ენით; საჭიროა მეტი მხატვრულობა, რათა წიგნი საინტერესოდ იკითხებოდეს, შემდეგ – აუცილებელი იყო მსახიობების აზრის ან ნაამბობის გამოყენება ამათუიმ როლზე მუშაობის პროცესზე და სხვა საკითხებზე. მესამე – სურათები უკეთ უნდა შერჩეულიყო: ზოგიერთი ფილმიდან ორი-სამი სურათია და ზოგიდან არცერთი. და უკანასკნელიც, კარგი იქნებოდა მონოგრაფიებს ბოლოს დართოდა ე. წ. „ფილმოგრაფიული ცნობა“, როგორც ეს

მოსკოვში გამოსულ იმავე სერიის წიგნებს აქვთ, თორემ ახლა მთელი წიგნის ფურცვლა გიხდება, როცა გსურს გაიგო რომელ წელს, რა სურათში, რა როლი შეასრულა მსახიობმა.

დასასრულ, კარგი იქნება თუ იგივე გამომცემლობა იკისრებს ქართული საბჭოთა ხელოვნების სხვა დარგების ოსტატთა შესახებ მონოგრაფიების სერიების გამოცემასაც, ვთქვათ: „ქართული საბჭოთა თეატრის ოსტატები“, „ქართული ფერწერის ოსტატები“, „ქართული საბჭოთა მუსიკის ოსტატები“ და ა. შ.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1954-20

## „ცისკარა“

„იყო და არა იყო რა, მზისა და ცისკრის უკეთესი რა იქნებოდა“... აი ამ სიტყვებით იწყება ახალი ქართული ფილმი „ცისკარა“, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ეკრანზე. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი კინემატოგრაფიის მუშაკებმა მიმართეს მდიდარ ხალხურ ეპოსს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მულტიპლიკაციურ სურათებს, მაყურებელს მიაწოდეს პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ქართული ზღაპრების მოტივებზე.

„ცისკარას“ თემაა საერთოდ ჩვენი ზღაპრების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელი თემა – ბრძოლა კეთილ და ბოროტ ძალებს შორის. ჩვენი აზრით, აქ ზედმეტია „ცისკარას“ თუნდაც მოკლე შინაარსის გადმოცემაც კი, ვინაიდან იგი ყველასათვის ცნობილია. შევეხებით ამ ფილმის საერთო ავკარგიანობას.

დავიწყოთ სცენარით. ავტორი კოტე მიქაბერიძე სავსებით სწორად მოქცეულა, რომ ფილმის ლიტერატურული სცენარის საფუძვლად აუღია რამდენიმე ზღაპარი, თავისებურად გადაუმუშავებია ისინი და სიუჟეტურად დაუკავშირებია ერთმანეთთან. სცენარის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ცისკარა ხალხიდან მოწყვეტილ გმირად ჩანს, მარტოდმარტო ებრძვის მტერს. გარდა ამისა, მოისუსტებს დიალოგები, მეტ დამუშავებას მოითხოვდა ფინალი.

რამდენადაც ვიცით, ქართული თეატრის ნიჭიერმა რეჟისორმა სერგო ჭელიძემ პირველად სცადა ბედი კინოში და პირდაპირ უნდა



ითქვას, რომ მან ძირითადადში გაიმარჯვა. საკმარისია გავიხსენოთ ორი პატარა კადრი – ერთი, როცა განშორებისას მზია და ცისკარა ერთმანეთის ნაცვლად შვლის ნუკრს ჰკოცნიან და, მეორე, როცა მზია ცრემლს გაატანს გზის მასწავლებლად ცისკარას, – რომ დავრწმუნდეთ ს. ჭელიძის დახვეწილ რეჟისორულ გემოვნებასა და უტყუარ მხატვრულ ალლოში. რეჟისორული თვალსაზრისით შესანიშნავადაა დადგმული აგრეთვე სცენები დეკების ჭურში, შავქალასთან, გაქვავებული ქალაქი და სხვ. შედარებით სუსტი გამოუვიდა დამდგმელს (მასთან ერთად ამაში დამნაშავენი არიან მხატვრები და ოპერატორები) გრძნეულთა სამყარო. ეს კადრები გადატვირთულია ზედმეტი ელემენტებით, რაც მაყურებლის ყურადღებას საგრძნობლად ფანტავს. განსაკუთრებით სჭრის თვალს საოცრად დახლართული დეკორაციები და ზიზილიპილია ტანსაცმელი.

„ცისკარას“ ოპერატორებს მართლაც ღირსეულად უშუშავიათ. აღსანიშნავია რთული კომბინირებული გადაღებების გამოყენება, რასაც ჩვენში არც თუ დიდი ტრადიცია აქვს. ოპერატორებს ბ. ბურავლიოვს, გ. უსეინაშვილს და მხატვარ მ. სეხნიაშვილს არც ენერგია და არც გამომგონებლობა არ დაუშურებიათ იმისათვის, რომ მაყურებელს სიყალბე არ ეგრძნო. ამას მათ მიაღწიეს.

გულანდილად უნდა ითქვას, რომ ფილმის მუსიკა სუსტია. კომპოზიტორი მთელი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდა საქმეს, ამ ფილმისთვის შეიძლებოდა მეტი გამომსახველობითი ძალის, უფრო მეტყველი მუსიკის დაწერა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეკლამებზე წარწერა: „სიმღერების ტექსტი დ. გაჩეჩილაძის, მ. მრეველიშვილისა და ა. ბეგაშვილის“, გვპირდებოდა ბევრი და კარგი სიმღერის მოსმენას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ფილმში, სამწუხაროდ, ორიოდ სიმღერაა, ისიც არც თუ ისე ძლიერი.

დამდგმელ-რეჟისორს ს. ჭელიძეს გულმოდგინეთ უშუშავია მსახიობებთან.

ცისკარა ფილმის მთავარი გმირია. იგი არის განსახიერება კეთილი ძალების თავდადებული ბრძოლისა ბოროტთა წინააღმდეგ. ამ როლის შემსრულებელს ევალებოდა შეექმნა ხალხური ზღაპრული გმირის ისეთი სახე, რომელსაც მაყურებელი შეიყვარებდა. თუ მსახიობის თამაშს განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, რომ თამაშ ტოგონიძე ამ ფილმში პირველად დადგა კინო-აპარატის წინ, შეიძლება ითქვას,

რომ მსახიობმა თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწია. ამის მიზეზი უმთავრესად მსახიობის შესანიშნავი გარეგნული მონაცემებია. ფილმში ტოგონიძე-ციცკარა მონუმენტურად წარმოგვიდგება, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ კადრებში მის თამაშს აკლია დამაჯერებლობა და შინაგანი სითბო. განსაკუთრებით შებორკილად ჩანს იგი ლირიკულ სცენებში. შედარებით ძლიერია მსახიობი დევებთან შეხვედრისას, შავქალასთან და ფინალურ კადრებში.

დოდო ჭიჭინაძე ქართული კინოს უკვე საკმაოდ გამოცდილი მსახიობია და მზიას როლშიაც იგი მაყურებლის მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ერთთავად შეკრული წარბები, ეს იქნება მრისხანების, მწუხარებისა თუ სიხარულის დროს, დამაჯერებლობას ანელეს გმირის შინაგანი განცდების გადმოცემისას. ყველაზე კარგად ატარებს მსახიობი ქალი სცენებს გრძნეულთა მეფესთან.

სრულიად ახალგაზრდა გოჩა აბაშიძე მეორეჯერ მონაწილეობს კინოსურათში. ჯერ კიდევ ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ დაიმსახურა მან მაყურებელთა ღირსეული სიყვარული, „ციცკარაში“ მორიგ გამარჯვებას მიაღწია. მისი ბადრი ნამდვილი ქართველი ჭაბუკია – გულალალი და მზიარული, მარდი და თავდადებული. გ. აბაშიძის არც ერთი მიმიკაში, არც ერთ აქტში არ იგრძნობა დაძაბულობა და სიყალბე. მან ისეთივე ბუნებრივად და დამაჯერებლად შეასრულა ზღაპრის გმირის როლი, როგორც თავისივე თანამედროვე ჭაბუკისა ზემოთ ხსენებულ ფილმში. ზომიერი, ჯანსაღი იუმორით ატარებს იგი მთელ რიგ სცენებს, განსაკუთრებით სცენას ჯადოსნური სალამურით. გ. აბაშიძის სახით ქართულ კინოხელოვნებას უსათუოდ ნიჭიერი მსახიობი ეზრდება.

როგორც ყოველთვის, შესანიშნავია გრძნეულთა მეფის როლში ეკრანისა და თეატრის ცნობილი მსახიობი გიორგი შავგულიძე. მან სრულყოფილად დახატა გულბოროტი, ადამიანების მოძულე ჯადოქარის ამაზრზენი სახე. სრულიად უბრალო ტამის შემოკვრითაც კი დამახასიათებელ შტრიხს მატებს იგი თავისი გმირის ხასიათს. ამ როლით გ. შავგულიძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თუ რა მრავალფეროვანია მისი არტისტული შესაძლებლობანი.

ქართული ზღაპრებისათვის განუყრელი თანამგზავრების, ბოროტი და მოსულელო დევების მეტად კოლორიტულ სახეებს ქმნიან მსახიობები აკ. კვანტალიანი, ალ. გომელაური და კოტე დაუშვილი.

კარგია შავქალას როლში მსახიობი ვ. ჭანკვეტაძე. ცისკარას დედის როლის შემსრულებელი ნ. კაკაბაძე ვერ აღწევს მიზანს – მოგვცეს გმირის მშობლის დასრულებული და კეთილშობილი სახე.

საერთოდ „ცისკარა“ კარგი ფილმია. მას სიამოვნებით ნახავს ჩვენი მოზარდი თაობა, რომლისთვისაც უმთავრესად გამიზნულია ეს სურათი. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ კინოსტუდიას „საქართველოს ფილმს“ ყველა პირობა ჰქონდა. რათა გაცილებით უკეთესი სურათი შეექმნა.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1955-48

## სცენარების გამოცემის შესახებ

კინო – განუსაზღვრელი შესაძლებლობის მქონე ხელოვნებაა, რომელმაც საკმაოდ დიდი ხანია მოიპოვა ფართო მასების სიყვარული.

სცენარს ისეთივე როლი ენიჭება კინოფილმში, როგორც პიესას სპექტაკლში და ლიბრეტოს ოპერაში. დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ჯურის ფორმალისტები კინემატოგრაფიის ვითომდაც განსაკუთრებული სპეციფიკის მომიზეზებით, აცხადებდნენ, რომ სცენარი დამოუკიდებელ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ წარმოადგენსო. ისინი სცენარს სთვლიდნენ მხოლოდ „ნედლ მასალად“, რომელსაც თითქოს არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ფილმის შექმნისათვის.

მაგრამ კინოხელოვნებისათვის, რომელიც სინამდვილეს რეალისტურ ფერადებში გვიხატავს, სცენარი წარმოადგენს ფილმის იდეურ-მხატვრულ საფუძველს და, რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურის დამოუკიდებელ და ძალიან საინტერესო სახესაც.

ეს კი ავალებს ჩვენს კრიტიკოსებს, კინოს თეორეტიკოსებს და ლიტერატურისმცოდნეებსაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ სცენარის, როგორც ლიტერატურული ჟანრის გამომხატველი საშუალებების თავისებურებანი.

სცენარს აქვს ვიწრო სპეციფიკური მხარეებიც, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კინემატოგრაფიასთან; ამ სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე დასადგმელად გამოსადეგი, სრულფასოვანი

სცენარის დაწერა შეუძლებელია. სწორედ ამ მიზეზის გამო არსებობს სპეციალური სასცენარო ფაკულტეტები კინემატოგრაფიულ ინსტიტუტებში.

იმავე დროს, სცენარი აუცილებლად არის დასრულებული ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ზოგნი არც ახლა იზიარებენ. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა კონსტ. სიმონოვი:

„ის რომ სცენარი – „დიდი ლიტერატურაა“, ახლა ამას ხშირად იმეორებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე არ ჩანს დამოკიდებულება სცენარის, როგორც დამთავრებული ლიტერატურული ნაწარმოებისადმი. მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალებში იბეჭდება რომანები, ლექსები, მოთხრობები, მაგრამ არ მახსოვს დაბეჭდილიყოს სცენარი, დაწერილი არა კინოსტუდიასთან ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ მწერლის თაოსნობით“ („ლიტერატურნაია გაზეტა“, 1952 წ. №105).

რუსეთში მაინც ქვეყნდება სცენარები ცალკე წიგნებად და კრებულების სახით.

საქართველოში კი ამ მხრივ მართლაც დღემდე არასახარბიელო მდგომარეობაა: სცენარები ქართულ ენაზე საერთოდ არ იბეჭდება!

ამ ჟანრის ნაწარმოებები მხოლოდ გასულ წელს შეიტანა ორმა ქართველმა მწერალმა თავიანთ კრებულებში – კ. ლორთქიფანიძემ კინო-ნოველა „ერთხელ ღამით“ და გრ. ჩიქოვანმა კინო-მოთხრობა „ოქროს ველი“. ეს ორი დაბეჭდილი სცენარი, ცხადია, ხარვეზს ვერ შეავსებს, მით უმეტეს, რომ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმისაა, ხოლო მეორის საფუძველზე სურათი არც გადაღებულა.

და ეს მაშინ, როცა თბილისის კინოსტუდიას გამოშვებული აქვს ასზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. მართალია, ყველა სურათი არ იდგა ერთნაირად მაღალ დონეზე, მაგრამ ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სურათებიც, რომლებიც ჩვენი კინემატოგრაფიის საეტაპო ქმნილებებად ითვლებიან.

მნელია იმის თქმა, თუ რა არის სცენარების გამოცემისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი. დაე, ამაზე ჩვენმა კინოსტუდიამ (რომელსაც უნდა ეთავა ეს საქმე), გამომცემლობებმა და თვით ქართველმა მწერლებმა გასცენ პასუხი, პირველ რიგში იმ ცნობილმა მწერლებმა, რომელთაც საკმაო წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში. მათი რიცხვი კი არც ისე მცირეა: თავის დროზე სცენარები დაუწერიათ

შ. დადიანს, გ. ლეონიძეს, ს. ჩიქოვანს, ლ. ქიაჩელს, ს. შანშიაშვილს, ი. მოსაშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, აკ. ბელიაშვილს, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილს, გრ. ჩიქოვანსა და სხვებს, რომ არაფერი ვთქვათ იმ ლიტერატორებზე, რომლებიც სპეციალურად მუშაობდნენ და ამჟამადც მუშაობენ კინემატოგრაფიაში (გ. მდივანი, გ. ცაგარელი, კ. გოგობე, ვ. კარსანიძე და სხვ.); სწორედ ამ მწერლებს შეეძლოთ გამოექვეყნებინათ თავიანთი სცენარები იმ წიგნებში და კრებულებში, რომლებიც მათ გამოსცეს.

სცენარის გამოცემა ბევრი რამისთვისაა საჭირო. ჯერ ერთი, იგი, როგორც ვთქვით, სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებია; მეორეც – ახალგაზრდობა გაიცნობს შინაარსს იმ კარგი ფილმებისა, რომლებიც არ უნახავს და მესამე – დაინტერესებულ პირებს დაეხმარება თვით სცენარის აგების ტექნიკის ათვისებაში, ვინაიდან არის ბევრი ახალგაზრდა და მოზრდილიც, რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ თუ როგორ იწერება სცენარი.

სწორედ ამიტომ ხდება, რომ ჩვენი კინოსტუდია იძულებულია პირდაპირ დაავალოს სცენარის დაწერა სასცენარო საქმის კარგად მცოდნე პირს და ჩვენი ფილმების უმეტესობა იღებება ასეთი შეკვეთებით. ეს ამბავი კი სრულებით არაფრით არაა გამართლებული, ფრთები ეკვეცება დამოუკიდებელ შემოქმედებას. თუ სცენარი ნამდვილად ლიტერატურული ნაწარმოებია და ეს კი ჭეშმარიტებაა, მაშინ იგი უნდა იწერებოდეს ისევე, როგორც იწერება ლექსი, მოთხრობა, პიესა, რომანი...

ამიტომ საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად გაიცნოს სასცენარო საქმე, ჩვენს პრესაში ხშირად უნდა იბეჭდებოდეს თეორიული წერილები სცენარის შესახებ, გამოიცეს ჩვენი კინოსტუდიის მიერ გამოშვებული საუკეთესო ფილმების სცენარების ერთი კრებული მაინც.

საქართველოს მწერალთა კავშირში არსებობს კინოდრამატურგთა სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მწერალი და გამოცდილი სცენარისტი აკ. ბელიაშვილი. სექციამ ამ ბოლო დროს მოაწყო რამდენიმე ახალი სცენარის განხილვა, რომელთაც ინტერესი გამოიწვიეს.

სასურველია, რომ სექციის თაოსნობით უფრო ხშირად მოეწყოს ამგვარი განხილვები და აგრეთვე სპეციალური დისკუსიები საერთოდ სცენარის ირგვლივ, რათა უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდები ჩავაბათ კინოდრამატურგიაში.

ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა საქმიანი ღონისძიებებია დასახელებული ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1953-13

## ფრანგული კინოხელოვნება

ამჟამად თბილისის ეკრანებზე წარმატებით მიდის ფრანგული კინოსურათი „ფანფან-ტიულპანი“. ვიდრე ამ ფილმის შესახებ ვილაპარაკებდეთ, მოკლედ შევეხებით საერთოდ ომის შემდგომი პერიოდის ფრანგულ კინოხელოვნებას.

როგორც ცნობილია, ამერიკული ფირმების შესევამ ე. წ. „მარშალიზებულ“ ქვეყნებში ძალზე ფართო ხასიათი მიიღო. ჰოლივუდის ფილმები საფრანგეთში რატომღაც ყველაზე დიდი რაოდენობით იგზავნება. თუ მეორე მსოფლიო ომამდე საფრანგეთის ეკრანებზე ამერიკულ ფილმებს კინოპროგრამის მხოლოდ 25-30 პროცენტი ეჭირათ, ამჟამად მათმა რაოდენობამ თითქმის 60 პროცენტს მიაღწია.

თვით საფრანგეთის რეაქციული კინომუშაკები კვალდაკვალ მიჰყვებიან თავიანთ ოკეანისგადაღმელ „შეფებს“ და დიდი რაოდენობით იღებენ ჰოლივუდის ფილმების ზუსტ ასლებს.

მაგრამ მათს გარდა საფრანგეთში არსებობს კინომუშაკების მძლავრი პროგრესული კოლექტივი. მასობრივი ორგანიზაცია „ფრანგული კინოს დაცვის კომიტეტი“, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს, მათ შორის არიან ფრანგული კინოხელოვნების ცნობილი ოსტატები: ლუი დაკენი, ჟაკ ბეკერი, რენე კლემანი, ჟან გრემიონი, მარსელ პანიოლი და სხვ.

საფრანგეთის დღევანდელი პროგრესული კინოხელოვნება პირდაპირი გავრძელებაა ომისდროინდელი „წინააღმდეგობის მოძრაობის“ გმირული ტრადიციისა, რომელმაც მაშინ შექმნა რეალისტური და მართალი ფილმები – „ბრძოლა ლიანდაგებზე“, „ობერ-ვილიე“ და სხვ.

ომის შემდეგ საფრანგეთის პროგრესული კინოხელოვნების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა ფილმი „განთიადი“. ამ სურათის რეჟისორმა ლუი დაკენმა ნამდვილი რეალისტური მანერით, ამაღლებულად მოუთხრო მაყურებელს უბრალო ფრანგი

ადამიანების ცხოვრებაზე. „განთიადში“ განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი შრომითი პროცესის ჩვენებას, რაც უსათუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო სხვა ფილმებთან შედარებით. აღსანიშნავია ამ სურათის მაღალი სადამდგმელო ოსტატობაც და შემთხვევითი არ იყო, რომ „განთიადმა“ მსოფლიო კინოფესტივალზე სპეციალური პრემია მიიღო საუკეთესო რეჟისურისათვის.

„განთიადი“ მართლაც განთიადი აღმოჩნდა საფრანგეთის კინოხელოვნებისათვის. ამ სურათმა დიდი ბიძგი მისცა პროგრესულ კინომუშაკებს შეექმნათ რეალისტური ფილმები საფრანგეთის ცხოვრებიდან – „მისამართი უცნობია“, „სკანდალი კლოშმერლში“, „მალაპაგის კედლებთან“ (იტალიელ კინომუშაკებთან ერთად), „ისინი ხუთნი იყვნენ“, „სახიფათო მსგავსება“ და სხვ.

ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობენ სტენდალის სიუჟეტებზე გადაღებული ფილმები – „პარმის მონასტერი“ და „წითელი და შავი“ (ეს სურათი სულ ამ რამდენიმე თვის წინ დადგა ცნობილმა კინორეჟისორმა კლოდ ოტან – ლარამ).

„ფანფან-ტიულპანი“ გადაღებულია 1952 წელს რეჟისორ კრისტიან ჟაკის მიერ, იტალიელი კინომუშაკების თანამშრომლობით; ეს სურათი საფრანგეთის ეროვნული კინემატოგრაფიის საუკეთესო ფილმად ითვლებოდა, მაგრამ მან „საფრანგეთის კინემატოგრაფიის დიდი პრიზი“ მაინც ვერ მიიღო. მიზეზი ის გახლავთ, რომ „ფანფან-ტიულპანში“ მწვავე დაცინვის საგანია მეთვრამეტე საუკუნის „ბრწყინვალე“ ოფიცრობა, რაც საფრანგეთის თანამედროვე არისტოკრატიულმა სამხედრო პირებმა პირად შეურაცხყოფად მიიღეს. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ სურათის პრემირებას ეროვნული თავდაცვის სამინისტრო არ მოიწონებსო. სამაგიეროდ „ფანფან-ტიულპანმა“ პრემია მიიღო კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ამ ფილმის ფართო განხილვა. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

რაც მთავარია, ფილმი მიმართულია ომის წინააღმდეგ, რომელიც XVIII საუკუნეში მეფეების გასართობი იყო. ფილმში მთელი სისრულით არის დახატული იმდროინდელი ფრანგი არისტოკრატების ცრუ-პატრიოტობა და ყოყონობა, სამეფო კარის გარყვნილი ცხოვრება და უბრალო ადამიანების მამაცობა. „ფანფან-ტიულპანი“ მწვავე სატირის შესანიშნავი ნიმუშია.

მთელი სურათი გააქვნილია ფრანგებისათვის დამახასიათებელი სიმახვილით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით და მოსწრებული დიალოგებით.

ფილმი სათავგადასავლო ჟანრისაა, ბევრია შიგ თითქმის დაუკვრებელი სიტუაციები, იგი სავსეა ყოველგვარი ორთაბრძოლებითა და დადევნებებით. მიუხედავად ამისა, „ფანფან - ტიულპანში“ მკვეთრად იგრძნობა ჭეშმარიტი რეალიზმი.

სურათის მთავარი გმირი ფანფანი ნამდვილი ხალხური სახეა. ეს არის უბრალო ჭაბუკი, მხიარული და ენამოსწრებული, კეთილი და საქმის ერთგული, მორაშიყე და თავზეხელაღებული. ფანფანში თავს იყრის ყველა ის საუკეთესო თვისება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაუგროვებია ბევრისმნახველ ფრანგ ხალხს. ფანფანს ერთნაირად სძულს როგორც შინაური მჩაგვრელები, ისე გარეშე მტრები. ფანფანის შესანიშნავი სახის ორიგინალობას ოდნავ ჩრდილს აყენებს მისი მსგავსება ალ. დიუმა-მამის ცნობილ დარტანიანთან.

ფანფანის სახის გამარჯვებას დიდად შეუწყობ ხელი ამ როლის შემსრულებლის ჟერარ ფილიპის ბრწყინვალე თამაშმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჟერარ ფილიპი ყველაზე პოპულარული კინომსახიობია ამჟამად საფრანგეთში. სხვა როლებს რომ თავი დაკანებოთ, ფილიპის დიდ აქტიორულ ნიჭზე მკაფიოდ მეტყველებენ მის მიერ განსახიერებული ძალიან რთული როლები ფაბრიციოსი („პარმის მონასტერი“) და განსაკუთრებით ჟიულენისა („წითელი და შავი“). ჟერარ ფილიპი მაყურებლის თვალწინ აცოცხლებს ამ გარდასულ გმირებს და ვეღარ გრძნობთ ვერავითარ ბირობითობას.

„ფანფან-ტიულპანი“ საფრანგეთის პროგრესული კინოხელოვნების მორიგი წარმატებაა და ამ წარმატებას სულითა და გულით მიესალმება მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1955-7



## ვანო პატარიძე

ეს წერილი მოქანდაკე ვანო (ივანე) პატარიძის დაბადების 70 წლისთავზე დაიწერა. ავტორი ისე გარდაიცვალა, გამოქვეყნება ვერ მოასწრო.

დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1997 წელს) შემოქმედის 100 წლისთავთან დაკავშირებით

აღბათ, ამ ქვეყნად ისე არავის შეეფერებოდა თავისი გვარი, როგორც ამ ადამიანს, მართლაც პატარა ტანისას და ბავშვურად მომცრო სახის პატრონს ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც თავისი არსებობის დაპატარავება სურდა. არასოდეს უბრძოლია კარიერისა და სახელისათვის. არც თავისი პირადი ცხოვრება მიაჩნდა რამედ... ხელოვნება და ისევე ხელოვნება! აი, რა იყო მისი მარადიული ოცნებისა და გატაცების საგანი. ფიზიკურად პატარასა და ბუნებით უჩუმარ, უპრეტენზიო კაცს შინაგანი ძალა ჰქონდა უზარმაზარი და სული ბობოქარი. დღეში სამ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ მდუმარე ლოდს აალაპარაკებდა. სიცოცხლეში საოცრად მორიდებული და მორცხვი, შეუდრეკელი იყო ხელოვნების პრინციპულ საკითხებზე დავის დროს. ბევრი, ძალიან ბევრი მიზეზის ჩამოთვლა იქნებოდა საჭირო იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ ვერ ჰპოვა მან ღირსეული სახელი და პოპულარობა, როგორც ხელოვანმა. ჩვენში ასეთ ადამიანზე იტყვიან – „თავისი თავის უმადურიანო“ – გარდა ამისა, აფორიაქებულმა ცხოვრებამაც დიდად შეუშალა ხელი.

ვანო (ივანე) კონსტანტინეს ძე პატარიძე დაიბადა 1897 წელს (ხელოვნებათმცოდნე ალ. წერეთელი თავის წიგნში „ქართული საბჭოთა ქანდაკება“ შეცდომით ასახელებს 1903 წელს) ქ. ქუთაისში, ცნობილ საფიზიხიაზე. უფროსი ძმები დახელოვნებული ქვისმთლელები იყვნენ. სკოლაში შესვლამდე პატარა ვანოსაც გამუდმებით თიხა ეჭირა ხელში და ათასნაირ უცნაურ საგნებს ძერწავდა...

ქუთაისის რეალური გიმნაზიის დამთავრებისთანავე ვ. პატარიძე თბილისში გადმოდის და იაკობ ნიკოლაძესთან იწყებს კერძო მეცადინეობას. სულ მალე იგი დიდი ქართველი მოქანდაკის უსაყვარლესი მოწაფე ხდება. ჩვენს ხელთ არის საქართველოს ხელოვანთა კავშირის მიერ 1921 წლის 3 ოქტომბრის თარიღით გამოცემული მოწმობა, რომ ვ. პატარიძე უკვე ხელოვანთა კავშირის

წვერი-მოქანდაკე ყოფილა. 22 წლის თვითნასწავლი სკულპტორი ჭაბუკისათვის, რა თქმა უნდა, ეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს... მომდევნო, 1922 წელს თბილისში გაიხსნა სამხატვრო აკადემია და იგი მაშინვე ჩაირიცხა ქანდაკების ფაკულტეტზე, რომელსაც მისი საყვარელი მასწავლებელი ი. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. აი, რას წერს ხელოვნებათმცოდნე ალ. წერეთელი:

„პორტრეტულ ჟანრში ნაწილობრივ უმუშავნია ი. ნიკოლაძის მესამე მოწაფეს – ვანო პატარიძესაც. სამწუხაროდ, მისი პორტრეტები თითქმის არ შემონახულა. ზოგიერთი მათგანი გამოტანილი ყოფილა გამოფენებზე და საზოგადოების ყურადღებაც დაუშასხურებია. ვიცნობთ მხოლოდ ვ. პატარიძის რამდენიმე ადრინდელ პორტრეტს, მათ შორის გიორგი სესიაშვილისას (თაბაშირი, შალვა მამალაძის საკუთრება), რომელიც მას შეუსრულებია 1922 წელს, აკადემიაში სწავლის დაწყებისთანავე. პორტრეტი წარმოადგენს მხრებთან მოკვეთილ ბიუსტს. ვ. სესიაშვილი აქ გამოსახულია მისთვის არადაამახასიათებელ პოზაში: მას მედიდურად აქვს გვერდზე მიბრუნებული თავი და სკეპტიკურად იყურება. პორტრეტის დამუშავებაში აშკარად იგრძნობა ვ. პატარიძის ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელი, მაგრამ ამასთანავე ნათლად ჩანს, რომ მას აქვს თავისი მხატვრული აზროვნება. ეს ადრინდელი ნამუშევარი გვაფიქრებინებს, რომ ამ ჟანრში იგი შემდეგში უფრო მეტ უნარს გამოიჩინდა, როგორც მხატვრულობის თვალსაზრისით, ისე ტექნიკის მხრივაც. თუ ამ ხნის პორტრეტებში ვ. პატარიძის შემოქმედება მკრთალია, ამას ვერ ვიტყვით მისგან გამოძერწილ ცხოველებისა და ადამიანის ფიგურების შესახებ“ (ალ. წერეთელი, დასახელებული წიგნი, გვ. 41-42).

სტუდენტობის წლებში ვ. პატარიძის ნაწარმოებები უფრო და უფრო იქცევენ ყურადღებას. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება მისი ქანდაკებების რეპროდუქციები და დადებითი გამოხმაურებანი. მაგალითად: „1927 წლის საიუბილეო გამოფენაზე ყურადღება მიიქცია ი. ნიკოლაძის მოწაფეების შემდეგმა ნამუშევრებმა: ვ. პატარიძის ი. ნიკოლაძის პორტრეტმა, ნინო წერეთლის „ქალიშვილის თავმა“, ს. კაკაბაძის სკულპტურულმა კომპოზიციამ („ზარია ვოსტოკა“, 1927 წ., 15 ნომბერი).

1928 წელს ვ. პატარიძემ დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი, მაგრამ ამავე დროს იგი სწავლობდა საამშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზეც, რომლის სრული კურსი დაასრულა 1931 წელს.

ამის შემდეგ ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა მოქანდაკე-არქიტექტორი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ არქიტექტორად. ჩვეული გატაცებით მუშაობს ქანდაკების ჟანრშიც. აქვე მთლიანად მოვიყვანთ მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ ერთ პატარა წერილს სათაურით – „მოქანდაკე ვანო პატარიძე“.

„ქანდაკების, როგორც გარკვეული სახის ხელოვნების განვითარება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო საქართველოში. კულტურულმა რევოლუციამ აუარებელი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი და მოქანდაკე გამოაჩინა ჩვენში. გაიხსნა აკადემია, სადაც ეს ახალგაზრდები სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას იღებდნენ (გ. სესიაშვილი, ვ. პატარიძე, რ. თავაძე, თ. აბაკელია, შ. მიქაბაძე, ვ. თოფურაძე, ლ. გრიგოლია, მ. თალაკვაძე და სხვ.). ამ თორმეტი წლის სიგრძეზე გაღრმავდა დამწყებ მოქანდაკეთა მისწრაფებაც, როგორც კამერული ქანდაკებისადმი, ისე სოციალისტურ-მონუმენტალურ სტილის ძიებისადმი ქანდაკებაში.

ჩამოთვლილ ახალგაზრდა მოქანდაკეთა კლასიფიკაცია და თვითეული მათგანისათვის შესაფერისი ადგილის მიკუთვნება ქართული ხელოვნების ისტორიაში, სპეციალისტების ვალია, ჩვენ კი, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ერთ ახალგაზრდა მოქანდაკეზე. ეს არის ვანო პატარიძე. მან სერიოზული სიტყვა სთქვა საქართველოში მონუმენტალური ქანდაკებისათვის და წინ წარუძღვა ზემოთ ჩამოთვლილ მოქანდაკებს. ვ. პატარიძე ოფიციალურად სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მოწაფეა, მაგრამ იგი არ ექცევა პროფესორის გავლენის ქვეშ და ინარჩუნებს დამოუკიდებლობის უნარს. ვ. პატარიძეს აწვალეს ფორმის პრობლემა ქანდაკებაში და აქედან იწყება სწორედ იმ გზების ძიება, რომელიც მას ამორებს იაკობ ნიკოლაძის ფრანგული სკოლის პრინციპებს და შემოქმედებით კონცეპციას. ვ. პატარიძის მიერ შესრულებული სახეები სტოვებენ შთაბეჭდილებას არა მარტო თავისი სისადავით, არამედ ფიგურაში შინაგარი რიტმის განვითარების მოცემით და მონუმენტალობით. (არა პლასტიკური ემოციების გამოწვევით). მის ყველა კომპოზიციებში რიტმისა და მონუმენტალობის პრობლემა გადაჭრილია ორიგინალურად. გრძნობთ მასალის მასიურობას (პროფ. კახიანის პორტრეტი ძეგლისათვის, ქვა), პროპორციას (გრეფონები ქართული მუზეუმის ალაყაფის კარებზე, გელათის ნაცრისფერი

ქვა) და ხაზს... აგრეთვე იხილეთ მისი „ვაჟა-ფშაველა“, „მუშა“ და „რევოლუცია“. მოქანდაკე გაურბის სინათლისა და ჩრდილების თამაშს, ფსიქოლოგიზმს და რეალისტურ დეტალებს, რაც დამახასიათებელია ე.წ. იმპრესიონისტ მოქანდაკეთა მანერის (როდენი, ი. ნიკოლაძე, პ. ტრუბეტკოვი, ა. ვალუბკინა), რომელთა შემოქმედებაში სინათლისა და ფაქტურის პრიორიტეტმა შეიწირა ფორმა.

ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის ქანდაკება ავითვისოთ მთელი თავისი სპეციფიკურობით და გავერკვეთ მის არსში. მისი თვითეული ფორმა აღებული ცალკე სავსეა და ჩაკეტილი, რომლებიც ისაზღვრებიან ურთიერთისაგან დიდი გავლებული ხაზებით. ეს მონუმენტალობა იგრძნობა არა მარტო მის დამთავრებულ ნაწარმოებებში, არამედ მის ყველა ესკიზებში (მაგ. კარლ მარქსის ძეგლის ესკიზი, რომელზედაც ახლა მუშაობს მოქანდაკე). ვ. პატარიძე არც ერთი მოქანდაკის პირდაპირი გავლენის ქვეშ არ ექცევა, იგი მხოლოდ სესხულობს ყველა საჭირო და აუცილებელ ელემენტებს დიდ მოქანდაკეთაგან – ფორმას (ბურდული), შინაგან რიტმს (მუხინა), მოცულობას და მონუმენტალობას (მაიოლი). ამათი სინთეზი მის ნაწარმოებებში აშკარად ჩანს და იგი ამ გზით უახლოვდება იმ სტილს, რომელიც აღმავალი კლასის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის და მასში მონაწილე ახალი ადამიანის განწყობილებათა გადმოცემის საუკეთესო სტილია და სოციალისტური თემატიკის გამოსახვისათვის ადექვატური საშუალება... ასეთია სქემატურად ის შემოქმედებითი გზები, რომლებზედაც დგას ვ. პატარიძე. ვანო პატარიძეს ბევრი ვერ იცნობს ტფილისში. მოქანდაკეს სრულებით არ გააჩნია ატელიე, სადაც მას შეეძლოს ნაყოფიერი მუშაობა. საჭიროა მოქანდაკე ვ. პატარიძეს შეუქმნათ პირობები, რომ მას მეტი საშუალება ექნეს გააღრმავოს თავისი ცდები მონუმენტალური ქანდაკების სფეროში“ („სალიტერატურო გაზეთი“, 1933 წ., 13 ოქტომბერი. წერილს ხელს აწერს შ.ქ-ძე. წერილის სტილი დაცულია).

ეს ვრცელი ციტატა აშკარად მეტყველებს, თუ როგორი შესაძლებლობები გააჩნდა და რა დიდ იმედებს იძლეოდა ვ. პატარიძე. ხოლო იმავე პერიოდში აი, რას წერდა ქართული ქანდაკების დიდოსტატი იაკობ ნიკოლაძე:

„ვანო პატარიძემ დიდი მხატვრული და ტექნიკური მომზადება გაიარა ქანდაკებაში. ცნობილია ბევრი შესანიშნავი ნამუშევართ, რომელთა შორისაც ყურადღება მიიქცია ქვაში შესრულებულმა

„კოლმეურნე ქალიშვილმა“ („ზარია ვოსტოკა“, 1934 წ., 4 ინვარი).

...და აი, თავისი შემოქმედების აყვავების პერიოდში, ავბედითი ოცდაჩვიდმეტის მსახვრალი ხელი ვ. პატარიძესაც მიწვდა. ათი წელი და როგორი ათი წელი გაატარა მან უსამართლო დამცირებასა და ვაებაში. ხელს, რომელსაც საჭრეთელი და ფანქარი უნდა სჭეროდა, წერაქვი და ნაჯახი ეჭირა ტაივის უსაშველო ყინვაში.... ცოცხალი გადარჩა და ჩამოვიდა, მაგრამ მეტად მგრძნობიარე ადამიანისათვის, ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ეს მაინც სიკვდილს უდრიდა...

შემდგომ წლებში ვ. პატარიძემ იმუშავა საქართველოს მთავრობის სახლის ფასადის მშენებლობაზე. მისი შექმნილი მთავარი ფასადის ფრონტონის მოდელი. მისი უკანასკნელი ნამუშევარია ვაკის პარკში დადგმული ორი ვეება ქვის ძუ ვეფხვი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ვანო პატარიძე გარდაიცვალა 1956 წელს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. პატარიძე ფრიად განათლებული პიროვნება იყო. დედანში კითხულობდა შექსპირსა და გოეთეს. გატაცებით უყვარდა პოეზია, გათენებამდე ისაუბრებდა ლიტერატურაზე და ბევრი მეგობარიც ჰყავდა თავისი თაობის ქართველ მწერალთა შორის. გასაკვირი არც არის, რომ მის პირად არქივში რამდენიმე საკუთარ ლექსსაც წავაწყდით.

ამ წერილში ჩვენ სრულებითაც არ დავვისახავს მიზნად ვანო პატარიძის შემოქმედების განხილვა. ეს ძალიან ძნელია ამჟამად და ჩვენს ძალასაც აღემატება. ამიტომაც ასე უხვად მოვიყვანეთ ციტატები. დაე, ხელოვნებათმცოდნეებმა იმსჯელონ მისი ნაწარმოებების ავ-კარგიანობაზე. მხოლოდ ხანდახან კარგია „მივიწყებულთა და გამორჩენილთა“ გახსენებაც, რომ ქართული ხელოვნების და, კერძოდ, უახლოესი პერიოდის ისტორია სრულყოფილი იყოს. სხვა პრეტენზია ამ წერილს არა აქვს.

ჩვენ საათობის გვისაუბრია ვანო პატარიძესთან, გვიგრძნია მისი კეთილშობილი სულიც და თავისთავისადმი უმაღურებაც, გვინახავს უზარმაზარ ლოდთან შეჭიდებული ეს ჩია ტანის კაცი, გაუტეხელი სულითა და დაავადებული გულით. სწორედ ამან და მისი შემოქმედებითი რეაბილიტირების სურვილმა გაგვაბედვინა ამ სტრიქონების დაწერა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1997, 11-18 ივლისი

## ცხოვრების უტყუარი მხატვარი

ალ. მრევლიშვილის ნაწარმოებთა გამოფენა ქ. მცხეთაში

...შუა ალავას ჩარღვეული წნელის დაბალი ღობე. ღობის გადაღმა შარავზაზე იარაღსხმული გზირები მიბიჯებენ. მათ საოჯახო ნივთები – ფარდაები, სპილენძის ქვაბი, სავსე ფუთა აუკიდიათ... ღიპიანი, კისერმორგვა მამასახლისი კი, რომელსაც ილიაში გადასახადების დიდი დავთარი ამოუჩრია, მობრუნებულა და პირქუშად უბღვერის ღობის შიგნით მყოფთ. ღობის შიგნით ტრაგედია ტრიალებს: ჩოხა შემოფხრეწილი ნაბეკვი გლეხი მიწაზე გდია და ამაოდ ცდილობს წამოდგომას, მასთან პატარა გოგონამ დოქით მოირბინა, სისხლი უნდა მობანოს გაღახულ მამას. თავსაფარჩამოშლილ ქალს ხელები აღუპყრია და წყევლა-კრულვას უთვლის მოძალადეებს. პაწია ბავშვი შემინებული ჩაჰკვრია დედის კალთას... დარბეული ოჯახის კიდევ ერთი წევრი, პატრონის მსგავსად ნაცემი ძალდი ღობის ძირში მიყუჟულა და საცოდავად წკაგწკაგებს.... წაქცეული ხელადა და იქვე დაგდებული ღობიდან ამოძრობილი სარი ამტკიცებს, რომ აქ ახლახან დამთავრდა უხეში ძალადობა.

ვის არ ახსოვს ეს შესანიშნავი სურათი. მისი ერთხელ ნახვაც საკმარისია, რომ სამუდამოდ შემორჩეს გონებას. „დაბალი ღობე“ – ასე უწოდა მხატვარმა ალექსანდრე მრევლიშვილმა თავის ამ საუკეთესო ქმნილებას. და ეს „დაბალი ღობე“ აქ სიმბოლური ჟღერადობისაა – აწიოკებული ნაცემი გლეხკაცია დაბალი ღობე. მხატვარმა საოცრად პოეტურად გაიაზრა სურათი. ეს ტილო მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს ქართველი გლეხკაცის ტანჯვა-ვაებას. სამართლიანად შენიშნა დ. ჯანელიძემ, ეს სურათი ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილს“ გვახსენებსო, მაგრამ იქვე დაუმატა: „ცხადია, ეს ნაწარმოები სრულიადაც არ არის „გოგია უიშვილი“ ქართლური მასალით დასურათება. საყურადღებო ის არის, რომ მოწინავე მწერალს და მოწინავე მხატვარს ცხოვრების ერთი და იგივე მოვლენები აწუხებდათ, მათ ერთნაირი მხატვრული ხედვა ჰქონდათ, ორივე სოციალური უსამართლობის მამხილებელი იყო და ისინი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით გამოხატავდნენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას სოფლად“.

ალექსანდრე მრევლიშვილი საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში დაიბადა 1866 წელს. სწავლა დაიწყო თბილისის

სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ მხატვრობით გატაცებულმა მალე სკოლას თავი მიანება და მეცადინეობას შეუდგა მხატვარ ლონგოს ატელიეში. შემდეგ მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში შედის. 1890 წელს ალ. მრეკლიშვილმა წარმატებით დაამთავრა ეს სასწავლებელი და საქართველოში დაბრუნდა. 1898 წელს საფრანგეთში წავიდა და პარიზის ჟილიენის აკადემიაში გააგრძელა სწავლა. 1901 წელს საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და მთელი თავდავიწყებით მიეცა შემოქმედებით ცხოვრებას. ალ. მრეკლიშვილი გარდაიცვალა 1933 წელს.

და აი, მხატვრის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მცხეთაში, სადაც იგი დაიბადა, პირველად მოეწყო ალ. მრეკლიშვილის სურათების გამოფენა. მხატვრის ნაწარმოებები გამოფენილი იყო მცხეთის კულტურის სახლში. ეს სახლი მოთავსებულია იმ შენობაში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა თვით ალ. მრეკლიშვილი. ამ სახლში შექმნილი ნაწარმოებები, გაფანტულნი სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო საცავებში, დროებით ისევ დაუბრუნდა შემქმნელის კერას, საყვარელ მცხეთას.

მცხეთელებს თავიანთი სასიქადულო თანამემამულე ძალიან უყვართ. ერთი თვის განმავლობაში გამოფენა ათასობით ადამიანმა დაათვალიერა. მოდიოდნენ მხატვრის თანამედროვე ბერიკაცები, მოდიოდნენ წითელყელსახვევიანი პიონერები, რომელთაც ადრე მხატვრის ერთი სურათიც კი არ ენახათ.

კულტურის სახლის სამ ოთახში ლამაზად და გემოვნებით იყო განლაგებული ალ. მრეკლიშვილის 60-მდე ფერწერული სურათი და ნახატი. აქ იყო გამოფენილი სახელგანთქმული „დაბალი ღობე“, „კალოზე“, „სოფლის კანცელარიის წინ“, „გზაჯვარედინზე“... ამ ჟანრულ სურათებში ყველაზე უფრო გამომჟღავნდა მხატვრის შემოქმედებითი სტიქია. თითოეული მათგანი დამთავრებული ნოველაა. ეს შედარებით მცირე მოცულობის ტილოები თემატურად მეტად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი და ფერწერულად ოსტატურად არის შესრულებული.

საოცრად გამომსახველია მის მიერ შესრულებული პორტრეტები: „მამაკაცი“, „არჩილ ჯორჯაძე“, „რუსი გლეხი“, „ქალი“. გრაფიკულ ნამუშევრებიდან გზიბლავთ „რკინიგზის სადგურთან“, „ძროხა და ხბო“, „პარიზი განთიადისას“.

ფერების სიფაქიზითა და ხაზების ელასტიურობით სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ალ. მრეწლიშვილის აკვარელები: „ნატურმორტი“ და „ბედუნები უდაბნოში“. მნასველთა ინტერესს იწვევდა მისი „კრწანისის ბრძოლის შემდეგ“, „ოცდაათი ვერცხლი“ და „მირქმა“.

გამოფენის დასაწყისშივე ეკიდა ალ. მრეწლიშვილის ავტობორტრეტი, რომელსაც არასოდეს არ აკლდა ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

„ლიტერატურული საქართველო“, 1963-44



## ცხრაასს უთელი პარტიზანები

(გამოცა 1957 და 1968 წლებში. აქ წარმოდგენილია  
გადაბუშავებული და შემოკლებული ვარიანტი)

### წინასიტყვაობა

საქართველოში ძველთაგანვე სახელგანთქმული იყენენ ის ვაჟკაცები, რომლებიც გაურბოდნენ უსამართლობას და ტყეებს თავს აფარებდნენ. ისინი იარაღით ხელში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

გავიხსენოთ ქართლელი დევმირი – არსენა ოძელაშვილი, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების წინამძღოლები – უტუ მიქავა და მართალი თოდუა, რაჭველები – ზვიად ლობჯანიძე და გულითად გავაშელაშვილი, სვანები – ვიცბილი და მაცბილი, ქართლელები – კანი და ბირტი, გურული – ბულარა მამალაძე და სხვ.

გავიხსენოთ უფრო გვიანდელი დევნილები: აღმოსავლეთ საქართველოში სახელგანთქმული ტატო წულუკიძე, აჭარლები – ილიასა ხელაძე და მეკლუდ დიასამიძე, ქართლელები – სანდრო ხუბულური და ტატე ჯიოშვილი, მთელი პლეადა გურული ფირალებისა: გოგია ლომჯარია, დათულია სურგულაძე, ნიკოლოზ მეხუზლა, სისონა და ვასილ დარჩიები, დათა მიქელაიშვილი, ილარიონ დათუნაიშვილი და მრავალი სხვა.

საქართველოში მეტად თავისებური მოვლენა იყო ტყეში ვაჟკაცური გაჭრა, რომელიც სპეციალური შესწავლის ღირსია.

ამ წიგნში შეტანილ ათ ნარკვევში გადმოცემულია თორმეტი პარტიზანის ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი მთავარი მომენტები. გარდა გურიაში მოქმედი პარტიზანებისა<sup>1</sup> (დათიკო შევარდნაძე, სიმონა დოლიძე, კიკია მამულაიშვილი, ერასტი ჯორბენაძე), თითქმის არც ერთ მათგანზე არ დაწერილა არაფერი, მხოლოდ გაკვრით შეიძლება შეხვდეთ აქა-იქ ორიოდ სიტყვას. ასე რომ, ნარკვევების უმრავლესობა ჯერჯერობით პირველი ცდაა ამ მხრივ.

დიდად გაჭირდა მასალების მოპოვება. ზოგიერთ პარტიზანზე, რამდენადაც ვიცით, საერთოდ არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. შევეცადე, მომეძებნა ისეთი პირნი, რომლებიც საჭირო ცნობებს მომაწოდებდნენ.

<sup>1</sup> ან. ხინთიბიძის „გურული ფირალები“, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების გამოცემა, 1938 წ.

ხანგრძლივი დროის გავლის გამო, სამწუხაროდ, ზოგჯერ მომსწრე პირებსაც ზუსტად აღარ ახსოვთ თარიღები და მოვლენები.

დიდი დახმარება გაგვიწია იმ დროს შეთხზულმა ხალხურმა ლექსებმა.

მხოლოდ უდიდესმა სიყვარულმა და პატივისცემამ ამ გმირი პარტიზანებისადმი, აგვადებინა კალამი ხელში. როგორც არა სპეციალისტ-ისტორიკოსს, არამედ რიგით ლიტერატორს, არც გაგვიზრახავს ღრმა მეცნიერული ანალიზების შემცველი შრომის დაწერა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე პარტიზანის პორტრეტი მოვხაზეთ; ვხელმძღვანელობდით ერთი უმთავრესი დევიზით – „ხალხი იცნობდეს თავის გმირებს“ – და ვიმეორებთ, არავითარი სხვა პრეტენზია არა გვქონია.

დასასრულ, არ შეგვიძლია მადლობა არ გადაუხადოთ იმ პირთ, რომელთაც არ დაიზარეს და დახმარება გაგვიწიეს ამ წიგნზე მუშაობის დროს, როგორც კერძო საუბრებით, ისე წერილობითი მასალების მოწოდებით. მათ შორისაა: მწერლები – სოლომონ თავაძე და ლავრენტი ჭიჭინაძე, ლექტორები – ანტონ ხინთიბიძე და დავით გოგოჭური, პარტიზანთა ოჯახის წევრები – თამარ იმელიშვილი, ვლადიმერ წითელიშვილი და ვახტანგ შევარდნაძე, თელავის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლები და მრავალი სხვა, რომელთაც ნარკვევებშიაც ვინსენიებთ.

## დათიკო შევარდნაძე

„ეკალს მისთვის ძირს ვუთხრიდი,  
რომ ხალხს დავეწინოდი ვარდად“.

*ხალხური*

რეაქციის სუსხიან წლებში გურიაში მოქმედ პარტიზანთა შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურაა დათიკო შევარდნაძე, რომლის საგმირო საქმეები ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე ლეგენდებად გადადიოდა ხალხში. დათიკო შევარდნაძეს გურიის არსენას უწოდებენ და ამით უკვე ნათლად ჩანს ის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ამ მგზნებარე რაინდმა თანამემამულეთა გულში სამარადისოდ დაიმკვიდრა.

დათიკო ედიშერის ძე შევარდნაძე დაიბადა 1875 წელს სოფ.

ასკანაში (ოზურგეთის რაიონი). მის გვარს თითქოს ტრადიციულად მოსდგამდა ქედუხრელობა ყოველგვარი უსამართლობის წინაშე. აი, როგორ გადმოგვცემს ღათიკო თავისი გვარის წარმოშობას პანტელეიმონ ჩხიკვაძის ისტორიულ რომანში – „ნაბიჯები“:

„მამაჩემის ბაბუას მეტსახელად „უმორჩილოს“ ეძახდნენ. ის თავისთვის ცხოვრობდა ნაბელღავის მიდამოებში და არც ბატონს აძლევდა ღალას და არც ერისთავს. ბატონსა და ერისთავსაც ბრაზი ახრჩობდათ, „რა გაგვიხდა ეს შევარდენა, რომ მაგის დამორჩილება ვერ შევძელით“. შევარდენას სასაცილოდაც არ ყოფნიდა თურმე ერისთავისა და მისი ხელქვეითების მუქარა.

...ერთ მშვენიერ ღღეს, შევარდენა თურმე ქვეითად მოდის ნავომარის ჭალებში. გზაზე ცხენით მომავალი ერისთავი შესვედრია. ერისთავს ყალიონი გაუწყვია, მაგრამ ცეცხლი არ ჰქონია და გაწყობილი ყალიონი ხელში შერჩენია. შევარდენა მოაბოლებს თურმე ყალიონს და მგზავრულსაც ღიღინებს.

– ყაზახო, ცეცხლი მომაწოდე! – შეუძახა თურმე ერისთავმა. შევარდენას ყალიონი მიუწოდებია ერისთავისათვის, ვაჟკაცური სალაში მიუცია და ცოტა მოშორებით დამდგარა.

ერისთავს ყალიონი გაუჩაღებია, შევარდენას ყალიონი ტალახში გადაუგდია, ცხენისთვის მათრაზი შემოუკრავს და, ის იყო, ცხენი გაფრენას აპირებდა თურმე, შევარდენამ იძრო დამბაჩა და შესაზარი ხმით შეჰკივლა ერისთავს: „თუ ცოლ-შვილი არ მოგებზრებია, ძირს ჩამოხტი და ყალიონი ხელში მომაწოდე, შე პირუტყვო მამაძაღლო“. ერისთავს ცხენი შეუყენებია, შიშის კანკალი ავარდნია, ძირს ჩამომხტარა. ყალიონი ტალახიდან ამოუღია, აბრეშუმის ახალონის კალთაზე გაუწმენდია და შევარდენასათვის გაუწოდებია, თანაც დაუტანებია: „მითხარი, რა გვარი ხარ, შენთვის აზნაურობა ჰალაღია, თუ ღღემდე არ ხარ აზნაური“.

– აზნაური არ ვარ, მაგრამ თავადაზნაურობის ზაფრა ვარო, – უპასუხა თურმე შევარდენამ, – მე შევარდენას მეძახიან, გვარად უგრეხელიძე ვარ, – სთქვა თურმე და დამბაჩამომარჯვებულმა შევარდენამ ისევ ერისთავს შეუტია: „თავს ნუ იკატუნებ, ცხენზე მეჯექ და გააქანო“.

ერისთავი თავით ფეხებამდე შეიარაღებული იყო თურმე და შევარდენას ეშინოდა კიდევ, ხელი არ გამოიღოს და არ შემარცხვინოსო.

– შენი სახელი და გვარი, ვაჟკაცო! – ხელმეორედ იკითხა თურმე თავზარდაცემულმა ერისთავმა.

– შევარდენა ვარ, შევარდენა. საცა შენი სთქვა, ნურც ჩემი დაგავიწყდებო, – მიაძახა თურმე შერცხვენილ ერისთავს, და მას შემდეგ ჩვენს ბაბუასშვილებს შევარდნაძეებს ეძახიან...“<sup>1</sup>

გარდა ამისა, სხვა საინტერესო ეპიზოდებიც არის გადმოცემული ამ რომანში შევარდნაძის ცხოვრებიდან 1905 წლის პერიოდში, მათ შორის, ცნობილი შეტაკება ნასაკირალთან.

დათიკო შევარდნაძის ვაჟის – ვახტანგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მწერალს ეს ადგილი გაულამაზებია“ (რისი უფლებაც მას აუცილებლად ჰქონდა), დაე, ეს ამბავი დათიკო შევარდნაძის გვარის წარმოშობის შესახებ იყოს ლეგენდა, ლამაზი ლეგენდა, თვით დათიკოს ცხოვრებაც სომ ლეგენდარული იყო!

დათიკო შევარდნაძე თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. დამთავრებული ჰქონდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამიოდე წელი უმუშავია ნოვოროსიისკის ნავსადგურში მტვირთავთა ათისთავად. გურიაში დაბრუნების შემდეგ დათიკო რამდენიმე წელს მსახურობდა სოფლის კანცელარიაში მწერლად. იგი კარგად ფლობდა რუსულ ენას და საკმაოდ გამართულ ლექსებსაც თხზავდა.

რაღაც გაუგებრობის თუ პირადი ინტერესის საფუძველზე დათიკო შევარდნაძეს ტერორი დაუნიშნა რსდმ პარტიის გურიის კომიტეტმა. რამდენჯერმე კიდევ დაეცნენ მას მოსაკლავად, მაგრამ იგი ყოველთვის გადაურჩა ხიფათს. 1903 წლის მიწურულში მომხდარი ერთი ასეთი შემთხვევა აღწერილია გაზეთ „ივერიაში“. „27 დეკემბერს სოფ. ბახვში ბასილია ჩასაფრებია გზაზედ მიმავალს სოფლის მწერალს დ. შევარდნაძეს, რომლის მოკვლა სდომებია, მაგრამ შევარდნაძეს მოუსწრია ფოთის სროლა და ბასილია სასიკვდილოდ დაუჭრია“.<sup>2</sup> 1904 წლის ოქტომბერში „ივერია“ ისევ ათავსებს ცნობას შევარდნაძეზე ახალი თავდასხმის შესახებ, ამჯერად დაბა ჩოხატაურში. აღსანიშნავია, რომ დათიკომ, მიუხედავად ქუთაისის გუბერნატორის ძალდატანებისა, თავდამსხმელი არ გასცა, რადგან იცოდა, რომ ეს იყო რაღაც გაუგებრობის შედეგი.

ბოლოს, თვით შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნით, კომიტეტის

<sup>1</sup> პანტელეიმონ ჩხიკვიძის ტრილოგია „ნაბიჯების“ პირველი წიგნი „ლომისკარელი“, 1934 წ., გამოც. „ფედერაცია“, გვ. 238-239.

<sup>2</sup> გაზეთი „ივერია“, 1904 წლის, № 232.

მიერ გამოყოფილმა კომისიამ გაარჩია ეს საქმე, კომიტეტი დარწმუნდა დათიკოს ერთგულებაში და იგი არალეგალურ სამუშაოზე იქნა გაგზავნილი სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში. იქ შევარდნაძე დააპატიმრეს, მაგრამ ქუთაისის ციხიდან ჩქარა გაიქცა და ისევ გურიას დაუბრუნდა.

1905 წლის რევოლუციის დღეებში დათიკო შევარდნაძე ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ რაზმს, რომელიც თავადებით ემსახურებოდა „გურიის რესპუბლიკის“ ინტერესებს. ეს რაზმი მამაცურად იბრძოდა ნასაკირალის ცნობილ შეტაკებაში 1905 წლის ოქტომბერში.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ დათიკო შევარდნაძემ ტყვეს შეაფარა თავი. შევარდნაძის სახელი თანდათან ზღაპრული ხდება. მის პოპულარობას ხელს უწყობს ვაჟკაცური შესახედაობა – მაღალი, ბრვე ტანი, ცეცხლისმფრქვეველი თვალები და ომახიანი ხმა, გასაოცრად მამაცი, არაჩვეულებრივად სწრაფი. სროლა ხომ მართლაც უბადლო სცოდნია. დათიკოს მეუღლე გულო იგონებს: „ახირებული ხასიათის იყო ჩემი ქმარი, ერთხელ დამთვრალიყო და დამჩემდა: დადექი ეზოში, კვერცხს დაგადებ თავზე, ვნახოთ ტყვიას თუ მოვახვედრებ კვერცხსო... უარი არ გამივიდა. დაზომა სამოცი ფენის ნაბიჯი, დამადგა თავზე კვერცხი, ესროლა ტყვია და კვერცხი თავიდან გადააგდო“. აღსანიშნავია, რომ შევარდნაძე ხელუკუღმა სროლის იშვიათი ოსტატიც ყოფილა; თავდამსხმელებს როცა გაუბრძოდა, ერთხელ მოიხედავდა თურმე უკან, შემდეგ თოფის ლულას უკან მიმართავდა და ისე ესროდა მტერს. ამ ხერხით მას ბევრი მღევარი მოუკლავს. ბევრჯერ დაუგეს სასიკვდილო მახე, ბევრჯერ ეკიდა მისი სიცოცხლე ბეწვზე, მაგრამ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა უებრო ვაჟკაცი. ხშირად „სტრაჟნიკთა“ მთელ ოცეულსაც ვერ შეუებდნია მარტოდმარტოსთან შებრძოლება.

ერთხელ ასეთ შემთხვევა ჰქონია: სოფ. ხიდისთავის ბაზარში შუადღისას, ნაღვინევ შევარდნაძეს დუქნის ყაფანზე გაუშლია ნაბადი და დაუძინია. ჩამოუვლია ურიადნიკს რამდენიმე სტრაჟნიკით. თვალი მოუკრავს თუ არა დათიკოსათვის, შიშის კანკალი ავარდნია; შემოუკრავს ცხენისთვის მათრახი, მომყევითო, უბრძანებია სტრაჟნიკებისათვის და გაუქუსლავს; თან უკან იხედებოდა თურმე, ხომ არ გაიღვიძაო. იქვე მყოფ გლეხებს ფრთხილად გამოუღვიძებიათ დათიკო და უთქვამთ ყოველივე. შევარდნაძეს თავისებური „ხორხოზა“

ხმით გადაუხარხარნია, „ერთი მაგათიო“ – შეუკუროთხებია და გვერდზე გადაბრუნებულს არხეინად განუგრძია ძილი.

ხალხში რწმენა იყო – დათიკოს ტყვია ვერაფერს დააკლებს, – მონუსხულიაო.

ოთხი წელი ფირალობდა გურიაში დათიკო შევარდნაძე, ოთხი წელი „შიშის ზაფრა ჰქონდათ შეყენებული“ რუსეთის მეფის დამქაშებსა და ჯაშუშებს. შევარდნაძის გამო გლეხებს ჯარიმებს ახდევინებდნენ და ეგზეკუციებს უყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ღარიბი მოსახლეობა გულმოდგინედ იფარავდა თავის საყვარელ მოსარჩლეს და ლოცავდა მის სახელს; ხალხურ ლექსში შევარდნაძე ამბობს:

„მე კი ჩემი მტკიცე რწმენით  
არ ვიხდიდი მტერთან ბოღიშს,  
არ ვიყავი მოყვარული  
ბატონების, არცა ყმობის;  
არ გაყვიდდი მოძმეს ფულში,  
ამით მიყვარს თავი დიდათ,  
მხოლოდ იმას ვამბავდდი,  
ვისაც შევამჩნევდი ფლიდათ.  
თავმოყვარობას ვიცავდი  
ჩვეულუბრივ წესებ-რიგად.  
გაჭირვებულს თუ ვნახავდი,  
ვეგებოდი გზად და ხიდად“.<sup>1</sup>

მაგრამ აღმოჩნდნენ სულმოკლე კაცუნებიც, რომლებიც დახარბდნენ თანხას, რომელსაც მეფის მთავრობა ჰპირდებოდა იმას, ვინც დათიკოს დაიჭერდა ან მოჰკლავდა. რაც ვერ გააკეთა ტყვიამ, ის შესძლო ფულმა!

გურიის არსენა, მარაბდელი გმირის მსგავსად, ნათლიმამამ გაჰყიდა.

1909 წლის დეკემბრის მიწურულია, მოღალატე მოსე ჭელიძემ სტუმრად მისულ შევარდნაძეს არაყში საწამლავი შეაპარა და ბოქაული დაიბარა. შხამისაგან დასუსტებული ვაჟკაცი მარტო დაადგა გზას. აი, როგორაა გადმოცემული ხალხურ ლექსში ეს ამბავი:

<sup>1</sup> ალ. ღლონტი, „გურული ფოლკლორი“, 1937წ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 83.

„თვალთ არაფერს ვხედავდი,  
 პრისტავი რომ შემხვდა გზაზე,  
 მე ხმამალა შეეუძახე;  
 გადადექით ყველამ განზე.  
 ყველა შეკრთა და შეშინდა  
 პირველად ჩემს დანახვაზე,  
 ბაჯელიძემ დაიძახა –  
 დათიკოა შევარდნაძე.  
 ჩვეულებრივ შევტრიალდი,  
 მტერი რომ შემომესია,  
 თოფის სროლას შევუდექი,  
 როგორც ვაჟკაცის წესია.  
 კაცი, ძალ-ღონე მიხდილი,  
 რომ მოკვდეს უკეთესია.  
 თქვენც იფიქრეთ, რას ვიზამდი  
 მწუხარე და ავადმყოფი,  
 სტრაჟნიკს ფეხი მოვამტვრიე,  
 გავისოლე ერთი თოფი.  
 ამხანაგი აღარ მყავდა,  
 არც მოყვარე – განაყოფი,  
 ან შემძლებოდა მესროლა,  
 ტყვია კი მქონდა სამყოფი.  
 . . . . .  
 მთავარი სული არ მქონდა,  
 როცა წელში მომხვდა ტყვია,  
 საწამლავით გულმონარშულს  
 სიკვდილიც არ შემიტყვია“.<sup>1</sup>

ოფიციალური პრესა წერს: „შევარდნაძეს თოფი მოუმარჯვინია და უთქვამს მათთვის: „მე არაფერს გერჩით, ჩაიარეთ, თავს ტყუელაუბრალოდ ნუ შემომაკლავთ“. „არც ჩვენ გერჩითო“, – უპასუხნიათ მათ და მის გვერდით ჩაუვლიათ. შევარდნაძე ნახევრად უკან ცქერით გასდგომია გზას და მოსახვევში პატარა გორაკის მოფარებით განუგრძია გზა. ამ დროს სტრაჟნიკები იმავე გორაკის მოფარებით შეუმჩნეველად დასწევნიან და ტყვია ზურგში მოურტყვამთ. შევარდნაძე უცბად შემოტრიალებულა – „თავისი მაინც არ დაიშალესო“ – დაუყვირია და ორჯერ გაუსროლია თოფი“.

სოფ. საჭამიასერში (ჩონხატაურის რაიონი) ჩავიწერეთ დღემდე

<sup>1</sup> ალ. ლლონტი, „გურული ფოლკლორი“, გვ. 85.

უცნობი ხალხური ლექსი: „ამხანაგების ტირილი დათიკო შევარდნადის დალუპვაზე“.

„ჩვენი დათიკო ვიზილეთ  
ამხანაგებმა მძინარი,  
თვალები ამოვუკოცნეთ  
და შევიქენით მტირალი.  
როდესაც კი გონს მოვედით,  
ვთქვით, რომ სისხლი ავილოთო,  
ჯერ მოღალატე შევიტყოთ,  
საწამლავი ვისგან იყო,  
დათიკოს თავზე ტყვია  
ნიშანში ვინ ამოიღო.  
მშვიდობით, ჩვენო დათიკო,  
ჩვენ არ ვუზამთ შენს მკვლელს კარგსო,  
ახლა წავალთ, ვანუგეშებთ  
შენს მეუღლეს გულიჩკასო“.<sup>1</sup>

ცნობილია, დათიკო შევარდნადის თანამებრძოლებმა ფიცი მურისძიებისა ძალიან მალე შეასრულეს.

საინტერესოა აგრეთვე ხალხური ლექსი „დედის ტირილი“:

„ჩემო დედის ერთო შვილო,  
სიობლეში გამოზრდილო;  
ყოველ კაცის საყვარელო,  
ერთგულო და ენატკბილო.  
შენი დედა ვარ საწყალი,  
შენზედ ვტირი, შენზედ ვდარდობ,  
ხანდისხან კი ამას ვიტყვი,  
მას ტირილი როგორ ვკადრო“.<sup>2</sup>

დ. შევარდნადის სახელი ფართოდ იყო ცნობილი მთელ საქართველოში, მის შესახებ ზმირად წერდა იმდროინდელი რუსულ-ქართული პრესა. ქართველმა ხალხმა კი თავისი მამაცი შვილის სახე უკვდავყო მრავალ ხალხურ ლექსში, რომელთაც დღესაც დიდი სიყვარულით მღერიან.

<sup>1</sup> მთქმელი გიგა მეგრელაძე.

<sup>2</sup> „გურული ფირალები“, გვ. 106-107.



## სიმონა დოლიძე

„ყოველი მხრივ დაჩაგრული  
 მე ვარ სიმონა დოლიძე,  
 ექვსი წელი შემისრულდა,  
 არ მიძინია ლოგინზე.  
 უბედურად დადგა ჩემთვის  
 ეს ცხრაასთერთმეტი წელი,  
 იმედის ძაფი გამიწყდა,  
 აწ სიცოცხლეს აღარ ველი.  
 ცხრა ენკენისთვის მესიზმრა,  
 ვითომ ყელს მეხვია გველი,  
 ვეცადე, ვერ მოვიშორე,  
 ისე შემეშალა ხელი“.

ვის არ მოუსმენია ეს მგრძობიარე სიმღერა, რომელიც, როგორც ირკვევა, ეკუთვნის გამოჩენილ ლოტბარსა და სახალხო მთქმელს – ვლადიმერ ბერძენიშვილს. სიმონა დოლიძე რეაქციის პერიოდის პარტიზანთა პლეადის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია.

სიმონა ნიკოს ძე დოლიძე დაიბადა 1885 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლებაში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

პატარა სიმონამ ბავშვობიდანვე იგრძნო თავისი მხრებით სოფლისათვის დამახასიათებელი გაჭირვება და სიღუჭჭირე, ვინაიდან ოჯახის ბურჯი – მამა ნიკო, წლების მანძილზე მოშორებული იყო მშობლიურ კერას. იგი ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა მტვირთავთა ათისთავად. როცა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა, თვითონ სიმონაც ბათუმს წავიდა, სადაც მამის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ მის ადგილზე დაიწყო მუშაობა.

გურიაში დაბრუნებული სიმონა 1905 წელს მამაცურად იბრძვის აჯანყებულთა რიგებში.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ სიმონა დოლიძე, რომელსაც პოლიცია გააფთრებით დასდევდა, იძულებული გახდა შეერთებოდა ტყეში გაჭრილ პარტიზანებს. მან თავიდანვე გაითვა სახელი, როგორც უშიშარმა ვაჟკაცმა და თავდადებულმა მებრძოლმა.

სიმონა დოლიძე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო იმ პერიოდში გურიაში მოქმედ პარტიზანებთან: დათიკო შევარდნაძესთან, კიკია მამულაიშვილთან, ერასტი ჯორბენაძესთან,

ილიკო იმერლიშვილთან, ისაკი თოიძესთან და სხვებთან. უფრო დიდი მასშტაბის პარტიზანული თავდასხმებისა და ტერორისტული აქტების შესრულების დროს, როგორც წესი, ისინი მოქმედებდნენ ერთობლივად დათიკო შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

მეფის მთავრობა გამალებით დაეძებდა სიმონა დოლიძის კვალს:

„გადმოდიოდნენ, მეძებდნენ  
ისინი მაღალ გორებზე,  
დაბრუნებულნი ხალხს სცემდნენ,  
მკლავებს იწვრთოდნენ ღონეზე.  
მწარედ მტკიოდა მე გული  
უბრალო ხალხის ცემაზე,  
შევხვდი და ოთხად გავვლიჯე.  
სისხლი გადავივლე ენაზე“<sup>1</sup>.

ეგზეკუცია ეგზეკუციაზე იგზავნებოდა გურიაში მის შესაპყრობად ან მოსაკლავად. ხალხი წელში წყდებოდა აუარებელი ჯარიმისა და გამუდმებული აწიოკებისაგან. აი რას ამბობს სიმონა დოლიძე ხალხურ ლექსში:

„ხალხს მეტად ვუფრთხილდებოდი,  
საქმეს ვაკეთებდი რიგზე,  
ჩემთვის არვინ დაიტანჯოს,  
მუდამ ვიყავ ამის ფიქრზე,  
ხშირად ტყეში ვიმალოდი,  
მიეწვებოდი წიფლის ძირზე“<sup>2</sup>.

სიმონა დოლიძე იძულებული ხდება დროებით დასტოვოს მშობლიური გურია და ისევ ბათუმისაკენ გასწიოს. ხალხური ლექსითაც და გადმოცემითაც მტკიცდება, რომ იგი შეუძლოდაც ყოფილა ამ დროს („ცოტა მუხლები მტკიოდა“).

მას თან ახლდა მელქისედეკ ბურჭულაძე და ანდრო დოლიძე. ანდრო დოლიძე სახლიკაცი იყო სიმონასი და არა ძმა, როგორც ეს ზოგიერთებსა ჰგონიათ. სადგურ ნატანებთან ისინი დასასვენებლად შევიდნენ სასიმინდემი და ანდრო დოლიძე საჭმლის მოსატანად გაგზავნეს. ამ უკანასკნელმა ვერაგულად გაყიდა ისინი და შემოუსია სტრაჟნიკთა მთელი რაზმი პროპორშნიკ ჯაფარიძის მეთაურობით.

<sup>1</sup> „ქართველი სახალხო გმირები“, ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1952 წ., გვ. 89.

<sup>2</sup> ან. ხინთიბიძე, „გურული ფირალები“, გვ. 108.

თავდასხმა მომხდარა 1911 წლის სექტემბერში. აი, რას კვითხულობთ ამ ამბის შესახებ გაზეთ „კოლხიდაში“:

„კვირას, 25 სექტემბერს, დღის 2 საათზე, სადგურ ნატანების მახლობლად სასიმიინდეში თავი შეუფარებია ორ უცნობს, როგორც უფიქრიათ, ისინი ყაჩაღები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ამბავი გაუგია ადგილობრივ ადმინისტრაციას და დარაჯთა რაზმი გაუგზავნია უცნობების შესაპყრობად. დარაჯებს ალყა შემოურტყამთ სასიმიინდესათვის და მათ მოთხოვნაზე „დაგენებდითო“, უცნობებს სროლით უპასუხნიათ. თავის მხრივ დარაჯებსაც აუტეხნიათ სროლა. ერთი უცნობთაგანი გადმომხტარა სასიმიინდედან და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ის დარაჯებს მოუკლავთ, ხოლო მეორეს უსარგებელია ამით და გაქცევა მოუსწრია. მოკლული, როგორც ამბობენ, უნდა იყოს ამაღლების საზოგადოების მცხოვრები ყაჩაღი სიმონ დოლიძე და მეორეს ვინაობა გურკვეველია. დარაჯების მხრივ მოკლულია პროპორჩიკი ჯაფარიძე“.<sup>1</sup>

ხალხურ ლექსში შესანიშნავადაა გადმოცემული ეს საბედისწერო შემთხვევა:

„ურიადნიკი ჯაფარიძე  
 ცნობილია გურიაში,  
 ამ ჩემს ძმაცაც მისთვის უთქვამს:  
 ფირალი მყავს ნალიაში,  
 აუცილებლად იშოვით,  
 დღეს ველარ გამოვლენ კარში.  
 ვუყურეთ, არვინ მოვიდა,  
 დაგვიგვიანდა სადილი,  
 ბურჭულაძე მეუბნება:  
 – გამოვიცვალთ ადგილი.  
 გავიხედე და მოვიდა,  
 გულზე დამესო ნემსია,  
 როგორც სადილად დავვკეპით,  
 ჩაფრები შემოგვესია.  
 ისე აგვიტეხეს სროლა,  
 ვითა გრგვინვა და მეხია,  
 გადმოხტომის დროს მესროლეს,  
 მომტეხეს ორთავ ფეხია.  
 ბურჭულაძეს გაეკიდნენ

<sup>1</sup> გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., № 147.

ურჯულოები, ძაღლები,  
ვშედავ, ვერას ვეზმარები,  
ცრემლით მევსება თვალები.  
უცხად აზრი მოვიკრიფე,  
და თან ძალა შევიძინე,  
ერთი ტყვია გავისროლე,  
თან გემოზე გავიცინე;  
ჯაფარიძე ურიადნიკი  
ამ ჩემს გვერდში მოვიწვინე,  
მგელივით ავადრიალე  
აფიცრობის მოძლოდინე.  
თურმე სისხლის ჯვარს ელოდა  
ჯაფარიძე ჩემს სიკვდილზე,  
მაგრამ თავზე წავიკალი,  
მე ვარ სიმონა დოლიძე“.<sup>1</sup>

სიმონა დოლიძე სრულიად ახალგაზრდა – 26 წლისა მოკლეს, ექვსი წელი იყო ტყვედ გაჭრილი. ხალხური ლექსიც ასე ათქმევინებს: „პოლიცია დამედევნა, ოცი წლის რომ შევიქენი“. ხალხმა ასეთი მგრძნობიარე სიტყვები ათქმევინა ლექსში სიმონა დოლიძეს:

„მინდოდა გავძმლარიყავი  
ჩემი ცოლ-შვილის ცქერითა,  
დაჯდებოდნენ და ტიროდნენ,  
თვალებს ივსებდნენ ცრემლითა,  
რაც მე ამბები გადამხდა,  
ყველას ვერ ვიტყვი ენითა“.<sup>2</sup>

გადმოცემების მიხედვით, სიმონა დოლიძე მეტად მიმზიდველი გარეგნობის, ძალოვანი ვაჟკაცი ყოფილა, მეგობრებისა და ახლობლებისადმი მეტად ნაზი და გულთბილი, მტრების მიმართ კი შეუბრალებელი.

---

<sup>1</sup> „ქართველი სახალხო გმირები“, გვ. 90-91.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 89.

## კიკია მამულაიშვილი

„მამულაიშვილი კიკია  
არ ვიყავ ურვი ბიჭია,  
არ მსურდა ძმების დალატი,  
არც ვინმე გამიყიდა“.  
*ხალხური*

1905 წლის 20 ოქტომბერს (ძვ. სტ.) ჩოხატაურიდან ოზურგეთისაკენ ბრუნდებოდა მაზრის უფროსი ლაზარენკო პლასტუნთა ასეულისა და სტრაჟნიკების დიდი რაზმების თანხლებით.

გურულებმა განიზრახეს ამ რაზმზე თავდასხმა და ჩაუსაფრდნენ ნასაკირალის მთიან ადგილებში. თავდასხმა კარგად იყო მომზადებული: გათხრილი იყო სანგრები, აგებული იყო ბარიკადები, გამოიყო დაზვერვა და საველე ლაზარეთიც კი მოეწყო.

ჩასაფრებულებს ლაზარენკოს რაზმი სალამო ხანს მიუახლოვდა. გაჩაღდა ბრძოლა, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა...

ნასაკირალის შეტაკების დროს სამ ათეულამდე კაზაკისა და სტრაჟნიკის გარდა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა (როგორც ჩანს, აჯანყებულთა ყუმბარებმა იმსხვერპლეს) თვით მაზრის უფროსი ლაზარენკო და კაზაკთა ასეულის მეთაური. ჩასაფრებულების მხრივ კი მოკლეს მხოლოდ ერთი და დაჭრეს ორი რაზმელი.

აი, სწორედ ამ შეტაკების დროს, გადმოცემების მიხედვით, პირველი ბომბი მტრისთვის უტყორცნია კიკია მამულაიშვილს. ეს პირველი ყუმბარა ბრძოლის დაწყების ნიშანი ყოფილა ჩასაფრებული რაზმელებისათვის.

დათიკო შევარდნაძის უახლოესი თანამებრძოლი კიკია (იასონ) ნიკოს ძე მამულაიშვილი დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ დვაბზუში, 1881 წელს, სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრის ოჯახში. კიკიამ იმ დროისათვის საფუძვლიანი განათლება მიიღო. დაამთავრა სამოქალაქო სასწავლებელი, რის შემდეგ მისი ნათესავი, ცნობილი ქართველი ბელეტრისტი არსენ მამულაიშვილი (ლალიონი, 1866-1918) ამზადებდა მას სოხუმის სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად. მაგრამ მის ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება – მოკლე ხანში გარდაეცვალა და და მამა. ამის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება.

1905 წელს მამულაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში, იყო ერთ-ერთი რაზმის მეთაური. რეაქციის პირველ ხანებში მამულაიშვილი აშკარად არ გაჭრილა ტყეში. მხოლოდ ადევნებულ პოლიციას ეძალებოდა და პარტიზანებს ყოველნაირად ხელს უწყობდა. 1907 წელს ოზურგეთში შვიდი ტყვია დაახალა ურიადნიკ დიმიტრი მგელაძეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა გაზლიერდა.

გამუდამებული ღვენიის შედეგად 1908 წლიდან კიკია მამულაიშვილიც იძულებული გახდა შეერთებოდა „ტყის ძმებს“:

„აწი მომდიოს ვისაც სურს,  
ვითა ქათამმა ძერასო,  
გავფრინდი, ჩემთვის წავედი,  
ველარ დამაკლებთ ვერასო.  
მხოლოდ ის მიმიძის, მოყვრებო,  
მოვშორდი თქვენსა მზერასო,  
მარა ვინც მიქნა, შევუწყვეტ  
სულ მალე გულის ძგერასო“.<sup>1</sup>

ხალხურ ლექსში კიკია მამულაიშვილი ასეა დახასიათებული:

„მე გულმართლად ვმსახურობდი,  
ყველას თავზე ვეკლებოდი,  
ჩემი ამხანაგებისთვის  
ტყვიას წინ დავუდგებოდი.  
თავი მქონდა განაწირი  
თუ ერთობას ვერგებოდი,  
მიტომ ვიყავ განდევნილი,  
სადღაც-სადღაც გაგდებული,  
მე ხომ ხალხის სიყვარულით  
ვქენი, რაც რომ ვიმოქმედე,  
თორემ კერძო ინტერესი  
არვის მქონდა, თქვენ იცოდეთ“.<sup>2</sup>

1909 წლის დეკემბერში პოლიციამ მოლაღატის მეშვეობით მოახერხა კიკია მამულაიშვილის შეპყრობა, მაგრამ გაიგო თუ არა დათიკო შევარდნაძის საბედისწეროდ დალუპვის ამბავი, მან

<sup>1</sup> ალ. დლონტი, „გურული ფოლკლორი“, გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე.

შედლო ოზურგეთის ციხიდან თუ ეტაპიდან გამოქცევა. მისი ხელაძღვანელობით გურულებმა შური იძიეს საყვარელი მეთაურის დაღუპვის გამო, მოკლეს რამდენიმე ჯაშუში და სტრაჟნიკი, მერე მივიდნენ შევარდნაძის საფლავთან და თოფების „ხალპით“ პატივი სცეს გმირის ხსოვნას.

სწორედ მაშინ თანამებრძოლთა დავალებით მამულაიშვილმა, რომელსაც საკმაო პოეტური ნიჭი ჰქონდა, დაწერა შევარდნაძისადმი მიძღვნილი ლექსი:

### მეგობრების ლექსი დ. შევარდნაძეს

„დუხჭირ ცხოვრების პირობამ  
ტალღა ბევრჯერ დაგაჯახა,  
მაგრამ შენი წმინდა რწმენა  
ერთხელაც ვერ შეაფერხა.  
ხსოვნა შენი ჩვენს გულშია,  
სახე შენი თვალწინ გვიდგას,  
არ იფიქრონ დაგივიწყოთ,  
სანამ პირში სული გვიდგას“.<sup>1</sup>

მამულაიშვილს სხვა საკუთარი ლექსებიც დარჩა. მათ შორის საგულისხმოა თავისი სატრფო – კაკილო ღლონტისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიაც იგი იმედსა და მომავლის რწმენას გამოთქვამს:

„ისიც ნუ შეგაშინებს,  
დღეს რომ მტრები მდევნიან;  
მოვა დრო და ისინი  
სოროში ჩაძვრებიან.  
ასე, ჩემო კაკილო,  
გული ნუ გაგიტყდება,  
ოღონდ გული გულობდეს,  
ყველაფერი იქნება“.<sup>2</sup>

გადმოცემით, კიკია მამულაიშვილი „კაი ვაჟკაცი იყო შეხედულადაც. არსენა ოძელაშვილი რომ გაგიგონია, იმფერი იყო“.<sup>3</sup> მაგრამ ამავე დროს კიკია გამოირჩეოდა მეტად ფაქიზი და მგრძობიარე ბუნებით;

<sup>1</sup> ალ. ღლონტი, „გურული ფოლკლორი“, გვ. 86.

<sup>2</sup> ან. ხინთიბიძე, „გურული ფირალები“, გვ. 116.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 114.

ძლიერ სწუხდა, რომ მის გამო სოფელს აწიოკებდნენ. ერთ-ერთი მისი მეზობელი ასე იგონებს მამულაიშვილს: „საწყალი კიკიე მთელი სოფლის საყვარელი იყო. მისი გულიზა ეგზეკუციას აყენებდენ, გებეგრავენ, მარა ხალხს მაინც უყვარდა. ერთჯერ მამაჩემს თელი წლის ყაჭზე ნამუშიერი ხუთი მანათი წაართვეს და ასეთ ყველა მოსახლიდან მოხიკეს ფული, კიკიას ინახავთო. კიკია მოვიდა და გვითხრა: ჩემი გულიზა გადაგახთიეს ზომ ფული, თელი წლის ნამუშიერი ჩემი გულიზა წაგართვესო! – ბიჭო, არ ვჩივი, შენ იყავი ცოცხალი და მაგისთანას ოცდახუთს გადავიხდიო“.<sup>1</sup>

ჩვენი მხცოვანი მწერლის, გერონტი ქიქოძის გადმოცემით, კიკია მამულაიშვილს „ცოცხალი ხელი“ ჰქონია, ე.ი. მისგან ნასროლი ტყვია იშვიათად მოჰკლავდა კაცს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ნიშანში სროლა ცუდად იცოდა. „ცოცხალი ხელისას ეძახიან. მაგალითად, ისეთ ადამიანს, რომლის მიერ დაკლული ქათამი დიდხანს არ კვდება და ფართხალებს. ტყეში გაჭრილი კაცისათვის მართლაც საოცარი სენია „ცოცხალი ხელი“. ამიტომ იყო, რომ ჯაშუში დ. მგელაძე მამულაიშვილის შვიდმა ტყვიამაც კი არ მოკლა, ასეთი მაგალითები სხვაგანა.

გარდა ამისა, მამისა და დის გარდაცვალების შემდეგ მას დასჩემებია მეორე სენიც – „გაშტერება“: უცბად ჩაფიქრდებოდა და უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. მაგარი შენჯღრევის შემდეგ თუ გამოვიდოდა თურმე ასეთი მდგომარეობიდან. კიკია მამულაიშვილი მოკლეს 1913 წლის მაისს, სოფელ ვაკიჯვარში. პირველად იქვე დაუძარხავთ და პოლიციას დარაჯებიც დაუყენებია, მაგრამ კიკიას ერთგულ თანამებრძოლებს მოუხერხებიათ მისი გვამის მშობლიურ სოფელში გადმოსვენება. გადმოსვენებას აუარებელი ხალხი დასწრებია. ახალგაჭრილ საფლავთან წაუკითხავთ სახელდახელოდ შეთხზული ლექსი:

„უბელურსა დედაშენსა  
შენი თავი არ ატირეს,  
გასვენებაც აუკრძალეს,  
ცეცხლზე ნავთი მოუკიდეს.  
. . . . .  
დიდებულად გაგასვენეთ,  
გამშვენებდა ჩვენი რაზმი,

<sup>1</sup> ან. ხინთიბიძე, „გურული ფირალები“, გვ. 114-115.



პოლიცია სახლში დარჩა  
თვის ცხენებით შენაკაზში.

. . . . .  
ცხოვრების უსამართლობამ  
გავიყვანა ბრძოლის ველზე,  
ხელში გეპყრა ჩაგრულთ დროშა,  
ილაშქრებდი ხალხის მტერზე“.<sup>1</sup>

მართალია, კიკია მამულაიშვილს ისეთი დიდი რეზონანსი არა ჰქონია, როგორც შევარდნაძესა და დოლიძეს, მაგრამ თავისი საოცრად სპეტაკი ბუნებითა და კეთილშობილური გაჟკაცობით მეტად პოპულარული იყო ხალხში.

მამულაიშვილის შესახებ შექმნილია რამდენიმე ხალხური ლექსი, ზოგი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ზოგიც დაღუპვის შემდეგ.

## ერასტი ჯორბენაძე

„ყველამ იცის, საყაჩაღოდ  
არ ვიყავი გაჩენილი,  
ჯაშუშების მოკვლისათვის  
მომიწია ტყვედ სირბილი“.

*ხალხური*

„შაბათი დღეა, დღის 12 საათი... უცბად მოისმა თოფის ხმა... სულ მცირე ხანში მოისმა თოფების გრიალი... იკეტება დუქნების კარები... ნახევარი საათის განუწყვეტელი სროლის შემდეგ ირკვევა შემდეგი: დაბის ბოლოს (დაბიდან 100 საჟენზე) ლუკა ჩხარტიშვილის სახლში (თვითონ ამერიკაშია) ბოქაულს და 7 დარაჯს შეუმწყვდევია სამი ყაჩაღი, ლამობენ მათ დამორჩილებას. სახლს ალყა აქვს შემორტყმული. ხალხს ერევა ხელში რევოლვერით „სტრაჟნიკი“ და მიერეკება შეტაკების ადგილას... ჯარს პატრონები შემოაკლდა... აფრენენ შიკრიკს და ძლივს 40 პატრონას უყრიან თავს. კვლავ „ზალპი ზალპზე“, მაგრამ ამოდ! აქ საქმეში ერევა მოხუცი დეკანოზი კონსტ. კანდელაკი – ეფიცება სახლში მყოფ დევნილებს, რომ ის დეკანოზია, თუ მას დაუჯერებენ, არც ერთს არაფერი უჭირს. ვერც მისმა რჩევა-დარიგებამ გასჭრა. თითქმის

<sup>1</sup> გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რაიონი). 1955 წ., № 127, ან ხინთობის წერილი.

ორი საათის ბრძოლის შემდეგ ყაჩაღები სახლიდან გადაიპარენ – გასვლის დროს მოჰკლეს სტრაჟნიკი შაფათავა... სახლი სახურავიანებ სულ დაცხრილულია (დახვრეტილია)... ზალაში გაწყობილია ხუთი კაცისათვის საჭმელ-სასმელი – საჭმელს ეტყობა, რომ თითო-ოროლა ლუკმა მოუკლიათ... ოთახში ერთი ახალგაზრდა ქალი თავში ტყვიით გაკაწრული. სახლის უკან ერთი მკვდარი და ერთიც სულთმობრძავი ცხენი გდია. არის სისხლის ნიშნები. ხალხი გარეკეს სისხლის კვალზე... მახლობელ მეზობლის ორღობეზე ყოფილა მიყუდებული აბრეშუმის ჭიის ჩაფარა და ჩაფარას ქვეშ დამალული მეტეხის ციხიდან განაქცევი ერასტი ჯორბენაძე. ეს დაუნახავს ადგილობრივ ვაჭარ კოლია რეშეტნიკოვს და დაუყვირია, აქ არისო. ჯორბენაძეს მოუსწრია და უკრავს მისთვის მაუზერის ტყვია თავში. რეშეტნიკოვი სასიკვდილოდ დაიჭრა, ჯორბენაძე იქვე მოკლეს... მარტო „სტრაჟნიკებმა“ გაისროლეს 1000-მდე პატრონა“, – ვკითხულობთ გაზეთ „ახალი ვზის“ 1910 წლის № 19-ში გურულ პარტიზანთა ცნობილი წარმომადგენლის – ერასტი ჯორბენაძის მკვლელობის შესახებ. რამდენად სწორია გაზეთის ეს ცნობა, ამაზე შემდეგ, ახლა კი გავეცნოთ ჯორბენაძის ხანმოკლე, მაგრამ გმირობით აღსავსე ცხოვრების მთავარ მომენტებს.

ერასტი ანტონის ძე ჯორბენაძე დაიბადა 1885 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ გვიმბალაურში (ამჟამად ლანჩხუთის რაიონი). მან ვაივაგლახით მიიღო ექვსი კლასის განათლება და მერე ზეინკლად მუშაობდა ბათუმის ნავთსახდელ ქარხანაში.

რეაქციის პერიოდში ჯორბენაძე დააპატიმრეს. იგი მოხვდა მეტეხის ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში.

1908 წლის მაისში ქალაქის გარეუბნებსა და მის ახლომახლო რაიონებში ზედიზედ იგზავნებოდა თბილისის პოლიციის რაზმები. პოლიციის ამ აფორიაქებისა და საგანგებო დევნის გამოცხადების მიზეზი იყო ის, რომ მოხდა თითქმის დაუჯერებელი ამბავი – ტუსაღებმა შიგნიდან ააფეთქეს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი მეტეხის ციხის ერთ-ერთი კარი და ციხის დარაჯებთან ელვის უსწრაფესი შეტაკების შემდეგ 25 პოლიტიკური პატიმარი მიიმალა.

გაქცეულთა შორის იმყოფებოდნენ ციხეში ძმადმეფიცული მეგობრები: ერასტი ჯორბენაძე, ილიკო იმერლიშვილი და მელქისედეკ

ბურჭულაძე,<sup>1</sup> სამივე ახალგაზრდა იყო: ჯორბენაძე – 23 წლის, იმერლიშვილი – 20-ის, ხოლო ბურჭულაძე 17-ისა. გაქცევის შემდეგ ისინი თავს აფარებდნენ თბილისის ახლომანლო ადგილებს, მაგრამ პოლიციის გამუდმებული დევნის გამო გადაწყვიტეს მოშორებოდნენ იმ ადგილებს. ჯორბენაძის წინადადებითა და მეთაურობით გასწიეს გურიისაკენ. ხიფათიანი მოგზაურობის შემდეგ მეგობრებმა მიაღწიეს გურიას და შეუერთდნენ ჯერ კიდევ 1905 წლიდან ტყეში გაჭრილ მებრძოლებს, რომელთაც გურიის არსენა – დათიკო შევარდნაძე წინამძღოლობდა.

ჯერ კიდევ 1906 წელს გურიაში გაიგზავნა დიდი ჯგუფი ჯარისა, პოლკოვნიკ კრილოვის მეთაურობით. კერძოდ: ნავაგინსკის 78-ე ქვეითი პოლკის ორი ბატალიონი, ხერსონის 130-ე ქვეითი პოლკის ორი ბატალიონი, 33-ე საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეა, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეა, ლაბინსკის მე-2 კაზაკთა პოლკის ათასეული და ერევნის მე-13 პოლკის ასეული.<sup>2</sup> გარდა ამისა, პოლიციის მრავალრიცხოვან ნაწილების და „სტრაჟნიკების“ დიდ რაზმებს ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ჯაშუშები.

გურიაში ყოფნისას ერასტი ჯორბენაძე და ილიკო იმერლიშვილი განუყრელი მეგობრები იყვნენ, ისინი მუდამ ერთად ასრულებდნენ დავალებებს. ერასტი ჯორბენაძე ლამაზი გარეგნობისა და დიდი ფიზიკური ძალის მქონე ვაჟკაცი ყოფილა. მისი ძმადნაფიცო ილიკო იმერლიშვილიც არ ჩამორჩებოდა მას ძალ-ღონეში და ეს ორი დევგმირი ვაჟკაცი ერთად მთელ რაზმს უღრიადა.

1910 წლის 10 ივლისს, ღალატის შედეგად, დაბა ლანჩხუთში პოლიცია თავს დაესხა ჯორბენაძესა და მის თანამებრძოლებს. სწორედ ამ შეტაკებას ეხება ამ ნარკვევის დასაწყისში მოყვანილი კორესპონდენცია. ხალხურ ლექსშიაც ზუსტად ასეა გადმოცემული ეს ეპიზოდი:

„მეზობლისას მივიჩინეთ  
მე და ორი ამხანაგი,  
რა ვიცოდი, თუ ანტონამ  
გარეთ მოგვიწყო საფანგი.

. . . . .

<sup>1</sup> ეს ის ბურჭულაძეა, რომელიც სიმონა დოლიძის უახლოესი თანამებრძოლი გახდა შემდეგ.

<sup>2</sup> „1905-1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“ (დოკუმენტების კრებული) რუსულ ენაზე, სახელგამი, 1956 წ. გვ. 595-596.

საჭმელს ხელი რომ მივყავით,  
აქეთ-იქით დაგვცხეს ზალპზე,  
ძელში ტყვია არ დამაგრდა, –  
იმათ ბედზე მომხვდა მკლავზე.  
ამხანაგებს რჩევა მივეც –  
გზის ამრეკად წინ მე გავალ,  
იქნებ რამე დამეხმაროთ,  
თვარა მე ხომ შორს ვერ წავალ.  
პრისტავს თვალი ვერ მოვკარი,  
სადღაც შეძვრა, დაიძალა,  
ერთი „სტრაჟა“ თოფს მინიშნებს,  
გავუხვრიტე თავის ქალა.  
ავადმყოფს და დასუსტებულს  
ჭრილობაზე დამეძინა.  
ჩემს ლანდს ველარ მონახავდენ,  
ცოტა კიდევ გამერბინა.  
მარა მუხლმა მიღალატა,  
წასვლას მოცდა ვამჯობინე,  
რეშეტნიკოვს მაუზერით  
ტვინში ბოლი გავადინე.  
დამრჩა ჭურდი იაკობა  
და პირშავი ანტონაი,  
ჩემს ამხანაგ იმერლიშვილს  
ჩავაბარე მათი თავი.  
მშობლებო, გემშვიდობებით,  
დავემართენ საქმე ავი,  
ნურც მიგლოვთ და ნურც მიტირებთ,  
არც ჩაიცვათ ჩემზე შავი“.<sup>1</sup>

რატომ ამბობს ჯორბენაძე, რომ „იქნებ რამე დამეხმაროთ, თვარა მე ხომ შორს ვერ წავალ“. ანდა „ავადმყოფს და დასუსტებულს, ჭრილობაზე დამეძინა“, – ნუთუ მკლავზე მოხვედრილმა ტყვიამ ასე იმოქმედა ღონიერ ვაჟკაცზე?! აი, რა ირკვევა იმავე გაზეთში რამდენიმე დღის შემდეგ მოთავსებული ახალი კორესპონდენციიდან.

მოკლეული ჯორბენაძე გაუკვეთავთ, იგი სერიოზულად ავადმყოფი აღმოჩენილა. გარდა ამისა, „რეშეტნიკოვის მოკვლის შემდეგ თვით მოუკლავს მაუზერით თავი“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> „გურული ფოლკლორი“, გვ. 88-89.

<sup>2</sup> გაზ. „ახალი გზა“, 1910 წლის № 21.

ამ შემთხვევის გამო სოფელი ააწიოკეს, ეგზეკუცია ჩააყენეს და ხალხს ჯვარიმები შეაწერეს. ამასაც არ დასჯერდნენ და ათიოდე კაცი, როგორც „ყაჩაღის“ ხელისშემწყობნი, კატორღაში გაგზავნეს. ერასტი ჯორბენაძე 25 წლისა მოკლეს.

## აფრასიონ მერკვილაძე

„აფრასიონ მერკვილაძეს  
 თავი უკვდავი ეგონა,  
 ოცი ტყვია მოახვედრეს –  
 ფეტვის კაკალი ეგონა.  
 „სტრაჟნიკები“ შემოერტყნენ –  
 კოლო-ბუზები ეგონა,  
 რაზმელების შემახება  
 ტკბილი სიმღერა ეგონა.  
 მკერდს სისხლი გადმოძინარე  
 წითელი ვარდი ეგონა,  
 გულგანგმირული მოძმენი  
 დაძინებული ეგონა,  
 ვეფხვივით დანავარდობდა,  
 მტრები ჩიტები ეგონა,  
 ნათელი რომ დაუბნელდა,  
 მას დაღამება ეგონა.  
 ხეში უსულოდ მწოლარეს  
 თავი მინდორში ეგონა,  
 საფლავეში რომ ჩაასვენეს,  
 თავი საფარში ეგონა.  
 მღუღარე ცრემლებს ვაფრქვევდით,  
 ყუყუნა წვიმა ეგონა“<sup>1</sup>

ამ პატარა, მაგრამ მეტად მგრძნობიარე და მხატვრულად ძლიერ ლექსში ხალხმა კარგად გამოხატა გმირის ხასიათი. მერკვილაძის რაზმი ერთ-ერთი უძლიერესი იყო 1905-1906 წლებში.

აფრასიონ ასლანის ძე მერკვილაძე დაიბადა 1871 წელს შორაპნის მაზრის სოფელ ჭალატყეში (ამჟამად ზესტაფონის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდანვე დაეწაფა წიგნების კითხვას და სოფლის სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მამის სურვილი იყო, ერთადერთი

<sup>1</sup> „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა“, ტ. 1, თბილისი, 1936 წ., გვ. 318.

ვაჟი მღვდლად გამოეზარდა, რომ მისთვის მაინც აეცილებინა მიწის მუშის მძიმე ხვედრი.

მკვირცხლი გონებისა და ცნობისმოყვარე ბუნების აფრასიონი ვერ ეგუებოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმს. გაკვეთილებზეც კი გარეშე წიგნებს კითხულობდა. საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. იმ სამი წლის განმავლობაში, რომელიც აფრასიონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გაატარა, დიდძალი ლიტერატურა წაიკითხა და განათლებული ახალგაზრდის სახელი დაიმკვიდრა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, აფრასიონმა არ ისურვა მთავარდიაკვნობა და თბილისის სასულიერო სემინარიაში მოიწადინა სწავლის გაგრძელება. გახარებულმა მამამ აღუთქვა: პირზე ტყავს ავიძრობ და დაგეხმარებო.

90-იანი წლების დასაწყისში აფრასიონი თბილისშია. მერკვილაძე, როგორც საეკლესიო გლეხთა წრიდან გამოსული, მიიღეს სემინარიაში. მან არც აქ მოისვენა – ჩამოაყალიბა წრე, რომელმაც ხელნაწერი ჟურნალიც გამოუშვა. ამ ჟურნალში გატარებულმა თავისუფალმა იდეებმა ააფორიაქა „აღმზრდელები“. მათ მიაგნეს კვალს და აფრასიონ მერკვილაძე „მგლის ბილეთით“ გარიცხეს სასულიერო სემინარიიდან, როგორც „არასაიმედო და ჯიუტი ყმაწვილი“.

მერკვილაძემ მშობლიურ სოფელს მიაშურა. მამას ეხმარებოდა სოფლის მეურნეობაში. დებს – ალექსანდრასა და იტიდორას ასწავლიდა, გლეხებს უფასოდ უწერდა ყოველგვარ განცხადებებს და გამუდმებით ჩაჰკირკიტებდა წიგნებს (აფრასიონს საკმაოდ მოზრდილი საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა). აფრასიონის გავლენა გლეხებში თანდათან იზრდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიზანთა შორის მერკვილაძე ყველაზე განათლებული პიროვნება იყო.

აღსანიშნავია, რომ აფრასიონი გულმოდგინედ აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს და აწვდიდა აკაკი წერეთელს, რომელმაც კიდევ გამოაქვეყნა მერკვილაძის ჩაწერილი რამდენიმე ლექსი თავის „კრებულში“.

ცხრაასიანი წლების დასაწყისში მერკვილაძე შეუდგა საიდუმლო სტამბის მოწყობას თავისსავე მამულში, მაგრამ დააპატიმრეს მატარებელში, როცა შრიფტი გადმოჰქონდა. თითქმის წელიწადი იჯდა ქუთაისის ციხეში. სასამართლოში თავს თვითონ იცავდა.

მერკვილაძე გაამართლეს, ვინაიდან ვერ დაუმტკიცეს, ნამდვილად მისი იყო შრიფტი თუ არა.

1905 წლის დასაწყისს აფრასიონ მერკვილაძემ შეადგინა რაზმი, რომელშიც თომა ჩუბინიძე, კოლია ლორთქიფანიძე, ამბაკო სამანიშვილი, ვარდენ გვენცაძე, ისმაილ და გიორგი ჭუმბურიძეები, პორფილე ჰაიჭაძე და სხვ. შედიოდნენ.

მაზრის უფროსი მანსვეტოვი, ბოქაულები მახარაძე და კედია, კახაკთა რაზმების დახმარებით არბევდნენ სოფლებს. გადასწვეს აფრასიონის სახლ-კარი და სასტიკად სცემეს მამამისს. აღსანიშნავია, რომ აფრასიონის დები ვაჟკაცებით ედგნენ მხარში საამაყო ძმას და საერთო საქმისათვის გმირულად იბრძოდნენ.

მათზე საინტერესო ვრცელი ლექსი აქვს დაწერილი რაჟდენ გვეტაძეს „მერკვილაძის დები“.

აფრასიონ მერკვილაძის რაზმის მოქმედების არე ზემო იმერეთის ფარგლებს სცილდებოდა. აი, რას გვიამბობს ბაღდათის რაზმის ყოფილი მეთაური პლატონ ქაშაკაშვილი:

„1905 წლის ზაფხულში ბაღდათში ჩამოვიდა შორაპნის და ზესტაფონის გაერთიანებული რაზმი. ეს რაზმი მეტად ძლიერი და სახელგანთქმული იყო. რაზმს სათავეში ედგა აფრასიონ მერკვილაძე. მერკვილაძის რაზმი მიემართებოდა ზეკარის გზით ახალციხეში. ეს რაზმი თავს უნდა დასხმოდა ჯარის ნაწილებს, – სამხედრო იარაღის წართმევის მიზნით. ბაღდათის კომიტეტის დავალებით მერკვილაძის რაზმს ჩემი და შველიძის რაზმიც მიემატა. ახალციხის ყაზარმას ღამით მივაღვიქით, მოვკალით გუშაგი და თავს დავესხით ჯარს, რომელიც სასწრაფოდ განვაიარაღეთ და ტყვეს შევაფარეთ თავი. იქიდან წამოდებული ორასი მაშხანიდან, ოცდაათი ბაღდათის რაზმს დარჩა“.

მერკვილაძის რაზმის მეოხებით შორაპნის მაზრა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა (ე.წ. „ყვირილის რესპუბლიკა“), მსგავსად საქართველოში აღმოცენებულ სხვა პატარ-პატარა რესპუბლიკებისა (ნაძალადევის, გურიის, ჭიათურის, ზუგდიდის, გორის და სვანეთის რესპუბლიკები).

„რესპუბლიკა“ დაყოფილი იყო უბნებად, დანიშნული იყო ათასეულის, ასეულისა და ათეულის თავები; ჩამოყალიბდა სახალხო სასამართლოები.

1905 წლის მიწურულს მერკვილაძის რაზმი თავგანწირვით იბრძოდა ბელაგორ-ყვირილის რაიონში კახაკთა ნაწილების წინააღმდეგ.

ბოლოს მერკვილაძე თვითონ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ ვითარებაში შეიძლება მეტი ზიანი მოეტანა საერთო საქმისათვის და დაშალა თავისი მრავალრიცხოვანი რაზმი, თვითონ კი ბათუმს შეაფარა თავი.

მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ ალიხანოვ-ავარსკი შეესია ზემო იმერეთს და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა სოფლებს, აფრასიონი ისევ საბრძოლველად გაემზადა.

ჩამოვიდა ზესტაფონში, შეაგროვა ერთგული რაზმელები და ჭიათურისაკენ გასწია. სოფელ სვერთან, ღალატის შედეგად, აფრასიონ მერკვილაძეს თავს დაესხა მთელი ასეული. მამაცური წინააღმდეგობის შემდეგ აფრასიონი და მისი ორი თანამებრძოლი რაზმელი – ლავრენტი დუგლაძე და ალექსანდრე გაჩეჩილაძე უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცნენ.

ეს მოხდა 1907 წლის 20 თებერვალს.

აღსანიშნავია, რომ მოკლულ მერკვილაძეს გაჩხრეკის დროს, მრავალნაირი იარაღის გარდა, ჩანთაში აღმოაჩნდა წიგნები.

მერკვილაძის ერთგულმა თანამებრძოლებმა – პორფილე ჰაიჭაძის თაოსნობით, – შური იძიეს საყვარელი მეთაურის დაღუპვის გამო და სამი მოღალატე მოკლეს.

შავრაზმელები გამარჯვებას ზეიმობდნენ. აფრასიონ მერკვილაძე ცხურკვეთის ეკლესიის გალავანში იწვა სამარადისოდ. მისი რაზმელები ქუთაისის ციხეში იყვნენ გამოძწყვდეულნი. მათი გასამართლება 1911 წლის სექტემბრამდე გაჭიანურდა. მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, გარდა რამდენიმე კაცისა, რომლებიც ციხიდან გაიქცნენ ცნობილი ზვრელით 1907 წლის 26 ოქტომბერს. მაშინ სულ გაიქცა 37 კაცი, მათ შორის: ჩვენი ცნობილი მწერლები ლეო ქიაჩელი და დავით სულიაშვილი, აფრასიონ მერკვილაძის რაზმელებიდან: თომა ჩუბინიძე, ამბაკო სამანიშვილი, ისმაილ ჭუმბურიძე და სხვ.

ხალხმა სათუთად შეინახა აფრასიონ მერკვილაძის ხსოვნა. დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სიყვარულით იგონებენ. აი, რას ამბობს ხალხური ლექსი:

„მიყვარს მე შორაპანი  
და მისი რაიონი,  
მერკვილაძე, წინამძღოლი,  
ჩვენი აფრასიონი.



არავის არ დაინდობდა,  
ვინც მშრომელებს აწამებდა,  
მეფის ერთგულ დამქაშებს  
სიცოცხლეს ასალმებდა“.

ჩვენს ლიტერატურაშიც აისახა მერკვილადის ცხოვრება. გამოქვეყნდა მისდამი მიძღვნილი ლექსები და რომანი.

## სამსონ წითელიშვილი

„მაფრ გრიგალივით ამოიჭრა შენი ღრობა,  
და სულგაშლილი აჯანყებულ ტალღებს ამოჰყევ,  
ბოლოს წილად გხვდა განწირულის განმარტობა  
და დარჩი ობლად, ვით ფირალი და მემამბოხე“.

*ს. თავაძე – „მოგონება სამსონ წითელიშვილზე“.*

ქვემო იმერეთში მეტად პოპულარული იყო სამსონ წითელიშვილი. მის შესახებ თითქმის არავითარი დოკუმენტალური ცნობა არ არსებობს. წითელიშვილის სახელი დღეს ლეგენდასავით დარჩენილა ხალხში; მისი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიებს შეიცავს. ძნელია მისი ბიოგრაფიის დადგენა. ჩვენ რამდენიმე მოგონება-გადმოცემის მიხედვით შევეცადეთ აღგვედგინა ამ სახელგანთქმული ვაჟკაცის ცხოვრების ძირითადი მომენტები.

სამსონ აღმასხანის ძე წითელიშვილი დაიბადა ყოფილი ქუთაისის მაზრის, გომის თემის სოფელ მთისძირში (ამჟამად სამტრედიის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. დაბადების თარიღი ზუსტად არაა დადგენილი. მისი ძმისშვილი ვლ. წითელიშვილი ასახელებს 1885 წელს, მაგრამ სხვა მონაცემებით უნდა იყოს 1883 წ., რაც ჩვენი აზრით, უფრო ახლოსაა სიმართლესთან. შუამთის (ვანის რაიონი) დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი ჯერ ქ. სამტრედიაში მიაბარეს მკერავს შეგირდად, შემდეგ მშობლიურ სოფელში დაიწყო თერძად მუშაობა.

1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით სამსონ წითელიშვილი გაიწვიეს მეფის არმიაში, მაგრამ მისი ძმისშვილის, ვლადიმერ წითელიშვილის მოწმობით, მან „უარი განაცხადა ჯარში წასვლაზე, ამისათვის გომის თემის მამასახლისმა ამბაკო თევზაძემ დააპატიმრა და გაგზავნა ქუთაისის გუბერნიის ციხეში, საიდანაც 15

დღის შემდეგ გამოიქცა ფეხშიშველი; ვიღაცა ფეხსაცმლის მკერავს უჩუქებია ფეხსაცმელი. სამსონი დაბრუნდა თავის სოფელში, განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას, მაგრამ ხელმეორედ დააპატიმრა ამბაკო თევზაძემ და გაგზავნა, მაგრამ სამტრედიას არ გასცილებია, იქ სტრაჟნიკებს გამოექცა. მას შემდეგ თერძად არ უმუშავნია“.

სამსონ წითელიშვილმა მოკლა მეფის ერთგული დამქაში მამასახლისი თევზაძე. ამ დროისთვის იგი ითვლებოდა გომის რაზმის მეთაურად.

ამის გამო, იმავე წლის აპრილში სოფელში 300-კაციანი ეგზეკუცია ჩააყენეს. ეგზეკუცია სასტიკად გაუსწორდა ამბოხებულ სოფელს, ააწიოკა და დაარბია აქტიურ გლეხთა ოჯახები, გადასწვა თვით წითელიშვილის სახლი, დააპატიმრა სამსონის დედა, უფროსი ძმა, მათრახის ცემით მოკლეს საშუალო ძმა.

1905 წლის მაისში სამსონ წითელიშვილმა ჩამოაყალიბა რაზმი, რომელშიაც სხვადასხვა დროს შედიოდნენ: სოლომონ თავაძე (ამჟამად ცნობილი ქართველი მწერალი), იპოლიტე ჩაჩუა, კოწია გამყრელიძე, ტარასი ნადირაძე, ალექსანდრე ზაქრაძე, ივლიანე აბრამიძე, ალექსანდრე მინაშვილი, ესტატე კოპალეიშვილი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ეს რაზმი შრომაშიც ეხმარებოდა სოფლის გლეხკაცობას (მდ. კაპიტონას ნაპირზე გაიყვანეს გზა და სხვ.).

1906 წლის მიწურულიდან, სოფლად სასტიკი რეპრესიების დაწყების გამო, წითელიშვილმა თავისი რაზმიდან შეარჩია საუკეთესო მებრძოლები, თავი ტყვეს შეაფარა და პარტიზანული ცხოვრება დაიწყო.

სამსონ წითელიშვილი თავისი მცირერიცხოვანი პარტიზანული რაზმით თავზარს სცემდა შავრაზმელებს ქვემო იმერეთსა და აღმოსავლეთ გურიაში. წითელიშვილის რაზმი თავს ესხმოდა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ ექსპედიციებსაც. ტყვეით უმასპინძლებოდა სტუმართმოყვარე იმერელი დაუპატიჟებელ სტუმრებს, ახალ-ახალი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა დროებით დამარცხებულ გლეხკაცებს.

შემდეგ სამსონ წითელიშვილი იძულებული გახდა გასცლოდა მშობლიურ ადგილებს და სურების უღრანი ტყეებისათვის (გურიაში) შეეფარებინა თავი. მაგრამ იქაც მიაგნეს მის კვალს და სასტიკი შეტაკებების შემდეგ წითელიშვილის რაზმი დამარცხდა. რაზმელები ზოგი უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, ზოგი დააპატიმრეს და შორეული ციმბირის გზას გაუყენეს, თვით სამსონ წითელიშვილი და რაზმელები – ნადირაძე და გიორგაძე, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

ამის შემდეგ წითელიშვილის ამბავი გაუგებრობის ბურუსითაა მოცული. 1908 წლის მიწურულსა თუ 1909 წლის დასაწყისში გაქრა.

წითელიშვილის გადაკარგვის შესახებ არსებობს გადმოცემა-მოგონებათა რამდენიმე ვარიანტი:

1) წითელიშვილი მოკლეს გურიაში ღალატის შედეგად. ჩოხატაურის რაიონის სოფ. საჭამიასერში მცხოვრები 90 წლის კოსტა დოლიძისაგან მე ჩავიწერე ასეთი მოკლე მოგონება: „სამსონ წითელიშვილი მოჰკლეს შამშაკის ტყეში, რომელიც მდებარეობს ახლანდელ ზემოხეთის სასოფლო საბჭოსა და სურების საზღვარზე. მოკვლის წელი დანამდვილებით არ მახსოვს, მაგრამ მგონი 1908 წ. იყო. დამარხულია იმავე ტყეში“.

2) წითელიშვილის ყოფილი რაზმელის, მწერალ სოლომონ თავაძისა და ძველი რევოლუციონერის კოწია კეკელიძის (ვანის რაიონი) მტკიცებით – სამსონ წითელიშვილი საქართველოდან გაიპარა ყალბი პასპორტით (ლორთქიფანიძის გვარზე). იგი დააპატიმრეს ოდესაში. მაინცდამაინც დიდი სასჯელი არ მოელოდა ყალბი პასპორტისთვის, მაგრამ სახადით გარდაიცვალა ოდესის ციხეში.

3) წითელიშვილი თურქეთში გადაიხვეწა. ძნელია გარკვევა, რომელი უფრო სწორია ამ სამი ვარიანტიდან (ჩვენი აზრით, მეორე ვარიანტი უფრო სარწმუნო უნდა იყოს).

გარეგნულად სამსონ წითელიშვილი სუსტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა თურმე, საშუალოზე დაბალი ტანის, თხელი ახალგაზრდა ყოფილა, მაგრამ ავაზასავით მოქნილსა და სწრაფს, უდრეკი ნებისყოფა და საოცრად მამაცი გული ჰქონია. როგორც ჩანს, წითელიშვილის შესახებ ხალხური ლექსები არ შეთხზულა. სამაგიეროდ, იგი გამოყვანილია ქართველი საბჭოთა მწერლების რამდენიმე ნაწარმოებში.<sup>1</sup>

როგორც იტყვიან, „არ დავიწყებისათვის“ აქვე მოვიყვანთ სამსონ წითელიშვილის თანამებრძოლის, ჩვენი ცნობილი მწერლის სოლ. თავაძის ლექსს, რომელიც დაბეჭდილია „ლიტერატურული გაზეთის“ 1935 წ., № 8-ში.

<sup>1</sup> მამია ასათიანის მოთხრობა „შიშველი ხმალი“ (მისსავე „მოთხრობებში“, გამოცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1955 წელი), ანდრო თევზაძის პოემა „სისხლიანი ბილიკები“ (საბლიტგამი, 1956 წელი).

ამოველ გორზე და მარტოკა ვზივარ ხის ძირას,  
სადაც რიჟრაჟის შუქი ბევრჯერ მოგვანატრებია...  
ვითვლი, ბრძოლის გზამ თუ რამდენი ძმა შეიწირა  
და დაკარგული მეგობრები მკვლრებით დგებიან.  
სამსონ, მათ შორის შენი სახე ვიცან უმაღლე,  
საიერიშოდ შეგიჯავშნავს მკერდი ვაზნებით,  
მტრის უღმობელ ცეცხლს არ გაექცე, არ გადუმალე  
მწვავე ბრძოლებში განწირული შენი რაზმები.  
შენი თვალებით გადავყურებ დღეს მე ამ სერებს,  
შენი თვალები, ანთებული ცისფერ ციმციმით,  
სიჭაბუკის ჟამს აელვებულ ჰანგზე მამლერებს  
და თითქო მესმის, ბიჭო, შენი წრფელი სიცილი!  
გახსოვს, მიტინგზე ავირბინეთ ჩვენ ბრძოლის შემდეგ,  
იქ აღმართული დროშა ჩვენი ფრთები გვეგონა;  
შენ სიამაყით მოქადაგის პირისპირ შესდეგ  
და შორეული ქვეყნის სხივი გადაგეკონა.  
გახსოვს... რაზმელი ჩამარხული თხრილში რომ ვნახეთ,  
გაჩენილ შუბლზე სისხლი ისევ გადმოჟონვიდა;  
შურისძიება ჩვენ სიცოცხლის მიზნად დავსახეთ  
და ის საკაცე მთელ ქვეყანას აიწონიდა.  
გახსოვს... მაგრამ დღეს მე ხომ შენს ლანდს ვესაუბრები  
და არვინ იცის, – სად დაეცი და სად ეწამე.  
განვლე გზა დილის სხივთა ელვით მონასხურები  
და მშობელ მიწას სასიცოცხლოდ გადაენამე.  
და დღეს ამ სოფლებს, ამ ველებს და რიონის რიონის  
შენი თვალებით გადაჰყურებ ძველი საფრიდან;  
ისევ ელვარებს ცის ლაჟვარდში კავკასიონი,  
სიყრმის ოცნების მსუბუქ კოშკებს გზავნის მაღლიდან.  
და ეს ხეც ისევ ძველებურად დგას და შრიალებს  
და ამ შრიალში მე კვლავ ვისმენ „ოთხი ძმის“ ამბავს,  
თითქო ბრმა ვინმე მეჩონგურე სიმს აწკრიალებს  
და გარდასულთა დაუვიწყარ სახეებს ჰქარგავს...  
მძაფრ გრივალავით ამოიჭრა შენი დროება  
და სულგამლილი აჯანყებულ ტაღლებს ამოჰყევ,  
ბოლოს წილად გხვდა განწირულის განმარტოება  
და დარჩი ობლად, ვით ფირალი და მეამბოხე.  
შენ მთებში იყავ ნაბდისა და თოფის ამარა,  
ოდეს გადასწევს დარბეული შენი სახლ-კარი,  
და დედაშენის იმედები ცრემლმა დაფარა,  
რომ კერის ნაცვლად დარჩა მხოლოდ ცივი ნაცარი...  
მაგრამ დღეს, როცა შენს ეზოში გამოვიარე,

ვნახე – დაზრდილან ობლები და კერაც ანთია...  
 და აღარ მახსოვს – ოდესმე თუ ვიმგლოვიარე,  
 რადგან ეს მხარე უკვდავებით სავსე განძია.  
 შენი თვალებით გადავყურებ დღეს მე ამ სერებს.  
 შენი თვალები, ანთებული ცისფერ ციმციმით,  
 სიჭაბუკის ჟამს აელვებულ ჰანგზე მამლერებს  
 და თითქო მესმის, ბიჭო, შენი წრფელი სიცილი...

## ილიკო იმერლიშვილი

„სახალხო გაზეთის“ 1914 წლის 26 იანვრის ნომრის სურათებიანი დამატების მეოთხე გვერდზე მოთასებულია ორი ფოტოსურათი სათაურით – „ყაჩაღები ტფილისში“. პირველ სურათზე, რომ იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებული ორი ვაჟკაცია გამოსახული, მეორეზე – კედელს აყუდებული მკვდარი კაცი. პირველი სურათის ქვემოთ წერია: „ვ. ფარესიშვილი, ი. იმერლიშვილი“, მეორის ქვემოთ – „იმერლიშვილი (მოკლული)“.

ამ „ყაჩაღებზე“ თავდასხმა მომხდარა ნაძალადევში, აუზის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში, სადაც იმერლიშვილი საიდუმლოდ უნდა შეხვედროდა დიდი ხნის უნახავ ცოლ-შვილს. როდესაც ღალატის შედეგად კაზაკებმა მოულოდნელად ალყა შემოარტყეს სახლს, იქიდან მშვიდად გამოვიდა იმერლიშვილის მეუღლე ბავშვით ხელში. იმერლიშვილმა და მისმა ერთგულმა მეგობარმა ფარესიშვილმა<sup>1</sup> კი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელებს. ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი შეტაკების შემდეგ, ერთ-ერთი „ყაჩაღი“ მოკლეს, მეორემ გასაოცარი სიმარჯვით გაარღვია პოლიციელთა საგრძნობლად შეთხელებული რიგები და სწრაფად მიიძალა.

აი, ოფიციალური ცნობაც:

„13 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე ქალაქში უცებ ხმები გავრცელდა, ნაძალადევში დიდი შეტაკება მოუხდათ პოლიციელებსა და ყაჩაღებსო და სიმართლე კი არავინ იცოდა. მართლაც ამ დროს ნაძალადევში დიდ ხანს სროლა იყო და ნამდვილი ამბის გაგება მხოლოდ ნაშუადღევს 4 საათზე გახდა შესაძლებელი. საქმის ვითარება, როგორც გამოირკვა, აგრე ყოფილა: ტფილისის

<sup>1</sup> ვანო ფარესიშვილი, წარმოშობით გრემისხეველი, ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, 1909-1910 წლებში იგი თელავის მაზრაში ჩამოსულა და სურათიც აქვს გადაღებული ხარებასა და ვოგაის რაზმელებთან ერთად. ეს სურათი დაცულია თელავის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

პოლიცემისტერმა ფარული ცნობები მიიღო, რომ აქ ჩამოვიდნენ ცნობილი ყაჩაღები იმერლიშვილი და ფარესიშვილი და ნამაღაღევში ბინადრობენ, სახელდობრ ბასეინის ქუჩაზე, სახლი № 15. პოლიცემისტერის განკარგულებით ნაშუადღევის პირველ საათზე ხსენებულს ადგილას 100-მდე პოლიციელი გაემგზავრა ყაჩაღთა შესაპყრობად. პოლიციელებმა მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაულის გამბერგის მეთაურობით სახლს, სადაც ყაჩაღები იყვნენ, გარს შემოუარეს და შემდეგ ეზოშიც შევიდნენ. მათ ნამდვილად არ იცოდნენ, ყაჩაღები ამ დროს მართლა სახლში იყვნენ, თუ არა. უცებ სახლიდან ყაჩაღებმა საშინელი სროლა ატეხეს და სასიკვდილოდ დაჭრეს ბოქაული გამბერგი და მისი თანაშემწე ზუბრიცკი (ესენი ორთავენი გარდაიცვალნენ შემდეგ), დასჭრეს აგრეთვე საპოლიციო უბნის ზედამხედველი ალანია, საპოლიციო უბნის სხვა სამი ზედამხედველი და 10-მდე დაბალი პოლიციელი. ამ მოულოდნელმა სროლამ პოლიციელები დააბნია, რითაც ყაჩაღებმა ისარგებლეს; გამოვარდნენ სახლიდან და გაიქცნენ. აქ პოლიციელებმა ერთი ყაჩაღთაგანი (იმერლიშვილი) რამდენიმე ტყვეით მოჰკლესო, ზოლო ნათესაგებმა ვერ იცნეს იმერლიშვილი. ფარესიშვილმა კი დამალვა მოასწრო“<sup>1</sup>.

პოლიციამ მოკლული იმერლიშვილი შეიცნო, მაგრამ დასარწმუნებლად მისი მუუღლე და და ძალდატანებით მოიყვანეს მკვლელობის ადგილას. გატანჯულმა რძალ-ძულმა დახედეს მოკლულს და მაშინვე იცნეს ვასო ფარესიშვილი, მაგრამ, იქნებ აწ მაინც ჩამოგვეხსნანო, ერთხმად აღიარეს, რომ სწორედ იმერლიშვილი იყო მოკლული.

ამრიგად, მეორე სურათზე წარწერა სწორი არაა, სინამდვილეში მოუკლავთ ფარესიშვილი და არა იმერლიშვილი. ჩვენი აზრით, არც პირველ სურათს აქვს სწორი წარწერა. ფარესიშვილის ნაცვლად უნდა იყოს ჯორბენაძე. აი, როგორ მტკიცდება ეს: 1) იმერლიშვილის დის – ელენეს ჩვენებით, ეს სურათი ილიკოს ჩამოუტანია გურიიდან, სადაც ფარესიშვილი არასოდეს არ ყოფილა; 2) არავითარი მსგავსება არაა მოკლულსა (როგორც სინამდვილეში ფარესიშვილია) და სურათზე აღბეჭდილ პიროვნებას შორის; 3) იგი ძალიან წაავავს ჯორბენაძის ცნობილ სურათს; 4) მას ყაბალახით აქვს თავი წაკრული; საეჭვოა ყაბალახი ჰქონოდა ქართლელ ფარესიშვილს.

<sup>1</sup> ჟურნალი „მათრახი“, 1914 წ., №2.

დასაშვებია, რომ იმერლიშვილისაგან ნაჩუქარი ეს ფოტოსურათი პოლიციამ მოკლული ფარესიშვილის ჯიბეში აღმოაჩინა და აქედან გამოიტანა ყალბი დასკვნა, რომ სწორედ ესენი იყვნენ ერთად გადაღებული.

ილიკო იორდანეს ძე იმერლიშვილი – „მცხეთელი“ დაიბადა 1888 წელს დაბა მცხეთაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა მცხეთის სამრევლო სკოლაში, სადაც მხოლოდ სამი განყოფილების დამთავრება მოახერხა ხელმოკლეობის გამო. გაჭირვებამ აიძულა პატარა ილიკო ხელზე მოსამსახურედ დამდგარიყო და ორიოდე გროშით დახმარებოდა წვრილშვილიან, ინვალიდ მამას.

ცხრაასიან წლებში იმერლიშვილი ჩამოდის თბილისში და იწყებს ასოთამწყობად მუშაობას ვინმე კოზლოვის სტამბაში.

1905 წლის ბობოქარ დღეებში, თბილისის ქუჩებში მუშებსა და შავრაზმელებს შორის მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს, 17 წლის ილიკო ძვირად დაიჭრა გულის არეში. მეგობრებმა იგი მთაწმინდის უბანში მოათავსეს საიმედო ოჯახში და ფარულად მკურნალობდნენ. რკინისებური ჯანმრთელობისა და დიდი ფიზიკური ძალის მქონე ჭაბუკი მალე გამოჯანსაღდა.

შემდეგ იგი დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. მას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მაგრამ 1908 წლის მაისში ილიკოს მეუღლე – ლიზა ლებანიძე და ძმები ახერხებენ გარედან ბომბისა და იარაღის შეგზავნას. იმერლიშვილთან ციხეში ძმადშეფიცულმა გურულმა ჯორბენაძემ ამ ბომბით ააფეთქა მეტეხის ციხის ერთ-ერთი კარი, იმერლიშვილმა მაუხერით გაწმინდა გზა და გაიქცა 25 სიკვდილმისჯილი პოლიტიკური პატიმარი.<sup>1</sup> მათ შორის იყვნენ განუყრელი მეგობრები: ილიკო იმერლიშვილი, ერასტი ჯორბენაძე, მელქისედეკ ბურჭულაძე და სხვები.

ისინი ერთ ხანს თავს აფარებდნენ ერთ-ერთ გამოქვაბულს ნორიოსთან, იმალებოდნენ ავჭალის ტყეშიც. მაგრამ პოლიცია ფეხდაფეხ დასდევდა მათ კვალს. ამიტომ ისინი გადავიდნენ გურიაში, სადაც ამ დროს ფართოდ იყო გაშლილი პარტიზანული მოძრაობა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ – დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძის, კიკია მამულაიშვილის, ისაკი თოიძის და სხვათა სახელები ყველგან ისმოდა.

თითქმის სამი წელი დაჰყო გურიის ტყეებში ილიკო

<sup>1</sup> გაზ. „ცხოვრების სარკე“, 1908 წლის №17.

იმერლიშვილმა. მთელი ეს დრო მან გაატარა თავის ძმადნაფიც ერასტი ჯორბენაძესთან. იმერლიშვილმა გურიაში ყოფნის პერიოდში მრავალი რთული და სახიფათო დავალება შეასრულა. მათ შორის აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა სატრაპი ბოქაულის – ქუცურ-ბეგის მკვლელობაში, რომელიც დათიკო შევარდნადის ხელმძღვანელობით მოხდა.

თავისი ვაჟკაცობითა და უანგარობით იმერლიშვილმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა გურულ თანამებრძოლთა შორის. თვითონაც უდიდესი გატაცებით იგონებდა იქ გატარებულ დღეებს.

1910 წლის 10 ივლისს გამცემლობის შედეგად დაბა ლანჩხუთში პოლიცია თავს დაესხა რაზმელებს. შეტაკების დროს ერასტი ჯორბენაძე მოკლეს, იმერლიშვილი კი აქაც საკვირველი სიმარჯვით დაუსხლტა ჯვალათებს. ჯორბენაძე, რომელმაც რამდენიმე „სტრაჟნიკი“ და მოღალატე წაიმძღვარა წინ, ხალხურ ლექსში ამბობს:

„დამრჩა ქურდი იაკობა  
და პირშავი ანტონაი,  
ჩემს ამხანაგ იმერლიშვილს  
ჩავაბარე მათი თავი“.

საყვარელი მეგობრის დაღუპვის გამო შურისძიების ცეცხლით ანთებულმა ილიკო იმერლიშვილმა პირნათლად შეასრულა ჯორბენაძის ანდერძი და სამაგიერო მიუზღო მტრებს.

ამის შემდეგ იმერლიშვილი ტოვებს გურიის ფარგლებს და ისევ მშობლიურ ადგილებისაკენ მოეშურება, მაგრამ გზაში ავად ხდება ფილტვების ანთებით და ფარულად ისევ თავის ოჯახს უბრუნდება მცხეთაში. ამ შემთხვევის გამო აი, რას მოგვითხრობს მისი და – ელენე იმერლიშვილი:

„როგორც ჩანს, ილიკოს სახლში მოსვლა არ გამოეპარათ ჯაშუშებს და ერთ დღეს, ღამის პირველ საათზე, სახლს გარს შემოერტყა 50 პოლიციელი ბოქაულის მეთაურობით. ილიკო იწვა ძველ დარბაზში, სადაც დედა ადგა თავზე. ხოლო ცოლ-შვილი და ოჯახის სხვა წევრები ზედა სართულში იყვნენ. ხმაურის დროს დედამ გამოიხედა და კაზაკებს რომ მოჰკრა თვალი, გაბრუნდა საჩქაროდ და ჩასძახა ილიკოს: – ადექი, შვილო, ობისკი არისო, 40 გრადუს სიცხიანი ილიკო ზეზე წამოვარდა, ხელში მაუხერი



დაიჭირა, სარკმელიდან გადახტა, მტკვარი გადასცურა და ნაწილი ტანსაცმელი მტკვრის პირას დაყარა კვალის ასაბნევად. ილიკო რომ ხელიდან დაუძვრა, პოლიცია მის ოჯახს მიუბრუნდა და ააწიოკა; ცოლი პატარა ბავშვით, და და ძმა მცხეთიდან თბილისს ფეხით წამოიყვანეს პოლიციაში წარსადგენად. გზაზე ცოლისათვის უთქვამთ, გვაჩვენე ეგ ბავშვი, თუ ბიჭი არის, ახლავე მოვკლავთ, მამის მსგავსი გამოვო, მაგრამ ქალი რომ ნახეს, თავი დაანებეს. რათა თავი დაეღწია პოლიციას სირცხვილისაგან, რომ 50 კაცს ერთი კაცი გაექცათ, დაწერეს ოქმი, ვითომ ილიკო იმერლიშვილი მტკვარში დაიხრჩო და ტანსაცმელი მტკვრის პირას ვიპოვეთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ილიკო იმერლიშვილი ისევ გამოჩნდა; ილიკოს რომ ვერაფერს აკლებდნენ, მის ცოლ-შვილს აწიოკებდნენ“.

ახალ-ახალი ვაჟკაცური საქმეების ჩადენის შემდეგ შემთხვევა იმერლიშვილს ის ამბავი, რომელიც აღწერილია ამ ნარკვევის დასაწყისში. მან აქაც იმსხვერპლა ბოქაული რამდენიმე პოლიციელით და თავისებური სიმარჯვით მიიძალა. ოფიციალურად მკვდრად გამოცხადებული იმერლიშვილი ისევ გამოჩნდა, ამან მთლად მოთმინებიდან გამოიყვანა პოლიცია და გაშმაგებით შეუღდა მისი კვალის ძებნას.

ახლა კი იმერლიშვილი იძულებული გახდა სამუდამოდ გასცლოდა თბილისის მიდამოებს და ღუშეთის მაზრის ტყეებს შეაფარა თავი.

ათას ხიფათში გამოვლილი და პოლიციისაგან ორჯერ „მოკლული“ ვაჟკაცი ბრმა შემთხვევის მსხვერპლი შეიქნა, ბოძი აუფეთქდა ხელში და დაიღუპა. ეს მოხდა 1914 წელს ღუშეთის მაზრის ერთ-ერთ ტყეში. დამთავრდა 26 წლის ვაჟკაცის მჩქეფარე სიცოცხლე.

მრავალჯერ მშრალზე დატოვებულ პოლიციას, ახლაც არ სჯეროდა იმერლიშვილის სიკვდილი და მაინც დაეძებდა მის კვალს; დევნიდნენ და აწიოკებდნენ მის ცოლ-შვილს, რომლებიც იძულებული გახდნენ გასცლოდნენ საქართველოს და 1924 წლამდე ორჯონიკიძეში ეცხოვრათ.

ილიკო იმერლიშვილზე რამდენიმე ლექსი ყოფილა შეთხზული, მაგრამ ოჯახს დაჰკარგვია იმდენ უბედურებაში; სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც სხვაგან წავაწყდით.

## მისა ჭუჭულაშვილი-მწერლიშვილი

„ამოდი შუქურ-ვარსკვლავო,  
მთვარეს უბრუნე პირია,  
დილის მზევ, ამომავლო,  
შენ გადმოფინე სხივია.  
ამოდი შუა ქიზიყში,  
გვიცოცხლე სოფლის გმირია,  
იკითხე მიხას სახელი,  
გვარად ჭუჭულაშვილია“.

*ხალხური*

ქიზიყელი არსენა!

ამ სახელით იყო ცნობილი 900-იან წლებში, კახეთში სახელგანთქმული დევნილი ვაჟკაცი – მისა ჭუჭულაშვილი-მწერლიშვილი. ეს სახელი ბევრს ავალებდა ტყეში გაჭრილ კაცს და მიხასაც ბოლომდე არ უღალატნია არსენას ტიპის ყაჩაღის დამახასიათებელი თვისებებისათვის.

შევევით მიხას ცხოვრების საფეხურებს, რომლის პირველი მონაკვეთი თითქმის ბურუსითაა მოცული. ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი მიხას ბიოგრაფიიდან ცხრაასიან წლებამდე.

მისა ჭუჭულაშვილი-მწერლიშვილი დაბადებულია სოფ. ქვემო-მაჩხანში (სიღნაღის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. როგორც ჩანს, მას არავითარი სასკოლო განათლება არ მიუღია, თუმცა ყოფილა –

„სიტყვა-პასუხში ნასწავლი,  
ვაჟკაცად გამოზრდილია,  
ძმაცაცის მოსიყვარულე,  
მოლაპარაკე ტკბილია“.

მისა ბავშვობიდანვე ჩაბმულა ღარიბი გლეხკაცის დუხჭირი ცხოვრების უღელში; დიდხანს მწყემსად ყოფილა. ჭაბუკ მიხას გულში ჩავარდნია მდიდარი და გავლენიანი გლეხის წყალობა ოდოჭაშვილის ქალის, მანანას სიყვარული. წყალობას სასტიკი უარი უთქვამს ღარიბი სასიძოსათვის. მისამ ძალას მიმართა და ქალი მოიტაცა. გამმაგებულმა წყალობა ოდოჭაშვილმა მისა დააპატიმრებინა და იმდენი მოახერხა, რომ ციმბირში გადასახლება

მიუსაჯეს. როგორც ირკვევა, პატიმრისათვის საქართველოდან ყალბი საბუთები გაუგზავნიან და მიხა „ერთ თვეზე უკან დაბრუნდა, როგორც ალაზნის შველია“... შეიძლება ხალხურ ლექსში ნათქვამი ერთი თვე გადაჭარბებულად მოკლე დრო იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გადასახლებიდან მიხა ძალიან მალე დაბრუნებულა სამშობლოში. ამის შემდეგ მას იარაღი აუღია ხელში და ბრძოლა დაუწყო არა მხოლოდ პირადი მტრების, არამედ ხალხის მტრების წინააღმდეგაც. გამეფებულ უსამართლობას მიხას სამართალი შეერკინა. ჩვენი აზრით, მიხა ჭუჭყულაშვილი-მწერლის შვილი „ყაჩაღობას“ იწყებს 1889-1900 წლებში.

„ბრძანება გამოსულიყო,  
ყველა მხარეზე სწერია:  
ათასი ოქრო ვაჩუქოთ,  
ვინც მიხას დამტყვევლია.  
ეცადნენ ძალიან ბევრი,  
შეუკრეს გზა და კვალია...  
უზანგებს ამტყვევს ულაყი,  
შევარდენივით მალაია.  
ამოჰკრა ქუსლი, მოსხლიტა,  
ვერ მიაყოლეს თვალია;  
უკულმა ტყვიას ისროდა,  
როგორც რომ ნიაღვარია...  
უხდება გავლა-გამოვლა,  
ვაჟაკაცი მშვენიერია,  
იარაღს რომ შემოურტყამს,  
შეხედვა, საზარელია“<sup>1</sup>

მიხამ კარგა ხანს გაატარა ლაღად, ქეიფებსა და ქორწილებსაც არ აკლდებოდა. რომ იტყვიან – „უბატონოდ ხმის გაცემას“ კერავინ უბედავდა უშიშარ ვაჟაკს. მაგრამ 1903 წლის იანვარში სოფ. ქედელში, გამცემმა გიორგი მჭედლიშვილმა დღეობის დროს საფანგი მოუწყო მიხას, სახლში დაპატიჟა და თამადად მყოფს, პოლიცია დაასხა თავს:

„მიხამ რომ გამოიხედა,  
ღვინისგან იყო მთვრალია,  
შვიდჯერ ესროლა ბერდანკა,  
აღარ უჭრიდა თვალია,

<sup>1</sup> „ხალხური პოეზია“, გვ. 917-918.

მარცხენა მკლავში მოარტყეს,  
აღარა ჰქონდა ძალია,  
თოფი ძირს ჩამოუვარდა,  
თითონ შამოხსნეს ხმალია.  
ჩააწვინეს ფაიტონში  
დაჭრილი, ღვინით მთვრალია,  
გვერდით ჩაუჯდა სტრაჟნიკი,  
უკნიდან მიჰყვა ჯარია“.<sup>1</sup>

1903 წლის 13 ოქტომბერს მიხას ისევ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს<sup>2</sup> და გაუყენეს კიდეც გზას, მაგრამ როგორც პირველად, ახლაც ყალბი საბუთები გადაუგზავნეს და მალე ისევ მშობლიურ ქიზიყში დაბრუნდა.

1904 წელს მიხა ისევ მეტეხის ციხეშია, იქიდან მოწერილი ბარათიც არის დაცული სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მიხა ახლაც მალე აღწევს თავს ციხეს და დაუნდობლად ებრძვის მშრომელი ხალხის მჩაგვრელებს. ჯაშუშებსა და მოღალატეებს. იგი ჰკლავს წყალობა ოღოჭაშვილსაც.

მიხა რომ ხალხის ქომავია – ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხალხური ლექსი თვითონ მას ათქმევინებს: „მდიდრის გამძარცველი ვარ, ღარიბის შემნახავია“. გარდა ადგილობრივი მოხელეებისა, იგი ებრძოდა შარავზის ავაზაკებსა და ქურდებს:

„გახედა, გზაზე მოდიან,  
ქურდები დაღესტნელია,  
მოუდით დაპარულები  
ცხვარ-ძროხა საქონელია.  
გადუდგა მიხა წინადა,  
ღრო აღარ არის თქვენია,  
ორთავეს ორი ესროლა,  
ორნივ გახადა მკვდარია,  
ერთი ისე გაეპარა,  
ველარ მოასწრო თვალია.  
აჰყარა იარაღები,  
ლეში ჩახარა ხრამშია,  
მოაბრუნა საქონელი,  
უკლებელია თვალშია“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „ხალხური პოეზია“, გვ. 519.

<sup>2</sup> „ცნობის ფურცელი“, 1903 წლის №2324.

<sup>3</sup> „ხალხური პოეზია“, გვ. 523.

ხალხი ლოცავდა თავის მოსარჩლეს:

„იკურთხოს ჭუჭულაშვილი,  
 იკურთხოს იმის დღენია,  
 ეგ არის ჩვენი პატრონი,  
 ეგ არის ჩვენი მხსნელია“.<sup>1</sup>

იმავე პერიოდში შეუერთდნენ მიხას ორი დევნილი ვაჟკაცი – ლადო ოზაშვილი და შაქრო ბეგიაშვილი, რომელსაც მეტსახელად პაგიას ეძახდნენ. ამ სამეულის სამოქმედო არე იყო თელავისა და სიღნაღის მაზრები, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახლომახლო რაიონები.

სამეულის წინააღმდეგ ბრძოლამ უმაღლეს წერტილს 1908 წელს მიაღწია. ამ წლის მაისის პირველ რიცხვებში თვით თბილისის გენერალ-გუბერნატორი ჩავიდა ქიზიყში, მიხას სამშობლო სოფელ ქვემო-მანხანაში და მოითხოვა მიხას დაუყოვნებლივ გაცემა. გლეხთა ყრილობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო; რსდმ პარტიის წევრმა დიმიტრი გონაშვილმა, რომელიც გლეხურად გადაცემული გამოვიდა ყრილობაზე, საკადრისი პასუხი გასცა გუბერნატორს.<sup>2</sup>

მაშინ გუბერნატორმა სიღნაღისა და თელავის მაზრის უფროსებს და თუქურმიშაში (ახლანდელი წითელწყარო) დაბანაკებულ ტვერის დრაგუნთა პოლკს უბრძანა, ყოველი ღონე ეხმარათ მიხას ჭუჭულაშვილი-მწერლიშვილის სამეულის დაუყოვნებლივ მოსასპობად.

იმავე წლის 9 მაისს ჯაშუშების – ფანიანელი გიგა ბეგიაშვილისა და ვაქირელი დიმიტრი მოსაშვილის დასმენით, შირაქის უბნის ბოქაული ბაქრაძე თავისი „სტრაჟნიკებით“ და დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონით – პორუჩიკების წიკლაურისა და გუცუნაევის მეთაურობით, თავს დაესხნენ ყარაღაჯის ტყის მიდამოებში მწყემსთა ბინებს, სადაც სამეული თავს აფარებდა.

მიხამ და მისმა ძმადნაფიცებმა ბრძოლით გაარღვიეს ალყა და ცხენებით ალაზნისაკენ დაემუნენ, მაგრამ მღვერებმა პაგია გზაშივე მოჰკლეს, მიხა და ლადო კი ალაზნის პირას, ე.წ. „აგაშლის ყურეში“; უფრო სწორად, მიხას ლამში ჩაეფლო ცხენი და ბოლოს თავი მოიკლა, ცოცხლად არ ჩაბარდა მტარვალებს. მოკლული მიხა გაუჩნრეკიათ და მის ჯიბეში აღმოუჩენიათ რუსეთსა და კავკასიაში სამგზავრო მატარებლის ოთხი ბილეთი, მეორე კლასისა.

<sup>1</sup> „ხალხური პოეზია“, გვ. 523.

<sup>2</sup> გაზეთი „ამირანი“, 1908წ., № 55.

ასე დაიღუპა მიხა ჭუჭყულაშვილი-მწერლიშვილი, ეს ქიზიყელი არსენა, რომელზედაც ხალხმა მთელი პოემა და ლექსების ციკლი შექმნა.

ხალხურ პოემაში შესანიშნავადაა აღწერილი მისი უკანასკნელი ბრძოლისა და დაღუპვის ამბავი:

„ჰა, ცხენო, გადამარჩინე,  
ქუსლი ამოჰკრა ჩქარა,  
ცხენმა დაიწყო გრიალი,  
ალაზანს ჩაიყვანა;  
ალაზნის პირზე მისულა,  
მისულა, გადამდგარა,  
უნდა გავიდნენ ჭალაში,  
ცხენი არ გაჰყვა თანა.  
ცხენი ნაშეში ჩაეფლო,  
მკერდამდე ჩაიმალა,  
ნაშედან ველარ ამოდის,  
რა ჰქნას, რომ დაიღალა?  
მიხა გადმოხტა ცხენიდან,  
უკან მობრუნდა ჩქარა,  
გალმიდან ტყვიას ისროდნენ,  
მიხა თოფს მიეხალა,  
გატეხა შუა ჩახმახი,  
ღლესაც ვერ გამომდგარა,  
მიხამ გაუშვა ხელები,  
უკულმა გადაყარა.  
ვაი, შე დასალუპავო,  
შენგნით გზა შექმნალა.  
შე დასაწვავო სალდათო,  
რა გინდა მიხასგანა?  
არც მინდა თქვენი ბორკილი,  
არც თქვენი პურის ჭამა,  
მოვკვდები ჩემი ხელითა,  
იმრავლოს ჩემმა გვარმა.  
ამოიღო ნაგანი და,  
მიიღო ნიკაპთანა,  
გამოსწია და გავარდა,  
აგლიჯა თავის ქალა“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> „ხალხური პოეზია“, გვ. 537-538.

## ხარება და გოგია

ეს ხარება და გოგია  
ალაზნის პირას მოდიან...“

ხალხური

ხარება და გოგია!

ამ ორ სახელს განუყოფლად იხსენებენ კახეთში, მათი ცალ-ცალკე წარმოთქმა თითქმის შეუძლებელია. ხარებასა და გოგიას საგმირო საქმეებზე ლეგენდები დადის ხალხში. დიდი და პატარა ალტაცების გარეშე ვერ წარმოსთქვამს ამ სახელებს. მრავალ ოჯახში ნახავთ მათ სურათებს. ხარებასა და გოგიას სახელთან არის დაკავშირებული კახეთში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაშლილი მოძრაობა.

ეს ნარკვევიც არა მარტო ხარებასა და გოგიას, საერთოდ, თელავის მაზრის მთელი რაზმის ცხოვრებას ეხება.

ვინაიდან ამ რაზმის შესახებ ოფიციალური ცნობები თითქმის არ არსებობს, ნარკვევი დამყარებულია თელავის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ მცირერიცხოვან მასალებსა და თელავის რაიონის იმ მკვიდრთა ჩვენებებზე, რომლებიც ახლოს იყვნენ ხარებასა და გოგიას რაზმთან.

მათ შორის არიან: რამანა უთმელიძე – 71 წლის, ქვისმთლელი; ვასო როინაშვილი – 78 წლის, ფოტოგრაფი; კიმოთე ონიკაშვილი – 67 წლის; შაქრო ჩხუბიანაშვილი – 71 წლის (ეს ორნი დიდხანს იყვნენ კატორღაში რაზმის ხელის შეწყობისათვის) და სხვ. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ერთი ხელნაწერი: გრ. კოლელიშვილის (მაწანწარელის) ვრცელი მოთხრობა „გოგია და ხარება“ (დაწერილია 1935 წ.), მაგრამ არავითარ ფაქტიურ მასალას არ იძლევა, უფრო ფანტაზიის ნაყოფია.

1928 წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოვიდა ევ. დვალის პატარა პოემა „ტყის კაცი“, რომელშიაც მოთავსებულია წითელრაზმელთა მოზრდილი ჯგუფის სურათი, სურათს ასეთი წარწერა აქვს: „ტყის კაცის“, ვანო ბუჩაშვილის, „წითელი რაზმის“ ანუ „ტყის ძმების“, ერთი ნაწილი. დროშაზე აწერია: „მიწა მიწის მუშას“. იქვე აღნიშნულია, რომ ეს სურათი 1906 წელს ფშავის ხეობაში დაუსატავს ვინმე დავიდოვს; სურათი რეაქციის დროს ქვევრში

ინახებოდაო. – მეორე გვერდზე დაბეჭდილია სურათზე დახატული რაზმელების სია; სულ არის 17 კაცი: რაზმის შტაბის უფროსი – ვანო ბუჩაშვილი, თიანეთის რაზმის მეთაური – შაქრო გელოვანი, თელავის I რაზმის მეთაური – გიორგი ბერძენაშვილი, თელავის II რაზმის მეთაური – ხარება ჯიბუტი, თელავის ტერორისტთა მეთაური – ავქსენტე სიღამონიძე, სიღნაღის I რაზმის მეთაური – სანდრო ყავლაშვილი, სიღნაღის II რაზმის მეთაური – გეგა სესიაშვილი და რაზმელები: ჩიტა წაქარაძე, სოლო ბიწკინაშვილი, გოგია კენკიშვილი, ვანო ხანდამიშვილი, ილო ბებურიშვილი, კოლია დედაბრიშვილი, ვანო ლაშაური, გიგა სესიკაშვილი, გიორგი მახნიაშვილი, ილო ფირანაშვილი.

როგორც ვხედავთ, აქ აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლებს მოუყრიათ თავი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვიპოვეთ რაიმე დაწვრილებითი ცნობა ამ გაერთიანებული რაზმის შესახებ. ვანო ბუჩაშვილზე კი ვიტყვით ორიოდ სიტყვას, მით უფრო, რომ ამ დროს სწორედ მის რაზმში ვხვდებით ხარებასა და გოგიას.

ვანო ბუჩაშვილის შესახებ, რომელიც ამ პერიოდში, ასეთი დიდი რაზმის შტაბის უფროსი ყოფილა, არავითარი მასალა არ აღმოჩნდა ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სხვათა შორის, არც ხალხშია მაინცდამაინც პოპულარული მისი სახელი. ბუჩაშვილი ღუშელი იყო. იგი 1928 წელსაც ცოცხალი ყოფილა.

შაქრო გელოვანის, ვანო ხანდამიშვილის, კოლია დედაბრიშვილისა და ვანო ლაშაურის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. დანარჩენები კი სწორედ ხარებასა და გოგიას სახელთან არიან დაკავშირებულნი და მათზე ქვევით გვექნება საუბარი.

ხარება სიმონის ძე ჯიბუტი (ზედმეტი სახელი „ლეკი“) თუში იყო. დაიბადა ყოფილი თელავის მაზრის სოფელ ართანაში. არსებობს გადმოცემა, რომ მისი წინაპარი გურიიდან გადმოსულა კახეთში (აქ ერთადერთი ოჯახია ჯიბუტებისა). მას არავითარი სასკოლო განათლება არ მიუღია, მაგრამ წერა-კითხვა კარგად სცოდნია. ყრმობა და სიჭაბუკე მწყემსობაში გაუტარებია. 1905 წლის დასაწყისში გაუცვნია თელავის მაზრაში ცნობილი ავქსენტე სიღამონიძე და მისი მემკვიდრით დაკავშირებია არალეგალურ წრეებს. სიღამონიძის დავალებით ხარება ხშირად ჩადიოდა თბილისში სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. 1906 წლიდან მეთაურობს თელავის



ერთ-ერთ რაზმს, ხოლო სიღამონიძის მოკვლის შემდეგ სათავეში უდგას დიდ რაზმს, რომელიც რეაქციის პერიოდში მოქმედებდა კახეთის ტერიტორიაზე.

ხარება ვაჟკაცური შესახედაობისა და მეტად გულადი კაცი ყოფილა; უანგარო და ალალ-მართალი ხასიათი ჰქონდა.

ავქსენტი სიღამონიძე (ზედმეტი სახელი „ტყის ნადირი“) დაიბადა 1883 წელს სოფ. ფშაველში. თელავის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იქვე, თელავის ბიბლიოთეკის გამგედ. 1904 წელს გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა შავი ზღვის ფლოტში. 1905 წელს მეზღვაურთა არეულობაში აქტიურად მონაწილეობდა, დევნიდნენ, მაგრამ გამოიქცა სევასტოპოლიდან. იყო თელავის ტერორისტთა მეთაური, მოკლა ბოქაული აპუშკინი, ბაშკადიკლარის პოლკის ოფიცერი გააზი და სხვ. სიღამონიძე ღალატით მოკლეს პოლიციელებმა 1907 წელს სოფ. კურდღელაურში.

გოგია კენკიშვილი დაიბადა თელავის ახლოს, სოფელ გულგულაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ერთი „ტლუ ბიჭი“ ყოფილა, წერა-კითხვის უცოდინარი. ბავშვობა და სიჭაბუკე მეძროხედ გაუტარებია. ცილი დასწამეს და დააპატიმრეს, მაგრამ 1906 წელს გამოიქცა ციხიდან და შეუერთდა რაზმელებს.

გოგია ბოლომდე რიგით რაზმელად დარჩა, მაგრამ დიდი სახელი დატოვა. ხარებას რაზმში რამდენიმე კაცი იყო მეთაურად (გიორგი ბერძენაშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი, სანდრო ყავლაშვილი, გიგა სესიაშვილი), მაგრამ ხალხის ხსოვნაში ხარება და გოგია განუყრელ წყვილად არის დარჩენილი. გოგია მეტად მამაცი და უშიშარი კაცი ყოფილა, თუმცა, სიმათლე უნდა ითქვას, მისი საქციელი ზოგჯერ ვერ ყოფილა მიზანშეწონილი და შეგნებული. მეტად ფიცხი ხასიათი ჰქონია, დაუნდობელი და ავი კაცის სახელი დავარდნია. როგორც ჩანს, ხარება ხშირად ტუქსავდა თავის ძმადნაფიცს. გოგიაც თურმე მხოლოდ ხარებას ემორჩილებოდა და უსიტყვოდ, ხარებას წარბის ერთი აწევაც კი საკმაო ყოფილა ამ შლეგი კაცის დასაოკებლად. ბოლოს მაინც წინდაუხედავი საქციელის გამო დაღუპულან.

როგორც აღვნიშნეთ, ავქსენტი სიღამონიძის მოკვლის შემდეგ (1907 წ.), რაზმს სათავეში ჩაუდგა ხარება ჯიბუტი. უფრო მეტი მანევრირებისა და მოხერხებული თავშესაფრისათვის რაზმი გაყოფილა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი თვითონ ხარებას მეთაურობით ახლანდელი თელავის რაიონში იმყოფებოდა, მეორე

კი – გიორგი ბერძენაშვილის (ზედმეტი სახელი „ჟორჟიკა“) მეთაურობით ახლანდელი გურჯაანის რაიონში. რა თქმა უნდა, ისინი ძალიან ხშირად ერთიანდებოდნენ რთული ტერორისტული აქტებისა და მსხვილი თავდასხმების დროს.

რაზმელებს თითქმის ყველას ერთნაირი – ლევა ჩოხები ეცვათ, თავზე თუშური ქუდეები ეხურათ; შეიარაღებაც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. კვირაში ერთხელ აუცილებლად დაიბარებდნენ დალაქს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, და იპარსებოდნენ. თელავის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ფოტოგრაფ ვასო როინაშვილის პირად არქივში დაცულია ამ რაზმის ცალკეული ჯგუფებისა და ხელმძღვანელების ფოტოსურათების კოლექცია.<sup>1</sup> უყურებთ ამ სურათებს და გაცვებთ მათი კოხტა ჩაცმულობა. რაზმელებს აგრეთვე ჩვეულებად ჰქონიათ საკუთარი თოფის კონდახზე თავიანთი სახელის წარწერისა, რაც ფოტოსურათზეც ჩანს.

რამანა უთმელიძის ჩვენებით კისისხევიში, თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს მაქსიმლიან ჭავჭავაძეს დიდი წვეულება გადაუხდია. სხვა საპატიო სტუმართა შორის, მეფის რომელიღაც გენერალიც ყოფილა. სწორედ მას გამოუთქვამს სურვილი ხარებას რაზმელების ნახვისა – ჯარი ხომ თან არა გვყავს, არაფერს გერჩითო, შეუთვლიათ. რაზმელები მართლაც მოსულან მათთან. აუწერელი შთაბეჭდილება მოუხდენიათ სტუმრებზე რაზმელებს, განსაკუთრებით ზალიკო სვიმონიშვილის სილამაზეს მოუტაცნია კნინებისათვის თვალი. რაზმელებს ცოტა წაუქეიფნიათ მათთან ერთად და ისევ უკან გაბრუნებულან.

თელავის პარტიზანული რაზმის მოქმედების არე ძალიან ფართო იყო: მთელი კახეთი, აღმოსავლეთ ქართლი, თიანეთი, აზერბაიჯანისა და დაღესტნის მოსაზღვრე რაიონები. რაზმმა რამდენიმე ცხარე ბრძოლა გადაიხადა. ბოლოს (დაახლოებით 1911-12 წლებში) გადაწყვიტა გადასულიყო ირანში, მაგრამ საზღვართან შეტაკების დროს დამარცხდა და უკან გამობრუნდა.

ხარებას რაზმმა მოკლა ბოქაულები: თარხანოვი, გოჯიევი, კახვახოვი და მრავალი სხვა შავრაზმელი.

რაზმი დიდად ეხმარებოდა ღარიბ მოსახლეობას, ღებულობდა ღარიბ გლეხთა სიებს და უწევდა მათ ფულად დახმარებას. რაზმი ხშირად სოფლებზე შეწერილ სხვადასხვა სახელმწიფო

<sup>1</sup> ფოტოსურათები 1909-10 წლებში გადაუღია ვ. როინაშვილს, ერთხელ კისისხევის ტყეში, ე.წ. „სახარესთან“ და მეორეჯერ სოფ. იყალთოს მახლობლად.

გადასახადებსაც იხდიდა. ვასო როინაშვილის ჩვენებით, პირადად ხარებას რამდენჯერმე გამოუტანებია მისთვის ფული მოსკოვში გადასაგზავნად ქართველი სტუდენტების გვარზე. როგორც ჩანს, რაზმს საკუთარი სტიპენდიანტებიც ჰყოლია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც საერთოდ ხდებოდა, შარავზის ქურდბაცაცები სარგებლობდნენ ხარებასა და განსაკუთრებით გოგიას სახელით, ძარცვავდნენ ხალხს, ამ ძმარცველებს რაზმი სასტიკად უსწორდებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ძლიერ პარტიზანულ რაზმს ზოგიერთი უარყოფითი მხარეც ჰქონდა. ისინი ხშირად გადაბმულ ქეიფს აწყობდნენ, მიუვალ ადგილას აიტანდნენ სანოვაგეს, საკლავს, ღვინოს და რამდენიმე დღეს ილხენდნენ „ჟორჟიკას“ უცვლელი თამაღობით. სადღეგრძელოებში ხშირად იმეორებდნენ თურმე: „ჩვენში ვინც ადრე მოკვდეს, ის შაიწყალოსო“. რაზმი მთელი კვირეების მანძილზე იხდიდა დაღუპული თანამებრძოლების „სულის მოსახსენებელ“ პანაშვილებს. ძალიან ჰყვარებიათ ჩონგურზე დაკვრა, ხალხური ლექსებისა და ზღაპრების მოსმენა.

რაზმში სხვადასხვა დროს გაერთიანებული იყვნენ მთელ კახეთში სახელგანთქმული ვაჟკაცები: ზალიკო სვიმონიშვილი, ნიკო ნარეკლიშვილი („პატარა ნიკა“), სანდრო ყავლაშვილი („ძია“), გიგა სესიაშვილი („ბაღისკაცი“), ჩიტა წიქარაძე, სოლო ბიწკინაშვილი, გიგა სესიკაშვილი („ზამბილას ბიჭი“), ილო ბებურიშვილი, ილო ფირანაშვილი („ჩორტ ეგო ზნაეტ“), გიორგი მახნიაშვილი („უტრუხუნე“) და სხვ. რაზმს ხშირად ეკედლებოდა ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა.

ამათგან ყველაზე ადრე მოკლეს საგარეჯოელი „პატარა ნიკა“. მერე გორელი ჩიტა წიქარაძე დაახრჩო ხუნავმა. პირქუში და ახმაზი „ზამბილას ბიჭიც“ მძიმე ავად გახდა, იყალთოში დაეცა პოლიციამ, პოლიციას ცოცხლად არ ჩაუვარდა და თავი მოიკლა. თანამებრძოლებმა მოიპარეს მისი ცხედარი და თელავში გადმოსვენეს. მერე მთელი რაზმის სული და გული, მეტად ლამაზი უშიშარი ვაჟკაცი – ზალიკო სვიმონიშვილი მოკლეს თბილისში, დავალების შესრულების დროს. ბიწკინაშვილმა კი ირანში გადაპარვა მოახერხა საზღვართან შეტაკების დროს.

1913 წლის ნოემბერში დაიღუპნენ ხარება და გოგია. ისინი

რამდენიმე რაზმელით იმყოფებოდნენ თუშების სოფელ ზემო ალვანში (ამჟამად ახმეტის რაიონი). აქ მოხდა საბედისწერო შემთხვევა: გოგიამ მოკლა ერთი უბრალო თუში (როგორც ამბობენ, „რომანულ ნიადაგზე“). ხარება ძალიან შემოსწყრომოდა გოგიას და ეწინასწარმეტყველა კიდევ, „ერთი კვირის სიცოცხლეა შეგვრჩენიაო“. რაზმი სასწრაფოდ გაეცალა სოფელს.

გოგიას ეს წინდაუხედავი საქციელი გამოიყენა ადგილობრივმა ბოქაულმა მათურელმა, თავი მოუყარა თუშებს, გაახსენა სისხლის ალების მამაპაპური ადათი და შურისძიებისაკენ მოუწოდა. გაჭრა ამ ხერხმა და მდიდარი თუში მეცხვარეებისაგან რაზმი შეიკრა. ბოქაული „სტრაჟნიკებითურთ“ სასწრაფოდ გაუძღვა რაზმს ხარებასა და გოგიას კვალდაკვალ.

მესამე დღეს მიატანეს სოფ. მადრაანის თავში. რაზმელებს იარაღი თხილის ასწლოვან ბუჩქზე მიეწყოთ, პურ-მარილი გაეშალათ და უდარდელად ქეიფობდნენ. თავდამსხმელებმა ისე ოსტატურად დაუარეს თავი, რომ ყარაულად დაყენებულ „უტრუხუნეს“ არაფერი გაუგია. ხელისგულზე დასმულივით ჰყავდათ ათი კაცი ალყაში. სამსამმა დაუმიზნა თითოს, ხარებას კი არც ერთმა... კარგად იცნობდნენ თუშები თავიანთ მოძმეს, ერთად იგრიალა ყველა თოფმა და სამსამი ტყვიით განგმირული ცხრა რაზმელი დაეცა. მიზანიც კარგი იცოდნენ თუშებმა.

შემფოთებული ხარება წამოიჭრა და თავდამსხმელთა ხმაც გაიგონა: „შენ წადი, ხარებ, არას გერჩით!“ – ხარება მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ალბათ მწარედ ჩაიცინა ვაჟკაცმა და მაუხერი მიიღვა საფეთქელზე.

ხარებასა და გოგიას გარდა დაილუპნენ: საბუელი ბებურიშვილი, წინანდლელი ბეჟუაშვილი, სიღნაღელი შანათიშვილი, ოჟიოელი ბუხალაძე და სხვ. მხოლოდ ყარაულად დაყენებულმა „უტრუხუნემ“ უშველა თავს.

მკვლელებმა იქვე ამოთხარეს დიდი ორმო და ათივე ორ წყებად ჩაასვენეს შიგ. ზემოდან ხის ტოტები დააყარეს, ზედ უზარმაზარი ლოდები დაადეს და მიწა მაგრად დატკეპნეს.

დარჩენილი მეორე ჯგუფი „ჟორჟიკას“ მეთაურობით, რაზმის ყველაზე ხნიერი წევრის „ძიას“, „ბადისკაცის“, „ჩორტ ეგო ზნაეტის“, „უტრუხუნეს“ და სხვათა შემადგენლობით 1917 წლის თებერვლამდე იყვნენ ტყეში. 12 წლის გამუდმებული დევნის შემდეგ დაუბრუნდნენ

ისინი მშვიდობიან ცხოვრებას. მაგრამ „ჟორჟიკა“ მძარცველმა თათრებმა მოკლეს ალაზნის პირას 1918 წელს, ნადირობის დროს; „ძია“, „ბადისკაცი“ და „ჩორტ ეგო ზნაეტ“ მენშევიკებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს 1918 წელს. „უტრუხუნეტ“ იმავე წელს მოკლეს, ვინაიდან გადაგვარდა და მძარცველობა დაიწყო.

ორმოცდამდე წელს ეწყო ხარებასა და გოგიას ძვლები მალრაანის ტყეში. 1955 წლის ზაფხულში, მათი ნეშტი გადმოსვენეს ხარებას მშობლიურ სოფ. ართანაში და ხარებას მამის – სიმონ ჯიბუტის გვერდით დამარხეს.

ხარებასა და გოგიას შესახებ აუარებული ხალხური ლექსია შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ სრულიად შეუკრებელი და გამოუქვეყნებელია.

აქ ვათავსებთ ხარებასა და გოგიას შესახებ სამ ლექსს, რომლებიც ჩვენი თხოვნით ჩაიწერა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ სოფელ მალრაანში მიხა ხომიზურისაგან (1956 წლის ნოემბერში).

\* \* \*

ეს ხარება და გოგია  
 ალაზნის პირას მოდიან,  
 ერთმანეთს ეუბნებიან –  
 რომელი მხარე სჯობია.  
 გოგიამ უთხრა ხარებას –  
 ნაფარეული სჯობია.  
 – ო, არა, ბიჭო გოგია,  
 მალრაანის ტყე სჯობია,  
 საბინაოდ ზომ კარგია,  
 ხალხიცა იქა სჯობია,  
 მალრაანის ტყეში ქეიფი  
 სუყველაფერსა სჯობია.

\* \* \*

ის გულგულელი გოგია  
 დაბალია და ბრძენია,  
 დაბალ-დაბალი ბიჭია,  
 კისერი მორგვზე სქელია.  
 ზურგზე ჰკიდია ვინტოვკა  
 თავით ბოლომდე გრძელია,  
 ვისაც ის ტყვია მახვდება –  
 იმის მორჩენა ძნელია.

\* \* \*

შამკობილი ხარ, მალრანო,  
წინ მინდორი, უკან ტყეო,  
ქალებისა სასეირნო,  
ყაჩაღების სამოთხეო.  
ერთ ადგილს მალრანს ეტყვიან  
ნაპირი ალაზნისაო,  
იქვე ბინაა ტყეშია  
გასული ბიჭებისაო.  
ქეიფობენ და ლზინობენ,  
შიში არა აქვთ მტრისაო,  
არც სიკვდილ მაგონდებათ,  
არცა ღალატს სხვისაო.  
ალვანით ჯარად წამოვა  
ბიჭები თუშებისაო,  
გარს ალყა შამოურტყვიან  
იმედ აქვთ თოფებისაო.  
სტყვევება და სტყვევება თოფები,  
ხმასა ჰგავს ბერდენკისაო,  
ალარსადა ჩანს ბიჭობა  
სუზნელი კარგი ყმისაო.  
დამრჩალან უსახელოთა  
ბრძანება არი ღვთისაო,  
სისხლით გასვრილი ხეები  
იქვე დგას ხრამის პირსაო.  
ამსილა მათი სისხლითა  
ხეები მალრანისაო,  
ხეზე ნაკიდებ ყათრებსა  
ტოტები ჩააქ ძირსაო,  
ტყვიით დახვერტილ ბიჭებსა  
შიგ შუქი უვლის მზისაო.  
როსტომო შავბეჭაისძევე,  
მადლი გაგიწყრეს ღვთისაო,  
ხარ ბევრი ცოდოს მოქმედი  
და მოღალატე ძმისაო,  
ხარებას ნაძლევე ფულებით  
ჯერაც სავსე გაქვს ქისაო.  
სტეფანევე, თხელიაანთო,  
პატრონო ბევრი ცხვრისაო,  
შენ მაინც რად უღალატე,

ფიც რად გატეხე ღვთისაო,  
 ბევრივე გადევს ცოლო  
 თუშების, ფშავლებისაო,  
 ბევრი ჩარეკე ცხვარ-ძროხა  
 სამბუხში, ივრის პირსაო,  
 მზგავსია შენი სიცოცხლე  
 სიცხეში ყორანისაო,  
 კიდენ დამრჩალან ბიჭები  
 იმ ახალ თაობისაო,  
 მალე იციან იმათა  
 ვიწროში შაკვრა გზისაო,  
 უმწერლოდ კაცის სიკვდილი,  
 დაფქვა ვაჟკაცის ძვლისაო.

## მამუკა და სადარა

„მამუკასა და სადარას  
 შესაფერს ვერვინ ეტყვისა“.

*ხალხური*

900-იან წლებში თავისუფლებისმოყვარე და უშიშარმა მთიელმა ვაჟკაცებმა მამაპაპური მახვილის ლესვა დაიწყეს და მტრის ხმლისაგან მრავალგზის დაკაწრული ფარები ააჟღერაღეს. პირველი პროტესტის გამოვლინება იყო გუდანის ჯვარის ხატობაში ხევსურთა ფიცი, რომ სალდათში არ გასულიყვნენ. შეჯავშნული და იარაღასხმული ვაჟკაცები შუა საუკუნეების რაინდებს ჰგავდნენ და ერთობლივად გუგუნებდნენ გაუტეხელი ფიცის ჟრჟოლისმომგვრელ სიტყვებს.

ამ ამბავს მოჰყვა ფიცის მონაწილეთა დევნა, მკაცრი რეპრესიები. ხევსურები მიხვდნენ, რომ მამაპაპური ფარ-ხმალითა და ძველისძველი კაჟიანი თოფებით ვერას დააკლებდნენ შამსანებით შეიარაღებულ, კარგად გაწვრთნილი ჯვარის ნაწილებს. საჭირო იყო თანამედროვე იარაღი!

„ამ მიზნით ბარში გამოუგზავნიათ ერთი ხელმძღვანელთაგანი – ლევან გოგოჭური, რომელიც შემთხვევით მისთვის უცნობ ი. ჭავჭავაძეს შეხვედრია. ილიას ჯერ საგურამოში თავისთან შეუფარებია,

ხოლო შემდეგ თბილისში წაუყვანია და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში მიუღებინებია შავ მუშად. ლ. გოგოჭურს უმოვია იარაღი და დაუწყია მისი ნაწილ-ნაწილ გადაზიდვა ხევსურეთში. ერთ-ერთი გადატანის დროს ლ. გოგოჭური დუშეთის მახლობლად პოლიციას დაუპატიმრებია. ამის შემდეგ ხევსურებს გადაუწყვეტიათ იარაღის სხვა გზით შეძენა; თიანეთში ყოფილა სამხედრო პუნქტი. შეფიცულთა ორი მონაწილე – სადარა და მამუკა ამ პუნქტს დასცემიან და იარაღი გაუტაცნიათ. ამ შეტაკების დროს მომკვდარა და დაჭრილა რამდენიმე ჯარისკაცი. ეჭვი ხევსურებზე მიუტანიათ. ხევსურეთის ცენტრში, ბარისახოში, გაუგზავნიან პოლიციის დიდი ჯგუფი. მამუკა და სადარა ყაჩაღებად გასულან და პოლიციისათვის შეუთვლიათ, „ხალხმა არაფერი იცოდა, ეს ყველაფერი ჩვენ ჩავიდინეთ და მაგათ თავი დაანებეთო“. – ეს სიტყვები ჩვენ მოგვყავს ლევან გოგოჭურის ვაჟის – დავით გოგოჭურის ჩანაწერებიდან, რომელიც ეყრდნობა მრავალრიცხოვან მოგონებებსა და გადმოცემებს.

ვინ იყვნენ ეს ხევსური ვაჟკაცები, რომლებმაც სახალხო საქმისათვის მშვიდი ცხოვრება გასწირეს – სამუდამოდ ტყვეს მისცეს თავი?!

მამუკა ვაჟიას ძე გოგოჭური დაიბადა სოფელ ბუჩუკურთაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. არავითარი სასკოლო განათლება არ მიუღია, მხოლოდ კითხვა სცოდნია ცოტაოდენი. ადრე მოჰკიდებია ოჯახს. მამუკა გოგოჭური ყოფილა „საუკეთესო მსროლელი და მოფარიკავე, სწრაფი და მამაცი ახალგაზრდა“, გარეგნობით – მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი.

სადარა შიშის ძე არაბული კი სოფელ დათვისიდან იყო, წერა-კითხვის უცოდინარი, ღარიბი გლეხი; ისიც ადრე დაცოლმშვილებულა. მამუკას არც ის ჩამორჩებოდა სიმამაცეში, მაგრამ მისგან განსხვავებით, მეტად ამაყი და თავმოყვარე იყო. შესახედავად სადარა დაბალი, ჯშუხი, ქერა კაცი ყოფილა.

მამუკა და სადარა ტყეში გაჭრის შემდეგ ხშირად ესხმოდნენ თავს ღარილის ხეობაში განლაგებულ საპოლიციო და სამხედრო პუნქტებს, ტყვიით უსწორდებოდნენ უსამართლობის დამცველთ.

პოლიციის რაზმები გაძულდებით იგზავნებოდა ხევსურეთში „ყაჩაღების“ შესაპყრობად. არბევდნენ მერცხლის ბუდესავით კლდეებში მიმაღულ სოფლებს. მამუკასა და სადარას მოულოდნელმა



თავდასხმამ ბარისახოზე განსაკუთრებული რეპრესია გამოიწვია. ადგილობრივი, ე.წ. „ვიანი მამასახლისის“ – სამსონ ლუსუმაშვილის ხელმძღვანელობით „სტრატეგია“ მრავალი ხევესური დააპატიმრეს და გაროზვეს, ააწიოკეს და გადასწვეს მამუკასა და სადარას ოჯახები, აწამეს მათი ახლობელნი.

თავმოყვარე სადარას ვერ აუტანია დედისა და ცოლის წამება, გადაუწყვეტია ჩაბარებოდა პოლიციას. არსებობს ორი ვარიანტი სადარას ჩაბარების შესახებ: 1) სადარა პირდაპირ ჩაბარდა მტერსო; 2) სადარას სურდა, როგორმე გუბერნატორთან შესულიყო, ვითომდაც ჩაბარების საბაბით, და კაბინეტშივე მოეკლა იგი, მაგრამ სადარა გზაში, სოფ. ხომის დუქანში დაუპატიმრებიათ (გარდა ხანჯლისა, არავითარი იარაღი არ წაუღია თან; მდუქნესაც რაღაც წამალი შეუპარებია ღვინოში). ამის გამო მამუკას უთქვამს: „სადარას უნდოდა რამენაირად გუბერნატორამდე მისულიყო და მოეკლა ის. თუ იარაღს არ შეატანინებდნენ, არც ეს აფიქრებდა. იტყოდა, მისი საკუთარი სკამით მოვკლავ ან ფანჯრიდან გადავაგებო. არ უნდოდა იაფად სიკვდილი და მუქთად კი დაიღუპაო“.

ხალხური ლექსები პირველ ვარიანტს ადასტურებენ. ამ ლექსებში რამდენიმე ადგილას მეორდება, რომ სადარა თავისი ნებით გამოცხადდა პოლიციაში:

„თავ მაიწყინა სადარამ  
მთელ სოფლის შეწუხებითა,  
ვინ იყო ძალად დამჭერი,  
ბატონთან მივა ნებითა“.<sup>1</sup>

ანდა:

„ისრევ არჩივა სიკვდილი  
თემ-სოფლის დაღუპვასაო,  
მივიდა, გამაეცხადა,  
ღილა თენების ხანსაო“.<sup>2</sup>

მამაც ხევესურს სიკვდილი მიუსაჯეს და ჩამოახრჩვეს. გლოვის ზარივით გაისმა ხევესურეთს ერთგული შვილის დაღუპვის ამბავი:

<sup>1</sup> აკ. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. I, ხევესურული პოეზია, გვ. 97.

<sup>2</sup> იქვე.

„შავო სად მიხვალ წერილო,  
პირ-შელმ რად მიზღვე წყალთაო?  
მაუვა მახარობელი  
დედა-მამასა, ძმათაო:  
„სადარა აღარ მაგივათ,  
გწერდათ სამუდმოდ ჯვარსაო“.  
იწყინეს მაგის სწორებმა,  
ტანზე ჩაიცმენ შავსაო,  
ქალ-ზალს დაუდგა წკმუტუნი,  
თავზე იგლეჯენ თმასაო“.<sup>1</sup>

ძმადშეფიცული თანამებრძოლის სიკვდილის შემდეგ მამუკა უფრო გაშმაგებით განაგრძობს ბრძოლას. რეაქციის სუესხიან წლებში მოკლა რამდენიმე „სტრაჟნიკი“. ერთხელაც „პოლიციას უსარგებლია დიდი თოვლით, წინ დაუყენებია მამუკას ნათესავები და ასე დაუწყია მამუკას ძებნა სახლებში. იმის შიშით, რომ თავისიანები არ დაეხცა, მამუკა პოლიციელებს სროლას ვერ უბედავდა. ღამის სიბნელეში რამდენჯერმე გაუსწლტა ალყას. კავკასიონი გადალახა და პირიქითა ხევსურეთში – არხოტში გადავიდა. არხოტელები ცნობილი იყვნენ თავისი სიმტკიცით და გამტანობით. მამუკა შეიფარეს და ვაჟაკურად დაიცვეს“.

მაგრამ არხოტშიაც გაიგზავნა დიდი ეგზეკუცია. მამუკა იძულებული გახდა დაეტოვებინა სტუმართმოყვარე სოფელი და შუა ზამთარში ისევ პირაქეთ ხევსურეთისაკენ გამოსწია. მაგრამ „კავკასიონის გადმოსასვლელზე პირისპირ შეხვდა ეგზეკუციას. აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა თოვლისა და უგზობის დროს. ნაჩაღნიკს – სამსონ ლუხუმაშვილს კანკალი აუტყდა და ენა დაება. ვერც დალაპარაკება გაბედა და ვერც რაიმე ბრძანების გაცემა, გვერდზე უხმოდ ჩაუარა შეიარაღებულსა და თოფშემართულ მამუკას, თითქოს ვერ იცნო“.

ფენებმოყინულმა მამუკამ სოფელ ბაკურხევში სიძესთან შეაფარა თავი. ამ დროს პატიმრობიდან გათავისუფლებულა ლევან გოგოჭურიც და არაღელგალურად ასულა ხევსურეთში. მან დაარწმუნა მამუკა, რომ ასე მარტოდმარტო ბრძოლას არავითარი აზრი არა აქვს; ურჩია გასცლოდა ხევსურეთს და კახეთის, ან სხვა რომელიმე კუთხის ძლიერ რაზმს შეერთებოდა. სხვათა შორის, თავიდანვე ამას

<sup>1</sup> აკ. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. I, ხევსურული პოეზია, გვ. 98.

ურჩევდა თურმე მამუკას ვაჟა-ფშაველაც, რომელიც მას კარგად სცნობდა. მამუკამ დაიჯერა ეს გონივრული რჩევა, სწორედ ამ ხანებში მიიღო ზელიმხანის წინადადება, მის რაზმში გადასულიყო. როგორც ჩანს, ზელიმხანის ყურამდევც მიუღწევია ხევსური ვაჟაკის საგმირო საქმეებს.

ზელიმხან გუშმაზაკაევი, სახელგანთქმული მებრძოლი, ჩრდილოეთ კავკასიაში დაიბადა 1872 წ. სოფ. ხარაჩოში (თერგის ოლქი, ჩეჩნეთი). 1901 წ. გაიქცა გროზნოს საპატიმროდან და იმალებოდა ტყეში. მასთან იყო მამა გუშმაზუკო, ძმა სალტამურადი და სხვა ნათესავებიც. მოკლა ვედენის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი დობროლიუბოვსკი. ზელიმხანი შემკობილი იყო მთიელთა საუკეთესო თვისებებით: რკინისებური ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი, საოცარი გულადობა და უებრო სისწრაფე. რეაქციის პერიოდში ზელიმხანის რაზმმა 100 კაცს მიაღწია. 1911 წ. დონის როსტოვიდან ჩასულმა ანარქისტებმა მას მისცეს შავ-წითელი დროშა და ბეჭედი – „კავკასიის მთიელ ტერორისტ-ანარქისტთა ჯგუფი, ატამანი ზელიმხანი“. ბოლოს ავად გახდა, იმალებოდა ბოიჩიკოვების ოჯახში, ამათ გასცეს და მძიმე მდგომარეობაში მყოფს 1913 წლის 25 სექტემბერს დაესხნენ თავს. იგი არ დანებდა მტარვალებს და თავი მოიკლა.

ხალხური ლექსებიც დაბეჯითებით იმეორებს ზელიმხანისა და მამუკას ურთიერთობის ფაქტს. აი, ერთი ლექსი, რომელშიაც გადმოცემულია ზელიმხანთან მამუკას გამგზავრების ამბავი:

„ზენაით მოდის ამბავი:  
 „ვეფხვი დაზეხდა კლდისაო;  
 არავინ დააზიანას,  
 არვინ დაზივას მწკლითაო“.  
 საქელე გადაიარა  
 მიმინომ კივილითაო,  
 ჩრდილოეთისკე დაბრუნდა,  
 გავლა სწადიან გზისაო;  
 უთქვამის: „უნდა დაგვალა  
 მთა-ბარი დაღისტნისაო,  
 ვესტუმრა თავის ამქარსა  
 ზელიმ-ხან ქისტიშვილსაო.  
 ჩამავა, ჩამაბოინობს  
 ლალი არწივი მთისაო.

მასვეების ნისლის კოტორი,  
ლრუბელი შავი ზღვისაო“.<sup>1</sup>

„წახვედი ძელიმ-ხანსთანა,  
მჭერელ გექნების მხრისაო,  
გათქმულს ეგრეცა ამბობენ,  
ზურაბს ერისთვის შეილსაო.  
ლამით იარე, მამუკავ,  
დანდობა ნუ გაქვ დღისაო“.<sup>2</sup>

ანდა:

„მამუკამ ნახა სიზმარი,  
ზელიმ-ხანს უყვა თვალია.  
ადგეს და გამემართნეს,  
გადმაიარნეს მთანია“.<sup>3</sup>

ან კიდევ:

„შორით მაუვას პასუხი,  
ზელიმ-ხნის შემონათვალი:  
„აქ მადი მთისა არწივო,  
ვლახათ დალესტნის მთა-ბარი!“  
სამგზავროდ დაემზადების  
ამაფხავა ხანჯარი;  
საჩქაროდ გადაიარა  
მთა საძელისა მაღალი“.<sup>4</sup>

მამუკას მეგზურად გაჰყვოლია მდიდარი მეცხვარე, ბოლონა ჩოხელი (გუდამაყრელი). მაშინ დარიალის ხეობაში სადარაჯო პუნქტები იდგა და ამიტომ მამუკას იარაღი არ წაუღია, მხოლოდ პატარა ხანჯალი და ყალბი საბუთები ჰქონია.

სოფელ ბალთასთან (ორჯონიკიძესა და ყაზბეგს შუა) კახაკთა ასეული და პოლიციელთა რაზმი იდგა. ჩოხელმა უღალატა მამუკას და წინასწარი შეთანხმების მიხედვით, მამუკა პირდაპირ მათ ჩაუგდო ხელში. მამუკა „არ დაიბნა, სიცილით შემოიხსნა პატარა ხანჯალი და ოფიცერს ქარქაშინად გაუწოდა ისე, რომ ტარზე თვითონ ევლო ხელი. მსხვერპლით გახარებულმა ოფიცერმა დაივიწყა სიფრთხილე,

<sup>1</sup> აკ. შანიძის ქართული ხალხური პოეზია, გვ. 99.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 106.

მივიდა მამუკასთან და წაავლო თუ არა ქარქაშს ხელი, მამუკამ ხანჯალი იძრო და გულში დასცა“.

მამაცმა ვაჟკაცმა ძვირად დაუჯინა თავისი სიცოცხლე მტრებს. ვიდრე ისინი გონს მოვიდოდნენ, სასწაული დაუტრიალა, ამავე ხანჯლით რამდენიმე კახაკი გამოასალმა წუთისოფელს და რკალი გაარღვია. მაგრამ მინდორზე შორს სადღა წავიდოდა! ბოლოს ტყვიებით დაცხრილული დაეცა.

ხალხური ლექსები ასე გადმოგვცემენ ამ უთანასწორო ბრძოლის სურათს. განსაკუთრებით დაჟინებით იმეორებენ ეს ლექსები თავიანთი გმირის უბადლო ვაჟკაცობას – მხოლოდ პატარა ხანჯლით ბრძოლას ჯართან და რვა-ცხრა ტყვიის მოხვედრის შემდეგ სიკვდილს:

„მამუკავ, შენსა ნაქნარსა  
ველარ იქმოდეს სხვანია,  
ხანჯრით ტყვიასთან ომი ხქენ,  
მკვდარზე შეხყარე მკვდარია;  
შემეგებვია მარტოსა  
ბალთას ყაზახის ჯარია,  
დაგარტყეს შვიდი ტყვიაი,  
ქვე ძლივ დაგიძრეს ტანია“<sup>1</sup>

ან:

„აქვის პატარა ხანჯარი,  
ტარ უკრავს სპილოს ძვლისაო“;

და კიდევ:

„მეცხრე მანამდი არ დაჰკრეს,  
მაკლულ არა თქვეს რვისაო“.<sup>2</sup>

შემდეგ:

„ხანჯარს ამასწევს მამუკა,  
მაგრა უჭერავ ტანია,  
გახკრა, გაუსვა მამუკამ,  
დიდი დვას ცოდო-ბრალთა.  
ზალპით ესროლეს თოფები,  
დაიდრა მთა და ბარია.  
მამუკამ ხკითხა მუხლებსა:

<sup>1</sup> აკ. შანიძის დასახელებული წიგნი, გვ. 101.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 103.

„ახლა გაქცევის ხანია“.  
გამაიქცევის თავ-ალმა,  
ვეფხვმა დაშალა მწკალია.  
რვა ტყვია მახვდა მამუკას,  
მამუკა ისევ ხარია“.<sup>1</sup>

და:

„ჯვართ შუა ხევსურიშვილი  
უთოფოი ას დამრჩალი,  
უჭერავ სისხლით გასვრილი  
თავის ბატარა ხანჯარი.

. . . . .  
ანდერძად არ მადიოდა  
თოფთან ომობლის ხანჯარი“.<sup>2</sup>

ეს სისხლიანი სცენა დატრიალდა დარიალის ხეობაში 1912 წლის 1 ივნისს. მამუკა იქვე, ბალთაში დაუსაფლავებიათ, მაგრამ სამი წლის შემდეგ, ხევსურეთიდან გადასულმა გოგოჭურებმა მისი ძვლები მოიპარეს და მშობლიურ ბუნუკურთაში, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს, მოღალატე ბოლონა ჩოხელი კი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ასეთია ხევსური ვაჟკაცების – მამუკა გოგოჭურისა და სადარა არაბულის ცხოვრებისა და ბრძოლის ამბავი. ამიტომაც ასე უძღერის მათ მადლიერი ხალხი:

„ნუ სტირით, ხევსურთ ქალებო,  
სახელ სამზეოს რჩებისა.  
ცოცხლებსაც ხქონდა სახელი,  
ღმერთმა აცხონოს მკვდრებიცა“.

---

<sup>1</sup> აკ. შანიძის დასახელებული წიგნი, გვ. 105.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 107.

## თხილის თავგადასავალი

საბავშვო მოთხრობა

### ოთხი ძმა

ჩვენ – ოთხი ძმა ერთად დავიბადეთ. დედაჩვენი ახალამოყრილი შტო იყო და მეტი შვილები არა ჰყავდა. მისი უფროსი დების შთამომავლობას კი ვერც დაითვლიდით. ზოგი თითო იბადებოდა, ზოგი ტყუპად, ზოგი სამ-სამი, ზოგი ჩვენსავით ოთხნი იყვნენ. ასე წარმოიდგინეთ, რომ ხუთი ძმაც არ იყო იშვიათი.

სულ ათიოდე ოჯახი ვიყავით, თითქმის სულ სხვადასხვა გვარისანი. ჩვენი მბრძანებელი „ბერძულა“ იყო – საერთოდ ყველაზე გოლიათი თხილის მოდგმაში. ტრაბახს არ დავიწყებ, მაგრამ სუყველაზე კარგები მაინც ჩვენ ვიყავით – გარეგნულად და გემოთიც. ჩვენ სახელიც ლამაზი გვქვია: „შვლისყურა“. იმ გულფუჭას კი არა ვგვევართ, დაცინვით რომ „ჩინჩას“ ეძახიან, ანდა ჩვენს ველურ ბიძაშვილს – „ტყისთხილას“ – რკინასავით ჯავშანი რომ მოუსხამს და ვერაფრით ვერ გატყეს.

ჩვენი სამფლობელო პატარა ბორცვის ფერდობზეა გადაშლილი. გვერდით კოპწია ნაკადული ჩამოედის. ნაკადულზე კი ბუჭულა წისქვილი რაკრაკებს გამუდმებით. ჩვენ ისე შევეჩვიეთ მის ხმაურს, რომ როცა ხანდახან გაჩუქდება, შიშით გულელები გვისკდება. ქვევით კრამიტის სახურავიანი ლამაზი ოდა მოჩანს. იქ ადამიანები ცხოვრობენ. იქით კი... მაგრამ ეს ყველაფერი როცა წამოვიზარდე, მაშინ დავინახე და გავიგე. სჯობს ისევ თავიდან მოგიყვებ ყველაფერს.

ჰოდა, ოთხნი ძმანი ვიყავით. სულ პაწაწკინტელები, უსუსურები. თბილად ვიფუთნებოდით მწვანე საბნებში და ცხვირსაც არ ვყოფდით გარეთ.

ყველაზე უმცროსი ძმა თავიდანვე ძალიან სუსტი იყო. არ იზრდებოდა. ამაში ჩვენც ვართ დამნაშავე. არ ვუფროთხილდებოდით და ვავიწროვებდით ისედაც ჩიას. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დაიღუპა ჩვენი უმცროსი ძამიკო...

მახსოვს, იმ დღით დედის ცრემლები წვეთებად ეცემოდა ჩვენს საბნებს. ჩვენ კი ისე პატარები ვიყავით, რომ არაფერი არ გაგვეგებოდა. ნუგუმის სიტყვაც ვერ ვუთხარით გულდამწვარ დედას. პირიქით, უფრო ლაღად ვიგრძენით თავი. უფრო სწრაფად ვიწყეთ გაზრდა უმცროსი ძმის ადგილის ხარჯზე.

ასე მისდევდა ღლეები ღლეებს, კვირები კვირებს.

ჩვენ თანდათან ვიყრიდით ტანს, თანდათან ვეცნობოდით გარემოს. გავიგეთ ბევრი საინტერესო რამ, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა.

ღელა თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაიხრებოდა ჩვენსკენ და გვარიგებდა.

უკვე ვიცოდით, რა იყო სინათლე და სიბნელე, ქარი და წვიმა, მზე და მთვარე, ღრუბლები და ნისლი.

ვნახეთ ჩიტები და მწერები, ჭია-ღუა და მატლები, შინაური ფრინველები და ცხოველები... მაგრამ რაც მთავარია, ვნახეთ ადამიანი. ადამიანი, რომელიც მბრძანებელი ყოფილა ცისა და მიწის, წყლისა და ცეცხლის.

ვიცოდით და ძალიანაც გვწყინდა, რომ ჩვენს ბუნებაზე დაბალი ხე იმ მიდამოზე არ იყო. შურით ავყურებდით აშოლტილ ხეებზე შობილ ბალსა და ტყემალს, ქლიავსა და ვაშლს. განსაკუთრებით ჩვენს გვერდით აღმართული ვეება მსხლის შვილების ბელს შევნატროდით.

ჰაუ, რამდენ რაიმეს დავინახავდით იმ სიმალიდან. ალბათ, მთელ ქვეყნიერებას. მაგრამ რას ვიზამდით. შევეგუეთ ბელს და იმის ნახვითაც კმაყოფილი ვიყავით, რასაც დაბლა, მიწაზე შევამჩნევდით.

ჩვენი თეთრი და ნაზი ჯავშანი თანდათან მუქდებოდა და მაგრდებოდა. ჩვენი მწვანე საბნებიც გაყავისფრდა, ხმებოდა და სკდებოდა. ხორციც გვემატებოდა და გვიმკვრივდებოდა.

სიცოცხლე უფრო და უფრო საინტერესო გახდა, მაგრამ ჩვენს ოჯახს თავს უბედურება დაატყდა.

## შიში

უმცროსი ძამიკოს დაკარგვა უკვე გადავიწყებულებიც გვქონდა, რომ უფროსი ძმა გაგვიხდა ავად.

რომელიღაც მატლმა გაუხვრიტა ჯავშანი, შეუძვრა გულში და ღრღნიდა. ჩვენც ვხედავდით პაწია ხვრელს. გამუდმებით გვესმოდა ძმის კვნესა და მატლის ხმაური.

შემდეგ ორივე შეწყდა. ღელამ ერთხელ კიდევ დაგვაფრქვია ცრემლები. შეშინებული იყო — ვაი თუ ახლა თქვენსკენაც



გადმონაცვლოსო. გაგვაფრთხილა, მაგრამ რა შეგვეძლო, რა უნდა გვეღონა... სულ შიშში ვიყავით, დღეცა და ღამეც. მაგრამ იმ საძაგელის ხმა აღარ გაგვიგონია. თითონაც ჩაძაღლდა, თუ სადმე გადაიკარგა, დღესაც არ ვიცი.

მოკლედ, ოთხი ძმიდან დავრჩით ორნი: კნაწა და კნუწო. ორივე ჯანმრთელი და მოზრდილი.

გვეგონა, რომ არავითარი საშიშროება აღარ გველოდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ერთ დღეს ტოტების შრიალი შემოგვესმა.

გავისხედეთ და დავინახეთ პატარა ბიჭი. ამ ბიჭს ადრეც ხშირად ჩაუვლია ხოლმე ჩვენს სამფლობელოში. ჩაივლიდა და თვალი სულ ჩვენსკენ ეჭირა.

ახლა კი გაფაციცებით გლევდა ტოტებიდან ჩვენს თანამომხმეებს და უბეში იყრიდა. თან ჩვენი პატრონის ოდისაკენ იყურებოდა. კულბომბორა ძაღლის ხმა რომ გაიგონა, თავქუდმოგლეჯით მოჰკურცხლა.

მაშინ კი დავრწმუნდით, რომ ეს ბაცაცა ჩვენი ეზოს მკვიდრი არ იყო. ჩვენ მხოლოდ მოხუცი ცოლ-ქმარი გვეგულულებოდა აქ.

ის ცელქი ბიჭი ადრეც შეგვიმჩნევია ხილის მოსაპარავად შემოსული. ახლა კი თითქმის ყოველდღე ჩამოვიდოდა ღობიდან და დაკრეფდა თხილს. თუ შეატყობდა, რომ საშიშროება არსაიდან არ მოელოდა, ჩენჩოსაც აქვე დაყრიდა. დაკროლილ თხილს ჯიბეებში ჩაიხსრიალებდა და არხეინად გაუდგებოდა გზას. მის კბილებში კი კნატაკნუტი გაუდიოდა ჩვენი თანამომხმეების ჯავშანს.

ისევე შიშის კანკალი დაგვაწყებინა. ისევე გვაფრთხილებდა დედა. მაგრამ რა უნდა გვექნა, რა...

ერთადერთი იმედი ისლა დავგრჩენოდა, რომ მიწიდან კარგა ძაღლა ვიყავით ბინად. ასე იოლად ვერ შემოგვწვდებოდა ის ონავარი.

დედაჩვენისაგან ბევრი კარგი ამბავი გაგვიგონია. განსაკუთრებით ქარის დროს უყვარდა მოყოლა. მაშინ ზედ ჩვენს ბუდეც მოეკვროდა ხოლმე და ტკბილად გვესაუბრებოდა. გვიყვებოდა ადამიანებსა და მათ ცხოვრებაზე, ფრინველებსა და ცხოველებზე... აი, ერთ-ერთი მათგანი.

## ღელის ნამბობი

იყო ერთი მგალობელი ჩიტი.

იფრინა, იფრინა ამ ჩიტმა და დაინახა ლამაზი, მწვანე ბუჩქი.

ბუჩქზე ბევრი ნაყოფი ესხა.

გაენარდა მგალობელს და წამოიძახა:

– სანამ ეს ნაყოფი არ დამწიფდება, ამ ბუჩქზე დავრჩები. შემდეგ კი შევექცევი.

ჩიტმა მიატოვა თავისი ბუდე და ოჯახი.

დასახლდა ამ ბუჩქზე და გალობდა.

გალობდა ღლე და ღამე, რომ უფრო ჩქარა დამწიფებულიყო სასურველი ნაყოფი.

ღიდხანს, ძალიან ღიდხანს უცდიდა ჩიტი ნაყოფის დამწიფებას.

გალობდა, გალობდა და თან ამბობდა:

– ზვალ მწიფე იქნება და შევჭამ.

ჩიტი, სიძუნწისა და სიხარბის გამო, არც ერთ სხვა ფრინველს არ აკარებდა თავის ბუჩქს.

ერთხელ ოფოფი მოფრინდა.

მგალობელმა ჩიტმა არც ის მიუშვა ბუჩქთან.

– სხვა ჩიტებს რატომ არ უშვებ ამ ბუჩქთან? განა ეს ბუჩქი მარტო შენ გეკუთვნის? – შეეკითხა გაბრაზებული ოფოფი.

– რა შენი საქმეა? – მიუგო მგალობელმა, – იმიტომ არ ვაკარებ არავის, რომ მარტო მე უნდა შევჭამო მისი გემრიელი ნაყოფი.

ოფოფმა იცოდა, რომ ეს თხილის ბუჩქი იყო. მგალობელმა ჩიტმა კი არ იცოდა.

ოფოფმა არაფერი არ უთხრა მგალობელს.

ჩიტი კი გალობდა.

გალობდა და უცდიდა ნაყოფის დამწიფებას.

აი, გაიშალა ჩენჩო და იქიდან თხილმა გამოჰყო თავი.

– ოჰო, უკვე მწიფეა! – წამოიძახა გახარებულმა ჩიტმა და ნისკარტი ჩაჰკრა.

ჩაჰკრა, მაგრამ ცალკე ნისკარტი ეტკინა და ცალკე ბუდიდან ამოვარდნილი თხილი სადღაც გადაიკარგა.

ასევე მოუვიდა სულელ ჩიტს სხვა ნაყოფების გასინჯვის დროსაც.

მოფრინდა ოფოფი და მგალობელს მიმართა:

– აი, ხომ ხედავ! მე რომ ამ ბუჩქთან მოვეშვი, გეტყვოდი, რომ ამის ნაყოფი ჩვენთვის უსარგებლოა. სხვა ბუჩქებს მიგასწავლიდი. მაგრამ შენ იხარბე, არავინ არ მიაკარე ამ ბუჩქს და აი, დაისაჯე კიდეც.

ამ დროს სხვა ფრინველებიც მოფრინდნენ და სასტიკად გაკიცხეს ხარბი ჩიტი:

– ხედავ, როგორ დაისაჯე სიხარბის გამო.

გაბრაზდა, ძალიან გაბრაზდა მგალობელი.

როცა ჩიტები გაფრინდნენ, გულმოსულმა მიმართა ბუჩქს:

– შენ ცუდი ბუჩქი ხარ. არავის არ სჭირდება, არავის საკვებს არ აძლევ, არაფრის მაქნისი ხარ.

– ცდები, – შეედავა ბუჩქი, – მე ძალიან სასარგებლო ვარ. მით უმეტეს, ადამიანებისათვის. ჩემი ტოტებით ისინი წნავენ ლამაზ კალათებს, გიძლებს, გოდრებს... ჩემი დანაყოფი ნაყოფით ამზადებენ გემრიელ კერძებს.

შერცხვენილი ჩიტი გაფრინდა.

ამის შემდეგ არცერთი მგალობელი ჩიტი აღარ ჯდება თხილის ბუჩქზე.

## ახალ ბინაზე

უკვე დაგვაჟაკადით.

ჯავშანი მთლად ყავისფერი გაგვიხდა. საბნებიც გახმა და შემოგვეძარცვა. ზედმეტი სიმწიფისაგან ზოგი ჩვენი თანამოძმე შეჩვეულ ბუდეს ტოვებდა და თავისით ცვივოდა ძირს. ამ საქციელს ჩვენში თვითმკვლელობას ეძახიან.

თვითმკვლელობაა, მაშ რა?! ან უსახელოდ ჩაღებთან მიწაში, ან ის შავხალებთან თეთრი ღორი შეახრამუნებს. ათასში ერთი თუ მონდომებს შემკვიდრობის გაგრძელებას. გაღვივება, ამოიწვევება, მაგრამ დიდი დღე მაინც არ უწერია. ჩვენი ხშირი ჩრდილის ქვეშ მაინც ვერ გაიხარებენ. უსუსურნი და უნაყოფონი დარჩებიან.

...და აი, ერთ დღეს ჩვენს პატარა სამფლობელოში მოხუცი ცოლ-ქმარი გამოჩნდა. ხელში კალათები ეჭირათ.

ბერიკაცი ტოტს მოიწვედა და დედაბერი სწრაფად კრეფდა თხილს. თანდათან გვიანლოვდებოდნენ. ჩვენ ისევ შიშის კანკალმა აგვიტანა. დედამ შეგვაძინია, ჩვეულებისამებრ დაიხარა და წავგურჩულა:

– ნუ გეშინიათ, ასეთია ჩვენი ბედი, შვილებო. თქვენ უკვე ზრდა დაამთავრეთ და ახლა ადამიანებს უნდა მოემსახუროთ შეძლებისდაგვარადო.

დედის სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. ამასთანავე უკვე მობეზრებულიც გვქონდა რამდენიმე თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას ცხოვრება. ახლა სულმოუთქმელად მოველოდით ჩვენთვის უცნობ, ახალ სამყაროში გადაბარებას.

როგორც იქნა, ჩვენს ბუჩქამდეც მოაღწიეს მოხუცებმა. თითქმის მთელი ჩვენი საგვარეულო გასცალეს. ჩვენ კი ვერ გვამჩნევდნენ, ისე მალლა ვიყავით. ვაი, თუ ვერ დაგვინახონ და აქ დაგვტოვონ?! რა გვეშველება?.. მაშინ ან მიწაში ჩავლპებით, ან ის ღრუტუნა ჩავგაკნატუნებს. რაც არ უნდა მოგველოდეს, მაინც ადამიანებთან სჯობია ყოფნა.

ალბათ, დედამაც შეამჩნია ჩვენი შეშფოთება. შევეცოდეთ და როცა მოხუცები ჩვენს ბუჩქს უნდა მოშორებოდნენ, სწორედ მაშინ შეირხა. შეირხა და ჩვენც გამოვჩნდით. გამოვჩნდით და ბერიკაცმაც დაგვინახა. როგორც იქნა, მოიწია ჩვენი ტოტი. დედაბერმა ბუდიანაც მოგვეწყვიტა და კალათაში გადაგვიძახა.

ცოტა არ იყოს, გვეწყინა ასეთი მოქცევა, მაგრამ იქ იმდენი თანამომძე დაგვიხვდა, რომ ხელად გავერთეთ. ჩვენი საუბრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ჩვენი მომავალი ბედ-იღბალი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი კალათი უკვე ოდისაქენ მიემგზავრებოდა. იქ ერთ კუთხეში დაგვცალეს. შემდეგ კიდევ რამდენიმე კალათი თხილი დაგვიმატეს.

საბედნიეროდ, მე და კნაწა ზევით მოვხვდით. ყველაფრის დათვალიერება შეგვეძლო. ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი ნივთი ვნახეთ ადამიანის სამფლობელოში.

ორჯერ შესცვალა სინათლემ სიბნელე. ჩვენი საბნები მთლად გახმა და ბევრ ჩვენგანს სულ შემოეცალა.

მერე იმ დედაბერმა პატარა სამფენა სკამი დაიდგა, დაჯდა და ჩვენს გადარჩევას შეუდგა. საგვარეულოს მიხედვით გვათავსებდა სხვადასხვა ჭურჭელში.

„შვლისყურას“ გვარისანი ცალკე დაგვაწყო. ერთ ლასტზე, ეს საჩურჩხელეაო – თან ჩაიბუტბუტა. ლასტი აივანზე გაიტანა.

მზის სხივები სასიამოვნოდ დაგვეფრქვა საბნებიდან განთავისუფლებულებს.

მე და კნაწა აქაც გვერდი-გვერდ მოვხვდით. ძალიან გავვიხარდა და გაუთავებელი ვლავობდით. ვიხსენებდით დედას, დაღუპულ ძმებს, ძველ ბინაზე ნახულსა და განცდილს. ვოცნებობდით მომავალზე.

## ისევ შიში

ჩვენი ლასტის გვერდით კიდევ ერთი ლასტი იყო თხილით სავსე. იქ სხვადასხვა გვარიანი იყვნენ ერთმანეთში არეული. მაშინ კი დავრწმუნდით, რომ ჩვენ განსაკუთრებულად გვივლიდნენ. მაგრამ ეს „ჩურჩხელა“ რას ნიშნავდა, მაინც ვერ გავიგეთ.

ისევ მისდევდა დღეები დღეებს...

სინათლე გვიხაროდა, სიბნელე კი მაინცდამაინც არ გვიყვარდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ის სიბნელის მოყვარული ქურდი თავი შემოგვეჩვია.

ჩვენს ლასტზე ვერ ამოდიოდა, მაგრამ მეორეზე თავისუფლად ძვრებოდა. ასტენდა ერთ ფსაკაფხუკს. მეორე დღეს გავიგებდით, რომ რამდენიმე თხილი გაუტაცნია თურმე. ისევ შიში, ისევ გულისხეთქა. ვაი, თუ ჩვენამდეც ამოაღწიოს იმ ღორბუცელამ. მაგრამ მალე მოვისვენეთ და დავწყნარდით. აი, რა მოხდა:

სიბნელე იყო. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, თუმცა ჩვენამდე ვერ აღწევდა. წარმოვიდგინეთ, თუ რა დღეში ჩავცვივდებოდით, ძველ ბინაზე რომ დავრჩენილიყავით. აუცილებლად ბუდიდან გამოგვრეკავდა ასეთი თავსხმა. ახლა კი მხოლოდ წვრილი შხეფები გვეცემოდა.

ჰოდა, ასეთი მუხანათური ღამით უფრო ისარგებლა რუხმა მტაცებელმა. ისევ ატენა ჩხრიალი მეზობელ ლასტზე. უეცრად მისი თავზარდაცემული წრიპინი გავიგონეთ. გავიჭყიტეთ და უკუნეთ სიბნელეში ორი ანთებული თხილი დავინახეთ. ეს ორი თხილი მოძრაობდა და თან სიამოვნებით კრუტუნებდა. ისკუპა ამ ორმა ანთებულმა თხილმა და აწრიპინებული თავივც გაქრა.

მტაცებელი კი გაქრა, მაგრამ მე საშინელ დღეში ჩავვარდი. გადახტომის დროს იმ ორმა ანთებულმა თხილმა ჩვენს ლასტს გაჰკრა. მე დავცურდი და ზედ ლასტის კიდზე წნელებში ჩავეჩხირე. ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე. ცოტაც და ტყაპანი გამძვრებოდა ძირს. ძლივს შევიკავე თავი და გავმაგრდი. გულს ბაგაბუგი

გაუდიოდა. ბევრი ვეძახე კნაწას. მისი ხმაც მესმოდა ზემოდან, მაგრამ ერთმანეთთან როგორ მივიდოდით?!

როცა სინათლე მოვიდა, მაშინ უფრო შემეშინდა. რომ ჩავვარდნილიყავი, სწორედ იმ მეორე ლასტზე დავეცემოდი. ვინ იცის, იქ როგორ ბელს გადავეყრებოდი...

ის უფრო საშიში იყო, რომ იმ ლასტიდან დედაბერს ხშირად მიჰქონდა თხილი. მიჰქონდა და მერე ქვემო სართულიდან მათი ჯავშანის მტვრევის ხმა ამოდიოდა. დამტვრევის შემდეგ კი გაუთავებელი ბაგაბუები ისმოდა.

აღბათ, ველარც გადავიტანდი ამდენ შიშს. მაგრამ საბედნიეროდ, ჩემგან ოდნავ მოშორებით თხილი შევაძინე. ის უბედური ჩემზე უარესად გახირულიყო წნელებში. ჯავშანიც გახუნებოდა და შეჭკნობოდა.

ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. წარმოიდგინეთ ჩემი გაცეცხა, როცა ეს თხილი ორი წლისა აღმოჩნდა. ჯერ კიდევ შარშან ჩავარდნილიყო წნელებშუა და იქ დარჩენილა.

## განიარალება

ვინ იცის, რამდენჯერ შესცვალა სინათლემ სიბნელე, რომ ერთ დღეს ჩვენს ლასტზე ჩხრიალი ატყდა.

გავიხედე და დავინახე, რომ დედაბერი ჩვენი საცხოვრებელიდან გვასახლებდა სხვა ჭურჭელში. მე ისევ შემეშინდა. ვაი, თუ ვერ შემამჩნიოს წნელებში გაჩხირული და აქ დამტოვოს-მეთქი. უკვე მთელი ლასტი რომ დაცარიელდა, დედაბერმა კარგად დაათვალიერა და როგორც იქნა, დამინახა. ფრთხილად ამომიყვანა და მეც იმ ჭურჭელში გადამიძახა.

ის მოხუცი თბილი კი ისევ იქ დარჩა. ვერც ახლა შეამჩნიეს საცოდავი. ეჰ, ვინ იცის, რანაირი წელი დაუდგება...

ყველამ ქვემო სართულში ამოვყავით თავი.

უზარმაზარ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ცეცხლზე კი ქვის დიდი კეცი იყო წამოსკუპული.

დედაბერი ჩაცუცქდა. ხელში ფილთაქვა ეჭირა.

ახლა კი დადგა ჩვენი აღსასრულის დღე-მეთქი, გავიფიქრე და კუთხეში მივიმალე. აი, რამდენიმე თხილი ამოიღო, ქვა დაარტყა

და მათი ლამაზი, პრიალა ჯავშანი ნამცეცებად გაიფანტა. ვაი, სირცხვილო!.. მაგრამ არა, ჯავშანს შიგნით ხომ სიფრიფანა, მოყავისფრო ტანსაცმელიც გვაცვია?! განიარაღებულებს ცალკე ალაგებდა, ჯავშნის ნამსხვრევებს კი ცეცხლში ყრიდა.

მეც კერ გადავურჩი დედაბრის მარჯვე თითებს, თუმცა ერთი-ორჯერ კი დავუსხლტი ხელიდან. ამომიყვანა, ფიცარზე დამსვა და ხელი აღმართა. კინალამ გული შემიღონდა, როცა ჩემსკენ დამიზნებული ფილთაქვა დავინახე. ტკაც! და ოთხად გაპობილი ჩემი ჯავშანი დამცვივდა. მეც შევუერთდი უჯავშნოთა ჯგუფს. ჩემი ჯავშანი, რომელშიაც მთელი სიცოცხლე გავატარე, ცეცხლმა ჩაყლაპა.

განიარაღებულ თხილებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი. ვილაცამ წამოიძახა – უარესი მოგველისო... ნეტავ რაღა უნდა იყოს ამაზე უარესი?!

ჯავშანშემოცლილი თხილები კი გვემატებოდა და გვემატებოდა. როგორც ჩანს, ეს დედაბერი ძალიან ღონიერი იყო. ზოგჯერ ძალას ვერ მოზომავდა და მაშინ ჯავშანთან ერთად თხილიც იპობოდა. ასე დაჭრილ-დასახინჩრებულებს იგი ცალკე აწყობდა.

როგორც იქნა, დამთავრა დედაბერმა ჩვენი განიარაღება. რაც შეიძლება გავიჭიმეთ, რომ დაგვენახა, ახლა რაღას გვიპირებდა.

ადგა, ცეცხლიდან კეცი გადმოიღო და პატარა ცოცხით მოასუფთავა. შემდეგ... შემდეგ პეშვით ამოგვიღო და პირდაპირ გახურებულ კეცზე დაგვყარა. აუტანელი მხურვალეებისაგან სუნთქვა შემეკრა. სულ ტკაცატკუცი გამიდიოდა. ჩემი ტანსაცმელი დაიწვა და ნაფლეთებად ჩამომეკიდა. სხვებიც ჩემს დღეში იყვნენ.

აღბათ, შევეცოდეთ დედაბერს, რომ ერთ გვერდზე ნამეტანი არ დავმწვარიყავით. ხშირად გვირეცდა ხელს და აქეთ-იქით გვატრიალებდა. თან ტანსაცმლის ნაფლეთებს გვაშორებდა. მაშინღა მივხვდი, რომ მხოლოდ ამიტომ იყო გამოწვეული ჩვენი ტანჯვა-წამება გავარჯარებულ კეცზე.

ცოტა ხნის შემდეგ დედაშობილები, გათეთრებულ-გალამაზებულნი უკვე სხვა ადგილას დაგვაბინავა. საოცრად გვეამა სიგრილე. მალე ისევ მოვედით ლაპარაკის ხასიათზე. საბედნიეროდ, კნაწა ახლა ჩემს გვერდით მოხვდა. სიხარულისაგან ვიტირეთ კიდეც და მაგრად ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

შემდეგ ბევრი ჩვენსავით გატიტვლებული თანამომე დაგვაცვივდა

თავზე და სიბნელე ჩამოწვა. ჩვენც, დაღლილებს ამდენი განცდისაგან, ტკბილად ჩაგვეძინა...

## სასრუბელაზე

ჩაგვეძინა და...

უეცრივ საშინელმა ტკივილმა გამომადვიდა. შეშინებულმა გავახილე თვალები და რას ვხედავ: წვრილი, პრიალა ნემსი შიგ სხეულში მაქვს გაყრილი. კიდევ კარგი, რომ გულს აცდა, თორემ...

გამორკვეული არ ვიყავი ამ ახალი უბედურებისაგან, რომ გავთავისუფლდი... გავთავისუფლდი და წვრილ ძაფზე ჩამოპროწიალებული ჩემს ერთ-ერთ თანამოძმეს დავეცი თავზე. ერთი კი ამომიღრინა იმ საწყალმა, რომ ახლა მე დავიკვნესე: მეორე თხილი მე დამეცა ზემოდან.

ეს რაღა ჯანდაბაა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მალე დავწყენარდი. ტკივილს სრულებით აღარ ვგრძნობდი. არც ჩემს სხეულში გაყრილი ძაფი მაწუხებდა. მაწუხებდა კი არა, პირიქით, ჩემს მახლობლად მივიჩნეე და გამოველაპარაკე კიდევაც. მაგრამ ხმა არ გამცა. ისევ ვცადე საუბარი. არც ახლა ჩამთვალა ხმის გაცემის ღირსად. სიმართლე გითხრათ, გავბრაზდი. ეს პირველი გაბრაზება იყო ჩემს ცხოვრებაში და ენაც კი დამება:

– თითქვენ... მოკალათებულხართ ჩემს სსსხეულში... და ლაპარაკსაც აღარ კადრულობთ...

ძაფი, როგორც ჩანს, ბოლმისაგან გაწყვეტაზე იყო. ველარ მოითმინა, ერთი კი დაიჭრიალა და აყვირდა:

– ხმა ჩაიწყვიტე! მე ჩემი გაჭირვება მეყოფა, შე ტიტლიკანავ, შენა! შენისთანა უსაქმური ოცი ერთ მხარეს ჩამოშვიდეს და ოცი მეორე მხარეს. ყველა ლაპარაკის ხასიათზე მოხვედით და როგორ ავითავლებით?! გაჩუმდი, შე ჩამონრჩობილო, თორემ...

ჩამონრჩობილო?! – ეს კი აღარ მესიამოვნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ძაფთან კამათი არ შეიძლება. ჩვენი ბედი ხომ სწორედ ძაფზე ეკიდა. შემდეგ ერთ გრძელ ჯოხზე ჯარისკაცებივით ჩავკამწკრივეს და ისევ აივანზე აგვიყვანეს.

მივიხედ-მოვიხედე. ეს ნაცნობი გარემო იყო ჩემთვის. მინდა ვილაცას გავუზიარო ჩემი ფიქრები, ოცნებები... მაგრამ მეზობლები



ვერჯერობით ძალიან ენაძუნწები ჩანან. ეკ, სად არის კნაწა?! ჩემი ძამიკო ვერსად დავინახე, ანდა როგორ ვიცნობ ამდენ თხილში...

ისევ ცვლიდა სიბნელეს სინათლე.

ჩვენ ყოველდღე მზის გულზე ვთბებოდით და ვმკვირივდებოდით. ერთმანეთსაც უფრო დაუკუახლოვდით. ძაფმაც გადაივიწყა თავისი გაბრაზება. ის ძალიან ენაწყლიანი გამოდგა. გრძელ-გრძელი ამბები იცოდა, დაუსრულებელი.

## ჩურჩხელა

ვიგრძენი, რომ გარემო იცვლებოდა. მზის სხივები ისეთი მცხუნვარე აღარ იყო. სიბნელის დროს ციოდა. ხეებს ფოთლები გაუყვითლდა. სურნელიც სხვანაირი დატრიალდა ჰაერში.

აივნიდან ჩვენი სამფლობელო კარგად მოჩანდა, ჩვენი ოჯახებიც, მაგრამ დედას ვერ ვხედავდი და გული მიკვდებოდა. ვინ იცის, როგორ დარდობს ჩვენზე. მაგრამ არა! მან ხომ გვითხრა, რომ ჩვენი მოვალეობა ადამიანის სამსახურია.

ჩვენს ზემოთ, აივნის სვეტებზე ვაზი იყო გაყვანილი. როცა აქ ლასტზე ვცხოვრობდით, მაშინ მტევნები მწვანედ გამოიყურებოდნენ. ახლა კი ჩაშავდნენ მარცვლები.

ერთხელაც მოხუცებმა ყველა მტევანი მოაშორეს ვაზს და წაიღეს. ეზოშიაც რაღაც ფუსფუსი იყო. რა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო რამ ხდებოდა. მაგრამ ჩვენს პატარა გონებას ვერ ამოეხსნა.

მეორე თუ მესამე დღეს ისევ ქვემო სართულში ამოვყავით თავი. უხმოდ შევედით ჩვენს საწამებელ ოთახში. აქ ხომ ბევრი ტანჯვა მოგვაყენეს: ჯავშნის დამსხვრევა, ცხელ კეცზე ყოფნა, ტანსაცმლის შემოფლეთა, სხეულში ნემსის გაყრა და ჩამოხრჩობა...

მაშინვე ცეცხლისაკენ გავიხედეთ. იქ ქვის კეცის ნაცვლად უზარმაზარი ქვაბი იყო შემოკიდებული. ქვაბიდან რაღაც უცნაური ბუებუყი ისმოდა. შემდეგ დედაბერისაკენ გაგვექცა თვალი. არც მას ეჭირა ფილთაქვა ხელში. მაშ ისეთი არაფერი მოგველის?! ვნახოთ... მაგრამ მოხუცი ცოლ-ქმრის გარდა ორიოდ სხვა ქალიც რომ დავინახეთ, ცოტა არ იყოს, შევშფოთდით.

კარგა ხნის შემდეგ ქვაბი ძლივს ჩამოიღეს ცეცხლიდან. ქვაბში რაღაც მუქი, სქელი სითხე ბობოქრობდა. ისეთი ცხელი იყო, რომ ოხშივარი ასდიოდა.

„შემდეგ რა მოხდება?!“ – აი, კითხვა, რომელიც ყველას ერთნაირად გვაწუხებდა.

თქვენს მტერს და ორგულს, რაც შემდეგ მოხდა. ჩამოიყვანეს ერთი აცმა თხილი ჯოხიდან და პირდაპირ ქვაბში უკრეს თავი. ამოავლეს, ამოიყვანეს და სადღაა თხილი?!. ოცივეს ერთად შემოკვროდა გარს ახალი ჯავშანი. ჯავშანი კი ცხელი იყო. ვაი, რა დღეში იქნებიან ეს უბედურები... შემდეგ მეორე მხარეც ამოავლეს და ისევ ჯოხზე დააბრუნეს. ასე რიგრიგობით, ყველამ გაიარა ეს წამება.

ჩვენი დროც მოვიდა. შიშისგან ბზრიალი დაიწყო. ძაფი გვამშვიდებდა – არაფერია, შეეგუებითო.

აი, ჩვენც წავგიყვანეს. დავხედე ამ უზარმაზარ ქვაბს და გული გადამიტრიალდა. წამიც და მთლიანად ჩავიძირე შიგ. პირველი შეგრძნება, რა თქმა უნდა, აუტანელი სიცხე იყო. მივხვდი, როგორ ამოგვიყვანეს ზევით. მაგრამ ახალი უბედურება: ველარაფერს ვხედავ... გარშემო სრული სიბნელეა გამეფებული. ისიც გავიგე, ისევ ჯოხზე რომ დაგვკიდეს. მაგრამ თვალები?!

ნუთუ სამუდამოდ დავბრმავდი და ვერასოდეს ვიხილავ მზის სინათლეს? ჩანს, ყველანი ჩემს დღეში არიან და წუწუნებენ. ძაფი კი არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. ალბათ, არც მას ესიაძოვნა სიცხეში ყოფნა.

ის-ის იყო შევკრივდით, ოდნავ სული მოვითქვით, რომ ისევ ჩამოგვიღეს ჯოხიდან. ჩამოგვიღეს და სადღაც წავგვაროწიალეს. კიდევ რაღა უბედურება გველის-მეთქი, – გავივლე გულში. ამის გაფიქრება და ისევ ცხელ ქვაბში ამოვყავი თავი. საბედნიეროდ, ახლა ისე აღარ გვიგრძნია, ვინაიდან ჯავშნის პირველი ფენა გვიფარავდა. თუმცა რაღა საბედნიეროდ, როცა სიბნელის ნაცვლად ჩვენს ირგვლივ ნამდვილი წყვდიადი ჩამოწვა. დავიღუპე! რად მინდა ისეთი სიცოცხლე, თუ ველარაფერს ვერ დავინახავ?! სჯობდა, რომ აღრევე დავღუპულიყავი ჩემი საწყალი ძმებავით.

როცა საკმაოდ გავკრივდით, სადღაც წავგიყვანეს. ჩამოგვკიდეს და ღვთის ანაბარა მიგვატოვეს. სიმართლე რომ ითქვას, ეს სიბრძნე რომ არა, მე მესიაძოვნა კიდევ ახალი, თბილი ჯავშანი. მაგრამ ფიქრის თავიც აღარა მქონდა და ძილს მივეცი თავი.

...ღიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ ქვაბში ფელამუში, ანუ თათარა იყო. ჩვენ კი ამის შემდეგ ჯანჯუხა, ანუ ჩურჩხელა გვერქვა.

## ახალ ჯავშანში

ვერ გეტყვით, რამდენი დღე-ღამე გავიდა. ამის გამოცნობა არც ისე იოლია. გარშემო ხომ წყვდიადი მერტყა. ასე იყო თუ ისე, ერთ დღეს მოხდა სასწაული.

მე ჯერ მკრთალად, ბუნდოვნად დავინახე გარემო. შემდეგ კი თანდათან გამჭვირვალე გახდა ჩემი ჯავშანი. თითქმის თავისუფლად ვარჩევდი ყველაფერს.<sup>1</sup> დავრწმუნდი, რომ ისე ნაცნობ აივანზე ვიყავით.

რა თქმა უნდა, ჩემი ახალი ჯავშნის გამჭვირვალეობა ძალიან გამიხარდა. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ძველ ჯავშანთან შედარებით ძალიან რბილი იყო. ერთ ადგილას გაიბზარა კიდეც. ეს პატარა ბზარიც ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე: იმდენი ვიწვრიალე, რომ ცალი თვალით იქიდან გამოვიჭყიტე. მე ისევ ვტკბებოდი სიცოცხლის სიმშვენიერით.

ისევ მისდევდა დღეები დღეებს...

სიბნელის დროს ოთახში გვაბინავებდნენ. სინათლეზე აივანს ვესტუმრებოდით. თანდათან აცივდა და მზე უფრო გაგვიტკბა. მოუთმენლად ველოდით დილით გარეთ გასვლას და საღამოს შინ დაბრუნებას. მოხუცი ცოლ-ქმარი ამ ყურადღებას არ გვაკლებდა.

ჩვენი საერთო ჯავშანი თანდათან გახმა და გათხელდა.

ერთ დღესაც ყველანი ჩამოგვსხეს ჯოხიდან და ოთახში შეგვიტანეს. ადრევე მქონდა შემჩნეული, რომ კუთხეში დიდი, მოჭედილი სკივრი იდგა. სწორედ ამ სკივრს ახადეს თავი და შიგვეყვანი ერთად ჩავგაწყვეს. ჩვენთან ერთად „ტკბილისკვერებიც“ მოათავსეს. დღემდე ვერ გამიგია, რატომ ჰქვიათ ასეთი ლამაზი სახელი ამ უშნოდ გაბრტყელებულ არსებებს.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება ახალ ბინაზე. კნაწა სადღაც ახლო იქნებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ დავუკავშირდი.

მალე შევეჩვიეთ ახალ საცხოვრებელს. ბევრი ნაცნობიც შევიძინეთ. მაინც საოცარია, რამდენი სხვადასხვა რამ იყო მოთავსებული ამ სკივრში. თითქმის ყოველ მათგანს პირველად ვხედავდით და ჩვენს ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა.

რას არ ნახავდით აქ: ადამიანის ტანსაცმელსა და ოთხკუთხა

<sup>1</sup> გამოძეგვლობა „ნაკადულში“ ეს მოთხრობა დაიწუნეს, ერთ-ერთი მიზეზი იყო – თხილი ველარაფერს ხედავდა, დაბრძავდა და შემდეგ როგორღა გააჩნია საგნებიო. არადა, აქ გარკვევით წერია, უკვე ვარჩევდი ყველაფერსო (მ.ს.).

შაქარს, გაცრეცილ წიგნებსა და დაძველებულ კანფეტებს, საფანტიან კოლოფსა და ქალაღმში გახვეულ წამლებს, გაყვითლებულ წერილებსა და თუთუნის დაკეცილ ფოთლებს... ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელი მოვერცხლილი ხანჯალი და შავი ბოხოხი იყო.

სკივრში მუდმივი სიბნელე სუფევდა. მხოლოდ ხანდახან დავინახავდით სინათლეს, მაშინ, როცა დედაბერს რაიმე დასჭირდებოდა და სახურავს ჭრიალით ახდიდა.

მოკლედ, საოცრად მომაბეზრებელი დღეები იყო. ერთფეროვნებას მხოლოდ გაცხოველებული კამათი არღვევდა. აქ, სკივრში ყველანი ერთმანეთს ედავებოდნენ. ხანდახან პირდაპირ აუტანელი ყყყინი ატყდებოდა. სხვას დასცინოდნენ და თავს იქებდნენ.

ერთადერთი ხანჯალი არ ერეოდა ჩხუბში. მაგრამ როდესაც ნამეტანს იზამდნენ, მაშინ კი ველარ ითმენდა. ერთს დაიწკრიალებდა, ქარქაშიდან ამოიწეოდა და დაიღრიალებდა:

– ჩუმად, თქვე ჭორიკნებო, თორემ აკუწავთ ყველას! – მაშინ კი ჩაივლებდნენ ენას მუცელში. როგორც ჩანს, ძალიან ეშინოდათ ლაპლაპა ხანჯლის. მხოლოდ საფანტის კოლოფში ბურტყუნებდნენ უკმაყოფილოდ. თუმცა ხმამაღლა შელაპარაკებას ვერც ისინი ბელავდნენ.

მე ყველაზე უფრო ეს ხანჯალი მომწონდა. მომწონდა კი არა, მიყვარდა კიდევაც. დინჯი იყო, გულჩათსრობილი. ვაჟკაცური გარეგნობა და რაინდული საქციელი ჰქონდა. ერთხელ წლოვანება შევეკითხე მორიდებით. პასუხით განცვიფრებულმა პირი დავაღე. ასორმოცდაათი წლისა ვარო – ისე ჩაიბუბუნა, თითქოს ასორმოცდაათი დღისა ყოფილიყოს ჩემსავით. ვაი, შენ ჩემო თავო, ორი წლის თხილი მოხუცია და ეს ხანჯალი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებს.

## გამგზავრება

ისევ მისდევდა დღეები დღეებს, კვირები კვირებს...

სკივრში ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ხშირი იყო აყალ-მაყალი და ჭორაობა. ხანჯალი რომ არა, ჩემთვის აუტანელი იქნებოდა იქ ყოფნა. მოკლედ, ციხეში ვგრძნობდი თავს და როდის მოელებოდა ბოლო ჩემს პატიმრობას, ეშმაკმა უწყის.

ერთხელაც გასაღების ჩხაკუნით გავიგონეთ. ძალიან გაგვიხარდა.

ამით ვიგებდით, რომ სახურავი აიხდებოდა და სინათლეს დავინახავდით. მართლაც დაიჭრიალა სკივრის სახურავმა. გამოჩნდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხელი, რომელიც დედაბერს ეკუთვნოდა. „ნეტავი, ახლა რა დასჭირდა ჩვენი საცხოვრებელიდან?!“ – ამის გაფიქრებალა მოვასწარი, რომ გამხდარი თითები სწორედ ჩვენს კუთხეში აფათურდა. მეორე ხელიც მიეშველა და ამოგვიყვანეს.

ჰაუ, რამდენი ხანია მზის სინათლე აღარ მიხილავს. ჰაუ, რამდენი ხანია გარემოს ცქერით არ დავმტკბარვარ...

მაგიდაზე დაგვაბინავეს. მივიხედ-მოვიხედე ოთახში. დიდი არეულობა და ფუსფუსია. ორი თავახდელი ჩემოდანი იატაკზე დევს. იქით ღვინით სავსე გულა წამოწოლილა, აქეთ ტომარაა გამზადებული. ხოლო მაგიდაზე, ტახტზე, სკამებზე ათასნაირი ხორაგეული აწყვია: ღორის თავი და დაკლული ქათმები, ბოთლებით ტყემალი და არაყი, ხაჭაპური, ყველი და კვერცხი, ჭადის ფქვილი და ლობიო, დამჭკნარი ყურძენი და გამოფატრული კვახი, გამხმარი ხურმა და ხეჭეჭურა მსხალი... ვინ მოთვლის, რამდენი რამ იყო დახვავებული.

დაიწყეს ჩალაგება. რაც შეიძლება მჭიდროდ დებდნენ, რომ ყველაფერი ჩატეულიყო. ერთხანს კი ვუცქირე, მაგრამ მომწყინდა და ახლა ფანჯრისაკენ გამექცა თვალი.

ეს რაღაა?! გარეთ ყველაფერი თეთრი იყო: მიწაც, ხეებიც, ცაც... ღმერთო ჩემო, როგორი ამწვანებული დავტოვე და როგორ გადათეთრებულა. ჰოო, მომაგონდა: ეს ხომ თოვლი იქნება, თოვლი. მოხუცმა თხილმა მიაბბო. რა საინტერესოა მისი ახლოს ნახვა! კარგად დავაკვირდები, იქნებ აქედან ვიცნო ჩვენი სამფლობელო... ავერ, ის მაღალი მსხლის ხე, ავერ ჩვენი ოჯახებიც. როგორ მოხრილან წელში თოვლის სიმძიმისაგან. საწყლები, არც ერთი ფოთოლი აღარა აქვთ. დედა! ნეტავ რას შვრება დედა, რას ფიქრობს?!

ჩვენი ჯერიც დადგა. მოგვხვიეს ხელი და ჩემოდნის ერთ კუთხეში ჩავკასახლეს. ის უშნო ტკბილისკვერებიც ჩვენთან მოხვდნენ. ნეტავ რას გვეტმასნებიან, რა საერთო აქვთ ჩვენთან?

– უიმე, კაცო, თხილი მავიწყდებოდაო, – მოგვესმა დედაბრის ხმა.

ჩვენ ყურები ვცქვიტეთ – თხილიო?! ჩვენც ხომ თხილები ვიყავით ოდესღაც... ჩხრიალი გავიგონეთ და ზედ დაგვაყარეს ნამღვილი, ჯავშნიანი თხილები. შურისაგან კინალამ გავსკდი, მაგრამ რა... მერე და არცერთი არ იყო „შვლისყურაანთ“ გვარისა.

შევისო ჩვენი ახალი ბინა და დაგვკეტეს კიდევაც. სული გვეხუთებოდა, ისე მჭიდროდ ვიყავით ერთმანეთზე მიკრული. ასე ცხოვრება ვის გაუგია?! სანამდე უნდა ვიყოთ ასე გაჭეჭვილები?! ჩვენთან კვერცხებიც იყვნენ. ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო, ტკაც! და თხელი ჯავშანი გაუტყდა. საცოდავმა ბევრი იტირა თავისი უცნაური, სქელი ცრემლებით...

ჩვენთან ტყემლით სავსე ბოთლიც იყო. ეს ბოთლი დიდად განათლებული და გამოცდილი ვინმე გახლდათ. აინუნშიაც არ აგდებდა ასეთ სივიწროვეს თავისი მტკიცე ჯავშნის წყალობით. ჩვენს გაუთავებელ წუწუნზე კი ღინჯად გვითხრა:

– ნუ გეშინიათ. აქ დიდხანს არ დავრჩებით. ხვალ დილაზე კი როგორმე მოითმინეთ. ქალაქში ჩავალთ და იქ გაგვათავისუფლებენო.

ქალაქში ჩავალთო?! ეს რაღა ახალი ამბავია...

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენმა ჩემოდანმა გაისეირნა და გაჩერდა. მალე რაღაც აგუგუნდა და დავიძარით. ცუდი დღე დაგვადგა: ძალიან ვჯავჯავებდით. ხან აქეთ ვეხეთქებოდით და ხან იქით. კიდეც ერთი კვერცხი ატირდა...

ერთი სიტყვით, ბევრი ვაება გადავიტანეთ გზაში. ჩვენი ჩემოდანი ხან დადგებოდა, ხან წავიდოდა. ხან თავდაყირა ვიყავი, ხან სწორად. დაბოლოს, არ ვიცი, მეხუთედ თუ მეათედ სადღაც დავდექით და ისევ გავემგზავრეთ. მაგრამ ეს წასვლა ძალიან მესიამოვნა. სულ არ ვქანაობდით და სასიამოვნო დაგალუგიც გვესმოდა. ამდენი მოგზაურობით მოღლილ-მოქანცულს მკვდარივით ჩამეძინა...

## ქალაქში

აი, უკვე ორი დღეა ქალაქში ვარ. ჩემი გონება ვეღარ იტევს ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს. რამდენი საოცრება არსებობს ამ ქვეყნად. ალბათ, ხანჯლის წლოვანებისაც რომ გავხდე, ყველაფერს მაინც ვერ ვნახავ და ვერ გავიგებ.

ახლა ლამაზ კარადაში ვართ დაბინავებული. მე იმით ვჯობივარ სხვებს, რომ ახლოს ვარ გასაღების ჭუჭრუტანასთან. მთელი ოთახის დათვალიერება შემიძლია. აგერ... ჰო, თუმცა ქალაქში ჩამოსვლის მოყოლა დამავიწყდა.

მატარებელში ისე მაგრად ჩამძინებოდა, რომ სადგურიდან ბინაზე მისვლა არც გამოვიდა. ჟრიალმა გამომაღვიძა. როგორც შემდეგ გავიგე, გათენებულიც არ იყო. ადამიანები დაწოლილი ყოფილან, ჩვენ რომ თავზე დავადექით.

ჩვენი ბერიკაცის ხმა მაშინვე ვიცანით. სხვა ხმები პირველად გვესმოდა. ერთი წკრიალა ხმა თავიდან მომეწონა.

– ბაბუ, რა ჩამოიტანე?! ბაბუ, გავხსნათ რა?! – წამდაუწუმ გაისმოდა ეს წკრიალა ხმა.

ცოტა ხანში ჩვენი ჩემოდნის სახურავი გაიხსნა. მაშინვე დავინახე ჩვენსკენ მომართული გაბრწყინებული თვალები.

– ბაბუ, ჩურჩხელები სულ ჩემია, ხომ?! – წამოიძახა გოგონამ. დაგვაველო ფუნჩულა ხელები და გულზე მიგვიკრა. მანვე დაგვაბინავა ამ კარადაში.

ამ გოგონაზე მოზრდილთა საუბრიდან გავიგე ზოგი რამ. მანანა ჰქვია, მეხუთე კლასშია; რა თქმა უნდა, სუთოსანია, ცეკვის წრეზე დადის და ძალიან უყვარს წიგნების კითხვა...

ჰოდა, როგორც ვთქვი, ორი დღეა ქალაქში ვარ. ცალი თვალით ვიჭყიტები კარადიდან და ოთახს ვათვალიერებ. გარეთ სიბნელეა, მაგრამ ოთახში კამკაშა სინათლეა. შუა ადგილას გრძელი სუფრა გაუშლიათ. რა გინდა, სულ და გულო, იქ არ იყოს. სოფლიდან ჩამოსული ჩვენი თანამგზავრებიც შევნიშნე აქა-იქ...

ერთ კუთხეში ნაძვისხე იდგა, ათასნაირი ბრჭყვიალა სათამაშოებით მორთული. მანანა იქ ტრიალებდა. ტყის დედოფალივით რთავდა და კაზმავდა ნაძვისხეს. ბოლოს, პაწია სანთლებიც აინთო. გაჩახჩახდა ნაძვისხე. მანანამ ტაში შემოჰკრა, ასკინკილით შემოუბრინა და ლექსიც კი თქვა. ეჰ, ნეტავ მეც იმ ნაძვისხეზე ვიყო ჩამოკიდებული-მეთქი, – გავიფიქრე.

საერთოდ დიდი ფაციფუცი იყო სახლში. ყველას ბედნიერი სახეები ჰქონდათ. მე ხომ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ. ვერ მოვისვენებ, სანამ გავიგებდე, რაშია საქმე? მივიხედ-მოვიხედე. ვის შევეკითხო?! სხვა ჩურჩხელებმაც ჩემსავით არაფერი იციან, არც ამ გაბრწყინებულ „ტკბილისკვერებს“ ეცოდინებათ. ჩემთან ახლოს ერთი ტანწერწეტა ჭიქა დგას. მაგრამ ძალიან ამაყად უჭირავს თავი. ალბათ, ქალაქელი რომ არის, იმიტომ. სხვა გზა არ იყო და მაინც იმას შევეკითხე მორიდებით – რა ამბავია-მეთქი.

ჭიქამ დაცინვით გადმომხედა, მაგრამ მიპასუხა კი:

– ახალი წელი დგება! სტუმრებს ელოდებიან. მეც ჩქარა მომიწევს მაგიდაზე წასვლა.

ახალი წელი... სტუმრები... ვნახოთ, ვნახოთ, საინტერესოა!

მალე ჩვენს გვერდით კიდევ ვიღაცები დააბინავენს. გოცებით შევეყურებ. ჩვენნაირები არიან კიდევაც და არც არიან. ზოგი ჩვენზე ბევრად მსხვილია, მაგრამ უფრო დაბალი, თან ფერიც მუქი აქვს. ზოგის სხეული კი უცნაურად არის დანაოჭებული. ისევ ცნობისმოყვარეობამ ამიტაცა. ჩვენს ახალ ძმებში ზომ მე ყველაზე ენაჭარტალა ვიყავი. მივბრუნდი და მოსულელებს გამოველაპარაკე.

იმ ჯმუხა შავტუხამ დინჯად ამიხსნა:

– ჩვენაც ჩურჩხელები ვართ! მე კაკლისა ვარ, ნიგოზს რომ ეძახიან, ზომ იცი?!

კაკალი როგორ არ ვიცოდი, ჩვენი გარე ბიძაშვილია.

– ჰოდე, – განაგრძო ჯმუხამ, – აგერ ის ჩირის ჩურჩხელაა, ისა კიდევ გოგრის თესლისა... ვიცი, ვიცი, თქვენ თხილისგან ხართ, ჯანჯუხას გეძახიან. შესახედავად ლამაზები ხართ, მაგრამ სინოყვირით ჩვენა გჯობივართ...

რა მეთქმოდა. ალბათ, სიმართლეს ამბობდა.

შემდეგ სტუმრებიც მოვიდნენ. ჭამაც იყო და სმაც, მუსიკაც და სიმღერაც, მხიარულებაც და სიცხილიც. ახალი წლის შეხვედრა დიდხანს გრძელდებოდა.

უყუყუბდი, ვუსმენდი და მიხაროდა.

შუაგულ სუფრაზე მაღალი სახილე იდგა, სხვადასხვა ნუგბარით სავსე. ჩურჩხელებიც დავინახე იქ. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გულისწყრომა, როცა ყველაზე ზემოთ წამოსკუპული ერთი თხილი დავინახე. ის ცხვირაწევით გადაჰყურებდა ყველას და ყველაფერს. შურით აღარ ვიცოდი, რა მექნა. მივჩერებოდი ამ თავხედს და გულში მის ბედს შევნატროდი. მაგრამ უცბად ერთ-ერთმა სტუმარმა სახილესაკენ გაიწოდა ხელი. დაავლო თითები ამ თხილს და პირისაკენ გააქანა. მიუხედავად ხმაურისა, კარადამთავ გავიგე ტკაცანის ხმა. აჰა, ეგეც შენ, მეტიჩარავ!

ახალ ბინაში კულტურული მეზობლები მყავდა. ბევრი ტკბილი დღე გავატარე მათთან.



## მანანა

ძველებურად მისდევენ დღეები დღეებს, კვირები კვირებს...

შევეჩვიე ქალაქში ცხოვრებას, მაგრამ ის მაწუხებს, რომ თანდათან მცირდება ჩვენი რიცხვი. თითქმის ყოველდღე ტოვებს ერთი ჩურჩხელა კარადას და უკვალოდ ქრება. მე ვხვდები, რომ ეს დალუპვას ნიშნავს.

ყველაზე ხშირი სტუმარი, რა თქმა უნდა, ანცი მანანაა. ყველაზე უფრო მას უყვარს ჩვენი პირის ჩატკბარუნება. „ეჰ, კნუწო, საცაა შენი ჯერიც დადგება და მშვიდობით, ტკბილო სიცოცხლე!“ – გუებნები ჩემს თავს.

ერთ დღეს გამოვიღვიძე და გული გადამიტრიალდა: მარტო ჩვენ, ოცი ძმანი-ლა ვიყავით დარჩენილი. ახლა კი მოახლოვებულია აღსასრულის დღე-მეთქი, გავიფიქრე და კარადის კარიც გაიღო.

გამოჩნდა მანანას გაბრწყინებული სახე, მაგრამ მაშინვე მოიღუშა და წაიჩურჩულა:

– ვაიმე, ერთილა დარჩენილა!

შუაზე გადატენა ჩვენი გრძელი ჯავშანი. მე ისევ კარადაში დავრჩი ცხრა ძმასთან ერთად.

კარადის კარები ღიად დატოვა და კარგად ვუყურებდი, როგორი სიამოვნებით ჩაახრამუნა ჩვენი ნახევარი. შემდეგ ტახტზე მოიკეცა ფეხები და ხმამაღლა დაიწყო წიგნის კითხვა.

პირველად ყურს არ ვუგდებდი, შემდეგ კი დამაინტერესა და გატაცებით ვუსმენდი.

შვლის ნუკრის თავგადასავალს კითხულობდა მანანა.

საცოდავი ნუკრი! რამდენი შიში და უბედურება გადაიტანა და რამდენი კიდევ მოეღის.

მთელი ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ: შორეულ სოფელში მიტოვებული დედა, დალუპული ძმები, ათას დავიდარაბაში გამოვლა და აი, სიცოცხლის დასასრულიც...

მანანა! ასე ძალიან მაინც რატომ შემეყვარდა ეს დაუდევარი გოგონა?! ისე შემეყვარდა, რომ სულ მინდა ვუცქირო. დილით რომ სკოლაში წავა, ერთი სული მაქვს, როდის შემოაღებს კარებს. შემდეგ კი მთელი დღე მისი ცქერით ვტკბები. მინდა, ძალიან მინდა, დიდხანს ვიცოცხლო და მანანას დაქალებას მოვესწრო, მაგრამ...

მხოლოდ ერთადერთი ნატვრა მაქვს და ის მაინც შემისრულდეს სიცოცხლის ბოლოს.

მანანამ ლუკმა მინდა გავხდე. მხოლოდ მანანასი და სხვისი არავის.

სიკვდილსაც არაფრად ჩავაგდებ და ვაჟაკურად შევხვდები, თუკი მანანას ვასიამოვნებ...

თქვენ როგორც ფიქრობთ, შემისრულდება ეს ნატვრა?!

1963

## თარგმანები

### ირაკლი ანდრონიკაშვილი

ლიტერატურათმცოდნის მოთხრობები

(ქართულად გამოიცა 1962 წელს)

ირაკლი ანდრონიკაშვილი მიხეილ იურის ძე ლერმონტოვის ბიოგრაფიის ცნობილი მკვლევარია. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე 1930 წელს გამოვიდა და მას შემდეგ წარმატებით ეწევა მ.ი. ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

მის კალამს ეკუთვნის წიგნები: „ლერმონტოვი. ახალი ძიებანი“, „ლერმონტოვი“, „ტაგილის მონაპოვარი“ და სხვა.

კრებულში „ლიტერატურათმცოდნის მოთხრობები“ აღწერილია მეცნიერული კვლევის საინტერესო გზა, „თავგადასავლები“ ლიტერატურათმცოდნისა, რომელმაც მიზნად დაისახა შეავსოს „თეთრი ლაქები“ ლერმონტოვის ბიოგრაფიაში.

კრებულში შეტანილია ოთხი მოთხრობა: „პორტრეტი“, „გამოცანა ნ. თ. ი.“, „წარწერა ნახატის ქვეშ“, „ლერმონტოვის თანამემამულე“.

### პორტრეტი

#### ნაცნობი სახე

მე თქვენ გაიბობთ ერთი ძველებური პორტრეტის თავგადასავალს. ეს არის დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი, მაგრამ თქვენთვის მაინც კარგად ნაცნობი ადამიანის სურათი. ამბავი თვით პორტრეტით ძველი როდია: იგი სულ ცოტა ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ მაინც მთელი ისტორიაა.

მოსკოვის ერთ-ერთმა გამომცემლობამ ლენინგრადში მიმავლინა. იქ რამდენიმე დღე დავრჩი. თავისთავად ეს შემთხვევა არაფრით არის შესანიშნავი და სახსენებლადაც კი არ ღირდა, რომ მეორე ამბავი, ანდა უფრო სწორად, სრულიად უბრალო შემთხვევა, რომლის მსგავსსაც ჩვენ მაშინვე ვივიწყებთ ხოლმე, სხვა საინტერესო თავგადასავლების დასაწყისი არ გამხდარიყო.

მაშ მე მიმავლინეს ლენინგრადში – ჩემთვის განსაკუთრებით

ახლობელ ქალაქში. იქ ვსწავლობდი და იქვე დავამთავრე უნივერსიტეტი, იქ გამოვედი ლიტერატურულ ასპარეზზე, შევიძინე პირველი მეგობრები – ერთი სიტყვით, თავს ბედნიერად ვთვლიდი.

რა საოცარი, რა სასიხარულო გრძნობაა – რამდენიმე დღით დაბრუნდე იმ ქალაქში, სადაც ათი წელი გიცხოვრია! და თუ რომელიმე თქვენგანი ლენინგრადში ყოფილა და ისიც თეთრი ღამეების დროს, რა თქმა უნდა, გამიგებთ.

ლარივით სწორი სანაპიროები... უძრავად ჩამწკრივებული მოყვითალო, მოწითალო, მონაცრისფრო სახლების რიგი და მათი აყირავებული ანარეკლი გრანიტით შემორკალულ ნევის შავ, სარკისებურ წყალში. ხიდების მსუბუქი თალები განთიადის მოვარდისფრო-ყვითელ ფონზე. კოშკების, სვეტებისა და ბრინჯაოს გაჭენებული ცხენების იისფერი კონტურები ამ მატყუარა, მკრთალ ბინდში. გერჩვენებათ, თითქოს უფრო სწორია პროსპექტები და სანაპიროები, ვიდრე ოდესმე, თითქოს უფრო შემსუბუქებულან და დაახლოვებულან ხიდები, თითქოს უფრო შემჭიდროვებულან ამ გამჭვირვალე იდუმალ სიჩუმეში გუმბათები და შპილები. ირგვლივ ყველაფერი დაპატარავებული გერჩვენებათ. ქალაქი კიდევ უფრო დამშვენებულია, თუკი შეიძლებოდა უფრო მშვენიერი გამხდარიყო ეს დიდებული ქალაქი! თუმცა, მე სრულიად გადავუხვიე ჩემი თხრობის საგანს.

ლენინგრადში ჩასვლისას დაუყოვნებლივ მივაშურე სსრ კავშირის აკადემიის პუშკინის სახლს.

ვინაიდან მე ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაზე ვმუშაობ, ლენინგრადში ყოფნისას შემთხვევას არ გავუშვებ ხოლმე, რომ არ შევიარო პუშკინის სახლში, სადაც თავმოყრილია ლერმონტოვის თითქმის ყველა ხელნაწერი; სადაც შეიძლება მისი პორტრეტების, მისი ხელით შესრულებული სურათებისა და ნახატების ნახვა, სადაც მთელი ოთახი გაჭედვითაა კარადებით, რომლებშიაც ინახება ლერმონტოვის თხზულებათა ყველა გამოცემა და ლიტერატურა მის შესახებ.

ოდესღაც მიმუშავია კიდევ პუშკინის სახლში, ძველი ნაცნობობის წყალობით სრული თავისუფლებით ვსარგებლობ იქ და ძველებურად შემიძლია შესვლა სამუშაო ოთახებში.

ამჯერადაც სამუზეუმო განყოფილებაში გამოცხადდი ელენე პანფილეს ასულ ნასელენკოსთან და მივიღე მისგან ნებართვა:

დამეთვალეებინა კატალოგები, მეფურცლა საინვენტარო წიგნები, თაროებიდან ჩემი ხელით ჩამომელო მძიმე ალბომები და საქაღალდეები.

გამოვიყენე მისი სტუმართმოყვარეობა და მოვიკალათე მუზეუმის სამუშაო ოთახში, რომელიც სავსეა კარადებით, საწერი მაგიდებითა და შიფონერებით.

მაგრამ ზომ მოუვა ადამიანს ხანდახან მარცხი! მიბრუნებაც კი ვერ მოასწრო ელენე პანფილეს ასულმა, რომ მის მაგიდასთან გავლისას უნებლიეთ სახელო გაკკარი განსნილ საქაღალდეს და გადმოვაგდე. საქაღალდემ ტყაპანი მოადინა იატაკზე და იქიდან გადმოცვივდა: ცნობილი პედაგოგის უშინსკის თხუთმეტი პორტრეტი, რუს მწერალთა ლექსიკონის შემდგენლის მიტროპოლიტ ევგენის გრავირებული პორტრეტი, ლომონოსოვის რამდენიმე გამოსახულება, რომელზედაც მას მალა აქვს აწეული თავი და ქაღალდი უკავია ხელში, ბესტუჟევი-მარლინსკი ბანჯგვილიან კავკასიურ ნაბადში, ფოტოგრაფია: ლევ ტოლსტოი ზღაპარს უამბობს შვილიშვილებს, ბაბუა კრილოვის ძეგლი, თეთრ ცხენზე ამხედრებული პოეტი-პარტიზანი დენის დავიდოვი და ყირიმის სამხრეთ სანაპიროს ხედი...

– ეს რა მომივიდა! ნამდვილი სპილო ვარ... – ვბუტბუტებ და თან იატაკზე ვფორთხავ. – მაპატიეთ, ელენა პანფილოვნა, არ გამიჯავრდეთ!

– არა უშავს, გეთაყვათ, მაგაზე ნუ სწუხხართ, – იღიმება ელენე პანფილეს ასული, – მომეცით საქაღალდე.

მაგრამ მე ვავვიანებ.

– მაპატიეთ, – ვეუბნები, – ნება მომეცით, ერთხელ კიდევ გადავთვალეო ეს სურათები.

– რისთვის გინდათ?

– ახლავე... – ვასუსხობ და თან აჩქარებით ვაფათურებ ხელებს საქაღალდეში, – ახლავე!

ნუთუ მომეჩვენა? არა, რა თქმა უნდა, თვალი მოკკარი ვილაცის საოცრად ნაცნობ სახეს, რომელმაც საქაღალდის დავარდნისას გაიელვა.

– ერთი წუთი... ერთი წამი... აი!

და სწრაფად ამოვამძვრე სურათების გროვიდან პატარა, როგორც ეტყობოდა, ფოტომოყვარულის გადაღებული გაყვითლებული

ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყო ახალგაზრდა სამხედრო პირი.

არასოდეს არ მინახავს ეს პორტრეტი, მაგრამ საიდან ვიცნობ ამ სახეს? ჩაფიქრებული თვალების მუქი კიაფი, ოდნავ პაჭუა ცხვირი, ბავშვურად აბურცულ ტუჩებს ზევით წვრილი, შავი უღვაშები; მალა აწეული, თითქოს გაკვირებული წარბები და ნათელი, მშვიდი შუბლი თითქოს არც ეხამებიან ერთიმეორეს, მაგრამ სახე მაინც შესანიშნავია, არაჩვეულებრივი. მხრებზე წამოსხმული, გაღეღილი ფარავიდან მოჩანს ეპოლეტი.

გადავებრუნე სურათი. მეორე მხარეს წარწერაა ფანქრით: „ვერცხლისფერი აღკაზმულობა“ და მეტი არაფერი! კი მაგრამ ვინ არის?

რასაკვირველია, ისაა! მე მაშინვე ვიცანი იგი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს, თითქოს ოდესღაც მენახოს სწორედ ასეთი. ნუთუ ეს ლერმონტოვია? ნუთუ ეს ჩემთვის უცნობი პორტრეტია?

ერთბაშად დამეუფლა გაკვირვებაც, ეჭვიც – ლერმონტოვი?! რაღაც შემთხვევითი სურათების გროვაში... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის სწორედ ისეთი იყო, როგორც ამ გამოსახულებულ ფოტოსურათზეა გამოსახული, თუმცა, უნდა ითქვას, მაინცდამაინც არა ჰგავს მის სხვა პორტრეტებს. მაინც ვინ უნდა იყოს?

– ელენა პანფილოვნა, შემთხვევით ეს ლერმონტოვი ხომ არ არის?

– რატომღაც ჰგონიათ, რომ ლერმონტოვია, – მპასუხობს ელენე პანფილეს ასული და მე უკვე სუნთქვა მეკვრის, – მხოლოდ რატომ თვლიან, ზუსტად არავინ იცის.

დავცქერი პორტრეტს, ჯერ ხომ არავინ იცის, ვინ არის იგი, მაგრამ უკვე მეჩვენება, თითქოს შემცირდა ის ასი წელი, რომელიც ჩვენ მისგან გვაშორებს და თითქოს გაცოცხლდა ლერმონტოვი ამ ძველებურ ფოტოსურათზე. რა მაცთუნებელი საიდუმლოებითაა მოცული მისი სახე! ნება რამდენი წლისაა ამ პორტრეტზე, რომელ მუნდირშია გამოწყობილი? როგორ მოხვდა აქ ეს გამოხუნებული ფოტოსურათი და სად არის თვით პორტრეტი. და ბოლოს, რა საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ეს ლერმონტოვია?

– ელენა პანფილოვნა, მაინც რატომ ფიქრობენ, რომ ეს ლერმონტოვია?

– ეს ფოტოსურათი, – მომმართავს ელენე პანფილეს ასული, – ჩვენთან, პუშკინის სახლში, როგორც ჩანს, 1917 წელს

მოხვდა საკავალერიო სასწავლებელთან არსებული ლერმონტოვის მუზეუმიდან. ალბათ იქ სთვლიდნენ ლერმონტოვის პორტრეტის რეპროდუქციად. ხოლო თუ თქვენც გგონიათ, რომ მართლა ლერმონტოვია, ხელი უნდა მოჰკიდოთ ამ საკითხს და მონახოთ თვით პორტრეტი. საინტერესო პორტრეტი, – ღიმილით დაასკვნა მან, გამოსწია კატალოგის ყუთი და კალამი მოიმარჯვა.

## „გ 1 - 08 - 87“

მამ ასე, ჯერ უნდა დავადგინო, როგორ მოხვდა ფოტოსურათი მუზეუმში, ელენე ნასელენკოს მაგიდაზე.

პუშკინის სახლის ხელნაწერთა განყოფილებაში გამოვითხოვე პეტერბურგის საკავალერიო სასწავლებელთან არსებული ლერმონტოვის ყოფილი მუზეუმის საინვენტარო წიგნები. მართლაც, ყველა მასალა, მათ შორის ამ მუზეუმის საინვენტარო წიგნებიც, 1917 წელს პუშკინის სახლში შემოსულა.

გადავთვალიერე საინვენტარო წიგნი და ახლა უკვე ვიცი: მ. ი. ლერმონტოვის პორტრეტიდან გადაღებული ფოტოსურათი ლერმონტოვის მუზეუმს შესწირა ვინმე ვ. კ. ვულფერტმა, მოსკოვის სასამართლო პალატის წევრმა.

ამრიგად, ჩემთვის ცნობილი გახდა პორტრეტის მფლობელის გვარი. მაგრამ როდის, რომელ წლებში ეკუთვნოდა მას იგი და როდის გადასცა ფოტოსურათი მუზეუმს? იქნებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა პეტერბურგის საკავალერიო სასწავლებელთან პირველად გაიხსნა ლერმონტოვის მუზეუმი?.. როგორ ვეძებო ეს ვულფერტი? ცოცხალია თუ არა? მოსკოვშია? აქვს თუ არა ისევ პორტრეტი?

„ჯერ დავადგინოთ, ვინ არის ვულფერტი, – ვეუბნები ჩემს თავს, – უწინარეს ყოვლისა, უნდა შევამოწმო, არის თუ არა ეს გვარი მოძალევსკის კარტოთეკაში“.

ეს კარტოთეკა ბიბლიოგრაფიის ნამდვილი სასწაულია: ბორის ლევის ძე მოძალევსკის, პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ მცოდნეს, ისტორიული შრომებისა და მოგონებების, ძველებური ალბომებისა და წერილების, საყურნალო სტატიებისა და ოფიციალური ანგარიშების შესწავლისას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველი გვარი,

რომელიც შეხვდებოდა, ამოეწერა ცალკე ფურცელზე და იქვე აღენიშნა იმ პიროვნების სახელი და მამის სახელი, დასახელება ჟურნალისა თუ წიგნისა, ტომისა თუ გვერდისა, სადაც ეს გვარი წაეკითხა. ამ ჩვეულებისათვის არასოდეს არ უღალატნია და ოცდაათი წლის შემდეგ მის კარტოთეკაში აღმოჩნდა სამას ათასზე მეტი ბარათი; კარტოთეკა განიერი, ბრტყელყუთებიანი კარადაა, თითოეული ყუთი დაყოფილია და სავსეა მოძალევსკის ხელით დაწერილი პატარა ბარათებით. მოძალევსკის სიკვდილის შემდეგ კარტოთეკა პუშკინის სახლმა შეიძინა.

ამ კარტოთეკით ადვილად დავადგინე, სახელდობრ რომელ წიგნებში გვხვდება ვ. კ. ვულფერტის სახელი. შემდეგ გადავედი პუშკინის სახლის ბიბლიოთეკაში. ვიღებდი წიგნებს თაროებიდან, ვშლიდი მინიშნებულ გვერდებზე და თანდათან გავიგე, რომ ვულფერტს ეძახდნენ ვლადიმერ კარლოს ძეს, რომ მის კოლექციაში ინახებოდა გოგოლის „ქორწინების“ ხელნაწერი და პოეტ ბატიუშკოვის წერილები, რომ თვით ვლადიმერ კარლოს ძე მოთხრობებს ბეჭდავდა 80-იან წლებში; რომ მამამისს – კარლო ანტონის ძეს ცოლად ჰყავდა ლერმონტოვის უნივერსიტეტის ამხანაგის, ახალგაზრდა მოაზროვნის ნიკოლაი სტანკევიჩის და. წიგნში – „სამოქალაქო წოდებათა სია“ ამოვიკითხე, რომ ვულფერტი „სამსახურშია 1866 წლიდან“.

მივხვდი, რომ იგი დიდი ხანია აღარ იყო ამქვეყნად. გადმოვიღე მოსკოვის სამისამართო წიგნი – „მთელი მოსკოვი 1907 წელს“. – ვხედავ, ვლადიმერ კარლოს ძის ხსენებაც არ არის. მაგრამ არის ვინმე ივანე კარლოს ძე ვულფერტი, მოლჩანოვკა, 10. ალბათ ვლადიმერ კარლოს ძის ძმია, მას ესეც გამოვდგება.

გამოვტოვე რამდენიმე წელი და გადავფურცლე „მთელი მოსკოვი 1913 წელს“. ყველაფერი კარგად მიდის. – ივანე კარლოს ძე ვულფერტს მიემატა ვიღაც ანატოლი ვლადიმერის ძე, როგორც ჩანს, ვლადიმერ კარლოს ძის ვაჟიშვილი. მისამართია: დიდი ნიკოლოპესკოვსკის 13.

ხელი მიმირბის წიგნისაკენ „მთელი მოსკოვი 1928 წელს“, სულში კი ქარიშხალი ბობოქრობს... რამდენი რამ მოხდა 1913-დან 1928-მდე! ცოცხლები არიან თუ არა ვულფერტები? მოსკოვში არიან? მთელია თუ არა პორტრეტი? მათ ხელშია, ან შეიძლება დიდი ხნის გაყიდულიცაა. ა... ბ... გ... დ... ე... ვ... ვულ... ვულფ... „ვულფერტი ანატ. ვლად., ვახტანგოვის ქუჩა, 13, ბინა 23“.



ცოცხლები არიან!

ცოცხლები არიან 1928 წელს! ახლა?

– უკაცრავად, სადა გაქვთ ტელეფონების უკანასკნელი წიგნი?

– აი, იმ თაროზე.

– ეს ხომ ლენინგრადისაა, მე კი მოსკოვის მინდა.

– მოსკოვის ჩვენ არა გვაქვს.

– ღმერთო ჩემო!

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში და აქოშინებული მოვითხოვ მოსკოვის სატელეფონო წიგნს.

„ვულფერტი ა. ვ., ვახტანგოვის ქუჩა 13, ტელეფონი გ 1-08-87“. არის!

### რუსთაველის თეატრის თავყვანისმცემელი

დავბრუნდი მოსკოვს და იმავე საღამოს გავწიე ვულფერტის საძებრად. პორტფელში მაქვს იმ ფოტოსურათიდან პუშკინის სახლში გადაღებული ასლი.

თურმე ვულფერტისაგან ერთი კვარტალის დაშორებით ვცხოვრობ, მისი სახლის სახურავს ვხედავ ყოველდღე და ეჭვიც არასოდეს შემპარვია, რომ ჩემგან ასე ახლოსაა ლერმონტოვის უცნობი პორტრეტი.

საოცარია!

არბატიდან ვახტანგოვის ქუჩაზე შევუხვიე, გავუსწორდი № 13 სახლს, ავდივარ კიბეებზე, ვათვალიერებ კარებზე გაკრულ ფირფიტებს და ბოლოს ვაკაკუნებ 23-ე ბინის კარზე. აღებს ვილაც ნამძინარევი დედაბერი.

– მაპატიეთ, – ვეუბნები, – შეიძლება ანატოლი ვლადიმერის ძე ვულფერტის ნახვა?

– რას ბრძანებთ! ისინი, უკვე დიდი ხანია, აქ აღარ ცხოვრობენ.

გავშეშდი:

– რას ბრძანებთ! სად არიან?

– ვერ გეტყვით.

– მაშ ვისგან უნდა გავიგო?

– იმათი ვაჟისაგან, საშენკასაგან, სამხედრო ინჟინრად მუშაობს. მიდით მასთან შინ და გეტყვით.

– სად ცხოვრობს?

– ნოვინსკზე ცხოვრობს, მგონი ოცდამესამე სახლში... იქით, აჯანყების მოედნის მახლობლად. მაგრამ ბინა რომელია, არ მახსოვს... ალექსანდრ ანატოლის ძეს ჰკითხეთ!

და, აი, მე უკვე ნოვინსკისაკენ გავრბივარ.

სახლი 23, ბინა 17 ყოფილა. კარებზე საფოსტო ყუთია, საიდანაც გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვო“-ს ბოლო მოჩანს. „რახან აქ ხელოვნებას პატივს სცემენ, – გავიფიქრე მე, – პორტრეტის ფასიც ეცოდინებათ, ალბათ გაუფრთხილდებოდნენ“.

დავრეკე. შიგნიდან მესმის ფოსტლების ფლატუნის და მამაკაცის ხმა:

– ვინ არის?

– შეიძლება ალექსანდრ ანატოლის ძის ნახვა?

– უკაცრავად! თუ ერთ წუთს მოითმენთ, კარს გავაღებ და დავიძალები. აბაზანას ვლებულობ...

საკეტმა გაიჩხაკუნა, ფოსტლები ისევე აფრატუნდა და ბინის სიღრმიდან გაისმა ხმა:

– შემობრძანდით!

კარის მიხურვაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე ვიგრძენი – ნივთებით მივხვდი – პორტრეტი აქ უნდა იყოს!

წინა ოთახში საკიდის ქვეშ ძველებური, კუზიანი სამგზავრო სკივრია.

კედლის კარადაში ძველებური აღმანახებისა და წიგნების ყუები მოჩანს.

კარადის ზევით, აქვე შესასვლელში, ძველებური სურათი ჰკიდია: ტბა და ხეები.

ვიდრე წინა ოთახს ვათვალიერებდი, მასპინძელიც შემოვიდა: მაღალი, ლამაზი, თხელი, მხრებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი. სველ თმაზე ბადე ჰქონდა გადაკრული.

შემხვდა და:

– ოჰ! უკაცრავად! მაპატიეთ... ხმაზე ერთ ჩემს მეგობარს მიგამსგავსეთ... უხერხულად გამომივიდა!

– რას ბრძანებთ! მე უნდა ვიყო უხერხულ მდგომარეობაში.

– ნება მომეცით, გაგეცნოთ: ვულფერტი.

- ანდრონიკაშვილი.
- ძალიან სასიამოვნოა. მე ალბათ თქვენს მოგვარეს ვიცნობ თბილისში.
- რატომ მოგვარეს, შეიძლება ნათესავსაც...
- აჰ, თქვენც თბილისელი ხართ? მაშინ კარგად უნდა იცნობდეთ რუსთაველის თეატრს.
- რა თქმა უნდა! შეიძლება ითქვას, ამ თეატრმა გამზარდა.
- მაშ თქვენ გინახავთ აკაკი ხორავა?
- მინახავს და გაგიჟებთაც მიყვარს.
- ჩემი აზრით, ის ნამდვილად გენიალური მსახიობია! ამ თეატრში არის აგრეთვე მეორე გასაოცარი მსახიობი – ვასაძე. მითხარით, გინახავთ ისინი ოდესმე „ყაჩაღებში“? პირადად მე ძალიან მიყვარს მათი თამაში.

და ჩვენს შორის გაიმართა ალტაცებული საუბარი ქართულ თეატრზე, მცირე თეატრსა და მხატვრე.

ალექსანდრე ანატოლის ძე თეატრის თავგამოდებული მოყვარული აღმოჩნდა. მას რამდენიმე წელი უმუშავებია ინჟინრად კოლხიდში და თბილისში ყოფნისას, როგორც იტყვიან, თეატრიდან არ გამოდიოდა თურმე.

ვულფერტმა ოთახში შემიყვანა. მაშინვე კედლები შევათვალიერე: ძველებური გრაფიურები, აკვარელი.. „ჩემი“ პორტრეტი კი არსად იყო. საინტერესო საუბრებმა ისე გაგვიტაცა, რომ კინაღამ დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული. ბოლოს გავხსენი ჩემი პორტრეტი, ამოვიღე ფოტოსურათი, დავიდე მუხლებზე და ვულფერტს მივუბრუნდი:

– მაპატიეთ, ალექსანდრე ანატოლიევიჩ, ამ პორტრეტს თუ იცნობთ? – ვკითხე და ფოტოსურათი ვაჩვენე.

– ეს ხომ ჩვენი ლერმონტოვია! – წამოიძახა ვულფერტმა, – თქვენთან საიდან მოხვდა?

– ესე იგი, ეს ნამდვილად ლერმონტოვია? – გავიოცე ჩემის მხრივ, – დაუჯერებელია: აბა მაჩვენეთ!

– მე არც კი შეგეკითხეთ მოსვლის მიზეზს და გაგაწამეთ ამდენი ლაპარაკით. ღვთის გულისათვის, ამისხენით, საიდან გაქვთ ეს ფოტოსურათი!

მე განვუმარტე.

– გასაოცარი ამბავია! – გაოცდა ვულფერტი, – ახლა თქვენს წვალეებს ბოლო მოეღება: პორტრეტი სადღაც აქაა, ამ ბინაში.

ბაბუაჩემს ძალიან უყვარდა იგი და მაშინაც კი არ მოისურვა პორტრეტის მოშორება, როცა თავისი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები ისტორიულ მუზეუმს შესწირა. თუმცა, აი, ბაბუას ფოტოსურათიც. ეს კი ბაბუაჩემის მამაა, მის გვერდით ბაბუას დედა – ნადეჟდა ვლადიმერის ასულია, ნიკოლაი სტანკევიჩის და. მეორე და გათხოვილი იყო მიხეილ სიმონის ძე შჩეპკინის ვაჟზე. ბაბუაჩემს სადღაც შენახულიც ჰქონდა მიხეილ სიმონის ძის პორტრეტი, მაგრამ ახლა არ ვიცი...

ასე და ამგვარად, მე მოვხვდი იმ მოსკოველის სახლში, რომლის წინაპრებიც ენათესავებოდნენ გამოჩენილ რუს მოაზროვნე სტანკევიჩსა და დიდ მსახიობ შჩეპკინს.

– მოითმინეთ, ახლავე გიჩვენებთ ლერმონტოვს, – მითხრა ვულფერტმა. მან შეიხედა კარადის უკან, კარადის თავზე, კარადაში, კარადის ქვეშ, თეჯირს უკან, იფათურა საწერ მაგიდაში. შემდეგ გამოსწია დივანი, სკივრი...

– საოცარია! – ჩაილაპარაკა, – საკმაოდ დიდი პორტრეტია, კარგ ოვალურ ჩარჩოში, დახატულია ზეთით და უნდა ითქვას, არც ისე ურიგო მხატვრის მიერ. ვერ მომიფიქრებია, სად უნდა იყოს. უეჭველად, დედაჩემმა შეინახა სადღაც... მოდით ასე შევთანხმდეთ: რამდენიმე დღის შემდეგ დედაჩემი ტატიანა ალექსანდრეს ასული ჩამოვა ყირიმიდან, ჩვენ ერთად მოვნახავთ პორტრეტს და მაშინვე დაგიჩვენებთ.

ჩავაწერინე ჩემი ტელეფონის ნომერი და სასიამოვნო შეხვედრით გახალისებულმა შინისაკენ გავწიე.

### „ნუ აღელდებით...“

ორი კვირა გავიდა. როგორც იქნა, დარეკა ვულფერტმა.

– გთხოვთ, ნუ აღელდებით, – მაფრთხილებს იგი პირველი სიტყვებიდანვე. – პორტრეტთან დაკავშირებით მოხდა პატარა უსიამოვნება და ამიტომ თქვენს წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ, ჩემდაუნებურად შეცდომაში რომ შეგიყვანეთ. მიჭირს თქმა, მაგრამ პორტრეტი, სამწუხაროდ, უკვე აღარაა ჩვენს ხელთ და ვშიშობ, დაკარგული უნდა იყოს.

ენა ჩამივარდა.

– ხუთი წლის წინათ, – განაგრძობდა ვულფერტი, – როცა ჩვენ

ნიკოლო-პესკოვსკიდან ახალ ბინაში გადმოვიდით, დედაჩემს ეს პორტრეტი ჩალის ფასად მიუცია ერთი ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც ბორია ერქვა, იგი თურმე სმოლენსკის ბაზარზე მსახურობდა მოხუც ანტიკვართან, ძველებული ნივთების სავაჭროში. დედაჩემი ხანდახან დადიოდა ამ დუქანში და იქ ხედავდა ხოლმე ბორიას. შემდეგ ერთი-ორჯერ რაღაცეები მოუტანია ჩვენთან და როცა უნახავს ლერმონტოვის პორტრეტის ოვალური ჩარჩო, უთხოვია მომყიდეთო. მაგრამ დედაჩემს უარი უთქვამს და აი, გადასვლის დღეს კვლავ გამოჩენილა... შესჩენია, გინდა თუ არა, მომყიდეთ ჩარჩო, დედას მიუცია ჩარჩო და მერე მოჰკონებია, რომ ჩარჩო პორტრეტიანად გაატანა...

– რა გვარია ეს ბორია? – შევეკითხე.

– სამწუხაროდ, დედამ არ იცის.

– რატომ გგონიათ, რომ პორტრეტი შეიძლება დაკარგული იყოს?

– განა ნათელი არ არის, რომ ბორიამ არც კი იცის, ვისი სურათი ჩაუვარდა ხელში, – მიპასუხა ვულფერტმა, – ტატიანა ალექსანდრეს ასულს ვერაფრის თქმა ვერ მოუსწრია მისთვის. მას შემდეგ კი აღარც შეხვედრია... ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ თუ შემთხვევით რაიმეს მოვკარით ყური ამ პორტრეტის შესახებ, უსათუოდ დაგირეკავთ, – მითხრა მან ბოლოს.

გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეგობრის დალუპვის ამბავი შემეტყოს.

კვალი დაიკარგა, ძიების ძაფი გაწყდა. სმოლენსკის ბაზარი აღარ არსებობს, აღარც ძველმანების სავაჭროა და არც მოხუცი ანტიკვარი. პორტრეტის მყიდველის, ბორისის გვარი უცნობია, გაყიდვის დღიდან გავიდა ხუთი წელი. ხუთი წლის წინათ მოსკოვში ვილაც ბორისმა იყიდა პორტრეტი, – სულ ესაა, რაც მე ვიცი. ძალიან ცოტა მონაცემია იმისათვის, რომ ძებნა განვაგრძო.

ერთი რამ ცხადია, თუ ამ ბორისმა არ იცის, რომ ლერმონტოვის პორტრეტი იყიდა, მაშინ პორტრეტი თავისთავად არ აღმოჩნდება. მაგრამ ამის იმედი არ უნდა მქონდეს. პორტრეტს ძებნა უნდა, შეუპოვარი, დაჟინებული ძებნა! და თუ მე მცირე მონაცემები მაქვს ძიების გასაგრძელებლად, მაშასადამე, უნდა შევავროვო ისინი. უპირველეს ყოვლისა, ვულფერტებისაგან უნდა გავიგო ყველაფერი იმ ბორისის შესახებ, რომლის გვარიც არ ვიცი.

გავემართე ვულფერტებისაკენ.

ამჯერად შემომეგება ხანშიშესული, მაგრამ მხნე, შავთმიანი ქალი, მონაცრისფრო ჭკვიანი თვალებით.

– ვიცი, ყველაფერი ვიცი! – მკვირცხლად მიპასუხა, როგორც კი გაიგონა ჩემი გვარი. – ჩემმა საშამ ყველაფერი მიაძხო: „მოვიდაო, ისე საინტერესოდ ვისაუბრეთო“. როგორც კი გავიგე, რომ მან პირდაპირ თეატრზე დაგიწყოთ ლაპარაკი, გავკიცხე: „ალბათ თავი მოაბეზრე, ჩვენთან მოსვლას აღარც კი იფიქრებს-მეთქი“. კიდევაც მიკვირს, როგორ გაბედეთ კვლავ ჩვენთან მოსვლა, – განაგრძო მან ხუმრობით, – პორტრეტის ამბავმა ისე შემაწუხა, რომ არც კი ვიცი, რა ვქნა, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, უთუოდ ჭკუიდან შევიშლებოდი!

– როგორ წაიღო ბორისმა ის ჩარჩო? – შევეკითხე მე.

– სრულიად უბრალოდ! – იცინის ტატიანა ალექსანდრეს ასული, – ამოიღო ილიაში და წაიღო, მძიმე არ იყო... საიდან გამოტყვერა ის ბიჭი, ვერაფრით ვერ გამოვიდა!

დავტვირთეთ მანქანა, რომ იტყვიან, პირამდე გავავსეთ და, გავიხედოთ, ამ დროს საშა სადღაც გაქრა, ფულიც სულ მას გაჰყვა, კაპიკი არ მაქვს, რომ შოფერს გადავუხადო. უცებ საიდანღაც ის ბორისი გამოძვრა, ისეთი ცმუტია, ქერა, ენამოჩლექილი: „მომეჩით ჩარჩო ხუთ თუმნადო“, – „ო, როგორ მომაბეზრე თავი, წაიღე-მეთქი“, – მივახალე. მომაჩენა ფული და წაიღო. უცებ მომაგონდა, რომ პორტრეტიანად წაიღო, მაგრამ გვიანდა იყო... თქვენ ნუ იდარდებთ! ახლავე ყავას დაგალეკინებთ და ერთად მოვიფიქროთ, როგორ ვუშველოთ თქვენს დარდს... ოცდათხუთმეტ წელს, – იგონებს იგი, – ის ბორისი გორკის ქუჩაზე ტორგსინში მუშაობდა საძებნე განყოფილებაში მოლარედ. ადრე ხშირად ვხვდებოდი, მას შემდეგ კი, რაც პორტრეტი იყიდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ალბათ ეშინია ჩემი. ხომ არ მოკვდებოდა! ერთი შემხვდებოდეს სადმე, ხელად ვაფრენდი თქვენთან ჩემს ალექსანდრეს და პორტრეტსაც იპოვიდით... დალიეთ ყავა, სანამ ცხელია!

ისე დამამშვიდებლად მოქმედებდა ტატიანა ალექსანდრეს ასულის მოსკოვური ლულუნა კილო, მისი ოდნავ დამცინავი ტონი, მისი გულითადი სტუმართმოყვარეობა, რომ იმედი მომეცა. გავიფიქრე, ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება-მეთქი.

## შეხვედრა საკომისიო მალაზიაში

გამოვძებნე ნაცნობები, რომელთაც გამიგეს გორკის ქუჩაზე მდებარე მალაზიის ყოფილი დირექტორის მისამართი. აღმოჩნდა, რომ იგი ვლადივოსტოკში მუშაობს დირექტორად. მივწერე წერილი, ვეკითხებოდი, ხომ არ ახსოვდა სამეხვე განყოფილების მოლარის გვარი. ალბათ, გააოცა ჩემმა შეკითხვამ და პასუხიც არ მალირსა.

მაშინ გავიგე ყოფილი დირექტორის მოადგილის მისამართი, იგი ოდესაში გადასულა. მასაც მივწერე ჩემს გასაჭირზე. არც იმან მიპასუხა.

ალბათ არანორმალურად ჩამთვალეს.

მოსკოვის საკომისიო მალაზიებიც შემოვიარე. ყველას ვეკითხებოდი, საკომისიო საქმეებში ხომ არ შეგხვედრიათ ენამოჩლექილი ბორისი-მეთქი.

– რა გვარია? – მეკითხებოდნენ ისინი.

– სწორედ გვარი არ ვიცი.

– ძნელია ამის თქმა, მოსკოვში ბევრი ბორისია.

დახლზე დავუდებდი ყოფილი „ვულფერტისეული“ პორტრეტის ფოტოსურათს:

– ხომ არ მოხვედრილა თქვენთან ეს პორტრეტი?

– არა.

– თუ თქვენთან შემოვა საკომისიოდ, ნუ დაიზარებთ, შემატყობინეთ ტელეფონით, – ვემუდარებოდი ყველას.

ვიყავი ლიტერატურულ მუზეუმშიაც, ვთხოვე დაერეკათ, თუ მათთან მიიტანდნენ პორტრეტს.

ვხვდები, ვთათბირობ მათთან, როგორ მოენახო ბორისი.

შევირბინე ვულფერტებთანაც. ტატიანა ალექსანდრეს ასული სახლში დამხვდა.

– როგორ ბრძანდებით, ტატიანა ალექსანდროვნა?

– ნუ მკითხავთ!

– რა მოხდა?

– ყველაფერი დავლუპე.

– რა დალუპეთ?

– თქვენი პორტრეტი.

– გამაგებინეთ, როგორ დალუპეთ „ჩემი“ პორტრეტი?

– მისმინეთ! ერთხელ, შევედი სტოლენიკოვის ჩიხში რომ საკომისიო მალაზიაა. შევედი თუ არა, ხალხში იმ ბორისს მოვკარი

თვალი! ვიყვირე: „ბორენკა! ბორია! და ისე მივვარდი, რომ თვითონვე უხერხულად ვივარდენი თავი. „მე ტატიანა ალექსანდრეს ასული ვულფერტი ვარ, ნიკოლო-პესკოვსკიდან, – ვეუბნები, – ნუთუ არ გახსოვარ“. ის კი მიყურებს თავისი უაზრო თვალებით. „მანსოვსო, – მეუბნება, – მე თქვენგან ჩარჩო ვიყიდე“. „ჯანდაბას ჩარჩო, – ვეუბნები, – პორტრეტი დამიბრუნეთ. ჩვენი წინაპრის პორტრეტია და მე კი არა, ჩემს ძმას ეკუთვნის (ეს განგებ ვუთხარი, აბა რომ მეთქვა „ლერმონტოვია-მეთქი“, არ მომცემდა), ჩემმა ძმამ შემჭამა, პორტრეტს თხოულობს-მეთქი“. და რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა: ვიღაც მხატვრისათვის მიუცია და იმას კარადის უკან უგდიაო. ჩარჩო კი სხვისთვის დაუთმია. როგორც კი გავიგე, პორტრეტი უვნებელი იყო, პირდაპირ შევევედრე – მომყიდე-მეთქი, ის კი იცინის: „თუ პორტრეტს მოგიტანთ, მის მაგივრად მინიატურები უნდა მომცეთ“. დავეთანხმე. გავიფიქრე, რაც არის, არის, მინიატურები მუქთად წაიღოს-მეთქი. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს მომიტანდა პორტრეტს, ახალი მისამართი ჩავაწერინე. აი, ვზივარ და ველოდები. აგერ უკვე სამი კვირაა, ის კი არ ჩანს!

– გვარი გაივით? – სულმოუთქმელად ვეკითხები.

– საქმეც ეგ არის, რომ არა.

– ოჰ, ეს როგორ დაგემართათ.

– მე ვკითხე, მაგრამ მიპასუხა: „პორტრეტი უნდა წაიღოთ ძმასთან, ჩემი გვარი ხომ არა! ნუ ღელავთ, ხვალ მოვალო...“ ნუ მიწყენთ! მთავარი ისაა, რომ პორტრეტი მთელია, – მარწმუნებს ტატიანა ალექსანდრეს ასული, – ახლა თუ შემხვდა ის ბორისი, ძალით ვათქმევინებ გვარს, მილიციელთან მივიყვან. მხოლოდ ერთისა მეშინია: იმ მხატვარმა ტილოს გაწმენდა არ იფიქროს. იქ ხომ ლერმონტოვის მუნდირის ქვეშ თითქოს კიდევ მოჩანს რაღაცა. ერთი ნაცნობი მხატვარი დადიოდა ჩვენთან; სულ მესვეწებოდა: ტატიანა ალექსანდროვნა, ნება მომეცით, ცოტა აფხზიკო, ვნახო რა მოჩანსო!

– მაპატიეთ... რა უნდა მოჩანდეს იქ? – შიშით ვეკითხები.

– მეც ვეუბნებოდი: ალბათ სული მოჩანს-მეთქი... არ ვიცი, რა დაინახა, მაგრამ აფხეკის ნება არ მივეცი.

– არაფერია, – ვპასუხობ მრავალმნიშვნელოვანი კილოთი.

– მოვნახავთ და შევამოწმებთ ყველაფერს. ოღონდ პორტრეტი ვიპოვოთ, რაც შეიძლება მალე. დანარჩენი ადვილია.



## ნიკოლაი პალიჩი

დროს გადის, პორტრეტი კი არა ჩანს. არ ჩანს არც პორტრეტი, არც ბორისი, არც მისამართი იმ მხატვრისა, რომელსაც პორტრეტი კარადის უკანა აქვს გადანახული. ნაცნობები მეკითხებიან:

– იპოვეთ?

– ჯერ არა.

– რაღაც ძალიან დიდხანს ეძებთ! პორტრეტი ალბათ კარგა ხანია სხვის ხელში გადავიდა. ვინ გააჩერებს ლერმონტოვს კარადის უკან.

მე ვუხსნი:

– კი მაგრამ, ახლანდელმა მფლობელმა ხომ არ იცის, რომ ის ლერმონტოვია!

– ჰო... ჰო... თუ კი ასეა... – გააგრძელებენ გულგატეხილად, – მაშინ შეიძლება ვერც კი იპოვოთ.

„კეთილი, ვნახოთ!“ – ვფიქრობ.

დასანახავი კი ჯერ არაფერია.

გადავწყვიტე, ამ საკითხზე ნიკოლაი პახომოვთან მომელაპარაკა.

ნიკოლაი პალიჩი იშვიათი წიგნების, ძველებური სურათებისა და ნივთების საუცხოო მცოდნეა და მოსკოვის მუზეუმის თანამშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

„ნიკოლაი პალიჩს აჩვენეთ?“ „რას ამბობს ამის შესახებ ნიკოლაი პალიჩი?“ ასეთ შეკითხვებს ხშირად გაიგონებთ მოსკოვის მუზეუმებში. ხოლო, რაც შეეხება ლერმონტოვს, პახომოვზე უკეთ არავინ იცნობს ლერმონტოვის პორტრეტებს, ლერმონტოვის ნახატებს, ლერმონტოვის ნაწარმოებების ილუსტრაციებს და ლერმონტოვის სახელთან დაკავშირებულ სამუზეუმო მასალებს. ამ საკითხებში ნიკოლაი პალიჩს ტოლი არა ჰყავს. ახლა ისიც გავიგე, რომ იგი მუშაობს წიგნზე „ლერმონტოვი სახვით ხელოვნებაში“. „მოდ, – ვფიქრობ, – შევივლი მასთან, ჯერ ახალი პორტრეტით გავაკვირვებ, მერე კი რჩევას ვკითხავ“.

ტელეფონით მოველაპარაკე და სალამო ხანს გავწიე მისკენ.

ჩაის ვსვამთ, ჭიქებში კოვზებს ვაწკარუნებთ, ვიხილავთ ჩვენს ლერმონტოვურ საქმეებს და ერთმანეთს ვუზიარებთ მოსაზრებებს.

ბოლოს ვიფიქრე, შესაფერი მომენტი დადგა-მეთქი. გავხსენი პორტფელი და მუხლზე დავიდე სანუკვარი ფოტოსურათი.

– ნიკოლაი პალიჩ, – მივმართავ მას ნაძალადევი გულგრილობით, – რა აზრისა ხართ ამ პორტრეტის შესახებ?

ამ სიტყვებით ჭიქის ზევით ვწევ სურათს, რომ ნიკოლაი პალიჩმა უკეთესად დაათვალიეროს. ვიდიმები და ველოდები, რას იტყვის.

– ერთი წუთით, – ამბობს ნიკოლაი პალიჩი, – რაღაც ვერ ვხედავ, ჩემო კარგო, უსათვალოდ ასეთ მანძილზე.

მან ხელი გასწია საწერი მაგიდისაკენ.

– ბოდიში, თქვენ ამ პორტრეტზე ამბობთ? – და მიჩვენებს ზუსტად ასეთსავე ფოტოსურათს.

გაოცებული მივჩერებივარ, იმედი მაქვს, მცირეოდენი განსხვავება მაინც მოვძებნო. არა! არავითარი განსხვავება! ისევ მოჩანს ვერცხლის ეპოლეტი ფარაჯის საყელოდან, ისეთივე გაოცებული, აწეული წარბები აქვს ლერმონტოვს, თვალებიც ისევე ყურადღებითა და სერიოზულობით იცქირებიან; ისეთივე ცხვირი, ტუჩები, თმები. ფოტოსურათის ზომაც ზუსტად იგივეა!

პირველმა წამმა ისე დამაბნია, როგორც მოულოდნელმა გასროლამ. შემდეგ კი, პორტრეტიც, ბორისიც, საკომისიო მალაზიებიც, მუზეუმებში საუბრებიც უფერულად, ზედმეტად მომეჩვენა, ისე, როგორც გუშინდელი სიზმრები...

ვლუმვართ. მე ჩავახველე და ვთქვი:

– საინტერესოა, სრულიად ერთნაირია!

პახომოვმა მაგიდაზე დაღო ფოტოსურათი და გაიღიმა.

– მ-და! – თქვა მან მოკლედ.

ჩაი მოვსვით.

– საიდან გაქვთ ეს ფოტოსურათი? – დუმილის შემდეგ მეკითხება ნიკოლაი პალიჩი.

– ჰუშკინის სახლიდან. თქვენ?

– ისტორიული მუზეუმიდან.

– ორიგინალი იქაა?

– არა, ფოტოსურათია, ორიგინალი ვულფერტს ჰქონდა.

ყველაფერი იცის! რა სულელურ მდგომარეობაში ჩავიყენე თავი!

ისევ მოვსვით ჩაი და ისევ გავჩუმდით. ბოლოს გავბედე ხმის ამოღება.

– რას ფიქრობთ, ნიკოლაი პალიჩ, ამ პორტრეტზე? ჩემის აზრით, საინტერესოა.

– გეთანხმებით, მაგრამ მთელი საქმე იმაშია, ვისია ეს პორტრეტი!

– როგორ თუ „ვისი“? გასაგებია ვისიც – ლერმონტოვის!

– მაპატიეთ, მაგრამ საიდან იცით?

– არსაიდან, – ვეუბნები, – მე მხოლოდ დასკვნებს ვაკეთებ ზოგიერთი ნიშნებიდან. მაგალითად, ეს ოფიცერი არაჩვეულებრივად ჰგავს ლერმონტოვის დედას. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ლერმონტოვთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი კრაევსკი ამბობდა: თავის საკუთარ პორტრეტებზე უფრო ლერმონტოვი ჰგავდაო თავისი დედის პორტრეტს. გახსოვთ, ვისკოვატოვს ლერმონტოვის ბიოგრაფიაში მოჰყავს კრაევსკის სიტყვები: „იგი ჰგავდა დედამისს, – ამბობდა კრაევსკი, – და თუ თქვენ მის სახეს გაუკეთებთ უღვაშებს, შეუცვლით თმის ვარცხნილობას და მოახურავთ ჰუსარის მენტეიკს,<sup>1</sup>“ თვალწინ დაგიდგებათ ლერმონტოვი“... დამიჯერეთ, ნიკოლაი პალიჩი, რომ უკვე გავუკეთე უღვაშები ლერმონტოვის დედის სახეს და მენტეიკიც მოვარგე, მსგავსება „ვულფერტისეულ“ პორტრეტთან პირდაპირ განსაკვიფრებელია. ეს მსგავსება, ჩემი აზრით, შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პორტრეტზე გამოსახულია მისი ერთადერთი ვაჟი – მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი.

– დაუშვათ, – მეთანხმება პახომოვი.

– შემდეგ, – განვაგრძობ მე, – როგორც ჩანს, ვულფერტს ჰქონდა რაღაც საფუძველი, რომ ეს პორტრეტი ლერმონტოვის პორტრეტად ჩეთვალა. თვითონ რომ ეჭვი შეჰპარვოდა, ხომ არ შეინახავდა და არც ფოტოსურათს შესწირავდა მუზეუმს. დაბოლოს, ლერმონტოვი აქ გამოსახულია, როგორც ჩანს, გროდნოს ჰუსართა პოლკის ფორმაში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ვერცხლის ეპოლეტი პორტრეტზე. იმიტომ რომ, დანარჩენ პოლკებში, სადაც სამსახური მოუხდა ლერმონტოვს: ლეიბგვარდიის ჰუსართა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა და ტენგინის ქვეითთა პოლკებში, აღკაზმულობა ოქროსი იყო.

– დამთავრეთ? – შემეკითხა პახომოვი, – მაშინ ნება მომეცით შეგედავოთ. უპირველეს ყოვლისა, მე ვერ ვხედავ, რომ ეს ოფიცერი ჰგავდეს ლერმონტოვის დედას. მაპატიეთ, მაგრამ ეს არგუმენტი არადამაჯერებელია. თქვენ გეჩვენებათ, რომ ჰგავს, მე კი მეჩვენება, არა ჰგავს, შეიძლება სხვას მოეჩვენოს, რომ იგი გვათ თქვენ, ან მე.

<sup>1</sup> მენტეიკი – ჰუსართა ქურთუკი, ბეწვით შემოფოლებული, გრეხილებითა და მარყუქებით მორთული.

ვინ იცის, ვის რა მოეჩვენება! საჭიროა დამამტკიცებელი საბუთები.

„მგონი სწორია. ეს ხომ მართლაც არ არის დამამტკიცებელი საბუთი“, – გავიფიქრე.

– თქვენ იმოწმებთ ვულფერტის აზრს, – განაგრძობს პახომოვი, – მე კი ახლა გიჩვენებთ პორტრეტებს, რომელთა მფლობელნიც ლერმონტოვისეულად ასაღებენ მათ. აი, დატკბით!

მან გამომიწოდა ორი ფოტოსურათი. ერთზე მოჩანდა ვიწრომხრებიანი, დაბალშუბლიანი, გულგრილი კრეტინი, მეორეზე – ვილაც თვალდაჭყეტილი, დაჯაგრულუღვაშებიანი კაცი, რომელსაც თავი მხრებში ჩასძვრომოდა და ზიზლით ექაჩებოდა გრძელ ჩიბუხს. მართლაც შეურაცხმყოფელია იმის გაფიქრებაც კი, რომ ამ სურათებზე ლერმონტოვია გამოსახული. იძულებული ვხდები, დავთანხმდე: დიდი ამბავი, თუ ვულფერტი სთვლიდა...

– რაც შეეხება ფორმას, – განაგრძობს ულმოხელი ნიკოლაი პალიჩი, – ფოტოსურათით მისი განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ისიც მოიგონეთ, რომ გროდნოს პოლკის გარდა ვერცხლის ეპოლეტებს სხვა პოლკებშიც ატარებდნენ. პირადად მე ვერიდები რაიმე დასკვნის გაკეთებას ასეთი მერყევი მოსაზრებების საფუძველზე. ახლა კი, ძვირფასო, თქვით პირდაპირ... – ნიკოლაი პალიჩმა მეგობრულად გამიღიმა, – გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით, როგორი ლერმონტოვია ეს? აიღეთ მისი უტყუარი გამოსახულებანი! ნუთუ არის რაიმე მსგავსება მათსა და პორტრეტს შორის?

– რასაკვირველია, არის.

– აბა რაში? – უკვირს პახომოვს, – როგორ დამამტკიცებთ? გავჩუმდი, დამტკიცება არ შემეძლია.

## კამათის არსი

დამდულრულივით გამოვკარდი ქუჩაში.

ნუთუ შევცდი? ნუთუ ეს ლერმონტოვი არაა? შეუძლებელია! გამოდის, რომ ტყუილად მიწვალა. საშინელებაა. ძალზე მწყინს.

მე უკვე წარმოვიდგინე, რომ 1838 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში რამდენიმე დღით ჩამოდის ლერმონტოვი ზუსტად ისეთი, როგორიც ამ პორტრეტზეა. სამსახური ნოველოროდის ახლოს სამხედრო დასახლებებში, სადაც დაბინავებული იყო

გროდნოს პოლკი, დასასრულს უახლოვდება. ბებია სასახლის კარზე გავლენიანი პირების მეშვეობით ცდილობს საქმის მოგვარებას. დღე დღეზეა მოსალოდნელი მისი უკანვე გადაყვანა ცარსკოე სელოში, ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკში. ხოლო სანამ საშუალოდ გაიდრობდეს გროდნოს ჰუსართა მუნდირს, ლერმონტოვი ალბათ თანხმდება ბებიას თხოვნას, დაახატვინოს მხატვარს თავისი პორტრეტი. ფოტოსურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პორტრეტი ძალიან კარგია. როგორც ჩანს, ბებიას ცნობილი მხატვარი მოუწვევია შვილიშვილის პორტრეტის დასახატად.

აი, ლერმონტოვი რამდენიმე დღით დაბრუნდა ქალაქში, საიდანაც ერთი წლის წინათ პუშკინის სიკვდილის გამო დაწერილი ლექსისათვის გაამწესეს კავკასიის არმიაში. იგი დაეაჟაკცდა. კავკასიაში მოგზაურობამ, ახალ ადამიანებთან შეხვედრამ კაზაკთა სტანიცებში, ზღვისპირა ქალაქებში, მინერალურ წყლებთან, კავკასიის გზებზე ხეტიალმა მისი შთაბეჭდილებანი შეავსო, ახალი გაბეღული ჩანაფიქრები ჩააგონა. მან ღრმად და მკაფიოდ შეიცნო ამო პატივმოყვარეობა და ბიწიერება მაღალი საზოგადოებისა, სადაც არავითარი გასაქანი არა აქვს ნიჭსა და გრძნობებს, სადაც არ არის არავითარი ზნეობრივი მიზანი. მას არაერთხელ უფიქრია აღეწერა თავისი შთაბეჭდილებანი რომანში, აესახა თავისი დროის, თავისი თაობის გმირის, ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანის ტრაგიკული ბედი. განა არ შეგვიძლია, ეს აზრები ამოვიკითხოთ ლერმონტოვის თვალებში „ვულფერტისეულ“ პორტრეტზე?

ვუყურებ პორტრეტს და წარმოდგენილი მაქვს, როგორ ბრუნდებოდა შინ ლერმონტოვი განთიადისას სასახლის სანაპიროთი, მოყვითალო, მოწითალო, მონაცრისფრო მღუმარე სასახლეების გაყოლებით. ნავმისადგომებთან ტყლაშუნებენ ტალღები, ირხევა და ჭრიალებს მცურავი ხიდი საზაფხულო ბაღთან, თვლემს ალეპარდიანი<sup>1</sup> მეჯიხურე თავის ზოლებიან ჯიხურთან. მკაფიოდ გაისმის ლერმონტოვის ნაბიჯების ხმა ცარიელ სანაპიროზე და გეჩვენება, რომ ამ განთიადისას ბურუსში გადნა, გაუჩინარდა ქალაქი, რომ რალაც მოუსვენრობა იმალება მის ნესტიანსა და ცივ ალიონში.

თითქოს ცოცხლად ვხედავ ლერმონტოვს ისეთს, როგორიც ამ გამოხუნებულ ფოტოსურათზეა, ზის ფანტანკაზე, ვენეცკაიას

<sup>1</sup> ძველებური იარაღი, გრძელტარიანი ნახევარმთვარისებური ნაჯახი.

სახლში, ბებიას ოთახში სავარძლის საზურგეზე გადაწოლილი, მხრებზე მაზარა წამოუსხამს და ფანჯრიდან გასცქერის სანაპიროს ლამაზ მოაჯირს, მიხეილის ციხე-სიმაგრის პირქუში კედლების გარშემო შავ, ჯერ კიდევ გაძარცულ ხეებს. მეჩვენება ლერმონტოვის ახლოს დაბალი სავარძელიც ბალიშების გროვით, იქვე დაგდებული ხმალი და მრგვალ მაგიდაზე წიგნებისა და ქაღალდების დასტა... ფანჯრიდან სინათლე ეცემა ლერმონტოვის სახეს, თახვის ჭალარა საყელოს, ვერცხლის ეპოლეტს და სულ ახლოს ჩვენკენ ზურგით დგას მხატვარი ყავისფერ ფრაკში. მხატვრის წინ მოლბერტი, მოლბერტზე პორტრეტი; სწორედ ეს... არა, არ შემიძლია დავიჯერო, რომ ლერმონტოვი არაა! არასოდეს არ შავურიგდები ამ აზრს!

რატომ არ ემთხვევა ჩემი და პახომოვის აზრები ამ პორტრეტზე, ეტყობა იმიტომ, რომ სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენია თვით ლერმონტოვი. კაცმა რომ თქვას, ამაში საკვირველი არაფერია: თვით ლერმონტოვის ნაცნობებიც სხვადასხვა აზრისა იყვნენ მის შესახებ. ისინი, ვინც იბრძოდნენ და მოგზაურობდნენ მასთან ერთად, ჰყვებოდნენ, რომ ლერმონტოვი იყო ერთგული მეგობარი, ქალივით სათუთი და ჭაბუკურად ფიცხი თავის მეგობრებთან ურთიერთობაში. ბევრს კი იგი ყოყორ, თავხედ და ბოროტ ადამიანად მიაჩნდა. ისინი ვერ გრძნობდნენ დიდ პოეტს ოფიცრის მუნდირის ქვეშ და მას თავიანთი პატარა საზომით ზომავდნენ.

მაშ რატომ უნდა დავეთანხმო პახომოვს? განა მან კი წამოაყენა რაიმე უცილობელი საბუთები? განა მან დაამტკიცა, რომ პორტრეტზე სხვა ვიღაცაა გამოსახული? სრულიადაც არა! უბრალოდ, მან ძალიან ლოგიკურად უარყო ჩემი დასკვნები, დამანახვა მათი უსუსურობა. იგი სამართლიანად სთვლის, რომ მე ჯერ კიდევ არა მაქვს საფუძვლიანი მონაცემები, მივაწერო ეს გამოსახულება ლერმონტოვს, და რომ მქონდეს, მაშინ პახომოვი იძულებული იქნება, დამთანხმდეს. მაშასადამე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მოვძებნო პორტრეტი. უნდა გავარკვიო, ვინ არის ჩვენს შორის მართალი.

## გამოფენა ლიტერატურულ მუზეუმში

ერთხელ ტელეფონით დამირეკეს და ლიტერატურულ მუზეუმში მიმიწვიეს ლერმონტოვისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნაზე.

– ჩვენი დირექტორი ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩი ძალიან ვთხოვთ მობრძანდეთ. შეიკრიბებიან მწერლები, ამხანაგები კინოფაბრიკიდან, გაზეთების კორესპონდენტები.

შემდეგ დამირეკა პახომოვმა:

– კარგი იქნება, თუ ხვალ შემოვივლით. მიხეილ დიმიტრის ძე ბელიაევიან ერთად გამოფენისათვის ზოგი რამ საინტერესო გამოვძებნეთ: უცნობი ნახატები, ლერმონტოვის ავტოგრაფიანი წიგნი.

მე რომ მივედი, უკვე იშლებოდნენ. გასახდელში ბევრი ნაცნობი იყო. საფეხურებზე, დარბაზებში შესასვლელის წინ იდგა ბონჩ-ბრუევიჩი – ზოგს ემშვიდობებოდა, ზოგს ესალმებოდა, მადლობას უხდოდა, ახსენებდა, ჰპირდებოდა, სთხოვდა შემოვლას.

– კარგი ჰქენი, რომ მოხვედი! – დაიბუხუნა მან და ხელი გამომიწოდა, – თქვენ აუცილებლად ყველაფერი უნდა გიჩვენოთ.

– შეგაგვიანდა, შეგაგვიანდა! – კეთილი ღიმილით მომესალმა პახომოვი და დარბაზებისაკენ გამიძღვა.

რამდენიმე დაგვიანებული სტუმარი ათვალიერებდა პორტრეტებს, სურათებს, სკულპტურებს.

– ესენი შემდეგ, უმჯობესია აქედან დავიწყოთ, – ჩაილაპარაკა პახომოვმა და მაშინვე მეორე დარბაზში წამიყვანა.

– აქ საკმაოდ საინტერესო რაღაცეებია, – ამბობდა იგი, – აი, გაუს საინტერესო აკვარელი – მონგო სტოლიპინის პორტრეტი. ტრეტიაკოვის ფონდებში აღმოჩნდა.

ერთი სურათიდან მეორესთან გადავდიოდი. ჩვენს მახლობლად შეჩერდნენ ბონჩ-ბრუევიჩი და მიხეილ დიმიტრის ძე ბელიაევი.

– როგორ მოგწონთ? – შემეკითხა ბონჩ-ბრუევიჩი.

– შესანიშნავი გამოფენაა! – მივუგე, ზემოთ ავიხედე და გაქვავებულმა ღრმად ამოვისუნთქე: ა-ა!

ჩემს წინ „ვულფერტისეული“ პორტრეტი ეკიდა უბრალო ოვალურ ჩარჩოში. ნამდვილი, ზეთის საღებავებით დახატული. ისევე, როგორც ფოტოსურათზე, ოფიცრის მაზარის თახვის საყელოს ქვეშიდან ვერცხლის ეპოლეტი მოჩანდა. ლერმონტოვი ჩაფიქრებული და სევდიანი იცქირებოდა.

– გული ხომ არ მივლით? – წამოიძახა სიცილისაგან თვალებმოჭუტულმა პახომოვმა და ორთავე ხელი გამომიწოდა, თითქოს მართლა ვვარდებოდი.

ვდგავარ ჩუმად, ვგრძნობ, როგორ ვწითლდები და მღელვარებით ვათვალიერებ პორტრეტს, რომელზეც ასე დიდხანს, ასე დაუჩინებთ ვოცნებობდი. დავიბენი. თითქოს ბედნიერი ვარ, მაგრამ თან ბრაზი მომდის ჩემს თავზე. რაღა საჭირო იყო მთელი ჩემი შრომა, მოლოდინი, მღელვარება? ვის რა სარგებლობა მოეუტანე? ყველაფერი წყალში ჩაიყარა!

– რა, ბატონო ჩემო, არაფერს იტყვით? – მეკითხება ბელიაევი.

– სიხარულმა დაამუნჯა, – ღიმილით პასუხობს პახომოვი.

– დაანებეთ თავი, მიეცით საშუალება კარგად დაათვალიეროს! – მოითხოვს ბონჩ-ბრუევიჩი, – რაც არ უნდა იყოს, პორტრეტის მიზეზი ხომ ეგაა.

– რატომ მე? – გამოვცოცხლდი.

– ამაზე შემდეგ! – ჩაიქნია ხელი პახომოვმა, – მერე გიამბობთ, როგორ ვიყიდეთ, ახლა კი გვითხარით, როგორ მოგწონთ პორტრეტი?

– ჩემი აზრით, ჩინებულა.

– პორტრეტს არა უშავს, – მეთანხმება პახომოვი, – მაგრამ ეს ხომ ლერმონტოვი არაა, ახლა უკვე საბოლოოდ ცხადია.

– როგორ, ლერმონტოვი არ არის? მაშ ვინაა?

– უბრალოდ, ვიღაც ოფიცერია.

– საიდან, რატომ გადაწყვიტეთ?

– მუნდირის მიხედვით.

– როგორ თუ მუნდირის მიხედვით?

– გამოდის, რომ საინჟინრო ჯარების ოფიცერი ყოფილა! შეხედეთ, ჩემო ძვირფასო; სერთუკის საყელოზე წითელი არშია აქვს შემოყოვლებული! წითელი არშიები და ვერცხლის ალკაზმულობა კი იმ დროს საინჟინრო ჯარებში ჰქონდათ. აქ უკვე ვერაფერს გახედებით.

– მაშასადამე?..

– მაშასადამე, ცხადია, ლერმონტოვი არაა.

– მაშ აქ რატომ დაჰკიდეთ?

– თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ გენახათ, მოგვესმინა თქვენი



აზრი. მართალია, ლერმონტოვი არ არის, მაგრამ ეკიდოს თავისთვის, ხელს არავის უშლის.

– ჩემის აზრით, ნიკოლაი პალიჩი, მაინც არ არის ბოლომდე ყველაფერი ნათელი.

– პახომოვი თავს აქნევს:

– მოეშვით!

### სლოვეების ოჯახი

აღმოჩნდა, რომ პორტრეტი ლიტერატურულ მუზეუმში მოხვედრილა გამოფენის გახსნამდე სულ რამდენიმე დღით ადრე.

მუზეუმში მოსულა ვიღაც მოხუცი ქალი, მოუტანია ოთხი ძველებური გრავიურა და დაგრაგნილი ტილო. შეუთავაზებია მათი შესყიდვა. გაუშლია ტილო და უჩვენებია ახალგაზრდა სამხედრო პირის პორტრეტი, რომელიც ას ორმოცდაათ მანეთად შეუფასებია.

შემსყიდველმა კომისიამ შეიძინა გრავიურები, ხოლო უცნობი ოფიცრის პორტრეტზე უარი თქვა. პასუხისათვის რომ შემოიარა, დედაბერს პორტრეტი დაუბრუნეს.

არ გამოგვადგებაო, – უთქვამთ.

დედაბერს გაუშლია მაგიდაზე გაზეთი და უკვე აპირებდა ტილოს დახვევას, რომ სწორედ ამ დროს ოთახში შემოსულა ბელიაევი მიხეილ დიმიტრის ძე, დაუნახავს დედაბრის ხელში პორტრეტი და განუცხადებია, რომ ეს სწორედ ის პორტრეტია, რომელსაც ანდრონიკაშვილი ეძებს და, რომლის ფოტოსურათიც მან ლიტერატურულ მუზეუმში მოიტანაო. სიზუსტისათვის შეუნიშნავს, რომ ანდრონიკაშვილს ეს პორტრეტი ლერმონტოვისად მიაჩნია, თუმცა ნიკოლაი პალიჩი პახომოვი სულ სხვა აზრისააო. მერე შემოსულა ნიკოლაი პალიჩი და მოუთხოვია პორტრეტის შეძენა. ვლადიმერ დიმიტრის ძემ ნება დართო შეესყიდათ ეს პორტრეტი და იგი შეტანილ იქნა მუზეუმის აღწერილობაში 139 31 ნომრით.

მუზეუმში ვიკითხე:

– ვინ იყო ის დედაბერი?

– სლოვეა ელისაბედ ხარიტონის ასული.

– სად ცხოვრობს?

– აქვე, მოსკოვში, ტიხვინის შესახვევი, თერთმეტი.

წაკედი ამ მისამართით.

– შეიძლება ელისაბედ ხარიტონის ასულ სლოევას ნახვა?  
– მე გახლავართ.  
– თქვენ მიჰყიდეთ ამ დღეებში ლიტერატურულ მუზეუმს პორტრეტი?

– დიახ.  
– საიდან გქონდათ?  
– უფროსმა ვაჟმა მომცა.  
– სად არის თქვენი უფროსი ვაჟი?  
– გვერდით ოთახში ჰირს იპარსავს.  
– მაპატიეთ, ამხანაგო სლოევ, სად იშოვეთ პორტრეტი?  
– უმცროსმა ძმამ მოიტანა. ახლავე შემოვა... კოლია, უამბე ამხანაგს, სად იშოვე პორტრეტი.

და, აი, კოლიამ, რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტმა, მიაბო ჩემი მრავალწლიანი ისტორიის დასასრული.

– ჩვენს ეზოში შეშის ფარდულს ანგრევდნენ, გამოავდეს დამტვრეული კარადა და პორტრეტი. ეზოში მივდიოდი, დავინახე პატარა ბავშვები პორტრეტს თოკს აბამენ, გაწუწული კატა უნდა ათრიონ. ვეუბნები: „არა გრცხვენიათ, ბიჭებო, პორტრეტს რომ აფუჭებთ, გინდათ, რომ თქვან, შეუენებლები არიანო?“ წავართვი მათ პორტრეტი და კიბესთან რაფაზე დავდე. უფროსმა ძმამ გამოიარა და მითხრა: აქ ორთქლის გათბობისაგან გაფუჭდება ტილოც და საღებავებიცო. სახლში შევიტანე პორტრეტი, ძმამ შეაკეთა, საცა გახეული იყო, რესტავრაცია გაუკეთა საკუთარი ძალებით, როგორც შეეძლო, ზეთით გაწმინდა და დაკიდა. მერე დეიამ თქვა: ეს რაღაც კარგი პორტრეტია, მუზეუმში წავიღებ და შევთავაზებო.

– კი მაგრამ, ვისი იყო კარადა შეშის ფარდულში? – შევეკითხე.

– მხატვარ ვორონოვის.  
– სად არის ეს ვორონოვი?  
– ორი წლის წინათ გარდაიცვალა. მისი ნივთები კი – პორტრეტი და კარადა ფარდულში მოათავსეს.

დასრულდა პორტრეტის ისტორია. ბოლოს და ბოლო გავიგე, რომ მთელი ეს წლები პორტრეტი ტიხვინის ქუჩაზე მხატვარ ვორონოვის კარადის უკან გდებულა.

## პასუხი ტრეტიაკოვის გალერეიდან

გამოვიდა პახომოვის წიგნი. „ვულფერტისეული“ პორტრეტი დაიბეჭდა საეჭვოების განყოფილებაში. „პორტრეტზე გამოსახული ოფიცერი ცოტათი თუ გვაგონებს ლერმონტოვს, – წავიკითხე 69-ე გვერდზე, – ამ პორტრეტზე მხოლოდ შუბლსა და ცხვირს აქვს შორეული მსგავსება ლერმონტოვთან“.

წავიკითხე ამ ადგილამდე და ჩაფიქრდი.

ადრე მეჩვენებოდა, რომ მთავარი პორტრეტის მოძებნა იყო. ახლა იგი მუხეუმშია, მთავარი კი ჯერ არაა გადაწყვეტილი და ალბათ არც გადაწყდება. თუმცა მე ძველებურად მწამს, რომ ეს ლერმონტოვია, მაგრამ ამის დამტკიცებას, როგორც ჩანს, ვერ შევძლებ. წლობით, ათეული წლობით იდება პორტრეტი ბნელ კარადაში და ლერმონტოვის ათასობით მგზნებარე, შთაგონებული მკითხველი ვერასოდეს ვერ იხილავს ამ არაჩვეულებრივ სახეს. დიდი პოეტი ძველებურად იქნება მიმალული სამხედრო მუნდირის ქვეშ. ამ მუნდირს ხომ ვერ გახდი.

ვერ გახდი? რა იქნება, რომ ვცადო მაინც? ტატიანა ალექსადრეს ასული ვულფერტი ამბობდა, მუნდირის ქვეშ რაღაც მოჩანსო, თუკი პორტრეტი რესტავრირებული იყო, ვინ იცის... შეიძლება, სერთუკის ზემოდან მეორე სერთუკია დახატული სხვა არშიებით.

მივედი ლიტერატურული მუხეუმის ხატწერილობის განყოფილებაში და მივმართე თანამშრომლებს:

– შეიძლება ვნახო ლერმონტოვის ვულფერტისეული პორტრეტი, რომელიც გამოფენაზე ეკიდა?

– რომელი?

– ვულფერტისეული, ვულფერტებს რომ ეკუთვნოდათ ადრე.

– არა გვაქვს ასეთი პორტრეტი.

– აი, სლოევასაგან რომ იყიდეთ.

– პირველად გვესმის.

უცბად ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა ქაღმა წამოიძახა:

– ალბათ ანდრონიკაშვილისეულზე თუ ამბობს, ყალბზე!

გავწითლდი კიდევ.

მომცეს პორტრეტი. ისევ გამოაცა სახის ნათელმა, კეთილშობილურმა, ჭკვიანურმა გამომეტყველებამ.

მივიტანე ფანჯარასთან. მაზარის ვერცხლის დილისა და საყელოს ქვეშ ერთ ადგილას მართლაც მოჩანდა რაღაც.

ვითხოვე გამადიდებელი შუშა. ვუყურებ, ვუყურებ, მართლაც ასეა, მწვანე ფარაჯის ქვეშ, საღებავების ბზარებში, რაღაც მოჩანს, თითქოს ფარაჯა და სერთუკი მეორე მუნდირზე ყოფილიყოს დახატული.

„ხომ შეიძლება ეს მუნდირი შეესაბამებოდეს ნიჟეგოროდის, ტენგინის ან გროდნოს პოლკების ფორმას, რომლებშიაც ლერმონტოვი მსახურობდა“, – ვფიქრობ მე.

ამის გამორკვევა მხოლოდ რენტგენის სხივების დახმარებით შეიძლება. მხატვარმა კორინმა ამასწინათ მოსკოვში ამ სხივების შემწეობით აღმოაჩინა ცნობილი ფორნარტინა. რენტგენმა აჩვენა, რომ მისი ფიგურა მოგვიანებით დახატული ტანსაცმლით იყო დაფარული. კორინმა სურათის საღებავებს ზედა ფენა მოაცილა და რაფაელის მოწაფის ჯულიო რომანოს ქმნილება აღმოაჩინა.

– შეიძლება პორტრეტის გაშუქება რენტგენის სხივებით? – ვიკითხე მე.

– რატომაც არა! შეიძლება! გავავზავნოთ ტრეტიაკოვის გალერეაში და იქ გააშუქებენ.

პორტრეტი ტრეტიაკოვში გავვზავნეთ. ყოველდღე მივდიოდი მუზეუმში, პასუხს ველოდებოდი.

როგორც იქნა, პორტრეტი დაბრუნდა და თან მოჰყვა ქალაღი, რომლის შინაარსი ასეთი იყო:

„მუნდირის ქვეშ არაფერი აღმოჩნდა“. ხელს აწერდა პროფესორი ტოროპოვი.

### ლაბორატორია ფრუნზეს ქუჩაზე

გავიგე, რომ რენტგენის სხივების გარდა იყენებენ ულტრაიისფერ სხივებსაც, რომლებიც საგანზე დაცემისას იწვევენ მის ნათებას. ამ მოვლენას ეწოდება მეორადი გამოშუქება, ანუ ლიუმინესცენცია.

დავუშვათ, რომ ღოკუმენტზე ამოტვიფრულია წარწერა, რომლის გარკვევა არ ხერხდება ჩვეულებრივ სინათლეზე, არ შეიმჩნევა ფოტოსურათზე და არ შეიძლება რენტგენით მისი აღმოჩენა. ულტრაიისფერი სხივების საშუალებით მას უსათუოდ წაიკითხავენ.

ამ სხივებს შეუძლიათ აღმოაჩინონ სისხლის გადარეცხილი ლაქები, დაადგინონ ნათის არსებობა მთის ქანის ნატეხში, ისინი ერკვევიან ძვირფას ქვებში, ხე-ტყის ხარისხში, საცხები ზეთების, საღებავებისა

და მელნის შემადგენლობაში. მაშინვე შეამჩნევენ, თუ წერილის წერა იმავე ფერის მელნიანი, მაგრამ სხვა სამელნეში ამოვლებული კალმით დაამთავრეთ, საკონსერვო ქარხნების ლაბორატორიებში ულტრაიისფერი სხივების მეშვეობით ახარისხებენ ასეულ ტონობით თევზს. გამოშუქებით ადვილად შეიძლება ძველი თევზის გარჩევა ახლისაგან.

თუ ლერმონტოვის პორტრეტზე მუნდირი მოგვიანებითაა დახატული, მაშინ ახალ საღებავებს გამოიყენებდნენ და ულტრაიისფერი სხივების ქვეშ ისინი უფრო სხვაგვარად განათდებიან, ვიდრე ძველი საღებავები.

ულტრაიისფერი სხივების გამოყენების აზრი ჩამინერგა ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ტატიანა ალექსის ასულმა ტურგენევამ, ი. ს. ტურგენევის ძმისწულის შვილმა.

მუზეუმში შევიარე და ტატიანა ალექსის ასული მეკითხება:

– არ გიფიქრიათ, თქვენი პორტრეტი კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მიგეტანათ? ეს ლაბორატორია მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტს ეკუთვნის და ჩვენს გვერდითაა, ფრუნზეს ქუჩაზე № 10. საერთოდ, იქ დანაშაულებრივ მასალებს იკვლევენ. მაგრამ აი, ამას წინათ მათ მივუტანე ერთი წაშლილწარწერიანი წიგნი, ფიქრობენ, ეს წარწერა ლომონოსოვისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერავენ ვერ შეძლო გარკვევა, რა ეწერა ზედ, ვერც რენტგენმა გვიშველა, იმ ლაბორატორიაში კი წარწერა გადაიღეს ულტრაიისფერი სხივებით და წაიკითხეს. გამოირკვა, რომ ლომონოსოვს არ ეკუთვნოდა. მე ვესწრებოდი გაშუქებას და დავრწმუნდი, ულტრაიისფერი სხივები მართლაც სასწაულია! ისე ჩანს ყველაფერი, როგორც ხელის გულზე...

იმავე დღეს ტატიანა ალექსის ასულთან ერთად პორტრეტით ხელში გავემართე ფრუნზეს ქუჩისაკენ.

როცა სამართლის ინსტიტუტში ლაბორატორიის თანამშრომლების წინ პორტრეტი გავმალეთ და ავუხსენით, რაშიაც იყო საქმე, ყველანი გამოცოცხლდნენ, გვაცრიდნენ შეკითხვებს და ყურადღებით აცქერდებოდნენ ლერმონტოვის სურათს. ეს გასაგებიცაა: თითოეულს უნდოდა სცოდნოდა, როგორი იყო ლერმონტოვი ცხოვრებაში, დაემატებინა ახალი ნაკვთი მისი სახისათვის. ამიტომ ყველა მათგანი ხალისით, სულითა და გულით გთავაზობდა დახმარებას, როცა ლერმონტოვის ახალ პორტრეტზე იყო ლაპარაკი.

შეგვიყვანეს ერთ ოთახში, პორტრეტი დადეს პატარა მაგიდაზე, რომელსაც ზემოდან დამაგრებული ჰქონდა კვარცის ნათურის მსგავსი ნათურა, ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში რომ აქვთ ხოლმე. ოღონდ მის მუქ ფილტრებში მხოლოდ ულტრაიისფერი სხივები გადის.

ჩამოუშვეს სქელი ფარდები და ჩართეს ჩამრაზი. პორტრეტი განათდა, თითქოს ლილისფერ ბურუსში ჩაიძირა. საღებავები და ჩრდილები გაქრნენ და ვხედავ ხელოვნების ნაწარმოების ნაცვლად ჩემს წინ დევს უხეშად დადღაბნილი ტილო. თვალში მეცა გრუნტის ხორკლიანობა და ნაკლი. გამოჩნდა ადრე შეუმჩნეველი ბზარები, ნაკაწრები, ლურსმნის ნაკვალევი, სლოევის ამოკერილი ღია ჭრილობა.

– ეს რენტგენი კი არაა, – ჩურჩულით შენიშნა ტატიანა ალექსის ასულმა.

– ვხედავ, – ვუპასუხე.

– ზოლებს ხედავთ ფარაჯის ქვეშ?

– ვხედავ.

– სერთუკის ქვეშ მართლაც მოჩანს რაღაც, – ხმადაბლა ამბობს ტატიანა ალექსის ასული.

– ჩემის აზრით, არა.

– ბრმა ხომ არა ხართ? ნუთუ ვერა ხედავთ? საყველოს ოდნავ ქვევით გარკვევით მოჩანს.

– არა, არ მოჩანს.

– რასა ბრძანებთ! – ბრაზდება ტატიანა ალექსის ასული, – ნუთუ არ გეჩვენებთ, რომ იქ სხვა მუნდირია დახატული?

– სამწუხაროდ, არ მეჩვენება.

– უკვე აღარც მე მეჩვენება! – ამოოხვრით დამეთანხმა ტატიანა ალექსის ასული.

ლაბორატორიის თანამშრომლები ათვალეიერებენ ტილოს ყოველ სანტიმეტრს, ატრიალებენ პორტრეტს, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს.

– სამწუხაროა, მაგრამ ტილოზე არსებითი ცვლილებების, ან თვალისათვის შეუმჩნეველი რაიმე წარწერების დანახვა ასე არ ხერხდება. არც მუნდირია იქ, მოჩანს მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო შესწორებანი, – ამბობენ თანამშრომლები.

– არაფერიც არ არის იქ. – ეთანხმება მათ ტატიანა ალექსის ასული და სიამაყით უმატებს, – ხომ გაფრთხილებდით, ყველაფერი

ხელისგულივით გამოჩნდება-მეთქი! ნამდვილად შესანიშნავი სხივებია!

კრიმინალისტები კი იცინიან:

– არის კიდევ ინფრაწითელი...

### მხატვრის თვალი

ინფრაწითელი სხივების საშუალებით კონვერტის გაუხსნელად შეიძლება ფანქრით დაწერილი ბარათის წაკითხვა, ვინაიდან ამ სხივებისათვის ქალაქი ნახევრადგამჭვირვალეა, ფანქრით ნაწერში კი სხივები არ გადის. სისხლით ან მელნით დათხუზნული დოკუმენტი ინფრაწითელი სხივების სინათლეზე სრულიად თავისუფლად იკითხება, რადგან ეს სხივები სისხლსა და მელანში გადიან და სასტამბო საღებავს ზვდებიან. ამის გამო ყველაზე მოხერხებულ ხრიკებს – სიყალბეს, ამოფხეკას, გადასწორებას საქმიან ქალაქლებზე, ობლიგაციებზე, ფულის უწყისებზე, ინფრაწითელი სხივები თავისუფლად ხედავენ.

თუ იმ საღებავების შემადგენლობაში, რომლებითაც შესრულებულია პორტრეტი, აღმოჩნდება ინფრაწითელი სხივებისათვის გაუმჭვირვალე საღებავები, მაშინ მუნდირის საიდუმლოებაც გაიხსნება.

პორტრეტი გადაიღეს ინფრაწითელ სხივებში წინა და უკანა მხრიდან, მაგრამ ამ ხერხითაც ვერაფერი უჩინარი ვერ დაინახეს.

– არ გამართლდა ჩემი იმედები, ამავე დროს, მეჩვენება, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი საშუალება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ლერმონტოვის პორტრეტია, ამ მუნდირის ქვეშ, სხვა მუნდირი უნდა აღმოვაჩინო.

„ეჰ, – ვფიქრობ, – სხივები სხივებად, ეს კი ხელოვნებაა. აქ ცოცხალი კაცია საჭირო. კორინს ვთხოვ რჩევას, შესანიშნავი ნიჭის, ფაქიზი გემოვნების მხატვარია, მახვილი თვალი აქვს, დამეხმარება!“

დავურეკე და ვთხოვე ლიტერატურულ მუზეუმში შემოველო.

შევხვდით. მივიყვანე პორტრეტთან.

– აი, – ვეუბნები, – პაველ დმიტრიევიჩი, მინდა მოვისმინო თქვენი მოსაზრება: შეიძლება თუ არა ამ მუნდირის ქვეშ აღმოჩნდეს მეორე მუნდირი? არც რენტგენმა, არც ულტრაიისფერმა და არც ინფრაწითელმა სხივებმა არაფერი არ გვიჩვენა.

– რა გინდათ გაიგოთ? – წყნარად და ღიწმინდად მეკითხება კორინი.

– მინდა დავადგინო, ვინაა გამოსასხული პორტრეტზე.

– მე მგონი საკმაოდ ნათელია – ლერმონტოვი უნდა იყოს!

– საიდან მიხვდით?

– სახით ჰგავს! თქვენი აზრით, ვინაა?

– ჩემი აზრითაც ლერმონტოვია.

– აბა რა გიშლით ხელს?

– ის, რომ დამამტკიცებელი საბუთები არა მაქვს.

– როგორ თუ არა გაქვთ? მთავარი დამამტკიცებელი საბუთი მსგავსებაა!

– მაგრამ მსგავსება ხომ საბუთი არაა!

– თქვენს ნაცნობებს საბუთებს ხომ არა სთხოვთ, სანამ მიესალმებოდეთ, ისედაც სცნობთ, – იღიმება კორინი.

– მართალია, მაგრამ დამეთანხმეთ, პაველ დმიტრიევიჩი, მსგავსებაზე შეიძლება შეგვეკამათონ. არიან ადამიანები, რომლებიც არ გვეთანხმებიან, ისინი ფიქრობენ, რომ ლერმონტოვს არა ჰგავს.

– როგორ თუ არა ჰგავს? – უკვირს კორინს, – მოყვანილობა, პროპორციები, სახის ნაკვთები სულ ლერმონტოვისაა. დახატულია ოცდაათიან წლებში, ნატურიდან, კარგი მანერით, ოსტატი ნამდვილად მცოდნე ყოფილა თავისი საქმის. მაინცადამაინც რატომ გაინტერესებთ, არის თუ არა მეორე მუნდირი?

– ეს მუნდირი არ გვაწყობს.

– აჰ, აი, რაში ყოფილა საქმე! გასაგებია, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ფუნჯი არ ეტყობა, – ამბობს შეწუხებული კორინი. – ქვემოდან აქა-იქ მოჩანს მცირე ავტორისეული შესწორებანი. ესაა სულ. პორტრეტის გაწმენდა არაა საჭირო, ამით მხოლოდ გაგაფუჭებთ.

– მაშ რას მირჩევთ?

– სხვა საშუალება გამონახეთ თქვენი აზრის დასამტკიცებლად. მე მგონია, ასეთი საშუალება არსებობს. უნდა გამოხვიდეთ საერთო მსგავსებიდან. პირადად ჩემთვის აქ საეჭვო არაფერია.



## მეორე სპეციალობა

იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ლენინგრადში ვცხოვრობდი და პუშკინის სახლში ვმსახურობდი, დავუშეგობრდი პავლე პავლეს ძე შჩეგოლევს. სამწუხაროდ, ის უკვე აღარაა ცოცხალი, ოცდათექვსმეტ წელს გარდაიცვალა.

ეს იყო ახალგაზრდა პროფესორი, ძალიან ნიჭიერი ისტორიკოსი, ფრიად განათლებული და გონებაბამხვილი ადამიანი.

მასთან გავიცანი მისი მეგობარი, ცნობილი იურისტი, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი იაკობ ივანეს ძე დავიდოვიჩი, შრომითი კანონმდებლობის დიდი მცოდნე.

შჩეგოლევის კაბინეტში არა ერთხელ ვყოფილვარ ამ ორი მეგობრის საოცარი გართობის მოწმე. იაკობ ივანეს ძე ჯერ კიდევ პარმალზეა, ოთახში არ შემოსულა, გათოშილ ხელებს იფშენეტს, პალ პალიჩი კი უკვე პირველ შეკითხვას ახლევს:

– ხომ ვერ მეტყვით, ძვირფასო იაკობ ივანეჩ, რა ფერის არშია ჰქონდათ მისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის კირასირთა პოლკში კოლეტის ყოშებზე?

– უკაცრავად, პალ პალიჩ, მაგრამ ეს ბავშვური შეკითხვაა, – იცინის ოთახში შემოსული იაკობ ივანეს ძე და თავს გვიკრავს. – კირასირთა პოლკში რომ ღია ნაცრისფერი არშიები ჰქონდათ, ეს ყველამ იცის. თქვენ კი, ძვირფასო პალ პალიჩ, მითხარით მენტეიკის ფერი პავლოგრადის ჰუსართა პოლკისა, რომელშიაც ნიკოლაი როსტოვი მსახურობდა.

– მწვანე, – პასუხობს პალ პალიჩი, – რა ფერისა იყო ლეიბ-გვარდიის ფინეთის პოლკის სულტანები?

– შავი!

– მიპასუხეთ, ძვირფასო იაკობ ივანეჩ, რომელ წელს ჩამოყალიბდა ლეიბ-გვარდიის ლიტვის პოლკი?

– თუ მეხსიერება არ მღალატობს, ათას რვაას თერთმეტში.

– რომელ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა?

– ბოროდინოს, ბაუცენის, დრეზდენის, კულმის, ლაიპციგის. მე ვასახელებ მხოლოდ იმ ბრძოლებს, რომლებშიაც მან თავი გამოიჩინა. ჰოდა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს პოლკი პირველთა შორის შევიდა პარიზში.

– იაკობ ივანეჩ, ეს თქვენს გარდა არავის ახსოვს! თქვენ

ბუმბერაზი ხართ! თქვენ არაჩვეულებრივი ადამიანი ბრძანდებით! – აღტაცებაში მოდიოდა პალ პალიჩი.

სიმართლე უნდა ითქვას, ეს აღტაცება ჩემთვის მიუწვდომელი იყო. მე არაფერი მესმოდა არც არშიების, არც ტაშკების,<sup>1</sup> არც ვალტრაპების.<sup>2</sup> სათანადოდ ვერ ვერკეოდი სამხედრო ისტორიის სპეციალურ საკითხებში. ვიღლებოდი ამ თამაშის თვალყურის დევნებით. ნელ-ნელა ვიწყებდი მთქნარებას და ვემშვიდობებოდი მათ. ახლა, პორტრეტზე ფიქრის დროს, ხშირად ვიგონებდი იაკობ ივანეს ძეს.

„თუ კორინი მართალია:

1. მეორე მუნდირის ძებნას თავი უნდა დავანებო (ამაში კი კორინი ნამდვილად მართალია).

2. თუ ვიფიქრებთ, რომ ეს მაინც ლერმონტოვია, მაშინ ისლა რჩება:

3. შევისწავლო მუნდირი, რომელშიაც ლერმონტოვია გამოსახული ამ პორტრეტზე“, – ვმსჯელობდი მე.

ამ საკითხებში მარტო ვერაფრით ვერ გავერკეოდი და სპეციალურად გავემგზავრე ლენინგრადს დავილოვიჩის სანახავად.

ტელეფონით ავუხსენი, რაც მინდოდა, მივედი მასთან სახლში და ზღურბლიდანვე ვეკითხები:

– იაკობ ივანიჩ, რომელი პოლკის ფორმაში უნდა იყოს გამოწყობილი ოფიცერი მეცხრამეტე საუკუნეში, თუ საყელოზე წითელი არშიები აქვს?

– გეთაყვათ... რას ნიშნავს წითელი? – აღმფოთდა იაკობ ივანეს ძე. – რუსული მუნდირისათვის დამახასიათებელია ფერების არაჩვეულებრივი ნაირსახეობა. გთხოვთ ამიხსნათ, რომელ წითელ ფერზეა ლაპარაკი?

– ამაზე! – და მე გავუწოდე ქალაღლის ნაგლეჯი, რომელზედაც გადაღებული მქონდა არშიის ფერი.

– ეს არ არის და არც არასოდეს ყოფილა წითელი! – ამბობს იაკობ ივანეს ძე. – ეს ნამდვილი შინდისფერია, რომელიც, რამდენადაც მე მახსოვს, იყო ლეიბ-გვარდიის მსროლელთა ბატალიონებში, ულანთა მეჩვიდმეტე ნოვომირგოროლის, დრაგუნთა ტვერის მეთექვსმეტე და ლეიბ-გვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკებში. ახლავე შევამოწმებ...

<sup>1</sup> აბგა, რომელიც ჰუსარებს უკან ჰქონდათ ჩამოკიდებული გრძელი ღვედებით.

<sup>2</sup> ცხენების გადასაფარებელი სქელი მაული.

იგი ალებს კარადას, ფურცლავს მუნდირების ცხრილებს, პოლკების ისტორიებს, ფერად გრაფიურებს...

– ჯერჯერობით ყველაფერი სწორია, – ამბობს იგი, – განვაგრძოთ შემდეგ.

ამ მუნდირზე კავალერისტის ეპოლეტი აკერია, მაშინ მსროლელთა ბატალიონები გამორიცხულია. რჩება დრაგუნები, ულანები და გროდნოს ჰუსართა პოლკი. ტვერის და ნოვომირგოროდის პოლკებიც უნდა გამოვრიცხოთ, ვინაიდან ამ პოლკებში ღილები და ეპოლეტები „ბრძანებისამებრ ოქროსფერი უნდა ჰქონოდათ“. თქვენს პორტრეტზე კი ვერცხლისფერია, მაშასადამე, ეს გროდნოს პოლკისა უნდა იყოს, მაგრამ როგორ გამოიყურება თვით პორტრეტი?

ვაჩვენე ფოტოსურათი.

– რა ბავშვი ხართ! – წამოიძახა იაკობ ივანეს ძემ, – ეს ხომ ოცდაათიანი წლების კავალერისტის სერთუკია. ამ დროისათვის გროდნოს პოლკში ცვლილებები მოხდა და დოლომანებს<sup>1</sup> ნაცრისფერი არმიები მიაკუთვნეს, მაგრამ მუქი მწვანე ფერის სერთუკები შენარჩუნებულ იქნა 1845 წლამდე. ხოლო შინდისფერი არმიები 1838 წლამდე შემორჩათ. თქვენ ამაში დარწმუნდებით, თუ ნიკოლოზ პირველისათვის საგანგებოდ გაფერადებული ნახატების ეგზემპლარს გადახედავთ, მაშ ასე, – ასკვნის იაკობ ივანეს ძე და წიგნებს რიგ-რიგად აწყობს, – ყველაფერი გროდნოს პოლკის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

– იაკობ ივანიჩ! – წამოვიძახე. – თქვენ არც კი იცით, როგორი მნიშვნელობის ცნობა მომეცით! თქვენი თქმით გამოდის, რომ ეს ლერმონტოვია.

– მაპატიეთ, – მაჩერებს იაკობ ივანეს ძე, – მე მაგას არ ვამბობ! ჯერჯერობით დამტკიცებულია, რომ ეს ოფიცერი გროდნოს ჰუსართა პოლკს ეკუთვნის და მეტი არაფერი. ხოლო ლერმონტოვია იგი, თუ არაა ლერმონტოვი, ეს მე არ მეხება.

### პიროვნების გამოცნობის მეთოდი

გროდნოს ჰუსარი! ადამიანთა წრე, რომელთა შორისაც ცხოვრობდა ეს ოფიცერი, ახლა ოცდაათ-ორმოც კაცამდე შევიწროვდა. ოცდაათიანი წლებში გროდნოს პოლკში მეტი ოფიცერი არ ირიცხებოდა.

<sup>1</sup> ჰუსართა მუნდირი, რომელზედაც იცვამენ მენტიკს.

თითქოს უკვე ახლოსაა დასასრული და მით უფრო გაუგებარია ჩემთვის, როგორ მოვიქცე ამას იქით.

დავბრუნდი მოსკოვში, ისევ ვიმტვრევ თავს, ისევ ვზივარ და დავყურებ ფოტოსურათს, თითქოს ველოდები, რომ იგი აღაპარაკდება. ურიგო არ იქნება, თუ ეს პორტრეტი თვითონ იტყვის, ვინ არის ზედ დახატული.

საინტერესოა, როგორ იქცევიან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი არ ლაპარაკობს? როცა მას არ შეუძლია, ანდა არ სურს, დაასახელოს გვარი? ცხადია, ასეთები სხვებმა უნდა გამოიცნონ.

თუ მას არავინ არ იცნობს, ანდა არ სურს თქმა? მაშინ ალბათ ფოტოსურათით გამოიცნობენ.

თუ ფოტოსურათი არ არის? შეიძლება თუ არა ამ მიზნით გამოყენებულ იქნას ფერწერული პორტრეტი?

ისევ კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მივდივარ.

– ო, გამარჯობათ! ისევ ჩვენთან?

– დიახ, მაინტერესებს, როგორ გამოიცნობენ პიროვნებას ძებნის დროს, თუ არ არსებობს მისი ფოტოსურათი.

– ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მოძღვრება ზეპირ პორტრეტზე.

– რა არის ზეპირი პორტრეტი?

– ახლავე ავიხსნით.

კრიმინალისტური მეცნიერება უარყოფს პიროვნების გამოცნობის დროს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად: მსუქანი, გამხდარი, ლაჟღაჟა, გაპარსული, ჭადარა.

დღეს ადამიანი ლაჟღაჟაა, ხვალ ფერმკრთალი, დღეს გაპარსულია, ერთი თვის შემდეგ კი გაბურძენილი, დღეს ჭადარაა, მეორე დღეს კი თმაშელებილი. ამიტომ კრიმინალისტები ეყრდნობიან გარეგნობის დამახასიათებელ მყარ ნიშნებს, რომლებსაც ვერ შეცვლის ვერც მდგომარეობა, ვერც დრო, ვერც თვით ადამიანი. მყარ ნიშნებად კრიმინალისტებს მიაჩნიათ: სიმაღლე, სხეულის აღნაგობა, სახის ანფასი და პროფილი. შუბლის, ცხვირის, ნიკაპის, თვალის ჭრილის აგებულება და ზომები; თვალის ფერადი გარსის ფერი და სხვ. ასეთი ნიშნების საფუძველზე შედგენილი აღწერილობა – ზეპირი პორტრეტი, – ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტია, ვინაიდან ერთი ადამიანის გარეგნობის მყარი ნიშნები არასოდეს არ დამთხვევა მეორის ყველა ნიშანს, ისევე, როგორც არ ემთხვევა, მაგალითად, თითების ანაბეჭდები.

– სახელდობრ, რა გინდათ გაიგოთ? – მეკითხებიან.

მე ავუხსენი:

– მუნდირის შესახებ უკვე ყველაფერი გამორკვეულა. ახლა დამეხმარეთ გამოვიცნო თვით პიროვნება, რომელიც პორტრეტზეა გამოსახული. გამარკვევინეთ, ბოლოს და ბოლოს ლერმონტოვია თუ არა?

– იცით რა, – მეუბნებიან, – მოეთათბირეთ სერგეი მიხეილის ძეს, შეიძლება მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს. თუ იგი მოგცემთ დასკვნას, თქვენი ეჭვები გაფანტული იქნება.

– ვინ არის სერგეი მიხეილის ძე?

– როგორ, არ იცით? ეს პროფესორი პოტაპოვია! მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, რუსული კრიმინალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სასამართლო ფოტოგრაფიის საუკეთესო მცოდნე, მეცნიერული ხელთნაწერმცოდნეობის შემქმნელი, უდიდესი ავტორიტეტი კრიმინალისტური იდენტიფიკაციის დარგში! სხვათა შორის, მას უყვარს რთული, დახლართული საქმეები და ალბათ დაინტერესდება თქვენი პორტრეტით...

– სერგეი მიხაილოვიჩ, შეიძლება?

შემიყვანეს კაბინეტში.

მაგიდასთან ზის ხანშიშესული კაცი, სადად გადავარცხნილი თმებითა და პაწია ჭაღარა წვერით. ჭკვიანურ, მშვიდ სახეზე ცოცხალი, თაფლისფერი თვალები უციმციმებს.

წარმადგინეს. ყურადღებით მოისმინა ჩემი თხოვნა, დაკვირვებით დაათვალიერა პორტრეტი, თან შეკითხვებს მაძლედა. ბოლოს თანამშრომლებს მიუბრუნდა:

– ვეცადოთ, მოცემულ შემთხვევას მივუყენოთ მოძღვრება იდენტიფიკაციის შესახებ ზეპირი პორტრეტის საფუძველზე. – შემდეგ მე მომიბრუნდა, – გთხოვთ, გვანდოთ პორტრეტი, გამოგვიზავნეთ ამავე პიროვნების ყველა გამოსახულებათა რეპროდუქციები და მოგვეცით ერთი თვის ვადა.

გამოვედით კაბინეტიდან და ვიკითხე:

– რას აპირებს?

– მოძღვრება იდენტიფიკაციის შესახებ, რომლის გამოყენებაც სერგეი მიხეილის ძემ გადაწყვიტა, აგებულია ზეპირი პორტრეტის საფუძველზე. ამ მოძღვრების საფუძველზე, თუ რამდენიმე გამოსახულებაზე წარმოდგენილია ერთი და იგივე პიროვნება და სახის ორი მყარი წერტილი ერთმანეთს ემთხვევა, თავისთავად

უნდა დაემთხვეს ერთმანეთს სხვა წერტილებიც. თუ ისინი არ დაემთხვევიან, მამასადაძე, გამოსახულებანი სხვადასხვა ადამიანისაა, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანის გამოსახულებანი, როგორც ამტიციებს კრიმინალისტიკა, არ დაემთხვევა ერთმანეთს. ფოტოგრაფიულ გამოსახულებათა შედარება ხშირად ხდება, მაგრამ ფერწერული პორტრეტებისა პირველი შემთხვევაა.

გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ხელს მართმევენ:

– შეგიძლიათ მშვიდად დაიძინოთ, რახან თვითონ მოჰკიდა ხელი, ერთი თვის შემდეგ ზუსტად გეცოდინებათ: ან ჰო, ან არა.

### პროფესორ პოტაპოვის პასუხი

ერთი თვეც გავიდა და, აი, ჩამაბარეს პაკეტი დაწერილი ჩემს სახელზე. გავხიე კონვერტი და პირველი, რაც დავინახე, იყო სათაური:

„პროფესორ ს. მ. პოტაპოვის აზრი“...

ჯერ კიდევ არ ვიცი განაჩენი, მაგრამ ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია. დიდი მღელვარებით დავიწყე პირველი სტრიქონების კითხვა:

*დასძული საკითხის სახის ნიშნების შედარების საფუძველზე გადაჭრის მიზნით... ლერმონტოვის უცალობელი გამოსახულებების ნიმუშებთან ერთად დათვალიერებულ იქნა არსებული რეპროდუქციები მისი ცნობილი პორტრეტებიდან...*

გავზავნილი რეპროდუქციებიდან პროფესორმა პოტაპოვმა ამოარჩია ერთი ფოტოსურათი, რომელიც 1840 წელს მხატვარ ზაბოლოტსკის მიერ შესრულებული მინიატურიდან იყო გადაღებული. ზედ ლერმონტოვი იმავე პოზაში იყო გამოსახული, როგორც „ვულფერტისეულ“ პორტრეტზე. პირველ რიგში მან დაიყვანა ისინი თანასწორ სიდიდემდე, შეუკვეთა ისეთი ფოტოსურათები, რომ მანძილი სახის ორ მყარ წერტილს შორის ყოფილიყო სრულიად ერთნაირი. მასშტაბად ორივე ფოტოსურათისათვის აიღო მანძილი ყურის ბიბილოს ბოლოსა და მარჯვენა თვალის კუთხეებს შორის ზაბოლოტსკის პორტრეტზე. როცა სახეები პორტრეტებზე ერთნაირი ზომისანი გახდნენ, დაამზადეს ორი მოზრდილი დიაპოზიტივი – გადაიღეს გამოსახულებანი მინის ფირფიტებზე.

*ამდიაპოზიტივების ერთმანეთზე დადებისას და მათი გამოსხვიებაზე დათვალაიერებისას... – ვკითხულობ შეძლე.*

როგორც ჩანს, ისინი პაკეტშია. გაეწვიტე კანაფი, სასწრაფოდ ავადრე სახურავი კოლოფს, ფრთხილად ამოვიღე ორი შავი მინა – დიაპოზიტივები, რომელთა შესახებაც წერდა პოტაპოვი.

მივიტანე სინათლესთან. ერთზე ზაბოლოტსკის გადიდებული მინიატურაა, მეორეზე შემცირებული „ვულფერტისეული“ პორტრეტი. განვავრძე მათი დათვალაიერება. ფრთხილად დავადე ერთი მეორეზე. დავადე ერთმანეთს ყურის ბიბილოთა ბოლოები, თვალის კუთხეები და... სასწაული! გამოსახულებანი გაქრნენ, თითქოს შეერწყნენ ერთმანეთს და მივიღე ახალი, მესამე პორტრეტი. დაემთხვენ წარბებიც, თვალეებიც, ცხვირებიც, ტუჩებიც, ნიკაპებიც, ყურებიც... არ დაემთხვა მხოლოდ თმის ვარცხნილობა და ზაბოლოტსკის პორტრეტის მარცხენა ლოყა რკალად შემოეველო „ვულფერტისეული“ პორტრეტის ლოყას. მაგრამ განა ვარცხნილობა და ლოყის სისავსე მიეკუთვნება მყარ ნიშნებს? და სანამ ბოლომდე ჩავიკითხავდე პოტაპოვის დასკვნას, უკვე წინასწარვე ვგრძნობ.

*უნდა დავასკვნათ, რომ ამხ. ანდრონიკაშვილის მიერ წარმოდგენილი პორტრეტი, შესრულებული ზეთის საღებავებით, არის მ. ი. ლერმონტოვის ერთ-ერთი პორტრეტი.*

„რა სასიხარულოა! – ვიფიქრე. – რა შესანიშნავი ნამუშევარია! გამოჩენილმა კრიმინალისტმა პირველად კრიმინალისტიკის ისტორიაში ხელი მოჰკიდა გასული საუკუნის ფერწერულ პორტრეტზე უცნობი ოფიცრის პიროვნების ამოცნობას და როგორ ბრწყინვალედ დაამტკიცა კრიმინალისტური მეთოდების სიზუსტე!“

პოტაპოვს ემინოდა, თუ მხატვრებმა დაარღვიეს პროპორციები სახის ცალკეულ ხაზებს შორის, მაშინ, პორტრეტები არ იქნებოდა მსგავსი ორიგინალისა და მათი შედარებისას არაფერი არ გამოვიდოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

უდიდესი მღელვარებითა და სიხარულით ვათვალაიერებ ამ ჯადოსნურ შერწყმას. რა საოცრად შეიცვალა თვალეები! გაფანტული, ჩაფიქრებული გამოხედვა „ვულფერტისეული“ პორტრეტისა დაკვირვებულ, ყურადღებიან და თითქოს პირდაპირ თქვენზე მოპყრობილ მხერად გადაიქცა, რა ბედნიერებაა, რომ ორივე მხატვარი ერთგულნი ყოფილან ნატურისა! სახის რეალური შეფარდების დაცვით მათ დიდი სიზუსტით აღუბეჭდავთ თავიანთი დიდი თანამედროვის ნაკვთები.

ისევ გადავიკითხე პოტაპოვის დასკვნა, ეს იყო პასუხი არა მარტო ჩემს კითხვებზე, არამედ იმათ მიმართაც, ვინც არ ცნობდა ლერმონტოვს ახალ პორტრეტზე.

შედეგები შემთხვევითი არ იყო. ეძებდნენ პორტრეტს. ხოლო პორტრეტში ლერმონტოვს ეძებდნენ მრავალი პროფესიის ადამიანები: ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლებიც და საინჟინრო ჯარების პოლპოლკოვნიკი ვულფერტიც, რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტი და მხატვარი კორინიც, მოსკოველი კრიმინალისტები პროფესორ პოტაპოვის მეთაურობით, ბიბლიოთეკარები, ფოტოგრაფები, რენტგენოლოგები. კრიმინალისტებმა გამოიყენეს თავიანთი ზუსტი მეთოდები და რომ არ დამხმარებოდა იაკობ ივანიჩი, – სერგეი მიხაილოვიჩ პოტაპოვი მაინც გამოიცნობდა ამ ოფიცრის სახეს და გვეტყოდა, რომ ეს ლერმონტოვია.

ვუცქერი ამ პორტრეტს და მხოლოდ ახლა, როცა უკვე დამთავრებულია კვლევა-ძიება და შეკრებილია დამამტკიცებელი საბუთები, შემიძლია გითხრათ, როგორ შემეყვარდა იგი და რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის, შევეუბოდი იმ აზრს, რომ ეს ლერმონტოვი არ იყო! ლერმონტოვის რამდენ ლექსს, ცოცხალ ლერმონტოვზე რამდენ წარმოდგენას ვუკავშირებდი მე ამ კეთილშობილურ გამოსახულებას!

## გამოცანა ნ. თ. ი.

მიმძიმს წარმოვთქვა სახელი შენი,  
და ან დავწერო ის სიყვარულით:  
გულისთვის არის ტანჯვა ფარული  
მისი ნაცნობი ბგერები მწველი;  
მაშ თვით განსაჯე, რარიგად მიმძიმს  
სხვის ბაგეთაგან მოსმენა მისი!<sup>1</sup>

ლერმონტოვი

## საიდუმლო ასოები

ერთხელ წილად მხვდა რთული და არაჩვეულებრივად საინტერესო ამოცანის ამოხსნა. მაშინ ლენინგრადში ვცხოვრობდი და ვმონაწილეობდი ლერმონტოვის თხზულებათა ახალი კრებულის

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.



გამოცემაში; უნდა გამოპერკვია, ვის მიუძღვნა ლერმონტოვმა 1830-31 წლებში დაწერილი რამდენიმე ლექსი.

ამ ლექსებში ჩვიდმეტი წლის ლერმონტოვი მიმართავს ვილაც ქალიშვილს, მაგრამ მის სახელს არც ერთხელ არ ახსენებს. სახელის ნაცვლად მისდამი მიძღვნილი ლექსების სათაურებში მხოლოდ სამი საწყისი ასოა: „ნ. თ. ი.“ ამასთანავე ლერმონტოვის ბიოგრაფიაში არავინაა მოხსენებული ისეთი, ვისი სახელიც ამ ასოებით იწყებოდა.

აი, ამ ლექსების სათაურებიც:

„ნ. თ. ი.“, „ნ. თ. ი...ვას“, „რომანსი ი...სადმი“, „ნ. ი...სადმი“.

ამ ლექსების წაკითხვისას ადვილი გასაგებია, რომ ლერმონტოვს ეს ქალიშვილი დიდხანს და უიმედოდ უყვარდა. როგორც ჩანს, თავიდან ქალიც თანაუგრძნობდა, შემდეგ კი დაივიწყა, სხვამ გაიტაცა და, აი, შეურაცხყოფილი და სევდამორეული პოეტი მწარე საყველურით მიმართავს მას:

მე შეიძლება არა ვარ ღირსი  
 მაგ სიყვარულის; განსაჯე თვისით;  
 მაგრამ სიცრუე არგუნე მართო  
 ჯილდოდ ოცნებას და ჩემს იმედებს.  
 მე ვიტყვი მუდამ, რომ გამიმეტე,  
 და მოიქეცი შენ უსამართლოდ.  
 შენ, როგორც გველი არ ხარ ცბიერი,  
 ხშირად კი ახალ შთაბეჭდილებებს  
 მიანდობ მაგ სულს. ის წამიერი  
 გრძნობით ინთება და გაილეკებს.  
 მას ყველა უყვარს, გულით ჯერ არვინ,  
 მაგრამ ოდეს მწვავს ტკივილი მძლავრი,  
 გულს ეს ნუგეშით ვერ გამინელებს.  
 როცა გიყვარდი, როცა შემემლო  
 ბედნიერება ჩემი შემეგრძნო,  
 დაგემშვიდობე როს ერთხელ გულით,  
 შენს ნახ ბაგეებს მოვწყვიტე კოცნა,  
 მაგრამ ცხელ ტუჩებს ხვატი სწავს როცა,  
 მაშინ წვეთები არ ჰკლავენ წყურვილს.  
 ღმერთმა ქნას, რომ შენ გეპოვნოს ისევ,  
 არ გაშინებდა დაკარგვაც რისი.  
 ვერ დაივიწყებს ქალის გონება,  
 მას, ვისაც იგი უყვარდა ჩემებრ.

და უნეტარეს წუთებშიც მერე  
სულს შევიშვოთებს ეს მოგონება.  
შენ სინანულის დაგჭრის ისარი,  
რომ არარანი ამ ქვეყნისანი  
მომიხსენებენ დაცინვით, კრულვით  
და შიშით შენ არ დამიცავ, არა,  
რომ შებრალების დანაშაული  
შენ კვლავ არავინ არ დაგღოს ბრალად.<sup>1</sup>

მამასადამე, ამ ქალიშვილს ესმოდა ლერმონტოვისა და მისი გულითადი მეგობარი იყო. როგორც ჩანს, ვიდაც საყვედურობდა კიდევ მას პოეტისადმი თანაგრძნობას...

არ ვიცი, ერთხელ მაინც რატომ არ დაწერა ლერმონტოვმა მისი სახელი. არ ვიცი, ასი წლის მანძილზე რატომ ვერ ამოხსნა ეს გამოცანა ლერმონტოვის ვერც ერთმა ბიოგრაფმა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ლერმონტოვის თხზულებათა ახალ გამოცემაში უნდა გაკეთდეს ზუსტი და მოკლე შენიშვნა: „ეძღვნება ამას და ამას“.

შეგუდექი მუშაობას.

## დღიური ლექსად

უკვე მერამდენე ღამეა, ვწივარ საწერ მაგიდასთან და „სოკო“ ლამფის მკვეთრ შუქზე ვფურცლავ ლერმონტოვის ყრმობისდროინდელი ლექსების პატარა ტომს. ყურადღებით ვკითხულობ თითოეულ სტრიქონს და ერთმანეთს ვადარებ.

აი, მაგალითად ლექსში, „\*\*\*-სადმი“, ლერმონტოვი წერს:

ბედი ტყუოდა, ო, შენ კი არა,  
რომ მიღალატე მე ასე ჩქარა...<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გამოსათხოვარ კონცანზე ამ ლექსში ნათქვამია თითქმის ისევე, როგორც ნ. ი.-სადმი მიძღვნილ ლექსში, დაწერილი კი თითქმის ერთსა და იმავე დროსაა, – ვფიქრობ.

შეიძლება ეს ლექსიც მისადმია მიძღვნილი? მაშინ შეიძლება სამ ვარსკვლავშიაც იგივე ნ. თ. ი. იგულისხმება? მაშინ, ალბათ, მასვე მიუძღვნა მეორე ლექსი „\*\*\*-სადმი“.

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

<sup>2</sup> იქვე.

და თუ ეს ასეა, მაშინ, როგორც ჩანს, მასზევეა ლაპარაკი ლექსებში: „ზმანება“, „ღამე“, „სექტემბრის 28“, „ო, არ დამალო! შენ სტიროდი მის გამო...“, „სტანსები“, „სტუმარი“ და მრავალი სხვა, ვინაიდან ამ ლექსებშიაც სიყვარულსა და ღალატზეა ლაპარაკი.

ზედიზედ კკითხულობ ამ ლექსებს. გამოდის მთელი დღიური დაწერილი ლექსად, რომელშიაც ნათლად აისახა ამ სამწუხარო რომანის ამბები.

ღიას, ახლა უკვე გასაგებია, რომ ლერმონტოვმა ჩვენთვის უცნობ ნ. თ. ი.-ს მიუძღვნა არა ოთხი, არამედ მთელი ოცდაათი ლექსი. მხოლოდ გაუგებარია, რა ერქვა ამ ნ. თ. ი.-ს და წარმოუდგენელია, როგორ გავიგებ მე ამას.

და, აი, კკითხულობ ყველაფერს, რაც ლერმონტოვმა იმ დროს შექმნა.

იმავე 1831 წელს ლერმონტოვმა დაწერა დრამა „უცნაური ადამიანი“, რომელშიაც მოთხრობილია ახალგაზრდა პოეტის ვლადიმერ არბენინის ტრაგიკულ ბედზე. არბენინს უყვარს მშვენიერი ქალიშვილი ნატალია თევდორეს ასული ზაგორსკინა. ქალსაც უყვარს, მაგრამ, აი, ქალი გაიტაცა სხვამ, დაივიწყა არბენინი, გატეხა თავისი სიტყვა... პიესის დასასრულს ჭკუიდან შეშლილი არბენინი იღუპება ზაგორსკინას ქორწინების წინა დღეს.

აქაც, ამ პიესაში, ისევე როგორც ლექსებში, ლერმონტოვი ღალატზე მოგვითხრობს.

„ჩვენ უნდა დავმორდეთ, მე სხვა მიყვარს!.. მე მოგცემთ მაგალითს, მე დაგივიწყებთ!“ – ეუბნება ნატაშა ზაგორსკინა არბენინს.

„შენ დამივიწყებ? შენ? – უსაზღვრო სასოწარკვეთილებით ეკითხება მას არბენინი, – ო, არა მჯერა – სინდისი მასსოვრობაზე უფრო ძლიერია. სიყვარული კი არა, სინანული მოგაგონებს ჩემს თავს...“

ზუსტად ისეა, როგორც ლექსებში „ნ. ი...სადმი“.

შენ სინანულის დაგჭრის ისარი...<sup>1</sup>

პირდაპირ საოცარია, როგორ ჰგავს არბენინის სიტყვები ლერმონტოვის მიმართვას ნ. თ. ი.-სადმი!

მაგრამ აი, არბენინის ლექსიც:

ხალხში დიდებულ სახელის ნაცვლად,  
მეგობარს შენსას როდესაც ბოლოს

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

ამ გადარეულ ვნებიან და შმაგ  
დღის მოგონება დარჩება მხოლოდ,  
როს შხამიანი კილვა-დაცინვით  
მსჯავრს დაადებენ იმის ცხოვრებას,  
უგრძნობი ბრბოსგან მისი დამცველი  
იქნები? ისევ ვემახსოვრება?

ეს ლექსი არბენინმა ზაგორსკინას მიუძღვნა. მაგრამ მეჩვენება, თითქოს უკანასკნელი ოთხი სტრიქონი წამიკითხავს სადღაც, ლერმონტოვის რომელიღაც სხვა ლექსში... მგონი მთლად შევიშალე ჭკუაზე! ეს ხომ „რომანსი ი...სადმი“!

ვადარებ ორივე ლექსს – სწორედ ასეა! ლერმონტოვმა ჯერ „უცნაური ადამიანის“ შავ ხელნაწერში ჩაწერა „რომანსი ი...სადმი“, შემდეგ კი პირველი სტრიქონები გადააკეთა.

მამასადამე, არბენინი ნატალია თევდორეს ასულ ზაგორსკინას უძღვნის იმავე ლექსებს, რომლებიც ლერმონტოვმა მიუძღვნა ნ. თ. ი.-ს. მაშინ შესაძლებელია, „უცნაურ ადამიანში“ იგი მოგვითხრობდეს თავის ურთიერთობაზე ნ. თ. ი.-სთან?

„მოიცა, – ვეუბნები ჩემს თავის, – გასაღები სადღაც აქაა... თუ „უცნაურ ადამიანში“ ლერმონტოვმა ასახა თავისი ურთიერთობა ნ. თ. ი.-სთან, ხოლო ზაგორსკინას ჰქვია ნატალია თევდორეს ასული, მაშინ... შეიძლება ნ. თ. ი.-ც ნატალია თევდორეს ასული იყოს?“

ვეგრძნობ, რომ ამოცანის პასუხი სადღაც ახლოსაა, მაგრამ რაში მდგომარეობს, ვერ გამიგია. „მოდი, – ვფიქრობ, – თავიდან გადავიკითხავ ყველაფერს“.

გადავშალე „უცნაური ადამიანი“. პირველ გვერდზე ლერმონტოვის წინასიტყვაობაა. ვინ იცის, რამდენჯერ წამიკითხავს იგი. ახლა კი თითქოს პირველად გავიგე მისი კონკრეტული აზრი. ლერმონტოვი წერს: „გადავწყვიტე დრამატიულად გადმომეცა ნამდვილი შემთხვევა, რომელიც დიდი ხანია, მაწუხებს და შესაძლებელია მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვეს. ჩემს მიერ გამოყვანილი პირები სინამდვილიდანაა აღებული და ჩემი სურვილია ისინი გამოცნობილ იქნან“.

აღრე როგორ ვერ მივხვდი! ლერმონტოვმა თავის დრამაში ასახა ნამდვილი მოვლენები და ცოცხალი ადამიანები. კიდევ მეტი, მას სურდა, რომ ისინი ეცნოთ. შეიძლება ითქვას, თვით ლერმონტოვი მიბრძანებს გავიგო ნ. თ. ი.-ს სახელი და გამოვარკვიო სინამდვილე!

## ნამდვილი შემთხვევა კლიაზმაზე

ადვილი სათქმელია: გამოვარკვიო! როგორ გამოვარკვიო? ლერმონტოვის წერილები რომ იყოს შემონახული... მაგრამ 1830-31 წლების წერილებიდან მხოლოდ ერთმა მოაღწია ჩვენამდე. ესაა მოკლე, ამაღლელებელი ტონით დაწერილი ბარათი უნივერსიტეტის მეგობრის პოლივანოვისადმი, რომელიც საზაფხულოდ მოსკოვიდან სოფელში წასულა. ბარათი დაწერილია 1831 წლის 7 ივნისს, როცა ლერმონტოვი, როგორც ჩანს, უნუგემო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„მე ახლა მთლად შერყეული ვარ, – წერს იგი პოლივანოვს, – ავადმყოფი, მოშლილი, თვალები მუდამ სველი მაქვს. ბევრი რამ გარდამხდა...“

ლერმონტოვი ატყობინებს პოლივანოვს თავისი ბიძაშვილის მომავალი ქორწინების შესახებ, ჯანდაბაში გზავნის ყველა საქორწილო ნადიმს, და წერს: „ახლა დაწერილებით მოწერის თავი არა მაქვს... არა, ჩემო მეგობარო! ჩვენ ამ ქვეყნისათვის არა ვართ გაჩენილნი...“

ასეთი წერილის მიწერა მეგობრისადმი შეეძლო მხოლოდ ვლადიმერ არბენინს. სხვათა შორის, ეს სავსებით გასაგებია. ბარათიც და „უცნაური ადამიანიც“ დაწერილია თითქმის ერთსა და იმავე დროს. წერილი – 7 ივნისს, ხოლო „უცნაური ადამიანი“ ლერმონტოვმა შავად დაამთავრა 17 ივლისს. როგორც ჩანს, მასზე მუშაობა ივნისში დაუწყია. მაშასადამე, პიესაში მოთხრობილია იგივე ამბები, რომლებსაც ლერმონტოვი ატყობინებს პოლივანოვს. მაგრამ პოლივანოვმა იცოდა ყოველივე ეს, მე კი არ ვიცი; საკუთარი თვალით მაინც შემეხედა ერთი იმ წერილისათვის! შეიძლება იქ რაიმე ფრაზა დაწყებული ან წაშლილი ან სიტყვაა არასწორად ამოკითხული, რა არ ხდება!.. ნეტა სად უნდა იყოს წერილის ორიგინალი?

ორიგინალი პუშკინის სახლში ინახება.

მივედი და ხელნაწერთა განყოფილებაში პოლივანოვისადმი მიწერილი წერილი გამოვითხოვე. ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერებ. დიახ, აღმოჩნდა, რომ ეს ლერმონტოვის წერილი სულაც არ არის. ბარათი ლერმონტოვის მეგობრის ვლადიმერ შენშინისაა, ხოლო ზედ მოკლე მინაწერი – ლერმონტოვის. შენშინი ატყობინებს პოლივანოვს მოსკოვის ახალ ამბებს და სხვათა შორის წერს: „აქ სული მეხუთება

და მხოლოდ ლერმონტოვი მაშშვიდებს საუბრით. ისიც უკვე ხუთი დღეა, არ მინახავს (თქვენს მეზობლად იყო ივანოვებთან)“.

ახლა ყველაფერი ნათელია! 1831 წლის ივნისის დასაწყისში ლერმონტოვი სტუმრად ყოფილა ვილაც ივანოვებთან. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ოჯახიდან იყო ნ. თ. ი. – ნატალია თევდორეს ასული ივანოვაც.

შენშინი წერს: „...ხუთი დღეა არ მინახავს“, მაშასადამე, ივანოვები სადღაც მოსკოვის ახლოს ცხოვრობდნენ. ეს რომ ასეა, მტკიცდება „უცნაური ადამიანითაც“. იქ აღწერილია, როგორ მიდის არბენინი ზაგორსკინების მამულში, კლიაზმის ნაპირას. კლიაზმა კი მოსკოვის მახლობლად ჩამოდის. იქვე კლიაზმასთან, სერედნიკოვოში ლერმონტოვი ზაფხულობით ჩამოდიოდა ხოლმე სტუმრად თავის ნათესავ სტოლიაპინებთან. ამჯერად, ყველაფერი ემთხვევა.

1831 წლის ივნისში ლერმონტოვი დაბრუნდა მოსკოვში ივანოვებისაგან, სადაც გაიგო ნ. თ. ი.-ს „ლალატი“ და იქვე შეუდგა „უცნაური ადამიანის“ წერას, რომელშიაც ამ „ლალატის“ ამბავი გვიამბო. თუ ასეა, მაშინ ლექსში, რომლის სათაურია „1831 წლის 11 ივნისი“, ლერმონტოვი ისევ იმ უსაზღვროდ საყვარელ ქალიშვილს მიმართავს:

ოცნებას ჩემსას, როს სხეული იქცევა მტვერად,  
გაკვირვებული ეს ქვეყანა მაინც აკურთხებს,  
თუმც ვერ მიწვდება; ო, ძვირფასო, მე მაინც მჯერა,  
რომ ჩემთან ერთად არ მოკვდები: და ჩემი ტრფობა  
სიცოცხლეს უკვდავს დაგიბრუნებს შენს შესამკობად.  
შენც ჩემთან ერთად გახსენებენ მოგონებისას:  
ვის დასჭირდება განშორებით დასჯა მკვდრებისა?<sup>1</sup>

მას სურდა, მისი სახელის გვერდით ქალის სახელიც წარმოგვეთქვა, მაგრამ როგორ?! რომ ვთქვათ, საჭიროა ვიცოდეთ ეს სახელი. ჩვენ კი სწორედ ეს არ ვიცით.

<sup>1</sup> თარგმანი კ. ნადირაძისა.

## დავიწყებული დრამატურგი

დავუშვათ, რომ ეს იყო ნატალია თევდორეს ასული ივანოვა. მაგრამ რას წარმოადგენდა იგი? რომელ წიგნებში, რომელ არქივებში ინახება ცნობები ამ საიდუმლოებით მოცული ქალიშვილის შესახებ?

ჯერ, რა თქმა უნდა, მოძალევსკის კარტოთეკაში უნდა ჩავიხედოთ. ეს ყველაზე სრული და ყველაზე საოცარი ცნობარია რუსული სახელებისა. თუ მოძალევსკის სიცოცხლეში ერთხელ მაინც შეხვედრია რომელიმე წიგნში ნ. თ. ივანოვას სახელი, უთუოდ ამოიწერდა ბარათზე და აუცილებლად ვიპოვი კარტოთეკაში.

სამწუხაროდ, ნატალია თევდორეს ასული ივანოვა მოძალევსკის კარტოთეკაში არ აღმოჩნდა, ეს ნიშნავს, რომ მის შესახებ ყველაზე ძუნწი ცნობების მოპოვებაც კი არაჩვეულებრივად ძნელი იქნება. ისიც კი არ ვიცი, როდის დაიბადა.

ზაგორსკინას შესახებ „უცნაურ ადამიანში“ ნათქვამია, რომ იგი თვრამეტი წლისაა. თუ დავუშვებთ, რომ ნ. თ. ი.-ც 1831 წელს თვრამეტი წლისა იყო, მაშინ გამოდის, რომ იგი დაბადებულია 1813 წელს. მაშ, ერთი წლით უფროსი ყოფილა ლერმონტოვზე. როგორც ჩანს, ასეც იყო სინამდვილეში.

რის გამოყენება შეიძლება კიდევ „უცნაური ადამიანის“ ტექსტიდან?

ისევ ვფურცლავ პიესას. ხაზს ვუსვამ საინტერესო დეტალს. არბენინს მეგობარი ეკითხება ზაგორსკინას შესახებ:

„— ორი დანი არიან, მამა არა ჰყავთ? ასეა არა?

— ასეა“, — პასუხობს არბენინი.

თუ დრამაში ნამდვილი ამბებია ასახული, მაშინ ადვილი შესადგებელია, რომ ნ. თ. ი.-საც ჰყავდა და, მამა კი არა. თუმცა... როგორ „არა“? არ ჰყავდა 1831 წელს, ხოლო 1813 წელს, როცა ნ. თ. ი. დაიბადა, მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ადვილი მისახვედრია, რომ ის თევდორე ივანოვი გახლდათ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე მინდა ის თევდორე ივანოვი, რომელიც 1813 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო 1831 წელს გარდაცვლილი და ჰყავდა ორი ქალიშვილი. თუმცა არც ისე ბევრი ნიშანი მაქვს ამ ივანოვისა, მაგრამ ასეთი ივანოვი უნდა მოიძებნოს და ვნახოთ, გამოდგება თუ არა იგი ნ. თ. ი.-ს მამად.

მივდივარ პუშკინის სახლში, ვათვალიერებ მოძალექსკის კარტოთეკაში ყველა ივანოვს, ვარჩევ ყველა თევდორეს. გავიგე, რომ ერთი მათგანი მომკვდარა მოსკოვში 1816 წელს. ეს შეიძლება გამოდგეს.

გამოირკვა, რომ ეს იყო XIX საუკუნის დასაწყისში პოპულარული დრამატურგი თევდორე თევდორეს ძე ივანოვი, თავის დროზე გახმაურებული ვოდევილის „სტარიჩკოვების ოჯახის“ ავტორი, პოეტების – ბატიუშკოვის, ვიაზემსკისა და მერზლიაკოვის მეგობარი, მთელ მოსკოვში ცნობილი პურმარილიანი კაცი, მხიარული და თეატრის მოყვარული.

გადავათვალიერე ბიბლიოთეკაში წიგნები, საიდანაც მოძალექსკის ამოეწერა ივანოვის გვარი და აღმოვაჩინე ივანოვის ნეკროლოგი, ნეკროლოგში კი სტრიქონები: „მან უნუგემო მწუხარებაში დატოვა ქვრივი და ორი მშვენიერი გოგონა“.

გამოდის, რომ ივანოვს ჰყავდა ორი ბავშვი ლერმონტოვის ასაკისა, შესაძლებელია ნ. თ. ი. და მისი და? მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ „შესაძლებელია“. „ნამდვილად“ კი მაინც ვერაფერი გავიგე.

### ვაგანკოვის სასაფლაოს საიდუმლო

თვითონვე ვხვდებოდი, რომ არასწორი გზით მივდიოდი. ცხადია, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში ნ. თ. ი. გათხოვდა და გვარიც გამოიცვალა. უფრო ბუნებრივი იქნებოდა იგი ქმრის გვართ აღმოქმენა, და არა თ. თ. ივანოვის ბიოგრაფიაში, რომელიც ჯერ კიდევ მის ბავშვობაში გარდაიცვალა.

თუ ვის გაჰყვა იგი ცოლად, ამის გაგება ყველაზე ადვილია საგვარეულო წიგნებიდან. თავად-აზნაურთა საგვარეულო წიგნებში თითოეული წარმომადგენელი დანომრილია და იქვე წერია: როდის დაიბადა, სად და როდის მსახურობდა, ვისზე იყო დაქორწინებული, რამდენი ბავშვი ჰყავდა, რა ორდენები და ხარისხები ჰქონდა და როდის გარდაიცვალა, ხოლო ქალებზე – ვის გაჰყვნენ ცოლად.

არსებობს ასეულობით ასეთი საგვარეულო კრებული – თავადების, გრაფების, ბარონების და უბრალოდ ცნობილ აზნაურთა გვარებისა. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ივანოვების გვარი არ ეკუთვნოდა ცნობილთა რიცხვს და აზნაურ ივანოვების საგვარეულო წიგნებიც არ იწერებოდა. მამასადამე, საგვარეულო წიგნებიდან ვერ გავიგებდი, ვის გაჰყვა ივანოვა.



ერთადერთი გამოსავალი იყო: გამოძერკვია, ვინ დაქორწინდა XIX საუკუნეში ივანოვას გვარის ქალწულზე.

პუშკინის სახლის ბიბლიოთეკაში გამოვიწერე ყველა იქ არსებული საგვარეულო წიგნი, დავაწყვე რიგ-რიგად და დავიწყე მათი ფურცვლა. რამდენი უეცარი სიხარული და რამდენი სინანული განვიცადე იმ რამდენიმე დღის განმავლობაში.

– „ივანოვა. მეორე ცოლი თავად მეშჩერსკისა...“ არ გამოდგება – ელენე ივანეს ასულია!

„ივანოვა, ლიუბოვ ალექსის ასული. ცოლი კოლეგიის რეგისტრატორის ბარტენევისა...“ არ გამოდგება.

„ივანოვა. ცოლი შტაბს-კაპიტან კულნევისა...“ გლაფირა ილიას ასული. არც ესაა.

„ივანოვა ნატალია თევდორეს ასული, ცოლი...“

ვგრძნობ გულისცემაც შემიჩერდა. ვისი ცოლია?

აღმოჩნდა, რომ აზნაურ ობრესკოვების საგვარეულოს შუა ადგილას გაჩერებულა ჩემი თითი. ნატალია თევდორეს ასული ივანოვა ამ წიგნში ვინმე ნიკოლოზ მიხეილის ძე ობრესკოვის მეუღლედ არის წოდებული, იქვე ნათქვამია, რომ ეს ის პორუჩიკია, რომელსაც „ოფიცრისათვის სამარცხვინო საქციელის“ გამო 1826 წელს ხარისხი აჰყარეს და აზნაურობაც ჩამოართვეს. 1833 წელს დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან მე-14 კლასით, ხოლო 1836 წლიდან სამოქალაქო სამსახურში ირიცხებოდა.

შემდეგ აღნიშნულია, რომ მას დაუბრუნეს მეძველდროებითი აზნაურობის უფლება და ორმოცდაათიან წლებში ჰქონდა „ნადვორნი სოვეტნიკის“ ხარისხი.

ესეც ასე, ვფიქრობ, ახლა კი ყველაფერი მეცოდინება! მოძალვესკის კარტოთეკაში ვნახავ ბარათებს ობრესკოვის გვარზე. გადავშლი რამდენიმე წიგნს, რომლებშიაც მოხსენიებულია იგი და მაშინ ჩემთვის ნათელი იქნება ნ. თ. ი.-ს ბედი.

სამკითხველო დარბაზიდან ისევე ხელნაწერთა განყოფილებისკენ გავეშურე.

კექეკე მოძალვესკის კარტოთეკას... ობრესკოვის მამა – გენერალ-ლეიტენანტი, ძმა – ელჩი ტურინში. ამათ შესახებ წაუკითხავს მოძალვესკის, მაგრამ ნიკოლოზ მიხეილის ძე ობრესკოვის ხსენებაც კი არ არის. ეს ნიშნავს, რომ მოძალვესკის მის შესახებ არაფერი არ წაუკითხავს, არც ერთხელ არ შეხვედრია მისი გვარი პრესაში.

ეს მით უფრო საოცარია, რომ ობრესკოვს ხარისხი აპყარეს 1826 წელს, მაშინ, როცა ის-ის იყო დამთავრდა 1825 წლის დეკემბრის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დატუსაღებულთა სასამართლო. ისიც ვიფიქრე, აჯანყებაში ხომ არ იყო-მეთქი ობრესკოვი ჩარეული.

ჩავიხედე „დეკაბრისტების ანბანში“, ობრესკოვი არ არის!

გამოდის, რომ ნ. თ. ი. მისთხოვდა კაცს, რომელზედაც ისევე ცოტაა ცნობილი, როგორც თვით მასზე. და თუ ასეა, მაშინ ახლა უკვე მგონი ველარაფერს მოვიფიქრებ. ამჟამად, როგორც ჩანს, ჩიხში მოვექეცი.

თუმცა კიდევ დამრჩა ერთი სვლა.

ვერსად ვერაფერს წავაწყდი ნატალია თევდორეს ასულ ივანოვას შესახებ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ვერაფერს აღმოვაჩინე ნატალია თევდორეს ასულ ობრესკოვაზე.

მართალია, ეს სახელი მოძალევესკის კარტოთეკაში ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ შეიძლება იგი რომელიმე სამისამართო კალენდარში ან ცნობაში ვიპოვო, რომლებიც მოძალევესკის თავის ბარათებში არ შეჰქონდა.

ისევე დავიწყე ანბანური საძიებლებისა და სამისამართო კალენდრების ფურცვლა, ნეკროპოლების დათვალიერება.

„ნეკროპოლი“ ბერძნულად ნიშნავს „მიცვალებულთა ქალაქს“, ამიტომ ნეკროპოლები ეწოდება გარდაცვლილთა და დაკრძალულთა ანბანურ სიებსაც; სხვანაირად, ნეკროპოლი სასაფლაოების სამისამართო წიგნებია, მხოლოდ ქუჩისა და სახლის ნომრების ნაცვლად ნეკროპოლში აღნიშნულია საფლავის ქვა ან ძეგლი. იქვე მოყვანილია ყველაფერი, რაც აწერია საფლავის ქვას, ან ძეგლს: დაბადებისა და გარდაცვალების წლები, ლექსი. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ იქნა პეტერბურგის, მოსკოვისა და ზოგიერთი პროვინციული სასაფლაოების, ამავე დროს საზღვარგარეთ რუსული საფლავების აღწერილობანი.

ავიღე „მოსკოვის ნეკროპოლის“ მეორე ტომის ასო „ო“... დღემთო ჩემო! მთელი გვერდია ობრესკოვებზე!

„ობრესკოვა ეკატერინა...“

„მარინა...“

„ნატალია ალექსანდრეს ასული...“

„ობრესკოვა ნატალია თევდორეს ასული! გარდაიცვალა 1875 წლის 20 იანვარს, დაბადებიდან სამოცდაორი წლისა. დაკრძალულია ვაგანკოვის სასაფლაოზე!“

თუ 1875 წელს სამოცდარი წლისა იყო, მაშასადამე, დაბადებულა, როგორც ვფიქრობდი, 1813 წელს. ის არის – ნ. თ. ი., ნატალია თევდორეს ასული ივანოვა. ახლა კი მგონი ყველაფერი გავიგე.

მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ არსებითად არაფერიც არ გამიგია.

მერე რა, რომ ნ. თ. ი. არის ნატალია თევდორეს ასული ივანოვა? რას შესძენს ეს მკითხველს? რას აუხსნის ეს ლერმონტოვის ლექსებში? რას ეტყვის მის სულსა და გულს?

მივხვდი, რომ კიდევ საჭიროა ძიება...

მაგრამ, ვინაიდან წიგნებიდან უკვე აღარაფრის ამოკრება აღარ შეიძლებოდა, ხოლო ლერმონტოვმა ივანოვა მოსკოვში გაიცნო, მეც მოსკოვისაკენ გავწვი.

### ძველი მოსკოვის მცოდნე

იყო მოსკოვში ერთი შესანიშნავი მოხუცი ნიკოლოზ პეტრეს ძე ჩულკოვი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. XVIII და XIX საუკუნეების სახელმწიფოებრივი და ოჯახური არქივების უდიდესი მცოდნე, რუსული ყოფის, ისტორიის საუკეთესო სპეციალისტი, ჯადოქარი დიდი და პატარა რუსი ადამიანების სამსახურებრივი და ნათესაური ურთიერთობის დადგენაში. მასზე უკეთ არავის შეეძლო ეთქვა, ვინ როდის დაიბადა, ვინ სად ცხოვრობდა, ვინ რომელ დეპარტამენტში და პოლკში მსახურობდა. ვინ ვისზე იყო დაქორწინებული, ვინ ვისთან დადიოდა სტუმრად, სად ვისი სახლი იდგა და ვინ სად გარდაიცვალა. ასეთ კითხვებზე, თუკი შეეძლო, ნიკოლოზ პეტრეს ძე იძლეოდა ყველაზე ზუსტსა და ზედმიწევნით ახსნა-განმარტებას. მეხსიერება კი საოცარი ჰქონდა.

იგი ისე კარგად იცნობდა ძველ მოსკოვს, რომ როდესაც მეტროს პირველ რიგს აგებდნენ, რჩევისათვის მას მიმართეს. მხოლოდ მას შეეძლო ზუსტად ეჩვენებინა, სად იყო ოსტოჟენსკას რაიონში, ახლანდელ მეტროსტროვესკის ქუჩაზე, ღრმა სარდაფები და ძველი მიტოვებული ჭები, რომლებიც შეიძლება შეხვედროდათ გზაზე მეტროს მშენებლებს.

მოხუცი გაუძღვა კომისიას ოსტოჟენსკაზე და მის მომიჯნავე შესახვევებში, ჯოხით უთითებდა დიდკაცთა ყოფილი სახლებისა და მამულების საზღვრებს; უხსნიდა, ეზოს რომელ კუთხეში იყო სარდაფი, რომელში – ჭა.

შემდეგ სთხოვეს მეტროს ტრასაზე ჩასულიყო. მისცეს საშვი – ნიკოლოზ პეტრეს ძემ იწყინა, ხასიათი წაუხდა და, მგონი, უადგილო ხუმრობადაც კი მიიღო ეს. მაგრამ როცა აუხსნეს, რომ ყველას ასეთი საშვი ჰქონდა, დამშვიდდა, წავიდა ტრასაზე და ყველა კითხვას უპასუხა.

როგორც ყველა ადამიანი, რომელთაც თავდადებითა და უანგაროდ უყვართ თავიანთი პროფესია, ნიკოლოზ პეტრეს ძეც სიამოვნებით უზიარებდა ცოდნას ყველას, ვისაც კი ესაჭიროებოდა და არასოდეს არ ფიქრობდა, მოიხსენიებდნენ თუ არა მის სახელს პრესაში.

უკანასკნელ წლებში ნიკოლოზ პეტრეს ძე მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის არქივში. მე არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი რამ გამეგო მისი არაჩვეულებრივი გულუხვობისა და გულისხმიერების შესახებ, ვიცოდი, რომ სიამოვნებით დამეხმარებოდა უცნობსაც.

მივედი ლიტერატურის მუზეუმში, ვთხოვე ჩუღკოვი გამოემახებინათ ვესტიბიულში.

გამოვიდა ჩია მოხუცი, ტუჩებს ზემოთ მოკლედ შეკრეჭილი მეჩხერი უღვაშებით, ისეთი კეთილი, ისეთი ფრთხილი, რომ გეჩვენება: თვალებს წამდაუწუმ იმიტომ ახამხამებს – ეშინია, თანამოსაუბრის გამომეტყველება ან რაიმე სიტყვა არ გამოეპაროსო.

გავეცანი და მოკლედ მოვახსენე ჩემი ამბავი. ჩუღკოვი ყურადღებით მისმენდა და თვალებს ახამხამებდა. დავამთავრე. და ახლა დადგა ჩემი ჯერი მესმინა და თვალეები მეხამხამებინა.

– თქვენ სრულიად მართალი ხართ, – თქვა ნიკოლოზ პეტრეს ძემ წყნარი ხმით და მუშტში ჩაახველა. – ნატალია თევდორეს ასული ივანოვა ნამდვილად მოსკოველი დრამატურგის თევდორე თევდორეს ძე ივანოვის ქალიშვილია. სწორია ისიც, რომ იგი ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ მიხეილის ძე ობრესკოვს. ახლა კი ჩაიწერეთ: ობრესკოვებს ჰყავდათ ქალიშვილი ნატალია ნიკოლოზის ასული, რომელიც სამოციან წლებში მისთხოვდა სერგეი ვლადიმერის ძე გოლიცინს. გოლიცინებსაც ჰყავდათ ქალიშვილები, ნატალია თევდორეს ასულის ღვიძლი შვილიშვილები: ალექსანდრა სერგეის ასული, გათხოვების შემდეგ სპეჩინსკაია, ნატალია სერგეის ასული მაკლაკოვა და ქრისტინა სერგეის ასული არსენიევა. ნატალია ნიკოლოზის ასულს, ობრესკოვის ქალიშვილს, მე პირადად ვიცნობდი, მათთანაც ყოფილვარ. თქვენ ცოტათი დაიგვიანეთ, თორემ შეგეძლოთ უშუალოდ

მასთან გესაუბრათ დედამისის შესახებ. ნატალია ნიკოლოზის ასული სულ ახლახან, 1924 წელს გარდაიცვალა. ამას გარდა მე ვიცნობ მის ერთ-ერთ ქალიშვილს, – ქრისტინა სერგეის ასულ არსენიევას, მათთანაც ვარ ნამყოფი. იგი აქ ახლოს ცხოვრობდა მაცხოვრის ტაძართან. მაგრამ ტაძარმა... – აქ ნიკოლოზ პეტრეს ძე ოდნავ შეყოყმანდა, შესაფერის სიტყვას ეძებდა, – ტაძარმა და სახლმა განიცადეს... რეკონსტრუქცია და უკვე აღარ არიან ადგილზე. ამიტომ წარმოდგენაც არა მაქვს, სადაა ამჟამად ქრისტინა სერგეის ასული. მაგრამ აი, თქვენს ნაამბობთან დაკავშირებით, ოდნავ... – ნიკოლოზ პეტრეს ძემ ჩაახველა და ჯერ ერთი, მერე მეორე მუშტი მოიფშვინტა, – საგონებელში ჩამაგლო, მე საკმაოდ ახლოს ვიცნობდი ნატალია თევდორეს ასულის ქალიშვილსა და შვილიშვილსაც და, მიუხედავად ამისა, არასოდეს არ გამიგონია მათგან ლერმონტოვის სახელი. მით უმეტეს, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ, როგორ დამინტერესებდა ლერმონტოვის ნაცნობობა ნატალია თევდორეს ასულთან. ამიტომ ვშიშობ, რომ ნატალია თევდორეს ასული არ უნდა იყოს ის ნ. თ. ი., რომელზედაც ლერმონტოვი ლაპარაკობს. მაგრამ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა ნახოთ ქრისტინა სერგეის ასული.

– სად აღმოვაჩინო ქრისტინა სერგეის ასული? – ჩამწყდარი ხმით შევეკითხე ჩულკოვს მისი უკანასკნელი შენიშვნით გაოგნებულმა.

– მისამართის გაგება სამისამართო ბიუროში შეიძლება... – შენიშნა ჩულკოვმა.

– ოჰ, დიახ, სამისამართო ბიუროში!

მადლობა გადავუხადე ნიკოლოზ პეტრეს ძეს და სწრაფად გავევარდი მუზეუმიდან.

„ახალი უბედურება, – ვფიქრობ, – ეს ნ. თ. ი. სხვა არის!“

მივირბინე სამისამართო ბიუროში და მივეცი გრძელი ვიწრო ბლანკი ქრისტინა სერგეის ასულის გვართ. ველოდები პასუხს. ბოლოს მომესმა:

– არსენიევას ვინ კითხულობს?

მივირბინე ფანჯარასთან:

– მე გახლავართ!

– არსენიევა, რომელიც თქვენ გნებავთ, ქალაქ მოსკოვში არ ცხოვრობს.

– როგორ თუ არ ცხოვრობს?

– მოქალაქე! ალბათ გასულია, ცნობები არა გვაქვს.

წავლასლასდი სახლში. „ეჰ – ვფიქრობ, – დროა თავი დავანებო ამ ამბავს. ასე სიკვდილამდე შეიძლება ძებნა. სად გაქრა ახლა ის ქრისტიან სერგეის ასული? თუ სადმე წავიდა? ეგება ურალში, ან კავკასიაში, ან კამჩატკაზე? მეც გავყვე?“.

ვგრძნობ კი, რომ გავყვები.

### შორეული ნათესავები

ქრისტიან სერგეის ასული დაბადებით გოლიცინაა, არსენიევა – ქმრის გვარია. მაშასადამე, გოლიცინებიდან ვინმემ უნდა იცოდეს მისი ამბავი.

მაგონდება, რომ ვიღაც ამბობდა, გაზეთ „რევიუ დე მოსკუს“ რედაქციაში რუსული ენიდან ფრანგულზე მთარგმნელად ნიკოლოზ ვლადიმერის ძე გოლიცინი მუშაობსო.

მივდივარ მასთან. შევდივარ რედაქციაში და პირველივე შემხვედრს ვუხსნი: „ლერმონტოვი... ნ. თ. ი. ის ივანოვა... გაჰყვა ობრესკოვს...“ ამ დროს ვხედავ, ოთახის მოპირდაპირე მხარეს მაგიდიდან წამოიწია ძალალი, ფართოწვერებიანი ხანშიშესული მამაკაცი.

– ეს, როგორც ჩანს, ჩემთანაა! – გაცოცხებით უხსნის იგი თანამშრომლებს.

მე თავიდან ვიწყებ ჩემი ამბების მოყოლას.

– მოხარული ვარ, დაგეხმაროთ და ვიქნები თქვენთან სრულიად გულახდილი, – ამბობს გოლიცინი ჩაფიქრებით, ისრესს და ისევ ისწორებს წვერს. – ალექსანდრა, ნატალია და ქრისტიანა ჩემი გარეშე ბიძაშვილებია. ოდესღაც ხშირად ვხვდებოდი მათ. ერთადერთი რაც მახსოვს, ისაა, რომ ახალგაზრდობაში ძალიან კარგად ცეკვავდნენ. რაც შეეხება ალექსანდრა და ნატალია სერგეის ასულებს, არაფერი ვიცი, დიდი ხანია არაფერი მესმის მათ შესახებ. ხოლო ქრისტიანა სერგეის ასულზე უფრო სარწმუნო ცნობები მაქვს, – საქმე იმაშია, რომ იგი გარდაიცვალა. სადღაც აქ ცხოვრობდა, მოსკოვის ახლოს... მე ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ: შესაძლებელია მასთან ინახებოდა ძველი წერილების რაიმე დასტა, ან ბებიამისის რომელიმე სუვენირი. ყველაზე ადვილად მისი მისამართის გაგება შეიძლებოდა მისი ქმრის ნიკოლოზ ვასილის ძე არსენიევის მეშვეობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც გარდაიცვალა. ივანე ვასილის ძეს, მის ძმასაც აუცილებლად

ეცოდინებოდა მისამართი, მაგრამ ისიც გარდაცვლილია. თუ ვინმემ შეიძლება იცოდეს, ესაა ივანე ვასილის ძე არსენიევის ვაჟი სერგეი ივანეს ძე. რამდენადაც მე მახსოვს, იგი ცოცხალია და აქ, მოსკოვში იმყოფება. ამიტომ ჯერ ის უნდა ნახოთ, ვინაიდან იგი გარდაცვლილი ქრისტიანა სერგეის ასულის გარდაცვლილი ქმრის გარდაცვლილი ძმის ვაჟიშვილია. მე, მართალია, არ ვიცი სად ცხოვრობს, მაგრამ, სამისამართო ბიუროში ალბათ შეიძლება ცნობის მიღება.

ისევ გავიქეცი სამისამართო ბიუროში. გამოვართვი სერგეი ივანეს ძის მისამართი, მივედი მასთან ობიდენსკის შესახვევში და პატარა, ჩაბნელებულ წინკარში დავიწყე მოლაპარაკება დედაბერთან, – არსენიევის სიდედრთან, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გაიგოს ჩემგან, ხოლო ნაკლები მითხრას. დედაბერმა ყველაფერი გამომკითხა დაწვრილებით და დამიწყო მეტად საქმიანი რჩევა-დარიგების მოცემა. ჯერ ამიხსნა, რომ მიუხედავად საპატიო ასაკისა, სერგეი ივანეს ძემ ახლა მიიღო უმაღლესში მეორეჯერ შესვლის ნებართვა, რადგანაც ახალგაზრდობაში თავისი სურვილით არ ამოურჩევია პროფესია. იგი საქმიანი კაცია, სახლში იშვიათად მოდის და მისი ნახვა გაგიჭირდებათო.

– სერგეი ივანეს ძის დევნა არ გამოგადგებათ, – მეუბნება დედაბერი, – და ვერც ვერაფერს გეტყვით. ქრისტიანა სერგეის ასულის მისამართიც არ გინდათ, უმჯობესია, შეიაროთ მის დასთან – ნატალია სერგეის ასულთან.

მე ავფორიაქდი.

– რომელ ნატალია სერგეის ასულთან?

– როგორ რომელთან? მაკლაკოვასთან.

– როგორ, მაკლაკოვა ცოცხალია?

– როგორ არ არის ცოცხალი, როცა წინა კვირას სალაროში ერთად ავიღეთ ჩეკი!

– სალაროში ჩეკი?

– დიახ, „გასტრონომში“. მივესალმეთ ერთმანეთს და ისე გავშორდით.

– სად ცხოვრობს მაკლაკოვა?

– სადღაც აქ, ზუბოვსკზე.

– სახლის ნომერი?

– სახლის ნომერი არ ვიცი, არასოდეს ვყოფილვარ მათთან. მიდით სამისამართო ბიუროში.

## სახლი ზუბოვსკზე

ისევ მივირბინე სამისამართო ბიუროში, ისევ დავჩხაპნე ბლანკზე: „ნატალია სერგეის ასული მაკლაკოვა“ და ბოლოს, ხელთა მაქვს მისამართი: „ზუბოვსკის ბულვარი, 12, ბინა 1“.

არ დავიწყებ იმის აღწერას, როგორი გრძნობით მივედიოდი გზაში ამ ცოცხალ შვილიშვილთან. ეს ყველასათვის გასაგებია.

...ეზოში ხის პატარა სახლი, რამდენიმე საფეხური, კარები და აი, უკვე ვაკაკუნებ.

კარებს აღებს მაღალი მოხუცი ქალი, მთლად ჭაღარა, მედიდური გამომეტყველებით.

– ვინ გნებავთ?

– ბოდიში! – ვეუბნები, – შეიძლება ნატალია სერგეის ასული მაკლაკოვას ნახვა?

– მე გახლავართ. რა გნებავთ?

– გამარჯობათ, ნატალია სერგეევნა, – ვეუბნები დიდი ძლეღვარებით, – თქვენი მისამართი ბიუროში გავიგე... მე ლერმონტოვზე ვმუშაობ... და ამის გამო მინდა თქვენთან საუბარი.

– გეთაყვა! – შეწუხებული მაწყევტინებს იგი, – ამაოდ მეძებდით. მე ვერაფერში გამოგადგებით. ყველა ლექსი, რომელიც ლერმონტოვმა უძღვნა ბებიაჩემს ნატალია თევლორეს ასულს, ყველა წერილი, რომელიც ლექსებთან ერთად ინახებოდა კოლოფში, უკვე დიდი ხანია დამწვარია. ისინი მოსპო ჯერ კიდევ ბაბუაჩემმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, მიხეილ იურის ძისადმი ეჭვიანობის გამო. ჩვენ აღარაფერი დავგრჩა.

– ნატალია სერგეევნა! – წამოვიყვირე, – თქვენ აღბათ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა მითხარით!

– რა გითხარით? – შეშფოთებით შემეკითხა მაკლაკოვა. – მე არაფერი მითქვამს და ვერც ვერაფერს გეტყვით საინტერესოს. ჩემთვის, ჩემო კარგო, ცნობილია მხოლოდ ის ლექსები, რომლებიც დაბეჭდილია ლერმონტოვის ყველა გამოცემებში და რომლებიც, რასაკვირველია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

მე შეიძლება არა ვარ ღირსი  
მაგ სიყვარულის; განსაჯე თვისით;  
მაგრამ სიცრუე, არგუნე მარტო  
ჯილდოდ ოცნებას და ჩემს იმედებს.



მე ვიტყვი მუდამ, რომ გამიმეტე  
და მოიქეცი შენ უსამართლოდ.

ზმის ოდნავი კანკალით წარმოთქვა მაკლაკოვამ და განაგრძო:  
– დედაჩემის სიტყვებიდან ვიცი, რომ ეს ლექსები დაწერილია ბებიასათვის, ნატალია თევდორეს ასულისათვის. აი, ყველაფერი, რაც მე ვიცი.

– ნატალია სერგეევნა, – შევეკითხე უფრო გოცბეულმა, – რატომ არასოდეს, არავისათვის არ გიამბინათ თქვენი ბებიას ნაცნობობის შესახებ ლერმონტოვთან, მათ სიყვარულზე? რატომ ინახავდით ამას საიდუმლოდ?

– რატომ უნდა გამოგვეცხადებინა პრესაში ბებიას სახელი? – შემეკითხა ნატალია სერგეევნა, – რა იყო აქ საამაყო? ის, რომ ბებია... ბაბუა ამჯობინა?

მე უკვე გადავაბიჯე ზღურბლზე. მაკლაკოვამ შემიპატიჟა ოთახში, დამსვა გაქეჩილ სავარძელზე. დავაყარე კითხვები, რომლებიც კი მებადებოდა იმწამს სიხარულისაგან აღგზნებულ გონებაში.

მან მართლაც ძალიან ცოტა რამ იცოდა, მაგრამ ეს „ცოტაც“ ჩემთვის „ბევრი“ იყო. მისგან გავიგე, რომ „უცნაურ ადამიანში“ ლერმონტოვმა გადმოსცა თავისი ურთიერთობა ივანოვასთან; რომ ივანოვასთან ინახებოდა თვით ლერმონტოვის ხელით ფაქიზად გადაწერილი ამ პიესის ცალი, ლექსად დაწერილი მიძღვნით, რომ ნატალია თევდორეს ასულს ჰყავდა და, – დარია თევდორეს ასული, რომელიც ცოლად გაჰყვა ოფიცერ ოსტროვსკის; რომ დარია თევდორეს ასულმა მთელი სიცოცხლე გაატარა კურსკში, ხოლო მისი ქალიშვილები რევოლუციამდე იქვე ცხოვრობდნენ. ჩემს შეკითხვებზე ბაბუამისის – ნიკოლოზ მიხეილის ძე ობრესკოვის შესახებ მაკლაკოვამ ვერაფერი მიპასუხა, არ იცოდა, რისთვის აჰყარეს ხარისხი.

– რატომღაც არაფერი არ გამიგია ამის შესახებ, – მითხრა მან, – მხოლოდ ვიცი, რომ ბაბუა სიბერეში თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო ნოვგოროდის გუბერნიის რომელიღაც მაზრაში, იქ მამული ჰქონდა.

– მე კი ვფიქრობდი, დეკაბრისტი ხომ არ იყო-მეთქი, – გამოვუტყდი ნატალია სერგეის ასულს.

– ჩემო კარგო, – ამოიხრა მაკლაკოვამ, – კარგი იქნებოდა, დეკაბრისტი ყოფილიყო.

ბოლოს და ბოლოს წამოვედი, გზაში მომაგონდა, რომ კიდევ რამდენიმე კითხვის მიცემა დამავიწყდა და უკან მივბრუნდი. ამის შემდეგ კი მაკლაკოვასთან ისე დავდიოდი, როგორც სამსახურში.

### სკივრი ბელორუსიის გზიდან

მაკლაკოვა შემპირდა, რომ თვითონ დაივილიდა ყველა თავის მოსკოველ ნათესავს და თვითონ გამოჰკითხავდა, ანსოვთ, თუ არა მათ რაიმე ნატალია და დარია თევდორეს ასულების, მათი მამის, დედ-მამის, დეიდების, ბიძებისა და ნაცნობების შესახებ. მე მხოლოდ კითხვები უნდა ჩამომეწერა, რომლებიც მაინტერესებდა. მისი თქმით, ამის გაგება მისთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე ჩემთვის. გამიხარდა და შეკითხვების მთელი კარტოთეკა მივუტანე.

მალე კვლავ შევიარე მათთან. მაკლაკოვამ შემატყობინა ნატალია თევდორეს ასულის შორეული ნათესავების აუარება სახელები აღმავალი და დაღმავალი ხაზებით და მითხრა:

– თქვენთან სათხოვარი მაქვს, – დამეხმარეთ მანქანის შოვნაში.

– რა მანქანის? – გამიკვირდა.

– ავტომანქანის, – მითხრა მაკლაკოვამ. – ისეთის, რომ მასზე შეიძლებოდეს ჩემი გარდაცვლილი დის ქრისტიანს სკივრის დადგმა. მე ხომ გითხარით, რომ ქრისტიანს სერგეის ასული უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა ბელორუსიის გზაზე, პერსუშკოვოს ახლოს. როცა გარდაიცვალა, დარჩენილი ნივთები მეზობლებს მივაბარეთ შესანახად. მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და არც კი ვიცი, მთელია თუ არა სკივრი. მინდა აქ მოვიტანო, მაგრამ ისეთი უზარმაზარია, საბარგოშიც კი არ ღებულობენ. ამ ბოლო დროს სულ ვცდილობ მოვიგონო, ხომ არ არის იმაში თქვენთვის რაიმე საინტერესო.

მამინვე ვიმოვე მანქანა. მაკლაკოვამ ვილაც გაგ ზავნა სკივრისათვის. მე დროულად გამოვეცხადე ზუბოვსკიზე და დავიწყე ბოლთის ცემა ჭიშკრის ახლოს, სახლში შესვლა ასე ადრე უხერხული იყო, ამასთანავე მეშინოდა, არ გამომპარვოდა ის მომენტი, როცა სკივრს მოიტანდნენ.

მანქანა საღამოთი მოვიდა, გადმოხსნეს ძარას უკანა კედელი, ჩამოათრიეს უზარმაზარი, შემოჭედილკუთხებიანი სკივრი და სახლში შევათრიეთ. მინდოდა, უფრო მეტი სიძიძი მე დამწოლოდა,

არავისთვის არ მინდოდა დამეთმო იგი. ბოლოს დავდვით ოთანში. მაკლაკოვა შეუდგა ამოლაგებას და გადმოყარა რაღაც ნელსაცხებლის შუშები, კოლოფები, სადაფის ალბომები, ძველი მარაოები და ლაკის ხელთათმანები, შლაპების ფრთები და ქინძისთავები, ძველებური ღილები, – როგორებსაც ახლა ვერ შეხვდებით, ლითონის ჩაიდანის, უთო, მოღრეცილი ნავთქურა, ყავის საფქვაკი და ნაჯახი... მაკლაკოვას ყველაფერზე გული უჩვილდებოდა, ჩემთვის კი საინტერესო არაფერი იყო!

და, აი, როცა სკივრი უკვე დაცარიელდა, მაკლაკოვამ ფსკერიდან ამოათრია ღია ყავისფერტყავადაკრული ძველებური ჩარჩო და ღიმილით შეათვალიერა.

– აი, ხედვთ, თქვენთვისაც მოიძებნა რაღაც...

მე კი მხოლოდ ჩარჩოს უკანა მხარეს ვხედავ და მასზე წარწერას ძველებური ხელით: „ნატალია თევდორეს ასული ობრესკოვა, დაბადებით ივანოვა“.

ავიღე ჩარჩო ხელში, შემოვაბრუნე და, როგორც იქნა, დავინახე სახე იმ ქალისა, ვინც ასე უყვარდა ლერმონტოვს და ვის გამოც მე ასე... დავიტანჯე.

ნახი, მოგრძო სახე; ხავერდოვანი გრძელ-ჭრილი თვალები; ამობურცული ტუჩები, რომელთა კუთხეებში თითქოს მიმალულა კეთილი ღიმილი, თმის მაღალი ვარცხნილობა, მოღრეხული ყელი და დაქანებული მხრები... სახის გამომეტყველება კი ისეთი, როგორც ლერმონტოვს აქვს აღწერილი ერთ ლექსში:

ხალხში ამაყი, ბედის მორჩილი

არც თვალთმაქცია და არც გულწრფელი.<sup>1</sup>

მაკლაკოვამ მეორე ასეთივე ჩარჩოც გამომიწოდა:

– ბაბუაც ვნახე! მასსოვდა, რომ ეს პორტრეტები წყვილად იყო: ორივე ფანქრით დახატული და ორივე ერთნაირ ჩარჩოში...

ვუყურებ ობრესკოვს: სუჭუჭა უღვაშებით დამშვენებული ახალგაზრდული, საკმაოდ ლამაზი სახე, მაგრამ გამომეტყველება ქედმაღლური და თითქოს ზიზღიანი, – არასასიამოვნო გამომეტყველებაა.

სამოქალაქო ტანსაცმელშია: ფრაკის მაღალი საყელო, პუშკინის დროს რომ ატარებდნენ; ხავერდის ბაფთი, ძეწკვი ლორწებით და ორდენი ფრაკის კილოში: – ჯვარი ზოლებიან ლენტზე, როგორც ჩანს – გიორგისა.

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

„ეს აღვილია, – გავიფიქრე, – შევივლი ლენინის ბიბლიოთეკაში, ვნახავ გიორგის კავალერების სიას ამ ორდენის არსებობის წლებში და გავიგებ, როდის და რისთვის დააჯილდოვეს ობრესკოვი?“

წავედი ლენინის ბიბლიოთეკაში... საოცარია! ნიკოლოზ ობრესკოვს გიორგის ჯვარი არა ჰქონია. გიორგის ჯვარი მამამისს ჰქონია. ვერაფერი გამიგია! ნუთუ ობრესკოვმა მხატვრის წინ პოზირებისათვის სავარძელში ჩაჯდომისას მამამისის ორდენი გაიკეთა კილოში? ამას წესიერი კაცი არ იკადრებს.

მაშინვე გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, გამომერკვია, რა კაცი იყო საერთოდ ეს ობრესკოვი.

### ნიჟეგოროდის პოლკის ჯარისკაცი

მოსკოვის არქივებში ვეძებე ობრესკოვის გვარი და ვერ ვიპოვე. განსაკუთრებით დიდხანს ვიქექებოდი სამხედრო-ისტორიულ არქივში. ვერც იქ ვნახე. გავემგზავრე ლენინგრადს და იქ, სამხედრო-ისტორიულ არქივში, როგორც იქნა, აღმოჩნდა:

1-ლი არმიის  
გენერალ-აუდიტორიატის  
სამხედრო-სასამართლო

ს ა ქ მ ე

არზამასის ცხენოსან-ეგერთა პოლკის  
პორუჩიკ  
ობრესკოვზე

ეს რომ გადავიკითხე, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს გავიგე, რაშია ცოფილა საქმე. ფორმულირების, დახასიათებების, მოხსენებებისა და დაკითხვის ფურცლების მიხედვით დავადგინე ობრესკოვის ისტორია.

ობრესკოვი დაიბადა 1802 წელს, გენერლის ოჯახში და პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა გვარდიის ერთ-ერთ პოლკში, საიდანაც მალე გადაიყვანეს არზამასის ცხენოსან ეგერთა პოლკში. 1825 წელს ეს პოლკი დაბანაკებული იყო ნიჟნედევიცკში, ვორონეჟთან ახლოს, პოლკის ოფიცრებს ხშირად იწვევდნენ მეჯლისებზე ვორონეჟის სამოქალაქო გუბერნატორ ნ.

ი. კრივცოვთან, რომელიც დაქორწინებული იყო ულამაზეს ე. თ. ვადკოვსკაიაზე. ობრესკოვი მისი ახლო ნათესავი იყო და ამიტომ მას გუბერნატორის ოჯახში თავისიანად თვლიდნენ. ერთი მეჯლისის შემდეგ გუბერნატორმა შემთხვევით აღმოაჩინა, რომ მისი მეუღლის საწოლი ოთახიდან გაეტაცათ მარგალიტი, ოქროს სათუთუნე და ბრილიანტებით მოოჭვილი ზურმუხტის გულქანდა. კრივცოვმა სტუმრებზე მიიტანა ეჭვი. არზამასის პოლკის დროშას სამარცხვინო ჩრდილი დაეცა. მალე ძვირფასეულობა ერთ ოფიცერთან შეამჩნიეს. პოლკის მეთაურმა გამოიძახა დასაკითხავად ოფიცერი, იგი გამოტყდა ქურდობაში და დაკარგული ნივთები დააბრუნა. ეს გახლდათ პორუჩიკი ობრესკოვი.

სამხედრო სასამართლომ ობრესკოვს აპყარა ხარისხი, აზნაურის წოდება და ჯარისკაცად გაამწესა პერეიასლავის პოლკში. იქიდან კი მოხვდა კავკასიაში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც 1829 წელს მონაწილეობდა თურქეთთან ომში. ნიჟეგოროდის პოლკის რიგითმა ობრესკოვმა თავი გამოიჩინა და იგი „ჯარისკაცის გიორგით“ დააჯილდოვეს. ამ ჯვარს ატარებდნენ გიორგის ისეთსავე შავ-ნარინჯისფერ ლენტზე, მხოლოდ გიორგის კავალერთა სიაში ჩაწერის უფლება არ ენიჭებოდათ. ამ ჯვრითაა გამოსახული ობრესკოვი პორტრეტზე.

შვიდი წელი იმსახურა ობრესკოვმა ჯარისკაცად. მხოლოდ 1833 წელს, როგორც იქნა, „მეწყალებულ იქნა მეფის მიერ“ და დაითხოვეს „კოლეგის რეგისტრატორის“ ხარისხით. ასეთი ხარისხით მეფის რუსეთში მსახურობდნენ ყველაზე პატარა ჩინოვნიკები, მაგალითად, პუშკინის სადგურის ზედამხედველი. ამ ხარისხით უნდა დაეწყო ობრესკოვს ახალი ცხოვრება. 1836 წელს მან კურსკის გუბერნატორის კანცელარიაში დაიწყო სამსახური.

მისი შემდგომი ცხოვრება ჩვენთვის საინტერესო არ არის... პირველ ხანებში ცდილობდა აზნაურობის დაბრუნებას, ხოლო სამოციან წლებში მართლაც იყო ნოვგოროდის გუბერნიის დემიანსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა. იმ წელს, როცა იგი კურსკში დასახლდა და იქაური გუბერნატორის სამსახურში შევიდა, ობრესკოვი უკვე დაქორწინებული იყო ნატალია თევდორეს ასულ ივანოვაზე.

რამ აიძულა ნატალია თევდორეს ასული გათხოვილიყო ამ ხარისხაყრილ კაცზე, რომლისთვისაც დაკეტილი იყო სამსახურებრივი

და საზოგადოებრივი წარმატების ყველა გზა? ამას კი ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებთ; თუმცა, ობრესკოვი ითვლებოდა მდიდარ კაცად – ორ გუბერნიაში ჰყავდა შვილას ორმოცდაათი ყმა.

### სავერდისყდიანი ალბომი

ისევ ცუდადაა საქმე! ბევრი რამ გავიგე ობრესკოვის შესახებ და ცოტა თვით ლერმონტოვზე. ამას გარდა, დამიგროვდა აუარებელი გვარები ნატალია თევდორეს ასულ ივანოვას ახლობელი და შორეული ნათესავებისა, რომელთაც რაღაც უნდა მოვუხერხო.

პირველ რიგში გავიგე, რომ მას ჰყავდა მამინაცვალი. ნატალია თევდორეს ასულის დედა თევდორე თევდორის ძის გარდაცვალების შემდეგ გაჰყოლია მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩარტორიჟსკის. ნატალია თევდორეს ასული მის ოჯახში იზრდებოდა. მაშასადამე, ლერმონტოვიც ნამყოფი იქნება მათ სახლში. უნდა გავიგო!

ვეკითხები მაკლაკოვას – არ იცის.

ვეკითხები ჩულკოვს – არც იმან იცის.

მაშინ ისევ მაკლაკოვას შევეკითხე – ვინ არის ეს ჩარტორიჟსკი და როგორ შემიძლია-მეთქი მასზე რაიმეს გაგება. მაკლაკოვა მარწმუნებს, არ მასწოვსო. მაგრამ ძალიან ვთხოვე, ჩავაცვივდი და მოვიგონა.

მოიგონა, რომ ვიღაც ნინო მიხეილის ასული ანენკოვას ბებია დაბადებით ჩარტორიჟსკაია ყოფილა.

– ვინაა ნინო მიხეილის ასული ანენკოვა?

– ერთი დედაბერია, – მეუბნება მაკლაკოვა, – ცხოვრობს შესანიშნავი და გულისხმიერი კაცის ანატოლი მიხეილის ძე ფოკინის სახლში. მე წერილს მოგცემთ და იგი გაგაცნობთ. მათი სახლი ჩვენს პირდაპირაა, – ზუბოვსკის ბულვარი 15.

გადავედი ქუჩაზე და რვასართულიანი სახლის ეზოში აღმოვაჩინე ძველებური სახლი, რომელშიაც ფოკინები ცხოვრობენ. ჩემს შესახვედრად გამოვიდა ძალიან მაღალი, ორმოცდაათი წლის კაცი, რომელსაც სახე წმინდად ჰქონდა გაპარსული, ხოლო ტურნებზე ღიმილი დასთამაშებდა.

მან შეანჯღრია ჩემი ხელი და გამეცნო: „ფოკინი“.

მე გადავეცი მაკლაკოვას ბარათი, რომელიც მან ბოდიშის მოხდით წაიკითხა, მერე ჩაიღო ჯიბეში და მოწყალებით დახარა თავი.

– რით შემიძლია გემსახუროთ?

და თეატრალური, ფართო შესტით მიმიწვია ოთანში. ავუსხენი, რისთვის ვიყავი მისული.

ფოკინმა მძიმედ ამოიოხრა და მწუხარებით შეჭმუნა წარბები. მისი სახე გამოხატავდა სინანულის უმაღლეს წერტილს. ნინო მიხეილის ასული ძალზე მოხუცებულია და ავადმყოფი, ძალიან მოშლილი აქვს მეხსიერებაც. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მართლაც უხსენებია მასთან, ანატოლი მიხაილოვიჩთან საუბარში, რომ მისი ბებიის ქალიშვილობის გვარი ჩართორიუსკაიაა და რომ ეს ბებია დაკრძალულია დონის მონასტრის სასაფლაოზე, მის სამარეზე კი ფრთავაშლილი ანგელოზია გამოხატული. მეტის მოგონება, რა თქმა უნდა, მას არ შეუძლია და ტყუილად აღელდება. ღირს კი დედაბრის შეწუხება? ფოკინს ძალიან არ სიამოვნებს, რომ მე ამოდ დავკარგე დრო, თვითონ მას კი, სამწუხაროდ, არაფერი არ აღმოაჩნდა ლერმონტოვის შესახებ. ძველებური რელიქვიები, რომლებიც ოდესღაც ბებიებსა და ბაბუებს ეკუთვნოდათ, უკვე გაიფანტა – ზოგი დაიკარგა, ზოგი გაიყიდა, თუმცა, მის ცოლს მარია მარკის ასულს შენახული აქვს ჯერ კიდევ შემკვიდრებით მიღებული ალბომი მარიამ დიმიტრის ასული ჟედრინსკაიასი, იმ ჟედრინსკის მეუღლისა, რომელიც სამოციანი წლების ბოლოს კურსკის გუბერნატორი იყო. ამ ალბომში არის პოეტ აპუსტინის ლექსები, საკუთარი ხელით ჩაწერილი.

– შეიძლება გაინტერესებთ ნახვა? – გულისხმიერად მეკითხება ფოკინი, – აპუსტინის ავტოგრაფი ჯერ არ გამოქვეყნებულა.

აპუსტინი?.. რად მინდა აპუსტინი? ჩემს სამუშაოსთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაგრამ ფოკინმა უკვე აიღო საწერი მაგიდიდან მუქ ნაცრისფერი ხავერდისყდიანი დიდი ალბომი. პირველ გვერდზე მართლაც აპუსტინის ლექსია, ალბომის პატრონისადმი მიძღვნილი.

ზუსტად არ დამამახსოვრდა, მხოლოდ მაგონდება, აპუსტინი წერს, რომ იპოვა „ლაზისი“ გუბერნატორის ჭერქვეშ და დაისვენა იქ სულიერად, რომ ისევ მიემგზავრება შორეულ გზაზე, მაგრამ იმედი აქვს, დადოს თავისი სამოგზაურო კვერთხი კურსკის გუბერნატორის მეუღლის „ლამაზ ფეხებთან“. ლექსს ქვეშ თარიღი აქვს მიწერილი – „1873 წლის 2 აგვისტო“. ესე იგი, ამ ალბომის პირველი გვერდი ლერმონტოვის სიკვდილიდან ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ არის დაწერილი. რა უნდა იყოს ჩემთვის საინტერესო ამ ალბომში?

– აპუსტინის გარდა ამ ალბომში სხვა ახალი არაფერია, – მაფრთხილებს ფოკინი, – არც ღირს გადაშლა. დანარჩენი ლექსები

დიდი ხანია ცნობილია, ამ ლექსებს თვით მარიამ დიმიტრის ასული უბრალოდ იწერდა წიგნებიდან.

მართლაც, ყველა ცნობილი ლექსია: ნეკრასოვის „ვოლგის ხედი“, მაიკოვის „თიბვა“, ლერმონტოვის „შორს ჩრდილოეთში განმარტობით დგას“... შემდეგ ლექსები ფეტის, ვილაც სვერბეევის, ისევ ნეკრასოვი, ტიუტჩევი, პუშკინი...

უკვე ალბომის დაბრუნებას ვაპირებ, კიდევ გადავშალე რამდენიმე გვერდი და... უცბად ვხედავ, ჟედრინსკაიას ხელით გადაწერილია:

ნ. თ. ივანოვას ალბომში:

ასე ხანმოკლე შეხვედრა ჩვენი,  
ნუთუ რაიმე ნუგეშს მომიტანს!  
და ვთქვი: – მშვიდობით! – ჟამი გარდუვალ  
განშორებისა როცა მოვიდა.  
და შმაგი ლექსი, რომელსაც ერთვის  
დამშვიდობების დამწველი ალი,  
მე შენს ალბომში დავტოვე შენთვის  
ვით ერთადერთი მწუხარე კვალი!<sup>1</sup>

მ. ი. ლერმონტოვი

წელიც მითითებულია „1832“.

სუნთქვა შემეკრა მღელვარებისაგან. უცნობი ლექსი! ივანოვას! მისი გვარიც სრულადაა დაწერილი! მხოლოდ ზღაპრებში ხდება ასე! პირდაპირ დაუჯერებელია. საიდან გამოტყვრა ეს ლექსი და ისიც 70-იანი წლების ალბომში!

გადავხედე მეზობელ სტრიქონებს... აჰ!

ნ. თ. ივანოვას ალბომში.  
როდესაც ბედი მონიღომებს შენს მოტყუებას,  
და ეს ქვეყანა შემოგისევს წუხილის ღრუბლებს,  
არ დაივიწყო, შენ ამ ფურცლებს მიაპყარ მზერა,  
იფიქრე: იგი, ვინც მკერდით დგას დღეს შენს დამცველად,  
არ მოგატყუებს, არ დაგამწუხრებს!<sup>2</sup>

მ. ი. ლერმონტოვი

ისევ წელი: „1832“.

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

<sup>2</sup> თარგმანი მისივე.



გადავშალე ფურცელი: ლერმონტოვის „სტანსები“ და ისევ უცნობი:

ელვის უსწრაფეს გონების თვალთ  
გავხედე ყველა გამოვლილ ბილიკს,  
არ მაქვს წარსული მე დასანანი,  
რადგან ის ჩემთვის არ იყო ტკბილი.

როგორც დღეის დღემ, აღსავსემ თრთოლვით,  
მან ცხელ ვნებათა ტალღები დამკრა  
მივარდნილ ველზე, როგორც ჯვარს თოვლი,  
მას ბოროტების ქარბუქი ნამქრავს.

არ მიპასუხებს ტრფივით მწველით,  
ამოდ ველოდი მას გულისცემით,  
და სიყვარულზე მე თუკი ვმღერი,  
ის იყო მხოლოდ ოცნება ჩემი.

ვით მეტეორმა დამეულ ნისლში,  
მან ჩემს თვალთა წინ იელვა წამით  
და ვითარც ყველა ამქვეყნიურმა,  
მან მოტყუების შემასვა შხამი.<sup>1</sup>

მ. ი. ლერმონტოვი

თარიღი: „1831“.

– ეს ალბომი, – მეუბნება ფოკინი და ირონიულად მადვენებს თვალს, თუ როგორ ვეცნობი მას, – სინამდვილეში უკვე აღარ ეკუთვნის მარიამ მარკის ასულს. მან იგი დაუთმო სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს და სვალადან მათი საკუთრებაა. ამიტომ გათხოვთ: ჩვენს შორის დარჩეს, რომ ვათვალისწინებდით.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, – ვბურტყუნებ და ვფიქრობ: „ვუთხრა თუ არა, რომ ალბომში ლერმონტოვის გამოუქვეყნებელი ლექსებია? რომ გადაიფიქროს და აღარ გაყიდოს, შემდეგ რა მოხდება? – დაილუპება ერთხელ სასწაულით გადარჩენილი ლექსები, როგორც დაილუპა ლერმონტოვის სხვა ათეულობით ლექსი!.. არა, არ ღირს ალბომის საფრთხეში ჩაგდება. გაყიდა და გაყიდოს“.

დავუბრუნე ალბომი:

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

– დიას, ძალიან საინტერესოა აპუზტინის ავტოგრაფი.

მეორე დღეს კი გავიქეცი ლიტერატურის მუზეუმში და თითქოს სხვათა შორის, ვეკითხები:

– თქვენ, მგონი, ალბომი იყიდეთ ფოკინისაგან?

– ვიყიდეთ.

– შეიძლება ნახვა?

– არა, რას ბრძანებთ? ჯერ აღწერილი არ არის. აღწერენ და შემდეგ დაათვალიერეთ.

აღწერენ? ეს იმას ნიშნავს, რომ უჩემოდ აღმოაჩინენ ლერმონტოვის ლექსებს და ჩემი შრომა წყალში ჩაიყრება.

ისევ შევიარე რამდენიმე დღის შემდეგ:

– აბა, როგორაა საქმე? ჟედრინსკაიას ალბომი ჯერ არ აღუწერიათ?

– უკვე აღწერეს.

ვცდილობ შეუმჩნევლად გამოვიცვალო სუნთქვა:

– რა ნახეს საინტერესო?

– განსაკუთრებული არაფერი, მხოლოდ აპუზტინის ავტოგრაფია.

კინალამ არ გადავიხარხარე სიხარულისაგან. არ შეუმჩნევიათ!

იქვე დავწერე განცხადება ღირექტორის სახელზე, ნებართვა მოეცა გავცნობოდი აპუზტინის გამოუქვეყნებელ ლექსს. მაგრამ, გადავიწერე, რა თქმა უნდა, არა აპუზტინის, არამედ ლერმონტოვის ლექსები და მხოლოდ შემდეგ ვითხოვე ნება მათი გამოქვეყნებისა.

### გამოთხოვნა ნ. თ. ი.-სთან

ასახსნელი მხოლოდ ის დარჩა, როგორ მოხვდა ლერმონტოვის უცნობი ლექსები კურსკის გუბერნატორის მეუღლის ალბომში.

სრულიად უბრალოდ: 1836 წლიდან ნატალია თევდორეს ასული ობრესკოვთან ერთად კურსკში დასახლებულა. დარია თევდორეს ასულმა კი სიკვდილამდე იცხოვრა ამ ქალაქში. შემდეგ იქ ცხოვრობდნენ მისი ქალიშვილები. გასაგებია, რომ დები ივანოვებისადმი მიძღვნილ ლერმონტოვის ლექსებს პოეზიის კურსკელი მოყვარულნი თავიანთ ალბომებში გადაიწერდნენ. ასეთივე გზით მოხვდა ლექსები ჟედრინსკაიას ალბომშიც სამოცდაათიან წლებში.

შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს: ლერმონტოვისაა თუ არა ეს ლექსები.

ლერმონტოვისაა. ამის საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ფოკინის ალბომში აღმოჩენილი „სტანსების“ რამდენიმე სტრიქონი ზუსტად ემთხვევა მეორე „სტანსებს“, რომელიც ლერმონტოვს საკუთარი ხელით ჩაუწერია ჰუმკინის სახლში დაცულ ერთ-ერთ თავის რვეულში.

ახლა უფრო გასაგები ხდება, ნ. თ. ი.-სთან ლერმონტოვის დამოკიდებულების მთელი ისტორია. უკვე ნათელია, რომ შენიღბულ მიმართვაშია ც „...-სადმი“, 1832 წლის შესანიშნავ ლექსებშია ც იგულისხმება ივანოვას სახელი.

უკანასკნელად მიმართავს ლერმონტოვი ნ. თ. ი.-ს, რათა სამუდამოდ განშორდეს მას. როგორი სინანულით იგონებს განვლილ ორ წელიწადს, როგორი სიამაყით ლაპარაკობს თავის შთაგონებულ საქმიანობაზე, როგორ სწამს თავისი დიდი დანიშნულებისა!

აი, ეს ლექსიც განშორებისა:

ქედს არ მოვიხრი მე შენს წინაშე,  
ვერც დაყვედრებით, ვერც სასოებით  
შენ ჩემს სულს ვეღარ დაიმორჩილებ,  
ჩვენ დღეის შემდეგ ვართ უცხოები.  
შენ დაგავიწყდა, რომ თავის ნებით  
გულმა შეცდენა აღარ ინება;  
მე ისეც მსხვერპლად შევწირე წლები,  
შენს თვალებსა და შენს გაღიმებას.  
მე ისეც დიდხანს ვხედავდი რწმენით  
შენში ჩემს ბავშვურ დღეების იმედს,  
მე შევიძულე სამყარო მთელი,  
რომ მყვარებოდი ყველაზე ძლიერ,  
მე რომ დავტოვე შენ ფერხთა წინა,  
ვინ იცის, იქნებ იმ ნეტარ წამებს  
ვტაცებდი მე ჩემს ზეშთაგონებას?  
შენ რა მომიზღე? პასუხი გამეც.  
იქნებ ზეციურ აზრით ნაშუქარ  
ამ ჩემი ნიჭის ლამაზ წყაროდან  
მე ხალხს მივცემდი უცხო საჩუქარს,  
უკვდავებად ხომ ისიც კმაროდა?  
რად მპირდებოდი შენ ასე ნაზად  
იმ უკვდავების სანაცვლო გვირგვინს,  
ერთი მითხარი, დღესა ხარ რაცა,  
რატომ თავიდან არ იყავ იგი.

დე, სხვა გიყვარდეს, იპოვე სხვაში  
სხვა გული – ტრფობის ცეცხლით გამთბარი,  
მე ამაყი ვარ! ცხოვრების ზღვაში  
შენ ვერა მნახო მონად გამხდარი.  
იქნებ მოგშორდე, ოცნებით ვქარგავ  
სამხრეთის ცის ქვეშ მთებს და ხეობებს,  
მაგრამ ჩვენ ერთურთს ვცნობთ ისე კარგად,  
ვერ დავივიწყეთ ჩვენ ერთმანეთი.  
წავალ, თავს მივცემ მე დროსტარებას  
და სიყვარულსა შეეფიცავ ყველას,  
ცრემლი არვისთან გამეკარება  
და ყველას თვალწინ ვიცინებ, მჯერა.

. . . . .  
თუნდაც მიმელო სიკვდილი ბნელი,  
თუნდ მთელ სამყაროს ვუხმობდი ბრძოლად,  
ოღონდ უგუნურს, მაგ ჩვილი ხელის  
კვლავ მეგრძნო ერთი ზედმეტი თრთოლა.  
ღალატი რომ არ ვუწყოდი ასე  
გაძლევი ჩემს სულს, ჩემს აღმაფრენას; –  
ასეთი სულის იცოდი ფასი?  
იცოდი: რომ არ ვიცნობდი შენა!

აი, დასასრული ამ სიყვარულის ამბისა და მასთან ერთად  
კვლევა-ძიების ხანგრძლივი ისტორიისა.

## წარწერა ნახატის ქვეშ

ამას წინათ შეღებზნოვოდსკში მომიხდა ყოფნა. მინერალური  
წყლის სმა, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ გაცილებით კარგად  
ვეგრძნობდი თავს, როდესაც ჩემს ნებაზე ვსერირობდი. მე და მწერალი  
ს. პ. ბაბაევსკი, რომელთანაც სამამულო ომის წლებში არმიულ  
გაზეთში ვმუშაობდი და რომელიც ამჟამად ქალაქ პიატიგორსკში  
ცხოვრობს, სტავროპოლში წავედით. ვიყავით რაიონებში. მან მაჩვენა  
სახელგანთქმული საკოლმეურნეო ელსადგურები, პირველად ვნახე  
ცნობილი სტავროპოლის ჯიშის ცხვრის ელექტროგაკრეჭა. ამ  
ცხვრის მატყლიდანაა გაკეთებული ყოველი მეოთხე კოსტიუმი ჩვენს  
ქვეყანაში. შემდეგ გავწიე ჩერქეზეთში... მგზავრობა მოგვიხდა იმავე

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

გზით, რომლითაც ოდესღაც დადიოდა ლერმონტოვი – კავკასიიდან და კავკასიაში, გადასახლებიდან გადასახლებაში. მაშინ გადავწყვიტე მომეველო ყველა ადგილი, სადაც ლერმონტოვს ფეხი დაედგა. იგი მოგზაურობდა ფორნით, მოიწვედა წინ სამხედრო რაზმებთან ერთად, დადიოდა ცხენით... მანქანით ხომ ძალიან მალე მოივლი ყველაფერს! მე კი, აი, უკვე მერამდენე წელია ვსწავლობ ლერმონტოვს და ერთხელაც ვერ მოვახერხე, ვინახულო ყველა ის ქალაქი და სტანცია, ვნახო ყველაფერი, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული.

პირდაპირ გეტყვით: დაახლოებით თხუთმეტი ათასი კილომეტრი გავიარე. ბევრი ვიარე, ბევრიც ვნახე, მაგრამ ყველგან ყოფნა მაინც ვერ შევძელი.

პიატიგორსკიდან გავემგზავრე გეორგიევსკში, იქიდან პროხლადნიში, მოზდოკში, გადავედი თერგზე. გრიბოედოვის, ლერმონტოვისა და ლევ ტოლსტოის სახელებთან დაკავშირებული თერგის – სტანცების ჩერვლიონაიას, შელკოვსკაიას, სტაროვლადოვსკაიას გავლით მოვხვდი ყიზლარში. აქ შემოვბრუნდი და გეზი გროზნოსაკენ ავიღე. ვიყავი მდინარე ვალერიკზე, სადაც მოხდა ის ბრძოლა, რომელიც ლერმონტოვმა აღწერა თავის შესანიშნავ ლექსში. შემოვიარე ჩრდილოეთ ოსეთისა და ყაბარდოს ტერიტორიები. ორჯონიკიძეზე გავლით, საქართველოს სამხედრო გზით მოვხვდი თბილისში. იქიდან გომბორზე გადასვლით წინანდალში მივედი, შემდეგ დედოფლის წყაროში, ამჟამად საქართველოს წითელ-წყაროს რაიონში: – მივალწიე სოფელ ყარაღაჯამდე, სადაც დაბანაკებული იყო ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი. აქ 1837 წელს სასჯელს იხდიდა გადმოსახლებული ლერმონტოვი; შემდეგ ბორნით ალაზანზე გავედი და აღმოვჩნდი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – ზაქათალაში. დავეშვი სამხრეთით – ნუხისა და შემახის მიმართულებით, ვინაიდან ლერმონტოვს კახეთში მისვლა შემახიდან მხოლოდ ამ გზით შეეძლო.

იქ შემახელი დედოფალი პუშკინის ზღაპრიდან არ შემხვედრია, მაგრამ ზღაპრულ ადგილებში კი ვიყავი...

მხოლოდ სიამოვნებისათვის კი არ ვმოგზაურობდი, მუხლებზე მეწყო ლერმონტოვის სურათებისა და ნახატების ფოტოსურათები. ცნობილია, რომ ლერმონტოვი კარგად ხატავდა, ფერწერის დიდი ნიჭი ჰქონდა. შემონახულია მის მიერ ნატურიდან შესრულებული კავკასიის ხედები, რომლებიც დაცულია მოსკოვისა და ლენინგრადის ლიტერატურის მუზეუმებში. მაგრამ მეტისმეტად

უფერული წარწერები აქვთ: „კავკასიის ხედი. ურემი“, „კავკასიის ხედი. აქლემი“... თუმცა უწარწეროდაც ნათელია: თუ დახატულია კლდე, ურემები გზაზე და მთის მდინარე, მაშინ ესაა „ხედი ურემით“, ხოლო აქლემები კლდის ახლოს და მთელი ჰორიზონტზე წარმოადგენენ „ხედს აქლემებით“. მაგრამ სახელობრ რა არის გამოსახული ლერმონტოვის ამ ნახატებსა და ტილოებზე, სად და რომელ ადგილებშია შესრულებული, არაფერი არ არის ცნობილი. იმდენს ვიყურებოდი მანქანიდან, ლამის კისერი დამიგრძელდა, დაუსრულებლივ ვატრიალებდი თავს, ვათვალიერებდი გარემოს, ვადარებდი პოეტის ნახატებს და ჩემს წინ გადაშლილ ხედებს.

გამიმართლდა: „კავკასიის ხედი ურემით“ დარიალის ხეობაში აღმოჩნდა; „კავკასიის ხედი აქლემებით“, როგორც გამოირკვა, ლერმონტოვს ზეთით დაუხატავს ნატურიდან სოფელ ყარაღაჯის მიდამოებში. სხვა რეპროდუქციებზე აღმოჩნდა ყაზბეგის ახლოს სოფელი სიონი, თამარის ციხე დარიალის ხეობაში, თბილისი... გამოცნობილი ნახატების რიცხვი თანდათან მატულობდა, გამოუცნობისა კი მცირდებოდა და ბოლოს მხოლოდ ერთიღა დარჩა. თითქოს ჩემს ჯიბრზე სწორედ ამ სურათზეა წარწერა. მართალია ლერმონტოვის ხელით არ არის შესრულებული, მაგრამ სარწმუნო კი უნდა იყოს. „ნანგრევები არაგვის პირას, საქართველოში“, – აღნიშნულია საკმაოდ ზუსტად.

მაგრამ რამდენიც არ ვიარე არაგვის გასწვრივ იმ ადგილიდან, სადაც ლერმონტოვმა პირველად დაადგა ფეხი საქართველოს სამხედროს გზას – მცხეთამდე, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, – მსგავსი ადგილი ვერსად ვიპოვე. ლერმონტოვს დაუხატავს მივარდნილი ხეობა, ტყით შემოსილი კლდე, კლდის წვერზე ციხესიმაგრე ქონგურიანი გალავნით, კუთხეებში სათოფურიანი კოშკებით, გალავნიდან მოჩანს ქართული ეკლესიის წვეტიანი გუმბათი. ნახატის შუა ადგილას ბობოქარი მდინარე ორ მხრივ უვლის გარს ფრიალო კლდეს, მეორე ნაპირზე კოშკი და ქონია დახატული. ხეობა კი მთაგრეხილითაა ჩაკეტილი. თავს დავებ – საქართველოს სამხედრო გზაზე მსგავსი ადგილი არ არსებობს!

უკვე უნდა დამეწერა, ალბათ ეს ხედი ლერმონტოვმა ზეპირად დახატა, ანდა შეიძლება განსაზღვრული ადგილი არ ჰქონდა მხედველობაში... მაგრამ თუ თვითონ არა გწამს შენი დაწერილისა, სხვას როგორღა დააჯერებ? ისევ ხელახლა უნდა დამეწყო მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზაზე.

თბილისიდან გამთენიას გავედი. ნუთუ ამჯერადაც ვერ ვიპოვი ამ უბადრუკ ნანგრევებს? სად უნდა წასულიყვნენ? ეს რა საილუმლო სეობაა?

ფასანაურში შეეჩერდი. არაგვის წყლით შევიწროებული კოხტა სახლები ტყიანი მთების ძირას, გზის გასწვრივ, შექუჩებულან. ეს ზუსტად შუაგზაა თბილისიდან ორჯონიკიძემდე.

კვირა დღე იყო. წავედი საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც იყიდება ქათმები, მანონი, კაკალი, ნიორი, სურნელოვანი ქართული პური და ადგილობრივ მცხოვრებლებს ვაჩვენე ლერმონტოვის ნახატიდან გადაღებული ფოტოსურათი. ძალიან მალე მივალწიე მნიშვნელოვან წარმატებას: ბაზარი ნამდვილ ბაზრად გადავაქციე. ყველამ დაანება თავი ყიდვა-გაყიდვას და ფოტოსურათი ხელიდან ხელში გადადიოდა. მოისმა რჩევა: ოცი კილომეტრით უკან, ანანურში უნდა წახვიდეთ, იქაა ციხე-სიმაგრეც, ეკლესიაც და არაგვიც იქვე ჩამოდის...

– ახლახან გამოვიარე ანანური და, რა თქმა უნდა, ჩემით მივხვდი, ერთხელ კიდევ დამეთვალღიერებინა ანანურის ტაძარი. – ვუთხარი მე, მაგრამ შემეკამათნენ, ისე კარგად არ დავითვალღიერებიათ, როგორც საჭიროა. ახალგაზრდებს უფრო მახვილი თვალი აქვთ, თუ შეხედავენ, კიდევ გიჩვენებენო.

მანქანაში მივიწვიე სამი სხარტი და სიტყვაძვირი ჭაბუკი. წავედით ანანურში და ყოველი მხრიდან შემოვუარეთ სახელგანთქმულ ციხე-სიმაგრეს, რომელიც დამრეც მთაზეა აღმართული და თითქოს მთელ არემარეზე ბატონობს. მდინარე აქ მშვიდია; მთების მწვენი ფერდობები, რომლებიც ნათესებითა და ყანებითაა დაფარული, შუაზეა გაყოფილი და ქმნიან ველებს. არც კლდეები, არც ჭიუხები. ერთი სიტყვით, ჩემი გამცილებლები დარწმუნდნენ, რომ ნახატზე არც ანანურია.

ფასანაურში დავმორდი მათ.

აქედან გზის ყოველ მოსახვევში გარემო მკვეთრად იცვლება, უფრო და უფრო ხმაურობს მდინარე. ჰაერი უფრო გრილია და თითქოს უფრო მსუბუქი. მოღრუბლულია. ტყიანი ფერდობები გათავდა. მახლობელ ამწვანებულ მთებს იქით მრისხანედ აღმართულა მოღურჯო მთები, რომელთა გრანიტის წვერის ღრმულებსა და ნოჭებში ატლასივით ლაპლაპებს თოვლი. თვალს ვერ მოაშორებ! ბევრი საოცარი ადგილია კავკასიაში, მაგრამ საქართველოს სამხედრო გზა თითქოს დიდი მხატვრის მიერ არის შექმნილი. ყველაფერი კინოლენტს ჰგავს, რომელშიაც არაფერი არ მეორდება, არაფერი არ არის ზედმეტი, მთლიანად კონტრასტების მონაცვლეობაა.

ლუდას მთის ძირას კაიშაურის ველზე გაშენებულია სოფელი ქვეშეთი, ადრე განთქმული ადგილი – აქ იყო მთის ხალხთა უფროსის რეზიდენცია და საფოსტო სადგური. აქ ათევენდენ ღამეს ჯვრის უღელტეხილზე გადამსვლელები და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალნი. აქ გაათია ღამე გრიბოელოვმა, აქ იშვა პუშკინის დიდებული სტრიქონები:

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰფენია,  
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე...<sup>1</sup>

ამ ადგილას იდგა ლერმონტოვის მიერ „ბელაში“ პირველ გვერდზე მოხსენიებული ღუქანი.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა ხმაურიან არაგვში. ღუქნის ადგილას წამოუჭიმავეთ სოფლის სასურსათო მაღაზია, რომელთანაც, ალბათ იმიტომ, რომ კვირა დღეა, დიდი გამოცოცხლებაა. მხოლოდ შეკაზმული და ხურჯინგადაკიდებული ცხენები ზანტად თვლემენ მესერთან.

გამოვძვერი მანქანიდან და მაღაზიასთან შეჯგუფებულ ხალხს ვაჩვენე ფოტოსურათი. აქეთ-იქიდან მირჩევდნენ, ანანურში დავბრუნებულიყავი, ამ ადგილებში არ არის მსგავსი ციხე-სიმაგრე და ეკლესიაო.

მაგრამ ამ დროს ახალგაზრდა ქალი რუსულანი წამოდგა და მითხრა:

– ახლოს მაჩვენეთ ის, რაც შორიდან დავინახე...

გადავეცი ფოტოსურათი.

დახედა და მირჩია:

– იშოვეთ კარგი ცხენი და გასწიეთ არაგვის სათავეებისაკენ. იქ, ოსთა ლუდას ხეობაში ნახავთ, რასაც ეძებთ.

სხვები შეედავნენ:

– რატომ უნდა წავიდეს ცხენით! სრული კაცია, ცხენს შეუჩვევი. მაინც სად აგზავნი, იქ არც ეკლესიაა, არც ციხე-სიმაგრე, დიდი ხანია ყველაფერი დაინგრა, ქვების გროვები ყრია მხოლოდ. რას ნახავს იქ?

– კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლაში ვისწავლე, – უპასუხა მათ ქალიშვილმა, – როცა ლერმონტოვმა პუშკინის საპატივცემულოდ ღუქნი დაწერა, ჩვენში მოსულა სტუმრად. ეს ას წელზე მეტი ხნის წინათ იყო. შეიძლება მდინარის სათავისაკენ რომ იმგზავრა

<sup>1</sup> თარგმანი პ. იაშვილისა.



ლერმონტოვმა, მაშინ იდგა ციხე-სიმაგრე და ეკლესია, მაგრამ შემდეგ დაინგრა და ახლა მხოლოდ ქვებიღა ყრია.

საპასუხოდ სიცილი გაისმა:

– ქვებით უნდა გაუმასპინძლდე? ამისთვის კი არ მოსულა. თუ ქვები აინტერესებს, რად უნდა ასე შორს წასვლა, დანგრეული ძველი კოშკი იქაც არის და აქაც, აი, იმ მთაზე...

– დამიჯერეთ, – მომიბრუნდა ქალიშვილი, – მე კარგი რჩევა მოგეცით.

არ შემეძლო მაშინვე მესარგებლა ამ რჩევით, უკვე ორი საათი იყო, ხოლო ცხენისა და მეგზურის შოვნა არც ისე ადვილია. არაგვის სათავეებისაკენ გამგზავრება სხვა დროისათვის გადავდე და ახლა გადავწყვიტე გამეველო საქართველოს ძველ სამხედრო გზაზე, რომელიც ადრე ქვეშეთიდან კაიშაურზე გადიოდა და შემდეგ, როგორც ახლა, ჯვრისაკენ უხვევდა. გასული საუკუნის სამოციან წლებში არაგვის პირას გზა სოფელ მლეთამდე გააგრძელეს, ააფეთქეს უზარმაზარი კლდეები, გვერდი აუქციეს კაიშაურის სადგურს, გასჭრეს მოხერხებული მიხვეულ-მოხვეული აღმართი, რომელსაც ხშირად სერპანტინს ადარებენ. ხოლო ადრინდელი ტრასა ქვეშეთი-კაიშაური-ჯვარი, რომელიც ღუდას მთაზე გადიოდა ყოველგვარი მიხვეულების გარეშე და მოგზაური სამი ვერსის მანძილზე მთელი ვერსის სიმაღლეზე აჰყავდა, მიატოვეს. სწორედ ამ გზით დადიოდნენ წინათ. კერძოდ, გზის ეს ნაწილია აღწერილი „ჩვენი დროის გმირში“.

მანქანა ვერ დაძლევდა ასეთ ციცაბო აღმართს, ამიტომ მე და მძღოლმა გადავწყვიტეთ, რომ იგი ჩვეულებრივი გზით წავიდოდა და მომიცდიდა ჯვარის ძირას, მე კი ძველ გზაზე საგრძნობლად შევამოკლებდი მანძილს და საღამოს იქ მივიდოდი.

როცა მანქანა წავიდა და, ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, მტვერი გველივით დაიკლაკნა სწორ გზაზე, მე თანამგზავრების ძებნა დავიწყე კაიშაურისაკენ. გამომეხმაურნენ ბავშვები, ისინი მიდიოდნენ და გზასაც მიჩვენებდნენ...

სასურსათო მალაზიის კუთხის ქვეშ, ღრმა კალაპოტში, დულს და თითქოს მიფრინავს არაგვი. ხიდის მაგივრად კი მასზე არაჩვეულებრივი სიგრძის მორია გადებული, რომელსაც არც რიკულები აქვს და არც თოკი...

მორზე ვაკაკუნებ ხელჯოხს, ვცდილობ ქვევით არ ჩავიხედო, მეშინია თავბრუ არ დამეხვეს... ყოველგვარი ინტერესი დავკარგე

გარემოსადმი. გაშეშებული მივაბიჯებ, ჩემს ფეხქვეშ კი ხმაურობს გაშმაგებული არაგვი. შუაში შევჩერდი...

– სადა დგამთ ფეხებს, – შიშობენ უკვე მეორე ნაპირზე გადასული ბავშვები, – შეხედეთ, საით აპირებთ წასვლას!

მაშინ მორზე წავწექი და თვალდახუჭული ისე გავფოფხდი, როგორც ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ.

– შეიძლება რაიმეს ყიდვა დაგავიწყდათ მალაზიაში? – დაცინვით შემეკითხნენ ბავშვები, როცა ნაპირზე გასული კოსტიუმს ვიწმინდდი, – კარგი იქნება, ერთხელ კიდევ თუ გახვალთ.

მაგრამ ჩვენ უკვე მეორე ნაპირზე ვიყავით!..

მდინარესთან სოფელია. იმას იქით კი მთას ლავგარდანივით არტყია ღრმულებით დასერილი აღმართი, რომელიც წვრილი ქვების ჩამონაყრებითაა მიკრული უფსკრულთან. იგი მიხვეულ-მოხვეულად მიიმართებოდა ზემოთ არაგვის სათავეებისაკენ, თვით არაგვი კი სულ უფრო დაბლა მიიწევს. გავედით ჩახრამულ-ზურმუხტოვან, აქოჩრილი ბუჩქებით დაფარულ ტაფობზე. მთები ისე ახლოს მეჩვენებოდა ამ მოედანთან, რომ ცოტაც კიდევ და ხელს წავავლებ. სინამდვილეში კი ისინი ამ მწვანე ზეგნიდან ორივე მხრივ ველებით არიან დაშორებულნი. დიდებული ხრიოკი მთების ფერდობებზე, ალაგ-ალაგ მიყუყულან სოფლები და თითოეულში ძველებური ოთხკუთხა კოშკი აღმართულა. მკაცრი ბუნება! იქით კი თბილისია! დროდადრო ტყიანი ფერდობების კულისებში მიმალული არაგვი აბრწყინდება ხოლმე და შთაინთქება მზის სხივებით გაჟღენთილ ნისლიან შორეთში. და უკვე გასაგები ხდება, რატომ აღწერა ეს ადგილები ლერმონტოვმა „ჩვენი დროის გმირში“.

მივდიოდით და თან ვსაუბრობდით, რა პროფესიის არჩევა სურდათ ბავშვებს, როცა გაიზრდებოდნენ, როგორი ნიშნები აქვთ, რომელი მათგანია ცხრა, ათი, თერთმეტი წლისა... და, აი, უკვე შევედით სოფელში...

– კარგად ყოფნას გისურვებთ, – ჩვენ კი უკვე სახლში ვართ, – მითხრეს ბავშვებმა.

– ბავშვებო, – მივმართე გაკვირვებით, – უთქვენოდ როგორ გავიგნებ გზას?

– გიჩვენებთ გზას და წახვალთ.

– ბავშვებო, – ისევ შევეკითხე, – კი მაგრამ, ძაღლები?

– თქვენ ხომ რაიმეს მოპარვა არ გინდათ, – მიპასუხეს ბავშვებმა, – რატომ უნდა გემინოდეთ ძაღლებისა?

– მართალია, მაგრამ ძაღლებმა ხომ არ იციან, რომ მე არაფერს წავიღებ.

და ბავშვებმა მითხრეს:

– მაშინ ალბათ ძაღლები თქვენ წავიღებენ.

მარტო მგზავრობაზე უარი განვაცხადე და ვთხოვე მეგზური ეშოვათ ჩემთვის. მიპასუხეს, მეგზური არ არის, არავინ არ მიდის კაიშაურში. თანახმა ვიყავი, დილაძდე მეცადა. ბოლოს მითხრეს, არის მეგზური, ახლა სადილობს და ორმოციოდე წუთის შემდეგ განთავისუფლდებაო.

მოთმინებით ველოდებოდი. ბოლოს გამოვიდა ჩემი თანამგზავრი ტომრით მხარზე, ასე, ცხრა წლისა იქნებოდა. მითხრა, არჩილი მქვია და სოფელ სეთურში მივდივარო.

– არჩილ! – მივმართე, – მომეცი, მე წამოვიღებ ტომარას, ჩემთვის იოლია, შენ კი უფრო თავისუფლად წამოხვალ.

– გმადლობთ! – მომიგო მან, – არაა საჭირო. ხახვის მიტანა მე მაქვს დავალებული და თუ თქვენ წაიღებთ, მე ვეღარ ვიტყვი, რომ დავალება შევასრულე.

– არჩილ, – ვკითხე მე, – ძაღლებთან როგორა ხარ?

– როგორა ვარ, – მიპასუხა, – მე ჯერ პატარა ვარ.

– მე როგორღა მოვექცე?

– მაგაზე ნუ სწუხხართ, ისინი თვითონ მოგექცევიან.

ავდევენე უკან და თითქმის სრულიად დავკარგე მთებში გასეირნების სურვილი.

უცებ გვერდით თვალი მოვკარი ახალგაზრდა კოლმეურნეთა ჯგუფს, რომლებიც გაცხოველებით საუბრობდნენ რაღაცაზე. მივესალმე. აღარ დავაზუსტებ, როგორ მივესალმე მათ, მაგრამ საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მისალმება მლიქვნელოური გამომივიდა. ერთი ჭაბუკი გადმოვიდა გზაზე და დანტერესდა, ასე უპალტოლად და უქედოდ, მხოლოდ საბიჯგი ჯოხით ხელში რატომ მოგზაურობთ ამ ადგილებში, ხომ არ დაიბენით, ან რაიმე დახმარება ხომ არ გინდათო.

მე ვუპასუხე, რომ ამ მიდამოებში გასულ საუკუნეში მოგზაურობდნენ გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი და რომ მე ვმუშაობ რუსული ლიტერატურის ისტორიის სწორედ იმ ეპოქაზე, ამიტომ როგორც ისტორიკოსმა (მე არ ვუთხარი – „ლიტერატურათმცოდნე“) ჩემს მოვალეობად ჩავთვალე გამემეორებინა იმათი მარშრუტი.

მოწონების მაგივრად გავიგონე:

– დიას, სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკა ხანდახან ჯერ კიდევ ჩამორჩება ლიტერატურასა და ცხოვრებას. უფრო ადრე უნდა მოსულიყავით... ჯოხი რომ წამოგილიათ, კარგია, დაგეხმარებათ...

და იგი კომბლით თეთრ-ყვითელი ურჩხულების მოგერიებას შეუდგა. ბანჯგვლიანები, მოკლეთანიანები, ყურწაჭრილები, შავი, თითქოს მურით გათხვრილი დრუნჩებით, ქარიყლაპიასავით წვრილი კბილებითა და იატაგანივით მოღუნული ეშვებით, ისინი ფშვინავდნენ, გვაწყდებოდნენ, ბორგავდნენ, ყელში ხრიალებდნენ. შეურაცხმყოფელი იყო ამ ჩახლეჩილი, ხრინწიანი ყეფის მოსმენა.

ჩემმა ახალმა ნაცნობმა, როგორც იქნა, მოიგერია ისინი და მითხრა:

– უნდა გამოგემშვიდობოთ, კოლმეურნეობის გამგეობაში მივდივარ.

მე ისევ არჩილთან ერთად განვაგრძე გზა.

დავინახე კაიშაური, ჩემი ამასწინანდელი გულისთქმის მიზანი, მაგრამ უცებ წარმოვიდგინე ახალი შეხვედრა მგელძაღვრებთან და გადავწყვიტე ახალი პროექტი წამომეყენებინა განსახილველად.

– რა გვინდა კაიშაურში? – შევეკითხე არჩილს, – გვერდი აუვართ, სუფთა ჰაერი გადავყლაპოთ. რა დაგვრჩენია იქ?

– მთაში ვცხოვრობთ, ნუთუ ჩვენი ჰაერი არა გყოფნით, – სამართლიანად შემეკამათა არჩილი, – გარდა ამისა, მე არასოდეს არ ვიმალები და ყოველთვის გზაზე დავდივარ.

შევედით კაიშაურში. ვხედავ, დგას ზუსტად ისეთი ფერის მანქანა, რომელმაც მე ქვეშეთში მომიყვანა. მანქანასთან კი ისევ ის მძღოლია.

– აღარ დაგელოდეთ ჯვართან, – ჩაილაპარაკა მან, მოშორდა მანქანას და დარბაისლურად გადმოაბიჯა ჩემს შესახვედრად, – გავიგე, რომ ცუდი გზა ყოფილა, მაგრამ მოსვლა მაინც შეიძლებოდა და მოვედი. სანამ აქ ვიდექი, გამოვარკვიე, რომ აი, იმ სახლში ას თხუთმეტი წლის წინათ ლერმონტოვს გაუთევია ღამე. ჩაიდან თანა ჰქონია, წყალი გაუცხელებია, ჩაი დაუღვევია და უსაუბრია მეგობრებთან. ეს ჯერჯერობით არავინ იცის, პირველად მე აღმოვაჩინე. ასევე ჩაწერეთ თქვენს წიგნში.

მადლობა არჩილს! რა დღეში ჩავვარდებოდი, ამ სოფლისათვის რომ გვერდი ამექცია! უკან მოვიტოვებდი მანქანასაც და მძღოლსაც.

გამოვეთხოვე ჩემს კეთილ მეგობარს და გავწიეთ ჯვრის გადასასვლელისაკენ, სადაც უნდა დამეზუსტებინა წარწერები ლერმონტოვის უკვე ამოცნობილ ნახატებზე. ხოლო რას ნიშნავდა წარწერა „ნანგრევები არავის პირას“, მინც გამოუცნობი დარჩა.

საჭირო გახდა ახალი ექსპედიციის მოწყობა ამ ადგილებში. რამდენიმე დღის შემდეგ მივედი სამხედრო გზასთან ლუდას მთის ფერდობთან გაშენებულ სოფელ ყუმლისციხეში. შევედი კოლმეურნეობის გამგეობის სახლში. სწორედ კრება იყო: წყდებოდა საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვის საკითხი. ლერმონტოვის ნახატების ბედი გატაცებულმა ჩემმა მძღოლმა თავმჯდომარეს მიმართა:

– თუ როგორ უნდა გარეკოთ ცხვრები საზამთრო საძოვრებზე, ამას შემდეგ გადაწყვეტთ. ყოველ წელს არ აგზავნით?.. აქ კი ერთი გადაუდებელი მეცნიერული საკითხია გადასაწყვეტი. თქვენია თუ არა ეს მიდამოები? – შეეკითხა დამსწრეთ, აჩვენა მათ ნახატი და გაბრაზდა, – ბოლოს და ბოლოს ვილაცამ ხომ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა? – აწერია – არავგი! მოვდივართ, მოვდივართ და მსურველები არ ჩანან. თქვენი მიდამოები არ უნდა იცოდეთ? კარგად დააკვირდით!

ლიტერატურული მეცნიერების ისტორიაში ალბათ პირველად წყდებოდა საკითხი ასეთი ვითარებაში. გამგეობის წევრებმა დაათვალიერეს ნახატი, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებანი და თავმჯდომარემ წარმოთქვა:

– აქ დახატულ ციხე-სიმაგრესა და ეკლესიას თუ ეძებთ, ჩვენთან არ არის, ხოლო თუ ასეთი ადგილი გინდათ ნახოთ, მაშინ წამოვანიკო, კოოპერატივის ღამის დარაჯი და გაჩვენებთ. ეს ადგილი ღანისის ზევითაა.

წავიყვანეთ ყარაული და წავედით. ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ვუხვევთ და სულ ზევით-ზევით ავდივართ, თითქმის ჯვარს მივალწიეთ. შევჩერდით იქ, სადაც მთის ფერდობზე ჩნდება მწვანე ჩაღრმავება – „ემპაკის ველი“, რომელზედაც გრანიტის კლდის ნამსხვრევები ყრია. გადმოცემით ეს უზარმაზარი ქვები აქ მიმოუფანტავს ეჭვისაგან განრისხებულ მთის სულს – ლუდას, რომელსაც უყვარდა ამ მიდამოებში მცხოვრები მზეთუნახავი. ჩვენ შევჩერდით და დავხურეთ მანქანის კარები, ბილიკმა წაგვიყვანა კლდეებს შორის, ნაპრალისაკენ და ამ ბილიკით დავეშვიტე ორვერსიანი უფსკრულის ძირისაკენ.

აი, მოძღვარი აყვავებულ ველზე ჩამოდის,  
სად რბის არავგი ჩრდილდაცემულ ნაპირებს შუა.<sup>1</sup>

ვერცხლის ნაკადულივით მირბის ამ უფსკრულის ძირას, ანდა უფრო ზუსტად, მხოლოდ ინარჩუნებს მოძრაობის იერს ჩუმი და უძრავი არავგი. უკაცრიელი გეგონებათ სოფლების პატარა მაკეტები. ფეხებქვეშ ციცაბო ბილიკია, მარჯვნივ კლდოვანი კედელი, მარცხნივ სიცარიელე და თითქოს ჰაერში მიაბიჯებ თვითმფრინავის ფრთაზე.

ჩავრბივართ ბილიკზე ქშენით, მთელი ტანით უკან გადაწეულები, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვამოძრავებთ იდაყვებს და ვნანობთ, რომ ადამიანის ორგანიზმს არ გააჩნია მუხრუჭები. როგორც იქნა მივალწიეთ აქაფებული, ახმაურებული არავგის ქვიან ნაპირამდე, ბრტყელი ქვების ზღუდეებშემოვლებულ მცირემოსახლიან ოსთა სოფელთან.

გალმა, ზედ არავგთან მთაა აღმართული. არა, მთა კი არა, თითქოს უზარმაზარი ლოდი ჩამოგორდა საიდანღაც, არავგის წყალთან გაჩერდა და შეიმოსა ხშირი ტყით. ფოთლების საშემოდგომო შეფერადება: ვარდისფერი, ჟანგისფერი, წითური, ყვითელი, ოქროსფერი, მეწამული, – ისე მდიდარია ელფერებით, რომ გეჩვენებათ, მთა მდიდრული ფერადოვანი ხალიჩით დაუფარავთო. და ეს განსაკუთრებით საკვირველია იმიტომ, რომ ხეობა უტყეოა.

მთის ფორმა ნაწილობრივ ჩაიდნის ხუფს წაავაკს: ფერდობები დამრეცია, თხემი კი გრძელი და ვიწრო. თხემზე ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოჩანს. იქითა ფერდობიდან ავობლდით მთაზე. მთა ციცაბოა, მაგრამ მწვანე ბალახითაა შემოსილი და ცხვრის ბილიკებით დაქსელილი. ეს ვიწრო, რამდენიმე სანტიმეტრი სიგანის ტერასები ერთმანეთშია გადახლართული. მათზე მიწაზე ფორთხვით გვერდულად შეიძლება ასვლა.

ზემოთ ქვების ფლატეა – ციხის კედლის ნარჩენები, კოშკების ფუძე, ეკლესიის ნანგრევები, ამ მწვანე ფერდობზე ამაველი კიბის დანგრეული საფეხურები. დგას უსახურავო სამლოცველო, რომელიც აგებულია უდულაბოდ ბრტყელი ფიქალისაგან, აქა-იქ მოჩანს ბათქაშის კვალი.

ნათელი დღეა. მზეზე გველები თბებიან და ნაბიჯების გაგონებისას სისინით მისრიალებენ.

აქედან ბილიკი ქვევით მიიმართება, ხატის სოფლისაკენ, რომელშიაც სულ რამდენიმე ბრტყელსახურავიანი სახლია.

<sup>1</sup> თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

გავედით არაგვის კალაპოტთან. როცა დაახლოებით ნახევარი კილომეტრი გავიარეთ ქვევით, დინების მიმართულებით, მოვიხედეთ უკან და სწორედ ესაა!.. მთა, დაფარული ტყით, ხეობის მოსახვევები, სოფელი გაღმა ნაპირზე, შორეული მწვერვალების იგივე კონტურები, რომლებიც ნახატზეა... თუ კარგად დააკვირდებით, ლერმონტოვის ნახატზე შეამჩნევთ, რომ კოშკის ნაწილი უკვე ჩამონგრეულია, ამჟამად კი ყველაფერი დანგრეულია ფუტემდე.

მოვშორდით ამ ადგილს და მეგზურმა დამანახვა ხვრელი ციცაბო კლდეზე:

– იმ გამოქვაბულშია მიჯაჭვული უბედური ამირანი. ამბობენ, ღმერთი გააბრაზა და მანაც სამაგიერო მიუზღო. არ შეუძლია ბორკილის გაწყვეტა და ამიტომ კვნესისო. სხვათა შორის, პრომეთეზე რომ ამბობენ – ჩვენი ლეგენდაა, მაგრამ ძალიან ცნობილი და უკვე ავიწყდებათ, ვინ მოყვა პირველად...

ამირანი კვნესის გამოქვაბულში! რასაკვირველია, ლერმონტოვმა იცოდა ეს ლეგენდა. გახსოვთ „დემონში“? მგზავრს, რომელსაც ესმის თამარის ქვითინი, ეჩვენება:

...შთენილი ობლად  
ავი სულია მთაში მბორგავი!  
მიაყურებს და გაღვარულს ოფლად,  
ცხენს ააჩქარებს დაუზოგავი...<sup>1</sup>

შესაძლებელია ლერმონტოვმა აქ მოისმინა ეს ლეგენდა?

განგაგრძეთ გზა. მთის თხემებზე სამლოცველო მოჩანს. დამაინტერესა, რა სამლოცველო უნდა იყო.

– ადრე იქ ხატები იყო, – მითხრა დარაჯმა ნიკომ, – ამბობდნენ, რომ ლეკებისაგან თავის დასაცავად ამ სამლოცველოში უნდა ელოცათ... ვინც ელოცებდა, ბრძოლაში გაიმარჯვებდა. ეს ყველაფერი ტყუილია, გადმონამთი, იდეალისტური თვალთახედვა... ძველ ხალხს არ ესმოდა და ეს ლეგენდა შეთხზეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ლერმონტოვი იცნობდა ამ ლეგენდას. თამარის საქმრო „სინოდალის მბრძანებელი“ მიეშურება საქორწინო ნადიმზე, დაარღვია წინაპართა ადათი – არ ილოცა სამლოცველოში და მოკლეს ღამეულ შეტაკებაში.

უეცრად ყველაფერი ნათელი გახდა: სწორედ ეს მიდამოები აღწერა ლერმონტოვმა „დემონში“. მან გააცოცხლა ეს ძველთაძველი

<sup>1</sup> თარგმანი რ. თვარაძისა

ნანგრევები, დაასახლა იქ ხალხი და გადააქცია გუდალის ციხედ. აქვე ცხოვრობს მისი თამარი, აქ მოფრინდება დემონი, რომ თამარის „აბრეშუმის წამწამებზე“ სიზმრების ქსელი დაქსელოს. ხოლო ბოლოს, ებილოგში მან აღწერა ეს ციხე-სიმაგრე, უკვე მიტოვებული, ცარიელი, რომელიც მოგაგონებდა იმ წარსულ დღეებს, იმას, რაც ძალზე გაღელვებდათ პოემაში:

კაიშაურის ველობის მაღლა  
კლდოვან ფერდობს რომ გადმოჰყურებენ,  
გზად მიმავალი შენიშნავს ახლაც –  
ძველი ნანგრევის დგას ქონგურები.  
მის გამო ნათქვამ საზარელ ამბავს  
ბავშვებს წარსულით კვლავ გადმოსცემენ...  
ხეებში შავად მდგარი რომ ჩანდა,  
ახლაც დგას იგი მწუხარე ლანდად,  
დგას იმა დღეთა უტყვი მოწამე.  
მიმოფანტულა დაბლა აული,  
მწვანედ ბიბინებს მიწა სვიანი,  
მოისმის ხმები ადამიანის  
და იკარგება შორეთს ხმაური.  
შორით მოსული გზად ქარავანი  
მიდის – ჟღარუნით მონანინარე,  
და რძისფერ ნისლში ეძებს სავანეს  
გადმონაჩქერი კლდეზე მდინარე.  
და მარად უჭკნობ სიცოცხლის ფერით –  
თვალს რომ ხალისად ესაღბუნება  
მზე, გაზაფხული, ცა მისმიერი –  
კვლავად ბაღღივით ლაღობს ბუნება.  
მაგრამ მწუხარებს სასახლე კლდეზე,  
ოდესმე მშვენი და დიდებული,  
როგორც მოხუცი, გამწყრალი ბედზე,  
ახლობელთაგან დავიწყებული.  
წარსულთა დღეთა ყოვლი ყოფილი,  
იავარქმნილი და დამხობილი,  
ჟამთასვლაში რომ უკუნეთს მიდის,  
აწ აღარავის მოაგონდება –  
თავად გუდალის დიდება დიდი  
და მისი ქალის მწარე გოდება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> თარგმანი რ. თვარაძისა.



დავბრუნდი თბილისში. მაინტერესებს: სად ვიყავი, რა ვნახე?

მივუკაკუნე ისტორიკოსს, ვინახულე ეთნოგრაფი, ვესაუბრე ხელოვნებათმცოდნეებს, არქეოლოგებს, კომპოტმცოდნეებს – არის ასეთი იშვიათი სპეციალობაც! დავიწყე ძველებური რუკების დათვალიერება. ისტორიკოსისა და გეოგრაფის კახუშტი ბატონიშვილის მიერ 1835 წელს შედგენილ საქართველოს ხელნაწერ რუკაზე იმ ადგილას, სადაც ვიყავი, აღმოვაჩინე ჯვრიანი წრე წარწერით: „მონასტერი ყოვლადწმიდისა“.

გადავშალე იმავე კახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ და წავიკითხე: „ამას ზეით (ე. ი. არაგვის სათავეებისაკენ) არის მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი“.

გაუქმებული ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში?.. მაშასადამე, ლერმონტოვს დაუხატავს შუასაუკუნეების ციხესიმაგრე!

ნახატმა მოულოდნელად ახალი აზრი მიიღო. ეს ისტორიული დოკუმენტია! უკვე აღარ არსებული ძეგლია ასახული! არც ისაა საკვირველი, თუ ლერმონტოვის ამ ნახატის რეპროდუქციები მალე გამოქვეყნდება ქართული არქიტექტურის ისტორიაში, საქართველოს სამხედრო გზის მიდამოების მეგზურში...

მაგრამ მთავარი ეს მაინც არაა. მთავარი ისაა, რომ ლერმონტოვის ნახატი ავსებს ჩვენს წარმოდგენას, ლერმონტოვის შემოქმედებაზე, როგორც ჩანს, ეს ნახატი პოემა „დემონისათვის“ მანამდეა შესრულებული, სანამ თვით პოემა დაიწერებოდა მთლიანად. კიდევ მეტი: საერთოდ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლერმონტოვის ნახატები მოგზაური ოფიცრის უსაქმობით გამოწვეული გართობა კი არ იყო, არამედ პოეტის უბის წიგნაკის ერთი სახეობაა, მისი შთაგონებული და შეუპოვარი მუშაობის ნაწილია. ამ ნახატებში აირეკლა ლერმონტოვის მუშაობის კულტურა, მისი მრავალმხრივი ნიჭის შინაგანი კავშირი.

ეს ნახატი გვეხმარება „დემონის“ შემოქმედებითი ისტორიის გაგებაში. ის ამტკიცებს, რომ ლერმონტოვმა არაგვის ხეობაში გაიგონა ხალხური გადმოცემები და ლეგენდები, რომ მან სწორედ ქართული ხალხური პოეზიის ნაწარმოებები დაუდვა საფუძვლად თავის პოემას.

არა მარტო პოემაში, არამედ ნახატებშიაც აისახა პოეტის დამოკიდებულება ხალხთან. თვით მათი შექმნის ფაქტი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს და სიამაყეს იწვევს.

აი, რა აზრებს ბადებს ლერმონტოვის ნახატი. წარწერა? წარწერა რჩება აღრინდელი: „ნანგრევები არაგვის პირას საქართველოში“. მხოლოდ ახლა ამ წარწერაში მოთავსდა, ჩაექსოვა ჩვენთვის უფრო ღრმა შინაარსი, ვიდრე ადრე იყო.

## ლერმონტოვის თანამემამულე

1948 წლის ივნისში, ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკის ხსოვნის საზეიმო დღეებში, მწერლებისა და მეცნიერების დიდი დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვიდან იმ ადგილებში, სადაც ლერმონტოვმა გაატარა ყრმობის წლები, – პენზაში და პენზის ოლქში.

არასოდეს და არსად არ ყოფილა, მხოლოდ ჩვენშია, რომ დიდი ადამიანების ხსოვნის ზეიმი გადაიქცევა თითოეულისათვის, ვინც მონაწილეობს ამ დღესასწაულის განხორციელებაში, ასეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენად. თუმცა ჩემთვის არავის არ მოუნიჭებია უფლება, მაგრამ გადავწყვიტე პირადად ჩემი და მთელი ჩვენი დელეგაციის სახელით, რომელიც ბელინსკის ძეგლის საფუძვლის ჩაყრას ესწრებოდა პენზაში, პენზის საოლქო თეატრში იმყოფებოდა საზეიმო შეკრებაზე, განვაცხადო, რომ ეს დღეები სამარადისოდ დარჩება ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და კეთილ მოგონებად.

პენზიდან ქალაქ ჩემბარისაკენ გავწიეთ, რომელსაც სწორედ ზეიმის დღეებში მიეკუთვნა ბელინსკის სახელი. ჩემბარიდან კი ჩვიდმეტ კილომეტრზე არის თარხანი – ამჟამად სოფელი ლერმონტოვო, სადაც გაატარა ლერმონტოვმა პირველი ცამეტი წელი, თითქმის ნახევარი თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა და სადაც დაიკრძალა. მე კი რამდენი წელია ვსწავლობ ლერმონტოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას და, ჩემდა სამარცხვინოდ, არასოდეს არ ვყოფილვარ თარხანში. ადრე იქამდე მიღწევა საკმაოდ ძნელი იყო: მოსკოვიდან თვრამეტი საათის სავალია რკინიგზით, სადგურ კამენკაში ღამით ჩერდება მატარებელი, სადგურიდან კი ორმოცდაათი კილომეტრი სულ ოღროჩოღრო გზით უნდა იარო... შემდეგ გამოცდილი ხალხისაგან გავიგე, რომ იქამდე მისვლა არც ისე ძნელი ყოფილა, მაგრამ ამ დროს მოახლოვდა კიდევ ლერმონტოვის საიუბილეო თარიღი: 1941 წლის ივლისში ლერმონტოვის საიუბილეო კომიტეტის დელეგაცია

უნდა გამგზავრებულიყო ლერმონტოვოში და გვირგვინებით შეემკო პოეტის საფლავი. მე ამ დელეგაციის შემადგენლობაში შევდიოდი და ვაპირებდი ლერმონტოვოში ჩასვლას. ყველა ეს გეგმა ომმა ჩაშალა.

ამჟამად ბელინსკის ზეიმზე მიმავალი, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე თუ ისე მოვხვდებოდი ლერმონტოვოში.

აი, მიქრიან დელეგაციის მანქანები პენზის ბორცვებიან ტრამალებზე და უცბად მარცხენა მინიდან შორიანლოს დავინახე ძველებური ქარის წისქვილი, ძველი პარკის მწვანეში ჩაფლული ორსართულიანი სახლის სახურავი, თეთრი ეკლესია და სოფელი – ასე კარგად ცნობილი ჩემთვის სურათებიდან. ლერმონტოვო! ვგრძნობ, რომ გვერდის ავლა არ შემიძლია, არც მაქვს ამის უფლება. ვცდილობ თანამგზავრები დავითანხმო, რომ მცირე ხნით მაინც შევუხვიოთ ლერმონტოვოში.

– არა! – მეუბნებიან, – დღეს არ ღირს, აქეთობისას გამოვიართ.

რომ ვერ გამოვიართ?

მაინც შევაყენეთ მანქანა. გადმოვედი გზაზე და ხელი ავწიე. ერთიმეორეზე მიყოლებით შეჩერდნენ ჩვენი ქარავნის დანარჩენი მანქანები. ახმაურდნენ კარებები. ჩვენი დელეგატები გადმოვიდნენ მუხლების გასამართავად, თან ისიც აინტერესებდათ, რატომ შევჩერდით.

ვთხოვე, ლერმონტოვოში გამიშვით-მეთქი.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფადეევი დაფიქრდა და... არ მომცა ნება: მარტო შენ კი არ ხარ ასეთი – რაღაც განსაკუთრებული, მარტო შენ კი არ გინდა ლერმონტოვოს ნახვაო.

– ყველას გვინდა ლერმონტოვოში!

და მანქანებმა პირი იბრუნეს ლერმონტოვოსკენ. გავიარეთ სოფლის ქუჩა, შემოვუარეთ დიდ გუბურას და გავჩერდით სახლ-მუზეუმის ეზოში. აქ უჩვენოდაც მრავალ მანქანას მოეყარა თავი მეზობელი რაიონებიდან და ოლქებიდან. ბელინსკის ზეიმზე მიმავალი სხვა დელეგატებიც მიმხვდარან, შემოეხვიათ ლერმონტოვოში.

შევედით მემორიალური სახლის პატარა ოთახებში, რომლებიც სავსეა მოსულთა ჯგუფებით. ისმის უჩინარი ექსკურსიის მძღოლების ხმა – ახსნა-განმარტებას სხვადასხვა მხრიდან იძლევიან ღირექტორი,

მუზეუმის თანამშრომლები, მასწავლებლები... წავიგრძელე კისერი, ფეხის წვერებზედაც შევდექი, ვცდილობ დავინახო, რას უჩვენებენ, მაგრამ ხეირიანად ვერაფერს ვხედავ. ვიცი, რომ ოცი წუთის შემდეგ უკან გაებრუნდებით და, რასაკვირველია, შემეძლო მეთქვა, რომ ვიყავი ლერმონტოვოში, მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახე.

დავიწყე ფუსფუსი მეორე დილამდე ლერმონტოვოში დარჩენის ნებართვისათვის. თავს იმით ვიმართლებდი, რომ ჩემი ვალი ბელინსკის მიმართ მხოლოდ საზეიმო შეკრებაზე პრეზიდენტში ვდომით ამოიწურებოდა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფადეევმა მომიხმინა და... დამრთო ნება. მაგრამ მაშინვე მირჩია, რომელიმე დელეგატს შევთანხმებოდი:

– ხვალ აქეთ შემოუხვიონ, არ დაავიწყდეთ სიჩქარეში!

მივედი მწერლებთან და სათითაოდ ვთხოვე ყველას, რომ ხვალ აქეთობისას გამოეგლოთ ჩემს წასაყვანად. თავი დავიზღვიე! ეჭვიც არ ამიღია, რომ მეორე დღეს უნებლიეთ მთელ დელეგაციას ვაიძულებდი სოფელ ლერმონტოვოში შემოეხვია, თუმცა, როგორც შემდეგ გამოვარკვიე, ნაწყენი არავინ დარჩენილა.

დაბოლოს, ყველანი წავიდნენ: ჩვენი დელეგაცია, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან და ოლქებიდან, ლერმონტოვოელი კოლმეურნეების დელეგაცია, მუზეუმის დირექტორი, ექსკურსიის მძღოლები, მასწავლებლები... წავიდა სოფლის მილიციელიც... ყველანი გაემგზავრნენ საზეიმო შეკრებაზე ქალაქ ბელინსკში. მე დამტოვეს დარაჯი ქალის მზრუნველობის ქვეშ და, როგორც იქნა, მომეცა სრული შესაძლებლობა ყველაფერი დაწვრილებით დამეთვალეურებინა. დავიარე ყველა ოთახი, გავისეირნე პარკის ყველა ხეივანში – ჩამოვჯექი ყველა ძელსკამზე და სამი საათის შემდეგ აუჩქარებლივ გავემართე სოფლის ბოლოსაკენ, სადაც თეთრი ეკლესიის ახლოს, პატარა ეკვდერში, განისვენებს ლერმონტოვის ნეშტი.

ეკვდერთან დგას საკმაოდ მაღალი მუხა, რომელიც, როგორც ჩანს, დარგულია ლერმონტოვის პატივსაცემად, მისი სურვილით, რათა მის საფლავთან:

მუხამ ტოტები ძირს დახაროს და იშრიალოს.

ეკვდერს დარაჯობს და ექსკურსიები დაჰყავს დაახლოებით სამოცდაათი წლის ყარაულს.

არასოდეს, არსად არ შემხვედრია და არ მომიხმინია ასეთი

ექსკურსიის მძღოლისათვის! ლერმონტოვზე იგი ცოცხლად, ისე დაწვრილებით და მართლად ჰყვებოდა, რომ მოგეჩვენებოდათ, მივლინებით ყოფილა იმ ეპოქაში და სულ ახლახან დაბრუნებულაო. მაგრამ ამასთან ერთად იგი არ ტკებოდა მხოლოდ წარსულის ცოდნით, არ ცოცხლობდა იმით, არა! ლერმონტოვი მის მონაცოლში თითქოს ამოწეულია იმ ეპოქიდან. მოახლოვებულია ჩვენთან, თითქოს ამ დარაჯის გვერდით დგას და „როგორც ცოცხალი, ცოცხალს ელაპარაკება!“

უპირველეს ყოვლისა, მოხუცი დაინტერესდა – ლერმონტოვისეული ადგილების დასათვალიერებლად დელეგაციას შემთხვევით ჩამოვრჩი თუ განზრახ. როგორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა პასუხით და პირობების ჩამორთმევა დაუწყო ბავშვებს, რომლებიც ლობესთან იდგნენ და ჩვენს მცირერიცხოვან დელეგაციასთან შეერთებას მოითხოვდნენ.

– ბიჭებო, თქვენ ჩემი პირობები იცით! თუ რომელიმე თქვენგანი ერთ სიტყვას დასძრავს, აღარ დავიწყებ იმის გარჩევას, ვინ თქვა, და ყველას გაგყრით. გასაგებია? იქნებით აქ პირველი სიტყვის ამოღებამდე. ქუდები ქუჩაში დატოვეთ და მიდით მიხაილ იურიჩთან...

სიტყვების „მიდით მიხაილ იურიჩთან“ წარმოთქმისას მრავალმნიშვნელოვნად დაუწია ხმას.

შევდივართ. ეკედერის შუაში კეთილშობილი შავი მარმარილოს ძეგლია ოქროს ასოებით: „მიხაილო იურის ძე ლერმონტოვი“. ძეგლის მარცხენა წახნაგზე დაბადების თარიღია, მარჯვენაზე კი სიკვდილის. მის უკან მარცხნივ და მარჯვნივ ოდნავ მოჩანს ლერმონტოვის დედის – მარიამ მიხეილის ასულისა და ბაბუას – მიხეილ ვასილის ძე არსენიევის ძეგლები.

– ეს ძეგლები, – მიხსნის ჩემი გიდი, – ბებამ, ელისაბედ ალექსის ასულმა დადგა. მან ყველა დამარხა რიგრიგობით: ქმარიც, ქალიშვილიც და შვილიშვილიც. თვითონ ბოლოს გარდაიცვალა და მისთვის უკვე აღარავის დაუდგამს ძეგლი. მემკვიდრეები მამულის ხელში ჩაგდებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი და დაკმაყოფილდნენ იმით, რომ კედელზე ფირფიტა გააკრეს: „ელისაბედ ალექსის ასული არსენიევა... გარდაიცვალა 1845 წელს 85 წლისა...“ არ არის სწორი! თუმცა ბებერი კი იყო, მაგრამ უახლოესი გამოკვლევებითა და ცნობებით ოთხმოცდახუთის კი არა, სამოცდათორმეტისა ყოფილა... თქვენ ჯერ ძეგლები დაათვალიერეთ, – მეუბნება, – მე ქვევით

ჩავალ, სინათლეს ავანთებ... თქვენ კი, – მიუბრუნდა ბიჭებს, –  
წადით! ზედ ძეგლთან რომ ლაპარაკობთ, არა გრცხვენიათ, აბა  
გასწით აქედან!

ბავშვები თავს იმართლებენ:

– ჩუმაღ ვიქნებით... როგორც შევთანხმდით...

– პირობას კარგა ხანია გადაუხვეით, – შეედავა მოხუცი, –  
გადით ქუჩაში და იჩურჩულეთ, რამდენიც გინდათ, ანდა არც ერთი  
სიტყვა! მაშინ დარჩით.

იგი ქვევით ჩავიდა აგურის ხრახნილი კიბით. მალე ამოჰყო თავი  
და მიგვიწვია.

და, აი, აკლდამის დაბალი კამარა, წინ უზარმაზარი შავი ლითონის  
ყუთი, რომელიც დაყრდნობილია მუხის ექვს მაგარ ქვესადგომზე.  
ჩვენ გვყოფს შავი ზღუდე. კუბოს თავთან თეთრ ნიშში ლითონისავე  
შავი გვირგვინი ჰკიდია და კამარის ქვეშ სხვადასხვა ადგილას  
რამდენიმე ანთებული სანთელია მიწებებული. ეს თბილი სინათლე  
გრილ მიწისქვეშეთში და ჩვენი წყნარი სუნთქვა სამარისებურ  
სიჩუმეში გვაიძულებს კიდევ უფრო მძლავრად ვიგრძნოთ ამ წუთის  
სიღიადე.

– თუთიის ამ ყუთში, – წარმოთქვა მოხუცმა, – ჩარჩილულია  
მეორე კუბო მიხეილ იურის ძის ნემშით და ეს ყველაფერი იმავე  
სახითაა, როგორც მოიტანეს აქ კავკასიიდან, ქალაქ პიატიგორსკიდან  
1842 წლის გაზაფხულზე...

– როცა ლერმონტოვი მოკლეს, – განაგრძო მან დუმილის შემდეგ,  
– ბებიამისი ტიროდა, თავს იკლავდა. ისე ტიროდა, რომ დაბრმავდა  
კიდევ. მთლად კი არ დაბრმავებულა – სინათლე ჰქონდა, მაგრამ  
ქუთუთოები თავისით ვერ ეწეოდნენ, თითით უნდა დაეკავებინა...

თავის ძმას ათანასეს მისწერა: „მინდა შეილიშვილი მიშენკა  
დედამისის საფლავის ახლოს, მშობლიურ მიწაში დაემარხო“. იმან  
უპასუხა: „ხელმწიფეს სთხოვე“. და მართლაც გაუგზავნა თხოვნა.  
მოვიდა ნებართვა: „მოტანილ იქნას აუცილებელი სიფრთხილის  
დაცვით“, რომ არავითარი ხმაური არ ყოფილიყო და ნემში თუთიის  
კუბოთი გადმოეტანათ.

ათანასემ გამოუგზავნა ეს ყუთი. ბებიამ დაუძახა ლერმონტოვის  
მსახურებს – ანდრეი სოკოლოვს, ივანე ვერტიუკოვს, კიდევ ერთ  
ჩვენებურს, თარხანელ ბოლოტინს და უთხრა მათ: „იმას თქვენ  
უყვარდით, თქვენც პატივს სცემდით, უგლიდით მას, თან ახლდით

პეტერბურგსა და კავკასიაში, მასთან ერთად ინაწილებდით ბრძოლების საშიშროებას. მე თქვენ ცოცხალს განდობდით მას, ახლა კი წაიღეთ ეს შავი კუბო, ფული რამდენიც გინდათ, ორი სამცხენაც წაიყვანეთ. წადით ქალაქ პიატიგორსკში და მომისვენეთ აქ ჩემი შვილიშვილი მიხეილ იურის ძე...“

გაუშვა ისინი. რამდენ ხანს იარეს, ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი, დაუშვათ ორი-სამი თვე... გზები თქვენც იცით, როგორი იყო მაშინ. ეს ახლაა ყველგან ასფალტი...

კავკასიიდან იმ დროს პენზით კი არ მიდიოდნენ, იგი განზე რჩებოდა, უფრო ვორონეჟის, ტამბოვის, კირსანოვის, ჩემბარის გავლით მიემგზავრებოდნენ. შემდეგ ხმა გავარდა – მოდიანო! გამოვედით ყველანი, ვხედავთ... – აქ ენა დაება და შემდეგ გამოასწორა: – არა, ჩვენ კი არა! ჩვენ სად ვიყავით მაშინ... მაგრამ სულ ერთია, ჩვენებურები, თარხანელები ხომ იყვნენ, მაინც ხალხია! გამოვიდნენ და ხედავენ, მოდის შავი კუბო ორი სამცხენით და კუბოს უკან მილეთი ხალხი. ყველა ტირის!

როგორც კი მოახლოვდნენ, ბებია გამოიყვანეს შესახვედრად. „მოიყვანეთ?“ – შეეკითხა, ქუთუთოები თითით ასწია. – „ეს რა არის, მიშენკა?“ და დაეცა.

ბებიამ თვალები დაივსო ტირილით და ჩვენთან სოფელში ხომ რამდენი ცრემლი დაიღვარა, ამას ვინ იტყვის! ყველაზე უფრო ლუკერია ტიროდა, მჭედელ შუბენინის ცოლი, მიხეილ იურის ძის გადია, ისე მოთქვამდა, როგორც ღვიძლი დედა. ისე ეცოდებოდა, თითქოს ღვიძლ შვილს მარხავდა. მიხეილ იურის ძე დიდ პატივს სცემდა. ხშირად ჩამოვიდოდა ხოლმე თარხანში და ჯერ ბებიასთან კი არა, შუბენინებთან მივიდოდა, მოეხვეოდა ლუკერიას ყელზე და ჰკოცნიდა: შენა ხარ ჩემი დედიკო!

ბებია გაიგებდა და ბრაზობდა: „სადაური შენი დედიკოა! რას ჰკოცნი? ყმა არის შენი. გადია იყო, გაწოვა ძუძუ და მორჩა!“ იცით, მიხეილ იურის ძემ კი პირდაპირ უპასუხა, უხეშად: „ბებია, ასეთ აზრებს ნუ მინერგავთ, ცუდად გცნობივართ. იმან დედასავით გამზარდა და სამუდამოდ მისი პატივისმცემელი ვიქნები!“ ბებია, რა თქმა უნდა, გაჩუმიდა! ეშინოდა, შვილიშვილი არ გაებრაზებინა.

მეორეჯერ მოვიდა და ჩვენმა გლეხებმა საჩუქრად ნაცრისფერი ცხენი მოჰკვარეს კიბესთან. მთელი დღე აჭვნა და სალამოს თქვა: „ბებია, მადლობა უნდა გადავუხადო მათ. ცოცხალი ცხენი მაჩუქეს,

მე კი ახალ ქოხებს ვაჩუქებ, დაე, ხე-ტყე მუქთად წაიღონ ჩვენი „გრძელი“ ჭალიდან. აი, ეს იქნება ჩემი საჩუქარი ხალხისათვის!“

ელისაბედს კანკალი აუვარდა, მაგრამ შეკამათება ვერ გაუბედა და უთხრა: „ყველაფერი შენია, რაც გინდა, ის გააჩუქე“.

იგი არც ცემის უფლებას აძლევდა ვინმეს – თუ კიდევ დავინახე კანტორაში როზგი, მეორეჯერ აქ აღარ მოვალო. გლეხებისათვის მიწის მიცემასაც აიძულებდა ბებიას, ისიც ჰპირდებოდა, მაგრამ სიკვდილამდე არ მიუცია, – არ დაემორჩილა მის სურვილს...

ხალხურ გადმოცემებში თითქმის ყოველთვისაა შერეული პოეზიის ელემენტები, რაც არ ამახინჯებს მათ სიმართლეს. სწორად ისინი არაზუსტნი არიან, სამაგიეროდ, სწორად აშუქებენ შემთხვევებისა და ადამიანების ხასიათს, კარგად ასახავენ მის მთავარ არსს, სიღრმეს, როგორც ეს მხოლოდ პოეზიას შეუძლია.

– ღიას, – ამბობს დარაჯი ფიქრის შემდეგ, – მიხეილ იურის ძე ხალხს შესანიშნავად ეპყრობოდა – პატივისცემით, ყურადღებით, ხანდახან გაიგებდა, რომ სოფელში სიმღერას ან ფერხულს წამოიწყებდნენ, მაშინვე გადმოვივლიდა ჯებირებს, ქურთუკის სახელოში არც კი ჰქონდა გაყრილი ხელი და გაჰყვიროდა: „მოიცათ, უჩემოდ არ დაიწყეთ სიმღერა, შეიძლება რაიმე გამოძრჩეს“... თქვენ გაიარ-გამოიარეთ, ხალხს ესაუბრეთ, მეოთხე-მეხუთე თაობაში ახსოვთ იგი. ისეთ რამეებს მოგიყვებიან, წიგნებში ვერც ნახავთ. შესანიშნავად იგონებენ მიხეილ იურის ძეს. ბებიაძისზე არაფერს ვიტყვი... ელისაბედზე ცუდსაც ამბობენ... ანდა, რატომ უნდა მოიგონონ კარგად? – ვინ იყო, – მემამულე, მბრძანებელი და ახირებული! აი, აქ ერთი ლექტორი იყო, ლექცია წაიკითხა მუზეუმში... საინტერესო ლექცია იყო, მაგრამ არასწორი! უსმენ და გამოდის, რომ მიხეილ იურის ძეც კარგია, ბებიაძისიც, ბებიას ძმა ათანასეც არაა ცუდი და საერთოდ მთელი ნათესაობა შესანიშნავია. ლექსებს მაინც ბებია კი არა, მიხეილ იურის ძე წერდა და საჭიროა მათი განსხვავება... გულახდილად გეტყვით, – განაცხადა ხელის ჩაქნევით, – მძულს ბებიაძისი... მისმა ქმარმა მიხეილ ვასილის ძემ მასთან ცხოვრებას საწამლავის დაღვევა არჩია... ძეგლი მერე დაუდგა, თორემ პირველად დამარხვაც კი არ უნდოდა. კარგი არავის ახსოვს მისგან. ქალიშვილსაც სიცოცხლე მოუშხამა, მარია მიხეილის ასულს ხალხი კარგად იგონებს, თავაზიანი ყოფილა, ნაზი და ლამაზი, კეთილი ხასიათისა. როგორც ჩანს, მიხეილ იურის ძე დედას ჰკავდა და არა ბებიას!



აი, შეუყვარდა მარიამ მიხეილის ასულს იური პეტრეს ძე ლერმონტოვი, ჩვენი მიხეილ იურის ძის მამა. კარგი იყო და ამიტომ შეიყვარა. ბებიას კი არ უყვარდა – „ცუდი კაცი“ და იცით, დღემდე იმეორებენ „ცუდი იყო, ცუდიო“. საჭიროა, ჯერ გაირკვეს, რით იყო „ცუდი“, ბებიასათვის მართლაც „ცუდი“ ყოფილა: მოუწესრიგებელი და ღარიბი მამულის მქონე, სამსახურებრივი მდგომარეობით – გადამდგარი. მისი ტოლი არ იყო. ჩვენთვის კი შესანიშნავი იყო! იმიტომ, რომ 1812 წელს სამშობლოს იცავდა და მიხეილ იურის ძე წარმოშვა. საკმარისია მისგან! ასე არაა? იქამდე მიიყვანა ელისაბედმა საქმე, რომ მარიამი აქ ცხოვრობდა, იური პეტრეს ძე კი მოსკოვში. მარიამს შეეძინა ბიჭუნა – მიხეილ იურის ძე, გავიდა ორი წელი და მარიამი გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, ფილტვების ტუბერკულოზით – ჭლექით. შესაძლებელია, რომ ჭლექითაც, მაგრამ არ მჯერა, რომ მართლ ეს იყოს მიხეილი... კარგად შეხედეთ, რა აქვს ძეგლზე.

– ღუზა.

– რატომ აქვს ღუზა? მეხღვაური ხომ არ ყოფილა? არა, საქმეც ამაშია! ჩემი აზრით, ძეგლზე ღუზა გამოხატავს დამსხვრეული ოცნებების სიმბოლოს...

ღარჩა მიხეილ იურის ძე ელისაბედის ანაბარა... ის კი ძალიან უყვარდა, როგორც იტყვიან, სულს არ იშურებდა მისთვის. მაგრამ მაინც ვიტყვი – ისიც უფრო თავისი თავისათვის უყვარდა. ლერმონტოვმა მოსწერა: „ბებია! უნდა გამოვიდე სამხედრო სამსახურიდან. ჩემი მიზანია, ლიტერატურას შევწირო თავი“. „კარგი, – უპასუხა, – მე თვითონ გეტყვი, როდის გამოხვიდეო“. და, აი, პასუხი! მართალია, იმიტომ კი არ დაიღუპა, რომ სამხედროში იყო, სამოქალაქოშიაც დაიღუპებოდა, ვინაიდან ნიკოლოზ მეფე სდევნიდა, საშინლად არ უყვარდა. სულ ერთია, მაინც დაღუპავდნენ. მაგრამ იცით, ყველაფერი მაინც ბებიასებურად გამოვიდა და არა ისე, როგორც მიხეილ იურის ძეს სურდა! რა უნდა ვილაპარაკო იმაზე.

იგი მიბრუნდა:

– აბა, ბიჭებო! ზედ კუბოსთან დისპუტი... ისევე სტენო პირობას?... მოუსვით...

ბავშვები დარცხვენით ილიმებიან, მაგრამ არ მიდიან.

– ჩვენ დავიჩურჩულეთ, ბიძია ანდრეი... შთაბეჭდილებები მიიღე მხედველობაში...

– ახალი ამბავი: „შთაბეჭდილებები მიიღე მხედველობაში“! სკოლაში როგორღაა: იქაც შთაბეჭდილებებია, მაგრამ წყნარად ზიხართ, გამოძახებას ელოდებით და დისციპლინას იცავთ. აქ კი ზედ კუბოსთან... გარდა ამისა, უცხო ადამიანია... ჰო, კარგი, დარჩით!.. უნდა დავეთანხმო, – მომიბრუნდა, – შთაბეჭდილება მართლაც ძალიან დიდია. მე თვითონ რამდენი წელია ექსკურსიებს ვუძღვები... რამდენი ხალხი მოდის აქ! შეიძლება ითქვას, უწყვეტლივ და ყოველთვის, როცა კუბოს მიეუახლოვდები, მშვიდად ლაპარაკი არ შემიძლია – ვღელავ... ძალიან მეცოდება მიხეილ იურის ძე!.. რასაკვირველია, მე მესმის, რომ პუშკინი პუშკინია, აქ სადავო არაფერია, მაგრამ მაინც თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩვენს მიხეილ იურის ძეს ეცოცხლა პუშკინივით ოცდაჩვიდმეტ წლამდე, მაშინ არ ვიცით, რომელი მათგანი იქნებოდა პუშკინი. მეორე მხრივ, თუ პუშკინი მიხეილ იურის ძესავით ვერ მიაღწევდა ოცდაშვიდ წლამდე, მეშინია ფიქრისაც, რომ „ეკგენი ონეგინი“ დაუშთავრებელი დარჩებოდა და მისი თხზულებების სრული კრებულის გამოცემის შესაძლებლობაც არ იქნებოდა!

იგი გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო:

– ზევით სიცხეა, აქ კი არ გაცივდეთ, სჯობს ავიდეთ და თუ მოისურვებთ, მეორეჯერ ჩამოვალთ.

ჩვენ ავედით ზევით, ეკვდერში. ფანჯრის რაფაზე დევს შთაბეჭდილებათა წიგნი.

– ჩასწერეთ, – შემომთავაზა „ბიძია ანდრეიმ“, – თქვენი დელეგაცია მოვიდა, დაათვალიერეს, მაგრამ სწორად არ ჩასწერეს. აქ გაყოფილია: ფურცლის ამ მხარეს უნდა ჩაიწეროს გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელი ორგანიზაციიდან და ქალაქიდანაა. აქ კი ხელმოწერა უნდა. იმათ არაფერი არ შეავსეს, ხოლო ხელმოწერას ვერც გაარჩევ. თქვენ მიკარნახეთ, – მან ფანჯარი აიღო, – ეს ვინაა?

– ეს ფადეევა.

– „ახალგაზრდა გვარდიაა“? – შეკრთა მოხუცი. – ჩვენთან ძალიან არიან გატაცებულნი ამ წიგნით! დასანანია, რომ არ ვიცოდი, ამხანაგი ფადეევი თუ იყო აქ. მით უფრო, რომ საქმე მაქვს მასთან... ეს ვისი ხელმოწერაა?

– ერენბურგის.

– ილია? ესეც ცნობილია ჩვენთვის, კკითხულობთ. აქ ვინაა?

– ვსეკოლოდ აქსიონოვი.  
 – ასეთი მწერალი რაღაც არ ვიცი...  
 – მწერალი არაა, – ვეუბნები, – მსახიობია, მხატვრული კითხვის  
 ოსტატი.

– ეს რა, რადიოში კითხულობს რამეს?  
 – დიახ, სწორედ.

– მაშინ ეგეც ცნობილია. ეჰ, – ამოიოხრა მან, როცა  
 ხელმოწერების შესწავლა დაამთავრა, – გამოდის, რომ აქ  
 მოსკოველი მწერლები ყოფილან, ყველას შევხედე, მაგრამ არც  
 ერთი არ მინახავს. ამხანაგ ფადეევთან კი ასეთი საქმე მაქვს: აქ  
 დადის ხალხი, ძეგლთან სტოვებენ მიხეილ იურის ძისადმი თავიანთი  
 პატივისცემის ნიშნებს. აგე, დროშები... ეს რაიონული კომიტეტიდან  
 არის: „პოეტს – ადამიანის პიროვნების თავისუფლებისათვის  
 მებრძოლს“. ის დროშა კი კომკავშირის საოლქო ორგანიზაციიდანაა.  
 ჩვენი კოლმეურნეებისაგან: „პოეტს – თანამემამულეს... საყვარელ  
 მიხეილ იურის ძე ლერმონტოვს... სოფელ ლერმონტოვოს  
 კოლმეურნეებისაგან“... პიონერები დილით მოვიდნენ და ყვავილები  
 დააწვეს... მწერლებისაგანაც სასურველია... ნუ მეუბნებით, –  
 მამშვიდებს და მაწვევტინებს იგი, არ სურს, ავუხსნა, როგორ მოხდა  
 ყველაფერი ეს, – მე თვითონ გეტყვით:

ბესარიონ გრიგოლის ძესთან მიდიოდით. ჩვენ რომ გაგვისწორდით,  
 რომელიღაც თქვენგანმა თქვა – „შევიართო“ და კარგია, რომ  
 შემოიარეთ, იყავით, ღუმლით იდექით, წიგნშიაც დატოვეთ  
 ჩანაწერები. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩება. ჩვენ ჯერ კიდევ  
 ომამდე გავიგეთ, რომ მწერალთა კავშირიდან დელეგაცია უნდა  
 მოსულიყო, რათა გვირგვინებით შეემკო ლერმონტოვის საფლავი.  
 აი, ახლა კარგი იქნება, კვლავ შევახსენოთ ამხანაგ ფადეევს, რომ  
 გამოგზავნოს პატარა დელეგაცია ორი-სამი კაცის შემადგენლობით,  
 მეტი არაა საჭირო, ვინაიდან წელს ამ საქმეზე ბიუჯეტი არ იქნება  
 დაშვებული – იუბილე არ არის. ისე შეირჩეს მწერლები, რომ ერთმა  
 ლექსები წაიკითხოს, მეორემ სიტყვა თქვას. შეამკონ კიდევ ძეგლი.  
 შემთხვევის მოძებნაც შეიძლება – თქვით, რომ წლისთავი ყოველ  
 წელსაა. ასე გადაეცით ამხანაგ ფადეევს, რომ მიხეილ იურის ძის  
 საფლავის დარაჯს თავისი წინადადება შემოაქვს-თქო მწერალთა  
 კავშირში...

დავპირდი, რომ გადავცემდი მის თხოვნას. უკვე ეკვდერის  
 ზღურბლზე დგას და კვლავ ფიქრობს, კიდევ რა მითხრას.

– ესაა ყველაფერი! – განაცხადა მან, – მეტი არაფერი არ არის ასახსნელი! თუ ახვალთ სამრეკლოზე, იქიდან შესანიშნავი ხედი იშლება! მე ვერ გაგყვებით, ფენი მტკივა. აი, ბიჭები გაგაცილებენ... მიდით, ბავშვებო, მხოლოდ ფრთხილად... ერთი საფეხური აკლია. იცოდეთ, არ წაიბორძიკოს მოქალაქემ, თორემ მე თქვენ მოგთხოვთ პასუხს...

– მიხეილ იურის მე რომ მოვიდოდა, – მეუბნება ის გამომშვიდობებისას, – პირველად სამრეკლოზე ავიდოდა და ამბობდა: „მე იქ თავისუფლად ვსუნთქავ, დიდი სივრცეა გარშემო“. ამბობენ, რომ აქ, სამრეკლოზე ლექსიც დაწერაო:

მომეცით მხოლოდ თავისუფლება,  
არ მინდა მე სხვა ბედნიერება.

ვაი, რომ ჩვენს დრომდე ვერ იცოცხლა.

**მარია კონაცკაია**

## **პლასტუსის თავგადასავალი**

(გამოიცა 1964 წელს)

საბავშვო მოთხრობა

პლასტუსი ვარ, პლასტუსი, პლასტილინის კაცუნა,  
მე პენალში ცხოვრება თვითონ ბედმა მარგუნა.  
სურათიდან გიყურებთ მეგობარი ბავშვების,  
ჩემს მსგავსს თუ გამოძერწავთ, მუდამ თქვენთან დავრჩები.

## **მე მქვია პლასტუსი**

მე პლასტილინის კაცი ვარ და ამიტომ მქვია პლასტუსი. ვცხოვრობ ლამაზ სახლში, ხის პატარა ოთახში, ცალკე. მეზობლად ცხოვრობს სქელი, თეთრი საშლელი, რომელსაც „თავგას“ ეძახიან, რადგანაც ზედ თავი ახატია. თავგა-საშლელის გვერდით ცხოვრობენ: პრილა ფოლადის ოთხი მახვილი კალამი, გრძელ დერეფანში – კალმისტარი, ფანქარი და ჯაყვა. თავიდან არ ვიცოდი, რა ერქვა ჩვენს სახლს, ახლა კი ვიცი – ეს არის პენალი, ანუ საკალმე.

ჩვენს დიასახლისს ტოსია ჰქვია.

ერთხელ, ხატვის გაკვეთილზე, ბავშვები ძერწვაში მეცადინეობდნენ. მასწავლებელმა დაურიგა მათ წითელი და მწვანე პლასტილინი და წინადადება მისცა – ვისაც რა გინდათ, ის გამოძერწეთო. ბრონექმა ჩიტის ბუდე გამოძერწა, ვიცუსმა – სოკოები; ფანჯარასთან მსხდომმა ბიჭებმა – თვითმფრინავები, ტოსიამ კი – მე, პატარა კაცუნა.

კლასში ყველას მოვეწონე.

მაქვს წითელი ცხვირი. პარტყუნა ყურები და მაცვია მწვანე შარვალი.

ტოსიამ ფანქრით დამახატა თვალები და მე მაშინვე მივიხედ-მოვიხედე. ხოლო, როცა ტოსიამ ყურებიც მომაკრა, – ყველაფერი გავივინე, რასაც კლასში ლაპარაკობდნენ.

### წითელყდიანი დღიური

კალამსა და კალმისტარს არ უყვართ ხატვის გაკვეთილები, ვინაიდან მაშინ პენალში ჯდომა უხდებათ. ტოსიას, ფანქარს, ჯაყვას და მე – პლასტუსს, ყველაფერზე მეტად ხატვა გვიყვარს. ხატვის დროს დიდი მხიარულებაა. დაქრიან ფანქარი და საშლელი ქალაღდზე; რასაც ფანქარი დახატავს, საშლელი წაშლის. ფანქარი ხანდახან ცხვირსაც მოიტუნს ხოლმე, მაშინ ჯაყვამ უნდა შეუკეთოს ცკვირი. მე კი ვზივარ სამელნესთან და ყველაფერს ვათვალიერებ.

გუმინ ხელსაქმის გაკვეთილი იყო. ეს უფრო საინტერესოა.

ჩანთიდან ბრჭყვიალა მაკრატელი და ფერად-ფერადი ქალაღდები ამოხტნენ. ტოსია ჭრიდა და აწყობდა ქალაღდებს. ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ბევრი ქალაღდი დარჩა. მე შევაგროვე, დავალაგე და ჯაყვას ვთხოვე შემოსწორება.

კალამს ვთხოვე და გახვრიტა.

ძაფს ვთხოვე და შეკერა.

ახლა მე მაქვს ზუსტად ისეთი რვეული, როგორიც ტოსიას.

რვეულს ყდა წითელი აქვს, ფურცლები – თეთრი. ჩემი რვეული ტოსიას ფრჩხილისოდენაა და ჩემი ოთახის ფსკერზე დევს.

შემდეგ მოვაგროვე ფანქრების წატეხილი ცხვირები და ახლა რვეულში ვიწერ ჩემს შთაბეჭდილებებს.

ჩავიწერ ყველაფერს, რაც ჩვენს სკოლაში ხდება.

## ყოყონა ლაქა

ამ დილით ტოსიამ პენალი გახსნა. ფანქარი მაშინვე წამოხტა, ეგონა, რომ ტოსია მას ამოიღებდა. თავგა-საშლელიც წამოვარდა, ეგონა, რომ მას ამოიღებდა ტოსია, მაგრამ ტოსიამ არ ამოიღო არც ფანქარი, არც თავგა-საშლელი, ამოიღო მხოლოდ კალმისტარი.

ტოსიამ კალმისტარი ამოიღო თუ არა, კალმებმა იმწუთს ყურები დაცქვიტეს, რომელს ამოირჩევს ტოსიאו. ყველას უნდოდა, პირველი ყოფილიყო.

ტოსიამ კი მოოქრული კალამი ამოარჩია, ჩაარჭო კალმისტარში და უთხრა:

– შენ ოქროს კალამი ხარ და კარგად უნდა დაწერო!

კალამიც წრიპინებს, ჭრიალებს და დარბის ქალაღდზე. როგორც კი კალმისტარი გადაბრუნდება, კალამი ქალაღდში წაერჭმება.

როგორც კი ტოსია თითს დააჭერს, კალამი მეღანს ღვრის.

ტოსიას ოფლით დაენამა შუბლი და გაიფიქრა: ეჰ, ფანქრით წერა უკეთესიაო! ფანქარს კი ამოუყვია ბუნიკიანი თავი პენალიდან და ბუზღუნებს:

– ოქროს კალამი კი ხარ, მაგრამ ბატიფეხურად ფხაჭნო.

კალამი ყურადღებას არ აქცევს: ისევ წრიპინებს, ჭრიალებს და თანდათან უკეთესად წერს.

თითქმის ნახევარი გვერდია დაწერილი და გვერდის შუაგულში უცბად – ბაც! – გაჩნდა მსხვილი, საზიზღარი შავი ლაქა!

ესეც უბედურება!

საშველად ვარდისფერი საშრობი მოფრიაღდა: სვა, სვა მეღანი, თვითონ სულ გაშავდა, მაგრამ რვეულს მაინც ვერაფერი არგო!

საშველად მოირბინა თავგა-საშლელმა: ხეხა, ხეხა და საკუთარი კუდი მოიხეხა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო.

ლაქა ისევ ისე ზის, შავი თვალით უყურებს ყველას, შავ ენას ჰყოფს გარეთ და ამბობს:

– მე შავი ლაქა ვარ, ვერაფერსაც ვერ დამაკლებთ!

პენალიდან ფანქარი იჭყიტება, უხარია: ხომ ვვლობივარ კალამს, არასოდეს ლაქებს არ ვაკეთებო.

საწყალი ტოსია კი ტირის, რომ ლაქამ ფურცელი გაუფუჭა, რა უნდა ქნას ახლა?

## როგორ ვეკამათებოდი სამელნეს

ტოსია ტირის და ტირის... აბა, რა ექნა?

ვერაინ გაბედა სამელნესთან მისვლა, მე კი მივედი.

დავდექი სამელნის წინ, ფეხი ფეხზე შემოვიკარი, თავაზიანად მივესალმე და ზრდილობიანად მივმართე:

– ქალბატონო სამელნე! გაუფრთხილდით თქვენს მელანს, რომ ჩვენს რვეულში სისუფთავე იყოს!

მელანი თითქოს აღუღდაო სამელნეში, უცბად დაიწყო – ბუყ... ბუყ... ბუყ...

ძალიან შემეშინდა, გაქცევაც კი დავაპირე, მაგრამ თავი შევიკავე და გავუმეორე, ახლა უფრო ზრდილობიანად:

– ქალბატონო სამელნე! ნუ გამოუშვებთ თქვენს ლაქებს, ნუ აწყენინებთ ჩვენს საწყალ ტოსიას!

სამელნე გაბრაზდა და დამიყვირა:

– ბატონო პლასტუსო! შენი მსხვილი ცხვირი ჯერ კიდევ სუფთაა და ნუ ჩაჰყოფ მელანში!

ვითომც არაფერი! ისევ ძალიან ზრდილობიანად ვეუბნები:

– ტოსია ხომ ლაქის გამო ტირის. უმჯობესია, თქვენი რჩევით დაეხმაროთ.

სამელნე კი ამტკიცებს:

– ტოსია მტირალა! ამიტომ დაალაქავა ფურცელი, ისწავლოს კარგად წერა და რვეულიც სუფთა ექნებაო!

რჩევა-დარიგებისათვის მაღლობა მოვასხენე სამელნეს, ისევ თავაზიანად გამოვემშვიდობე, ფეხი ფეხზე მივირტყი და პენალში დავბრუნდი.

იქ კი სიცილით შემხვდნენ – ჰა, ჰა, ჰა...

ჩავიხედე პრიალა კალამში და დავრწმუნდი, რომ ცხვირი, მართლაც, შავზე შავი მქონდა...

## კალმის საწმენდი პენალში

ამ დროს კალმისტარიც დაბრუნდა პენალში. კალმიდან ჯერ კიდევ წვეთავდა მელანი.

გაისვარა ფანქარი, გაისვარა თავგა-საშლელი, გაისვარა კალმები. ერთი სიტყვით, პენალის ყველა მცხოვრები მოითხვარა.

ტოსიამ ამოიღო ფანქარი და თითები გაეთხუპნა. ჩამოიხედა პენალში და თავში შემოიკრა ხელი:

რა უნდა უყოს ახლა ამ მელანს?

ტოსიამ იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა:

საშველად დაუძახა ნემსს, ძაფს და ბრჭყვიალა სათითეს. აილო ლამაზი, ფერადი ნაჭრები.

კერა, კერა და შეკერა კალმის საწმენდი.

კალმის საწმენდი წიგნივითაა: ორი ფურცელი ცისფერი აქვს, ორი წითელი, კიდევები კი დაკბილული.

პენალში აყვირდნენ: ყველას უნდოდა, რომ კალმის საწმენდს მასთან ეცხოვრა. მეც ყვიროდი: „ჩემს გვერდით მინდა იცხოვროს-მეთქი“. — მაგრამ ტოსიამ თქვა: „კალმის საწმენდი იცხოვრებს კუთხეში, კალმის ქვეშ“. ახლა, როცა კალამი პენალში ბრუნდება, კალმის საწმენდი მანამდე ასუფთავებს, სანამ ოქროსავით არ ააკაშკაშებს.

ახლა უკვე აღარავის ესვრება ცხვირი და გვერდები მელნით.

რა ჭკვიანია ჩვენი ტოსია!

### ნაწნავები თუ თავისი კულები

ახლა ცოტაოდენი ტოსიაზე უნდა გიაგბოთ.

ტოსიას ჩემსავით ცისფერი თვალები აქვს.

ცხვირი ჩემნაირი დიდი და წითელი კი არა, ჩვეულებრივი ცხვირი აქვს, მაგრამ მე მაინც მომწონს.

ტოსიას ორი ყური აქვს. ისეთი ლამაზი და გაშვერილი არა, როგორებიც ჩემია, მაგრამ ცუდი მაინც არ ეთქმის.

ამ ყურებს უკან კი ორი მუქი ნაწნავია.

ასეთი ნაწნავები არც მე მაქვს და არც ჩემს მეგობრებს.

ტოსიას ნაწნავები ყველაზე ლამაზია: სხვადასხვა მხარესაა გაბზეკილი და ბოლოებში ბაფთა უკეთიათ.

დღესასწაულებზე ბაფთები ან წითელია, ან მწვანე, ჩვეულებრივ დღეებში კი — ლურჯი.

ტოსიას ნაწნავების გამო დღეს სულელ თავგა-საშლელს წავეჩნებუბე. მან თქვა, რომ ტოსიას ნაწნავი ზუსტად ჩემს კუდს ჰგავსო.

— ეს როგორ-მეთქი, — შევეკითხე.



– ისე. განა შენ არ გავიგონია, დასვენებაზე ბრონეკმა ბოლო მერხიდან რომ წამოიძახა: „ტოსიას ნაწნავები კი არა, თავის კუდები აქვსო!“

საშინლად გავბრაზდი, მუშტები მოვუღერე და დაუფყვირე:

– განა კუდის ბოლოზე შენ გიკეთია წითელი, მწვანე ან ლურჯი ბაფთები?

თავვა-საშლელი შეცბუნდა:

– არა, არ მიკეთია.

– აი, ხომ ხედავ! – ვეუბნები, – რა თავს იქებ? ტოსიას ნაწნავები სრულიად არ ჰგავს შენს კუდს. იგი მთელი თითით სქელია, მთელი თითით გრძელი და ბოლოში აქვს ბაფთა: წითელი, მწვანე, ან ლურჯი.

გამოვიხედე პენალიდან და რას ვხედავ: ზის ტოსია და ტირის. ის იყო, ფეხის ამოდგმა დავაპირე პენალიდან, რათა მიმერბინა და დამეწყნარებინა, რომ ამ დროს მასწავლებელი მიუახლოვდა და შეეკითხა:

– რატომ ტირი?

– თავის კუდის გამო... – უპასუხა ტოსიამ.

მასწავლებელმა გაიცინა და უთხრა:

– იცი, რა, ტოსია. მოდი, შეიკრიჭე თმა, უკეთესი გაგეზრდება და მაშინ არავინ დასცინებს შენს ნაწნავებს.

მეორე დღეს, როგორც კი გამოვიხედე პენალიდან, მაშინვე დავინახე უნაწნავებო, შუბლზე ქოჩორჩამოშლილი ტოსია. ლამაზად შეკრეჭილი თმა სუფთაა და ფაფუკი. ტოსია ახლა უფრო ლამაზი ჩანს. ბრიყვ საშლელს ენა გამოვუყავი და ვუთხარი:

– ხედავ, ტოსიას უკვე აღარა აქვს თავის კუდები!

### საცოდავი ცხვირი და საძაგელი ზოსია

დღეს ტოსიას გვერდით ახალი მოსწავლე გოგონა დაჯდა.

ეს გოგო ტოსიასავით პატარაა. ისინი ერთად ისწლებიან პირველ მერხზე. ახალ მოწაფეს ზოსია ჰქვია.

ზოსია დაჯდა თუ არა ტოსიას გვერდით, მაშინვე მის პენალში ჩაიხედა.

მე თავი გამოვყავი, რომ კარგად დამეთვალეებინა ზოსია, მაგრამ მან ხელი ჩამოჰკრა სახურავს და ლამაზი ცხვირი მიმიწეწკა.

ხმამაღლა ავტირდი.

აღბათ ტოსიამ გაიგონა, რადგან გახსნა პენალი, ამომიყვანა და ტაშიც კი შემოჰკრა.

საძაგელი ზოსია კი ისე ხარხარებდა, რომ სიცილისაგან მერხზე დაეცა.

ცხვირი ლავაშივით გამბრტყელებოდა.

ტოსიამ რომ დაინახა, როგორი განაწყენებული ვიყავი, აილო ცოტაოდენი წითელი პლასტილინი და ადრინდელზე უფრო დიდი და ლამაზი ცხვირი მომაკრა.

როცა პენალში დავბრუნდი, თითქმის ყველას შეეხარბა ჩემი ახალი ცხვირი.

შემდეგ ზოსიამ ფანქარი სთხოვა ტოსიას. ფანქარს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ზოსიასთან წასვლისა, მაგრამ ტოსიამ ამოიღო და გადასცა ზოსიას.

წამოვწექი ჩემს დღიურზე და ჩაძინება ვერ მოვასწარი, რომ თაგვა-საშლელმა გვერდში მუჯღლუგუნი გამკრა:

– ადექი, პლასტუს, ადექი! შეხედე, რა მოსვლია ფანქარს!

წამოვხტი და რას ვხედავ: კედლის იქით წევს ჭრილობებით დაფარული ფანქარი. სწორი გვერდები სულ დაღრღნილი აქვს.

– რა მოგივიდა? – შევეკითხე.

საცოდავი ფანქარი კი კვნესის:

– ვაი, ვაი! საძაგელმა ზოსიამ...

– რა ვქნა?

– ამოცანა ვერ გამოიყვანა და გვერდები და კოსტა ბუნიკი დამიღრღნა.

– ტოსიამ რა თქვა?

– არაფერიც არ უთქვამს.

ყველანი აღშფოთდნენ პენალში.

თაგვა-საშლელი აწრიბინდა:

– რა ვქნათ?

– მე თითოს გაუჭვრი! – დაიწკრიალა ჯაყვამ.

– ჩვენ მელნით მოვსვრით! – დაიჭრიალეს კალმებმა.

– მე ხელად ათ ლაქას დავუსვამ რვეულში! – დაიგუგუნა სამელნემ.

– მე მთელ რვეულს გაუთხვრი! – დაიწრიბინა საშლელმა.

მხოლოდ საწყალი ფანქარი არ იმუქრებოდა. იწვა ჭრილობებიანი გვერდებით გაუნძრევლად.

ჩვენ მას კალმის საწმენდი დავუგეთ, რომ უფრო რბილად წოლილიყო, მაგრამ მაინც ვერაფერი ვუშველეთ საცოდავს: გვერდები არ შეუხორცდა და არა!

## სამწუხარო ისტორია

დღეს დილით, როგორც კი გახსნა ტოსიამ პენალი, ზოსიამ უთხრა:

– ტოსია, მომეცი ჯაყვა, მერხიდან ლურსმანს ამოვადრობ.

ჯაყვამ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უცბად – ხრჭ... ხრჭ... და პირი რკინის ლურსმანზე დაეკბილა.

დასრიალდა მაშინ დანის პირი და თითში შეერჭო ზოსიას.

– აი, შე საზიზღარო დანავ!

ზოსიამ გადააგდო ჯაყვა და ცხვირსახოცი თეხზე გასისხლიანებული თითი.

დაიწყო გაკვეთილი.

– ვაიმე! კალამი არა მაქვს. ტოსია, მათხოვე რა!

ტოსიამ მაშინვე მიაწოდა ზოსიას კალამი.

ზოსიამ დააჭირა კალამი რვეულს და არ შეუმჩნევია, როგორ გადმოეღვენთა მელანი და მთელი თითები მოესვარა.

ბოლოს კი ისე ძლიერად დააჭირა, რომ – ტრახ! – გაისმა და კალამი გატყდა.

ფურცელზე ლაქები გაჩნდა.

– ვაი, რა უნდა ჰქნა? მოვა მასწავლებელი და გაბრაზდება! – უთხრა ტოსიამ.

ზოსია კი ისევ ეხვეწება:

– ტოსია, საშლელი მათხოვე.

აიღო ზოსიამ საწყალი თაგვა-საშლელი. უსვამს, უსვამს და მთელი გვერდი გათხვარა.

– ეს ხომ ფანქრის საშლელია, მელანს მაგით ვერ წაშლი!

ზოსია ტირის, ტოსია კი ამშვიდებს:

– ნუ ტირი, ზოსია, თანდათანობით ყველაფერს მიეჩვევი – არც ხელს გაიჭრი დანით, არც რვეულს დაალაქავებ, არც კალამს გატყებ!

ყველამ გავიფიქრეთ, რომ ჩვენი ტოსია მეტისმეტად კეთილია.

## სამწუხარო ისტორიის მხიარული დასასრული

ოჰ, რა მოხდა, რა მოხდა, რომ იცოდეთ!

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ამოწმებდა, წესრიგში ჰქონდათ თუ არა ბავშვებს თავიანთი ნივთები.

გახსნა ჩვენი პენალიც და თქვა:

– ტოსია, მე წესრიგიანი გოგო მეგონე, შენ კი ჯაყვა დაკბილული გაქვს, კალამი გატეხილი, ფანქარი დაღრღნილი, ხოლო საშლელი და მთელი პენალი მეღნითაა მოსვრილი! უწინ კი ყველაფერი რიგზე გქონდა.

ტოსიას თავი ჩაექინდრა და ჩუმად იდგა.

მე წამოვხტი, დავიწყე ხელების ქნევა. მინდოდა, მეყვირა, რომ ტოსია არაფერში არაა დამნაშავე, რომ ზოსიამ დაამახინჯა ყველაფერი, რომ ტოსია ყოველთვის ზრუნავდა ჩვენზე, რომ მისი პენალი ყოველთვის სუფთა იყო!

მინდოდა მეთქვა ეს ყველაფერი, მაგრამ არაფერი ვთქვი, ვინაიდან არ მინდა, ენატანია ვიყო. თანაც მე ისეთი დაბალი, პლასტილინის ხმა მაქვს, რომ მასწავლებელი ვერაფერს გაიგებდა ალბათ. სამაგიეროდ, პენალიდან ისეთი სიბრაზით შევხედე ზოსიას, როგორც შემძლო.

ზოსია კი იჯდა ჭარხალივით გაწითლებული და მერხს დასჩერებოდა.

მომეჩვენა, რომ ზოსიას შერცხვა.

შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, ვინაიდან ტოსიამ პენალი დახურა.

მაგრამ ჯაყვამ მონახა პატარა ჭუჭრუტანა და დაიწყო თვალთვალი, რომ გაეგო, რა ხდებოდა კლასში.

მან დაინახა, რომ მასწავლებელმა თავზე გადაუსვა ტოსიას ხელი და უთხრა:

– მე ვიცი, ტოსია, რომ შენ წესრიგიანი, კარგი გოგონა ხარ!

მასწავლებელი წავიდა, ხოლო ზოსია და ტოსია ერთმანეთს მოეხვივნენ, კოცნიდნენ და ტიროდნენ.

ყველა გოგო მტირალაა. ტოსია რომ ბიჭი ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა. მაგრამ იქნებ მაშინ ასეთი კეთილი არ ყოფილიყო?

ეს მე არ ვიცი, ვინმეს უნდა ვკითხო.

როცა ჩვენ პენალში განვიხილეთ ეს შემთხვევა, დავასკვნით, რომ ზოსიამ ალბათ აღიარა თავისი დანაშაული.

შესაძლებელია, ამის შემდეგ ზოსია აღარ იყოს ასეთი საძაგელი. ვნახოთ!

## ვინ არიან?

უკ, რა შიში ვჭამეთ დღეს!

ტოსიამ ერთი წუთით ამოიღო ფანქარი და, როცა იგი დაბრუნდა, ვკითხრა:

– ახალი ამბავი იცით? ზოსიას ახალი პენალი მოუტანია ტოსიასათვის.

ჯაყვამ თქვა:

– ტოსია ახლა ზედაც აღარ დაგვხედავს!

თავვა-საშლელი და კალმები კუთხეში მოგროვდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და ახალ პენალს ათვალიერებდნენ.

მართლაც, ჩვენ ახლოს იდო რაღაც გრძელი, შავი კოლოფი. მე შევათვალიერე და ვთქვი:

– ეს სულაც არ არის პენალი, ძალიან ბრტყელია!

– მე არც კი ჩავეტევი შიგ! – დაიწრიპინა თავვა-საშლელმა.

– შენისთანა გაბერილი მართლა არ ჩაეტევა!

– მაშ, რა უნდა იყოს?

– მოდი, ვნახოთ! – წინადადება წამოაყენა ჯაყვამ.

ყველანი მივაწექით და ტრახ!.. – სახურავი ავხადეთ... იქ კი, შიგნით, საოცრება დაგვხვდა:

თეთრი ფსკერი დაყოფილია უჯრებად, თითოეულ უჯრაში კი ცხოვრობენ ფერადი ფოლაქები, ზუსტად ისეთები, როგორებიც ტოსიას ნაქსოვ ზედატანზეა. ფოლაქები სხვადასხვა ფერისაა: წითელი, ყვითელი, ცისფერი, მწვანე – როგორც კანფეტები... კოლოფის გასწვრივ ისეთივე გრძელი ღერეფანია, როგორიც ჩვენს პენალშია. ამ ღერეფანში ცხოვრობს ვიღაც პიროვნება, რომელიც კალმისტარს ჰგავს, მხოლოდ ბოლოში კალმის ნაცვლად ფაფუკი ქორორი აქვს.

ავდექი და ვკითხე:

– თქვენ ვის ბრძანდებით?

– მე ფუნჯი ვარ.

– ჩვენ კი საღებავები, – ამბობენ ფოლაქები.

– რისთვის გამოდგებით?

– ხატვისათვის.

– რის დახატვა შეგიძლიათ?

– მე შემიძლია დაგხატო ცა, ღიღილოები და შენი თვალები!

– მე კი – ყაყაჩოები, ვაშლები და შენი ცხვირი!

– მე – ბალახი, ხეები და შენი შარვალ!

ყველას გამოკითხვა ვერც კი მოვასწარი, რომ ტოსია შემოვიდა და ჭიქით წყალი შემოიტანა. დაიდო ქალაღი და დერეფნიდან ფუნჯი ამოიღო.

ფუნჯმა მოირბინა ქალაღი. დახატა მწვანე სახლი, ყვითელი ღობე, წითელი ყვავილები და ცისფერი ჩიტები.

### „კოლოფო, გაიხსენი!“

ხელსაქმის გაკვეთილზე პენალიდან გადმოვიხედე და დავინახე, რომ ჩვენ გვერდით კვლავ გაჩნდა რაღაც კოლოფი.

იგი ჩვენს პენალზედაც და საღებავიან კოლოფზედაც უფრო ლამაზია – სულ ყვავილებითაა მოხატული!

რა არის შიგ? ალბათ კანფეტები! მივირბინე კოლოფთან, დავაკაკუნე და ვეუბნები:

– კოლოფო, კოლოფო, გაიხსენი!

კოლოფში საშინელი ხმაური ატყდა და იქიდან ვიღაცის წვრილი ხმა მოისმა:

– არ გაალო, არ გაალო! ჩვენ არ გვინდა გაღება!

უცხად ტოსია მოვიდა და კოლოფი გახსნა... ჩავიხედე, მაგრამ შიგნით კანფეტები კი არა, რაღაც არაჩვეულებრივი საგნებია... მაგალითად, ელვარე ქუდი, რომელიც მთლად ჩემი თავის ზომისაა და სულ წვრილი ღრუბლებითაა დაფარული.

შევეკითხე:

– ეი, პრანჭიკელავ, შენ ვინა ხარ?

ქუდი მოიღუშა და დაიყვირა:

– მე ფოლადის სათითური ვარ, მამაცო ვაჟკაცო! უჩემოდ ნემსი ძალიან ჩხვლვებს ტოსიას თითებს. სათითურით კი ეს არ მოხდება!

ამ სიტყვებზე უცხად საშინელი ყვირილი ატყდა მწვანე სანემსეში. ერთდროულად უამრავი წვრილი ხმა გაჰკიოდა:

– რეებს ლაყბობს და შეურაცხყოფას გვაყენებს? ნემსები უსაქმოდ არ სხედან: ვინ უკერავს ტოსიას ახალ მორთულობას? ვინ აკერებს შარვალს და კემსავს წინდებს? ნემსები! ეს ყველამ იცის!..

უცხად კუთხიდან ვიღაც ღიპიანმა დაიბუზუნა:

– რას აყვირდნენ, ახმაურდნენ და აწრიპინდნენ ეს ნემსები? მე

კოჭი ვარ – ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი ძაფი ყველას სჭირდება! უძაფოდ ზომ ვერაფერსაც ვერ შეკერავთ! თუ ძაფი გათავდება, არც ესაა დიდი უბედურება, ცარიელი კოჭით ბავშვები ითამაშებენ.

ნემსები ისევ თავისას გაიძახიან:

– როცა ნემსი გატყდება, კოჭიც აღარავის სჭირდებაო!

ისინი ალბათ კიდევ დიდხანს იკამათებდნენ, მაგრამ ტოსიამ გაიკეთა სათითო, გაუყარა ნემსში ძაფი და მუშაობაც გაჩაღდა.

### დელოფალები კლასში

დილით ადრე ჯერ ისევ მეძინა კალმის საწმენდზე და ფანქარმა გამაღვიძა:

– შეხე, პლასტუს, რა ამბავია კლასში!

გამოვიხედე პენალიდან და დავინახე, რომ ჩემს ადგილას, სამეღნის ახლო ზის ტოსიას დელოფალა პეტრონელა. ესლა გვაკლდა! წამოწოლილა მერხზე, ცხვირი აუბზეკია და ილიმება. მივედი და ვეუბნები:

– რატომ მოხვედი აქ?

– ახალი კაბა უნდა შევიკერო!

– აი, შე მანჭიავ! კლასში შეგიკერავენ კაბას? როგორ არა!..

– დაინახავ, თუ არა! – წამოიძახა პეტრონელამ.

ტოსიამ, მართლაც, ჩანთიდან ამოიღო ყვავილებით მოხატული კოლოფი და ნაკუწების მთელი გროვა.

მერედა, რა ნაჭრებია!.. სულ აბრეშუმისაა – წითლები, მწვანეები, ცისფერები, ყვავილებიანი, წინწკლებიანი, ზოლებიანი, უჯრედებიანი!

– რატომ უნდა შევიკერონ კაბა კლასში? – ისევ შევეკითხე პეტრონელას.

– იმიტომ, რომ აქ მოგროვდნენ დელოფალები.

მივიხედ-მოვიხედე და შევხტი: ყველა მერხზე დელოფალები სხედან – მორთულ-მოკაზმულნი, დავარცხნილნი და უშველებელ ბაფთიანები. გამოპრანჭულან და ერთმანეთს ათვალიერებენ – რომელი უფრო ლამაზი ვართო.

ლოძიას მერხზე კი ზის სულ პაწია დელოფალა, ოღნავ ჩემზე დიდი, გვერდელა და კარტოფილა ცხვირიანი, ზის წყნარად, დარცხვენილი.

მიველი და ვეკითხები:

- შენ რისგან ხარ გაკეთებული?
- ჩვრებისაგან.
- ვინ გაგაკეთა?
- ლოძიამ.
- რა გქვია?
- კლარუსია. შენ რისგანღა ხარ გაკეთებული?
- პლასტილინისაგან.
- ვინ გაგაკეთა?
- ტოსიამ.
- რა გქვია?
- პლასტუსი.

ჩვენ მაშინვე მოუწყევით ერთმანეთს ჩვენი ამბავი.

მესამემერხელმა გონორკამ ტოსიას უთხრა:

– შეხედე, რა ცუდი ჩვრის დედოფალა აქვს ლოძიას და რანაირ უსიცოცხლო, ნაცრისფერ კაბას უკერავს. ასეთი დედოფალა არც ამ კაბად ღირს.

ლოძია კლარუსიას კაბას მართლაც ნაცრისფერი ნაჭრისაგან კერავდა. ეს სიტყვები გაიგონა ლოძიამ და ატირდა. ტოსიას საშინლად მოუვიდა გული გონორკაზე. „არა, ღირს!“ – თქვა მან და კლარუსიასთვის საუკეთესო, ყველაზე ხასხასა ნაკუწები აარჩია.

პეტრონელას სულაც არ ენანებოდა, ენმარებოდა კიდევ უკეთესი ნაჭრების ამორჩევაში, თან იცინოდა და თვალს უპაჭუნებდა კლარუსიას.

თურმე არც ისეთი ცუდი ყოფილა ჩვენი პეტრონელა.

შემდეგ გონორკასაც შერცხვა და გადაწყვიტა, თავისი დედოფალა ეჩუქებინა ლოძიასათვის, მაგრამ ლოძიამ არ გამოართვა: მე ჩემს კლარუსიას არ გადავაგებო.

კლარუსიას შეუკერეს ახალი, წითელყვავილებიანი მწვანე კაბა, სხვა დედოფალების კაბებზე უფრო ლამაზი.

### ყვავილები და ჩხვლეტა კაქტუსი

გუშინ მასწავლებელმა გვითხრა:

– რა კარგი იქნებოდა, კლასში ცოტაოდენი ყვავილები რომ გვკონდესო.



გოგონები მაშინვე გამოეხმაურნენ:

– თუ შეიძლება, მე მირტს მოვიტან!

– მე კი ფურისულას!

ბრონეკმა გამოაჯავრა:

– „ფურისულას და მირტს მოვიტან!“

დღეს, დილაადრიან გოგონებმა მოირბინეს კლასში და ყველამ თან მოიტანა ყვავილებიანი ქოთნები.

თითოეულმა ის მოიტანა, რაც შეეძლო. იასიამ – აყვავებული ფურისულა, ლოძიამ – მირტი; ფანჯარასთან რომ ახალი ბიჭი ზის, ადრიანი, კაქტუსი მოიტანა. ჩვენც კაქტუსი მოვიტანეთ. ისეთი სასაცილოა, ღიბიანი, როგორც პატარა კასრი. ტოსიამ ამოიღო ჩანთიდან, მერხზე დადგა, შემდეგ კი იასიას მიეხმარა ქალღმერთი ფურისულას ამოღებაში, რომ ყვავილები არ დასრესილიყო.

დავინახე, რომ ჩვენი ჩანთიდან შალის თოჯინა ამოძვრა. იგი თვითონ ტოსიამ გააკეთა იმ შალის ძაფისაგან, რომელიც დარჩა მისი ქუდის მოქსოვისას. ეს თოჯინა საშინელი ცერცვტაა! ხან ტოსიას დილს წამოედება და ზედ ისე პორწილობს, როგორც საქანელაზე, ხან წებოიან ბოთლს მიეკვრება. ახლა კაქტუსი დაინახა და აყვირდა:

– ეს რა არის? ვისი სახლია? ჩემთვისაა ზედგამოჭრილი!

აფოფხდა ქოთანზე და დაუკაკუნა კაქტუსს:

– ვინ ცხვრობს მანდ?

ვაი! ეჩხვლიტა, წამოედო ეკლებს და დაეკიდა კაქტუსზე.

ტოსიამ კაქტუსი ფანჯარაზე დადგა.

შემოვიდა მასწავლებელი და გაოცდა: ფანჯარა ისე იყო ამწვანებული, როგორც მაისში.

– ო, რამდენი ყვავილია! რა ლამაზებია! ფურისულა გაშლილა!.. ეს რაღაა? კაქტუსი ყვავის?

ახლოს მივიდა მასწავლებელი, კაქტუსზე ყვავილი კი არა, შალის თოჯინაა!

კლასი ახმაურდა. დასცინიან თოჯინას, რომელიც იქაც ეჩხირება, სადაც არაფერი ესაქმება.

შემდეგ მასწავლებელმა თქვა, რომ მარტო ყვავილების მოტანა საკმარისი არაა. მათ ისეთივე მოვლა უნდათ, როგორც ბავშვებს. ფოთლებიდან მტვერი უნდა გადაიწმინდოს და მოირწყას. ყვავილებისათვის დასაყრდენად უნდა გამოითალოს ჯოხები და გაკეთეს მიწის გასაფხვიერებელი პატარა ნიჩბები.

მაგრამ ყველა ერთბაშად ვერ მოუვლის ყვავილებს, საჭიროა დაინიშნოს მორიგე მებაღეები. კლასის მორიგეებს ისედაც ბევრი საქმე აქვთ.

მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ეყობებოთ მორიგე მებაღე. მას უნდა გაუკეთდეს განმასხვავებელი ნიშანი, მაგრამ რა? ერთმა დაასახელა წითელი ყვავილი, მეორემ ბაფთა, ვალერიკმა კი თქვა:

– აი, ის შალის თოჯინა, რომელსაც ასე უყვარს ყვავილები!

ეს აზრი ყველას მოეწონა. ბიჭებმაც კი ატეხეს ყვირილი:

ჩვენც გვინდა მებაღეობა და განმასხვავებელი ნიშნის – შალის თოჯინის ტარებაო.

მასწავლებელმა მაშინვე დანიშნა მორიგედ ადრიანი, რომელმაც კაქტუსი მოიტანა. ქურთუკზე შალის თოჯინა მიუბნია.

### **ტოსიასა და იასიას მორიგეობა და წესრიგი კლასში**

დღეს ტოსია და იასია არიან მორიგეები.

ძალიან სასიამოვნოა მორიგედ ყოფნა. გააკეთილი როგორც კი გათავდა, მათ მკაცრი ხმით დაიყვირეს, რომ ყველანი დერეფანში გასულიყვნენ. ხოლო, როცა კლასი დაცარიელდა, იასიამ და ტოსიამ ფანჯრები გააღეს, ოთახი დაგავეს და დაფა გაწმინდეს. ადრიანმა კი ყვავილები მორწყა.

მე და ტოსიამ შემოვიარეთ კლასი, რათა შეგვემოწმებინა, წესრიგში იყო თუ არა ყველაფერი. ყველგან საკმაო სისუფთავე იყო, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა ამბავი იყო ბრონეკისა და ანტეკის მერხის ქვეშ!

იქ ეყარა მზესუმზირას ჩენჩოც, კვერცხის ნაჭუჭებიც, ქაღალდის მტრედებიც და ქაღალდის ტყვიებიც. მერხის გვერდზე კი დახატული იყო ბიჭი და თავი და ეწერა: „ბატონი ანტონი ავდებს თავს“.

ტოსიამ აიღო თავისი თაგვა-სამლელი და დიდხანს შლიდა ამ ნახატს, რომ მასწავლებელს არ ენახა, თორემ აუცილებლად გაუბრაზდებოდა ამ ბიჭებს.

ყველა ბავშვი მათსავით რომ იქცეოდეს კლასში, მაშინ კლასი სანაგვე ყუთს დაემსგავსებოდა.

ტოსიამ მოხვეტა მთელი ნაგავი და კალათში ჩაყარა, ხოლო ქაღალდის მტრედები შეაგროვა და მერხში შეინახა.

გათავდა თუ არა დასვენება, ბრონეკმა მიიღბინა თავის მერხთან და დაიყვირა:

– ტოსკა, სადაა ჩემი მტრელები? უყურეთ, ჩემი ისრებიც მოუტაცია!

ტოსიამ უპასუხა, რომ ყველაფერი მერხში შეაწყო.

ბრონეკმა კი გამოჯავრება დაუწყო:

– ტოსია-პიწკია! ტოსია-პიწკია! – და პირდაპირ ცხვირში ესროლა ქალაღის ისარი.

ესაა სამართალი! ცოტა მოზრდილი რომ ვიყო, ამ ბრონეკს გავცემდი პასუხს! საძაგელი ბიჭი! ტოსიას ხომ შეეძლო, ეს ისრებიც გადაეყარა, მან კი მოაგროვა და შეუნახა!

მეც მომინდა პენალში მორიგედ ყოფნა. მკაცრი ხმით დავიყვირე, რომ ყველანი გარეთ გასულიყვნენ. მაგრამ არავინ განძრეულა.

თავგა-საშლელმა გაბრაზებულმა დაიწრიპინა, რომ აქ მე უფროსად არავის დავუნიშნევარ.

ეს შურის გამო მითხრა – ალბათ თვითონ უნდა მორიგეობა!

მე ეს მეწყინა და ჩემს ოთახში შევედი დასაძინებლად.

თუ არ უნდათ, რომ მორიგე ჰყავდეთ, ნუ უნდათ!

### ცარცს არ უნდოდა დაფიდან წამლილიყო

ტოსია ისევ მორიგეა. მთელ კვირას უნდა იმორიგეოს.

სახლიდან სუფთა ჩვარი მოვიტანეთ დაფისთვის. ძალიან მინდოდა ტოსიასავით წამეშალა დაფა. რა საინტერესოა! ერთი, ორი და – დასვრილი დაფა ისევ გაკრიალებულია.

ტოსია მიმიხვდა ალბათ, პატარა ნაჭერი მომცა და ჩამსვა დაფის ღარში, სადაც ცარცი ცხოვრობს.

აი, უკვე ვწმენდ... ცარცი კი მიყურებს და იცინის. კინაღამ დაიფშენა სიცილისაგან და ტრაბახობს, რომ ისევ დასვრის ყველაფერს.

უცბად არითმეტიკის მასწავლებელი შემოვიდა კლასში. ტოსია თავის ადგილისკენ გაიქცა, მე კი დაფასთან დავავიწყდი. ძალიან შემეშინდა.

მასწავლებელი დიდხანს ეკითხებოდა მოწაფეებს გაკვეთილს, შემდეგ კი თქვა, რომ ახლა დაფაზე დაწერდა რთულ ამოცანას.

მოვიდა დაფასთან და ცარცის ნაცვლად მე წამავლო ხელი, რადგანაც ცარცით ვიყავი გათეთრებული.

მასწავლებელს უნდოდა, დაეწერა, დამაჭირა დაფაზე (კიდევ კარგი, რომ ცხვირით არა!), მაგრამ არავითარი კვალი არ დამიტოვებია. შემხედა და სიცილი აუვარდა.

ტოსიამ ჩემზე ყველაფერი უამბო მასწავლებელს. ასე გავიდა გაკვეთილი და რთული ამოცანისათვის დრო აღარ დარჩა.

ბავშვები კმაყოფილები იყვნენ. ზარის შემდეგ მე შემომხევივნენ:

– გაუმარჯოს პლასტუსს! ყოჩაღ, პლასტუსს!

ბრონექმა წკიპურტიც კი გამკრა ცხვირში და წამოიძახა:

– ნახე, რა ბიჭია!

პენალში დავბრუნდი და ჩემს მეგობრებს შევეკითხე:

– ხომ მოისმინეთ-მეთქი!

მაგრამ მათ მითხრეს, რომ არაფერიც არ გავგივიაო. ალბათ, გამხელა არ უნდოდათ, თორემ ყურები ყოველთვის მზადა აქვთ მოსასმენად.

### სურათებიანი წიგნები

კარგი დღე იყო, ვინაიდან ტოსია წიგნებს არიგებდა.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენს კლასს საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს. ისეთი შესანიშნავი და დიდია ეს ბიბლიოთეკა, რომ უკეთესის ნატვრაც კი არ შეიძლება. იგი ალბათ სუთჯერ დიდი მანც არის ჩვენს პენალზე. ყველა წიგნზე გადაკრულია ცისფერი ქაღალდი, შიგ კი დევს ცისფერზონრიანი სანიშნი. ზოგიერთი წიგნი სულ უნახატოა, ზოგიერთში კი ისეთი მშვენიერი სურათებია, რომ მთელ დღეს შეიძლება თვალიერება.

ერთ ნახატზე წითელი მოცვის მარცვლები მოემართებიან ტყიდან. ისინი მოჰყავთ ნამდვილ ვირთაგვებს (და არა თაგვა-საშლელს) ნამდვილი ურიკით (და არა ასანთის კოლოფით).

წაყვანა ვთხოვე. მათ ერთი კი შეუძახეს: „თფრუ!“ და ვირთაგვა გაჩერდა. უკვე მოვემზადე, რომ გავყოლოდი კენკროვანთა ქვეყანაში, მაგრამ... შევხედე ტოსიას, დამენანა მასთან განშორება და დავრჩი.

შემდეგ მოვიდა ერთი ბიჭი, ანტეკი, და მოიტანა ქაღალმემოხსნილი წიგნი.

ტოსია ძალიან გაბრაზდა და უთხრა, რომ წიგნიდან ქაღალდის შემოცლა არ შეიძლება, გაფუჭდება; წიგნებს ერთად ყიდულობენ ბავშვები და ყველამ უნდა მოუაროს.

ვერ გავიგე, ასე რატომ გაბრაზდა ტოსია. მე კიდევაც გამიხარდა რომ ბიჭმა ქალაღლი შემოაცალა წიგნს; ყდაზე კარგი სურათი იყო: დიდი, ტოსიასხელა ბიჭი ესაუბრებოდა ჩემსავით პაწია კაცუნას.

შევეკითხე, რა გქვია-მეთქი და მან მიპასუხა:

– მოდი, გავეცნოთ ერთმანეთს. მე გნომი მქვიაო.

მე ვუთხარი, რომ პლასტუსს მეძახიან და შევეკითხე, – სად ცხოვრობ-მეთქი.

– წიგნშიო, – მიპასუხა.

მაშინ მე ვუთხარი, რომ ტოსიასთან გცხოვრობ, პენალში...

მეტი ველარაფრის თქმა მოვასწარი – ტოსიამ აიღო წიგნი და ცისფერი ქალაღლი გადააკრა.

მერე მოვიდა მასწავლებელი და ბავშვებს წაუკითხა შესანიშნავი ზღაპარი ობოლ მარისაზე, ბატებსა და მელაზე. იქ ვილაცამ ვილაცა შეჭამა, მაგრამ ვერ გავიგე – მელამ შეჭამა ბატები, თუ ბატებმა მელა, რადგანაც ძალიან ვტიროდი. ჩემსავით პატარა გნომებმა უშველეს მარისას და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ოჰ, როგორ მიყვარს სურათებიანი წიგნები!

### წითელი ავტომობილი

ამ დღით ვიფიქრე: „რა ბედნიერები არიან წითელი მოცვის მარცვლები, რომ ასეთი კარგი ურიკა აქვთ და სეირნობა შეუძლიათ-მეთქი“...

და უცბად სიურპრიზი!

მაგრამ თავიდან მოყვები ყველაფერს.

კლასში ჩვენ ყოველთვის თან მოგვაქვს საუზმე.

საუზმე ჩანთის კუთხეში ზის და ძალიან ეშინია, რომ წიგნებმა არ გასრისონ.

მაგრამ ჩვენი წიგნები ყოველთვის წესიერად აწყვია და არავის აზიანებენ.

საუზმე განვეულია თეთრ ქალაღლსა და ლამაზ ხელსახოცში.

ჩვენ გვაქვს ოთხი ხელსახოცი.

ერთზე ამოქარგულია ორი ყვითელჩექმებიანი მამალი.

მეორეზე – მინდორში გაქცეული კურდღელი.

მესამეზე – შორეული მხარეებისაკენ მიმავალი წითელი ავტომობილი.

ხოლო მეოთხეზე ამოქარგული ვარ მე – პლასტუსი.

ეს ჩემი პორტრეტია. პორტრეტზე მაქვს შესანიშნავი ყურები და მშვენიერი, მსხვილი, წითელი ცხვირი.

ტოსიას მეგობარი გოგონები ვერ ძლებიან ჩვენი ხელსახოცების ცქერით.

ლოძიას ყველაზე უფრო წითელი ავტომობილი მოეწონა და ჩვენ საჩუქარი მოვუმზადეთ...

ტოსიამ აიღო ტილო და ფერადი ძაფები... კერა და ქარგა, კერა და ქარგა...

და ამოქარგა ხელსახოცზე წითელი ავტომობილი და ლოძიას უსახსოვრა.

დღეს შევედით კლასში და დავინახეთ, რომ ჩვენს მერხზე, სამელნის ახლოს იდგა ციცქნა წითელი ავტომობილი.

ეს ავტომობილი ჩემთვის გაუკეთებია ლოძიას.

ეტყობა, ასანთის კოლოფისაგანაა გაკეთებული. გვერდებზე შემოწებებული აქვს წითელი ქაღალდი, ბორბლები კი კოჭებისა აქვს.

ძალიან გამიხარდა.

მაშინვე ჩავვექი ავტომობილში და მერხზე გავატარ-გამოვატარე.

როცა ეს ამბავი პენალში გაიგეს, საშინელი ყვირილი ატყდა. ყველას უნდოდა ავტომობილით სეირნობა.

თავგა-საშლელი არ მიეუშვი – ძალიან მსხვილია და გაჭეჭყავს ჩემს მანქანას.

არც ფანქრის წაყვანა შემიძლო – ძალიან გრძელია და გადმოყირავებოდა ავტომობილიდან.

ჩემი ავტომობილის შესახებ შალის თოჯინამაც გაიგო და ჩამოძვრა მანქანაში.

მაგრამ არც თოჯინა წავიყვანე – გადმოვარდება ავტომობილიდან და უბედურება დატრიალდება-მეთქი.

თან წავიყვანე მხოლოდ ერთი კალამი, რომელიც ყველაზე უკეთ წერს და არც ალაქავებს რვეულს.

როცა თავგა-საშლელი ცოტა გახდება, ფანქარი დამოკლდება და შალის თოჯინა დაჭკვიანდება, მაშინ იმათაც გავასეირნებ.

ჩემი ავტომობილი უფრო ლამაზია, ვიდრე ის ურიკა, რომლითაც წითელი მოცვის მარცვლები სეირნობენ წიგნებში!

## სკოლაში ნაძვისხეა!

დღეს დილით პირველად ფანქარი გამოვიდა პენალიდან და ძალიან აღელვებული დაბრუნდა.

– მისმინეთ, მისმინეთ! რა საოცრება ხდება კლასში! ტოსია ჩემით რგოლებს ხატავდა ვარდისფერ ქაღალდზე და დავინახე, ბავშვებმა როგორ აასხეს ფერადი ქაღალდის რგოლები ნაძვაზე.

ცნობისმოყვარეობისაგან კინალამ პენალი არ დავამტვრიეთ.

საბედნიეროდ, ტოსიამ პენალი გაალო და ყველამ დავინახეთ, რომ თითოეულ მერხზე ეწყო ვარდისფერი, წითელი და ცისფერი ქაღალდი, ნაძვა, მძივები, ოქრო და ვერცხლი. მოსწავლეები ქაღალდებისაგან ჭრიდნენ ვარსკვლავებსა და რგოლებს, შემდეგ კი ძაფზე ასხამდნენ.

ამოხტა თუ არა პენალიდან, კალამმა მაშინვე თქვა:

– მე ვიცი, ნაძვისხე იქნება!

ყველას ძალიან გაგვიხარდა, თუმცა რიგიანად არც ერთმა არ ვიცოდით, რა იყო ნაძვისხე!

ტოსიამ გააკეთა ლამაზი ყვავილები, ერთმანეთს ნაძვით გადააწნა და რაღაც აბლაბუდა მოქსოვა. ზოსიამ კვერცხის ცარიელ ნაჭურჭებს ფერადი ქაღალდები გადააკრა და მათგან პატარა ღოჭები გააკეთა. ისიამ გამოჭრა ვარდისფერკაბიანი ბალერინები. ბრონეკმა, რომელიც ბოლო მერხზე ზის, ფელიკთან ერთად ქაღალდის უზარმაზარი ჯაჭვი გააკეთა.

მე დავდექი პენალის სახურავზე და ბრძანებების გაცემა დავიწყე:

– ყურადღება! იასიას მაკრატელი ესაჭიროება! ბრონეკს ჯაყვა უნდა! ჩქარა, ლოპია ფანქარს ელოდება!

ჩემს ძახილს ყველანი სწრაფად ემორჩილებოდნენ. მაკრატელი კრეჭდა, დანა ჭრიდა, ფანქარი ხატავდა. მოხმარება ყველას სურდა და მე დიდი ჯაფა დამადგა, რომ პენალში გამეჩერებინა თავა-საშლელი, კალმები და კალმისტარი.

უცბად ტოსიამ თქვა:

– იცი, რა, ზოსია! მოდი, ჩემი პლასტუსიცი ეკიდოს ნაძვისხეზე! მოვრთოთ იგი ვნომის ტანსაცმლით!

ტოსიამ მაშინვე გამიკეთა წითელი ჩაჩი, წითელი მოსასხამი და კისერზე წითელი ძაფი მომაბა.

მინდოდა ყველანი გამეხვლებინა, ვინც პენალში რჩებოდა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი – ტოსიამ მაშინვე ჩამოკიდა ნაძვისხეზე.

ნაძვისხე მწვანეა, სურნელოვანი და ჩხვლეტია. ძალიან სასიამოვნოა მის ტოტზე კონწიალი. ჩემ ახლოს ანთია ორი სანთელი: წითელი და ყვითელი, კიდია ცისფერი ბურთი, ფრენენ მტრედი და თვითმფრინავი, მიჭენაობს თაფლკვერას ცხენი და ცეკვავს შალის თოჯინა.

სალამოს მთელი სკოლის ბავშვები შეიკრიბნენ. იმღერეს და იცეკვავს. ყველაზე უკეთ კი ჩემი ტოსია ცეკვავდა.

ჩვენც ვცეკვავდით ნაძვისხეზე.

შემდეგ ბავშვებს საჩუქრები დაურიგეს. ტოსიას შეხვდა თბილი, ყვითელზოლებიანი ცისფერი შარფი. მე ზემოდან დავყურებდი და მიხაროდა.

### როგორ მომიპარა ერთმა ანცმა ნაძვისხიდან

ორ დღეს ვეკიდე ნაძვისხეზე. პირველად ძალიან მხიარულად ვიყავი, მერე მომბეზრდა.

მომენატრა ჩემი სახლი – პენალი, ტოსია, თავგა-საშლელი, ხოლო ყველაზე უფრო კი ჩემი დღიური. როგორღა დავწერ დღიურს, თუ ნაძვისხეზე ჩამოკიდებული ვიპორწიალებ!

ნაძვისხეზე ჩემი მეზობლების რიცხვი თანდათან მცირდება, ვინაიდან ბავშვებს მიაქვთ თაფლკვერას თოჯინები და ცხენები.

ჩემი წაყვანაც უნდოდა ვიღაც მსუნაგს, თაფლკვერასი ვეგონე, მაგრამ, საბედნიეროდ, არ მოეწონა პლასტილინის გემო, ცხვირში წკიპურტი გამკრა და თავი დამანება.

ბოლოს მასწავლებელი მოვიდა ბავშვებიანად და სათამაშოების ჩამოხსნა დაიწყო. მე ვიფიქრე, ტოსიაც მოვა და უკანვე, პენალში წამიყვანს-მეთქი, მაგრამ ტოსია არ ჩანდა...

მივიხედ-მოვიხედე, თვალებით ვეძებდი ტოსიას. უცბად, ვიღაცა ბიჭმა წამოიძახა:

– ეს სულელი მე მიმაქვს! – და მომხსნა ნაძვისხიდან.

წამავლო ხელი და მიმაბა თავისი ქურთუკის ღილზე.

ეს ბიჭი საშინლად ცელქი იყო. სულ ციკანივით ხტოდა და დარბოდა. როგორც კი შეხტებოდა, მე ქანაობას ვიწყებდი.

შემდეგ ჩემიანად გაიქცა კლასში გაკვეთილზე. მაგრამ ეს კლასი სულაც არ ჰგავდა ჩვენსას და ბავშვებიც დიდები იყვნენ.



## ჩემი სამწუხარო ხვედრი – ვიტეკთან ტყვეობა

იმის მაგივრად, რომ მასწავლებლისათვის ესმინა, ამ საძაგელმა ბიჭმა მთელი გაკვეთილი თავი მომაბეზრა: ცხვირს მიწველავდა და ძაღვს სპილოს ხორთუმს დამიმსგავსა.

გამახსენდა, თუ როგორ ვიჯექი ჩემ ადგილას, ტოსიას სამეღნის გვერდით, და ისე დავდარდიანდი, რომ ტირილი მომინდა.

როგორც იქნა, გაკვეთილები დამთავრდა. მეგონა, რომ ეს ბიჭი პენალში ჩამდებდა, მაგრამ მას არავითარი პენალი არ ჰქონდა. მეღნით მოსვრილი კალმისტარი და გატეხილი ფანქარი ჩანთაში ჩაავლო, მე მერხზე მიმაკრა და წავიდა.

ვისაც არასოდეს გაუტარებია მთელი დამე მეღნით გათხვრილ და დანით დასერილ, საზიზღარ და მაგარ მერხზე, მან არ იცის, რა ძნელია ეს... მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რა კარგი ნივთებია პენალი და რბილი კალმის საწმენდი.

მეორე დღეს ის ბიჭი (ვიტეკი ჰქვია სახელად) შემოვიდა კლასში და ისევ თავის ქურთუკზე ჩამომკიდა.

დასვენებაზე კლასიდან გამოვარდა და დერეფანში დაიწყო სირბილი. ზოგს უბიძგებს, ზოგს ფეხს დაუდებს, ზოგს ენას გამოუყოფს. მე კი ისე ვპორწიალობ მაფზე, რომ თავბრუ მესხმის.

შემთხვევით გავიხედე – ჩვენი კლასის კარები ვიცანი! კარებზე წითელი ასოებით დაწერილი განცხადებაა. წაკითხვა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი – ვიტეკი წინ გაქანდა და სამ გოგონას ჰკრა ხელი... შეშინებული გოგონები გაიფანტნენ. შევხედე – თურმე ტოსია, ზოსია და იასია იყვნენ... დაძახება მინდოდა, მაგრამ საზიზღარი ვიტეკი უკვე შორს იყო.

### „ვინ დამიბრუნებს პლასტუსს?“

ვიტეკი გაიქცა დერეფნის ბოლოში პირსაბანთან.

მე მეგონა, თავისი ცეცხლფარეშივით ჭუჭყიანი თითების დაბანა ეწადა, მაგრამ ეს არც უფიქრია. მხოლოდ ცელქობა უნდოდა.

თეთრ პირსაბანთან ორი გოგონა იბანდა ხელს. ვიტეკმა გამოგლიჯა მათ საპონი და ჯაგრისი. უნდოდა, მათთვის სახეზე საპონი წაესვა, მაგრამ გოგონები არ დანებდნენ. მაშინ ვიტეკი უკან გახტა და მონდომა გოგონების გაწუწვა ვედროდან, რომელიც იქვე იატაკზე იდგა.

ჩაყო ხელი წყალში და უცნაურად აღრიაღდა!.. ეს იყო იატაკისა და პირსაბნის გასარეცხი ცხელი წყალი.

ო, რამდენი იყვირა!

შემდეგ დაჩუმდა – შეეშინდა, რომ ცელქობისათვის დაისჯებოდა. გაწითლებული, შეშუპებული ხელი ცხვირსახოცით შეიხვია და უკან, კლასისაკენ წაჩანჩალდა.

როცა ვიტეკმა ჩვენი კლასის კარებთან გაიარა, განცხადება დაინახა. გაჩერდა და წაიკითხა. აი, რა ეწერა ზედ:

**ვინც ჩემს პლასტუსს დამიბრუნებს, მივცემ**

**ოთხ ფერად სურათს და ერთ ყვითელ ბაფთას.**

**პლასტუსი – გნომის კოსტუმიანი პლასტილინის კაცუნაა.**

I-კლასელი ტოსია

### ასე დაეუბრუნდი ტოსიას

ვიტეკმა წაიკითხა ეს განცხადება, ეშმაკურად შემომხედა და თქვა:

– შემთხვევით შენ ხომ არა ხარ ეს, ჩერჩეტო?! მოიცა, ჩვენ იმ კაჭკაჭს უფრო საინტერესო რამეებს გამოვცანცლავთ, თუ კი ასე დაგეძებს... ჯავყა და ოთხი კალამი მაინც მომცეს.

მას უნდოდა, მარჯვენა ხელი წაეველო ჩემთვის, მაგრამ ტკივილებისაგან დაიყვირა, ჩამავლო მარცხენა, ქურთუკის ქვეშ დამძალა და კლასში შევიდა. მისი საძაგელი ქურთუკიდან ვერაფერს ვხედავდი და მხოლოდ ხმა მესმოდა:

– განცხადება შენ დაწერე?

– ჰო, მე დაწერე, – გაისმა ნაზი ხმა, – საშინლად მეცოდება ჩემი პლასტუსი.

– ასე ცოტას რატომ იძლევი?

– აბა, მეტი რა შემიძლია? თვითონვე მჭირდება ყველაფერი...

– აბა, მაჩვენე, რა გაქვს პენალში!

როგორც ჩანს, ტოსიამ პენალი მიაწოდა, იმან კი დამწვარი ხელი წაავლო.

– რა მოგივიდა? – ჰკითხა ტოსიამ.

– არაფერია, ცოტათი დავიწვი...

– მაჩვენე! ვაი, როგორაა გაწითლებული! აი, უკვე ბუშტულებს

იკეთებს... მერე როგორი ჭუჭყიანი ცხვირსახოცით შეგიხვევია! მოიცა, მასწავლებელს სელის ზეთსა და სახვევს გამოვართმევ და შეგიხვევ ხელს...

შემდეგ მასწავლებლის ხმა გავიგონე:

– აუცილებლად ახლავე უნდა ჩამოიკიდო ხელი. შარფი გაქვს, ვიტეკ?

– შარფი არა მაქვს.

ისევ ტოსიას ხმა გაისმა:

– მე მაქვს შარფი, გათხოვებ...

ვიტეკმა გამომიყვანა ქურთუკიდან და ჩვენს მერხზე, პენალსა და სამელნის შუა დამსვა. მერე ტოსიამ მოირბინა თავისი ახალი, ლამაზი შარფით და ჩამოუკიდა ვიტეკს ხელი. ვიტეკმა კი ჩემზე მიუთითა და უთხრა:

– აილე შენი პლასტუსი! მე ისე გაძლევი...

### მეგობრებთან შეხვედრა

ამრიგად, ვიტეკმა დამაბრუნა ტოსიასთან.

შემდეგ რა მოხდა, იმის აღწერა ჩვენს საუკეთესო, მოოქრულ კალამსაც კი არ შეუძლია.

ტოსიამ დამისვა ხელისგულზე, მეფერებოდა და ამბობდა:

– ჩემი საცოდავი პატარა პლასტუსი!

შემდეგ ჩამდო პენალში, რომ ყველას მივსალმებოდი.

პენალში სიხარულისაგან ერთი ყვირილი, ხმაური, წრიპინი და ჭრიალი ატყდა.

ყველა თავისებურად მესალმებოდა და ვეცოდებოდი, რომ ასეთი გაუბედურებული და ჭუჭყიანი ვიყავი.

თავგა-საშლელსა და კალმის საწმენდს ჩემი გასუფთავება უნდოდათ. ჯაყვამ გადაწყვიტა, ჩამოეფხიკა ჭუჭყი და დაემოკლებინა ჩემი გაწეული ცხვირი. კალმებმა მისი დახმარება იკისრეს.

თუმცა ძალიან მიყვარს ჩემი პენალის ამხანაგები, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მანაც საკმაოდ მეშინოდა.

რა სანახავი ვიქნები, ჩემი მეგობარი ჯაყვა თუ ისე შემაკეთებს, როგორც ფანქარს.

საბედნიეროდ, ტოსიამ ამომიღო პენალიდან და თვითონ, საკუთარი ხელით დამიწყო წმენდა.

ადრინდელივით ლამაზი ცხვირი გამომიძერწა. ახალი მარცხენა ფეხი გამიკეთა, დასრესილი ადგილები ამოღესა და გამხადა გნომის ჭუჭყიანი კოსტუმი.

იასიამ თქვა:

– აი, ახლა ჯანმრთელია პლასტუსიო!

ტოსიამ პენალში კალმის საწმენდზე დამსვა. მე თავს კარგად ვგრძნობდი, დამშვიდებული ვიყავი. მომაგონდა, თუ როგორ ვამაყობდი, მე მივდივარ ნაძვისხეზე, ისინი კი ყველანი პნალში რჩებიან-მეთქი, და როგორ მინდოდა მათი გამოჯავრება.

რა კარგები არიან!

მე შემრცხვა კიდევაც და ბოდიშის მოხდა დავუწყე თავვა-საშლელსა და ყველა დანარჩენებს. მათ მიპასუხეს, რომ ეს არაფერსაც არ ნიშნავს, სახლშიაც იყო ნაძვისხე და ზეიმზე მათთან ლამაზი, ნაირფერადი ფანქრები მოვიდნენ.

მეც მაშინვე გავიცანი ფერადი ფანქრები და ყველაფერი ისევ კარგად წარიმართა.

მე ისევ პლასტუსი გავხდი და არც მინდა სხვა ვინმე ვიყო.

მინდა, მუდამ ტოსიას პენალში ვიცხოვრო, სხვაგან არსად.

## გურული სიტყვა

### ლექსიკოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალები

/მხოლოდ სოფ. საჭამიასერის მიხედვით/

შენიშვნა:

როგორც წესია, ლექსიკონში არ შეგვიტანია კუთხურად დამახინჯებული ლიტერატურული სიტყვა. აქ არის უცნობი დიალექტიზმები, სინონიმები, დამკვიდრებული უცხო სიტყვები, დავიწყებული – ძველ ქართულში ხმარებული ტერმინები /ამიტომაც ასე ხშირად ვიმოწმებთ საბას/.



ს

- ააბე** – „შელმა შეახეთქე“ /საბა/. აქედან: დააბე, გააბე, შეაბე.
- აბდალი** – სულელი, ჩერჩეტი.
- ადამყამობის** – ადამის ჟამინდელი, ადამის დროის, ძალიან ძველი.
- აგაწიე** – აგაწივე – „აღმა ძვილ აველ“ /საბა/.
- აკაბიწება** – აკარწახება, აწევა – შარვლის ტოტის, სახელოსი...
- აკატრება** – „აკატრება – მსხალთ შეხმობის დაწევა“ /საბა/.
- აკონვა** – აკვრა /შეკონვა – შეკვრა/. „კონა“–დან.
- ალაგე** – ლობეში დატანებული მაღალი გადასასვლელი.
- ალაგი** – ადგილი. „დასადგომი, გინა დასადებელი“ /საბა/.
- ალაია** – 1. დამცირება, სირცხვილის ჭმევა.  
2. ბევრი ხალხი, ბრბო.
- ალაბედე** – უგემური /ხილი/.
- ალაო** – ანთება, სიცხე. „ალაო მომედო“...
- ალვისხე** – ჩინარი. „სარო“ /საბა/.
- ალყა** – „აბრეშუმის ძაფი“ /საბა/.
- ამოსკვნა** – „ტირილით სლუკსლუკი“ /საბა/. „გული ამოსკვნა“...
- ამოტალაშინება** – ამოდგომა. „გვერდში ამომიტალაშინდა“ /დაცინვით/.
- ამოჟღემა** – ამოსრესა; თვალების და ა.შ.
- ამოთანთვლა** – ამოსვრა /ტალახში/.
- ამოლუმპვა** – ამოწეწვა, დასველება.
- ამოსრუტვა** – „ამოსრუტუნა – მასრით ნოტიოს ამოწონა“ /საბა/.
- ამოტუზვა** – „მოფარებით რამ დგომა უცნაურად“ /საბა/.
- ამოწვერვა** – ნათესის /სიძინდი, პური, ღომი/ ამოსვლა მიწიდან.
- ამოყვანა** – ამოღება /ყველის/.
- ანაწერა** – ბედისწერა, ფორტუნა. „ანაწერას აუტანიხარ“, „ანაწერზე ხარ“...
- ანასუნი** – ახია! ეგეც შენ! „ანასუნი შენს საქმეს“...
- ანაგებად** – სრულებით. „ანაგებად არ იყო“...
- ანაბრე** – იგივეა, რაც ანასუნი.
- აპარპალება** – 1. აალება, ანთება /ცეცხლის/.  
2. სახის გაწითლება, შეფაკვლა.
- აპლაკვა** – აწევა. „ფეხები აპლაკა“...
- ასავალდასავალი** – გზაკვალი. „ვერ გავივე მისი ასავალდასავალი“...
- ატენა** – სქესობრივი მოთხოვნილების მომძლავრება.
- აფოლიანცება** – არევ-დარევა, უწესრიგობა. „ააფოლიანცა აქაურობა“...
- აფრაკი** – 1. „ფიცარი პირმრუდი“ /საბა/.  
2. აქედან – შერყეული, ჭკუანაკლული. „აფრაკადაა ჭკუაზე“...
- აფსიორება** – 1. წვრილად. სუსტად აზრდა /სიძინდის და ა.შ./.  
2. თვალის აჭრელება, დაბნელება.

**აქოთება** – ამყრალება.

**აყალო** – „ესე არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკულთა გამრეცხელი“ /  
საბა/.

**აყინწული** – „უშვერად ყელ აზიდული“ /საბა/.

**აშვატიება** – ხელში აყვანა. „ბავშვი აიშვატიე“...

**აჩაინი** – თავმოძვრე, ამაყი, დარდიმანდი. „Отчайинный“-დან.

**აჩემება** – „საკეთილოდ, თუ საავოდ ერთზე დაჟინება“ /საბა/.

**აჩხორვა** – „ურიგოდ წყობა რისამე“ /საბა/.

**აცმა** – „ზედ ჩამოცმა“ /საბა/.

**ახეკა** – აკრევა ძირიდან.

**ახირება** – დაჟინება.

**ახორი** – „ქართული არ არის, ბაგას ჰქვიან“ /საბა/.

**აჯა** – 1. ძალ-ღონე.

2. „ეაჯა – დიდად ევედრა“ /საბა/.

**აჩრჩივი** – ულუფა. საბასთან – „არშივი“.

**ამოსახსენი** – გამოცანა.

## ბ

**ბაბა** – მამა. თურქ.

**ბაბილა** – მამილა.

**ბაბილო** – ვაზის ფოთოლი.

**ბაღია** – „დიდი ჯამი“ /საბა/.

**ბაღიში** – „შვილიშვილი“ /საბა/.

**ბათმანი** – 1. ხის ჭურჭელი მრგვალი, ან კუთხოვანი.

2. საწყაო – 8 კვ.

**ბაია** – „თვალის გუგა“ /საბა/.

**ბაიბური** – ჩამიწუმი, ჩქამი. „ბაიბური არ ისმოდა“...

**ბაირალი** – დროშა, ალამი.

**ბალანი** – თმა. /საბასთან ნახე/.

**ბალანგარი** – „კაცი მოუსმინარი“ /საბა/.

**ბალავარი** – „სადირკულის ქვა დიდ დიდნი“ /საბა/.

**ბანდალი** – „აქა-იქ მივლა-მოვლა“ /საბა/.

**ბაო** – „მცირე ჩრდილი“ /საბა/.

**ბარა (ბარობა)** – არემარე, სახლ-კარი. წყევლა: „არაფერს ეხაროს მის  
ბარაზე“...

**ბარე** – ...ოდე. „ბარე სამი მეც დავლიე“...

**ბარდი** – ძემვი, მაცვლიანი...

**ბარდანი** – „მადის ტომარა საბზეე. სხვათა ენაა, ქართულად თაღა  
ჰქვიან“ /საბა/.

**ბარჯვი** – ბოძი, სვეტი.



- ბასარსხლები** – თავის კნუტები. დაცინვით იტყვიან ბავშვებზედაც.
- ბალანა** – ბავშვი. საბასთან: „მცირე ტყვე“.
- ბაწარი** – საბასთან „სხვილი ღაზლა ქალამნისა“.
- ბელატი** – მელოტი. „უთმო თავი“ /საბა/.
- ბელა** – გაჭირვება, უბედურება. თურქ. „ბალა“-დან.
- ბეთქა** – ძირს დასცა.
- ბეჩა** – მიმართვა (უფრო ქალებში); იგივეა, რაც „ქა“. ალბათ, „ბეჩავო“-დან.
- ბეხრეკი** – ჯახრაკი, ჯაგლაგა ცხენი. დაცინვით იტყვიან ადამიანზედაც.
- ბია** – კომში /საბა/.
- ბინდი** – სიო, ნიავი.
- ბირდაბირი** – განივი ხერხი /თურქ/.
- ბიჯვი** – საყრდენი.
- ბლაყუნი** – 1. უშნო სიარული.  
2. რტყმევა. „რას უბლაყუნებ“.
- ბობორიკა** – თობობა. იტყვიან სუსტ ადამიანზედაც.
- ბოგა** – „მცირე ხიდი“ /საბა/. ბოგირი.
- ბოლი** – ხის ტოტი.
- ბორდოხი** – ბოხი ხმით ლაპარაკი. „რას ბორდოხობ“...
- ბორიო** – სიო, ნიავი. „ბორეასი – ქარია ერთი ჩრდილოთ გამო“ /საბა/.
- ბოდიალი, ბორიალი** – უთავბოლოდ სიარული, იტყვიან ლაპარაკზედაც.
- ბობოლი** – აბრეშუმის ჭია. საბასთან: „დიდრონი ჭია-ჭუა“.
- ბოიკი** – მუტრუკი, მოზრდილი ბიჭი. საბასთან: „ორი წლის ხარი“.
- ბორჯი** – დრო, ჟამი. „ბორჯალი – პაემნის ჟამი. უბორჯლა – პაემანი მისცა“ /საბა/.
- ბოძალი** – „ისარი ორპირი“ /საბა/.
- ბჟუტური** – სულელური ლაპარაკი.
- ბჟოლა** – თუთა. საბასთან: „ჟოლა“.
- ბჟიორა** – ჭივჭავი, პატარა ჩიტი. „ბჟიორასავით მიესივნენ“...
- ბჟუტვა** – მიმკრთალი ციმციმი.
- ბურგალია** – ჩამრგვალებული, ჩასკვნილი.
- ბუხუტია** – დიდი, მოზრდილი, მსხვილი. მაგ. „ბუხუტია ჭიქა“.
- ბუღუა** – ნათლია.
- ბუზარა** – დიდი, მწვანე ბუხი.
- ბუჯერი** – საოჯახო თარო, განჯინა.
- ბუჩქი** – შუბლებით შეჯახება, ჩხუბი – ხბოების, თხების...
- ბურდუ** – გაუვალი ძეძენარი.
- ბურეჭყი** – „ორკაპი“ /საბა/.
- ბუსუნი** – ხმა, ჩქამი. საბასთან: „სადა არა ჰგონებდე,ს მტერმან მუნ უმზიროს“.

- ბუქნა** – „ჩაკუკებით როკვა“ /საბა/.  
**ბუჭულა** – „პატარა წისქვილი“ /საბა/.  
**ბურხ(ა)ლი** – გორაობა, ხუმრობით ჭიდაობა.  
**ბუნდლა, ბურდლა** – ფრინველის ბურტყლი.  
**ბლოტვა** – ხოკვა, კაწვრა. „ლოყები დაბლოტა“...  
**ბლოჭინი** – საქონლის ხმა მაღალი.  
**ბლოწი, ბლონი** – მიხრწნილი, ღრმა მოხუცი.  
**ბჟღარტყი** – ბარტყი.  
**ბზინვა** – „მცირე ელვარება“ /საბა/.  
**ბზაკუნი** – „უშვერი სვლა“ /საბა/.  
**ბრეჭა** – „ბზეკა“ /საბა/.  
**ბღერი, მღერი** – „ძნელი მუნი“ /საბა/.  
**ბოჯაყი** – ხის ტანის ის ნაწილი, საიდანაც განშტოება იწყება.

## ბ

- გაბაჯანიკება** – გაჩაჩხვა ფეხების.  
**გაბბნია** – „ლაფანტა“ /საბა/.  
**გაბზეკა** – „გაშვერასავით“ /საბა/.  
**გაბძულა** – ხერხი.  
**გაგანია** – სიცხე.  
**გადაბრუცვა** – მაგრად დათრობა.  
**გადელეება** – გამმაგება, გაგიჟება. თურქ. „დელი“-დან.  
**გადაყვარუნება** – უხეშად გადავლა (ლობეზე, ყანაში...).  
**გადანტავეება** – გადატრიალება თვალების.  
**გადაკიდება** – ჩაცეება, ატორღიალება, გადამტერება.  
**გადაფურტნა** – გადაფურთხება.  
**გადანლანცვა, გადაყლურჭვა, გადაყურვა** – დაღევა, გადაკვრა.  
**გადაქარვა** – 1. ამპარტაენობა, მეტიჩრობა, გაწევა. „ნუ იქარები...“.  
2. თვალების დატრიალება. „თვალებს ქარავს...“.  
**გადატლარწვა** – გაამაყება, გაყოფრება. „რას იტლარწები...“  
**გავეშება** – გამმაგება. საბასთან: „ქალთ განძინება“.  
**გაზიზინება** – გავსება, გაჟღენთა.  
**გათხლეშა** – 1. მაგრად დათრობა.  
2. გახლეჩა, გახევა, გაგლეჯა.  
**გაიდონა** – იაღონი. ბერძნ. „აიდონ“.  
**გაის** – „მერმის წელს“ /საბა/.  
**გაკუჭება** – გაბრაზება, გულის მოსვლა.  
**გალა** – 1. ბაცი /ფერი/.  
2. წყალწყალა /წვენი, ღვინო/.  
**გალურსვა** – გატრუნვა, გასუსვა, გაჩუმება.

- გალიგება** – გაცივება /ხელის, ფეხის.../.
- გამოწყვეტილი** – 1. შერცხვენილი, თავლაფდასხმული.  
2. მარტოხელა, უნათესაო.
- გამობრანგვა** – მავრად დათრობა. ალბათ „ბანგი“-დან.
- გამთენია** – განთიადი, რიჟრაჟი.
- გამოსულქისინება** – გამოქქება, გაეშმაკება. რუს. „Сукын сын“-იდან.
- გამონთება** – გამოკიდება, გამოდევნება.
- გამოისობით** – ... გამო; „მაგის გამოისობით ვეღარ წავედი“...
- გამობრუნება** – მობრუნება, ავადმყოფის უკეთ გახლოება.
- გამგუნება** – „ჩუმი წყრომა მყოარ“ /საბა/.
- გამოდენა** – „მრავლად გამოსვლა“ /საბა/.
- გამორწყვა** – „მუწუკის შალალის გამოდენა“ /საბა/.
- გამოტირილი** – მიცვალეზულის წლისთავი.
- გამოხვეწა** – „ხის ჭურჭლის თლა“ /საბა/.
- განავებული** – გასუქებული. „ნავი“-დან.
- გაპიპინება** – პირთამდე ავსება /სითხით/.
- გაპარება, გაპარვა** – ჩაქრობა ცეცხლის, სანთლის და ა.შ.
- გაჟუჟვა** – გაწყვეტა, ამოხოცვა. „ჟუჟი დაერიათო“ – იტყვიან.
- გარო** – ცხიმი, სიმსუქნე – კერძი რომ თავზე მოიყენებს.
- გარისინება** – გასივება (გულზე), გაბრაზება.
- გასხვაგნება** – განათხოვრება. „სხვაგან“...
- გასაიავება** – გაწყალება, „გაგალება“ არაყის. „საია“...
- გასავათება** – სალავათის გამოცლა, დაღლა.
- გასიპვა** – გაცივება, გაყინვა. „სიპი“ (ქვა)...
- გასხეპვა** – ხის ტოტების შეჭრა.
- გასიანება** – გაქსიანება, ძაღლის მისევა.
- გატრიზავება** – გაზვიადება, გაბერვა /ამბის/.
- გატკირინება** – გაბერვა /მუცლის/.
- გატიალება** – გათენება, რიჟრაჟი. „იტიალა თუ არა“...
- გაფუშვა** – „შლასავით“ /საბა/.
- გაფრეწა** – ჯაჭუთა და მისთანათა განევა“ /საბა/.
- გაფშეკა /ფეხის/** – სიკვდილი. საბასთან: „გაფშეკული – ავად გამხმარი“.
- გაფუმფულა** – ამოსვრა თოვლში.
- გაქუსვლა** – გაქცევა სწრაფად.
- გაქარება** – გაქრობა. გადაკარგვა. „გაქარდა“... „ქარი“-დან.
- გაქაქება** – შერცხვენა, გალანძღვა, თავის მოჭრა.
- გაშვანვა** – თოვლწყლად ქცევა. „გა-შუა“... ე.ი. არც თოვლია, არც წყალი.
- გაშენება** – 1. ხის დაბეღვა.  
2. ხეხილის მოშენება.

- გაშპობა** – გასხლტომა. „გაშპა გურული“ ...
- გაჩორება** – გაწვევა, მიწვევა.
- გაჩინება** – გახმობა, გაშეშება, გაქვავება.
- გაჩნიკინება** – გაცივება, გამაგრება.
- გაცურცვლა** – გაპარვა სამარცხვინოდ. იხ. „ცურცლი“.
- გაცუცურაკება** – გაცურება, მოტყუება.
- გაცხება /ფეხის/** – სიკვდილი. (გაცხება /სულის/ – მ. ს.)
- გაწაფვა** – 1. შეჩვევა, ათვისება.  
2. მოთვინიერება, გაწვრთნა.
- გაწამაწია** – აურზაური.
- გაწინწვა** – გაწვევა.
- გახელება** – 1. გაშმაგება, გაგიჟება.  
2. დაცინვა, გამოჯავრება.
- გახეება** – გაშეშება, გაქვავება, გამაგრება.
- გაჯირჯეება** – „ძალად დასიება“ /საბა/.
- გაჯიქება** – „ჯიქად შეცვლა“ /საბა/.
- გვიმი** – ჭის თავი. საბასთან: „ჯურღმულის თონე წყალთათვის“.
- გელა** – საღურგლო ხელსაწყო ლურსმნის ამოსადებითურთ.
- გერგილი** – ზარმაცი, უსაქმური.
- გვანი** – ნაგავი, ჭუჭყვი.
- გვარიანი** – საშუალო, არა უშავს!
- გვინძლი** – ძეძვი, ეკლიანი ბუჩქები.
- გვესამანია** – ცბიერი, გაიძვერა. ალბათ, „გველ-სამარია“-დან.
- გზობა** – ...ჯერ. „სამიგზობა“, „რამდენიგზობა“ ...
- გიდელი** – „სკივრი, დაწნული“ /საბა/.
- გელი** – „გელოდები“ /საბა/.
- გვრიშომ** – ირგვლივ.
- გედები** – ბატისა და იხვის დიდ „ბურღლას“ ქვეშა ღინღლი მუცელსა და მკერდზე. ძვირფასია ბალიშისათვის.
- გნაცი** – არაქათი. „გნაცი აღარ მაქვს“... სომხ. „გნაცი“-დან?!
- გომბიო** – გომბეშო. დაცინვით ამბობენ გოგონაზედაც.
- გოდორი** – „წიქვლის ჭურჭელი“ /საბა/.
- გორიცა** – პატარა გოდორი.
- გოგორა** – 1. ბორბალი. საბასთან: „ერქვანთ თვალი საბრუნავი“.  
2. საჭერი პური მთლიანი.
- გორგალი** – დახვეული ძაფი. საბასთან: „დახვეული ნართი“.
- გონიო** – მკუთხავი, ღურგალთა ხელსაწყო.
- გუშხამ** – გუშინ ღამ (მაგრამ გულისხმობს რამდენიმე დღის უკან).
- გულუღმა /საინი/** – გულღრმა, თეფში.
- გნასი** – ხმაური, აურზაური.

**გაღვიღინება** – ძლიერ ანთება ცეცხლისა, ღულუნს რომ დაიწყებს.

**გულუბე** – ჩადაბლებული ადგილი /საყანე/.

**გარდიგარდმო** – „განზე განრა, თუ მოხვედრება“ /საბა/.

**გულსყრა** – გულის წასვლა /საბა/: „შებნედა“.

**გადაზელილი** – „სულუგუნი“ /საბა/.

**გაზმანვა** – გაზომება, დაზომვა.

**გუბე** – „ფოსო, გინა წყლის ტბორე“ /საბა/.

**გულა** – „ტყავისაგან შთასადებელი... ტიკი – სომხურია“ /საბა/.

**გათათხვა** – გალანძვლა.

**გებენი** – კარგი, დიდი, ლამაზი. საერთოდ შესანიშნავის სინონიმი.

წარმოშობილია გერმანული კრეისერის „გებენის“ სახელიდან, რომელიც 1915 წელს შემოვიდა ფოთში.

**გაბულადება** – გაზვიადება, გადაჭარბება. „ბულა“-დან?!

**გამირი** – „ბრტყელი რკინა აქეთ-იქით თავმობრილი ღურსმანივით ერთი-მეორისა ხის შენობის ხეების გადასაბმელად“ /საბა/.

გამოკოპიტებული – კონტად გათლილი, გამოყვანილი.

## დ

**დაბელვა** – „ხეთ გარდაკაფვა“ /საბა/.

**დაბუტება** – „ესე არს რა მიჭირვებით ხელი და ფეხი სისხლით დაუძძიმდეს და მცირედ ხანს ველარა ინმაროს“ /საბა/.

**დაბარძღული** – დაბალი, ჯუჯა.

**დაგვაჯული** – ივივე.

**დაგდაგი** – ლაქლაქი.

**დავარდნილი** – დავრდომილი, გლახაკი.

**დათოლვა** – სახურავიდან თოვლის ჩამოყრა.

**დათქიშინება** („თქიშინი“-დან) – წყლის უზომოდ დაქცევა.

**დათუთქვა** – დაწვა, დამღვლვრა. საბასთან: „თუთქი – ცხელი ნაცარი“.

**დაკაკვლა** – დაწვრილებით მოყოლა. „კაკალ-კაკალ მოუყვა“...

**დაკეთება** – დამაკება საქონლის.

**დაკაება** – 1. დაჭერა.

2. დაპატიმრება.

**დაკოტაება** – დაკარწანება.

**დაკოსება** – დასკუპება.

**დამუდრება** – დაბუდება, დაბინაება ქათმების.

**დამღურება** – გაბუტვა.

**დამუღნარი** – დამჭენარი. საბასთან: „მცირედ დაბეჭილი“.

**დამძალება** – „ხეთთ ვემოს გარყუნა“ /საბა/.

**დამრეცი** – „მოდაღმართო“ /საბა/.

**დანაბადებული** – კარგად მსხმოარე. „ნაბადი“-დან.

- დაპურება** – ჭმევა.
- დარღალა** – „ნაგები დარანი /საბა/.
- დარანი** – „კლდემი, ანუ მიწის ქვეშ შესავალი“ /საბა/. აქედან გამოდარანებული, გადარანებული.
- დასურ** – მართლა. „დასტურ“-იდან.
- დასხრეკილი** – დაბალი, ჯუჯა.
- დასანთარავი, დასაბგალავი** – დასაწვავი.
- დასობა** – „დარჭობა“ /საბა/.
- დასავსები** – „დასასრუტი“ /საბა/.
- დატრიზინებული** – მკვრივი, მაგარი (მაგ. ძუძუები).
- დაფჩენა** – დაღება პირის.
- დაფიჟინებული** – დასიებული, შეშუპებული. იხ. „ფიჟი“.
- დაფეთება** – შეშინება, დაფრთხობა.
- დათუთქვა** – დაწვა, დამღუღრა.
- დაფუშვა** – „დაშლასავით“ /საბა/.
- დაქადნება** – დამოქრება. საბასთან: „დაქადება – ქადილის თქმა“.
- დაღერღვა** – 1. დამღერება, ყველაფრის თქმა.  
2. მსხვილად დაფქვა (ღერდილი). საბასთან „ცერცვის დაროშვა“.
- დაყვლება** – დაჭყეტა თვალების.
- დაშეშნება** – დაპკურება.
- დაშუშნვა** – 1. შიშველ ხორცს შალის ქსოვილი რომ ასწვავს.  
2. სახე ან ხელები რომ აიქერცლება.
- დაშუბვა** – შუბით განგმირვა. წყევლა: „დაგშუბა წმ. გიორგიმ“.
- დაშნა** – ყვარისა და მესერის „დასახდელი“ (იხ.) ხელსაწყო.
- დაჩაირება** – საქონლის გრძლად დაბმა საბალახოზე.
- დაჩანჩხალეობა** – დამსხვრევა, დამტვრევა (უფრო მინის ნაკეთობის).
- დაწვრილმთავრება** – ზოგი დიღია, ზოგი პატარა. მაგ. აბრეშუმის ჭია.
- დაწალიკება** – „წკრივად წასვლა“ /საბა/.
- დაწება** – 1. ხლება. „პირი არ დააწო“... „ხელი არ დააწო“...  
2. „ჩემს საინში დააწე“...
- დაჭუჭკვა** – დალაგება, ჩაჭუჭკვა – ჩალაგება.
- დაჭვარჭვალბეული** – დაწინწკლული.
- დახეთქილი** – „დაპებული“ /საბა/.
- ღაფუნე** – წყალში მოძრაობის ხმაური.
- ღვირო, ღირე** – თავხე. საბასთან: „ღვირე“.
- ღელიხორუმი** – სწრაფი ხორუმი. /ღელი – გიჟი, ე.ი. გიჟი ხორუმი/.
- ღელგმა** – „ღიდი წვიმა“ /საბა/.
- ღეკნა** – ღეკეული.

**დელო** – 1. მთავარი, უფროსი, წინამძღოლი.

2. დედალი.

**დილღვაბი** – ნოყიერი, შავი მიწა.

**დიხაშხო** – ფხვიერი მიწა, „მიწა დახეთქილი“ /საბა/.

**დრუნჩი** – უშნო ბაგე.

**დრუნცი** – მსუქანი, მოუხეშავი გოგო.

**დრანქი** – ძონძროხა.

**დურუბა** – პირფართო, დიდი ბოთლი.

**დურ(რ)ბელა** – შხამი, მწარე, საწამლავი. საბასთან: „წყალი მოთბო და მოწმენდილი“.

**დუქნები** – სოფლის ცენტრი.

**დუნია** – მსოფლიო, მხარე, ქვეყანა, ხმელეთი.

**დუჟი** – „ნერწყვი“ /საბა/.

**დღეისწორი** – დღეის სწორი, ზუსტად ერთი კვირის წინ, ან შემდეგ.

**დალალატიანება** – ხელის შეშლა, მოტყუება. „დალატი“-დან.

**დაბაზებული** – გადამწიფებული.

**დერგი** – „ქილა სხვათა ენაა, ქართულად დერგი ჰქვიან“ /საბა/.

„ჭურთ უმცირესი“ /საბა/.

## ე

**ენგიჩარი** – ჯიუტი, თავნება, თავზეხელაღებული. ალბათ, თურქ.

„იანიჩარი“-დან.

**ელანძე** – ერთ ლანდზე, ახლავე, ამ წუთას.

**ელამელათ** – მოუთმენლად. „სული ელამელათ მაქვს“.

**ერცახე, ერთი ცახე** – პატარა, ნამცეცა.

**ენო** – „ხის სათლელი“ /საბა/.

## ვ

**ვარია** – ახალგაზრდა დედალი.

**ვაიუშველებელი** – ერთი ამბავი, აყალმაყალი, აურზაური.

**ვაცი** – „მამალი თხა“ /საბა/.

**ვინიცობა** – თუ, შეიძლება, კაი თუ... /ვინ იცის/, „ვინიცობა მოვიდექს“...

**ვინარმამაცი** – „ვინ ხარ მამაცი“... ძახილი, საბრძოლო ყიჟინა.

**ვოზოზოია** – 1. სიმღერა.

2. აურზაური.

## ზ

**ზა** – ...თვის. „შალვაზა“, „წყალიზა“...

**ზადი** – ნაკლი. „კინი რამ შერყენილება“ /საბა/; აქედან: „უზადო“.

**ზალაბი** – სალუტი.

- ზავის დაცრა** – დამორჩილება, ბედთან შეგუება.
- ზანდუკი** – „სხვათა ენაა, რომელსაც აწ უწოდებენ, ქართულად კიღობანი ჰქვიან“ /საბა/.
- ზაფრა** – ელდა, შიში, მოულოდნელობა. საბასთან: „თურქთა ენაა, ქართულად მწითური ნაღველი ჰქვიან“.
- ზარმელი** – „სამხრისა შემდგომად ჭამადსა“ /საბა/.
- ზღურთა** – 1. დაარტყა.  
2. გაიქცა.
- ზენა** – აღმ. ქარი.
- ზეპა** – ძირს დასცა.
- ზეპი** (დაზეპილი) – გამოუცხობი, ცომი /პურზე იტყვიან/.
- ზედადგარი** – „ქვაბთ დასადგმელი“ /საბა/.
- ზეით** – ზევით. საბასთან: „უმადლესსავით“.
- ზიდება** – გულის რევა. საბასთან: „გულზიდება – ნთხევას ლამობდეს“.
- ზიმილი** – მოქსოვილი, ან დაწნული კალათა.
- ზინთი** – საბასთან: „ძინთი – სხვათა ენაა, ფისსა ჰქვიან“.
- ზორი** – საბასთან: „ზორვა – კერბთ მიმართ შეწირვა კმევა და მსხვერპლი“. იხმარება ჯაფის მნიშვნელობით – „რა ზორი გადგია ამისთანა?!“.
- ზორზოხი** – „ტანად მოდილო კაცი“ /საბა/.
- ზორტი** – „ლარისაგან სამოსელთ შესაკინძი“ /საბა/.
- ზღველა** – კოკისპირული წვიმა. „ზღვა“-დან.

## თ

- თავანი** – სხვენი.
- თავისახლი** – გათხოვილი ქალისათვის თავისი მშობლების სახლი, საიდანაც გათხოვდა.
- თაკარა** – პაპანაქება. საბასთან: „არს ჭიქათა დასადნობელი და შესაქნელი ადვილი“.
- თათარი** – ავი, დაუნდობელი.
- თათხვა** – ლანძღვა. საბასთან: „ჩათათხვა – ავად დატუქსვა“.
- თენჯერა** – თუჯის ქვაბი.
- თებო** – „თმის მწიკული“ /საბა/.
- თელგამი** – „ბალღამი“ /საბა/.
- თვერი** – ბიბილო, თიკი.
- თვარა** – თორემ, თუ არა... „დაქადების სიტყვაა“ /საბა/.
- თირი** – „არს კლდე ლბილი და ადვილი სათლელი“ /საბა/.
- თიკანი** – „თხის შვილი“ /საბა/.
- თითო** – „თითოეული“ /საბა/.
- თოლაბურთა** – გუნდაობა. „თოვლა-ბურთა“.



- თოთო** – „კვერცხი თოხლო“ /საბა/.
- თუნთრუბა** – ძალიან მსუქანი ხორცი.
- თუნგი** – წყლის ჭურჭელი სპილენძის.
- თქორი** – პატარა წვიმა /საბასთან იხ. წვიმა/.
- თქიშინი** – თქრიალი.
- თქლაფვა** – უშნოდ ჭამა. საბასთან: „თქლევა – ძალთაგან ენით წუნის ამოჭმა“.
- თქეში** – კოკისპირული წვიმა /საბასთან იხ. წვიმა/.
- თხამლი** – ჩირქი. „თხრამლი – არს მუწუკის ზრქელი ბაყლი ნადენი“ /საბა/.
- თხრობელი, მთხრობელი** – ამბის მიმტანი. „ისე დაამარცხეს მტერი, რომ მთხრობელი არ გაუშვეს“.
- (მ)თხლე** – „ღვინის დაღეკებული“ /საბა/.
- თვალადი** – „თუალადი – კარგი სახილავი“ /საბა/.
- თავუხლარი** – უდარდელი, თავაგდებული.
- თხიპა** – წიწილას დაავადებაა, ყელში პატარა ჭიები უჩნდება და ვერ სუნთქავს – ათხიპებს.

## ო

- იალონი** – „ალიონი“ /საბა/.
- იანცი** – ანცი, ცელქი.
- იაპონია** – სოია.
- იკლიკანტური** – უცხო ელფერის, უცნაური.
- იმანო** – იხმარება საუბარში მიმართვისას სახელის მაგივრად.
- ინჯრა** – საჭმელი. კერძი, ულუფა. საბასთან „იჯრა-ჯერი“.
- იოთანი** – ნირი, ელფერი.
- იპრიანა** – „უაღრესმან იწადა“ /საბა/.
- ილბალი** – ბედი.
- იჩქითი** – „ანაზღეული“ /საბა/.
- ილინცური** – ირიბი.

## კ

- კავლა** – კავი, „კაკვი“, ხის ტოტის მოსაწევედ.
- კაკვი** – ხის ტოტის „მოსაწონიებული“ (მოსაწევი). საბა: „მოკავებული“.
- კაკაჩია** – მთვარიანი ღამე. საბასთან: „კაკაჩი – ღამე მთვრით ნათელი“.
- კაპჭანა** – პატარა ქვაბი.
- კალანდა** – „კალანდობა – ახალწელიწადი“ /საბა/.
- კარკაცი** – კისკისი.
- კამპალი** – გამყივანი ხმით ლაპარაკი ქალისა.
- კარდალა** – „მომცრო ქვაბი“ /საბა/.
- კალთამადლიანი** – კახპა.

- კაძახი, ყაზახი** – გლეხი, მამაკაცი.  
**კანტური** – „თავის ქნევა“ /საბა/.  
**კარბა** – „ქვაბის ყური“ /საბა/.  
**კბილა** – ტოლი, თანამოსაკე.  
**კბოდე** – „ზღვისა და წყლის პირი. კლდოვან ფლატოიანი, ჩაუვალი“ /  
საბა/.  
**კელამი(ნ)და** – ჭადის გამოსაცხობი გამომწვარი თიხისა.  
**კელისტია** – ბალღინჯო. „კედლის ტილი“.  
**კევატი** – კვიმატი, ენამწარე.  
**კეკალი, კაკალი** – ცალი. „ერთი კეკალი შვილი მყავს“...  
**(მ)კედი** – „მოსხო ძაფი“ /საბა/.  
**კედარო** – მხარე. „რომელ კედაროს წავიდა“... „ეს კედარო მტკივა“...  
**კემსა** – „წურილად დაჭრა“ /საბა/.  
**კეჟერა** – „კომბოსტო რომ თავს არ დაიხვევს“ /საბა/.  
**კერტი** – „ძუძუს თავი“ /საბა/.  
**კეცი** – ჭადის საცხობი. საბასთან: „მიწა საჭურჭლე“.  
**კეხი** – სატვირთო უნაგირი. საბასთან: „შეუშაადებელი უნაგირი“.  
**კვერკვეტო** – ხის პატარა ჩაქუჩი.  
**კვახი** – გოგრა /საბასთან იხ. „აყირო“/.  
**კვარი** – ნაძვის ან ფიჭვის ნაპობი ასანთებად.  
**კვარჩხალი** – დუღილის ხმა.  
**კვნიტი** – „მარილის ნატეხი“ /საბა/.  
**კვანწვა** – „ქალთ როკვაში უსულიანად მიმოვრება“ /საბა/.  
**კვეთი** – ღვრიტა. კეთდება მანჭიკასაგან (იხ.).  
**კვირტი** – ფრინველის კანზე ჩარჩენილი ძირები ბუნტყლისა. აქედან  
„გაკვირტვა“.  
**კვატა** – იხვი.  
**კინკრიხო** – კეფა.  
**(რ)კინა** – დიდი ნაფახი.  
**კირკიცი** – კისკისი.  
**კიშანი** – ძროხის ან ზარის ხმამალალი ზახილი. საბასთან: „კიშანება“.  
**კილი** – „მცირე რამ წუნი“ /საბა/.  
**კიჟინა** – „მრავალთა ხმაი სილაღისა“ /საბა/.  
**კირკაჟი** – „კირკიტი, ძნელ გასაფცქუნელი“ /საბა/... კირკიტი –  
სომხურია.  
**კინჩხი** – კისრის უკანა მხარე.  
**კილო** – „დილის გარდასაცმელი“ /საბა/. აქედან „დილ-კილო“.  
**კოსრო** – კეფა.  
**კოხი** – სეტყვა.  
**კორიანჩხელი** – კაპასი.

- კორტუა** – მოკლე. „დედამ ჩონა შემიკერა, მოკლე იყო – კორტუა“...
- კოჭობა** – პატარა ქოთანნი /საბასთან იხ. ჭურჭელთან/.
- კორთი** – გესლიანი ენის მქონე.
- კოდაბზეკალი** – მშვილდისარი. „კოდალი – სამფრთიანი ისარი, ესროდნენ ყაბასს“. „ბზეკალი – ხის მშვილდი“ /საბა/, აქედან „დაკოდა“ – დაჭრა...
- კორწიანი** – ქანაობა.
- კოლობი** – მიწის მაგარი ბელტი. საბასთან: „მიწა, ქვის მსგავსი, რკინის საფერი“.
- კოთხო** – ხის კოლოფი, ყუთი.
- კონახი** – კუბო.
- კომბერი** – ავი, ქოფაკი, ბებერი ძაღლი. იტყვიან ადამიანზედაც.
- კოდ(ი)მე** – იხ. კბოდე.
- კოკორინა** – „პატარა იხვი“ /საბა/.
- კოპე** – „საღვინე არს, ათის თუხტის დამტევენელი“ /საბა/.
- კორკიმელი** – ხილია ქლიავის ჯიშისა /იხ. საბა/.
- კოჭყური** – კარის საკეტი.
- კოტა** – „უღლის რიკი, გინა ხრმლის ხეტარი“ /საბა/.
- კოიანი** – 1. ქათმების კაკანი.  
2. ციცაბო აღმართი.
- კოიბუჭი** – დაშაქრული თაფლი. საერთოდ, ძალიან ტკბილი /საბასთან: „კიბრუჭი“/.
- კუხე** – 1. მკვახე, უმწიფარი.  
2. პირქუში, უკმეხი ადამიანი.
- კურუმკა** – ჭრაქი. რუს. „Кружка“-დან.
- კუპრიელა** – პატარა ტიკი.
- კუთვა** – კვნესა.
- კუტა** – 1. მიმართვა, როგორც „ჯო“, „ქა“, „ბოშო“ და სხვ. იხმარება – კუტალიაც.  
2. ჩაფის /იხ./ ქვემო ნაწილზე ხელწასავლები. /საერთოდ „კუტუდანა“/.
- კურცხალი** – ცრემლი. „ყურწყალი“.
- კუნაპეტი** – ძალზე ბნელი ღამე.
- კურკლი** – თხის განავალი წვრილი /იხ. საბა/.
- კუნტი** – კუტი, დავრდომილი.
- კულუსუნი** – „საკაჭკაჭის ძულის წვერი“ /საბა/.
- კურკანტელი** – სუროს ნაყოფი /საბა/.
- კუშტი** – „მწყრალად მყოფი და არა მრისხანე /საბა/.
- კუხი** – უმწიფარი ყურძენი, „ისრიმი“ /საბა/.
- კუშტული** – წვერი სახლის, ხის და ა.შ.
- კონკი** – ძონძი, ძველმანები.

- კლერტი** – „ყურძნის ღერო, ბურძღენი“ /საბა/.  
**კიდე** – „ზღვათა და წყალთა ნაპირსა ეწოდების“ /საბა/.  
**კლასი** – ეძახიან საერთოდ სკოლას. „წავედეთ კლასში“...  
**კორიფა** – ფიცრის გადანაჭერი.  
**კროჭინი** – ბავშვის, თოთოს სიცილის ხმა.

## ლ

- ლაილაი** – ლაქლაქი. თურქული ლოცვიდან.  
**ლამფა** – თხელი ფიცარი. „ЛЮМОВКА“.  
**ლაფარო** – სახლის ირგვლივი სახურავის ქვეშ.  
**ლაციცი** – საბასთან: „ველაციცე – ხელით აშოკთ თამაშობა“.  
**ლასტი** – „დაწნული ილეკრო, ანუ წკებლი“ /საბა/.  
**ლაწირაკი** – „მისათრეველი“, „დიდი მარხილის სათარი, გინა ცუდი ყრმა“ /საბა/.  
**ლარტყა** – „ბრტყელი ლატანი“ /საბა/.  
**ლანქერი** – „თოვლის ღვარი“ /საბა/.  
**ლეგი** – ლურჯი მიწა.  
**ლეკვერთხი** – „წვივთ საკრავი“ /საბა/.  
**ლემტერი** – „სეტყვის ღვარი“ /საბა/.  
**ლეყერი** – „ნელლი ავი შეშა“ /საბა/.  
**ლეღვეთ (წასვლა)** – პირდაპირ, გზის მოჭრა. ადგილია „ლეღვა“.  
**ლენტყებო** – ჭაობი, დამპალი წყალი.  
**ლიანგი** – მასა, ბრბო.  
**ლია** – „ლერწმონათა საფლობთა ეწოდებიან“ /საბა/.  
**ლილო** – „რა თოვლი აჭრელდეს“ /საბა/.  
**ლოლნა** – „უკბილოსაგან ცოხნა“ /საბა/.  
**ლოსტოქო** – ტლაპო, ტალახი.  
**ლოქორია** – ლოკოკინა. საბასთან: „ლოქორა – ზღვის ლოფორთქინა“.  
**ლუსკუმი** – ძალზე ბნელი ღამე.

## მ

- მამაზეციერი** – ღმერთი.  
**მარჩიელი** – მკითხავი.  
**მაქციერა** – ბავშვი, ან ქალი, თავისი საქციელით თავს რომ შეეყვარებს.  
**მატირალი** – დედ-მამა ასე უწოდებს ქალიშვილს.  
**მაკვარანცხი** – ეშმაკი, ცელქი.  
**მაკიდონი** – „ოხრანუში“ /საბა/.  
**მალაღური** – ჩიტია /იხ. საბა/  
**მანჭკუალა** – „სოკოა კუნძზე ბძული“ /საბა/.  
**მარჭვალი** – „ჩასაყარი ლურსმანი“ /საბა/.

- მარგლა** – პირველი თოხი. „ბალახთ ამოგლეჯა“ /საბა/.
- მაშა** – „ცეცხლის ასაღები“ /საბა/. თურქულია, ქართ. – „ტკეცი“.
- მაგარა** – საქონლის ღვიძლი.
- მანჭიკა** – მრავალწიგნა /საქ. შინაგ. ორგ./.
- მაკე** – ორსული საქონელი. აქედან – „დამაკებული“.
- მერდინი** – წვრილთვალა საცერი. აქედან – „გამერდინებული ფქვილი“.
- მენტარი** – წინასწარმეტყველი, ყოვლისმცოდნე. ალბათ, „მეცნიერი“-დან.
- მეშარია** – შარახვეტია (ქალი).
- მეცადინი** – ბეჯითი. შეად. „მეცადინეობა“.
- მეპიტნავება** – არ მენაღვლება. ე.ი. პიტნად არ მიღირს...
- მერე** – „მოედანი, სწორი ვაკე“ /საბა/.
- მემძორია** – ხორცეულის მოყვარული. „მძორი“-დან.
- მიდღემჩი** – მის ღლეში, არასოდეს, ვერასდროს.
- მითაჟამის** – დიდი ხნის, ძველი. მითიური ჟამის...
- მიჭობიტება** – ხეზე ან სხვა სიმაღლეზე ასვლისას ქვემოდან მიხმარება.
- მიღეთი** – აუარება (ხალხი).
- მიშველი** – ფესსაცმლის ჩაცმისას დამხმარე ხელსაწყო.
- მისიანი** – „ტომთაგანი ვინმე“ /საბა/.
- მოტვინვა** – გალახვა, ცემა, დაჟეჟვა. „ტვინი“-დან.
- მორეკული** – ორაზროვანი, დიპლომატიური (საუბარი).
- მოძიება** – პოვნა.
- მოწონება** – მოწევა (ტოტის).
- (მ)წუთხე** – „მეტად მლაშე“ /საბა/.
- მოკუნცხული** – მოხრილი.
- მორჯულება** – მოთვინიერება, გაწვრთნა. „რჯული“-დან.
- მონუსხვა** – მოჯადოება, ჰიპნოზი.
- მოლი** – მდელო, ბალახიანი ველი.
- მოპირვა** – ალესვა. „პირი“-დან.
- მოლრიანჭებული** – მოშლილი (კარები, ჭიშკარი).
- მონაკვერება** – მოკრეფის შემდეგ ხელახლა ჩამოვლა დარჩენილის მოსაგროვებლად. მაგ. თხილის.
- მოშუშება** – მორჩენა, შეხორცება (ჭრილობის).
- მოხედვა** – 1. ავადმყოფის მოკეთება.  
2. მზრუნველობა.
- მოყირჭება** – მობეზრება. „მოყირჭდა სულ ყველის ჭამა“ ... საბასთან:  
„ესე იგი არს ღიდხან ერთ საქმეში ყოფნა შესწყინდეს და არღარა უნდოდეს“.
- მოწიფული** – 1. ზრდადასრულებული ადამიანი.  
2. კარგი ვაჟკაცი ან ქალი.
- მოჯაყვა** – თავის მოჭრა, შერცხვენა. „საჯაყი საქმე დამემართა“...

- მოსპილენებელი** – მოტვლებილი (თავი). „სპილენძი“-დან.
- მოცვეთი** – გასავზავნ-გამოსავზავნად გამოსადეგი ბავშვი.
- მოსხო** – „ცოტა სხვილი“ /საბა/.
- მოცოროზი** – პატარა, ჯუჯა. საბასთან: „შვიდკვირია ღომი“.
- მოჭუა** – კრუხი.
- მოლღო** – თხელი, საბასთან: „ლახორა – ჯოღლო-მოლღო“.
- მოყვარე** – „ეჟე არიან მზახალნი და ცოლეურნი, გინა კეთილის მოქმენი“ /საბა/.
- მოშიში** – „შიშის მქონებელი“ /საბა/.
- მოშურნე** – „შურის მქნელი“ /საბა/.
- მოჭმული** – „მონადივარი“ /საბა/.
- მოროდი** – მეორე თოხი. „მეორადი“...
- მოგვერდი** – ჭიდაობის იღეთი. საბასთან: „თედოს კვრა ფუნდუკში“.
- მოთნე** – „მესათნოე“ /საბა/.
- მოთუთქვა** – „მცირედ მოხარშვა“ /საბა/.
- მოიკანტურა** – „თავი მოიდაბლა“ /საბა/.
- მოისაყრა** – „თავი მოიკუტა“ /საბა/.
- მოპრუწული** – „მოპრუწვილი – მოფხუწულივით“ /საბა/.
- მორბედი** – „მორბენალი“ /საბა/.
- მოსარები** – „ადგილი შემოსავლელი“ /საბა/.
- მოსპოტვა** – „მოხოცვა“ /საბა/.
- მოსრული** – „მოსული“ /საბა/.
- მოსურნე** – „სურვილის მღომი“ /საბა/.
- მოჭუჭკვა** – მოგროვება, თავმოყრა, შეკრება.
- მოოჭვილი** – „მოთვალული ოქროითა“... „მურასა – სპარსულია“ /საბა/.
- მოქნა** – „ტყავის დარბილება“ /საბა/. აქედან „მოქნილი“.
- მუხურო** – კუთხე.
- მუშია** – მეტად იშვიათი. „მუშიად საშოვნელია“...
- მუტაკია** – ძვ. თამაში: ერთმანეთი უნდა დაეჭირათ, აყვანათ და საჯდომი ხეზე მიერთყმევენებინათ.
- მუსარია** – ?? წყევლა: „თქვენ დაგერიათ მუსარია“...
- მუღო** – „თავი დიდი და სხუარივი“ /საბა/.
- მფერზავი** – მეკვლე, მეფერური, მეფერხე.
- მქირდავი** – ცინიკი, დამცინავი. საბასთან: „ქირდავა – თავსსიცილი“ და „გაქირდავა – გაკიცხვა“.
- მქნელი** – „მოქმედი“ /საბა/.
- მძაღე** – „დამპალი ნიგოზი, გინა მომწალება“ /საბა/.
- მოწაინე** – შანის მომგები...
- მიჩუმებობა** – მიჩუმება, დამალვა.

6

- ნაბურავი** – სახურავი (სახლის).
- ნაცრა** – ქატო, გაცრის შემდეგ რომ რჩება. საბასთან: „ანაცარი – ქატო“.
- ნამეტანი** – მეტისმეტი.
- ნაღრიბა** – სუსტი, უსუსური.
- ნაკორტალა, ნაგულა** – სიმინდის ტაროს გული.
- ნაქურჩალა** – სიმინდის ფუჩეჩი, საბასთან იხ. ქერქი.
- ნაყვა** – ჩეჩქვა სუნელის. აქედან: „წყლის ნაყვა“...
- ნაკელი** – სასუქი (საქონლის განავალი).
- ნაოღვარა** – ნა-ბოლ-ვარა. ბოლო, უმცროსი, პატარა.
- ნავარი** – ოხერი, მუღრევი.
- ნადი** – „მამითადი“ /საბა/.
- ნაკრული** – „ნაკლული“ /საბა/.
- ნანდვილი** – „ნამდვილი“ /საბა/.
- ნარჩოლი** – „რჩოლილი“ /საბა/.
- ნასიკეთვარი** – „კეთილი ნაქნარი“ /საბა/.
- ნაღვარევი** – „ხმელი ხევი“ /საბა/.
- ნაწრეტი, ნაწრედი** – ნაჭური, გინა მცირე სისველის რაიმე“ /საბა/.
- ნაქნარი** – „ქმნილი“ /საბა/.
- ნაწყლი** – „უკანა კარი“ /საბა/.
- ნაჯანი** – „მცირე ცული“ /საბა/.
- ნადული** – სველიდან /იხ./ დაწურული.
- ნამოჭვარი** – კვერცხი, კრუსს რომ წაუხდება. იხ. მოჭუა.
- ნაბარი** – „ბართ ნათხარი“ /საბა/.
- ნალია** – სასიმინდე. საბასთან: „სალოზე სახლი, ფაცხა“.
- ნენა** – დედა.
- ნელთბილი** – ოღნავ ცხელი.
- ნეზვი** – დედალი ღორი, თხა. საბასთან იხ. თხა.
- ნეშო** – ნოშო – „ფოთლიანი შტო“ /საბა/.
- ნედლი** – „შეუმჭკნარი“ /საბა/.
- ნიშატი** – „ეს არს ბუნებითი ძალი, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდებენ“.
- ნიკარტი** – „ნისკარტი“ /საბა/.
- ნისახი** – ნისახი, იერი, ნირი. „კაცის ნისახი არ აქვს“...
- ნიტრა** – ლიტრა, პატარა ღოჭი.

**(ო)**

- ოდა** – „თურქთა ენაა, სენაკსა ჰქვიან“ /საბა/.  
**ოღა** – მასა, ბრბო. „ოღა ხალხია თავშეყრილი“...  
**ომანო** – სორო, ხვრელი. ბუნავი.  
**ონიო** – იხტიბარი. „ონიოს არ იტეხს“...  
**ორკაპი** – „ძნია ასაგებელი ორკაპი“ /საბა/.  
**ორანი** – წყევლა: „არ გაიშვა შენი ორანი“...  
**ოყა** – წონის ერთეული – 3 გირვანქა, ე.ი. 1200 გრ. საბასთან: „თათართა ენაა, 8 თუხტის წონა“.  
**ოწვეთო** – სახლის გარშემო სახურავიდან საწვეთე.  
**(წ)ოწინარი** – „ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქვათ ასაღებლად და მალლა ოსტატისა თანა მისატანელად“ /საბა/.  
**ოჭივარა** – ბავშვისთვის სიარულის შესასწავლი ორძელი.  
**ოჯინჯალა** – ჭერიდან კერაზე ჩამოშვებული ჯაჭვი.  
**ოჯო, ოყო** – მიმართვაა, „ვეუოს“-ნაირი.  
**ოსტი** – „ხომ ამოვედი შენს ოსტში“.

**პ**

- პალატი** – ოდის პირველი სართული. საბასთან: „ვრცელი დიდი სახლი“.  
**პარპაში** – განცხრომა, ლხენა.  
**პარმალი, პარმახტი** – აივანი. თურქ.  
**პაწაწკვატი, პატატვრანი** – პატარ-პატარები.  
**პენტა** – „ბამბათ გაღვრინვა“ /საბა/.  
**პეტმეზი** – ძალიან ტკბილი. თურქ. „ბეთმეზ“.  
**პეშვი** – „ორი ხელი რა მოხაროს ჭურჭელსავით“ /საბა/.  
**პეპლვა** – „ფრინველთ აღრევა“ /საბა/. აქედან: „დაპეპლა“.  
**პეტელი** – თხის ხმა.  
**პელენწუკა** – ფეთხუმი, უწესრიგო.  
**პეპერა** – ბებია-ბაბუის დედა ან მამა.  
**პირპილი, პიპილი** – წიწკა /საბა/.  
**პოტინი** – ბლაუჭი, მობლაუჭება. „რას მეპოტინები“, „ხეზე აპოტინდა“...  
**პოტიკი** – კაპი. „ორპოტიკი ჯოხი – ორკაპა ჯოხი“. საბასთან: „პოტიკო – კაკების მახე“.  
**პრაწვა** – გადმოკარკვლა (თვალების).  
**პრიანება** – „უხესთაესთაგან სურვილი“ /საბა/.  
**პრკე** – „ღვინის ობი“ /საბა/.  
**პუება** – უშიშროება. „არ ეპუება“...  
**პწკალა** – კიბე, საფეხურებ-ამოჭრილი მორი. ლათ. „შკალა“-დან.  
**პწნაი** – ნაწნავი, წნული.  
**პწკენა** – ჩქმეტა. საბასთან: „ბრწკენა“.



**უ**

- უალტამი** – ველური ბალახი.  
**უვარუნი** – უხეში სიარული.  
**უვერო** – „ფოთლიანი რტო“ /საბა/.  
**უვაევი** – დიდი ცვარი. საბასთან იხ. წვიმა.  
**უვერი** – უხეში, გაუთლელი.  
**უინჟელი** – „წვრილი თქორი“ /საბა/.  
**ურუნი** – ციმციმი (ვარსკვლავების).  
**ურუი** – სისველე, სითხე. აქედან: „ნაჟური“.  
**ულლემა** – 1. „ჟღვლემა – ავად სრესა“ /საბა/.  
 2. დარტყმა. „ჟღვლემა კისერში“...  
**ულვინტი** – „დიდი წვინტილი“ /საბა/.

**რ**

- რაზა** – „კარის გარდასაცმელი რკინა“ /საბა/. აქედან: „ჩარაზა“.  
**რაზუნი** – „ფიცრის ხმა“ /საბა/.  
**რაზი** – ერთნახადი არაყი.  
**რენგია** – მოუხეშავი, მოუქნელი.  
**რიარია** – ღრიანცელი, აურზაური.  
**რიბრაბო** – დღე-ღამის გაყრა, ბინდი, დაისი /საბა/.  
**როგო** – ქვევრის სარქველი. საბასთან იხ. ჭურჭელი.  
**როყო** – „მაღალი და უშნო ხმა – როყო“... /საბა/.  
**რქენა** – რქებით შეჯახება ცხოველებისა.  
**რჩოლა** – „ავნოს რამე“ /საბა/.

**ს**

- სათრელა** – ურემზე გამობმული მორი.  
**საენგურე, საანგურე** – აგურხანა, აგურის ქარხანა.  
**სარახი (ქვაბი)** – არეის გამოსასდელი სპილენძის ქვაბი. „რახი“-დან /იხ./  
**სამანძაგო** – სამარცხვინო.  
**საიასალო** – საჩვენებელი, სამაგალითო.  
**სამიდღემჩიო** – სამუდამო, სამარადისო.  
**სარეჯგველა** – კაკანათი, სათაგური.  
**სალიკე** – ... ადგილას. „ამა და ამ სალიკე მოდი“...  
**საქმება** – ღებინება. „პირიდან ასაქმა“...  
**სარაჯი** – თაფლიანი ფიჭა.  
**საბელური** – დაბალი, უსამხრეებო გოდორი.  
**სალარო** – საკუჭნაო.  
**საჭერი (პური)** – მთელი პური, „ბუხანკა“ – „Буханка“.  
**სახლი, სასახლე** – კუბო.

**სამზეური** – სადაც მზე უდევბა. საბასთან პირიქითაა: „საჩრდილო“.

**საპა(ლ)ნე** – 1. „ულაყის სატვირთავი“ /საბა/.

2. საზომი ერთეული = 10 ფუთს.

**სარი** – „ვაზის მანა“ /საბა/.

**სასთუმალი** – „სასთუნალი – თავსადები ფიცარი თუ რაც“ /საბა/.

**სასულე** – „ყარყანტო“ /საბა/.

**სასხლევი** – „სასხლევი – მევენახის დანა“ /საბა/.

**სატონი, სატეხი** – „საჭრეთელი ძელისა“ /საბა/.

**საცეხველი** – „მარცვალთ საბეგვი“ /საბა/.

**საწიგნე** – „წიგნთა ადგილი“ /საბა/. ჩანთა.

**საწნახელი** – „საწნახელი – ყურძნის საჭყლეტი“ /საბა/.

**სახვეწარი** – „სახვედრებელი“ /საბა/.

**საკოჭავი** – „არს საბელი საპალნის შესაკრავი“ /საბა/.

**სარეგავი** – „არს მახე დიდი მხეცით თავუამდე“ /საბა/.

**საპყარი** – გლახაკი, დავრდომილი, კუტი /საბა/.

**სალადრია** – ნალვერდალის ასაღები პატრა ნიჩაბი. ასტამი.

...სანი – იგივეა, რაც „...ანი“, მაგ. „გიორგისანი“, „ოთარასანი“ და ა.შ.

**სასუქი** – ქათმების გასასუქებლად დასამწყვდევი ძარი /იხ/

**სატირალი** – დაკრძალვა.

**სამონველი, სამუნელი** – „ცხენის საფხანი“ /საბა/.

**სამყადი** – ჩაქურას სარტყელი.

**საორხელო** – სასწრაფო, საჩქარო (საქმე). „სა-ორ-ხელ“-ო...

**საკრეფელა** – გრძელ ჭოკზე (იხ.) დამაგრებული პაწია კალათი ხელმიუწვდომელი ხილის დასაკრეფად.

**საბიჯვი** – საბჯენი.

**სენთი** – ხერხი. „სენთიანი ბიჭია“...

**სველი** – ყველის „ამოყვანის“ შემდეგ დარჩენილი სითხე. შრატი.

**სიმწრით** – სიმწარით, ვაი-ვაგლახით. „სიმწრით გაზრდილი“...

**სიკორკობილა** – აიწონა-დაწონა (თამაში ფიცრით).

**სიკორწიანა** – საქანელა (იხ. „კორწიანი“).

**სილალი** – 1. ახლოხზე მხარილლივ გადაკიდებული სირმა.

2. იარაღი, საჭურველი (იხ. „ჩასილალებული“).

**სიამტკებილობა** – შეწყობილობა, შეთანხმებულობა.

**სირსნა** – წვრილად დაჭრა.

**სიპი** – „ქვა პირგლუსუნი“ /საბა/.

**სირსვლი** – „რაიც მარცვალი წყლით ოდენ მოინარშება“ /საბა/.

**სკვარამი** – წკვარამი – 1. ბნელი ღამე.  
2. ღრმა უფსკრული.  
3. ჯანდაბა, ჯოჯოხეთი.

**სკვინჩა** – ჩიტი /საბა/.

- სოინარი** – „სტვირნი შეწყობით შენებული“ /საბა/.
- სორომგორომი** – სოლომი და გომორი. დაქცევა, დაღუპვა. აქედან:  
„დასორომგორომდა“.
- სოი** – გვარობა, ხარისხი, ფერი, ნაირი... „რა სოისა“...
- სტველი, სთველი** – რთველი, შემოდგომა. აქედან „ნასტველვი“...
- სულუცოდვილო** – სულო ცოდვილო. „სულს ვერ წავიწყებდ“ „ღმერთს ვერ შევცოდებ“.
- სულწასული** – მოუთმენელი, ჩქარი.
- სხმომი** – მუწუკი, ძირმაგარა. საბასთან: „მსხმო“.
- სხვენი** – „სხუნი – აღსავალი“, „სხუენი – სართულში შესანახავი“ /საბა/.
- სხეპა** – „გარდაკაფვა“ /საბა/.
- სხივილი** – „შხივილი“ /საბა/.
- სახოური** – სახვევერი, დასახვევი... მსხვილი თოკი.

## ტ

- ტარაბუა** – თავბრუ. „ტარაბუა დამესხა“... საბასთან: „ტარაბუა – საშულოვე“.
- ტატილა** – 1. ასხმული მძივები.  
2. კრიალოსანი.
- ტაბიკი** – „უღლის სახელური“ /საბა/.
- ტაროსი** – „დარიც და ამინდიცა“ /საბა/.
- ტალავარი** – „საჩრდილობელი“ /საბა/.
- ტერიდავი** – ე.ი. მტრის თავი. საუბარში ასე იხსენიებენ საკუთარ თავს ან ახლობელს, როცა უბედურებაზეა ლაპარაკი. „რომ მომკვდარიყო ტერიდავი“...
- ტენტერი** – 1. ჩერჩეტი, სულელი.  
2. სულელური ლაპარაკი.  
3. სულელური სიარული.
- ტიალი** – ტრიალი, გაშლილი მინდორი.
- ტკვერა** – „კუნეტა“ /საბა/. კუნეტა.
- ტკეცი** – „ცეცხლის ასაღები“ /საბა/.
- ტკეჩი** – კალათის, გოდრის დასაწნავი – „დახდილი“ ხის...
- ტკბილი** – „ტყბილი – ძველნი ყურძნის წვენს ტკბილსა ესრე ტყბილს უწოდენ“.
- ტლიკინი** – უთავბოლო ლაპარაკი.
- ტრუპანტივით** – ჩქარ-ჩქარა, სწრაფად.
- ტოცორი** – მოზრდილი (ბიჭი).
- ტომპო** – ლაფი.
- ტორღიალი, ტორღალი** – „წატოლებასათვის“ /საბა/.

- ტობობა** – ქვირითის დაყრის პერიოდი.  
**ტოშება** – გაოცება, გაკვირება. „რატომ გეტოშა“.  
**ტუკი** – კეტი.  
**ტურაქორწილი** – პატარა, მცირერიცხოვანი ქორწილი.  
**ტუა** – ცური, ჯიქანი.  
**ტრუსი** – „მატყელთა წვის სუნი“ /საბა/.  
**ტრიხინი** – უშნო სირბილი.  
**ტკბილისკვერი** – ტყუპი თათარისა.

## უ

- უარს** – „უვლის“ /საბა/.  
**უბრი** – „უბარი – უზრახი“ /საბა/.  
**უბნობა** – „ლაპარაკი“ /საბა/.  
**უდიერი** – „ძალის დატანება სიტყვით თუ საქმით“ /საბა/.  
**უზნოური** – უზნეო /ბავშვი/.  
**უზმო** – ჭამამდე. საბასთან: „უზმა“.  
**უკმაკური** – უკულმართი, ახირებული.  
**უკადრისი** – ამპარტავანი, კუდაბზიკა.  
**უკეთური** – „ესე არს მჩემებელი კეთილისა და მოქმედი ბოროტისა“ /საბა/.  
**უკეზი** – „საწყენის სიტყვის მიმგები“ /საბა/.  
**უკუნი** – „ბნელი წყვილი“ /საბა/.  
**უკულმართი** – „არა წალმართის მოქმედი“ /საბა/.  
**უმი** – „ნედლი ხორცი“ /საბა/.  
**უმისოდ** – „მისდა უცოდინრად“ /საბა/.  
**უნახველა** – საგინებელია – ცუდი შესახედაობის.  
**უნელი** – უცნაური, უჩვეულო (ბავშვია).  
**უნიშნო** – „ერთფერი“ /საბა/.  
**უნდომი** – ავადმყოფი.  
**უნასი** – გველი.  
**უფური** – 1. წყლის ავი სული.  
2. უხასიათო ადამიანი.  
**ურა** – გაუხედნავი, ან ფიცხი ცხენი.  
**უსახური** – „კეთილის უმოქმედო, გინა უსაზო“ /საბა/.  
**უტუნი** – უტიფარი, უსირცხვილო, უტენი.  
**უსხი** – გაქსუებული. საბასთან: „ზროზა საკლავი მსუქანი“.  
**უყი** – ყამირი, გაუტეხავი მიწა.  
**უყურჭუმა** – „თავი წყალში ჩაუყო“ /საბა/.  
**უშენი** – „არ მოშენებული“ /საბა/.  
**უშველებელი** – უზარმაზარი.

**უწმინდური** – გველი.

**უხილავი** – „ვერ სანახავი“ /საბა/. ეშმაკი, მავნე (ადამიანი).

**უხინკუა** – ძალიან ღარიბი. „ხინკი“-დან.

**უსენებელი** – გველი.

**უჯმაჯური** – მოჩვენება, საშინელება. საბასთან: „მას ეწოდების კვამლი, ანუ ღრუბელი მხეცისა, ანუ პირუტყვის სახედ აღმოაჩნდეს“.

**უსანო** – უღლეური, დღენაკლული. „არ ხან გრძელი“ /საბა/.

**ულუმპია** – გამოუხვლელი ქალი. საბასთან: „მღელვარე, გინა მძლე“.

## ფ

**ფარა** – ფული.

**ფარჩხი** – ფიჩხი.

**ფორჩხი** – ლობიოს, კიტრის და სხვ. მხვიარების ასასვლელი ტოტებიანი ჭიგო.

**ფარსავი, ფარცაკი** – საშუალო სისარულისა და სიმწუნარისა. „საფარცავო ამბავია“...

**ფარდი** – 1. ტოლი, მსგავსი, საბასთან: „ტოლ-ტოლი“

2. მოღობილი დიდი ძარი ურმისათვის.

**ფაცური** – ფაცაფუცი.

**ფაფხური** – ბღინძვა, ჭიმვა, „რას ფაფხურობძ“...

**ფართხალი** – „ფორთხალი – ხმელეთზედ თევზის ძრვა“ /საბა/.

**ფანცქალი** – „გულის ჩქარი ცემა“ /საბა/.

**ფარტენა** – „მატყელის ფთილა“ /საბა/.

**ფაცერი** – „თევზის მახე“ /საბა/.

**ფარცაკუკუ** – ძვ. ცეკვა. საბასთან: „ფაცქიკუკუკ-კუკილით ხლტომა“.

**ფაშვი** – საქონლის კუჭი.

**ფაცხა** – „წნელის სახლი“ /საბა/.

**ფესსალავი** – ფეხის ალავი, საპირფარეშო.

**ფეხუცა** – კოჭლი, ფეხათრეული.

**ფელაშუმი** – „სქელი თათარა“ /საბა/.

**ფერდი** – „გვერდის ქვეშეთი“ /საბა/.

**ფეთი** – „ღამით საოცრისაგან შეშინება“ /საბა/. აქედან „ფეთიანი“.

**ფერჭამელა, ფერიმჭამელა** – „პირზე მსხმო რამე“ /საბა/.

**ფეფენიკო** – სახლის სახურავის გადმოცილებული ნაწილი, რომელიც კედლებს იფარავს ავდრისაგან. ეყრდნობა ქილიშებს /ინ/.

**ფერსო** – „ურმის თვალის გარშემო“ /საბა/.

**ფილეკი** – ხორცის ნაჭერი. საბასთან: „ფელიკი – შაშხის ნაკუეთს უწოდებენ გლეხნი“.

**ფინჩხა** – ნამცეცი.

**ფინღინი** – (სპ. თურქ.) მსხვილი სასროლი ტყვია (იგივეა, რაც ფინტიხი).

**ფილენჯი** – „სენია დამგრეხელი“ /საბა/. აქედან: „დაფილენჯებული“.

**ფიჟვი** – საქონლის ფილტვი.

**ფინზოური, ფინზაური** – „მომცრო საღვინე“ /საბა/.

**ფოფინი** – ლელვა (წყლის, ყანის, ხალხის).

**ფორვი** – 1. სიმინდის ტაროს უღვაშები.

2. ფორჩი.

**ფოლაქი** – ღილი. უცხოელის გვარი – პოლაკ, რომელიც პირველად ჰყიდდა ლითონისა და სხვ. ღილებს დას. საქ-ში.

**ფოცნი** – კბილებიანი ხელსაწყო დასაფარცხავად ან რაიმეს მოსაგროვებლად.

**ფრიალო** – „მეტად ციცაბო“ /საბა/.

**ფრაზი** – კახა, მეძავი.

**ფუტი** – „ავი კვამლი“ /საბა/.

**ფულუ** – თხუნელა.

**ფულური** – „ფოლორო – ხის ღრუ“ /საბა/.

**ფუნა** – მსხვილფეხა რქიანი საქონლის განავალი. „წივა“ /საბა/.

**ფშუტუნი** – სტვენა.

**ფშუკა** – შუკა, ორლობე.

**ფხე** – „ასული. (მეგრულია) ხუნდეთფხე – ხუნდაძე, ქორიფხე – ქორიძე და ა.შ.

**ფხუკუნი** – ხითხითი.

**ფხუკიანი, ფხიკიანი** – „ავგული, ყველა მალე ეწყინოს“ /საბა/.

**ფხანა** – „მოქავება“ /საბა/.

**ფთა** – „ერქვანთ საგვერდული ფიცარი“ /საბა/.

**ფურცელი** – ფოთოლი. იხ. საბასთან.

## ქ

**ქანქვა** – სწრაფი, სულწასული ჭამა. „რას იქანქები“...

**ქანალდი, ქალალდი** – წივნი, რვეული, გაზეთი...

**ქაჩვა** – 1. თვალების ბრიალი, „რას ქაჩავ თვალებს“...

2. გაწევა. „რას იქაჩები“...

**ქადილი** – მუქარა.

**ქაქია** – ფაფა.

**ქაფშია** – თევზია /საბა/.

**ქარშოშინი** – ნელი, თბილი ქარი.

**ქე** – კი, მამ...

**ქვიშა** – ალუბალი. საბასთან: „უგრეხელი – ქვიშა“. „Вишня“ (მ. ს.)

**ქვით** – ნიქვთ, ბარდაბარ. აქედან: „გამოქვითვა“.

**ქვიჯა** – „მცირე როდინი“ /საბა/.

**ქვანქვალი** – გოგმანით სიარული.

- ქვენა** – დასავლეთის ქარი.  
**ქიჩავი** – დაბლაუჭება.  
**ქირქილი** – ავი ხითხითი.  
**ქისტინი, ქისინი** – ??? „ქისინში ჩასდია“ – „არ მოეშვა“...  
**ქილიში** – სახლის სახურავის ნაწილები.  
**ქმაროული** – ქალისათვის ქმრის ოჯახი და მისი ნათესავები.  
**ქოქი** – ჯიში, მოღვა. წყველა: „ამოწყდა თქვენი ქოქი“...  
**ქორდედალა** – ქალაბიჭა, ახტაჯანა, ყაჩაღანა ქალი.  
**ქორთუხი** – საფიცრედ გამზადებული საფიცრე მორი.  
**ქოცო** – „მცირე ჭური“ /საბა/.  
**ქშიქში, აქში** – „ქათმის შერისხვა“ /საბა/.  
**ქაფარი** – ავი, კორიანჩხელი, კაპასი. „არა მართლმორწმუნე“, „სარწმუნოებიდან გადამღვარი“ (პ. ინგოროყვა. ტ. I. გვ.125).

## ღ

- ღაფვა** – ლევა. „სულს ღაფავს“...  
**ღარდო** – თხრილი, ზრამი.  
**ღენჭეპო** – ნაჭეუჭი (კვერცხის, კაკლის, თხილის...).  
**ღერები** – (ძუძუს) თავები.  
**ღერღილი** – მსხვილად დაფქული, საღომედ. აქედან „დაღერღვა“.  
**ღვლეჭი** – დაგრეხილი წკეპლა. საბასთან: „ღვლეჭი – წნელი“.  
**ღვლარჭინილი** – „მიგრეხილ-მოგრეხილი“ /საბა/.  
**ღღია(ვი)** – 1. „მზრის ძირი“ /საბა/. იღღია.  
 2. ამაღლებულ ადგილში სწორი საყანე.  
**ღვიძლი** – მკვიდრი, სისხლი და ზორცი. აღმ-ში „ჯივარი“.  
**ღლაბუცი** – 1. ხეტიალი.  
 2. არშიყობა.  
 3. მასხარაობა.  
**ღლაპი** – დაცინვით – ბავშვი. საბასთან: „ღლაპი – თავთ შვილი“ და „ღულაპი – ფრინვლის მართვე უნაკრტენო“.  
**ღინღლი** – ბუსუსი. საბასთან: „გინგლი – ჩრვილთ ყრმათ ბეწვი“.  
**ღინღილი** – 1. ძლივს სიარული.  
 2. ვედრებით ლაპარაკი.  
**ღვანღვალი** – გიღლის /იხ./ ჩამოსაკიდებელი კავი.  
**ღვედი** – „თასმა“ /საბა/.  
**ღლაგი** – „ლოქო“ /საბა/.  
**ღღინი** – ??? „ღღინში ჩასდია“ – „არ მოეშვა“...  
**ღაზლი** – „მატყლის მკედი მსხვილი“ /საბა/.  
**ღადარი** – „წურილი ნაკვერცხალი“ /საბა/.  
**ღოღანი** – ლულუნა (მტრედი, ბავშვი).

**ღუნწკაბი** – ძუნწი.

**ღოღვა** – ძლივს სიარული.

**ღორჯო** – 1. თევზია.

2. ღოჯი კბილი.

**ღულა** – ახოვანი, ბრგე, ღონიერი (გვარიც არის – ღულაძე).

## ყ

**ყაბალახი, კაბალახი** – ჩაბალახი.

**ყავარი** – სახურავად. „ცხელი და ვიწრო ფიცარი“ /საბა/.

**ყარს** – „ავი სუნი უვა“ /საბა/.

**ყარყუმი** – ენამყრალი.

**ყაჟი** – ჭალარა. აქედან: „შეყაჟიერებული“.

**ყაზირალი** – დაცინვით ბავშვი. საერთოდ ძალღია.

**ყაჭი** – ამოსახვევი აბრეშუმის ძაფი. საბასთან იხ. ძაფი.

**ყბელი** – ლაქლაქა. „ყბა“-დან.

**ყვერული** – დაკოდელი მამალი. საბასთან: „ყვერ დაკვეთილი“.

**ყვაჭიჭა** – ბაყაყი.

**ყვინთვა** – თვლემა.

**ყვიპი** – წვიმიანი ამინდი.

**ყინჩი** – ბაიყუმი, ჩუმი ადამიანი.

**ყიამყრალი** – ენამყრალი. „ყია“ = „ყელი“.

**ყიამეთი** – ცივი (ამინდი, ზამთარი). ღამე.

**ყლუნწვა** – ყლაპვა.

**ყლანტი** – საბასთან: „ყლუნტი“, ყლუპი, წვეთი.

**ყურყუტი** – ცდა, ლოდინი.

**ყუნცი** – „ძაღლის ალას ჯდომა“ /საბა/. აქედან: „დაყუნცული“.

**ყურდგელი** – „კურდღელი“ /საბა/. ყურ-გრძელი.

**ყუბარი** – „ყვიბარი – მომცრო ჭური“ /საბა/.

## შ

**შაშხი** – აპოხტი. იხ. საბასთან.

**შარა** – „ბრტყელი გზა“ /საბა/.

**შედლუხი** – ბათქი, სალუტი.

**შემოდექი** – შემოდგომა.

**შეკოჭვა** – შეკვრა, გათოკვა.

**შექანება** – ჭკუაზე შეშლა.

**შეტრუსვა** – გარუჯვა.

**შელაჭი** – ახმახი.

**შვაგი** – ზვაგი. საბასთან: „თოვლის მეწყერი“.

**შვეტი, სვეტი** – „სწორე, გაუხრელი“ /საბა/. „შვეტი ვაჟკაცია“ ...



- შიდლაყი** – წალაპარაკება, წაჩხუბება.  
**შიგანი** – შიგნეული, ნაწლავები. „შინაგანი“...  
**შიშრობე** – შიშით, კრძალვით.  
**შლუ, ფშლუ** – „ჭკუა ნაკლები“ /საბა/.  
**შმორი** – „სახლთა ნოტიობით ავსუნობასა, გინ მის მსგავსსა ღვინისა, ანუ სამოსლისა სუნთა ეწოდების“ /საბა/.  
**შომა** – შოსე, გზატკეცილი.  
**შტრენგი** – ახოვანი, ბრგე. „შტრენგივით ვაჟკაცია“...  
**შუშვა** – „ოფლიანობის გამოშრობა“ /საბა/.  
**შუაღვინო** – „წყალნარევი ღვინო. გუშურა“ /საბა/.  
**შქერი** – მაღალმთიანი მცენარეა. იხ. საბასთან.  
**შხუმპლი** – თქორი, პატარა წვიმა. აქედან: „შხუმპლავს“...  
**შხუნვა** – „სხუნვა – დაჭინჭვრა“ /საბა/.  
**შხვერთი** – შოლტი, წკეპლა.

## ჩ

- ჩაფარა** – პატარა ჩელტი /იხ./ კიდებამაღლებული.  
**ჩაჩია** – იგივე, მხოლოდ გაკეთებული ჩაღის ღეროებისაგან.  
**ჩასკვარამება** – გაბრაზება, წარბების შეკვრა (იხ. „სკვარამი – წკვარამი“).  
**ჩაზუბზუბებული** – ნოყიერი კერძი.  
**ჩატკვერა** – ჩაკნეტა.  
**ჩახანა** – პატარა ქვაბი. საბასთან: „ჩალხანა – სხვათა ენაა, კარდალას ჰქვიან“.  
**ჩაპალისტომება** – დაჭაობება, დაქცევა. ტბა – „პალისტომიდან“.  
**ჩარბი** – ბავე. საბასთან: „არწივთა, შავარდენთა, ქორთა და მისთანათა ნიკარტთა ჩარბი ეწოდების“.  
**ჩალამკალამი** – ლერწამი.  
**ჩაფი** – 1. თიხის ჭურჭელი. დიდი ღოქი, კოკა.  
 2. სარწყაო = 16 ლიტრს. საბასთან: „კოკის ნაოთხალი“.  
**ჩატეტკილი** – „ანაზღად ფერმკრთალი“ /საბა/.  
**ჩაქალოზი** – ძვე. კაჟიანი თოფი.  
**ჩალანდარი, ჩალვადარი** – ცხენით ბარგის გადამტანი.  
**ჩამური** – ღომის საცეხვი, ქვის.  
**ჩელტი** – „ლასტი“ /საბა/.  
**ჩემმა** – საპირფარეშო, ფენისადგილი.  
**ჩემება** – „დაიმიოსოს“ /საბა/.  
**ჩერია** – „თითის ტარი“ /საბა/.  
**ჩილა** – 1. ჩირი.  
 2. მჭლე ხორცი, უძვალო, უქონო.  
**ჩიჩინი** – ვედრება, მუდარა, ხვეწნა.

- ჩინჩხალი** – ნაპერწკლები.  
**ჩიგორგალი** – კოტრიალი, მაღაყი. საბასთან: „ხამი აბრეშუმი“.  
**ჩიტბადე** – საბასთან იხ. ბადე.  
**ჩინჩვლა** – „უასაკოსაგან დადელლობა რამე“ /საბა/.  
**ჩინჩვირი** – უშნო ბაგე. საბასთან: „(ს)პილოს ხორთუმი“.  
**ჩინჩრიზი** – „ბამბის გურკის სარჩევი“ /საბა/.  
**ჩობანო** – გლახაკი.  
**ჩორიქი** – უთავბოლო ხეტიალი.  
**ჩოილარი** – აყლაყულა, ახმახი.  
**ჩონჩორიკი** – განავალი „ცხენთა და ვირთა“ /საბა/.  
**ჩუმპუ** – მუცელი, ღიბი. საბასთან: „ჩუმპე – მუცელი დაშვებული“. აქედან „ჩუმპუიანი“.  
**ჩქვიფი** – ბუჩქი.  
**ჩქიფი** – ჩანგალი.  
**ჩქოლა** – „ჩქოლი – ახალმოზარდი, ნორჩი, წურილი“ /საბა/. ლაპარაკია ხეზე.  
**ჩხინკორა** – ღორის განავალი.  
**ჩხაპნა** – „ჩხაპნა – ავი წერა“ /საბა/.  
**ჩხოკი** – ხის ტოტებისაგან გაკეთებული დიდი ცოცხი.  
**ჩხაპურტა** – ქუსლებწათელილი სამინაო ფეხსაცმელი.  
**ჩხვერა** – „მუცლის გურემა“ /საბა/.

## ც

- ცახოცი** – თავსაფარი.  
**ცეხვა** – „ცემით მარცვლის ქერქის შეძრობა“ /საბა/. აქედან „დაცეხვილი“.  
**ციცა** – გოგო, ქალიშვილი, აქედან შემოკლებული მიმართვა „ცა“...  
**ცინცხალი** – ახალთახალი, ბრჭყვიალა.  
**ცისიერი** – ალიონი, რიჟრაჟი. იხ. საბასთან.  
**ცინტალი** – კატის კნუტი. საბასთან: „კატის კნოტი მოდილო“.  
**ცოლოური** – კაცისათვის ცოლის ოჯახი და მისი ნათესავები.  
**ცოგორა** – უნაყოფო, მოტიტელებული გორა, ანდა მიწა.  
**ცოცხია** – მცენარე, რომლისგანაც აკეთებენ ცოცხს.  
**ცრუტი** – 1 გულფუჭა (თხილი, კაკალი).  
2. ცრუ, მატყუარა.  
**ცურცილი** – წვრილი განავალი (თაგვის, აბრეშუმის ჭიის და სხვ.). იხ. საბა.  
**ცური** – „მუძუს ძირი“ /საბა/. ვიქანი.  
**ცხავი** – მსხვილი საფერი. საბასთან: „მიწის გასაცარი“.

**ძ**

- ძაბუნი** – 1. ლაჩარი, მშიშარა.  
 2. დავრდომილი, გლახაკი.
- ძაგძაგი** – „სიცივით ძლიერ კანკალი“ /საბა/.
- ძახთაპირი** – „ძალღთა პირი“ – საგინებელია.
- ძაგარი** – მაგარი თმა. საბასთან იხ. თმა.
- ძარი** – მღობილი ჭურჭელი. საბასთან: „ქორის საჯდომი გოდორი“.
- ძახა** – „მეორე ძაფის შესთვა“ /საბა/.
- ძგიდე** – კიღური, გვერდი, ნაწიბური. საბასთან: „შუა გასატიხრავე მუცლისა თუ ბედლისა: კიღობნისა თუ მისთანათა“.
- ძეგალი, მძეგალი** – საბუღარში დატოვებული ლაყე კვერცხი.
- ძეწნა, ძეწნი** – ტირიფი. საბასთან: „არს კაცთა მიერ დანერგული წვრილფურცელი“.
- ძვალმოტეხილი** – შემთბარი (წყალი).
- ძლოკვი, ზლოკვი** – უკულო გველი.
- ძუნკალი, წუნკალი** – წუწვი.
- ძინკი** – ძინძი.
- ძიბლი** – წირბლი.

**წ**

- წაქე** – ყველის შესანახი სითხე. საბასთან: „წაქა“ (იხ. წვენთან).
- წანკალეა** – არ შერგება, წამწარება.
- წალდი** – „ფინხის საკაფი“ /საბა/.
- წა(ლ)კატი** – „ორწვერიანი წერაქვი“ /საბა/.
- წამოჭენება** – „კაცთ გაწითლება“ /საბა/.
- წა(მო)სორსალება** – „გრძლად წამრგვალება“ /საბა/.
- წარაფი** – „წურილი, მოგრძო ტყე“ /საბა/.
- წაძღვანიება** – თან წაღება.
- წეკვა** – კრეფა, გლეჯა.
- წევე** – ??? „წევე წახვიდოდე“ – „არ წახვალ და“ ...
- წინსადგარი** – ურმის შესადგმელი ორკაპა ჯოხი.
- წირეხი** – 1. დაგრეხილი წეკვა.  
 2. მანჭვა-გრეხვა.
- წილადობილა** – ყოყმანი, აწონ-დაწონვა.
- წენტა** – აგური ბანქოში.
- წლის მოზიარე** – თანამოსაკე.
- წუპაკი** – უსინდისო, უნამუსო.
- წუმპე** – ლაფი. იხ. საბა.
- წუნწუბა** – „გოგირდი“ /საბა/.
- წუწკუნი** – „არს მცირეს ლეკვისა ტირილი“ /საბა/.

**წულა** – „სამოგვის ფეხსაცმელი“ /საბა/.

**წაფიმფულა** – თოვლის მცირედ დადება.

**წინწრიქი** – ჭუჭყი. აქედან – წინწრიქიანი.

## ჭ

**ჭაჭა** – თირკმელი.

**ჭაჭვი** – პეშვი. იხ. საბასთან.

**ჭანჭალი** – „ყვერთ ძარღუნი კაცთა მიდამონი“ /საბა/.

**ჭანჭყალი** – „ნაკლული ჭურჭლის ხმა“ /საბა/.

**ჭარიკა, ჭარიკი** – „ნახევარი კოკა“ /საბა/.

**ჭალი** – „ურმის მანი“ /საბა/.

**ჭალიკონი** – „ქარია ერთი სასტიკი“ /საბა/.

**ჭამაკუთილა** – დაცინვით იტყვიან = ჭამის ღროს კუთვა /იხ/ ხომ არ გჭირსაო.

**ჭენჭი** – ცხიმი, ქონი. საბასთან: იხ. ცხიმი.

**ჭვრიტინა** – „ჯვრიტინა – მცირე სასინათლო“ /საბა/.

**ჭინჭიპურა** – აყალო მიწა, თიხნარი. ჭურის დასაგოზავად.

**ჭინჭი** – ქსოვილი, მატერია.

**ჭიკარტულა** – დიდი ლურსმანი.

**ჭინჭყლი** – 1. აურზაური, ჩხუბი.

2. ჩხუბისთავი.

**ჭინთვა** – „ჭინტვა – განსავლით გასვლაზე გარჯა“ /საბა/.

**ჭმანე** – „მომძარებული“ /საბა/.

**ჭოჭი** – „ადგილი წყლიანი“ /საბა/.

**ჭობოსანი** – დიდი ქლიბი. საბასთან: „ძვალთ საფხეკი ქლიბივით“.

**ჭოლოკი** – „აღმა სასროლი ჯოხი“ /საბა/.

**ჭონჭყო** – ტალახი, ლაფი, ჭაობი.

**ჭოკი** – გრძელი ჯოხი, კაკლის და მისთ. დასაბერტყავად.

**ჭუჭული** – წიწილა. საბასთან ნახ. მართვე.

**ჭური** – „ქვევრი“ /საბა/.

**ჭყანვა** – მანჭვა, კრეჭა.

**ჭყიატა** – მყვირალა (ფერი).

**ჭყინტი** – ჩვილი, ახალი, ნელლი (ბავშვი, სიმინდი, ყველი და ა.შ.).

**ჭყაპი** – ჩვილი ბავშვი.

## ხ

**ხაპი** – კვახი, გოგრა.

**ხაზირი** – მზად ყოფნა. აქედან: „გახაზირებული“.

**ხარისხარალი** – ხარის იარაღი, გუთანნი.

**ხაბურძაკი** – სახამთრო.

- ხაფი** – „მაღალი, ბოხი, საშინელი ხმა“ /საბა/. რუსთაველს აქვს.
- ხალამი** – „ხალანი – პირფართო ქოთანის“ /საბა/. ყველისათვის.
- ხემსი** – „მცირედი რამ ჭამადი“ /საბა/.
- ხელი** – „გიჟი, გადარეული“ /საბა/. აქედან: „გახელდა“.
- ხელგობა** – პატარა ვობი.
- ხენჯი** – „ილეკროს ნაწური“ /საბა/. იტყვიან: „ხენჯად დაგრჩა გულში“...
- ხელეჩო** – „მობრტყე სათლელი რკინა“ /საბა/.
- ხვანჯარი** – „ნიფხვის ზორტი“ /საბა/.
- ხვიმ(ი)რი** – „წისქვილის სახვარბლე“ /საბა/.
- ხვეწი** – „მოკალული სათლელი“ /საბა/. უნდა იყოს „მოკაკული“ ან „მორკალული“.
- ხვითო** – „ხუთო – ქვა გესლით მკურნალი“ /საბა/.
- ხვიჩილა** – ყვინჩილა.
- ხვაფი** – ბარაქა. აქედან: „ხვაფრიელი“ = „ბარაქიანი“.
- ხვანცალი** – კლაკვანა.
- ხვადაგი** – მსხვილფეხა რქიანი საქონელი. საბასთან: „ხვასტაგი – საქონელი და საყოლელი“.
- ხვეტა** – გვა.
- ხინკი** – ნამცეცი. აქედან: „უხინკუა“ /იხ/
- ხორხოცი** – ხმამაღალი სიცილი.
- ხორხა** – ხახა.
- ხოშკაკალა** – „წვრილი სეტყვა“ /საბა/.
- ხოკერა** – „ხის ქერქის ჭურჭელი“ /საბა/.
- ხრონცი** – გადაყრუებული ბებერი.
- ხსენი** – „პირველ ნაწოვნი რძე“ /საბა/.
- ხუნტრუცი** – საბასთან ნახე თამაშობა.
- ხუება** – გოცება, გაკვირება. „იხუა“ – „გაიოცა“...
- ხუმტურიანი** – ჰიპოხონდრიკი.

## ჯ

- ჯაჭველა** – ჭრელი, ჯაჭვისებურად შეფერადებული.
- ჯახრიკი** – ჯაგლაგი (ცხენი).
- ჯახირი** – წვალეხა.
- ჯახუნაკი** – ღორის განავალი.
- ჯარი, ჯარიანობა** – ხალხის თავმოყრა.
- ჯარგვალი** – (საბასთან არის განუმარტებლად). პატარა სახლი.
- ჯალამბარი** – 1. საკაცე.  
2. „დიდი ქვის მაღლა ასატანი“ /საბა/.
- ჯენჯი** – „თავის ნაპარსი“ /საბა/.
- ჯინჭველა** – ჭიანჭველა (შდრ. გვარები: ჯინჭველაძე, ჯინჭველაშვილი).

**ჯიჯგვი** – ჯმუხი, ჩასკვნილი.

**ჯილი, მჯილი** – მუშტი.

**ჯილანგარი** – ჯიუტი, თავნება.

**ჯირჯვი** – „ძალიან დასივებული“ /საბა/.

**ჯიჯლაყა** – ფხალია /იხ. საბა/.

**ჯილა** – „დიდებულთ თავსარჭობი“ /საბა/.

**ჯლოყინი** – „რწყევად განმზადების სმა“ /საბა/.

**ჯორკო** – დაბალი დასაჯდომი, ჯრიკო.

**ჯუმადა** – მამიდას ან ღეიდას ქმარი.

**ჯურმუხეთი** – ??? წყევლა: „ჯურმუხეთში წადი“... ჯანდაბა?!

**ჯლიბა** – „ტკიპივით ტილი“ /საბა/.

**ჯლა** – რქა.

**ჯლანვა** – კრეჭა, უმნოდ სიცილი.

**ჯლარკი** – ჯლანი, ძვ. ფეხსაცმელი.

**ჯალულა** – ბლაგვი (დანა).

## მადლობელი ვარ, მამა!..

გახსენება

(„ლიტერატურული საქართველო“, 1993, 30 ივლისი)

მე ახლა იმ ასაკში ვარ, შენ სიცოცხლე რომ დატოვე, მამა. ამიტომაც სწორედ ახლა ყველაზე მეტად მიჭირს უშენობა და სწორედ ახლა ყველაზე ახლო ხარ ჩემთან. ჩვენ ერთ ასაკში ვართ – ორმოცი წლისანი. შენ წელს სამოცდაათში შეგისრულდა, მე – ორმოცდაერთის გავხდები. ჩვენ ახლა ტოლები ვართ! სულ სხვანაირად ვუყურებ და ვგრძნობ შენს გარდაცვალებას და გული მწყდება, მაშინ რომ არ შემეძლო შენი თანადგომა. მას შემდეგ განვლილმა თითქმის ოცდახუთმა წელმა ბევრი დამანახა და მასწავლა.

ერთადერთი სიმდიდრე, რაც შენ დამიტოვე, იყო ოთხი პატარა წიგნი, სათუთად შენახული დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი წერილები, მოთხრობები, ლექსები... და, რაც მთავარია, კაცური კაცის სახელი. ეს სახელი მიმიძღოდა წინ. მე ყველგან სიამაყით ვამბობდი, რომ ალეკო სანადირაძის ქალიშვილი ვარ და ყველას, ვინც გიცნობდა, ვატყობდი, როგორ ევსებოდა გული სევდითა და სითბოთი. თუ მჭირდებოდა, როგორც შეეძლოთ, უანგაროდ მეხმარებოდნენ. თუმცა ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, ასეთი სიყვარულით რომ გიხსენებდნენ. ამ წლების მანძილზე ჩემთან ერთად ცხოვრობდი და შენზე აუგის მთქმელი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია.

თუმცა ზოგჯერ ასეთი წუთებიც მქონდა – მეჩვენებოდა, რომ ყველას დაავიწყდი, აღარაეინ გიხსენებდა, რადგანაც თანამდებობის პირი არაეინ გამოერია შენს საგვარეულოში, ან შენი მეგობრობითა და ნაცნობობით ქულები არავის ემატებოდა. არა, ყოველთვის არა, მხოლოდ ზოგჯერ მომდიოდა თავში ეს აზრები... არადა, რამდენისთვის დაეილოცია შემოქმედებითი გზის დასაწყისი. ბევრი ცოცხალი აღარც არის! ვისაც ახსოვხარ, მართლაც, ღმერთმა დალოცოს!..

თქვენ საოცრად ტრაგიკული თაობა ხართ. ბავშვობა ოცდაჩვიდმეტმა წელმა მოგიწამლათ, სიყრმე – ომმა, სიჭაბუკე – უკუღმართ სისტემასთან ჭიდილმა. ზოგმა მხოლოდ გაუძლოა, ზოგმა ღირსეულად გაუძლო, ზოგმა სულ ვერ გაუძლო და შენსავით მიწას ამოეფარა. ბედისწერა ბედისწერაა, მაგრამ ცხოვრებისეულ ორომტრიალთან ჭიდილში რომ დაიღუპე, ეს ნამდვილად მჯერა.

დაიღუპე უჩემრად, როგორც ბევრი პატიოსანი, ნიჭიერი და გულითადი ადამიანი იღუპებოდა და იღუპება. ღმერთმა ქნას, მომავალ თაობებს მაინც დაუდგეთ ის ღრო, როცა აღარ იარსებებს ის ღიდი, დაუყურებელი ტკივილი, რომელმაც ასე მწარედ დაგვისერა სულები თქვენც და ჩვენც, თქვენს შვილებს. ყველას ხომ არ ყოფნის ძალა გაუძლოს...

მე არ მოვყვები, როგორც იტყვიან, შენი შემოქმედებითი გზის განხილვას. გამორჩეული და განსაკუთრებული, იქნებ, არც არაფერი გაგიკეთებია, მაგრამ ის პატარა წვლილი, რაც ქართული ლიტერატურის წინაშე მიგიძღვის, უფლებას მაძლევს, მკითხველი შენი გახსენებით შევაწუხო.

მაღლობელი ვარ, მამა, შენი შვილობისთვის, ჩემთვის, ჩემი შვილისა და მისი შთამომავლობისთვის მუდამ ცოცხალი იქნები. დარწმუნებული ვარ, შენი მეგობრებისთვისაც – კარგი ადამიანის დავიწყება არც ისე ადვილია. ასე ნათლად არასდროს დამინახინხარ, მამა. ისეთი სუფთა წახვედი ამ ქვეყნიდან, მჯერა, იქაც ნათელში იქნები!..

**მანანა სანადირაძე**